

7. J. B.



№ 1061 պահպանում

Գ. Յուզբաջյանի Գրքարան

Նիսի (Ս. Գ.) 1904 թ. 50

Զեյնապյան Լուսինյան

(28 թ. 50)

Ստանդարտ գրքեր, և ձեռք (Ստանդարտ)

1904 թ. 50 (Ս. Գ.)

Գրություն

1. Տեղի շնորհակալություն բռնող
 ԸՄ ԸԻԿՈ XXII, XXXIII.
2. Կրթության ընթացքում XIX
3. Ձեռագրեր XX
4. Հանրակրթություն XXI
5. Հանրակրթության XXII (չհարմար հանրակրթություն)
6. Երեսուցիների խումբ - XXVIII (ստորագրություն)
7. (Բնագրերի ցուցակ) XXIX
 օրագրեր
8. Լրագրերի ցուցակ XXXII
9. Բնագրերի ցուցակ XXXI
XXXII
10. Հանրակրթության ընթացքում XXXIII
11. Ը. Ձեռագրերի ցուցակ
 Բնագրեր XXXIX
12. Լրագրերի ցուցակ
Հանրակրթություն, XXXIX (ստորագրություն)
13. Կրթության ցուցակ
 ԸՄ XL
14. Կրթություն XLIV

15. Կրթություն XXXXVI
16. ԸՄ ԸԻԿՈ → 282
17. Կրթություն 305
18. Կրթություն 321
19. ԸՄ ԸԻԿՈ 312
20. Կրթություն 318





Handwritten text in red ink, including a signature and the number 4885815384.

კვთვე უმთავრესი

ხალხური სიფუძიერება

ნაწილი პირველი

ტფილისი

1937

ილი. გიბუნაძე

მასხაველი

გ. კუბიძე

ვეტრე უნიკაფილი

18. IX. 37.

ხალხური სიყვანიერება

ნაწილი პირველი

ლექსები, ანდაზები, გამოცანები

რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები
ფ. გობიკაიშვილისა

3640



ფელერაცია
1937



პეტრე უმიკაშვილი

(ბიოგრაფიული ნარკვევი)

პირადად ვიცნობდი. შემთხვევამ მომაგო სიკეთედ, რომ მას შევხვდებოდნენ, უფრო სწორად, რომ იგი შემხვედროდა ახალგაზრდობაში ცხოვრების გზაზე-ბედმა მარჯუნა მისი სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მის სიკვდილამდე, მისი მეგობრობა, რასაც მოვლი ჩემი ცხოვრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამიტომ მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, — და როდესაც იგი ამ სტრიქონებს ბოლომდის ჩაიკითხავს, მიხედება კიდევ, — თუ რა უსომეხ სიამოვნებით ვიღებ ხელში კალამს ამ ბიოგრაფიის დასაწერად.

მაგრამ შესაძლებელია ვინმეს ეჭვი აღედრას: მოახერხებს კი მეგობარი მეგობრის შესახებ სისწორით ამბის მოთხრობას? ასეთ ეჭვს საფუძველი ეძლევა მით, რომ პირადი გრძობა ხელშემშლელია ობიექტური მსჯელობისა და მსჯავრისათვის. მაგრამ მე ვეცდები ამგვარი ეჭვისთვის საბაბი არ მივცე არავის, და ამისთვის შემდეგ საშუალებას მივძეგნათ: არას ვიტყვი უფაქტებოდ და უციტატებოდ. სათაურადაც ამ ნაწერს „ნარკვევი“ მივუძღვი და არა მარტოდენ „მოგონება“.

I

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა 1838 წელს, 23 ოქტომბერს (ძვ. სტ.), ტფილისში. ჩემი გვარი, — სწერს იგი ¹⁾, — როგორც აჯახის ზეპირგადმოცემა დარჩენილა. ტფილისის ძველი მოქალაქეთა გვარია; ნარიყალის ციხე არ ყოფილა აშენებული, რომ ჩვენი გვარი ქალაქში ყოფილიყო, — თითქმის თამარ დედოფლის დროს ან უწინ: ჩემის გვარისანი არიან სოფელ ძეგეს, მეჯერისხევს და, ამბობენ, კახეთშიაც. ზოგნი სომეხნი არიან, ზოგნი მართლმადიდებელნი. მე კათოლიკე ვარ: წარსულ [ე. ი. მე-18] საუკუნეში სომხობიდან გადასულა მამაჩემის პაპა²⁾.

მამა პეტრესი, იოსები, განსაზღვრული ხელობის კაცი არ იყო, — უფრო იგი წვრილ ვაჭრობას ეწეოდა ³⁾. ერთხანს მსახურობდა საფრანგეთის კონსულთან, შევალიე გამბასთან ⁴⁾, იყო მდივანი და თარჯიმანი საკონსულოსი. აქ მან ფრანგუ-

¹⁾ იხ. ავტობიოგრაფია, რომელიც ზ. ჭიჭინაძის თხოვნით დაუწერია 1890 წელს („ივერია“, 1904 წ. № 123)

²⁾ გიმნაზიის ატესტატში პ. უმიკაშვილი იხსენიება როგორც: „შვილი მოხდოკელი მოქალაქის იოსებ უმიკაშვილისა“. არ ვიცი, რატომ იწოდება იოსები მოხდოკელად, — დაიბადა მოხდოკში, თუ პირველი ახალგაზრდობა გაატარა იქ.

³⁾ შევალიე გამბას მე 19 საუკუნის პირველ უერთხედში უმოგზაურნია. ბჭერ ადგილას საქართველოში და თავისი მოგზაურობა დაბეჭდილი აქვს ორ ტომად ფრანგულ ენაზე პარიზში: Chevalier Gambat: Voyage dans la Russie Méridionale, 1826.

ლი ენა კარგად ისწავლა და ერთ დროს, გამბასთან ერთად, საფრანგეთიც მოა-
რა და იქაური ცხოვრება გაიცნო. განათლებული საფრანგეთის წესწყობილება
ისე მოეწონა და შეუყვარდა, რომ, დაცოლშვილების შემდეგ, მუდამ ოცნებობდა
თავისი შვილი საფრანგეთში გაეგზავნა და სწავლა იქ მიეღებინებინა. მაგრამ ამ
ჭურვილის განხორციელება მას ვეღარ მოუხდა. პეტრე ბავშვობაშივე დაობლდა:
იგი ხუთი წლისა იყო, როცა მისი მამა იოსები გარდაიცვალა (1843 წ.).

დედასა და შვილს დარჩათ იოსების ცოტაოდენი მონაგარი, დაახლოებით
ოთხასი თუმანი. აქედან ორასი თუმანი ვიდაც ჩილინგიანზე იყო გასესხებული
რომელმაც მხოლოდ 25 წლის შემდეგ გადაუხადა პეტრეს ამ ორას თუმანში რა-
ღაც სამოცი თუ ოთხმოცი თუმანი.

ამგვარად, იოსების ქვრივს ნამდვილად ორასი თუმანი დარჩა თავის სარჩე-
ვად და შვილის გამოსაზრდელად. რასაკვირველია, ეს ფული მთელი 20 — 22 წლის
განმავლობაში დედა-შვილს არ ეყოფოდა. ამიტომ პეტრემ თავისი ახალგაზრდო-
ბა სიღარიბესა და გაკირვებაში გაატარა.

მისი დედა ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა, მაგრამ მეორედ აღარ გათ-
ხოვრილა, — თავისი მეცადინეობა და ძალღონე თავისი ერთადერთი შვილის გა-
მოზრდას მოახმარა¹⁾. პეტრე მოზუცებაშიც დიდი გულითადობით და პატივის-
ცემით იხსენიებდა თავისი დედის დაუფიწყარ ამგსა და სიყვარულს, და როცა მის
სიკვდილს მოიგონებდა (გარდაიცვალა 1884 წელს), ყოველთვის ცრემლი მოერე-
ვოდა. „დედა — სწერს თვითონ აღნიშნულ ავტობიოგრაფიაში — იყო ტფილისის
მოქალაქის სტეფანე კაკალაშვილის ქალი, მომთმინო, ჭკვიანი, შორსმხედველი და
საკვირველის ესტეტიური გემოვნების დედაკაცი. სახით მშვენიერი იყო. მაღალი
აზრი, რომელსაც ამოვიკითხავდი ხოლმე უდიდებულეს მსოფლიო მოაზრეთა ნა-
წერებში, მესმოდა ხოლმე და მოაცებდა მისი მსჯელობა უსწავლელი, წიგნის ვაი-
ჯაგლანით მკითხველი დედის პირისაგანაც. გაგონებით ბევრი გაეგონა, ხსოვნა
ჰქონდა შეუდარებელი. მრავალი საქვეყნო ისტორიული ამბავი, ძველი და ახალი,
ანეგდოტები ერთგვარად ახსოვდა“.

პირველდაწყებითი სწავლა პეტრე უმიკაშვილმა შიიღო ქართულ ენაზე კა-
თოლიკეთა მიძინების ეკლესიის სამრევლო სკოლაში. მერე, ცოტაოდენი მომზა-
დების შემდეგ, დედამ მიაბარა საკომერციო გიმნაზიაში, რომელიც მოქალაქეთა
შვილებისთვის იყო დაარსებული. ეს გიმნაზია 1854 წელს შეაერთეს პირველ გიმ-
ნაზიასთან, რომელსაც მანამდის სააზნაურო გიმნაზია ეწოდებოდა. პეტრე გიმნა-
ზიაში გვარაზად სწავლობდა. ატესტატში მისი ნიშნებია „გვარიანი“ და „დამა-
ჯმაცოფილებელი“, — მარტო ქართულში აქვს „ფრიადი“ და სამღვთო წერილ-
ში — „კარგი“. 1859 წელს²⁾ მან დაასრულა გიმნაზიის კურსი.

გიმნაზიის შემდეგ პეტრეს სწყუროდა უნივერსიტეტში შესვლა და სწავლის
განგრძობა, მაგრამ სპხსარი არ ჰქონდა. მისი მამის მოვალე ვალს არ უხდის: „9
თვეში, — სწერს იგი, — ათი თუმანი ძლივს გამოვართვი ასორმოცდაათი თუმნიდან,
რა იმედი უნდა მქონდეს, რომ შერამისამდინ სულ ავიღო ან ნახევარი ჩვენი ფუ-
ლისა: თუ ეს ასე არ მოხდა, არ შეიძლება ჩემი წასვლა ჯარსად“...

¹⁾ როგორც ერთი საოჯახო დავთრის ყდაზე მინაწერიდან სჩანს (მიწერილია
ფრანგულად პეტრეს მამის — იოსების — ხელით), იოსებს მეორე შვილიც მისცემია
(ეტიენი), მაგრამ იგი — ეტყობა — ბაღლობაშივე გარდაცვლილა.

²⁾ და არა 1860 წელს, როგორც მე ეს შეცდომით აღნიშნული მაქვს ამხ.
„ციცკრის“ მიერ 1905 წ. გამოცემულ წიგნში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“.

შევალიე გამბაზე დარჩენილა პეტრეს მამის ვალი ოცდაათ თუმნამდე. გამბას ჭაქართველოში მამული ჰქონებია შეძენილი, რომელიც — არ სჩანს, ვალში თუ ვალის გარეშე — გაყიდულა 1860 წელს. და ახალგაზრდა პეტრე ეძებს გამბას მეგვიდრის, მისი ქალის მისამართს, და უნივერსიტეტში წასვლის იმედს ერთხანს იმაზე ამყარებს, რომ ამ ვალს უამბას ქალი გაუნაღდებს. მასალებიდან არ სჩანს, რით გათავდა ამ ვალის საქმე, — როგორც ეტყობა: არაფრით.

მისი იმდროინდელი დღიური სავეა მწუხარე ჩივილით იმის გამო, რომ უნივერსიტეტში ვერ მიდის მის ამხანაგებსავე სწავლის მისაღებად. 1860 წ. 5 ივლ.: „იმ კვირას წავიდნენ ჩემი ამხანაგები. მე დავრჩი და დავრჩი, — ეს ფიქრი არ მშორდება“. მეორე ადგილას: „მე რაღას ვარიგებ? ჯანაბასა, უადგილოდ დავებირები... ფუჭი სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, უგზო-უკვლოდ, ურგებადა ვცხოვრობ... ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა ვიყო ასეთ მღვდომარეობაში? ვაჟ, ჩემო თავო, ნუ გექნება იმედი, რომ აგისრულდეს რამეში სურვილი. ან მერმის როგორ წავალ მე უნივერსიტეტში?“ 2 ენკენ.: „წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვახერხებ... აქაც არ არის იმედი... არ ვიცი რა ვქნა, არ ვიცი რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება იმისკენ თავი მეკრა; სულ არაფერი, თუ მოვკვდებოდი, კეთილის საქმისთვის მოვკვდებოდი მაინცა. მაგრამ შორს არის. რა ვქნა, შვილური სიყვარული ბორკილს მიყრის: როგორ დავანებო თავი დედას, ვის ანაბარათა და ვის იმედითა. აი, რა მტანჯავს“.

არის მომენტები, როდესაც იგი ფიქრობს კერძო პირებს მიმართოს დახმარებისთვის, რომ სესხის სახით მისცენ მას საშუალება სწავლის განსაგრძობად. მაგრამ უმაღლე ხელს იღებს ასეთ განზრახვაზე. 1860 წ. 3 ივნ.: „ერთ წიგნს დავწერ მერკა დანტესთან რუსულად, აქ ვისმე სანდო პირს ან ბრიყვს (რომ არა გაიგოს რა) გადავათარგმნინებ და გავგზავნი. ვთხოვ, რომ, თუ შეეძლება, თავის ხარჯით გამამგზავროს და მასწავლებინოს. ჩემს სურვილს კბადად გამოუხატავ. ენა: მით... იქნება არც კი მიეწერო, სათაკილოც კია თხოვნა. მაგრამ რომ ვიღუპები შეუწყენელად!..“ ზოგჯერ მისი მამის მიერ დავალებულ ადამიანებზე ფიქრობს. 21 ნოემ.: „ხან ერთ საშუალებას ვეძებ, ხან მეორესა... პეტერბურგში კი მიეწერო, ტესერის ამბავი შემატყობინონ. ახლა ბებერია. ის ყოფილა იქაურ ფაბრიკებში. იქნებ ფულიანი კაცი იყოს და უცოლუშვილი... [ის ერთ დროს] მამაჩემს ვადურჩენო... მიეწერ წიგნს, იქნება დამეხმაროს ვალითა, რომ მერე გადაუწადო“. ხან ამხანაგ-მეგობრებზე ფიქრობს. 28 მაისი: „მე მყავდა და მყავს მეგობრები, რომელთაგან ერთს შეეძლო ჩემი შეწევნა, მაგრამ... ღმერთო მოპიტევე, თუ მტყუანი ვარ... მეორე ადგილას: პავლე „თუ მართლა მდიდარია, და თუ არა, პაპა ჰყავს მდიდარი და შეუძლია ჩემთვის ივალოს ფული (зот ерихом!). ეს სასირცხო და უმართებულოა აზრია. მაგრამ... თუ მართლა მეგობარია, იქმოდა, თუმცა ვგონებ არ მივიღებდი ამგვარ შეწევნასა“. ან კიდევ 1861 წ. 16 იანვ.: „... პალტარაკისთან ვიყავი, ილია წინამძღვარი იქ იყო და სიტყვა გამიხსენეს, თუ წასვლა გინდაო, გვითხარო, ჩვენ მოვახერხებთო. უთუოდ, როგორც შარშან ილიკო სერგებრიაკოვი გაგზავნეს, ჩემი გაგზავნაც ისე უნდათ, — საზოგადოთ შეკრებულის ფულითა. მაგრამ მე დამოკიდებულება არ მინდა ვისზემე მქონდეს... არ მინდა ამგვარად... მე ჩემს თავად, სხვის შეუწყენელად მინდოდა და მინდა ცხოვრება“.

ამგვარად ახალგაზრდა პეტრე, თუმცა სწავლის წყურვილი დიდი აქვს, უმარტულეს სასწავლებელში ვერ მიდის ხელმოკლეობის გამო. იგი იძულებულია შინ დარჩეს. დედას მის მეტი არავინ ჰყავდა პატრონი და მრჩენელი. პეტრე ძალა

უნებურად „ცხოვრებაში უნდა გამოსულიყო“ და ლუკმა პურის მოსაპოვებლად შრომა დაეწყო. და აი, იგი შეუდგა ადგილის ძებნას, დაულაღვად ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ვერსად ვერას შოულობდა. ამ ხანებში პ. უმიკაშვილი თავის დედასთან ერთად უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, რასაც იგი ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. შემდეგში, თავისი რვეულის ერთ ადგილას, იგი ამხელს თავის გულის საიდუმლოებას: იყო მომენტები, როდესაც ვფიქრობდი დედა მომეკლა, მერე თავი მომეკლა და ამით ბოლო მომეღო იმ საშინელი ცხოვრებისთვის. უნათესავო არ იყო, მაგრამ ნათესავებისგან დახმარებას არც თხოულობდა და არც მოელოდა, იმათგანაც კი არა, რომლებზედაც მის მამას თავის დროს ამაგი ჰქონდა გაწეული. მაგალითად, ერთ ნათესავზე სწერს: გზაში შემხვდაო... „რას აკეთებო. არაფერს, ადგილს ვეძებ მეთქი, აქ ვიყავი, იქ ვიყავი, და ვერსად ვერ ვიშოვნე ადგილი მეთქი. კინაღამ შეგუბებული ცრემლი თვალებიდან გადმომსკდა, მაგრამ შევიმაგრე თავი. გულში [ვიფიქრე]: მამა ჩემს შენი სახლობა ოთხი სულით თითქმის შეუნახავს, და ამ ხუთ თვეში, რაც კურსი შემისრულდება გიმნაზიაში, შენ ახლა კითხულობ რას ვაკეთებ? ეცადეო სადმე ადგილი იშოვნო... თავი დავეუკარი და მოვშორდით ერთმანეთსა“.

იგი განუწყვეტლივ დარბოდა სხვადასხვა დაწესებულებებში, რომ სადმე თავისთვის ადგილი და სამუშაო აღმოეჩინა, მაგრამ ყველგან კარები დაკეტილი ხვდებოდა და, ნაცვლად დახმარებისა, ხშირად დაცინვასა და თავმოყვარეობის შელახვას ითმენდა. მაგალითად, იგი სწერს თავის დღიურში 1860 წელს, 23 მაისს თარიღით:

„აი შენი ფითიაშვილიც! სამი დღე იმის უკან დავდიოდე. პირველად ვნახე და ატესტატი მთხოვა. მივუტანე გუშინ. ჯერ ერთი ჩარეკი ხანი გასაწმენდი სულივით ელი, — როდის იქნება, რომ ვიზილო იმათი პირით. აგერ გამოვიდა მალაღლი და სქელი; თვალებში რომ შეხედო, გაუმაძღრობისა და ხარბობის მეტს ვერასა ნახავ იმათ გამომეტყველებაში. გადიკითხა ატესტატი, ჩუმად დამიბრუნა და შევიდა შინ... ღმერთო ჩემო, — ჩემ გულში ვამბობ, — პასუხსაც არ აღირსებენ კაცსა ეს ღორები! მეტი ღონე აღარ იყო, ერთი ნახევარი საათიც მოვითმინე მეტი ვეღარ შევძელ და მოსამსახურეს ვუთხარი: მოახსენე, რა პასუხს ბრძანებენ მეთქი. — ხვალ დილაზე მობრძანდით, შემომითვალა. მაშ ხმის გაჟღერება უარობარ ყოფილა მეთქი, — გავივლე გულში. — წავედი დღესაც. ერთ მეკანტორეს უთხრა, ეს წაიყვანე და რამე დააწერინეო. დავერე ორიოლე სტრიქონი რუსულად და ქართულად, მივიტანე. საცინელი ის იყო, რომ თვითონ კაცი არ არის იმ ხარისხისა, რომ დაბეწერა: „Бискобинъагоподиѣ“, მე მაინც ასე დავწერე, ესე იგი დაბეწერინეს. — ოჰ, „პოჩერკი“ არ გივარგათო, სწავლობთო და არა სწავლობთო. მე ვუთხარი, გიმნაზიაში ხელს არ უყურებენ მეთქი. არაფერი აღარ სთქვა, — თან შეიტანა ქალაღლი. მე ჩემ თავს ვუთხარი: მოიცადე, იქნება გუშინდელსავით იყოს დღევანდელი ამბავი და რამე მეღირსოს მეთქი. ვუცადე კარგა ხანი. მერე ბიჭს ვუთხარი: პასუხი თქვას რამე მეთქი. თვითონ გამოვიდა: — ჩვენში „პოჩერკი“ ძალიან საჭიროა და... მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ მეთქი, ავდექი და გამოვედი ყველასაგან მოველოდი დაჩაგვრასა და ასოებისაგან კი არა. აბა მოდი და ლექსები სწერე, როცა ანა-ბანის წერა არ იცი. სახელმწიფო სამსახურშიაც — ამბობენ — ძალიან უყურებენ ასოების განოხატვასაო. ეს ოხერი და ტიელი რუსებორვა წელიწადს გიმნაზიაში კაცს რალას აკარგვინებენ დროსა, ასოების დახატვა ასწავლონ ღრამატიკისა და სიტყვიერების მაგივრად. ეს უფრო გამოსადეგი იქნე-

ბა. — ვაი შენი ბრალი, მთელი ბუნების შემაგინებელი, შემარცხენელი ადამიანობა და ტიელი, შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი, გთხოვს პირდაპირ, იქნება ერთი რამე ადგილი უბოძო. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ თითო საათობით ბალკონში აცდევინებ და მერე, როცა მოგაგონდება, მაშინ ნახავ? — ასეა, ათასი ვებრძოლო ჩემს თავსა, რომ ბედი არა მაქვს, არა მაქვს!...

ბევრი ძებნისა და წვალების შემდეგ პ. უმიკაშვილმა იმოვნა, როგორც იყო, მცირეჯამაგირიანი ადგილი ვიდაც ტერ-აკოფოვის პანსიონში. ჯამაგირად ეძლეოდა 12 მანეთი თვეში. პანსიონში სამსახური ისე ბევრ დროს და შრომას ძოთხვოდა მისგან, რომ ახალგაზრდა პეტრე აქ დაბინავების შემდეგაც სულიერად უკმაყოფილოა და მუდამ თავის ბედს უჩივის. „რა საძაგელ სიცოცხლეს ვატარებ! — სწერს თვითონ. — ორ თვეზე მეტია, რაც ადგილი ვიმოვნე, მაგრამ რა ყოფნაა ასეთი ყოფნა! თორმეტი მანათის გულისთვის სული უნდა ამოვირთო. დილით საღამომდინ პანსიონში ვზივარ, — გასაკვეთი უნდა გავაკვეთინო; ახლა მე უნდა მივცე გაკვეთილი, — რამდენი ჩიჩინია და რამდენი ხათაბალა... ათასი უსიამოვნება უნდა გამოვიარო თორმეტი მანათის გულისთვის. ზოგჯერ ასეთ გულზე მოვდივარ, რომ გამოსვლა მინდა. ყველა გზა დამეხლართა ქალაქშიაც, სხვაგან ვერ ვიმოვნე ადგილი. ეხლა კი გამოჩნდა, — ერთი საღამოდთან არისო და მეორე თვით სიღნაღშიო... მაგრამ... ქალაქიდან გასვლა ძალიან მეძნ ლება, ოჰ, მეტადრე ოპერის მუსიკის გულსთვის, — ქვეყანაზე ყველას მოკლებული ვარ და ამაში მაინც ვპოვობ ნუგეში“...

დედა-შვილის არსებობა ამ 12 მანეთით შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ ვიგულისხმეთ, რომ პეტრეს მამის მოვალე ცოტ-ცოტას, დროგამოშვებით, იხდიდა ვალში მაშინაც, როდესაც პეტრეს ეს თორმეტმანეთიანი ადგილი ჰქონდა. მაგრამ ქვრივ-ობლის გაჭირვება მაინც დიდი იყო, და პეტრეს დედას სხვა გზა არ ჰქონდა, — ყოველი კაპეიკი ანგარიშიანად უნდა ეხარჯა და ყველაფერში მომჭირნებოდა უნდა გაეწია, სხვათა შორის სანთელში და აგრეთვე სათეატრო ხარჯებში. პეტრესი, რომელსაც თეატრი — როგორც ოპერა, ისე დრამა — გაგიჟებით უყვარდა („მე უთეატროდ ძვედარი ვარ, — სწერს იგი, — ჩემი სიცოცხლე მარტო თეატრშია, იქა ვცოცხლდები... მე თეატრში ვისვენებ გულითა. მხოლოდ ერთი ადგილია მხოლოდ ერთი“). ამის გამო თავისი ჩვილი და მწუხარება ახალგაზრდა პეტრეს ხშირად შეაქვს თავის დღიურში. „მოვეხეტე შინ, ვანბობ იქნება რამ დაწვერომეთქი, მაგრამ მოვდივარ და შინ მეუბნება დედაჩემი: თეატრში ბრძანდებოდით? და მოჰყვა იმის ნომგონის ჩაქოლვასა, რომ ქალაქში არ ჩათესლებულიყვნენ, რომ წირვაზე ვერ მოგვითმენია და თეატრში კი საეშმაკოთ დავდივართ. ცხვირით დამხვდა... გვიან რათ შემოდინხარო. არ ვიცი, სად რა მეშველება. არც კარზე ნუგეში, არც შინ მოსვენება. დავკარგე ენერგია, თუ მქონდა. მაშ რა იქნება; თავის დღეში ყველას მოკლებული ვყოფილვარ, შეიწვენიებული სიცოცხლე მრგებოა ეხლა წერის გუნებაზე ვარ, მაგრამ ავერ საცაა დედა წამოაძახებს: დოვლათი მოგმატებია, დასწვი სანთელი, დასწვიო. დღე კატას უჭამია, რომ დღისით დასწეროვო. სამუდამოდ გაკვეთილი აქვს ეს სიტყვა. ხშირად ვივლიდი თეატრში, მაგრამ შინაური ბაიყუმობისაგან აღარა ვარ. ბარემ შემჭამოს ცხვირით [დედამ]. წუხანდელი არ იყო, — მოვედი (ბიჭიც ეშმაკად წავიდა სოფელში ¹), ფანჯარა ვაკა-

1) არ ვიცი, მოსამსახურე ბიჭუნა ლაპარაკი თუ სხვა ვინმე ბიჭზე. პეტრე და მისი დედა იმ პერიოდში ისე ღარიბად ცხოვრობდნენ, რომ მოსამსახურე ბიჭის დაჭერა ვერ უნდა შესძლებოდათ.

ქუნე, ვერ გაიგო დედამ; კაკუნშიაც ერთი მინა გავტეხე და ისე შემოვედი... ახლამ შუშის დავა ნახე... ამაოება! ამაოება!”

რამდენიმე თვის შემდეგ პეტრემ ტერ-აკოფოვის პანსიონში მეთვალყურე მასწავლებლის თანამდებობაა თავი დაანება, მაგრამ პანსიონის მეპატრონემ მალე ისევ მიიწვია მარტო ქართული ენის მასწავლებლად. კვირეში უნდა მიეცა ორი გაკვეთილი, და გასამრჯელოდ ეძლეოდა გაკვეთილში ერთი მანეთი, ე. ი. თვეში სულ 8 მანეთი. გარდა ამისა, ამ ხანებში მან იშოვნა ერთი კერძო გაკვეთილიც, რომელშიაც 10 მახეთს აძლევდნენ. ამგვარად, მისი თვიური შემოსავალი ავიდა 18 მანეთზე. ახალგაზრდა პეტრე ამით ცოტა გახარებული კი არ არის. „გროშის ნატრული ვარ რა ვქნა; ახლა ვალი ავიღეთ ორ თუმნამდის, ხუთის ამას წინათა. მადლობა ღმერთს, ეს ორიოდე ადგილი გამამიჩნდა... თვეში 18 მანეთს ვიღებ. ჯობე სულ ცარიელი მაქვს. თეატრში მინდა წასვლა, — ფული არა მაქვს. — „ცისკარი“ მამდის და ნისიათ ავიღე, 7 მანათი კერესელიძეს [„ცისკრის“ რედაქტორს] უნდა მივცე, სამიც სახლისა მმართვეს, — ამ ვალებსაც გადავიხდი“.

იმავე ხანებში პეტრემ მიიღო ქართული ენის მასწავლებლობა აგრეთვე წერაკითხვის სკოლაში, რომელიც ბატონიშვილის ერეკლეს თაოსნობით დაარსდა ტფილისში. გარდა ამისა, იშოვა კერძო გაკვეთილებიც. ამგვარად, მუდმივი შრომითა და გარჯით იგი ტერ-აკოფოვის პანსიონის გარეთაც ახერხებდა ორიოდე გროშის შოპოვებას.

ამ პირობებში ცნოვრობდა იგი გიმნაზიის დასრულების შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში, ე. ი. 1864 წლამდე.

სამწუხაროდ, არ მომეპოვება წერილობითი მასალა პეტრეს ჭაბუკობის დროისა, — ვინ იყვნენ მისი ახლობელი ამხანაგები, მეგობრები, ვის ჰქონდა, საზოგადოებრივი მიღრეკილების გაღვივების მხრივ, გავლენა მისი წასიათის შემუშავებაზე, შამუღიშვილის გრძობის ჩანერგვასა და განმტკიცებაზე. მაგრამ — ეს იყო ხანა, როდესაც რუსეთის სამოციანი წლების იდეური მოძრაობა ჩვენშიც ვრცელდებოდა, — არ შეკრებოდა, თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთი ამხანაგები მას უეჭველად ჰყავდა, ვინაიდან მას იმდროინდელ შენიშვნებში, რომლებსაც იგი მხოლოდ თავისთვის სწერდა, მაშასადამე, იქ გულწრფელობაში ეტვი ვერ შეიტანება, გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც ამტკიცებს, რომ 20 — 21 წლის პეტრეს უკვე აქვს გაღვივებული საზოგადოებრივი გრძობა, აქვს სიყვარული ქართული მწერლობისა, — ახალის და ძველისაც, — და სურს მას ემსახუროს. — უკვე იწყებს იგი თავიანთი წვლილის შეტანას მწურობაში, მონაწილეობს ქართული წარმოგენების გამართვაში, აგროვებს წინანდელი მწერლებს ნაწერებს, ადგენს გეგმებს მათი დაბეჭდვისათვის, აქტიურად მოქმედებს ამ მიზნით მოსწავლე ახალგაზრდობაშიც.

მაგალითად, 1861 წ. 3 თებ.: „ამ საღამოზე შევეყარე ოთხი ყმაწვილი გიმნაზიიდან, მოვილაპარაკეთ და შევადგინეთ პატარა საზოგადოება. კვირაში ერთხელ შევიკრიბებით და ქართულ წიგნებს ვიკითხავთ, ვილაპარაკებთ და ნაწერებს გავარჩევთ... ერთიც უეჭველად მოგვემატება შენდგომში. ვინ იცის, კვირა და კვირა მოგვემატნენ. ჩემი ცდა ის იქნება, რომ პირველად ენაში ცოტაოდენი გაკეთდენ, მამულის სიყვარული ჩავუარდეთ გულში და შრომობდენ. ღვთით იმედი მაქვს. ამას გარდა სემინარიაშიც ფეხის შედგმა მინდა. ღმერთო შენით. დღეის სწორს შევიკრიბებით და „ვეფხვის ტყაოსნის“ კითხვას ვაპირებთ. ამას გარდა ვთხოვე, რომ რუსულითგან რამ გადმოსთარგმნონ“.

1860 წ. 25 ოქტ.: „...ერთის სიტყვით, როგორც მგონია, ჯერ წერის მეტ საქმით საქართველოს ვერ შევეწევი, ჯერ უნდა განვისწავლო ქართული ენა“. 3 ივნ.: „იქნება ასე მოვკვდე?.. ოჰ, ღმერთმა ნუ ინებოს, მე ბევრი რამა მაქვს ასასრულებელი“. 6 ენკენ.: „წირეულს 12 ქართველი შესულა [უნცივერსიტეტში]... ნეტავი როგორც ბევრნი არიან, ისეც ბევრი შეიძინონ სიკეთე, რომ მამულს გამოადგინონ“— 31 დეკ.: „შარშან ამ დროს მთაზე გავაცილე ძველი წელიწადი და ახალს დავეზღვი... ლხინივით მაგონდება მაშინდელი მგზავრობა, მთაზე რომ მივდიოდი ღულუნით, რომ გულიანად ვლოცულობდი საქართველოსთვის“... 1861 წ. 1 იანვ.: „მაგრამ რა უნდა ვთქვათ, რომ თავიანთ თავს თუ არ არიან რუსები, ჩვენთვის რა უნდა გააჩინონ და გააკეთონ. კიდევ იქელი მამულიშვილებზეა. თუმცა კი ჯერ ცოტანი არიან მამულის სიკეთისათვის მზათა. განათლება ჩვენთვის საჭირო, სახალხო განათლება“.

გიმნაზიელ პეტრეს, ყოველ შემთხვევაში გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უკვე აქვს კავშირი და დამოკიდებულება „ცისკარს“ რედაქციასთან. 1860 წ. დეკემბერში „ცისკარში“ იბეჭდება მისი პირველი ნაშრომი, — კარამზინის წერილის („Что нужно автору?“) თარგმანი: „მწერალს რა ეჭირება?“ (მთარგმნელის ინიციალებით: „პ. უ.“). იგი უკვე იცნობს ი. კოეესელიძეს, „ცისკრის“ რედაქტორს, რომელთანაც მსვლელობა აქვს და რომელსაც — ეს საყურადღებოა — სრულიადაც არ უცქერის, როგორც იტყვიან, ქვემოდან ზემოთ, არამედ მას კრიტიკულად ეპყრობა და შეფასებას აძლევს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პეტრე იმ დროს უკვე ვერა მაშინდელი ინტელექტუალის წრეში, იცნობდა სტუდენტობას, ილია ჭავჭავაძეს და სხვებს (1863 წელს ერთხანს „საქ. რაფელის მოამბეშიც“ იყო კორექტორად) და, მაშასადამე, ჰქონდა შესაძლებლობა შედარებისა და განსჯის. თვითონაც ამბობს ერთ თავის წერილში („მოამბე“, 1900, 1, „ქართ. თეატრი და ლიტერატურა“): „ცხოვრებას მოჰბერა ახალმა ქროლამ, ბატონყმობის გადავარდნის დრო დადგა და შეარყია მთელი ჩვენი არსება ახალის ცხოვრებისათვის... ახალის ღონით, უმეტესის კრიტიკულის მხედველობით „ცისკარს“ შემოერია იმ დროს მოსწავლე თაობა, ჩვენი სტუდენტობა“... ჰო და, კერესელიძე — მაინც, რაც უნდა იყოს, მაშინდელი ქართული ჟურნალის რედაქტორი — მას, გიმნაზიაში ახლად კურსდასრულებულ ყმაწვილ კაცს, სრულიადაც არ ეჩვენება ავტორიტეტად, ვინაიდან იგი მის შესახებ სწერს თავის რეფულში (1860 წ. 8 ივნ.): „ამ საღამოზე კერესელიძესთან წავიყვანე ღოდობერიძე და ლორთქიფანიძე... კერესელიძე ხომ საწყალი კაცია, მაგრამ მაინც სულ არაფერს ხომა სჯობია“... მოიპოვება პ. უმიკაშვილის დაუბეჭდავ ხელნაწერი 1861 წ. 27 ივნისის თარიღით (საქართველოს მუზეუმში), სადაც იგი ექთმავება ილია ჭავჭავაძეს და მის კრიტიკულ წერილს, მის ლექსებსა და ენას, ხოლო იწუნებს „ცისკრის“ რედაქტორისა და მის თანამშრომელთა როგორც ენას, ისე აზრსაც.

იმავე ხანებში, 22 წლის პეტრე ადგენს ძველი წიგნების გამოცემის გეგმას. პირველ რიგში მას უნდა გამოსცეს „დავითიანი“, და აზრად აქვს წინასწარი ხელისმომწერით შეაგროვოს გამოცემისთვის საჭირო ფული. 1860 წ. 8 ივნ.: კერესელიძეს „ფიქრში აქვს, როგორც თვითონა თქვა, ძველებური წიგნები დაბეჭდოს. მაგრამ ღონისძიება არა აქვს. რა უყოს. ჩემი მომავალი ერთი სურვილიც ეს არის. ერთი სტამბა გაიმართოს, რომ რაც ძველი წიგნებია და რაც ახალი, დაიბეჭდოს“— 30 ენკენ.: „კერესელიძესთან... მოვილაპარაკე ჩემ განზრახვაზე ძველის წიგნების დასაბეჭდავად საზოგადოს ხარჯითა, რომელსაც მე მოვავროვებ. ვაპირობ, ვნახოთ

რა] მოგროვდება. ერთი წიგნი რომ დაიბეჭდოს, მეორეც მოჰყვება. მაგრამ ფულებს კერესელიძეს არ ვანდობ, თორემ შეშკამს“. კერესელიძემ სთხოვა, რახან ამ ფულის მოგროვებას შეუდგები, „ცისკრის“ სიაც დაიჭირე და ხელისმომწერლები შომიგროვეო, — „ბიქს არ ეპოებიანო. მე პირობა მივეცი. თუმცა ფიქრად არა მქონდა რა, გასამრჯელოდ თითო ხელისმომწერზე ათი შაური დამპირდა. თუ საკმაო ხელისმომწერი ვიშოვნე, ხომ რა კარგი. თუ შარშანდელი რიცხვი დარჩა და გროშს არ ავიღებ. ჩვენი საჭიროებაა, რომ უნდა ლიტერატურას შევეწიოთ“.

მაგრამ პეტრეს იმედები არ გამართლდა, — ხელისმომწერლები ვერ იშოვნა; ვის თანაც მიდიოდა სიით, უარს ეუბნებოდნენ. 23 ღვინობ.: „სიების ტარებას მოგყევ. მაგრამ მგონია, „ცისკრის“ სიამ კი საქმე წამიხდინა. ჩამაცივდა კერესელიძე: შავიტანე ორივე სია, „ცისკრისა“ და წიგნისა, ერეკლესთან, გრ. დადიანთან, დიმიტრი ორბელიანთან, ქართველების წარმომადგენლებთან. პირველმა უარი მითხრა, — მე არ გიცნობო, ვინა ხარო. „ცისკრისგან“ ხელი ამიღიაო. ორჯერ-სამჯერ მკითხა, ვინა ხარო. ჩემი სახელი არ ვუთხარი; რომ მეთქვა, — რას მიცნობს, და სულერთი იქნებოდა. საშინლად გულნაკლული და შეურაცხებულ მგონა ჩემი თავი. მთელ დღეს საშინლად ვიყავი აშფოთებული, გამწარებული“... „...„ცისკრის“ სიას თავი დავანებე და წიგნისას კი ვატარებ. ვნახოთ, რა მოგროვდება. ჯერ კი 20 მან. არ არის, დასაბეჭდად კი 200 მანეთია საჭირო“... — „ძველი წიგნების ბეჭდის სიის ტარება თითქმის აღარ მინდა, არა გამოვა რა. ხელისმომწერი იმდენი სად ვიშოვნო, რომ 200 მან. მოგროვდეს!“...

კარამზინის წერილის თარგმანს გარდა, პ. უმიკაშვილის ახალგაზრდობის ნაშრომს შეადგენდა „ანბანი“, რომელიც მან 1864 წელს დაბეჭდა. ეს იყო პირველი შაურიანი წიგნი ქართულ ენაზე; იგი სწრაფად გავრცელდა და მოკლე ხანში, 1865 და 1866 წ., კიდევ ორჯერ დაიბეჭდა.

1864 წელს პეტრეს შეუსრულდა, რასაც დიდი ხნიდან ნატრობდა; ის უმაღლეს სასწავლებელში შევიდა. ცოტაოდენი ფული ისესხა ნათესავებისგან და პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. იქ დარჩა შემოდგომამდის 1867 წლისა.

სტუდენტობის დროს ძალიან გატაცებული იყო მაშინდელი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოძრაობით, გულმოდგინედ კითხულობდა ჩერნიშევსკის, პისარევის და სხვა მოწინავე მწერალთა ნაწერებს, განსაკუთრებით მოხიბლული იყო ყურნ. „Современник“-ით (ამ ყურნალის სრული კოლექცია შემდგომ, ტფილისში, მისგან შეიძინა გიორგი თუმანიშვილმა). ეცნობოდა აგრეთვე ქართული მწერლობის ძეგლებს, რომლებსაც ეძებდა და ნახულობდა ბიბლიოთეკაში და რუსეთს გადასახლებულ ქართველთა გვარეულობაში. ზოგი ქართული ხელნაწერი იქ შეიძინა კიდევ. გარდა ამისა, სტუდენტობის დროს მან დაბეჭდა ტფილისში ერთი წიგნიც (1866 წ.): „ძველი ხალხების ცხოვრება. ინდოელები და ეგვიპტელები. 1 წიგნი“.

უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე მან ჩააბარა გამოცდა ქართული ენის მასწავლებლისა (იმ დროებში ქართული ენის მასწავლებლობისთვის უნივერსიტეტის მოწმობა იყო საჭირო). 1867 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა ტფილისში და შემდეგი წლიდან დაინიშნა ქართული ენის შტატის მასწავლებლად პირველ გიმნაზიაში. იმ დროს გიმნაზიის ყველა კლასში ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლებოდა. ეს წესი შეიცვალა 1874 წელს, როდესაც ქართული ენა „არასავალდებულო საგნად“ იქნა გამოცხადებული და განიდევნა საგიმნაზიო პროგრამიდან.

რამიდან. ქართული ენის მასწავლებელსაც ჯამაგირი გაუნახვერეს. აწ დროიდან დაწყებული ქართულ ენას ასწავლიდნენ მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში, ხოლო უმაღლეს კლასებში — მაშინ, თუ მშობლები და მოწაფეები მოისურვებდნენ. და პეტრე უმიკაშვილი, უკვე მოზუცებაში შესული, გულის ტკივილით მოიგონებდა ხოლმე იმ ქართველ მშობლებს და მოწაფეებს, რომელთაც, რაზან ქართული ენა სავალდებულო აღარ იყო, არ სურდათ ქართულის სწავლა და მას წვრილობით თუ სიტყვიერად უტყბადებდნენ: ქართულს მერეც მოვესწრებითო.

გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა დიდძალი უმრავლესობა მაშინ თავადაზნაურთა შვილებისგან შესდგებოდა. ბევრი მათგანი ოჯახშივე გადაჩვეული იყო ქართულს და ბევრ ქართულ ბგერას ვერ ამბობდა და ვერც სწერდა. მაგალითად, მაშინდელი მოწაფის ამილახვრის რვეულში ვხედავ, რომ დამწერს ვერ დაუძღვია: „წ“, „ძ“, „ჭ“ და სხვ. და სწერს; „ცავიდა კალაკში“, „ჩამა“ და სხვ. ამიტომ მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა გულყსხეთა უნდა ჰქონებოდა ამის გამო პ. უმიკაშვილს.

ტყუილად როდი აქვს მას თავის პიესაში („სამხადისი“) ასეთი დიალოგი შეტანილი:

მ ი ხ ე ი ლ: (პიესის რეპეტიციასზე): ზუ, რა სკუჩნობაა ამ სოფელში... ნეტავი კალაკში მაინც ვიდგეტ.

რ ე ვ ა ზ: იტ, აფერუმ! ხა... ხა., ხა... მთელი მაყურებელი ხალხი აღტაცებაში მოვა! ხა... ხა. ხა!

მ ი ხ ე ი ლ: А что разве что не так?

გ ი ო რ გ ი: Ну черт тебя возьми!.. Какой там калакши?.. რა ღვთის წყრომაა, დუშელი კაცი ქართულს სად გადაეჩვიე?

პ. უმიკაშვილი ქართულ ენას ასწავლიდა გიმნაზიაში სრული 25 წლის განმავლობაში, 1868 წლიდან 1893 წლის შემოდგომამდე. მას ჰქონდა აგრეთვე ქართული ენის გაკვეთილები ქალთა ინსტიტუტში. 25 წელიწადს ეწეოდა იგი ამ უმაღურ შრომას, ასწავლიდა მაშინ ყველასაგან მოძულეებულ ქართულ ენას. მისი ჯამაგირი იყო გიმნაზიაში 33 მ. და 33 კ. თვიში ¹⁾ და — როდესაც ინსტიტუტშიც მიიღო ქართული ენის მასწავლებლობა — იმდენივე აქაც. ამ სამსახურს არ მოუპოვებია მისთვის არც „ჩინები“ და არც პენსია. იგი, როგორც „არასავალდებულო საგნის მასწავლებელი“, უპენსიოდ გაისტუმრეს გიმნაზიიდან. ბევრი თხოვნა სწერა პეტრემ ამის გამო სამოსწავლო ოლქის მხრუნველს და სწავლა-განათლების სამინისტროს, მაგრამ დედლიანოვის სამინისტრომ მის თხოვნა-შუამდგომლობასეცივი უარი უთხრა. მიმართა თხოვნით იმპერატორცა მარიამ ფეოდროვნასაც, რომლის უწყებაშიაც ქალთა ინსტიტუტი შედიოდა, მაგრამ აქაც უარი მიიღო.

1) მის ქალაღებში არის მისი მინდობილობა მასწავლებლის ოქროპირ ხეცუ-რიანის სახელზე, სადაც იგი სთხოვს ამ უკანასკნელს: აიღოს გიმნაზიაში მის მაგისტრ მისი კუთვნილი თვიური ჯამაგირი 33 მან. და 33 კაპ.

II

როგორც აღვნიშე, პ. უმიკაშვილი სტუდენტობამდე და სტუდენტობის დროსაც იღებდა მონაწილეობას ქართულ მწერლობაში. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ იგი რეგულარულად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, და ეს თანამშრომლობა მას არ დაუგდია სიკვდილამდე. 1867 წლიდან წერილებს ბეჭდევდა, ზოგს საკუთარი სახელით, ზოგს პსევდონიმებით („ანჩისხატელი“, „მ. პეტრიძე“), ზოგსაც ინიციალებით („პ. უ.“, „პ.“), ჟურნალ-გაზეთებში: „დროებაში“, გ. წერეთლის „კრებულში“, „სასოფლო გაზეთში“, ჟურნალ და გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“ (პირველ ხანებში), ჟურნ. „მოამბეში“ და გაზ. „ცნობის ფურცელში“. „მოამბეშივე“ იყო დაბეჭდილი (1899 წ., X და XI) მოთხრობა „ლახარილი ტორმესელი“ (თარგმანი), რომელიც 1900 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ¹⁾. ერთი მისი წერილი (უკანასკნელი, ქართ. მწერლობის შესახებ) ვალ. გუნიას 1904 წლის „საქართველოს კალენდარშიც“ არის დაბეჭდილი. „სასოფლო გაზეთი“ 1873 წელს გ. წერეთელმა გადასცა მას, და 1874 წლიდან 1880 წლამდე მისი რედაქტორობით გამოდიოდა. ამ წელს პ. უმიკაშვილი იძულებული გახდა ეს გაზეთი მოესპო, რადგან ხელისმომწერლები ცოტა ჰყავდა და თვითონ კი საჭირო სახსარი არა ჰქონდა. „სამი წელიწადი, — სწერს იგი, — ვაწოწიალებდი 1878 წლიდამ, ეგებ გახდეს რაიმე მეთქი და, რაკი ვერა იქნა რა, მოვსპე... მგზავრობის დროს ან თვით ქალაქში საკუთრად ჩემთან რედაქციაში მოსულ გლეხებისგანაც მესმოდა [გაზეთის მოწონება], ჩემი ჯილდოც ეს იყო... თანამშრომელი კი არავინ მყავდა. პირიქით, დამცინოდნენ და კორგებით ოხუნჯობდნენ. მაშინ სოფლებში კორესპონდენტები გავიხინე, და ზოგნი დღესაც სწერენ. ეს მხოლოდ მიწერმოწერით ან სოფლებში ვავლით და ყოფნით მოხერხდა. ძნელად ვბედავდი „სასოფლო გაზეთის“ მიღებას; მოსპობა უფრო გამიძნელდა და განიშვარდა, მაგრამ არავითარი ღონე არ იყო“ ²⁾.

რადგან მე ამ წერილში პ. უმიკაშვილის ნაწერების კრიტიკულ გარჩევან განხილვას არ ვიძლევი (ამას ცალკე ნარკვევი ექნება მიძღვნილი), არამედ მართოდ ვთხოვ ბიოგრაფიულ მიმოხილვას, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი სა-ჟურნალ-გაზეთო წერილებისა და ფელეტონების საგანი იყო მწერლობა, მწიგნობრობის საქმე, თეატრი, სახალხო სწავლა-განათლება, სკოლები, ქართული ენა. სასოფლო მმართველობა, სასოფლო ბანკები, სურათები (სცენები) ტფილისის ცხოვრებისა, სურათები სოფლის ცხოვრებისა (ფელეტონებში), წერილები მაჭმადიან საქართველოზე, წერილები სომეხთა მწერლობასა და ცხოვრებაზე და სხვა. „ჩემი სურვილი იყო, — სწერს იგი, — დაეხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღვიძებას, აღმეძრა მასში ჭეშმარიტების სიყვარული, კაცობრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმცნობელობა, თვითმოქმედება და საზოგადოდ მოქმედება ქვეყნისა და ერის წარმატებისათვის“ ³⁾. და უმატებს მეორე ადგილას:

1) ამ მოთხრობის მეორე გამოცემა გამოვიდა 1933 წელს.

2) ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904 წ. № 123.

3) იქვე.

„პოლემიკას არ მივდევდი და ჩვენებური პოლემიკა მძულდა და მოპოლემიკებთან შინაურულად, და არა წერით, მიჩნუბნია. თუ მომიხდებოდა, ვცდილობდი სრულებით არ შევხებოდი რომელიმე გადაკრული სიტყვით“.

და ეს მართალი არის. კერძო წერილებშიც ხშირად აქვს ეს აზრი გამოთქმული. „ივერიის“ პოლემიკა „Новое обозрение“-სთან არ მომწონს, — მწერდა 1898 წ. — ... ქართველობა სულ გადარეულია, აქაურობა „კავკაზ“-ის და „ივერიის“ მომხრეა... რომ ვებასები, ვილანძლები, და მრუდედ დამიწყეს ცქერა-მაგრამ ვგონებ ცოტა შეფიქრებაც მოუხდათ, მე ხომ საფერი არაფერი მაქვს, რაც შევარებია, კიდევ მიყვარს, და ცილს ვერ დამწამებენ“. მეორე წერილში კიდევ (1900 წ.): „წაიკითხავდი გაზეთებში გიორგი წერეთლის გარდაცვალებას. წერეთელი მიყვარდა, როგორც ქვეყნისთვის მზრუნველი კაცი, მაგრამ არ მიყვარდა მისი პოლემიკა, როგორც ნიკოლაძისა, ხონელისა და სხვებისა, თუნდა ზოგი [ილია] ჭავჭავაძისა, პირად მტრობასავით გამოსახული; არ ვეთანხმებოდი ზოგ მის აზრებს, მაგრამ თავიდანვე მასთან ვმუშაობდი და ეს მუშაობის დრო სიამოვნებით მაგონდება“...

მართალია ისიც, პ. უმიკაშვილი რომ ამბობს, სოფელში კორესპონდენტები გაღიჩინეთ. „სასოფლო გაზეთის“ გამოცემასთან დაკავშირებით იგი ცდილობდა დაახლოვებოდა სოფლის ხალხს, ეშოვნა თანამგძნობნი, გაზეთისათვის ცნობების მიმწოდებელნი და ხალხში გაზეთის გამერცელებელნი. განსაკუთრებით ცდილობდა გაეცნობოდა სოფელში შემნახველ-გამსესხებელი სალაროები, და ამისთვის აწარმოებდა დიდ მიწერ-მოწერას თავის კორესპონდენტებთან, გზავნიდა სოფელში წესდებს, სათანადო დავთრებს და ინსტრუქციებს. ზაფხულიებით, როდესაც სასკოლო არდადეგები დაუდგებოდა, მოგზაურობდა სოფლებში, ეცნობოდა იქ ხალხის ცხოვრებას და იძენდა ნაცნობ-მეგობრებს. ეს მეგობრები იყო სულ დაბიო ხალხი. მათი მეგობრობა მას დიდად ახარებდა, თუმცა ცოტა ჯაფას კი არ უჩენდა, არც ცოტა ხარჯს, რომელიც საკმაოდ საგრძნობი იყო მისი მჭლე ბიუჯეტისათვის. სახელდობრ: ეს მეგობრები მას მუდამ სთხრვდნენ წიგნებსა და გაზეთებს. და პეტრე აუარებელ დროს ანდომებდა ამ წიგნების და გაზეთების სხვადასხვა ადგილებში გზავნას. ამ გზით იყო, რომ მან აქა-იქ აგენტებიც გაიჩინა ხალხში წიგნების გასასაღებლად. მისი სოფლელი მეგობრებისაგან მრავალთმრავალი მადლობის წერილი მოსდიოდა, რასაც იგი, როგორც თვითონ ამბობს, თავის „ჯილდოდ“ სთვლიდა. აღვნიშნავ აქ, მაგალითისთვის, გრემისხვევლი გლეხის, ბრმა ალექსი გოძიაშვილის მადლობას, რომელიც ლექსად არის პ. უმიკაშვილის სახელზე დაწერილი (1878 წ.):

გაზეთები მოგვივივდა ოცდახუთსა თებერვალსა
 თქვენგან, მოწყალე ბატონო, ჩვენთვის რომ ზრუნავთ კარგსა.
 თქვენი ტკბილი დარიგება ერთობ მოეფინა ერსა,
 ამ წუთისოფლის აწბავი თქვენგან ვისწავლევით ჩვენცა.
 მხნეობით გარჯილობაზედ გვაქეზებთ, გვიმართავთ ხელსა,
 ყველაფერიც სწავლით გახლამთ, ხომ მოგეხსენებათ თქვენცა,
 საზოგადოს ნებადართვით ამას მოგახსენებთ შეცა,
 რამდენსაც წირვას მოვისმენთ, მუდამ შეგავედრებთ ღმერთსა.

თურქეთთან ომის შემდეგ ბათუმის მხარე შემოუერთდა რუსეთს. რუსეთის მთავრობის დამყარების გამო ხალხმა იწყო თურქეთში გადასახლება. პ. უმიკა-

შვილი გაემგზავრა აჭარაში ხალხის შესაყენებლად და მისი მდგომარეობის გასაცნობად. იქაც ბევრი ნაცნობი გაიჩინა, რომელთაგან ზოგიერთებს შემდეგ ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ მასთან. დაცული წერილებიდან ვხედავთ, რომ ასეთი ხშირი მიწერ-მოწერა აქვს, მაგალითად, ვინმე შაქირ ვფენდი მიქელაძეს, რომლისთვისაც პ. უმიკაშვილს ქართული წერა-კითხვა უსწავლებია აჭარაში. ეს მიქელაძე ხშირად სთხოვს მას გახეთს და წიგნებსაც თავისთვის და ხალხში დასარიგებლად. და პ. უმიკაშვილი მას უგზავნის ნათხოვნს და წერილებსაც, და თან ამ წერილებს განგებ ისე მსხვილი ასოებით სწერს, როგორც მოწაფე, რომ მისი წაკითხვა მიმღებს არ გაუძნელდეს. „თუ მართლა გნებავთ ქართული წიგნი, — სწერს იგი ერთ წერილში, — დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით, რაც შემეძლება. გახეთიც გამოდის ქართულად და წიგნებიც ბევრი იბეჭდება ტფილისში. სასიამოვნო იქნება, რომ აქედან გასულმა გურჯებმა თავისი ენა არ დაივიწყონ და წიგნი იცოდნენ. მე ამ წიგნს დიდროვან ასოებით გწერთ. მეშინია, იქნება ესეც ვერ წაიკითხოს და გაუჭირდესო, — ფიქრობ, — ამიტომ თათრულათაც ვაწერინებ ჩემს ნაცნობსა“.

სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს პ. უმიკაშვილი ცდილობდა: რჯახებში მოეკითხა, გაეცნო და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მოეპოვა ქართული ხელნაწერი წიგნები და საისტორიო მასალები. ამიტომ იგი მოგზაურობის წინ აღიჭურვებოდა ხოლმე ვინმე გვაროვანი პირის რეკომენდაციით. მაგალითად, ერთ ამგვარ „რეკომენდაციაში“, რომელიც მისთვის მიუცია თავ. ნ. დიასამიძეს (1880 წ.), ვკითხულობთ: „საყვარელო დაო მაიკო.¹⁾ ამ წიგნის მამტანი არის ჩვენი ქართული ენის გამამშვენებელი და მცდელი, რომ დაწინაურდეს. ამასთანავე ცდილობს ძველი წიგნების პოვნას. სახელი და გვარი მისი: პეტრე უმიკაშვილი. რაიცა შეიძლება დღეს, შემწეობა გაუწიეთ. თუ ძველი წიგნები გქონდეთ, მიეცით, — გასინჯავს, ისევ მოგიტანს, ჩემი კარგი ნაცნობია“. ამგვარად და სხვა გზითაც მოგროვილი ხელნაწერი წიგნები და მასალები, რიცხვით დაახლოებით 80 ნომრამდე, რომლებშიაც ერთი იშვიათი და ერთადერთი ეგზემპლარები გამოჩენილ მწერალთა და მეფობის მოღვაწეთა, პ. უმიკაშვილმა შემდეგში (თავის სიცოცხლეშივე) შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.

გარდა ამისა, ასეთი მოგზაურობის დროს პ. უმიკაშვილი აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. აგრეთვე აგროვებდა თავისი მოწაფეების და ნაცნობების საშუალებითაც. ამგვარად მას თანდათან მოუგროვდა კარგა დიდი მასალა ხალხური სიტყვიერებისა, როგორც მის მიერ შეკრებილი, ისე მის ნაცნობ-მეგობრებისაგან მოგზავნილი. ამ მასალიდან „ანდაზები“ (1876 წ.) და „სახალხო ლექსების“ პატარა კრებული კიდევ დაბეჭდა. მაგრამ უდიდესი ნაწილი მაინც გამოუცემელი დარჩა. მის ქალაქებში ვნახე შენიშვნა სამახსოვროდ (1903 წ.), სადაც უწერია, რომ „მომავალ წელს უნდა შევუდგე სახალხო სიტყვიერების გამოცემასო“. მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა და სწორედ „მომავალ წელს“ იმსხვერპლა. სიკვდილის წინ მან მე მომანდო ამ მასალის გამოცემა. მრცხვენია იმის მოგონება, რასაც ამის გამო ვწერდი 30 წლის წინათ: „ვიმედოვნებ, რომ მოკლე ხანში შევძლებ მის დალაგებას და ერთად გამოცემას“ მეთქი. ის „მოკლე ხანი“ ოცდათორმეტ წელიწადად გადაიქცა, — აღნიშნული მასალა მხოლოდ დღეს იბეჭდება. თუმცა ამ დაგვიანებას ბევრი მიზეზი — იქნებ საპატიოც — ჰქონდა, მე მაინც — ვიცი — ვერავითარი მიზეზი ვერ გამამართლებს: ეს საქმე მე დღეს კი არა, ათეული წლების წინათ უნდა შემესრულებია, — ყოველ მიზეზს გარეშე.

¹⁾ დამწერი მიმართავს მარიამ დავითის ასულს გურამიშვილს.

ხალხური სიტყვიერების მასალის მოგროვებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა სახალხო წიგნაკების შედგენისათვის და მით ხალხში წერა-კითხვის გავრცელებისათვის. „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორობის დროს მან გამოსცა (სტეფანე ზარაფოვის გამოცემლობაში) „სიბრძნე-სიცრუის“ რჩეული იგავ-არაკები და მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ბროშურა „ყვავილის აცრაზე“, აგრეთვე (1878 წ.) „დედანი ქართული წერისა“ (პირველი ქართული დედანი იყო). გარდა ამისა, მან გამოსცა რამდენიმე წიგნაკი, რომლის შინაარსი უკვე ხალხში გავრცელებული თქმულებიდან იყო აღებული. „რადგანაც, — სწერს იგი, — ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, უსკოლობის გამო, გაძნელებული იყო, წვრილი წიგნების ბეჭდვას ვეზმარებოდი. ხელნაწერებს ადრიდანვე ვკრებდი. ამ ხელნაწერებს ყურადღება მივაქციე, ზოგი ისეთი აღმოჩნდა, რომელშიაც ემჩნეოდა შეუჩვენელების ხელით ნაწერობა და ერთი და იგივე ამბავი ათ-ათხუთმეტ სხვადასხვა წიგნში ერთი და იგივე იყო. ამ ამბავმა ჩამაგონა: ეს ამბები გავრცელებულია სიტყვიერად და დაბეჭდილიც მალე გავრცელდება მეტში“. ამ მიზნით მან სხვადასხვა ვარიანტების შედარების საფუძველზე იწყა წიგნაკების შედგენა და 1874-1877 წლებში არსენ კალანდაძის სტამბას დააბეჭდვინა: 1) „არსენას ლექსი“, 2) „ბეჟანიანი“, 3) „ალექსიანი“, 4) „ქალვაყიანი“ და 5) „ვარდულებიანი“. „უკეთესი იქნებოდა, რასაკვირველია, — სწერს თვითონ პ. უმიკაშვილი, — მომეტებულ შინაარსიან თხზულებათა გამოცემა, მაგრამ მრავალი რამ დაბრკოლება დღევანდლამდე არ აგვიშორებია: მომზადება, ცოდნა და ძალა მწერლებისა, ცოდნა ხალხის გემოვნებისა, ნივთიერი ხელმოკლეობა და სხვანი და სხვანი... ხელნაწერების გასასინჯავად და ტექსტის აღსადგენად ზოგისა ათი-თორმეტი ვარიანტი უნდა შემეთანხმებინა... გამოვიდა თუ არა, ძალიან გავრცელდა ხალხში... ხსენებულ წვრილ მოთხრობებში ისეთი ამბები იყო, რომ ხალხი სიყვარულით და სიამოვნებით კითხულობდა და კითხულობს. ისეთი რაღაც, ჩანს, ყოფილა იმ ამბებში, რომ ხალხს რაღაცა თავის სულის საზრდოდ ეგულება. და ეს ამბები არამც თუ ჩვენშია, — სხვა ხალხშიაც არის თურმე იმგვარადვე მიჩნეული. მაგალითად, გეტეს თხზულებათა შორის გვხვდება „ალექსიანის“ ამბავი (იხ. VIII ტომი. გერბელის გამოც. 1879 წ., „წერილები შვეიცარიიდან“, გვ. 449)... მე მიხაროდა, რომ დაიძრა სურვილი წიგნაკების გამოცემის და ხალხში ყიდვის, ე. ი. კითხვის ხალისი, მე მკიცხავდნენ თითქმის ყველანი, ჩვენი მწერლები, სიტყვიერად და ზოგჯერ ბეჭდვითაც. მაგრამ ჩემი პასუხი ეს იყო: „დეე, დაიძრას ეს ნაკადული. ახლად მოვარდნილი წყალი ბევრს ნაგავს მოიტანს, მაგრამ მერე დაწდება და წმინდა სასმელ-საზრდოსაც მოგვცემს“. მე მეუბნებოდნენ, თავიდაცვე წმინდა უნდა მოდიოდესო, და თვითონ თამაშას უყურებდნენ.“¹⁾ და მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ ამ იქნებ დასაწუნი წიგნაკების საშუალებით ჩვენში მრავალთმრავალმა ისწავლა იმ დროში წერა-კითხვა. მე თვითონ ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი მინახავს ამის მაგალითი.

ასე უცქეროდა პ. უმიკაშვილი ამ წიგნაკების გამოცემას და გავრცელებას. რასან წიგნაკებს ხალხში გასავალი ჰქონდა, მათ გამოცემას ხელი მიჰყვეს, უმიკაშვილის დაუკითხავად, სხვა გამომცემლებმა: კალანდაძის გარდა, ახპატელოვმა, მდივანოვმა და ბევრმა სხვამ. თანაც წიგნაკებს, პეტრეს სურვილის წინააღმდეგ, ორ შაურ ფასს ადებდნენ. მოინდომა პ. უმიკაშვილმა თავისი, როგორც შემდგენელის,

1) იხ. პ. უმიკაშვილის ხელნაწერი შენიშვნა „ალექსიანზე“.

უფლების დაცვა, დაადებინა (1887 წ.) წერილობითი პირობა კალანდაძეს, ახპატელის, მგონი მდივანოვსაც, რომ, კერძოდ, „არსენას ლექსი“ მათ მხოლოდ მისი ნებართვით გამოეცათ, თითო გამოცემიდან მისთვის 200 ცალი ჩაებარებოდა და ფასად აუცილებლად შაური დაედვათ. რასაკვირველია, გამოცემაზე ორასი შაური მისთვის არ იყო საინტერესო, ამას იგი არც ეძებდა,¹⁾ მაგრამ მისი უამრავო კორესპონდენტები სოფლებიდან ყოველთვის წიგნებს სთხოვდნენ, და მას უნდოდა გასაგზავნი რამ ხელთ ჰქონებოდა. ამასთანავე უნდოდა გამომცემლებს წიგნაკებო არ გაეძვირებიათ. მაგრამ წერილობითი პირობითაც არა გამოვიდა რა, და აღნიშნულ წიგნაკებს ყველა ბეჭდავდა, ვისაც მოეპოვებოდა. ამის გამო მას 1904 წლის დაქდეგს უსიამოვნო ლაპარაკიც მოსვლია სერგეი მდივანოვთან. პ. უმიკაშვილის ქალაქში მოიპოვება ამ უკანასკნელის წერილი იმ უსიამოვნო ლაპარაკის გამო. წერილი ოთხ გვერდზეა გაჭრელებული და თავიდან ბოლომდის ამ კრიმინალურ დაწერილი: რომ მისი დამწერი, ს. მდივანოვი, არის ქრისტიანი, ქრისტეს მოსაგვი, მორწმუნე ქრისტესი, ქრისტეს მცნების ამსრულებელი, იდუმებს ენას ქრისტეს გულისთვის, — ქრისტე და ქრისტე, ერთი სიტყვით ისეა შეთხზული, რომ თუ მდივანოვი ამ კილოთი ელაპარაკა უმიკაშვილს, პეტრეს კი არა, იობსაც გამოიყვანდა მოთმინებიდან.

გარდა ამისა, პ. უმიკაშვილის მოღვაწეობაში მთავარ საგანს შეადგენდა ქართველ მწერალთა — ძველთა და ახალთა — ნაწერების გამოცემა. ის სიყვარული მწერლების გამოცემისა, რომელიც მას, როგორც მოვიხსენიე, უკვე ახალგაზრდობაში უღვივოდა, შერჩა სიბერემდის. ახლანდელ ახალგაზრდობას არ შეუძლია წარმოიდგინოს ის სიღარიბე ქართული გამომცემლობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ 50 — 60 წლის წინათ. არ არსებობდა სრული გამომცემები ცნობილ მწერალთა და პოეტთა ნაწერებისა. პ. უმიკაშვილი, როგორც მასწავლებელი, ახლოს იყო მოხარდ თაობასთან და მწვავედ გრძნობდა ამ ნაკლებობას, რადგან არ შეეძლო ქართველი მწერლების ნაწერები მოწაფეებისათვის მიეცა. ხელში და ამგვარდ ქართული ენის და მწერლობის შესწავლა გაეადვილებია. ამ ნაკლის შესამცირებლად მან, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, დაიწყო ქართველი ავტორების ნაწერების შეგროვება და გამოცემა. ზოგს თავისი ხარჯით ბეჭდავდა, ხოლო უფრო ხშირად თვითონ სარედაქციო შრომას ეწეოდა და წიგნს სხვადასხვა გამომცემლებს აბეჭდვინებდა.

„დიდ საჭიროებად მიმაჩნია, — სწერს იგი 1890 წ. ²⁾, — ქართველი მწერლების გაცნობა. ლიტერატურის ისტორიის ცოდნა თვით ავტორების გაცნობით ყველა განათლებულ ერში, ოჯახში და სკოლაში უეჭველ საჭიროებად ითვლება, — მხოლოდ ჩვენ ჟმეცარ და ვითომ ნასწავლ საზოგადოებაში შეიძლება ამაზე ბაასი. ვინც ერთხელ აყაღმაყალს სტენდა ავტორების გამოცემის საჭიროებაზე, ისინიც კი, როდესაც ხელი მოგვიდევ, დამცინოდნენ და ახლაც დამცინიან ამ სიტყვების

1) „მე ჩემს დღეში არ მიფიქრია, — სწერს იგი (1893წ.) ალ. ნანეიშვილს, — და არც ვფიქრობ, ჩემის ნაწერებისთვის ამელო ფული; ვიცი, რომ ჯერ ამის დღე არა აქვს ჩვენს მწერლობასა“.

2) იხ. აღნიშნული ავტობიოგრაფია.

გამოთქმით: „უმიკაშვილი, ძველი წიგნების მბეჭდავიო“.¹⁾ მაგრამ მე რა მენაღვლება, მოზარდი თაობა სწავლობს და კითხულობს. ეს განზრახვა ამისრულდა ცოტაოდნად“...

მისი რედაქტორობით დაიბეჭდა საბას „სიბრძნე სიცრუისა“ (სრული ტექსტი, 1871 წ.), დ. გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი ნაწილი (1870 წ., გიორგი წერეთელთან და ნიკოლოზ ბერძენოვთან მისი თანარედაქტორობით), გრიგო ორბელიანის ლექსები (1873 წ.), ნიკ. ბარათაშვილის ლექსები (1871 წ., მისი მონაწილეობით), გურამიშვილს „დავითიანი“ (სრული გამოც., 1880 წ.), ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, 1 ნაწ. (1881 წ., მასთან ერთად ილია ჭავჭავაძის და გიორგი თუმანიშვილის რედაქტორობით), „ვისრამიანი“ (1884 წ., მასთან ერთად ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე სარაჯიშვილის რედაქტორობით), „დასტურლამალი“ მეფის ვახტანგისა (1886 წ.), ვახტანგ ორბელიანის ლექსები (1894 წ.). მეტწილად ამ გამოცემებს პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა აქვს დართული.

პ. უმიკაშვილი სწუხდა მხოლოდ, რომ მწერლების თხზულებათა გამოცემის საქმე სასურველი სისწრაფით არ მიდიოდა წინ. იგი სწერს ერთ ადგილას შენიშვნად 1903 წ.: „სამწუხაროა, რომ ავტორების სრულ თხზულებათა გამოცემა ძალიან მძიმედ მიდის და მოსწავლე თაობა და საზოგადოება მოკლებულია ღონისძიებას ქართული მწერლობის შესწავლისათვის, ურომლისოდაც ყოველთვის იკოჭლებენ ჩვენი დროის მწერლები“.

გამოსაცემი ტექსტების გასინჯვას და დასაბეჭდად მომზადებას გასაოცარი კეთილსინდისიერებით ეპყრობოდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რიგინად ყოფილიყო გამოცემული, რისთვისაც იგი, შეიძლება ითქვას, სხვების ნაწერებს მეტის ყურადღებით ეკიდებოდა, ვიდრე თავის საკუთარს. მაგალითად, იგი სწერს ხესტაფონიდან (1894 წ. 25 ივნ.) იაკობ გოგებაშვილს: „ვახტანგ ორბელიანის ლექსების გამოცემისათვის, რაც დასამატი იყო, დაგიბეჭდიათ ჩემს გაუსინჯველად და კორექტურის დაუჭერლად... მე ეს გარემოება მაკვირვებს. ნუ თუ უარყოფა ჩემი უფლებისა ჩემის მეგობრებისაგან უნდა ვნახო... ზემან დადგენილი რიგი შეგიცვლია შენა და არაფერს კი არ მატყობინებ! ეს როგორი საქმეა, სადაურია, რომელ სალიტერატურო შრომაში გაგონილა? მე მწყინს, ძალიან მწყინს და გთხოვ გამომიგზავნო ყოველივე, რაც ჩემ უნახველად დაგიბეჭდვიან... ვახტანგის ლექსებზე მე მცირე შრომა არ დამიდგია, ისე როგორც სხვა მწერლების გამოცემაზე. თუ ჩემ საკუთარ წერაზე ისე არ მიბეჯითნია, როგორც სხვების ნაწერების გამოცემაზე, ვგონებ არავის ნება არ ჰქონდეს მსჯიდეს, შენი თავი რად დაიჭოწყე და სხვებს გამოუდგეო. გთხოვთ ჩემ უნახველი არ გამოუშვათ წიგნი“.

დაბოლოს, თეატრი! ქართული სცენისა და სათეატრო ხელოვნების საქმეშიც ცოტა ღვაწლი არ მიუძღვის პ. უმიკაშვილს. მე უკვე ავლნიშნე, რომ მას ახალგაზრდობაშივე უყვარდა თეატრი და გიმნაზიის დასრულების შემდეგ იღებდა მონაწილეობას ქართული წარმოდგენების გამართვაში, ასევე მონაწილეობდა იგი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგაც წარმოდგენების მოწყობაში სცენას მოყვარებთან ერთად, ქართული მუდმივი სცენის დაარსებამდე (1879 წ.). მუდმივი სცენის დაფუძნების შემდეგ დასწერა რამდენიმე პიესა: „მისანი“, სამმოქმედებიანი კომედია (1879 წ.), „ორნი ანუ მახლასა ჯოჯოხეთში“, ფარსი (1883 წ.); „ალერსთაბადე“, ოთხმოქმედებიანი კომედია (რუსულიდან გადმოკეთებული, 1885 წ.); „და-

¹⁾ მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ერთ თავის საოხუნჯო ფელეტონში („Нов. обозр.“, 1887 წ. № 1298) „гробокопатель“-ს უწოდებს პ. უმიკაშვილს.

მარცხებულნი“, ოთხმოქმედებიანი დრამა (1888 წ.); „სამზადისი“, სცენები ქართულ თეატრის დეფუნდების დროისა (1892 წ.);¹⁾ „ბენეფისის წინ“, სურათი ერთ მოქმედებად თეატრის ცხოვრებიდან (1898 წ.); „გოლდონი“, ისტორიული კომედია ოთხ მოქმედებად პაოლო ფერარისა (1903 წ.). ეს პიესები, გარდა უკანასკნელისა, რამდენჯერმე ყოფილა ქართულ სცენაზე წარმოდგენილი.

„გოლდონის“ იტალიურ ტექსტს კარგა ხანს აძებნიებდა ევროპაში ნ. ლოლობერიძეს (იტალიური ენა პ. უმიკაშვილმა იცოდა და შეეძლო თარგმნა). ბოლოს მრილო დედანი, და იგი სწერს ამის გამო ნ. ლოლობერიძეს (1903 წ. 12 ნომბ.): „...ძალიან მასიამოვნა, რომ რუსული თარგმანი ნამდვილი კარგი თარგმანი აღმოჩნდა, რომელზედაც მე ცოტა ვეჭვობდი. სამწუხაროდ დამირჩა, რომ [პიესის] ილუსტრაცია ვერ გიშოვნია. თუ მანდ იტალიაში ყოფნის დროს ამასაც მიშოვნო და მეტადრე თუ ფერადი ფერით იქნება (რადგანაც ტანთაცემის მოსაწყობად ქართულ სცენაზე საჭიროდ მგონია), ძალიან დაგიმადლებ. მე მსურს, რომ ეს პიესა ქართულ სცენაზე კარგა იყოს მოწყობილი. არ ვიცი, მოვახერხებთ ამ სეზონში პიესის დადგმას თუ არა. ჩვენმა არტისტებმა აბაშიძემ, გუნიაშვილმა და მესხმა წაიკითხეს სულ თარგმანი, ძალიან მოსწონთ. თვით პიესა მშვენიერია და ჩვენს არტისტებს არ გაუძნელდებათ, თუ როლები კარგად ისწავლეს, და მე ჩემი მხრიდან არ მივცემ, სანამ კარგა არ ეცოდინებათ“.

პ. უმიკაშვილის ქალაქებში მოიპოვება კიდევ ერთი დასრულებული პიესა, რომელიც, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა სცენაზე წარმოდგენილი: „ქალის როლები“, ერთმოქმედებიანი ვოდევილი (1879 წ.), აგრეთვე რამდენიმე დაუსრულებელი პიესა ანუ პიესის ფრაგმენტი („ორი ჯორი“, „მზეჭაბუკი“, „აბესალომ და ეთერი“, „აჩრდილთა სავანე“, „სურათი“ [ს. მესხის სარედაქციო მუშაობისა], „ინტერმედიასავით“, „ცილისწამება“) და მოლიერის „მიზანტროპის“ და ოსტროვსკის „Свои люди — сочтемся“-ს თარგმანი.

პ. უმიკაშვილი დიდი მოყვარული და ქომაგი იყო ქართული თეატრის და მუდამ ქართული სცენისა და დრამატიული საზოგადოების ირგვლივ ტრიალებდა. ერთხანს (1892-93 წლებში) ამ საზოგადოების გამგეობაშიაც იყო. მან ამ დროს წესრიგში მოიყვანა თეატრის გარდერობი და ბიბლიოთეკა.²⁾ იმ დროს ბევრ მსახიობს ჰქონდა პ. უმიკაშვილისაგან თავი მობეზრებული, რადგან მათ თეატრის გარდერობი და პიესები გაბნეულ-გამოზნეული ჰქონდათ და პეტრე დაჟინებით მოითხოვდა დაბრუნებას და კატალოგებში შეტანას. თვითონ ამის შესახებ სწერს ერთ წერილში (1893 წ. 24 იანვ., ალექს. ნანეიშვილს): „...დრამატიული საზოგადოების მმართველობაში ჩავდეგი, მდივნად დამაყენეს. ვტრიალებ. ოხრად გდია საქმეები, და ქვეყნის სირცხვილი თავს გვეყრება. იქაც ყველაფერი თითქმის ღვთის ანაბარას გდია, არავის ზრუნვა და შრომა არა ჩანს, კვირაში ერთ საღამოს ორიოდ საათის კრების მეტი. ყველა ლუკმა პურს მოსდომებია, დრო აღარა გვაქვსო. ვართ ასე წყალწალბებულები“. უნდოდა, სხვათა შორის, დრამატიული საზოგადოების გამგეობასთან სპეციალური სათეატრო ბიბლიოთეკის მოწყობა, სადაც უნდა მოეგროვებიათ საჭირო და გამოსადეგი თხზულებები როგორც რუსულ, ისე ევროპულ ენებზე. ამის გამო მან თხოვნა-ვედრებითაც კი მიმართა ალ. სუმბათოვს (იუჟინს)

¹⁾ დაბეჭდილია ამხ. „ცისკრის“ გამოცემაში 1905 წ.

²⁾ ეს ბიბლიოთეკა, საუბედუროდ, დაიწვა 1914 წელს, როდესაც თეატრის შენობას ცეცხლი გაუჩნდა.

მოსკოვში (1893 წ. 10 მარტს), — დაგეხმარე საჭირო წიგნების სიის შედგენაში, ფანქრით დაგვინიშნე სათანადო კატალოგებში ჩვენთვის უფრო გამოსადეგი წიგნებიო. სხვებსაც — მოსკოვში მყოფ ქართველებს — ემუდარებოდა პ. უმიკაშვილი (მაგალითად, ნიკ. ქართველიშვილს, მაშინ იქ სტუდენტად მყოფს), — მიდით იუჟინთან და იქნებ ეს საქმე გააკეთებინოთო. არის დაცული ნიკ. ქართველიშვილის პასუხი: ვერას გავხდით. იუჟინმა თავი არ შეიწუხა ან, ყოველ შემთხვევაში, დრო ვერ იშოვა.

მაშინაც, როდესაც წევრად არ იყო გამგეობაში, ახლობელ მონაწილეობას იღებდა ყოველთვის თეატრის ცხოვრებაში, მოხსენებების და წინადადებების შეტანით თუ სხვაგვარი დახმარებით. მაგალითად, ის შესწმა და მადლობა, რომელიც ქართული სცენის სახელით წაიკითხეს გიორგი ერისთავის სურათის წინ 50 წლის სადღესასწაულო წარმოდგენაზე, პ. უმიკაშვილის დაწერილი იყო, ისე როგორც წარმოდგენილი პიესა „სამზადისი“, აგრეთვე ამგვარსავე 35 წლის დღესასწაულზე წაკითხული შესწმა (1885 წ. 2 იანვარს).

პ. უმიკაშვილს, რასაკვირველია, დიდად აზარებდა, როდესაც მისი პიესა საზოგადოებას მოეწონებოდა. მაგალითად, 1898 წ. იანვარში მწერდა: „ამ დღეებში დიდ ქებაში ჩავვარდი. წაიკითხავდი ჩემი პიესის („სამზადისის“) ამბავს გაზეთებში. სენსაცია — მოახდინა, ტფილისის საზოგადოება მასზე ლაპარაკობდა და გაჭირვებულ დროს თეატრის ქართველ ამხანაგობასაც გამოადგა, — 1500 მან. შეაწია ახლო მეგობრები მიქებენ“... მაგრამ ისე კი პ. უმიკაშვილი არ იყო ზოგ ავტორსავით გაზეთადებული აზრისა თავის პიესებზე. აი მისი სიტყვები. 1888 წ. 18 ნოემბერს მან პიესა („დამარცხებულნი“) გადასცა დრამატიულ საზოგადოებას წარმოსადგენად (წარმოსადგინეს პირველად 1890 წ. 25 დეკ.). მეორე დღეს, 19 ნოემბერს, იგი სწერს თავისთვის თავის წინადგრძნობას, თუ რამდენად მოეწონება პიესა საზოგადოებას. ითვალისწინებს თითოეული მოქმედებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას და ასე დაასკვნის: „საზოგადოდ იტყვიან: პიესაში აზრია, გრძნობა, შთაბეჭდილება კარგი გამოგაქვს ადგილებიდან. აკლია ეფექტები და საზოგადოდ შემუშავება. რომ ცდილიყო ავტორი, შეიძლებოდა უფრო ცხოველი სურათებით გამოესახაო. მაგრამ პეტრესგან (მძიმე მწერალია) ესეც კარგიაო“...

როგორც მკითხველი ხედავს, პ. უმიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობა არ იყო ვიწროდ შემოფარგლული და ერთს რომელსავე განსაკუთრებულ დარგზე დამყარებული. 45 წლის მანძილზე იგი მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში და ამავე დროს ბეჭდავდა ქართველ მწერალთა ნაწერებს, ადგენდა სახალხო წიგნაკებს, აგროვებდა ხალხური სიტყვიერების მასალებს, სწერდა და სთარგმნიდა თეატრისთვის პიესებს.

III

გიმნაზიაში მასწავლებლობისათვის თავის დანებების შემდეგ (1893 წ.) პ. უმიკაშვილი ჩადგა კერძო საქმეში, — გადავიდა იმერეთში თავის მეგობარ ნიკ. ლოლობერიძესთან, რომელიც იმ ხანებში შავი ქვის საქმეს აწარმოებდა. ლოლობერიძემ იგი თავისი საქმეების მთავარ გამგედ და მმართველად დაიყენა ჯერ ხესტაფონში (1893-94 წლ.) და შემდეგ ბათუმში (1894 წლიდან). ამ ადგილზედ იყო პ. უმიკაშვილი 1898 წლამდე (ჯამაგირად ჰქონდა 150 მან. თვეში).

დიდად დაღონებული იყო, თბილისს რომ შორდებოდა, სადაც ცხოვრებას შეჩვეული იყო და მთელი სიცოცხლე მანამდე იქ გაატარა. მოშორების შემდეგ ძალიან დიდხანს სიზმარშია ცი ხედავს თბილისს და იქაურ ნაცნობ-მეგობრებს. და ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ თვითონვე დასძენს: „რასაც ცხადად ვფიქრობ, სიზმარშია ცი ვნახე“. განსაკუთრებით დარდობს ქართულ თეატრზე. 1894 წ. 15 აგვ.: „ოჰ, ჩვენო თეატრო, რა სახით მინდოდა შენთვის მუშაობა და როგორ გამიცრუვდა სურვილი. ნუ თუ ველარაფერს ვერ გავაკეთებ. ნუ თუ თეატრის საქმისათვის მოვკვდები. არა, ეს არ შეიძლება, უნდა კიდევ ვიმუშაო... თეატრი, ლიტერატურა, ჩვენი საზოგადო საქმეები... არა, როგორ შეიძლება დატოვება... თუ არა და — სიკვდილი სჯობია“¹.

1897 წლის ბოლოს ნ. დოლობერიძემ შავი ქვის წარმოებაზე ხელი აიღო, თავისი საქმეების ლიკვიდაცია მოახდინა, და პ. უმიკაშვილი ისევ ტფილისში გადმოვიდა. პეტრე, რომელიც მაშინ 60 წლისა იყო, ბავშვივით გახარებული და აღტაცებული ამის გამო. „შემოდგომას, — მწერდა იგი 2 აპრ. 1897 წ. — ნიკოს გადაწყვეტილი აქვს გადავიდე ტფილისს... მომილოცე, დავუბრუნდები ჩემ ტფილისს, დედაქალაქს, ჩვეულებრივს მუშაობას. ასე მგონია, ახლად ვიბადები ამ აზრით. ოჰ, რა ტკბილია“... 29 თქტ. და 26 ნოემბ. კიდევ: „გადავრჩი ბათუმს. რა ჰაერია ტფილისში! ვეღარ გამძღარვარ სუნთქვით და ჭამით. ვხედავ გზაზე ჩემს ნამოწაფრებს პირველი გიმნაზიისას. პატარები დავტოვე. ახლა დავაჟაკებულან ამ 4 წელს და სიყვარულით, პატივისცემით მეხვევიან გარს. ეს დიდი საჩუქარია ჩემთვის. ეს მოპყრობა წმინდა ყმაწვილის გულისა, ტფილისის ჰაერი, ძველი მეგობრების აღერსი, ქალაქის ყლივილ-ყლუვილი მამხნეებს და ძარღვებში სისხლს მიმატებს“... „როგორც ყმაწვილი, ისე მიხარია. დილას მზის შუქს ვუყურებ, მთაწმინდის წვერს რომ წითლად მოფენება, ლოგინილამ ვუყურებ და გული სტკბება. ქუჩაში რომ მივდივარ, — ხომ იცი, მე ლილინი მიყვარს, — სულ მხარული ხმები მიბზუის ყურში და ხმადვე ლილინი გამოდის. ზესტაფონს რომ მოველ ქალაქილამ, სულ სამგლოვიარო, დასაფლავების მუსიკის, მოცარტის Requiem-ის ხმები მიბზუოდა, — ის მორჩა“...

ამის შემდეგ პ. უმიკაშვილს მუდმივი ბინა ისევ თბილისში ჰქონდა. 1899 წელს მას მისცეს მცირე ადგილი თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში (80 მან. ჯამაგირით თვეში). ამ ხანებში მან შეისრულა ერთი თავისი დიდი ხნის ნატვრა. მუდამ ნატრობდა ევროპის ნახვას, და ეს მოახერხა 1900 წელს. ბანკის სამსახურიდან ორი თვის შვებულება აიღო და ევროპაში გაემგზავრა. ნახა ბერლინი, დრესდენი, ლეიპციგი, კელნის სობორო, პარიზის გამოუენა, ლონდონი, ვენა და ბუდაპესტი. ბავშვივით აღტაცებული იყო ყველაფერი ნანახით. სწორედ ვადაზე დაბრუნდა ისევ ბანკში. და იქ მსახურობდა სიკვდილამდის.

პ. უმიკაშვილი მე გავიცანი პირველად 1894 წლის დამდეგს ზესტაფონში. იქ მე იმ დროს ნიკ. დოლობერიძემ მიმიღო თავისთან სამსახურში იმ თანამდებობაზე, რომელზედაც ჩემს წინათ მსახურობდა თედ. სახოკია, ე. ი. კანტორის მოსამსახურედ. პ. უმიკაშვილიც მაშინ იქ იყო უკვე ქალაქიდან გადასული. უნდა ვთქვა, პეტრე რომ არც მენახა არასოდეს პირველი ნახვის შემდეგ, მისი სახე და გარეგნობა მაინც ჩემ დღეში არ დამავიწყდებოდა. თავის საოხუნჯო ფელეტონში პ. უმიკაშვილის შესახებ ნიკ. ნიკოლაძეს სწორად აქვს აღნიშნული,²) რომ მისი

¹ უბის წიგნში ჩანაწერი.

²) „Нов. оінозр.“ 1887 წ. № 1298.

გარეგნობა, ერთხელ თუ ნახე, შერე „დიდხანს არ დაგავიწყდებაო“. და მე გავიცანი: დაბალი, დაბალზე დაბალი ტანის კაცი, ჭაღარა, წვერ-ულვაშვაკრეჭილი, ნახევრად მელოტი, ფერმკრთალი, მოგრძო სახისა, რომელზედაც ვეება, სპილოს ხორთუმივით ძირსდაშვებული, მოხრილი ცხვირი ეჭიდა. ტანთ ეცვა მაშინ (და შემდეგშიაც მუდამ) წინაკალთებშემოჭრილი სერთუკი, რომელიც მის დაბალ ტანს რაოდენადმე უფრო დარბაისლურ შესახედობას აძლევდა. გულზე ეჭიდა პენსნე. ლაპარაკობდა ტკეპნა-ტკეპნით, მაგრამ გრძნობით და გატაცებით. მიზრამოხვრა ჰქონდა სწრაფი, დადიოდა ნელა, მაგრამ ცუნცრუკით. ლაპარაკის დროს, განსაკუთრებით ახალგაცნობილს, გიცქეროდა თვალებში, იწიწნიდა მოკრეჭილ ულვაშებს, გშინჯავდა, გათვალეერებდა. გამოგკითხავდა ყველაფერს, ყველაფერი ეინტერესებოდა; გრძნობდი, რომ პირველ ხანად უნდობლად, ეჭვით გეპყრობოდა, შენი სიტყვა მას არ ჰყოფნიდა, თვითონ უნდოდა დარწმუნება, — გზომავდა, გწონავდა, გითვალთვალებდა.

ეტყობა, ასეთი ყოფილა იგი ახალგაზრდობაშიაც. მის ქალაღებში ვხვდები ასეთ შენიშვნას, რომელიც მას დაუწერიან, როდესაც 30 თუ 32 წლისა იყო: „ხშირად იციან ჩემმა ნაცნობებმა, რამდენსამე შემთხვევაზე თავიანთ დასკვნას გამოიყვანებენ. მე ყოველთვის ფრთხილათა ვარ, რათ მინდა ჩემი თავის მოტყუება, დეე სხვებმა მძიმე მიმხვედრი დამიძახონ, რა მენადვლება“.

იგი ყოველთვის „ფრთხილობდა“, და ეს მისი ფრთხილობა ხშირად დაცინვისა და ოხუნჯობის საგნად ჰქონდათ მის ნაცნობებს ალებული. იშვიათად ეტყოდა ვინმეს რამეს თავისი პირადი ცხოვრების შესახებ, — ეს „თავისთვის“ ჰქონდა შენახული. არასოდეს არ ეტყოდა სხვის ნათქვამს სხვას, თუნდაც ნათქვამი არც კი ყოფილიყო დასამაღავი. მუდამ ასე ფიქრობდა: იქნებ მთქმელმა მართლმე მითხრა ეს და ისე კი არ სურს გამხელო. თვითონაც საიდუმლოებით მოცული სახით ებაასებოდა თავის ნაცნობს, და არ უყვარდა, რომ მისი ნათქვამი მომსმენელს სადმე სხვაგან გაეშხილა, თუმცა ჩვეულებრივ იქ დასამაღავი არა იყო რა. წავრდოდა სადმე და — „ჩუმად“, მოვიდოდა და — ისევ „ჩუმად“, აკეთებდა სიკეთეს და — ჩუმად: არასოდეს არ გაამხელოდა არც თავის კეთილ ნამოქმედარს, არც იმ კაცს, რომელსაც სიკეთე უყო. კლასიკური იყო და საოხუნჯო მისი: „სსსუ, ჩვენ შორის დარჩეს, არავის უთხრა!“ ნ. ნიკოლაძეც ასწერდა: „Скрытен до завяности“. მეგობრები ხშირად აჯავრებდნენ; წერილს, რომ მოსწერდნენ, ბოლოში მიაწერდნენ, — „სსსუ, არავის უთხრაო“.

პირველი გაცნობის შემდეგ ჩემი დასკვნა მის შესახებ ასეთი იყო: „უშნოა და ნიჭნაკლები“. ეს დასკვნა შემდეგშიაც არ შეცვლილა, — პ. უმიკაშვილს ცხვირი არ დაჰპატარავებია, ხოლო ნიჭის მხრივ მართლა არ იყო ბრწყინვალე ნიჭის პატრონი. მაგრამ შემდეგში რამდენჯერ მიფიქრია და მითქვამს ჩემი თავისთვის: ამ არა დიდი ნიჭის პატრონმა კაცმა რამდენი რამ გააკეთა ცხოვრებაში, და რამდენია ჩვენში მასზე ბევრად ნიჭიერი და შეუდარებლადაც ნიჭიერი, რომლისგანაც არც არა გამოსულა და არც არა გამოვა რა.

ერთი გაცნობით ვერ დაინახება ადამიანის შინაგანი ბუნება. მაგრამ მე ვმსახურობდი პ. უმიკაშვილთან ერთად სამი წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე კანტორაში, ყოველ დღე მხედავდა და ვხედავდი; მიხანავს იგი შინ და გარეთაც, ყოველგვარ გარემოებაში, მომისმენია მისი ყოველგვარი აზრი, ფიქრი, მსჯელობა, სხვებთან, ცალკეც, გამავია მისი გულისწუხილი, დარდი და ვარამი, მნახველი ვარ მისი არა ერთი და ორი დამახასიათებელი

საქციელის: გვქონდა ერთმანეთთან განუწყვეტელი მიწერ-მოწერა მთელი წლების განმავლობაში, ხელთა მაქვს აუარებელი მისი ბარათები, ჩემთან მოწერილები (აგრეთვე სხვებთან მიწერილებიც). ყველაფერი ეს საფუძველს მძლვეს ვთქვა: ამ კაცს — არა მარტო გარეგანად, არამედ შინაგანადაც — ვიცნობდი მეთქი.

და აი, რომ ვიცნობდი, ვამბობ: სწორედ ეს მისი შინაგანი ბუნება იყო შესანიშნავი, არ შევხვედრივარ სხვას ისე სულით ახალგაზრდას, ისეთი „მამული-შვილური გრძნობით“ გამსჭვალულს, ყოველ შემთხვევაში ისეთი „ტემპერამენტული“ გრძნობით გაუდენტოლს და ისეთი კარგი გულის ადამიანს, როგორიც პ. უმიკაშვილი იყო.

უკვე მოხუცებაში იყო შესული, როცა მე გავიცანი. და ადამიანს ჯაოცებდა ის სულით სიხალგაზრდავე და ოპტიმისტური, იმედიანობის და სასოების გრძნობა, რომელიც მისი ბუნებიდან სჩქედდა მუდამ. იმისგან ვერ გაიგონებდით უიმედობას და სასოწარკვეთილებას. ყოველ პატარა ნაბიჯს, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების საქმეში წინგადადგმულს, იგი დიდ მოვლენად სთვლიდა და „პესიმისტს“ ამით შავ ფიქრებს უქარწყლებდა.

როდესაც რამდენიმე დღის უნახავ ნაცნობს ან მეგობარს თვალს მოჰკრავდა, მაშინვე სახეგახარებელი მიეგებებოდა და გაბმული „იმედიანი“ ბაასისთვის შეემზადებოდა. მისი „გაბმული“ ბაასიც სახუმარო საგანი იყო მის ნაცნობ-მეგობრებში. ერთხელ პ. უმიკაშვილმა ტფილისში კარგა ხნის უნახავი თავისი ქუთათური მეგობარი ანტონ ლორთქიფანიძე დაინახა და ჩვეულებრივად შორიდან მიესალმა; „ააა, ანტონ, ანტონ!“ და შეემზადა, მაგრამ ლორთქიფანიძემ შორიდანვე შემოსძახა: „შენი ჭირიმე, პეტრე, მარტო ერთი კვირით ვარ მოსული.“

როგორც კი დაღვრემილ ნაცნობს შეხვდებოდა, მაშინვე ასე შეუტევდა: „რაა, რომ ცხვირით ჩამოგიშვია, — ნუ მოეშვებიო“. უყურებდი და გავიწყდებოდა, რომ ასეთი გამაშხნევებელი მოძახილის მომცემი თვითონ მოხუცებული იყო და ჯერა ახალგაზრდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ იგი არ იყო აზიზად გაზრდილი; თავის კერძო ცხოვრებაში მას არ გამოუტყდია დიდი სიტკბოება და კმაყოფილება, ამიტომ მას მართლა დიდი სულიერი ძალა და ენერჯია უნდა მოეხმარა, რომ თავის ბუნებაში ოპტიმისტური განწყობილება განევითარებია. ამ აზრს ამტკიცებს შემდეგი სტრიქონებიც, რომლებსაც ვკითხულობ ერთ-ერთ მის მიერ ჩემდამი მოწერილ ბარათში (21 დეკ. 1897 წ.):

„ნათელი და მხიარული ფიქრები ძალათი უნდა მოვათრიოთ, თუ არ ვხედავთ ჩვენს კერძო ყოფა-ცხოვრებაში. მომავალი საზოგადო წინსვლის რწმენა, მისი მომავალი აუცილებლობა ადამიანის ცხოვრებაში ნათელია და იმისი სხივი გვინათებს კერძო საკუთარ და საზოგადო ყოფის სიბნელეს, მახინჯობას, ჩაგვრას, სიძაბუნეს, შეურაცხყოფას... ვიმუშაოთ, რამდენადაც შეგვიძლია, ნათელის ფიქრებით, ოღონდ ვიმუშაოთ და გვწამდეს მომავალის სიკეთე, თორემ შავი ფიქრი გვადუნებს. წინსვლა ადამიანისა უეჭველია. საკუთარი კერძო უბედურება, სიღარიბე, წმინდა სურვილების აუსრულებლობა ნახევარ სიცოცხლეს გვტაცებს, თუ სრულად არა, მაგრამ ვინც ადამიანის — კაცობრიობის ბედს და ყოფას უერთებს თავის ატომ-კერძობას; ის მომავალის იმედით მხიარულია. მეც ბევრი მწუხარება და უბედობა გამომივილია, განწირულებაშიაც ვყოფილვარ, სიღარიბე, პატიოსანი სურვილის აუსრულებლობა, გარსმყოფთა უბედურება, — ყველა ესეები გადაძვინდა. ვიყავი გულდახურული, ნაღვლიანი, მხდალი, მაგრამ რწმენამ, რომ

შე ატომი ვარ საზოგადო ჩარხის წინმავალ ტრიალში, გამომათხიზლა და აგერ მხედავ პირმოცინარს, მზიარულს, თითქოს აღარათერ ნაღველს, ზრუნვას და ფიქრს ჩემს გულში და თავში ადგილი აღარა ჰქონდეს. ნაღველი და ფიქრი როგორ მოშორდება კაცს, მაგრამ, როდესაც შავია ის ნაღველი და ფიქრი, წიხლს ვკრავ და საზოგადო ჩარხის ტრიალს ვანაცვალე, იმაში ვლესავ და ვაწყალე. — წუხილს აქარწყლებს კაცობრიობის ისტორია. ყველა ხალხი ველურობაში ყოფილა და მერე წინ წაუდგამს ფეხი. მეცნიერების და დიდებული აზრების თანდათან გავრცელება, ტექნიკა საცხოვრებელის სახსრის გაუმჯობესებისა, დაახლოება ერებისა, შეგნება თითოეული ინდივიდუუმის უფლებისა, სამართლისა და საჭიროებისა წინ წასულა, მიდის და წავა მუდამ... დიან, ჩვენ ტყის შვილები ვართ. ხომ? რომ ვართ, გამოვალთ, გამოვდივართ. ნელნელა გამოვდივართ, იმიტომ რომ ცხოვრება თავში გვცემს, და გამოვალთ. რა ვუყოთ, ზოგი ადრე გამოსულა, ზოგი გვიან. გაჩერება იმაზე და წუწუნი, რომ ასეთები ვართო, მალე უნდა მოვიწილოთ და არ გავხადოთ საგნად. რასაკვირველია, ცოდნით უნდა ვიცოდეთ, რაცა ვართ, უნდა გამოვარკვიოთ და დაეანახოთ ჩვენსავე ხალხს თავისი სისუსტე, მაგრამ არა იმგვარად, რომ სასოწარკვეთილების აზრი გავამფოთო, არამედ აღვუძრათ წყურვილი გამოთხიზლებისა, შრომისა და იმედიანის მომავლისა... მე ჩემს თავს არ ვუყურებ, — გარსმყოფს, ახლო მყოფს თუ შორეულს ცხოვრებას ვუყურებ და მისარიან თითო ნაბიჯის გადადგმაზედ, იმით ვამხნევებ იმედს და თანდათან თვალთაც და შეგნებითაც ვრწმუნდები საერთო ბედნიერების მოახლოებაში, არ მაშინებს მისი წაბორძიება, — ეს წარმავალია, როგორც ახლად ფეხადგმულის ყმაწვილისა... კაცთა ბედნიერების იმედით ვიმედოვნებ და ჩემის სიცილ-ხარხარით, ნათელის ფიქრით მიწა სხვასაც შევყარო ნათელი ფიქრი, შეწუხებულ გულს იმედის რწმუნება ჩაუსახო, განწირულებით დაჩაგრულს სიცოცხლისაკენ მოსაბრუნებელი გზა გაუადვილო და სიმწარის ცრემლი სასიცოცხლო ღიმილად შეუცვალა. ნათელი ფიქრი, მზიარული გული ენერგიაა, ელექტრონია, მიმზიდველი ძალაა კეთილ საქმეშიაც და ბოროტშიაც. მოწყენილი ფიქრი, მოწყენილი სახე დამჩაგვრელია გარსმყოფისათვის, არ არის მიმზიდველი, ენერგიას ჰხუთავს. რად მიწა შემხუთველი რამ მეტი, — უიმისოდაც ცოტა არაა, რომ მეც მიუმატო ჩემს გარსმყოფს ან თვით ჩემს გულს“...

ეს სტრიქონები 60 წლის კაცის მიერაა დაწერილი, — ისიც რა ხანაში! და არა ერთხელ და არა ორხელ გამიგონია მისი ასეთი „ღალადი“ ჩემთან და ბევრ სხვასთანაც.

მისი მასლაათისა და მეგობრებთან მიწერ-მოწერის მუდმივი საგანი იყო ქართული მწერლობა, წიგნების გამოცემა, თეატრი, ჟურნალი, გაზეთი, დრამატული და წერაკითხვის საზოგადოება, მწერლები, ახალგაზრდობა. რომელ ნაცნობსაც უნდა შეხვედროდა, უეჭველად „საზოგადო საქმეებზე“ დაუწყებდა ლაპარაკს და ამ ლაპარაკში მთელი საათობითაც არ მოიწყენდა. განსაკუთრებით მწერლობა და გაზეთი, იყო მისი საყვარელი საგანი მასლაათისა. უნდა გენახათ როგორ მთელი გულითა და სულით ხარობდა და სტკებოდა, როცა რომელსამე ქართულ გაზეთსა ან ჟურნალში რაიმე ფხიან წერილს წაიკითხავდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეტყოდნენ, ქართულ ჟურნალს ან გაზეთს მკითხველი და ხელის მომწერი ემატებოდა. ეს სიხარული და აღტაცება იყო ნამდვილი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი, და ეს ჰხიბლავდა გარეშე ადამიანს და აყვარებდა ამ სულით ცოცხალ კაცს. იგი უშუალოდ გრძნობდა ქართული მწერ-

ლობის გაჭირვებას, მწვავედ განიცდიდა ყოველ მის წაბოროციებას, დაუფარავად იცოდა ამის გამოთქმა და მხილება.

მე შეგბირდით, უფაქტებოდ და უციტატებოდ არ ვილაპარაკე მეტქი: აღენიშნავ თუნდ შემდეგ ამბავს, საიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ როგორ ფეტიქავდა პ. უმიკაშვილის გული საზოგადოებრივი საქმის სიაგვარგით და როგორ დაუფარავად, გულწრფელად და „ტემპერამენტი“ იცოდა მან თავისი აზრის გამოთქმა.

1891 წლის აგვისტოში პ. უმიკაშვილი ცოტა ხნით რუსეთში იყო (ქალ. ნიკოლაევში). იქიდან იგი ასეთ წერილს უგზავნის „ივერიის“ რედაქციას. (არა დასაბუქდად, არამედ — ჭკუის სასწავლად):

„ივერიის რედაქციას ანუ გიგა ყიფშიძეს. გიგა, დროებითი რედაქტორი ხარ და გულმა ვეღარ მომიტოვინა ეს წერილი არ გამომეგზავნა. — ამ დღეებში მოგვივიდა აქ „ივერიის“ ნომრები, რომლითაც შევიტყუეთ მამია გურიელის გარდაცვალება. ამაზე მინდა მოგელაპარაკოთ. — რასაკვირველია, სამწუხაროა მამიას გარდაცვალება: შესაძლებელი იყო კიდევ რამ დაეწერა, მაგრამ... თქვენი ზომას გადაცილებული ქება კიდევ წრეს გადავიდა, ვიდრე როდესმე მომხდარიყო. მამიას წოდება „ძლიერ ღერად“, „ძლიერ მგოსნად“, „ენადაუშრობელ მღალადებლად“, ბელინსკისთან შედარება (ეს სულ მეთაურ წერილში), „შვილად რჩეულად“ (დიმ. ერისთავის ლექსში), „დიდებულ მქადაგებლად კაცურის კაცისა“ (სულ ეს ამოდენა ქება ერთ ნომერში, 164) ნეტა რას მოასწავებს? სიტყვების უაზრო რახა-რუხია, ბოდვია, თუ დაცინვია ქართულის მწერლობისა, ან თვით გარდაცვალებულისა? განა ასე დაეცა და დამცირდა ჩვენი აზრი ღირსებაზე, რჩეულობაზე და სხვა ამგვარ მნიშვნელოვან შეშეცნებაზე, რომ ასე უაზროდ ვისროლოთ და ყველას ვარგუნოთ, უბრალო მოლექსესაც კი, რომელიც დიდი ხანია ცოცხალივე მკვდართა თანა შეირაცხა, რომელიც თვითმყოფი და ორიგინალური მწერალი არას დროს არ ყოფილა; არც შნო ჭქონიკ და არც ყოფილა ნამდვილი ქართულის სიტყვაწმანხვის უფალი და მომქნელი? რას ნიშნავს ეს უბედური ქება-დიდება გახრწნილის კაცისა, ჩვენის მოზარდ თავადაზნაურთა შვილთა გამრყენელის მაგალითისა, რომელთა ცხოვრების საგანი ლოთობა, ქალაღის თამაშობა, უქმობა, მატყუარობა, წართმა-გლეჯა და ხანდახან ვითომ მამულის მოყვარეობის გრძნობით წამოცდენილი ლექსები ანუ სიტყვებია და მუდმივად კი რომელნიც მოწინააღმდეგენი არიან შრომისა, სწავლა-მეცნიერებისა, აზროვნებისა და ყოველისფრისა, რაც ამშვენებს და წინა სწევს კაცურ ცხოვრებასა? რა უყოთ, რომ ორიოდ ლექსი დასწერა? ვის აქებთ, ვისა? ხალხის სროვა რომ შეყრილა დამარხვაზე, იქნება მაგან მოგატყუათ? მე დარწმუნეული ვარ, ხალხი იმიტომ შეიყარა, რომ ჯერ პირველად მამია თავადიშვილი იყო, გურიელის გვარისა; მცნობი პირადად ბევრი ჰყავდა, რომელთანაც ქალაღში და ღვინის სმაში ბევრი დრო გაუტარებია; კარგი მოლაპარაკე, რიხინის კილოთი მოლაპარაკე იყო, სხვა რა, ორიოდ ლექსი, ორიოდ ვაივაგლახური, უხერხული თარგმანი?.. თვითმყოფი, სჯუთარი კილო მამიას არ ჭქონია. მისი ლექსები ძლიერი არ არის არც აზრით, არც ფორმით... ივერიამ გაბერა, თავკარია გორელებმა „მძლავრი“¹ (ესე იგი ძლიერი) პოეტის სახელი დაარქვეს, იმერეთში „რჩეული შვილი“! ეს ყველაზე გადამეტებული

¹ მძლავრი ნიშნავს ავად ძალის მხმარებელს, და არ ვიცი, საიდან შემოვიდა ზმარებაში. მძლავრობა — Насилие. პ. უ.

„რჩეული“ შესანიშნავია. ვის უხვევთ თვალსა? განა არ იციან, რა რჩეული ვაყბატონი ბრძანდებოდა. მთელმა იმერეთის მხარემ იცის იმისი რჩეულობა. ეს სწორედ უსამართლობაა, უზნეობაა, გარყვანა ხალხის აზრისა კეთილზე და პატიოსანზე, გარყვანა აზრისა კეთილის და მაღალისა. ცრუპენტელა, უქმი, ყავახანებში მთრეველი, გარყვნილი კაცი რჩეულად გამოგყავთ. ამოდენა ხალხის თვალში, მოზარდ ყმაწვილების თვალში, რომელიც კარგათ ხედავდა მის უღირს მოქმედებას მუდამ დღე და ათასში ერთხელ ესმოდა იმის ლექსის წრიპინი, უღონო და უშნო. სირცხვილი კალამს, სირცხვილი მწერლობას, სირცხვილი აზროვნებას და ვაი პატიოსნებას, საცა გარჩევა არ სცოდნიათ რჩეულისა უღირსისაგან. მოგიხსნიათ გუდა ქებისა და თავის დაჭერა აღარ იცით“...

არავინ იფიქროს ამ წერილის გამო, რომ უმიკაშვილს ოდესმე უსიამოვნებაჰქონებოდეს მამია გურიელთან. იგი მას, შეიძლება ითქვას, პირადად არც კი იცნობდა.

იქნებ ვინმემ თქვას: გრ. ყიფშიძისთვის შეეძლო შეეკადრებია ასეთი წერილის მიწერა. ამისთვის მე მეორე ციტატას ამოვიღებ.

1894 წ. 26 სექტემბერს იგი ილია ჭავჭავაძეს სწერს ხესტაფონიდან:

„... როგორც ძველ მონაწილეს მწერლობაში, მის ბედზე ზრუნვას შეჩვეულს, შეძლებისდაგვარ მისთვის მშრომელს გულის ძგერით მთელი თავისი წარსული წლების განმავლობაში, არ შემიძლია, თუმცა ახლა მოწყვეტილი ვარ, არ ველაპარაკო მის ბედზე ძველ მეგობარს, რომელიც თავში უდგას დღევანდლამდე ჩვენს მწერლობასაც და საზოგადოების ზრდასაც. უკეთეს მოწინავე ნასწავლ და კეთილგამზრახ ჩვენს კაცებს ვერ გამოუჩვენებიათ და მეც იმათთან ვერ გამომირკვევია, როგორი ამბავია ჩვენს თავს, რომ ილია, ჩვენი უკეთესი კაცი, რომლის ზრუნვა ჩვენს მწერლობის და საზოგადო ზრდის ბედზე ვჭვს გარეშეა, როგორი ამბავია, რომ ვერ უვლის ერთადერთს ჩვენს გაზეთს, უკიდურეს მდგომარეობაში მისულს, ვერ დაუყენებია დონეზე და საზოგადოების ცნების და ცოდნის ხარისხზე დაბლა დგას: საზოგადოებას ვერ ხელმძღვანელობს, არამედ უკან ჩამორჩენილია და არ უძღვება მას წინსვლისათვის. წამდაუწუმ სკანდალი ემართება გაზეთს და სირცხვილსა ვჭამთ. ბანკში ამორჩევის დროს რეგვენულის წერილებით შენს საკუთარს გაზეთში შენ შეურაცხებას გაყენებენ თავისის ქებით. თედო ჟორდანიანა გიორგი წერეთლის პასუხად თავის წერილს მშვენიერის სიტყვით (თუქსუნი) ამკობს, რომელიც მწერლობაში საარაკოდ გახდება, იაკობ გოგებაშვილის უმართებულო ნაწერებმა „კვალის“ პასუხად გულმოსაწყვეტი გრძნობა აგვიშალა. მუდამ დღე მოელი სურპრიზებსა. ყველას ებადება აზრი, — რასაც კი მიიტანენ რედაქციაში, ჰბეჭდენო. სად არის რედაქცია, ვინ პატრონობს გაზეთს, ვინ არის გამძღოლი და გამსინჯავიო... ცხადია, რომ ეხლანდელი რედაქცია ვერ გასძღოლია, ღონე არა აქვს და გაზეთს ვერ მოუვლის. არა აქვს ცოდნა, არა აქვს ტაქტი ლიტერატურული, არ იცის ტონის მიცემა, არ შეუძლია მოვლენათა ახსნა-განმარტება... ჩვენი საზოგადოება მოიზარდა“ და სხვ.

ეს აღარ იყო გიგა ყიფშიძე. ეს თვითონ ილია ჭავჭავაძე იყო, რომელთანაც ასე და ამ „სტილით“ ლაპარაკს, ყოველ შემთხვევაში მაშინ, ძნელად თუ ვინმე გაბედავდა.

როდესაც პ. უმიკაშვილი რაიმე ამბავს გაიგებდა, მაშინვე იმის ფიქრი მოიცავდა, აქედან ხომ არ შეიძლება სარგებლობა რამ გამოდნეს ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესებისთვისა. მაგალითად, 1901 წელს გაზეთებში ამოუკითხავს, — გლაზგოს გამოდენაზე კანური ღვინო მოსწონებიათო. მაშინვე სწერს ინგლისში

მყოფ მეგობარს ნ. ლოლობერიძეს: გამოიკითხე. ეს ამბავი, თუ მართალია, და გვაცნობე, კარგიაო.

ანდა: შეიტყუო, რომ იგივე ნ. ლოლობერიძე ფლორენციაში მიდის, და პ. უმიკაშვილი მას საჩქაროდ სწერს (12 ნოემბ. 1903 წ.): „მანდ ფლორენციაშია, როგორც გამიგონია, ალექსანდრე ზუბალოვი. თუ მანდ არის, შექვევლია ნახავ: რას შვრება ვგ კაცი? ამბობენ, კარგი დიდი კოლექცია შეუკრებია ანტიკვარიული. რა ოხრად უნდა, თუ თავისი მდიდარი ძმისწულებსთვისა? ეგები სიტყვა გაუტარო და ანდერძი გააკეთებინო წერა-კითხვის მუხეუმის სასარგებლოდ... ამბობენ, „ლონდონის“ სასტუმროს შენობა რომ მიჰყიდა ძმისწულებს, 200,000 მან. აიღოვო. ცუდი არ იქნება, შენი ანდერძიც¹⁾ გააცნო მაგ პირქუშს, ეგებ რამე გამოდნეს. აქედამ მანდ მდიდარ ქვეყანას უნდა შემატოს და ჩვენ ღარიბ ქვეყანას უნდა გამოაკლოს აქ ნაშოვნი? აქ ყოფნის დროს ვითომ რაღაცაებს ფიქრობდა წერა-კითხვის საზოგადოებისთვის შენობაზე და მერე კი მიჩუმდა. ეგ ცოტა მდუნე კაცია და კარგი ჩიჩინი უნდა. ეცადე, კარგა მოელაპარაკე შენებურად, ეგებ რამე გააკეთოს. ცოტა რბილი ლაპარაკის შუა სუსხადაც რომ ელაპარაკო, ცუდი არ იქნება. ჯანაბას მაგის თავი, რაკი ურგებელი კაცია. მე რომ ვიყო, წავეჩხუბებოდი კიდევცა, გამოვლანძღავდი და მოვშორდებოდი. მკვდარი კაცია, შაგისთანასთვის ზანდახან სუსხია საჭირო. ვაი რომ პარიჟში ერთხელის მეტად ვერა ვნახე, შინ მივუხდი, მაგრამ წასულიყო. თუ ნახო, ჩემ მაგიერ უთხარი, ადრე ფული არ გქონდა, ახლა ხომ [გაქ თქო] და წერა-კითხვის შენობა შენი... საუკუნოდ მოსახსენებლად [უნდა] ააგო თქო“...

რა თქმა უნდა ალექსანდრე ზუბალოვისგან არა გამოვიღწე რა.

მაგრამ ყველაზე უფრო უცნაურია და პ. უმიკაშვილის გულუბრყვილობაზე ღიმილის მომგვრელია შემდეგი ამბავი, რომელიც თვითონაც „თითქოს სულელურად“ მიაჩნია. 1894 წელს (აგვისტოში) იგი, შავი ქვის საქმეების გამო, ოდესსაში იყო რამდენიმე დღით. 22 აგვისტოს თარიღით მას ასეთი რამ აქვს თავის უბის წიგნში შეტანილი: „მოულოდნელად ოდესის დაფუძნების 100 წლის იუბილეს დავესწარი დღეს... ერთი სულელური თითქოს აზრი მაქმდის. აქებენ ქალაქის თავს მარაზლის, ძალიან მდიდარია და ბევრ საქველმოქმედო დაწესებულებას აფუძნებს; აგრეთვე სამეცნიეროს. ფიქრში მამდის, მივიდე და ვთხოვო, ჩვენი საცოდავი წერა-კითხვის ბიბლიოთეკა-მუხეუმისათვის ველაპარაკო. ცეცხლის შიში გვაქვს. ორჯელ სიზმარში ვნახე, ცეცხლი გასჩენოდა. მაგრამ როგორ ვუთხრა უცხო კაცს, ბერძენს. როგორც თანამგრძნობს, მსგავსად ათონის მონასტრის დამფუძნებელის მონათესავე ბერძენს? არ იტყვის, რომ მე-19 საუკუნეში ის ხალხი თანამგრძნობის ღირსი არ არის, რომელსაც თავის ღონით ვერ შესძლებია თავის საუნჯის დაცვა! არა გვყავს საზოგადოება, არა აქვს ფული, ქონება, — ეს ვუთხრა? ვინა ხარ, ვინ მეუბნები, რატო შენ ხალხში არა ცდილობ, — ეს უნდა მითხრას. რა უნდა ვუპასუხო, — განწირულებამ მომიყვანა შენთანაო. დამცინის და გიქს დამარკმევს. მაგრამ რა ვქნა? წელიწადები მიდის და იმოდენა საუნჯე მუდამ ფათერაკშია... როგორ მოხერხდეს? სხვა აზრი მებადება: ოდესის სტუდენტობამ ერთხმად რომ პირდაპირ სთხოვონ, იქნება ამან უფრო გაიტანოს საქმე, ან ჯერ წინათ პეტრიაშვილმა და მელიქიშვილმა, პროფესორებმა, რომ გაიცნონ,

¹⁾ ნ. ლოლობერიძეს (გარდაიცვალა 1911 წ.) ანდერძი ჰქონდა დაწერილი, რომლითაც თავისი ქონება წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვა.

დაუახლოვდნენ, მოამზადონ ამ აზრისათვის... ვერა მგონია, ვერ იზამენ მოუხერხებლად ჩასთვლიან. მოველაპარაკები პეტრიაშვილს და იმის ცოლს... მაგრამ სულ ეს არის: საიღამ სადაო? ვინ მარაზლი, ვინ ქართველობა“...

მინც არ დაიშალა.

24 აგვ.: „ძლივს ვნახე პეტრიაშვილი... მე ორჯელ ვიყავი დღეს, დილაზე ჩემს მასთან წასვლის დროს ის ჩემთან მოსულიყო. ცოლიც ვნახე... ვადუკარი სიტყვა, იქნება მარაზლი წერა-კითხვის ბიბლიოთეკას რამე დაეხმაროს. ოდე-სის ქალაქის გარეშე არაფერს ჰკიდებს ხელსაო. მე ყურადღება მივაქციე, რომ ცეცხლის შიში გვაქვს, უნდა მიიხედ-მოიხედონ, იქნება ქართველი ვინმე შეძლებული ნახონ. არავის იმედი არა აქვთ“.

ბევრჯელ შემიმჩნევია, მიუხედავად მისი იჰვიანობისა საზოგადოდ ადამიანის შესახებ, მისი ამგვარი გულუბრყვილობაც, და ამაზე რომ მივუთითებდი, მისი პასუხი იყო ყოველთვის: „რატომ, ვინ იცის, იქნებ რამ გამოვიდესო“. აი კიდევ მაგალითი: 1900 წელს პარიზის გამოფენაზე რომ იყო, იქ კარებთან რომელიღაც საქველმოქმედო საზოგადოების ლატარიის ერთფრანკიანი ბილეთი მიაჩვენეს ხელში. პეტრემ ბილეთი ფრთხილად შეინახა თავის უბის პორტფელში. გამეცინა და ვუთხარი — ნუ თუ ამის იმედიც გაქვს მეტი? „ვინ იცის, ვინმემ ხომ უნდა მოიგოს, რატომ არ შეიძლება ეს „ვინმე“ ჩვენ ვიყოთო“. გავიდა ერთი წელიწადი, და თავის მეგობარს სწერს პარიზში: გაშინჯე ტირაჟის ფურცელი, ჩვენმა ბილეთმა ხომ არ მოიგო რამეო, განცხადებაში ორი მოგება სწერია ასიათას ფრანკიანო; „კარგი იქნება, რომ ეს ფრანცუზის ფული აქეთკენ გადმოსკუბდესო“. პასუხი მოუვიდა: ბილეთს არ მოუგია, ფრანცუზების ფული ჩვენსკენ არ გადმოსკუბდაო. ამაზე პეტრე სწერს: რა გაეწყობაო, „ნუგეშად მინც გვრჩება, რომ ორიოდ გროში [ე. ი. ბილეთის ფასი] ჩვენგან ერგოთ მათ, ვისგანაც ჩვენს თეატრს ურგია მათის ხელოვნებისაგანაო“... 1)

ბუნებით არ იყო ადვილად რისამე დამჯერებელი. არ იყო ახირებულად შიმნდობი ხასიათისა. მაგრამ როდესაც ვინმე ახალგაზრდას ნიჭს შეამჩნევდა ან ასეთის დაბეჭდილ ნაწერს წაიკითხავდა, ყოველთვის უზომო სიხარულს განიცდიდა და იმედიანობა მოიცავდა. ძალიან უყვარდა ახალგაზრდობაში ყოფნა, მათთან ბაასი, მათი მისწრაფება-მიდრეკილების გაცნობა. სულ ამას იძახდა: „უნდა გამოიზარდოს ნასწავლი ხალხი, მეტი ნასწავლი ხალხი გვეჭირვება“.

შეოთხმოცდაათე წლებში მაჰმადიან ქართველთაგან ორი ყმაწვილი გამოიზარდა ქართველი საზოგადოების დახმარებით საშუალო სასწავლებლებში. პ. უმიკაშვილი დიდ მონაწილეობას იღებდა მათი სწავლაზე მოწყობის და შენახვის საქმეში. „პიონერები არიან, პიონერები!“ იძახდა გახარებული. ის ყმაწვილები, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში გაემგზავრნენ 1895 წელს. ერთი მათგანი კაიკაციშვილი იყო გვარად, ქობულეთელი. პ. უმიკაშვილი მთელი საათობით ელაპარაკებოდა ამ ყმაწვილს წასვლის წინ, არიგებდა, სთხოვდა, ასწავლიდა. სარეკომანდაციო წერილიც გაატანა პროფ. პეტრიაშვილთან, სადაც, სხვათა შორის სწერდა: „გთხოვთ ამ ბარათის მომტანს ასლან კაიკაციშვილს იცნობდეთ. ეს არის... მუსულმანი ქართველი, რომელიც პირველი პიონერია... დარწმუნებული ვარ, თქვენ გაგასარებთ, და იმედი მაქვს, მიხვდებით, რა გრძნო“.

1) იგულისხმება უმთავრესად მოლიერისა და სარდუს პიესები, რომლებიც მრავალჯერ დადგმულა ქართულ სცენაზე.

ბითაც ვისტუმრებთ თქვენთან“. საუბედუროდ, ეს ყმაწვილი ორი წლის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა (ოდესაში). პ. უმიკაშვილის გლოვას და მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. „ამოდენა მისი და მის გარს მყოფთა შრომა, ზრუნვა, — მწერდა მაშინ, — სულ დაიკარგა. პიონერი იყო, იმის მიხედვით იმედი გვქონდა, სხვებიც გზას გაიკვლევინო, და ასე უწყალოდ წავიდა იმედი“.

ასევე თავგამოდებით ზრუნავდა პ. უმიკაშვილი იმ ახალგაზრდების ბედზე რომელნიც, თავიანთი ნაწერებით უურნალ-გახეთებში, მას იმედებს აღუძრავდნენ. სწერდა წერილებს თავის ნაცნობ-მეგობრებს და ყველას ამას ჩასჩინებდა: მივეშველოთ, უჭირთ ცხოვრება უსახსრობის გამო, ეტყობა გამოგვადგებიანო. იმ ხანად ასეთი ახალგაზრდები უფრო ხშირად სასულიერო სემინარიიდან გამოდიოდნენ. პეტრემ ეს გარემოება შეამჩნია, და აი, იგი იწყებს კამპანიას სემინარიელების სასარგებლოდ, მათთვის სტიპენდიების დასაარსებლად. მრავალთ-მრავლიდან ავლნიშნავ მხოლოდ მისი ორი კორესპონდენციის რამდენსამე სტრიქონს. იგი გრძელ წერილებს სწერს პროფ. პეტრიაშვილს: თავ. ზაქარია ერისთავი აპირობს სტიპენდიების დაწესებას რუსეთში მიმავალ მოსწავლე ახალგაზრდობისთვისაო, შენ მას იცნობ და ურჩიე, სტიპენდიები დანიშნოს საზღვარგარეთ სასწავლად წამსვლელებისთვისაცო, ამათში განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევნი არიან სემინარიელებიო. იმავე ხანებში (1896 წ.) იგი ნიკ. ცხვედაძეს სწერს (ბათუმიდან): „კარგა ხანია თავში მიტრალებს ერთი აზრი სემინარიაში კურს დასრულებულებზე. დიდი ყურადღების ღირსია მათი მდგომარეობა. სულ მოსაზრება უნივერსიტეტის სტუდენტებზე და გიმნაზიელებზეა მიმართული, შემწეობა მივცეთო, როდესაც უმრავლესობა ქართველი ყმაწვილებისა სემინარიაში ასრულებს. ყმაწვილებში ძალიან შრომისმოყვარეობას და საიმედო ღირსებას მეტს ვხედავთ, ვიდრე თავადაზნაურთა შვილებში. მათში ვხედავთ ძალიან ნიჭიერებასაც, ნაკითხებასაც... ამისთანებს გზა უნდა შეეცეს საზღვარგარეთ უმაღლესი სწავლისაკენ. რა ღონისძიება მოვიპოვოთ... ამაზე ბევრი მიფიქრია. სტატია დავწერე კიდევ... მაგრამ ხომ იცი, წერით არაფერი კეთდება, და საქმიანობა პირველი რამ; ამას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, რომ ეს საქმე მოხერხდეს... შენი და შენის მსგავსის სასულიერო წოდებიდამ კაცების იმედი უნდა გვქონდეს. ეცადეთ, შეიერთოთ ყველანი და თავი დაანებოთ მარტო თავადაზნაურთა შვილების ბედზე ზრუნვას. 26 წელიწადი მასწავლებლად ვიყავი გიმნაზიაში, ხომ იცი, რაც შევწირე და რა იმედით, მაგრამ ამოდენა თავიანთი ყმაწვილ კაცებისა რა იმედს ვვაძლევს? სულ იმიტომ, რომ თავადაზნაურთა შვილები იყვნენ უმთავრესად გიმნაზიაში მოსწავლენი. დროა, დრო — მივაპყრათ თვალი იმ ნაწილს, რომელიც ჩვენში დღეს უფრო საიმედო ღონეს გვიჩვენებს. ნიკო, ამ სიტყვებს მეღონით არა გწერ, ამას ჩემი სისხლითა გწერ. გამიგონე, დაფიქრდი და შენი პატიოსანი ბეჯითობა, შენი კეთილი გული და მოსაზრება ამას მოანდომე“.

პ. უმიკაშვილს არასოდეს არ მიაწყინებოდა მიწერ-მოწერა, სირბილი და ფუსფუსი ისეთი საქმისთვის, რომელსაც ასე თუ ისე რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. 1896 წელს ბათუმში შეიტყო, რომ გრაცის პროფესორი შუხარდტი ქართულ ენაზე მუშაობდა და ქართული წიგნები ესაჭიროებოდა. იგი მაშინვე იწყებს წიგნების შეკრებას და თან თავის ნაცნობ-მეგობრებსაც აცნობებს ამის შესახებ და ავალებს იმ უცხოელი მკვლევარისთვის წიგნების შეგროვებას. ერთ ასეთ წერილში იგი სწერს თავის მეგობარს თბილისში (1 მარტს 1896 წ.): „...შუხარდტი ქართული ენის შესწავლაზე მუშაობს. ამბობენ, გამოჩენილი ფი-

ლოლოგია და შედარებითი გრამატიკის ნაწილზე ღვაწლი მიუძღვისო. შუხარტ-მა დაბეჭდა კიდევ ქართული ენის შესახებ... წიგნები ეჭირება. აქედამ, რასაც ვიშოვით, გავუგზავნით, მაგრამ რას ვიშოვით წვრილ ბროშურების მეტს. ამიტომ შენ უნდა მოგმართოთ, რომ შენ შეკვიბო წიგნები... გიგზავნი სიას... გამომცემლებს და ავტორებს სთხოვე თითო ეგზემპლარი. შუხარტს თუ ლეისტს უთხოვნია ვჯონებ ილია ჭავჭავაძისთვის წიგნები, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიას ცოტა გაუგზავნია, და ილია ხომ იცი, დაავიწყდებოდა“...

ასევე აგროვებს იგი (თავის ინიციატივით) მთელ წყება ქართულ წიგნებს, — ზოგს თავის ბიბლიოთეკიდან იღებს, ზოგსაც წერა-კითხვის საზოგადოებისაგან — და გზავნის ლეიპციგის ბიბლიოთეკაში დასაცავად (1901 წ.).

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ პ. უმიკაშვილმა დახარება და უარის თქმა არ იცოდა კერძო დავალებათა შესრულებაზედაც. ზესტაფონ-ბათუმში საამისო შემთხვევა ცოტა იყო, მაგრამ თბილისში მას ყოველთვის აუარებელი დრო და სირბილი სჭირდებოდა კერძო დავალებების შესასრულებლად. მცნობი მას მრავალთ-მრავალი ჰყავდა, და ასეთი დავალებები უთვალავი იყო ყოველთვის. ხან რას სთხოვდნენ და ხან რას. ზოგი სამ მანეთ ნახევარს უგზავნის ფოსტით და სთხოვს, „ივერიას“ გადაეცი გაზეთის ფასადო; ზოგს გაზეთი გამოუწერია, გაზეთი კი არ მისდის, და სთხოვს, გამიგე და მომწერე, რატომ არ მიგზავნიანო; ზოგს კალენდარი გამოუცია, შიგ ლექსები ჩაუბეჭდია სხვადასხვა ავტორებისა და პეტრეს სთხოვს, შემიტყვე, მაქვს ამის უფლება თუ არაო; ზოგს წერა-კითხვის საზოგადოებიდან წიგნები დაუბარებია, და სთხოვს — გამიგე, რატომ არ მიგზავნიანო; ზოგსაც სკოლაში შვილის მიღებაზე არხა მიუცია გუბერნატორისთვის, და სთხოვს — გამიგე, რა გადაწყვეტილებაოო; ზუგდიდში ბანკის დაარსებას აპირობენ, და პეტრეს სთხოვენ, სადმე იაფფასიანი და კაი ბუნჭალტერი გამოგვინახეო, და სხვა და სხვა. პ. უმიკაშვილს სოფლად ბევრი ხალხი იცნობდა, — თუ პირადად, თუ სახელით. და სოფლებში ხომ მუდმივი დავა და საჩივარი იყო მიწის თაობაზე. ამიტომ პეტრეს აუარებელი ხალხი მიმართავდა წერილებით თუ მოციქულების საშუალებით და სთხოვდა მათი დავისა და საჩივრების შესახებ ამბის გაგებას სხვადასხვა დაწესებულებებში. ზემოთ ნახსენებ ბრმა ალექსი გოძიაშვილს მადლობის ლექსიც აქვს გამოთქმული ასეთ საქმეში პ. უმიკაშვილის მხრივ დახმარებისათვის (1892 წ.), ეს ლექსი საინტერესოა და ნაწილობრივ გადმოვიღებ:

გახლდით წარსულ თიბათვესა ქალაქს სამართლის კარზედა,
ვეცადე, ვერა გავხდი რა, პეტრეს ვახლდი კარზედა.
მოვანსენე: თქვენ ბრძანდებით მოწყალე გლახაკთაზედა,
ულონოს ღონე — იმედი, დამრიგებელი ჰკვახედა;
ღმერთმა გიკურთხოს მშობლები, შენ რომ გშვეს ქვეყანაზედა,
გახლავართ დაღონებული, ამათ გაახელთ კარზედა,
ბრძანდებით წყლულთა ექიმი, მამრჩენი ამავე ჟამზედა.
მიშველეთ, ღმერთიმც გიშველით, დღეს ვზივარ ცეცხლის აღზედა,
ვერ ვპოვებ გუბერნსკის აგენტს, საქმე მაქვს მამულსა ზედა,
სამ წლამდენ არის არზები მივართვი საჩივარზედა,
მაგრამ პასუხი ვერა ვცან, ჯავრი მაწვება ჯავრზედა,
თქვენ გვედრებით მიმიძღვეთ იმ სასამართლოს კარზედა.

პეტრე, რასაკვირველია, გაჰყვა. გზაში ბრმას გამოჰკითხავდა ყოფა-ცხოვრებას, ხალხის მდგომარეობას ხევში:

შემდეგ ბრძანა: საარავგო ხომ კარგაა მხარე თქვენი,
შენი გონებით რას ატყობ, ხომ მრავლდება ერი თქვენი?
მოვახსენე: ღვთის ბრძანებით მესმის, რომ მრავლდება ერი,
მაგრამ სიღარიბემ დასცა, კი ველარ გაშალეს წელი.
ამასთან შურიც გახშირდა, ბარაქაც წავიდა ჩვენი,
დედა იმ შვილს ველარ უზრდის, წინ რომ ჰყვანდა მამულს ჩვენი.
სპილო მრავალ ხანსა ცოცხლობს, კაცმა რომ არ ახლოს ხელი,
ტანჯვა სიცოცხლეს შუა ჰყოფს, ნაბრძანები არის თქვენი,
რა ჰყოს კარგმა მონარდემ, თუ დროს შაში არ მოუვა,
ანუ კარგმა მონადირემ, თუ ნიშანში არ მოუვა,
თევზმან, გაბმულმან ბადეში, თუ კლანჭები არ გაუვა,
ცდა ტყუილი ამოა, თუ კაცს ბედი შორს წაუვა.

ამ ბაასით მიჰყვა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში, მოაძებნინა მისი საქმე, გააცნო მთხოვნელი იქაურ ქართველ მოხევეებს:

გააცნობინა თავადებს ეს გლახაკი თავი ჩემი:
გახლავთ დუშეთის მაზრიდამ და სოფელ გრემისხეველი,
ხედავთ, თვალუხედავია და დარდიც აწუხებს ბევრი,
მაგრამ ჭირს არ უზინდება, მაგრა უდგას როგორც კლდენი,
ცდილობს ქართველთ ენისათვის, სადაც კი უწვდება ხელი,
საქართველოს სასარგებლოდ ლექსები მოგვართვა ბევრი.¹⁾
თქვენ გემდურით, თავადებო, ენას არა შველით ჩვენსა,
სხვა პირები დაგვცინიან, გვეძახიან ნიჭმოკლესა.
სჯობს წიგნს წიგნი მივუმატოთ, ენას ვავრცელებდეთ ჩვენსა,
წყალი წყალს მივმატება, წისქვილს დააბრუნებს ბევრსა,
ეგრეთვე ჩვენი ნაღვაწი საუნჯეთ დარჩება ერსა.
ქაროულ ანდაზაში არის, ზოგ პირთ ემსგავსე ა ესა:
მამის სული გაუშვიათ, პაპის სულს ფიცავენ მხესა.
მათაც ბრძანეს: ვტყუით, პეტრე. ჭეშმარიტად ბრძანებთ თქვენცა,
თუ სათავე დაგვეკარგა, არხზე რით მივიყვანთ წყლებსა.

შინ რომ მოველ, პეტრეს საქმე სულ ვუამბე გრემისხევესა,
თქვენი მშვიდობა იკითხა, ხალხი შეგავედრა ღმერთსა.

დავალების შესრულებაზე პ. უმიკაშვილი უარს არ ამბობდა მაშინაც კი, როდესაც დავალების დამკისრებელი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება იყო და, მანასადამე, შას შეეძლო უარი ეთქვა ან გასამჯელო მოეთხოვა მაინც. ამ მხრივ ჭაინტურესა შემდეგი ამბავი:

1901 წელს ტფილისში გამოფენა უნდა გამართულიყო. შავი ქვის მრეწველთა საბჭომ წარმომადგენლობა სთხოვა პ. უმიკაშვილს. იმანაც იკისრა. შემდეგ გადიო-

¹⁾ ეს უსწავლელი სოფლელი, ბრმა გოდიაშვილი, ბევრ ლექსს სთხზავდა, სხვებს აწერინებდა და უგზავნიდა პეტრე უმიკაშვილს, — იქნებ გამოდგეს და დაიბეჭდოსო პ. უმიკაშვილის ქაღალდებში ამ გოდიაშვილის ლექსების მთელი რვეულებია დარჩენილი.

და დრო. პეტრემ რამდენიმე წერილი მისწერა საბჭოს: რას შვრებით, თუ მონაწილეობას იღებთ გამოფენაში, თადარიგია წინდაწინ საჭარო, რომ თქვენი პავილიონი ან კუთხე ხეირიანად იყოს მოწყობილი. იმათ ყური არ გაიბერტყეს, პასუხიც არ გასცეს, და მხოლოდ ოთხი დღით ადრე გამოფენის გახსნამდე გამოუგზავნეს ექსპონატები. უმიკაშვილმა, რაც შეიძლებოდა, ის გააკეთა იმ სამიოდე დღის განმავლობაში. ამის შესახებ შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობ ალ. ნანეიშვილისადმი მიწერილ ბარათში: „შევიტყვე, თურმე ბატონი გიორგი ზდანოვიჩი იმდურება ჩემზე გამოფენის ცუდად მოწყობის შესახებ... ოთხი დღის წინათ გამოგზავნეს ექსპონატები გახსნამდე, როდესაც საშინელი მუშაობა იყო, და თავბედი მაწყვევლინეს, სანამ რასმე მოვახერხებდი მოსაწყობად. ჩემის თრევისა და დროს დაკარგვის სამაგიეროდ სამდურავი და ყვედრება ვგონებ არც მე შემფერის და არც სამდურავის მთქმელს... სახარჯოდ გამოგზავნილია 75 მან. ამისაგან დარჩა ჩემთან 12 მან... (ხარჯი) ჩემ წასვლა-მოსვლაზე არ აღემატება 10 მანეთს... გამოგზავნი დახარჯულის ანგარიშს“.

ამგვარად, პ. უმიკაშვილს თავის შრომა-გარჯაში გროში-კაპეიკი არ აუღია ისეთი დაწესებულებისგანაც კი, სადაც სხვეტი უფულოდ ნაბიჯს არ გადასდგამდნენ. მან არ ითხოვა და იმათ არ იფიქრეს.

არ ითხოვა, რადგან საზოგადოდ თხოვნა არ იცოდა. ამიტომ მას იმდროინდელი ინტელიგენცია ფულიან კაცად სთვლიდა. გიმნაზიაში მას ჯამაგირი ჰქონდა 33 მან. 33 კაპ., და ასეთ კაცს ფულიანად სთვლიდნენ. გარეგნულად ჰქონდათ კიდევ ამის საბაბი. პ. უმიკაშვილი ფულზე ძალიან ხელმოჭერილი კაცი იყო. ის არასოდეს არ დახარჯავდა თავის შემოსავალზე მეტს, არამედ — ყოველთვის ნაკლებს, ორიოდ გროშს ყოველ თვე გადასდებდა მერმისისთვის, „შავი დღისთვის“. ¹⁾ ძალდან უფროთხილდებოდა ხარჯვას. რომ რამეს ყიდულობდა, თეთრ ფულს ყოველთვის ორ თითს შუა გასწევ-გამოსწევდა, ორი ხომ არ არისო ერთად მიკრულიო. ცხოვრობდა ძალიან სადად და ზომიერად. ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მანამ ატარებდა, ვიდრე არ გაცვდებოდა და შეკეთებითაც გამოუსადეგი არ გახდებოდა. ის არავის უნახავს თავისდღეში მოქეიფე ან ზემეტად მხარჯველი. სტუმარსაც რომ დაჰპატიჟებდა, ზომიერად გაუმასპინძლდებოდა. თეატრებში წასასვლელად კი არ ენანებოდა ფული. აგრეთვე წიგნებისთვისაც. ²⁾

თავისას ახირებულად არ დახარჯავდა, არც გასცემდა, მაგრამ სხვისიც არა უნდოდა რა. ფრიად მართალი და პატიოსანი კაცი იყო, ფულის საქმეშიც. მის ქალღმერთში არის წერილი ვინმე რაუზერის (პეტერბურგიდან), რომლისგანაც, პეტერბურგში ყოფნის დროს, პ. უმიკაშვილს 40 მან. უსესხნია და რომლისათვის ეს ფული, თბილისში დაბრუნებისა და ადგილის შოვნის შემდეგ, გაუგზავნია. ის კაცი მადლობას სწერს გაკვირვებული და გაოცებული, — მადლობელი ვარ, რომ ადამიანის მიმართ რწმენა დამიბრუნე; შენ ერთადერთი კაცი ხარ მანდემამ,

¹⁾ მისი სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა სკივრში მისი დეიდის ხელში, რომელიც მასთან ცხოვრობდა, 12 ათას მანეთამდე, საადგილმამულო ბანკის ობლიგაციებით. ანდერძი ვერ ვიპოვე და არც ვიცი ნამდვილად, ჰქონდა დაწერილი თუ არა. მისი დეიდა (ეკატერინე კაკალაშვილი, გაუთხოვრად დაბერებული) გარდაიცვალა 1920 წელს.

²⁾ თავისი ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა, რომელსაც შეზავბარე მისი სიკვდილის შემდეგ.

რომეომაც ვალი გადამიხადაო. ანდა შემდეგი ამბავი: 1899 წელს ერთ სალამოს მასთან მივიდა პოლონელი მრეწველი, გვარად ემერიკი, რომელმაც ნ. ლოლობერიძის მადნიანი ადგილები იყიდა, და მაგიდაზე დაუყარა 50 ათასი მანეთი ლოლობერიძისთვის ჩასაბარებლად. ლაპარაკში გაერთნენ. ემერიკის წასვლის შემდეგ პ. უმიკაშვილს მოაგონდა, რომ ფულის მიღების ბარათი არ მიუცია, და აი, გარბის თავმოვლელად, ეძებს ემერიკს და ბოლოს სადგურზე დაიჭერს და ბარათს ჩააბარებს. „ამისთვის თავს რას იმტვრევდი მეთქი“, რომ ვუთხარი, — რას ამბობო, სიკვდილ-სიცოცხლეა, და მაშინ იმ კაცებს შორის სადავო საქმე გამხდარიყო?

სიკვდილის შემთხვევა — ჰო, თორემ ის ისეთი კაცი იყო, რომ მასთან ხელწერილები და თამასუქები ადამიანს არ ესაჭიროებოდა. თავის დღეში სხვის მოტყუებას არ მოინდომებდა და განზრახ ცრუობას არ ეტყოდა. ადვილად არავის არ შეჰპირდებოდა რამეს, მაგრამ შეპირების შემდეგ კი აღთქმულს უეჭველად შეასრულებდა. სიმართლე და პირიანობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და ტყუილის მოლაპარაკე ადამიანი. როგორც კი ვინმეს ერთს, თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა, მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმართლე და სიტყვის გაუტეხლობა მისი მთავარი მცნება იყო ცხოვრებაში. ამიტომ მისი მცნობნი, როდესაც წერილებს სწერდენ, ხშირად ასე მიმართავდენ მას: „ჩვენო უპატიოსნესო პეტრე“ — ო, ასე უწოდებია მისთვის დიმიტრი ყაზბეგსაც. ¹⁾ პავლე ლუდუშაურის მოწერილობათში (1887 წ. 2 თებერვალი) ასეთ ადგილს ვხვდები: „ჯერ როდე-

¹ რომლის შესახებ არსებობდა და არსებობს ეჭვი: ალ. ყაზბეგის მოთხრობების ნამდვილი დამწერი. ის არისო. ამ საკითხის შესახებ მწერლობაში არსებულ მასალებს მი დაუფიქრებ შემდეგს. პავლე ლუდუშაური სწერს პ. უმიკაშვილს სტეფანწმინდიდან (1896 წ. 2 იანვ.): იწერებით, „დიმიტრის ნაწერები ხომ არა ჰქონდა რა და თუ ჰქონდა რამე, ვის დარჩა ან შენთვის ხომ არ წაუკითხნია რა, ან არა უთქვამს რაო“. დიმიტრის ჩემთვის თავის ნაწერების არა წაუკითხნია რა, ერთხელ ერთი პატარა ლექსი, კი არ ვიცი საიდან იყო, შეგლიდინა: „პაპა მყვანდა მეომარი, ლხინი იყო მისთვის ომი“ და სხვა. ერთიც პატარა რუსული ლექსი: „Не христиан я давно“ და სხვა. თუ როდისმე მითხოვნია, აბა ერთი ან წიგნი ან შენი ნაწერი რამე გქენება და წავიკითხოთმეთქი, მაშინ სტოლზე ნაწყობის წიგნებიდამ აიღებდა რასმე და იქიდან წავიკითხავდა. ერთხელ იმ წალოზე მივუთითე, რომელიც წიგნებით სავსე და (სეკრეტნი) ნომრების საღების კლიტით ჰქონდა დაკეტილი, — აი იქიდან რამე წავიკითხე მეთქი. ამაზედ კი პასუხად მითხრა: მაგისტრის ჯერ ადრეაო, მაგებს თავის დროზე თქვენ თბთონ წაიკითხავთო, ეგ ჩემი ხაზინააო და მანდედამ შენც რამე გერგებაო. დიმიტრის სნეულობის დროს და სიკვდიელშიაც მე და ალოშკა განუშორებლად თანა ვჰყავდით, მაგრამ იმ წალოზედ მაშინაც არაფერი უთქვამს. რა სალამოსაც დიმიტრი გარდაიცვალა, იმავ დამე სანდრო ამოვიდა იქ და იმ წალოს მიმართა. გაალო, რაც ბყო, გამოალაგა და თან წაიღო, რამდენიმე ქაღალდები კი იქვე ანთებულ ბუხარში დასწვა. მგონი ცოლს არ ებარებოდა რამე და არც ეცოდინებდა, რადგან სიკვდილში აქ არ იყო, მაგრამ თუ კავკაზში ჩაველ, ვკითხავ კია“ — ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება. პატივცემული იაკობ მანსვეტაშვილი თავის მეტად საინტერესო და გამტაცად დაწერილ წიგნში („მოგონებანი“, ფედერაცია, 1936, გვ. 210-213). ამბობს:

საც თქვენ არ გიცნობდით — სწერს იგი პ. უმიკაშვილს — და აქა გნახეთ, მაშინ დიმიტრისა ვკითხვ: ვინ არის ეგა მეთქი, და იმან მითხრა, — მაგას უპატიოსნესი პეტრე ჰქვიანო. როგორა მეთქი? ისეო, რომ ჩვენ ქალაქში ბევრი კაი პატიოსანი ახალგაზრდააო, მაგრამ ეგ უპატიოსნესიაო; თუ გაცივობ, შენც გაიგებო“.

და რახან ფულს არასოდეს არ სესხულობდა და უფულობაზე სხვებსავით არ წუწუნობდა, — ფულიან კაცად სთვლიდნენ. მოსვენება არ ჰქონდა ფულის მოსესხეებისაგან. ისეთი კაცებიც კი ესესხებოდნენ ფულს, რომელნიც ერთ ღამეში გა-

„წინაღაც ბევრისგან გაიგონებდით და ამ რამდენისამე წლის წინად ხომ ერთი განგაში იდგა სანდრო ყაზბეგის სახელის გარშემო, მეტადრე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ელისაბედ ყაზბეგის, სანდროს ბიძაშვილის, ნაწერები, სადაც ეს ქალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგისააო და სანდრომ მხოლოდ მიიჩმიაო... წარმოიდგინეთ, ლიტერატურის მკვლევარი ზანდუკელიც აპყვა ამ ქალის ფეხის ხმას... საბუთად ის მოპყავდათ, რომ დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყოო... პ. უმიკაშვილი ალაპარაკდა ერთ დროს ამათ მაგიერ. ეს ჩვეულებრივ ფრთხილი და ჩუმი კაციც კი აპყვა ზოგიერთების ხმას და გაიძახოდა: აი ჩქარა დაგებუდავთ დ. ყაზბეგის ნაწერს[ო]. და დაბეჭდა კიდევ თავის „კრებულში“ ამ „დიდის ჭკუის და ნიჭის“ კაცის ნაწარმოები. მერე რა აღმოჩნდა? უბრალო კორესპონდენცია მოხვევების ცხოვრებიდგან... ბევრმა უსაყვედურა პეტრეს: რას გვპირდებოდით და რა გამოდგაო, ეგ რა დასაბეჭდი იყოო. აკაკიმ ხომ ვეღარ მოითმინა და პირში არტყა პეტრეს: ვაი შენ ჩემო პეტრეო, შე ჩერჩეტო და ხეპრეო“.

ცხადია, პატივცემული იაკ. მანსვეტაშვილს აქ მხედველობაში აქვს დიმიტრი ყაზბეგის „მავნე სულები“, რომელიც „კრებულში“ დაბეჭდა 1872 წელს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ დაუკავშირა იაკ. მანსვეტაშვილმა ამ წერილის პ. უმიკაშვილის მიერ დაბეჭვდა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების ავტორობის საკითხს, რომ პ. უმიკაშვილი ვითომ „აპყვა ზოგიერთების ხმას და გაიძახოდა: აი ჩქარა დაგებუდავთ დ. ყაზბეგის ნაწერსო“, რომ დაბეჭდა კიდევ, მაგრამ ამით ყველას მოლოდინი გაუცრუა, უსაყვედურეს კიდევ: „რას გვპირდებოდით და რა აღმოჩნდაო“. „აპყვა ზოგიერთების ხმას“... რის შესახებ? რომ „სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგისააო“? და ამ „ხმის“ სიმართლის შესაძლებლობის დასამტკიცებლად „დაბეჭდა“ კიდევ თავის „კრებულში“ ის „მავნე სულები“? თუ ეს აზრია იაკ. მანსვეტაშვილის სიტყვებში, იმ შემთხვევაში, იგი რაღაც „ლაპსუსი“ უნდა იყოს, ვინაიდან 1872 წელს, როდესაც დ. ყაზბეგი ცოცხალი იყო და არც „ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები“ ყოფილა ჯერ გამოქვეყნებული, არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე „ხმა“ — ასაყოლი თუ არ ასაყოლი — მათი ავტორობის შესახებ. ხოლო იაკ. მანსვეტაშვილის სიტყვები ზე იმას ნიშნავს, რომ პ. უმიკაშვილი „აპყვა ზოგიერთების ხმას“ — „დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყოო“, იმ შემთხვევაში მისი აზრი არაა მთლად მართალი. მართალია, პ. უმიკაშვილი კი იზიარებდა იმ აზრს, რომ „დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუის და ნიჭის კაცი იყო“ (მასზე დიდი, აზრისა ყოფილა ილია ჭავჭავაძეც), მაგრამ ამისთვის მას, პ. უმიკაშვილს, არ ესაჭიროებოდა „ზოგიერთების ხმის აყოლა“, ვინაიდან თვითონ პირადად იცნობდა კარგა დაახლოებით დიმიტრი ყაზბეგს.

აქრობდნენ იმდენს, რამდენსაც პ. უმიკაშვილი რამდენსამე წელიწადში ვერ იშოვნინდა. ესესხებოდნენ, მაგრამ პეტრე ამ საქმეში კლდესავით მაგარი იყო. ძნელი იყო მისგან ფულის დატყუვნა, თუმცა ზოგი ძალიან მოხერხებული ადამიანი ამას შესძლებდა. სწორედ ასეთი იყო თავის დროზე დარდიმანდობით და ბულვარების ტკეპნით ცნობილი ნესტორ ახვლედიანი. ვინ იცის, ვისი ფული იმ ახვლედიანს არ შეუჭამია. პ. უმიკაშვილისათვისაც დაუტყუვნია ათი თუმანი. ამ ფულის ამბავი და მის გამო უმიკაშვილის საჩივარი ფოთის მომრიგებელ მოსამართლესთან ნიკოლაძეს აქვს „Новое Обозрение“-ს იმ ფელეტონში აწერილი, რომელიც ზემოთ აღვნიშნე.

პ. უმიკაშვილი რომ ცოლშვილიანი ყოფილიყო, შექველია, თავისი მომჭირნობის მიუხედავად, ვერაფერს მოინარჩუნებდა თავის მჭლე შემოსავლიდან. მაგრამ იგი მარტოხელა ცხოვრობდა თავის დედასთან და შემდეგ დედასთან ერთად. დიდად მოყვარული კი იქნებოდა ოჯახის, რომ ჰყოლოდა. მაგრამ ქალებს მისი გარეგნობა არ იტაცებდა, თუმცა ამ გულთბილ ადამიანთან ლაპარაკი ყველას ესამოვნებოდა. პეტრეს, როდესაც 35 წლისა იყო (1873 წ.), ძალიან შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი. ეს იყო გიორგი წერეთლის ერთ-ერთი და, მარიამი. 7 თუ 8 წლის განმავლობაში ეტრფოდა მალულად, — თქმას, გამხელას ვერ უბედავდა. ბოლოს, დიდი გაჭირვებით, გაბედა და გაუტყდა, მაგრამ ქალმა არ თანაუგრძნო. პეტრეს, რომელიც მაშინ 40 წელს გადაცილებული იყო, სამუდამოდ გული დასწყდა. შემდეგ მას ქალის სიყვარული არ განუცდია, და უამისოდ კი ცოლი არ შეირთო, თორემ ისე აბა ცოლი ვის ვერ უშოვნია, რომ იმას ვერ ეშოვნა. ბედმა ისე ინება, რომ მისი სატრფო ახალგაზრდა გარდაიცვალა (ჭლექით) და პეტრემ მისი ნეშტი სასაფლაოზე მიაცილა.

თუმცა შემდეგ მას ახალი სიყვარული ქალის მიმართ აღარ გამოუცდია, მაგრამ ქალის გამოისობით ერთი დიდი უსიამოვნება მაინც შეემთხვევა. ერთმა დარდიმანდმა რაინდმა, გვარად ჯანდიერმა, ჯოხით მას თავი გაუტეხა კუკის ხიდთან და მეორე დღეს მუქარაც მისწერა. წერილი 1884 წლის 24 ივლისს არის დაწერილი, რუსულად, რომელშიაც დამწერი უბრძანებს უმიკაშვილს ხელი აიღოს იმ ქალზე, ვინაიდან მას, ჯანდიერს, ეკუთვნის „все ея существо. В противном случае я у Вас ее утащу из под венца, и поступлю с Вами еще ужаснее, чем обошелся вчера с Вами на мосту. Вы поймете, о ком я говорю, — о той, милостивый государь, с кем Вы смелились сидеть вчера... Я требую от Вас окончательно отказаться от нея, чтоб в мыслях даже не имели жehниться на ней, ни подойти к ней близко... иначе я Вас в дребезги разнесу. Жду ответа немелленно. Алек. Джандиери“.

ეს ამბავი, რასაკვირველია, მთელმა ქალაქმა შეიტყო, — ყველას მასალა მიეცა საცინლად და საკორიკანოდ. პეტრე თავის გატეხას ისე არ დარდობდა, როგორც იმას, რომ ამ საქმეში ახალგაზრდა ქალის სახელი იყო გარეული, რომელსაც, მართალია, იცნობდა და პატივს სცემდა, მაგრამ არაფერი რომანისებური მის მიმართ არ ჰქონებია და არც, რასაკვირველია, ქალს მის მიმართ. ქალის სახელის რეზილიტაციის გულისთვის, პეტრემ მოითხოვა საჯარო „საზოგადოებრივი სასამართლო“. შეიკრიბა ინტელიგენტთა მთელი სინედრიონი „დროების“ რედაქციაში, ¹⁾ დაიბარეს ის ჯანდიერიც, დაჰკითხეს მხარეებს, და გამოიკვია, რომ

1) იმ მანდილოსნის გადმოცემით. პატივცემულმა ეკატ. გაბაშვილმა გადმომცა იაკობ გაბაშვილის ბინაზე.

არავითარი საფუძველი და საბაზიცი კი არ ჰქონდა იმ ხელკეტიან მთარშიყეს მიცემული არც უმიკაშვილის მიერ, არც ქალის მიერ, რომელსაც არც ერთი მათგანის სიყვარული არ უფიქრია და რომელიც შემდეგ სხვას გაჰყვა ცოლად. ჯანდიერმა ბოდისი მოიხადა, შეეცდიო; პეტრე დაკმაყოფილდა და საქმეც ამით გათავდა.

მე ვიცი კიდევ ორი უსიამოვნება და შეურაცხყოფა, რომელიც პ. უმიკაშვილს მიუღია თავის ნაცნობებისაგან. მეორე შემთხვევა ის არის, რომ იგი წერილობით გალანძღა მსახიობმა ვლ. ალექს.-მესხიშვილმა. მესხიშვილის წერილი უთარიღოა, მაგრამ დაწერილი არის 1899 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მე ამ მოკლე წერილს მთლად და უცვლელად გადმოვწერ:

„ბატონო პეტრე! ძალიან მაკვირვებს თქვენი წერილი, ხუდადოვის ცოლმა ეგ პიესა გამოგზავნა თუ არა — არ მახსოვს და თუ გამომიგზავნა, ეგ მაშინ იქნებოდა, როცა რეჟისორად ტფილისში მე ვიყავი, ე. ი. ამ სამი წლის წინათ. მაშასადამე ეგ პიესა მანდ უნდა იყოს. შარშან კოტე ყიფიანს უნდოდა ეგ პიესა თავის საბენეფისოდ აქ დაედგა და რადგანაც პიესა არა გვქონდა, ყიფიანმა მიმართა სუნდუკიანცს და სთხოვა გამოეგზავნა, მაგრამ სუნდუკიანცმა გვიპასუხა, რომ პიესა ვერ ვიპოვეთო. წელს მე მინდოდა რეპერტუარში ჩამერიცხა ეგ პიესა და ვასო აბაშიძეს მიემართე თხოვნით, რომ გამოეგზავნა, მაგრამ მაგისაგანაც არ მომივიდა. თვით მე ეგ პიესა ვერ გამომადგება, რადგანაც მე იმაში არავითარი როლი არა მაქვს, მაშასადამე ჩემთვის იგი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, თუ გასტროლიორი არ ისურვებს თამაშს, როგორც ყიფიანმა მოინდომა. ეგ პიესა ჩვენს ბიბლიოთეკაში არ არის და არცა ვსაჭიროებთ. ძალიან კადნაურება იყო თქვენის მხრით თქვენგან მოწერილი ფრაზა: „თქვენ უნდა გამოგზავნოთ, რადგანაც თქვენ წაგიღიათ. გთხოვთ მალე“. რომ ადვილად აჰყვებით ხოლმე სხვის ფეხის ხმას; — ეს დიდი ხანია რაც ვიცო, რადგანაც საკუთარი მოსაზრება ღმერთს თქვენთვის არ მოუცია. მაგრამ არც ისე უნდა დაჰკარგოთ გრძნობა-გონება, რომ ღამთაღამაგით ათამაშებინოთ თქვენი თავი. თუ ეს წერილი ჭკუას ვერ გასწავლით მაშინ სხვა ღონისძიებას ვიხმარო. თქვენ არა ერთხელ მოგსვლათ ჩემს შესახებ ეგ მიქარვა და კვლავ აღარ გაბედოთ. ვლ. მესხიშვილი“.

რომ მკითხველმა გასაჯოს, რამდენად მართებული იყო მესხიშვილის ასეთი წერილი, მისცა თუ არა მას პ. უმიკაშვილმა თავისი წერილით საფუძველი ან საბაზი ასეთი პასუხისათვის, მე გადმოვწერ სრულად და უცვლელად უმიკაშვილის წერილსაც, რომელიც დაწერა ღამის ტფილისში 28 სექტ. 1899 წ.

„ბატონო ვლადიმერ! თქვენ წაიკითხავდით ივერიაში, რომ სუნდუკიანცის პიესების დაბეჭდვას აპირებდნო. ამის შესახებ მე ვიკისრე ყოველი ღონისძიება, რომ სუნდუკიანცის პიესები ერთ წიგნად დაიბეჭდოს, რომელიც დიდად საჭიროა ქართულის სცენისათვის, ნებართვა მომცა სუნდუკიანცმა; მოლაპარაკებული მაქვს მბეჭდველთან, რომ დაბეჭდავს. საჭიროა პიესები ხელში მქონდეს. აქ დრამატულ საზოგადოების ბიბლიოთეკაში არ ამოჩნდა „დაქცეული ოჯახი“. მოვიკითხეთ აქა იქ და ბოლოს მოვაგენით, რომ ის პიესა გამოუგზავნია თქვენთვის ლომაურის ცოლს (ხუდადოვის დას). ახლა გთხოვო, ამისთანა მარჯვე შემთხვევა არ დაგვაკარგვინოთ და ეგ პიესა მონახოთ თქვენს ბიბლიოთეკაში, აგრეთვე მოვიკითხოთ თქვენს ნაცნობებში და მოგვაშველოთ. ყველა პიესები თუ ხელში არ მექნა, დაბეჭდვა არ შეიძლება და არ შევუდგები, სანამ ეგ პიესა არ ვიპოვე. სხვა პიესები ყველა გვაქვს, ეგ გვაკლია. იმედი მაქვს, რომ თქვენც ჩემსავით მოსურნე ხართ, დაბეჭდილი პიესები გვქონდეს. თქვენ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროთ და მოს-

ძებნოთ. აქ ვერსად ვერ ვიშოვეთ და თქვენ უნდა გამოგზავნოთ, რადგანაც თქვენ წაგიღიათ. გთხოვთ მალე. გამოგზავნეთ ან ჩემ სახელზე: В Тифл. П. И. Умикову, სხვა არაფერია საჭირო, ფორტამ იცის ჩემი ადრესი, ან გამოგზავნეთ დრამატიკულ საზოგადოების სახელზე. ორსავე შემთხვევაში с налоговым платежом, რომ ხარჯი არ მოგივიდეთ. დაგწოები მომლოდინე პიესისა პეტრე უმიკაშვილი“.

მე არას ვამბობ ამ ინციდენტის გამო, — ფაქტს უკომენტაროდ ვიძლევი. მაგრამ არ მგონია კი, რომ ისტორიამ ჩვენი დიდი მსახიობი გაამართლოს ამ შემთხვევაში.

მესამე შემთხვევა შეეხება იმ უსიამოვნებას, რომელიც პ. უმიკაშვილს მოუვიდა „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქტორთან — ანასტასია წერეთელთან. 1895 წ. ოქტომბერს ანასტასიას ასეთი წერილი მიუწერია პ. უმიკაშვილისათვის:

„ეს სამი კვირაა შეწუხებული ავადმყოფი ვარ და სულ იმას ვწუხდი, რომ ვაი თუ ამიტყდეს რამე და ვერ მოვასწრო გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი ზიზღი, ბატონო უმიკაშვილო! იმაზე, რომელიც თქვენ გამოიწვიეთ უკანასკნელ სხდომაზე წერაკითხვის საზოგადოებისა. იმის მაგიერათ, როგორც შეშვენის პატიოსანს კაცს, რომ პირადათ მოგელაპარაკნათ გიორგი წერეთელთან მართლ-წერის შესახებ, რომ მთელი ბათუმის საზოგადოება „კვალის“ წინააღმდეგიაო, როგორც მაშინ თქვენა ბრძანეთ, თქვენ მობრძანდით კრებაზე, სადაც იცოდით, რომ უმეტესი ნაწილი „კვალის“ წინააღმდეგ იყვენ, და დაიწყეთ დაცრევა და ოხუნჯობა, ვითომდა მთელი ბათუმის მაზრის აზრს ეუბნებოდით ყველას. თქვენ მაშინ ღირსი იყავით სილის შემორტყმისა, ხელიც გავიწვდინე, მაგრამ ბოლოს თავი შევიკავე. ეს ზემი ნაწერი შეინახეთ თქვენ არხივში დოკუმენტებთან, გამოგადგებათ, როგორც აზრი „კვალის“ რედაქტორის ანასტასია წერეთლისა“.

მე ეს წერილი იმთავითვე არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ პ. უმიკაშვილს რაღაც უსიამოვნება მოუვიდა ცოლქმართან „კვალის“ მართლწერის გამო. მას ზშირად ულაპარაკნია ჩემთან და სხვებთანაც იმ თემაზე, რომ „კვალმა“ განდევნა „ს“ და „პ“ ქართული ზმნებიდან. „კვალის“ მართლწერას ვერ ურიგდებოდა. მის ხელნაწერებშიც ვპოულობ მაშინდელ ასეთ შენიშვნას: „სხოლასტიკა იცით, რაც არის, — იგი ბუნების კანონს კი არ უყურებს, რაღაცა განყენებულ მოსახრებაზეა დამყარებული. რათ გინდათ, რომ სხოლასტიკური მართლწერა შემოგაქვთ?... თქვენ სწერთ: ვიცა — მისცას მაგიერ, დაწვდა — დასწვდას მაგიერ, დია — სდიას მაგიერ, კრა — ჰკრას მაგიერ და სხვ.“ მის ქალღმერთში არის საპიესო სურათის ფრაგმენტი, სადაც საქართველოში საქმეების გასაცნობად ოლიმპიდან ჩამოსულ იუპიტერს უამბობს ქართველი ლიტერატორი: „აი, ბატონო, დავიწყოთ თუნდა წერის მზრიფ. ერთი ასე ამბობს: პრომეტეოსმა ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანს მისცაო. მეორე უარს ამბობს, ეჰ ძველი ენააო და ახალი ენით ასე უნდაო: პრომეტეოსმა ღმერთებს ცეცხლი მოპარა და ადამიანს მიცაო... ამგვარად, შედგა ორი პარტია, ერთი ამბობს, ძმამ ძმას ხმა გასცაო, და მეორე ამბობს, ძმამ ძმას ხმა გაცაო. ასე აირიყვნენ და ერთმანეთისთვის ხმა ვეღარ გაუტიათ ულანძღავათ“.

მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ გიორგი წერეთელი უმიკაშვილთან მომდღურავად არ იყო და მასთან სახლში მსვლელობა ჰქონდა იმ ინციდენტის შემდეგაც. პ. უმიკაშვილის ქალღმერთში წერილიც არის გიორგი წერეთლის (1897 წ. 31 დეკ.), რომელიც მას თავის სახლში ეპატიჟება ახალწლის შესახვედრად:

„ძმაო. პეტრე. ეს არის ახლა მოვედი სოფლიდან; გამახსენდა ძველი ახალწლის“.

ნობათი პეტრიძისა¹⁾ და მინდა, რომ ოც წელს შემდეგ ისევ შენთან გავითენო ახალი წელი და სიყმაწვილე ჩემი გავიხსენო. აპისტოვის გთხოვ, ძველი უსიამოვნება ძველ დაბერებულ წელს გავატანოთ და ახალწელიწადს ახალი აღფრთოვანებული იმედებით მივეგებოთ მე და შენ, ვითარცა სვიმონ მოხუცი, რომელსაც ხელში უჭირავს ეს ახალი წელი ვითარცა ახალი ყრმა, განმაახლებელი ცხოვრებისა და მომავლის იმედი. შენი გიორგი“.

ამიტომ, როდესაც მან მომწერა (1897 წ.), „კვალის“ რედაქციაში ვერ დავდივარ, რადგან ამ ორი წლის წინათ ანასტასიასთან უსიამოვნება შემემთხვაო, მე ხუმრობით შევეკითხე: არშიყოფა ხომ არ დაუწყე ანასტასიას და ამისთვის არ გაგიწყრა მეთქი, თუმცა არშიყოფისა და მიჯნურობის ასაკს მაშინ ერთიც და მეორეც, ყოველ შემთხვევაში პეტრე, გვარიანად გადაცილებული იყო. და იგი მწერდა პასუხად:

„შენ რომ უმზრახლობაზე მოგწერე ანასტასიასთან, წერეთლის ცოლთან, სულ გადაბრუნებულად გესმის. მიზეზი „ს“-ის გამოკლება იყო ზმნაში. ერთ კრებაზე გავეხმრე: ბაუშში ამბობენ მეთქი, რომ ცოლქმარს კბილები ჩასცვივია, „ს“ ვერ გამოუთქვამთ და „კვალსაც“ ჩააბეჭდეს თავისი ნაკლებულობა. ამაზე ტასო გაწყრა და გამიღამდა. ახლა შევრიგდით. ახალწლის ღამეს გიორგიმ მიმიწვია. (მიწვეული ვიყავი აგრეთვე ილია ჭავჭავაძესთან). ამ ღამეს მე არსად მინდოდა წასვლა... მეორე დღეს ვნახე ტასო... და ხელზე კოცნით მოვიბოდიშე“.

თუმცა პ. უმიკაშვილის ნათქვამში, როგორც ხედავთ, საიმისო მაინცა და მაინც არა ყოფილა რა, მაგრამ ქალის გული იმას მაინც ვერ მოითმენდა. უნდა გვანსოვდეს, რომ ანასტასია, როდესაც გიორგი წერეთელმა შეირთო, საკმაოდ შესული იყო ასაკსა შინა. 1895 წელს, როდესაც ის ინცინდენტი მოხდა, ის სულ რაღაც სამიოდე წლის გათხოვილი იყო, და ამ დროს პ. უმიკაშვილმა კბილების ჩაცვენაზე გადაუჭრა. გასაგებია ანასტასიას აღშფოთება.

მაგრამ აპატია, და ადვილად შერიგდნენ. და არც შეიძლებოდა არ შერიგებოდა ადამიანი პ. უმიკაშვილს. ყველამ იცოდა, რომ იგი სიწვეთით, ავგულობით, განზრახ არავის აწყყინებდა. ყველამ იცოდა მისი კეთილი გული, მისი ტკბილი და უწყინარი ბუნება, მისი მხურვალე თანაგრძნობა მწუხარებასა და ვაჭირვებაში. ვისთანაც შეივლიდა ნაცნობთან, ყოველთვის რაღაც სიტკბოება და გულითადობა შეჭქონდა მის შინაურობაში. იყო დიდი მოყვარე და მოალერსე ბავშვებისა და უდიდეს სიამოვნებას გრძნობდა, როცა ხანდახან რომელსამე ნაცნობ ოჯახში მოხვდებოდა და ორიოდვე საათს სასიამოვნო ბაასში გაატარებდა. ეს თვისება ხდიდა, მას ყველა ნაცნობისათვის საყვარელ და სასიამოვნო პირად. იგი ყველასთვის, „ჩვენი პეტრე“ იყო. ამიტომ მას პირადი მტრები ვერ ეყოლებოდა, არც ჰყავდა. და როდესაც გარდაიცვალა, მისმა სიკვდილმა ყველა მისი მცნობი გულწრფელად დაალონა და „ტკბილ პეტრეს“ დაკარგვა დახანანა.

პ. უმიკაშვილი ფიზიკურად ძალიან ჯანმრთელი აგებულობის კაცი იყო და ავადმყოფობა იშვიათად იცოდა. თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიაც მას სალი და „ყოჩაღი“ შესახედაობა ჰქონდა. ვერავინ იფიქრებდა მაშინ, რომ მას ისე ახლოს ედგა წინ სიკვდილი. იგი იმსხვერპლა გარეგნულად სულ უმნიშვნელო დაავადებად. რაღაც გაციების გამო ცალი ყური ასტკივდა, შიგნით დაუმწიფდა და ბალღაშია დენა დაიწყო. ექიმი, რომელიც სწამლობდა (ყურის სპეციალისტი

1) პ. უმიკაშვილის პსევდონიმი.

მაისურიან(ცი), აიშედებდა და მალე მორჩენას ჰპირდებოდა. მაგრამ ავადმყოფს თანდათან უარესობა დაეტყო. იყო ექიმთა კონსილიუმიც.¹⁾ მაგრამ სენმა თავისი გაიტანა²⁾. ყურიდან ჩირქი ავადმყოფს ტვინის აპკაზე გადაუვიდა, რამაც ტვინის ანთება გამოიწვია, და ეს ტკბილი და უწყინარი ადამიანი ორ დღეში წუთისოფელს გამოესალმა.

1904 წ. 28 მაისს (ძვ. სტ.) დღის 10 საათზე ქართველმა მწერლებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, პ. უმიკაშვილის ნეშტი გამოასვენეს მისი ბინიდან (თეატრის შესახვევი). მიცვალებულს მრავალმა ხალხმა სცა პატივი დასწრებით. კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში წირვისა და წესის აგების შემდეგ, ცხედარი წასვენებულ და დაკრძალულ იქნა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. წარმოთქმული იყო სიტყვებიც. მე არ მითქვამს: ვერ შევძელი.

P. S. ახლა ჩვენ: პეტრე და მე.

დიდი ბედნიერებაა მეხსიერება. თუ ადამიანს ნათელი რამ აქვს მოსაგონებელი. ანდაზაცაა: ვინც იცის, იცისო, მაგრამ ვითომ მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ? რატომ? ვერ ვიტყვი ზოგ რამეს, რადგან მაშინ უნდა ამომეწერა ადგილები მისი ნაწერებიდან, რომლებიც მას საიდუმლოდ, თავისთვის უწერია და სადაც იგი მხოლოდ ჩემი აღმატებულების ქებაშია გართული: ეს იქნებოდა ჩემი თავის ჩემივე ხელით გაწკებლვა. მაგრამ ნუ თუ არც ის უნდა მოვიხსენიო, სადაც მისი უსახლვროდ მოსყვარულე გული თრთოლვით ძგერს და გრძნობის შეუწყვეტელი შადრევანი სცემს? არ მითქვამს დღემდის, მიშლიდა მისი ხსოვნა, ქედის მოდრეკა მისი სურვილის წინაშე: არ უყვარდა, ეჯავრებოდა, როდესაც მის კერძო სიკეთეზე ილაპარაკებდნენ. მაგრამ 30 წელიწადი საკმაოდ დროა. მგონია, ახლა შეიძლება. რატომ, სხვამაც გაიგოს. მე ხომ ვიცოდი მისი გულის სიმდიდრე, დეე დღეს სხვებმაც შეიტყონ. ვამცნობ სხვასაც. თუნდაც მარტოდენ იმის დასამტკიცებლად, რომ კაცს, რომელსაც შეეძლო იმ ზომამდე ჰყვარებოდა ადამიანი, როგორც მას უყვარდა ამ სტრიქონების დამწერი, — ხორციით არც შვილი მისი, არც ნათესავი, — ასეთ კაცს არ შეიძლება არ ჰქონებოდა განსაკუთრებით მადლცხებული გული. მე მხოლოდ ნაწყვეტ ადგილებს ამოვწერ აქა-იქ მისი ბარათებიდან და დღიურებიდან, — სრულიად უსისტემოდ, — როგორც ხელში მომხვდება.

დღიურიდან: „რანაირად ვგრძნობ ამ ყმაწვილის გულის წყლულს; რომ სწავლა სურს და ვერ მოუხერხებია. ეს მე კარგად მესმის. მე თვითონ არ ვიტანჯებოდი ოთხ წელიწად ნახევარი, სანამ პეტერბურგში წავიდოდი? რამოდენი ნაღველი სულის განწირულება... რამდენი სიმწარე უნდა გამოგვევლო, ოჰ, ტკბილო აზრდილო დედისავ... რამ დამიხსნა?... ვედებოდი აქა-იქ... ღონისძიება მომცა სტეფანე პაპოვმა (რამდენიმე თვით, 4-5 თვით), და გამოვძვერ. 25 წელიწადი ყმაწვილებს გიმნაზია-ინსტიტუტში გვერდით დავუდეგ და ვეჩიინე, ვწერე, ვბეჭდე და რაიმე გავაკეთებ. რამდენი არიან იქნებ ჩემზე უკეთესის ღონისა... და მიდის მათი ცხოვრება წყალწალებულსავით, იბიტომ რომ შემთხვევა, უბრალო შემთხვევა გზას არ უხსნის.“ — „სულ კითხვა უყვარს... სწავლა რომ უმაღლეს სასწავლებელში... რომ პროფესო-

¹⁾ აღვნიშნავ, რომ ექიმმა (შემდეგში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა) სპირდ. ვირსალაძემ, რომელიც კონსილიუმში იყო მოწვეული, ჰონორარზე კატეგორიული უარი განაცხადა და არ აიღო.

²⁾ ამჟამად ასეთ შემთხვევებში, გამოყენებული საშუალება — ყურის მიდამოში თავის ქალას ტრეპანაცია მაშინ, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, არ იცოდნენ.

რობა წილად ერგუნებინა ბედს. მაგრამ სად არის ბედი? — „მინდოდა რამე წიგნი მეყიდნა მისთვის ოდესიდამ მისვლახე... ყმაწვილი კაცია, მინდა სახსოვარი ჰქონდეს ოდესისა“. — წერილებიდან: „ამ ბარათს გწერ დედიჩემის სურათის წინ. რა ბედნიერი ხარ, დედის გვერდით ზიხარ, შეგიძლია უალერსო წმინდის გრძობით, რომელსაც ვერაფერი გრძობა ვერ შეედრება. უალერსე და იალერსე, დასტკბი მაგ ალერსით, სანამ შეგიძლია“. — „მიუხედავად იცისო, ერთი ნაწილი ქალაქისა ჭაობიანიაო, ასე ამბობს ბროკჰაუზის ლექსიკონი. მართლა ჭაობიანია? ციებიანი ადგილი თუა, არ გავნოს კი? როგორ ატყობ?“ — „იწერები, კარგად ვარო, თუ არ მიმაღავ... ციება ხომ არ გამოგყვა ბათუმიდამ? გამიგონია, იცის, ბათუმის ჰაერმა, მერე გამოუჩნდებაო“. — „მეფიქრება, ტვინს აძლევ შეღავათს, დასვენებას, რომ ძალა არ გამოეღიოს, არ შესუსტდეს, თუ არა? — „დაწყვეტილი ციება... ბათუმისა გაგყვა, თუ მანდაური ჰაერის ბრალა?... შეიცვალე ჰაერი“. — „შენი კარგა ყოფნა და მორჩენილობა მახარებს. შენ თავის მოვლა არ იცი... ისწავლე თავის მოვლა ნემეცებისგან... დიდი ხნით თუ არ გეხერხება, ერთი ორი კვირით ჰაერის გამოცვლა კაი საქმეა“. — „გინახავს პროფესორი... ნახე, მალმალესაუბრე, დაუახლოვდი მოახრე და მშრომელ სტუდენტებს. რამდენი სიტკბოებუნდა ნახო, რამდენი ცოცხალი აზრი, ცოცხალი კაცი წარმოგიდგება თვალწინ“... — „ჩემი ფიქრი მუდამ შენკენ არის, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ჯანმრთელად ხარ, მუშაობ წრესგადაუსვლელად, გულდამშვიდებული, გონებადამშვიდებული“. — „უნდა იმგზავრო [გერმანიის] სოფლებში... თუ ბათუმისებურად სახლში შეიკუნჭვდა მარტო წიგნს უჩიხინე, ვერაფერი გამოვა, გაშალე ეგ პატარა ფრთები, რაც გაბადია. გადი-გამოდი, იმოძრავე, ნუ მოიბუზები, სულსაც არგებს და ხორცსაც“... — „მჯერა, მჯერა ჩემო საყვარელო, როგორი და რამდენგვარი ფიქრი გაგიგლიდა... ჩემო კარგო, განა ესეც რომ ყოფილიყო, რატომ არ შეიძლება ძმამ ძმას ჯა შეიღმა მამას ჰკითხოს ამისთანა ამბავიცა?“... — „მეფიქრება მარტოობაში არ ჩაიხრჩო თავი, გაიცანი სტუდენტები, გაიცანი, დაიმეგობრე“... — „კარგად იყავი, თავს კარგად მოუარე, გაძელ მანდაურის სიკეთით და მერე, თუ დარი დაგიდგა, კარგახანს მანდ ყოფნის შემდეგ. მოეხვიე, თუ ცოცხალს მოუსწარ, შენს პეტრეს“. — „კარგად იყავი, ჩემო კარგო, არ მოიღალა მუშაობაში, ნერვები არ დაისუსტო, გაერთე, საჭიროა ნერვებისათვის, დაისვენე. ხომ კიდევაც მითქვამს და მომიწერია“. — „შენი ვრცელი წერილი... რაღა თქმა უნდა, მასიამოვნებს და მადლობის გრძობას ჰბადებს, მაგრამ თანაც მეშინია, ჩემმა ვრცელმა წერილმა ვაი თუ შეავიწროვა, ვალდებულებასავით დაატყდა, დრო წაართვა, ძვირფასი დრო, და ეს მე არ მინდა... რაც უნდა გრძელი წერილი მოგწერო, არ იფიქრო ვალდებულება... ხან მოკლე, ხან გრძელი, გუნებას მიგანდოთ“. — „თავს მოუარე, სიმრთელეს გაუფრთხილდი და რეგულარულად იშრომე, იძინე, ილხინე კიდევ, კეგელბანი ნემეცებს უყვართ, ივარჯიშე, ბილიარდიც გარგებს“... — „მომიტევე შენი ჭირიმე მოკლე წერილისთვის“... — „ასეთ გუნებაზე ვარ (თავისუფლადაც ვარ დღეს) შენი კარგის ამბით დაყენებული, რომ მინდა გემუსაიფო და გული მოვიფონო, ჩემო კარგო“. — „მაშინებს კიდევ ის, რომ მუშაობა რეგულარულად არ იცოდი და ვარ თუ ახლაც ღამეს ათენებ და ნერვებს იშლი; ძილი და გართობა არ იცი... თუ ესეც მოახერხე და ჯანმრთელობასაც მოუარე, თუ სიმრთელეს უმატე, — ჩემი ნატურის ასრულება იქნება... გეხვეწები, რამდენადაც შეიძლებოდეს, წესიერად იმუშავე და გადაჭარბებით ნუ დაიზიანებ ჯანის სიმრთელეს“... — „...ნუ დახედავ ჩემ გრძელ წერილს, შენ თავისუფლად იყავი და თავს ნუ შეიწუხებ, — არ იქნება,

სამაგიერო ზომის წერილი უნდა მივწეროვო“.— „...გეყოფა ფრანცუზული და ნემეცუ-
რი [ენა]. ინგლისურიც გინდოდა გესწავლა. ენების შესწავლას დიდი დრო უნდება
და ტვინის მოლაღვა... თუ შენც დამეთანხმები, ვგონებ არ ვტყუი. ორ ენაზე,
ფრანც. — ნემეცურზე, მთელი მსოფლიო გონების ნაწარმოები იპოება“. — „შენი
პასუხი, თუ ჩემ დასამშვიდებლად მოგიწერია, არ დაგიმადლებ, და თუ მართლა
ასეა... შენივე ჯილდო იქნება და ჩემი გასახარებელი, დასაკმაყოფილებელი. მაგ-
რამ... პირდაპირ გეტყვი, შენ ნევრასტენიის გზაზე გხედავდი აქვე და მათიქრებს
არ გააძლიერო. შენ უთუოდ უნდა მოიჩინო თავი, უნდა მოიჩინო; შენი ბეჯი-
თობისა და მტკიცე ხასიათის იმედი მაქვს“... — „ძალიან შეშფოთებული ვიყავი და
დღედღეზე ვთვლიდი შენი წერილის მიღებას“. — „ძალიან ცუდია, რომ მოსწავლე
კაცმა არ იცოდეს განსაზღვრით, რა აქვს... მომიტევე, ვინ იცის, რამდენი ტანჯ-
ვის მიზეზი გაგიხლი“. — „იყავი იმედიანად, ნათელ გუნებაზე, თავს კარგად მოუა-
რე“. — „რატო არა მწერ, ახლა როგორ ხარ. თვალები როგორ გაქვს? არ ცდი-
ლობ, რომ მოგიკეთდეს? ეცადე, ჩემო კარგო, ჯანზე კარგა იყო, გებვეწები“. —
„... გინდა ქება გამომტყუო შენი ზარმაცობისათვის? ჰაი, შე პლუტო, შენა! ვერ
მოგართვი... ხომ არ გენატრება დიდი მუშაობის დრჰს [შავი ქვის კანტორაში]
დაგობროთ, ჰა? Но душки, იჯექი მანდ შენ ქერქში“. — „...ინგლისური ენის
შესახებ: თუ კი დრო ბევრი არ დაგეკარგება, ძალიან კეთილი. მე კიდევ დაგებ-
მარები, რომ გამოთქმა დაწერილისა გაგიადვილდეს. არის ანბანი Webster-ისა
რომელშიაც ყმაწვილების სავარჯიშოდ მრავალი სიტყვაა მოყვანილი, როგორ
გამოითქვას; იშოვე მანდ“... — „ნუ იწუხებ თავს, თუ დრო მიდის, მორჩინახე
იზრუნე“. — „ამას გთხოვ, თვალებს გაუფრთხილდი. როგორ გრძნობ? უფრო გი-
სუსტდება, თუ კეთდება? ეცადე რეგულარობას, ჯანსაღობას, თორემ წამანდენ
კაცს“. — „მოველი შენ ვრცელ წერილს, მაგრამ თუ დრო არ გქონდეს, ვალდე-
ბულებად ნუ სთვლი ჩემ მოლოდინებას“. — „გყავს მანდაურ სტუდენტებში ან
გარეთ მეგობარი ვინმე? ეს საკითხი გამივლის ხოლმე ფიქრში, — ავთ რომ
შეიქნება, ვინ ხედავს, ვინ მიხედავს მეთქი: ასე ვფიქრობ; რამდენიმე დღე თუ
გვიან მომივა შენი წერილი“. — „გთხოვ, ზომას ნუ გადახვალ, ღონე უნდა შეინარ-
ჩუნო, თვარა უაშისოდ ვერაფერს გააკეთებ. კვლავაც მომიწერია და ნუ მიწყენ
განმეორებას“. — „ვეფხვის ტყაოსნის სიტყვები მაგონდება... გაქვს კი ვეფხვის
ტყაოსანი? ხანდახან წაიკითხე, და ნემენცურად ჩააკვირდი, ქართულად იგრძენ
და მართლობაში, შორს ყოფნაში მეგობრობას გაგიწევს“. — „მე მხოლოდ ერთი
ფიქრი მაწუხებს. შრომის მოყვარეობასთან ვაი თუ შენ ნემეცურად არ გააწესრიგო,
რეგულარულად არ გაანაწილო დრო მუშაობასა, დასვენებასა, გართობასა და სეირ-
ნობას შორის. დახე, როგორ ჩამოვთვალე: მუშაობა ერთხელ ვახსენე და დასვენება,
გართობა და სეირნობა კი გავვკიმე... შენ რისთვისაც გელაპარაკები, ხომ იცი. კითხვა
გადაჭარბებით იცი, და გაფრთხილდი, არ მოიკლა ნერვები, ტვინი, სხეული. ესეც
ერთგვარი ლოთობაა. ყოველგვარ ლოთობას ერთნაირი ბოლო მოსდევს... აბა
მითხარი, მაგალითად, დღეში რამდენი ხანი გაისეირნებ სადმე სახალხო ბაღში,
ან ქუჩა-მოედანზე. ამისთანა ჩვეულება ხომ წარჩინებულ მოღვაწე-მეცნიერ მწერალ
კაცებსაც აქვთ“... — „წიგნების გამოგზავნა დამიგვიანდა... ფოსტაში ორ საათამდე
გინდება ადამიანს ყოველ რისამე გამოგზავნაზე. საყვედურად კი არ ჩამითვალო.
ნუ, ნუ იფიქრებ“. — „ეკ ოხერი ციება რას გადაგვიკიდა. მე ვეჭვობ, იქნება ეგ ციე-
ბა კი არა, შენი მოღალატეობა იყვეს შეტის, უზომო შრომისაგან, ღამის გატეხისა,

და სულ გაუწყვეტლად წიგნებში ჩიჩინისაგან... ჰაერის გამოცვლა და წამალი"... — „ჩემო კარგო, შენ ეხლა გაევროპიელდი, აზიურ ცერემონიებს ნუ გამიწევ, პირდაპირ მომწერე შენ საჭიროებაზე“. — „სახსენებელი არ არის ფოსტაში ცდა, ნეტავი კი ამისთანა გზაზე სიარული ბევრი მომიხდებოდა, შენ გულდამშვიდებული იყო და მოუსვენრობა არ შეგემთხვეს“. — „შენი სიმრთელის ამბავი მაცოდინე, როგორა ხარ“. — „თუ ვინცობაა მარცხი რამე აღმოჩნდა და ფაკულტეტმა არ მოიწონა [შენი] დისერტაცია, ამაზე ნუ შეიწუხებ თავსა"... — „ამას გთხოვ, შესვენებით იმუშაო, ჰაერში იარო, რომ ღონეზე იყო, არ დასუსტდე“. — „შენს წერილს მოუთმენლად ველოდი, ავადმყოფობისა შეფიქრებოდა"... — „მხედველობაში მიიღე, რომ პარიჟის სახლები ზამთარში საძაგელი ცივია და გაციება შენ, მეტადრე, საფიქრებელი გაქვს... ოთახებს ცუდად ათბობენ, ზოგჯერ პალტოებით სხედან და მაინც ძაგდაგებენო. ღამე ძილი რალა იქნება, მერე შენისთანა მოუსვენარი ძილის მცოდნესათვის, მალე გაცივდები“. — „რალაცა არ მომწონს შენი გაჩუმება, რომ მეზატრები და თან, ვინ იცის, ავით ხარ“. — „შენი ჭირიმე გაფრთხილდი, კარგა იწამლე, ეცადე და მალე გამრთელდი“. — „ახლა როგორა ხარ? გაფრთხილდი, გთხოვ მართალი ამბავი მომწერო და არ მომატყუო შენი ავადმყოფობის მიმდინარეობაზე“. — „შენ პირველ წერილში იწერები... ამაზე რა ლაპარაკი გინდა. არ მოგიკვდეს პეტრე, არაფერი გაფიქრებინოს. ნუ ხარ ხანდახან ტუტუცი“.

კმარა.

მაგრამ არა, არ კმარა. როდესაც ასე მელაპარაკებოდა შორიდან, თურმე თავს იკავებდა და ისე მელაპარაკებოდა: „უნდა გითხრა, ჩემო კარგო რომ გულის სითბოს ზოგჯერ შევზღუდავ, დავზავ განვებ, რომ ამ სითბომ არ აგრძობინოს მეგობრის ან ახლობელის გულს — მგრძობელ გულს — რაიმე ჭრილობასავით ტკივილი. ხანდახან გამონაჩენი სითბო მოსაბეზრებელია, დამჩაგრელია და ამის გამო ზოგჯერ საზიზარაცი. მე ვწერ ხან ცივად, ხან გულთბილად. ცივ წერილზე არ ვნანობ, გულთბილზე ეჭვი მეზადება, — წამკითხველი, ვინ იცის, ამ გულთბილობაზე რამდენს გაიცინებს და იტყვის: ტუტუცი, რას იწერებაო! გულის და სულის სითბო საუხჯედ მიმაჩნია და დავეჩვიე (მრავალ მიწერ-მოწერაში) ეს ჩემი გულის სითბო ჩემთვის შემენახა, როდესაც ის სხვისთვის არც საჭირო ყოფილა და არც გამოსადეგი“...

ეს გამომჟღავნებული გრძობა, თავისთავად უკვე ზღვა, თურმე ნაწილი იყო იმის, რაც გულში უღვიოდა თურმე თავშეკავებული იყო. როდესაც ასეთი რამ მოსხლტებოდა მის კალამს: „შენ, ჩემო კარგო, კიდევ და კიდევ იმაზე ლაპარაკობ, ვალეზიო. ადარ გაათავებ?! ხომ მითქვამს, — რომელი მოსწავლე წასულა სასწავლებლად თავისი ნაშრომით, რომ შენ წასულიყავი. ყოველ მოსწავლეს ან დედ-მამა ან ნათესავი ან საქველმოქმედო საზოგადოება აძლევს ღონისძიებას. ჩვენ ურთიერთობაშიაც ასეა ამას ემატება ჩვენი მეგობრობა, ნათელი, კეთილშობილი და გულწრფელი. დიახ, ჩვენ ცუდი კაცები არა ვართ, და ასე იყო და ასეც იქნება. ის დამყარებულია იმ დიდებულ და გულითად სიყვარულზე ჩვენის ხალხისა და ქვეყნისადმი, რომელიც უღონოს ღონეს აძლევს, ღარიბს და უქონელს გულმდიდრად აქცევს, უცხოებს ანათესავებს და სულით აერთებს. ეს წმინდა საძირკველია, ჩემო კარგო, ჩვენი შემაერთებელი. გიცანი ჩემ სასიხარულოდ, ჩემ გამხარებლად, ჩემ საიმედოდ, დარწმუნებული ვარ, რომ სამსახური ჩვენი დაქვეყნის ქვეყნისა ღრმად გაქვს გულში ჩანერგილი... ნუ გეშინია, პეტრეს, სიმართლის გრძობა გამჯდარი აქვს და მართალს, პატრიოსანს აზრს დააკვირდება... ნუ გეშინია, ჩემო კარგო, პეტრე არ იტყვის შეგმცდარ-

ვარო. რას ჰქვიან შეცდომა. ყმაწვილ კაცს უნდოდა სწავლა, შრომა შეეძლო. გარემოებამ ხელი შეუწყო და წავიდა სასწავლებლად, იშრომა, შეიძინა სწავლა. სურვილი და მხნეობა აქვს იმუშაოს. მორჩა და გათავდა... ასე, ჩემო გამხარებელო, არც შენი მეშინია, არც ჩემი. ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ დღევანდლამდე და წინ რაც იქნება, უნდა იყოს უეჭველად ნათელი, სპეტაკი, კეთილშობილი და გულწრფელი. მხნედ იყავი, კარგად“.

ახლა კი კმაროდეს.

ჰემმარიტად,—ღრმა აზრია ანდაზაში: „ვისაც ვინ უყვარსო“...

მანსოვს, ერთხელ ფრთხილად და გაკვირით მოვწერე ლეიპციგიდან: აქ უნივერსიტეტში დარჩენაზე მელაპარაკებთან მეტქი. ველოდი მეტყოდა: ჩვენ რის ვაივავლახით გავისტუმრეთ და შენ ჯანაბაში მიდიხარო? ნაცვლად ამისა, მომწერა: რატომ, ძალიან კარგი იქნება, ესეც საჭიროაო. და არა თუ ეს, სტატიაც კი დაბეჭდა ჟურნ. „მომამბეში“ ამის შესახებ: ზოგი ჩვენი ახალგაზრდები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებშიც რომ მოეწყვენ, კარგი იქნებაო.

დიაღ, ბრძნული ნათქვამია: „ვისაც ვინ უყვარსო“...

ჩემი და პეტრეს „ამბავი“ მოკლედ ეს არის:

22 წლის ვიყავი, რომ გამიცნო. განუშორებელ ფიქრად გადაექცა ჩემი სასწავლად წასვლა. თურმე ამაზე დარდობდა დღე და ღამ. ხან რა გეგმას ადგენდა და ხანს რას,—ჩემდა შეუტყობინებლად, რასაკვირველია. რამდენიმე თვის შემდეგ ჩამომიარაკა: მომგებინა ბილეთი მაქვს, ამ თვეში შეიძლება მოიგოს, შენც გიწილადებ სასწავლებელში წასასვლელადო. მე, როგორც გულით კუდა-აზნაურმა, ბურსაკულად მივახალე: მერე როდის მოგახსენე, რომ მივიღებ მეტქი. ეს ამბავი მასვე აქვს, გულნატკენს, თავის რვეულში ჩაწერილი.

მომითინა, მაპატია. მაგრამ ფიქრი იგივე ჰქონდა დღე და ღამ. ჩამჩიჩინებდა მუდამ, ცდილობდა ჩემ მორჯულებას: დახმარების მიღება რა სირცხვილია, განა ჩვენი ალა, ნ. დოლობერიძე, თავის საქმისთვის ცოტა ფულს სესხულობსო? თან თვითონ თურმე სთხზავდა და სთხზავდა სხვადასხვა კომბინაციებს. მისმა ნაცნობებმა კი შეამჩნიეს, რომ პეტრე ვიღაცაზე ვადაირია, მაგრამ არ იცოდნენ, ვისზე, იგი ხომ სახელს არ გაამხელდა: „მე თუ მენდობით, კიდევ უნდა დამიჯეროთ, სახელი რათ გინდათო“.

გავიდა ხანი. ერთ დღეს სახეგაბრწყინებული დაბრუნდა თბილისიდან ბათუმში: „ურაა,—შემომძახა,—გავარიგე, დავ. სარაჯიშვილი შემპირდა დახმარებასო“. უარი ვსტკიცე, ისიც უკმეხი უარი: როდის მოგანდვე სარაჯიშვილთან თხოვნა და შუამდგომლობა მეტქი. აენტო, გაცეცხლდა, მეორე ოთახში გავარდა,—მგონი იქ ცრემლებს იწმენდა (კარგა ხნის შემდეგ იქიდან თვალებდაწითლე-ბული გამოვიდა).

მთელ თვეს გაბუტული იყო, ხმას არ მცემდა. მაგრამ ბოლოს ესეც მომიტყინა, მაპატია. ახალგაზრდა მეგობრები შემომიჩინა,—ჩააგონეთო. თვითონაც კიდევ ერთ წელიწადს მეჩიჩინებოდა, როგორც იყო, დამიყოლია, და მაშინვე სარაჯიშვილისკენ გაექანა: აბა მიშველე, დავითანხმეო, მაგრამ ახლა იმან უთხრა უარი: რას ჩასციებხარ იმ ყმაწვილს, წასვლა არ სდომებია, შარშან უარი თქვა, შენ რას ატან ძალას,—არაფერს მოგცემო.

მაინც გული არ გაიტეხა. ეს უარი, რასაკვირველია, დამიმალა. მუჯღუჯღუნით გემზე შემავლო და თავი საზღვარგარეთისკენ შიკრა,

ხუთ წელიწადს იქ მარჩენდა. მაგრამ რჩენა რაა იმ ზრუნვასთან შედარებით, რასაც იგი ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა. ასეთ რამეებზედ კი ფიქრობდა

დაძინებისას და გაღვიძებისას: ნეტა გზა ხომ არ გაფუჭდა სადმე, და მე რომ გავუგზავნე, იმის მიღება ხომ არ დაუგვიანდაო. ერთ ვერ გამოითქმება ის საარაკო ზრუნვა და ამაგი. და ეს რომ კიდევ მოხერხდეს, ვერ წარმომიდგენია ისეთი საწონი, რომელმაც ასწონოს ის მადლი, რაც იმ ზრუნვაში იყო ჩატანებული.

ჩემი დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ორ წელიწადს იცოცხლა. არ ვიცოდი, — არ გაუმხელია, — ვინ ეხმარებოდა ჩემ შენახვაში. ვიცოდი მხოლოდ: ნ. ლოლობერიძე და დავ. სარაჯიშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ მის ქალაქებში ვიპოვე ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მას თურმე ეხმარებოდნენ. დღესაც არ ვიცი, მათში ხომ არ გამორჩა ვინმე. მე იმით ვიხელმძღვანელებ, რაც აღმოვაჩინე: იმ პირთ თანდათან, რამდენიმე წლის განმავლობაში, ვალი გადავუხადე მადლობით და ბოდიშით.

არ გადამიხდია ნ. ლოლობერიძისთვის და დ. სარაჯიშვილისთვის, არც პეტრესთვის. პირველი ჩვენში სწავლა-განათლების მეცენატები იყვნენ და გაცემულს არ იბრუნებდნენ, ხოლო პეტრე ღარიბი კაცი იყო და კი უნდა მიეღო განაცემი, თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა მოხერხებულიყო მისი დაყოლიება ამაზე. სიკვდილმა მოუსწრო.

მაგრამ რა, — რომ კიდევ მოხერხებულიყო, განა ეს იქნებოდა გადახდა? ეს იყო ვალი, რომელიც, რაგინდ მეხადნა, მაინც ვალად დარჩებოდა მუდამ, და კიდევ დარჩა. აბა სად მეშოვნა ის ზღვა გრძნობა მისთვის იმ სამაგიეროს მისაზღავად, რაც მას ჩემგან შეეფერებოდა.

სულმოუთქმელად ჩამოვწერე ეს სტრიქონები. აჩქარებით, თითქოს მალულად, გონების ფვალწინ ხელჩამოფარებულმა. იმიტომ, რომ მისი ხსოვნა დღესაც მიკრძალავს ამას. თავს მოიკლავდა, რომ ენახა. და რაღა ეს, — მან ისიც კი არ ისურვა (ვერას გზით ვერ დავითანხმე), რომ, როცა სწავლა დავასრულე, მისთვის მიმეძღვნა ჩემი პირველი შრომა.

სტამბისთვის გადასაცემად ვიღებ ხელში მის სურათს. ვუცქერი და როდი ვუცქერი. ვხედავ კი. ეს სახე მედგა წინ, როცა ცნობიერების თვალს ვახელდი, და გვევ სახე მიდგას გონების წინ, როცა დახუჭვაა მოახლოებული.

წინასიტყვაობა

პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში. მას ეს საქმე დაუწყია ახალგაზრდობაშივე (20—21 წლისას) და არ დაუგდია სიკვდილამდე (მისი უკანასკნელი ჩანაწერი დათარიღებულია 1903 წლით). მაშასადამე, იგი ამ მასალას აგროვებდა 40—45 წლის განმავლობაში. ბევრი თვითონ მის მიერ არის ჩაწერილი, ბევრი კიდევ თავისი მოწაფეებისა და ნამოწაფარების და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეუკრებია. არის აგრეთვე ნაწილი, რომელიც მას „დროება-ივერიის“ რედაქციებიდან მიუღია, როდესაც გაზეთებს მათ მიერ შილებული მასალა, უადგილობის გამო თუ სხვა მიზეზით, ვერ დაუბეჭდიათ (მაგალ., პატარა რვეული, რომელსაც აწერია პსევდონიმი „შემკრებელი მეც ვიყო“, ასევე მლ. ნ. ბაკურაძის [„ქართველი ოსებში“] ჩანაწ., ილ. ალხაზიშვილის ჩანაწ., თ. ხუსკივაძის ჩანაწ. და სხვ.). ზოგიც ჩამწერელთ მისგან დამოუკიდებლად ჩაუწერიათ და შემდეგ, მისა თხოვნით, მისთვის გადაუციათ (მაგალ., ილ. ჭავჭავაძეს, მლ. ი. გვარამაძეს [„ვინმე მესხს“], რომლის შენაკრები მას იონა მეუნარგიას ხელიდან მიუღია, ¹⁾ და სხვ.).

ასე წარმოსდგა პ. უმიკაშვილის ხელში მოგროვილი ფონდი ხალხური სიტყვიერებისა. ზოგი რამ აქედან მის სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა დროგამოშვებით სხვადასხვა გამოცემებში, — უფრო ხშირად მისი სახელის აღუნიშვნელად. მაგალითად: 1882 წ. „დროებაში“ (№ 70, 73) დაბეჭდილია იას. ნათაძის მიერ ჩაწერილი აჭარული ლექსები, რომლების პირი, პ. უმიკაშვილის ხელით დაწერილი, ამ უკანასკნელის ქაღალდებშია დარჩენილი (მე ეს ლექსები აღარ შემიტანია). ცხადია, რედაქციისთვის გადაცემამდე პ. უმიკაშვილს დედანი გადაუწერია და შეუნახავს, თორემ მისგან დამოუკიდებლად რომ დაბეჭდილიყო, მაშინ ხომ აღარც გადასწერდა და თუ შენახვა უნდოდა, დაბეჭდილს ამოსჭრიდა პირდაპირ გაზეთიდან. ანდა, იაკ. გოგებაშვილს არა ერთი და ორი ლექსი, ანდაზა და გამოცანა ჰქონდა პ. უმიკაშვილის ფონდიდან თავის სახელმძღვანელოებში შეტანილი, ხშირად (პედაგოგიური მოსახრებით) რაოდენადმე შეცვლილი, რაც თვითონ პ. უმიკაშვილსაც აქვს თავის ავტობიოგრაფიაში ერთ ადგილას აღნიშნული. მაგალითად: „მოდო ვნახოთ ვენახი“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „დილას ოქრო ხარ სტუმარო“, „ანდუყაფარ“, „მე ჯავახეთს რა მინდოდა“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „თებერვალი დადგაო“, „მინც არ მოვკლავ ტოროლას“, „ლიახვმა სთქვა“, „ორშაბათობით აშენდა“, „საბრალო დედაბრისასა“, „ალხევანს წავალ მარილისათვინ“, „საწყალი მელა ჩიოდა“, „დათვმა თქვა, სიზმარი ვნახე“. „ქალო, ვისი ხარ ლამაზი“, „ორშაბათ დილა თენდება, ავი დარები დგებოა“, „ყიყლიყო მამალო“ და სხვა. ასევე — მგონია — პ. უმიკაშვილის ფონდიდან უნდა იყოს აღე-

¹⁾ ამ ლექსების ნაწილი დაიბეჭდა 1913 წ. „საქართველოს სიძველენ“-ში.

ბული ის ექვსი ლექსი, რომელიც ი. ჯანაშვილი გამოსცა 1878 წელს „ამირანის“ სათაურით (წიგნაკში მოთავსებულია: 1) ამირანი, 2) ავთანდილი, 3) სოლოლა, 4) ტფილისის ქება, 5) საბრალო დედაბერი და 6) ცა და დედამიწა).

პ. უმიკაშვილი უღვაწლო და უმოწილო არ არის იმაშიც, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ვინაიდან იგი ამ საქმის საჭიროების ერთ-ერთი ფანატიკური მქადაგებელი იყო. არც იმაში, რომ თავის დროს „წერაკითხვის საზოგადოებამ“ იწყო ასეთი მასალის შეგროვება. 1882 წელს „საზოგადოებამ“ დაბეჭდა და დაარიგა „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის,“ რომელიც, ვფიქრობ, პ. უმიკაშვილის შედგენილი უნდა იყოს. 1) გადმოვიწერ ამ დოკუმენტის უმთავრეს ნაწილს, რადგან იგი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

«პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის.

ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგისათვის. ყოველი განათლებული საზოგადოება ცდილობს შექრიბოს ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილებად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცირედ შეკრებილა და დაბეჭდილა ჩვენის ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები. მისი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამგვარი ნაწარმოებით ჩვენი ხალხი მდიდარია. [...]

დაწერის წესი: სიტყვიერ ნაწარმოებთა დაწერა ქვემოხსენებულის წესით უნდა მოხდეს:

ა. ყველაფერი უნდა დაიწეროს სწორედ ისე, როგორც ხალხი ამბობს. დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენის ცვლილების მოხდენისაცა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება,—ყველაფერი სასტიკად უნდა დაიცვას დამწერმა; ის ადგილებიც კი არ უნდა შესცვალოს, რომელიც უაზროდ ეჩვენება. ყურადღება უნდა მიექცეს მეტადრე პროზად საწერსა, რომ ხალხის ენის კილო და ფრაზების შეკავშირება ნამდვილი დარჩეს. სიტყვების წერის დროს გამოთქმას ყურადღება უნდა მიექცეს და ისე დაიწეროს. მაგ., საქართველოს ზოგ ნაწილში ამბობენ: წამოილო; ზოგან წამეილო, დაანთო და დაანთა; მთაში ამბობენ კევი (ყხევი), ბარში ხევი; გურიაში — ძერთი (თითქმის იხრთი) გეძარა (გეძრა), სხვაგან — ერთი,

1) მის ქალაქებში ვპოულობ ცნობას იმის შესახებ, რომ მას იმ ხანებში უმუშავნია ამ საგანზე და უსარგებლნია თბილისში პედაგოგ გორიავეისგან ნათხოვნი შემდეგი წიგნებით: 1) Судовщиков Е.: Пособие при преподавании истории русск. словесности, Киев 1863; 2) Галахов А.: История русск. словесности, СПб 1880; 3) Миллер Ор.: Опыт историч. обозрения русск. словесности, СПб 1865; 4) Веселовский А.: Славянские сказания... и западные легенды..., СПб 1872; 5) Записка о южной Руси, СПб 1856; 6) Миллер Ор.: Илья Муромец и пр., СПб 1869; 7) Драгоманов Мих.: Малорусские народн. предания и рассказы, Киев, 1876. გადმოუწერია ამ უკანასკნელიდან ცნობად აგრეთვე „Программа издания народных песен“.

გაიარა; რაჭაში — ვორი ანუ, უკეთესად გამოსათქმელად, უორი; მთაში — სოფელ-
ჩი, სხვაგან — სოფელში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მთა ადგილებში (არაგვზე, ქსანზე ნაწილად, თერგზე, ხევსურეთში და რაჭაში) ხმის კვეთება (ударение) განსხვავებული აქვს სიტყვის გამოთქმასა. მაგ. ბარში, ვიტყვი, რაჭას მივდივარ, ისინი იტყვიან, რაჭას მივდივარ; საჭიროა, საცა ასეთი განსხვავება შეხედეს დამწერსა, ეს ხმის კვეთება ნიმუშად რავდენსამე ლექსში დაინიშნოს.

ბ. ზოგიერთი ლექსი ან ზღაპარი ანუ სხვა ნათქვამი ხალხში სხვადასხვა ცვლი-
ლებით არის ან სულ მთლად, ან ზოგი ადგილები და სტრიქონები, ან რავდენ-
ნიმე სიტყვა. ძალიან საჭიროა, რომ დამწერი მარტო ერთს რედაქციას არ დას-
ჯერდეს, არამედ ყოველი განსხვავებაც აღნიშნოს სხოლიოებში, რომ ზოგში ესა
და ეს ცვლილებააო. და თუ სრულიად ბევრი განსხვავებაა, მთლად დაიწეროს. ეს
ცვლილების დაწერა იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად მრთელს დიდს ლექსში
ანუ ზღაპარში ორიოდვე სამი სიტყვა, სხვა ცვლილებით ხმარებული მრთელის
თხზულების ფერსა სცვლის და ზოგჯერ ძვირფასს განძს შეადგენს.

გ. ზოგს ლექსს ან სხვა ნათქვამს მთქმელნი ახსნას უკეთებენ. ეს ახსნაც უნდა
აღნიშნოს სხოლიოში მოხსენებით, რომ მთქმელის ახსნაა. რა ადგილიც ანუ
რომელიმე აზრი ან სიტყვა დამწერს არ ესმის, ჰკითხოს გლეხს და, თუ მან ახსნა
მისცა, საჭიროა ამის დაწერაც.

დ. ნაწერის ბოლოში მოხსენებული უნდა იყოს, რომელ სოფელში გაიგონა
დამწერმა მისგან დაწერილი ნაწარმოები ხალხის გონებისა, გვარი გლეხისა, რომ-
ლის სიტყვიტაც დასწერა და რა დროს, ესე იგი, თარიღი დღისა, თვისა და
წლისა.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუ მთქმელი მესტვირე ან მეფანტურეა, ესეც
მოსახსენებელია შენიშვნაში. ეს იმიტომ, რომ ხშირად მეფანტურე ან მესტვირე თვი-
თონ სთხზავს ლექსებსა, ჯერ სახალხო ლექსად არ გადაქცეულა და მხოლოდ შემდეგ
ხანებში ზოგი მათი ლექსი სახალხო ლექსად გადაქცევა ხოლმე.

ე. უკეთესი იქნება დამწერმა სახალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმუ-
ლობის მცოდნე მოსძებნოს სოფლის ენა-მეტყველ კაცებში, მწყემსებში, მესტვირე-
ებში და მეფანტურეებში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე
ძალიან საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბევრი სიტყვიერი ნაწარმოები, მეტადრე ზღაპ-
რები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლეგენდები დედა-კაცებმა უფრო უკეთესად
იციან მამაკაცებზედ და უფრო მათ უნდა ეკითხოთ.

ვ. დამწერმა თავისი საწერი რვეულები უნდა გაჭყოს რამდენსამე ნაწილად
და ერთგვარი ნაწერები ცალკე ნაწილში მოაქციოს. მაგალითად, ზღაპრები უნდა
ცალკე დასწეროს, ანდაზები — ცალკე, ლექსები — ცალკე და სხვა.

ზ. რვეულში დამწერმა უნდა მოაწეროს თავისი სახელი და გვარი სრულად.
[...]

ა ი რ ა გ ვ ა რ ნ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ ხ ა ლ ხ ი ს ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი ს ნ ა წ ა რ მ ო
ე ბ ნ ი: I. ლექსები:

ა. სასულიერო, ისტორიული, გმირული, საომარი, სამიჯნურო, სამუშაო, 1)
საოხუჯო, სასიმღერო. 2)

1) ხენის დროს რასა მღეროიან, თესვის დროს, მკის დროს, ლეწვის დროს,
ბარვის დროს, თოხნის დროს, რწყვის დროს, თიბვის დროს, ყურძნის წურვის
დროს და სხვ.

2) ქორწილის დროს, ნიშნობის დროს და სხვა ამგვარი.

ბ. აფორიზმები ლექსად, მაგ. „ჭირში გატეხა არ ვარგა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ლონიერია“, ანუ „კარგისა კარგიც მოკვდება და კარგიც დაიბადება“.

II. ანდაზები.

III. გამოცანები.

IV. ენის გასატეხი.

V. ზღაპრები და არაკები ყოველგვარი, ისეთიც კი, რომლებიც დევებზეა ან პირუტყვებზე ანუ სხვა ზესთაბუნებითს და უსულო საგანზედ. რომელს ზღაპრისა თუ არაკშიაც ლექსი იქნება ჩართული, ზედმიყოლებით იმავე ალბათს უნდა დარჩეს და ცალკედ არ უნდა დაიწეროს.

VI. ლეგენდები ანუ იმგვარი ამბები, რომელნიც იპყრობენ სასწაულთ მოქმედებათა და ამაოდ მორწმუნებათა, ყოველივე ამბავი, ხალხისაგან თქმული, შესახები სხვადასხვა ადგილებისა, ციხეებისა, ეკლესიებისა და მონასტერებისა, ანუ რომელიმე გამოჩენილის კაცისა, მაგალითებრ, ლეგენდა სურამის ციხის აშენებაზედ.

VII. ანეკდოტები ისტორიულნი და ყოფა-ცხოვრებითნი.

VIII. შელოცვანი სხვადასხვა სნეულებისა, პირუტყვისა, სიყვარულისა, სიძულვილისა, არშიყობისა და სხვ.

IX. ამაოდ მორწმუნებანი რომელსამე ბუნების მოვლინებაზედ, ადამიანის მოქმედებაზედ, პირუტყვზედ, ანუ უსულო საგანზედ, მაგ. იტყვიან: ვინც მაწვნის ქილას გამოლოკავს ქორწილში წვიმა მოუვაო; კურდღელმა რომ წინ გადაგირბინოს, გზა დაგეცრებაო და სხვ.

X. დაძლევა კაცისაგან რომელიმე პირუტყვისა, ანუ პირუტყვისაგან კაცისა. მაგ., ოფოფს რომ დაუვარცხნელი შეხვდეს, იტყვიან, დაძლეული ხარ ოფოფისაგანაო.

XI. თქმულებანი შესახებ ალებისა, ქაჯებისა და სხვაგვარ კეთილ და მავნე სულებისა.

XII. ცერემონიები ანუ ჩვეულებანი სხვადასხვა შემთხვევაში, და რა წესს ასრულებენ სხვადასხვა უქმეების ნიშნად, მაგ., ახალწელიწადის წინა ღამეს აბრამიანით, სახლში უფროსი რომ დააღვიძებს სახლობას და „შემოდგოფი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი“ იტყვის, ან კიდევ შობის წინა დღეს ალილოზედ სიარული, ანუ ყველიერის ნიშნად ბერიკაობა და სხვა ამგვარნი; ჭოონაზე სიარული კვერცხების მოსაგროვებლად დიდმარხვის უკანასკნელს კვირეში, აგრეთვე ცერემონიები შელოცვის დროს, როგორც, მაგ., „ლაზარეს“ ლექსის გალობის დროს წყლით დასველება და კარდაკარ ჩამოტარება, ან თვალის შელოცვის დროს ნახშირისა და შაგ-ტარა დანის ხმარება; რა და რა ცერემონია, რა რიგსა და წესს ასრულებენ ქორწილის დროს, ნიშნობაში, რთველში, მკაში, სხვადასხვა ავადმყოფობის დროს სხვადასხვა მუშაობის, ჭირისა თუ ღზინის დროს, სიკვდილის დროს, დასაფლავების დროს და სხვა ამგვარი; მკვდრის მოხსენება, ტაბლობა.

ყველა ესენი უნდა ვრცლად და დიდის სიმართლით აიწეროს.

სხოლიო: ამას გარდა, ვისაც სურვილი ექმნება და დრო და მოცალეობა ნებას მისცემს, კარგი იქმნება საყდრების და მონასტრების ნანგრევებზე დაშთენილი ზედ წარწერანი გადმოიღონ და გამოგზავნონ».

ხალხური სიტყვიერების მთელი ის მასალა, რაც პ. უმიკაშვილის არქივში იყო და რომლის გამოცემა დავალებული მჭონდა მისგან, მე დავაწყვე მ ჯგუფად: I. ლექსები II. ანდაზები, III. ენის გასატეხი, IV. გამოცანები, V. იგავ-არაკები, VI. ზღაპრები და ლეგენდები, VII. შელოცვები და სხვადასხვა ამაომორწმუნება. პირველი

ოთხი ჯგუფი წინამდებარე წიგნშია შესული, ხოლო დანარჩენი სამი ჯგუფი — მეორე ნაწილში, რომელიც ამ პირველის შემდეგ დაიბეჭდება.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე მიზნად არ დამისახავს თითოეული აქ მოქცეული ხალხური ნაწარმოების საბოლოო ტექსტის დადგენა, ე. ი. თითოეულის შედარება ყველა სხვა — დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ—ვარიანტთან და ამ შედარების საფუძველზე საბოლოო ტექსტის ჩამოყალიბება. ეს საქმე ვერც შესრულდება რიგიანად, ვიდრე ყველა შეკრებილი ვარიანტი არ დაიბეჭდება. დღესაც კიდევ ბევრია მასალა, რომელიც დაბეჭდვას ელოდება. საქართველოს „ეთნოგრაფიულ“ და „წერა-კითხვის“ საზოგადოებებს ბლომად ჰქონდათ მოგროვილი ხალხური სიტყვიერების ნაწარმოები, უკეთეს იგი მთლად დაცული არის. ამ საქმის ხელში აღება და მისი შესრულება პირველ რიგში ფოლკლორის სპეციალისტებს შეეფერება.

ჩემი მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ პ. უმიკაშვილისგან დარჩენილი მასალის წესრიგში მოყვანა და გამოცემა. და ამასთან — არა მხოლოდ საუკეთესო ან „რჩეული“ ნიმუშებ ს მოცემა, არამედ არარჩეულისაც, არა მარტო „უცნობი“ მასალებიც, არამედ ისეთებისაც, რომლების ვარიანტები უკვე ცნობილია, მაგრამ რომლებიც თავისი განსხვავებულობით და ჩანაწერობის სიძველით მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად: „მოდის ვნახოთ ვენახი“ ან „ავთანდილის ლექსი“. ვინ არ იცის ეს? ყველამ, ვისაც კი უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სკოლა გაუვლია. მაგრამ მკითხველი ნახავს, რომ აქ ამ ლექსების უძველესი ჩანაწერებია მოცემული და ისე „გაშალაშინებული“ არაა, როგორც დაბეჭდილში.

ასე შეზღუდული ამოცანაც ადვილი შესასრულებელი არ იყო. დიდი ხნის ნაგროვები მასალა არ იყო ყველა ქრთგვარად გარჩევით და გარკვევით ნაწერი, ჩაწერილი იყო მრავალ სხვადასხვა პირთა მიერ, ზოგი — ფანქრით, ზოგი — გადასული მელნით, ზოგი — რვეულებში, ზოგი — ქალაქის ნაკუწებზე. საჭირო იყო გადარჩევა, დალაგება, სისტემაში მოყვანა. გარდა ამისა, ბევრი ლექსის, გამოცანის თუ იგავ-არაკისა ათი და თხუთმეტი ვარიანტი ძოიპოვებოდა მასალებში. საჭირო იყო მათი შედარება, ტექსტში შესატანი ჩანაწერის არჩევა, ვარიანტების განსხვავებულობის აღნიშვნა, რამდენადაც ეს განსხვავებულობა ასე თუ ისე საყურადღებო იყო (ვარიანტების მთლად დაბეჭდვას აუარებელი ადგილი დასჭირდებოდა).

ამ გამოცემაში მე არ შემიტანია ის ხალხური ნაწარმოებნი (გარდა „არსენას ლექსისა“ და „გამოცანების“ ნაწილისა), რომელნიც პ. უმიკაშვილმა თავის სიტყვით დაბეჭდა ცალკე გამოცემებად: „სახალხო ლექსების პირველი კრება“ (1874 წ., [?]). ეს წიგნაკი ვერსად აღმოვაჩინე, ვერც ბიბლიოთეკებში, ვერც ნაცნობებში, აგრეთვე „ქალვაჟიანი“, „ბეჟანიანი“, „ალექსიანი“ (ამათი დედნები არც აღმოჩნდა მის მასალებში). მე შევიტანე მხოლოდ ის, რისი ხელნაწერი დედნები მოიპოვებოდა.

ვცდილობდი ჩანაწერებში ცვლილება არა მომეხდინა რა, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ცხადი შეცდომა ან უსწორობა იყო. როდესაც ტექსტში შესატანად აღებულ ვარიანტს რაიმე (სტრიქონი ან სიტყვა) აკლდა, მაშინ ის იქ სხვა ვარიანტიდან შევიტანე და კუთხოვან ფრჩხილებში მოვაქციე. არის რამდენიმე შემთხვევა, რომ ლექსი სულ მთლად გამართული არაა, მაგრამ მე ის გამართვის მიზნით არ შემიცვლია და ისე დავტოვე, როგორც იყო.

როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი მოიპოვებოდა, ცალკე ცალკე მოვიხსენიე თითოეული და აღვნიშნე განსხვავებულობაც, თუ ეს რაოდენადმე ყურადღების ღირსი იყო.

საცა კი მოხსენებელი იყო სხვა ჩამწერელი (არა პ. უმიკაშვილი), დრო და ადგილი, მე ეს ყველგან აღვნიშნე, ხოლო როდესაც ეს ცნობები არ იყო, ანდა თვითონ პ. უმიკაშვილს დრო და ადგილი არ ჰქონდა ჩაწერილი, მე ასეთი შემთხვევები აღვნიშნე (სიმოკლისათვის) ერთი სიტყვით: „უთარილო“. ეს ცნობები შენიშვნებშია მოქცეული.

ადგილის დაზოგვის გულისთვის ლექსები უმრავლეს შემთხვევაში თექვსმეტ მარცვლოვანადაა მოცემული და შენიშვნები შემჭიდროებულად და პეტიტით დაბეჭდილი.

ლექსები, თავის მხრივ, 7 ქვეჯგუფადაა დაყოფილი: 1. საგმირო, 2. საისტორიო, 3. რელიგიური, 4. ყოფაცხოვრებითი, 5. სატრფიალო, 6. სასიმღერო და 7. აფორიზმები. ეს დანაწილება უფრო პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან ძნელია ლექსებში ნამდვილი მიჯნის გავლება. ბევრი ლექსი სასიმღეროა, თუმცა სასიმღეროში არაა შეტანილი, ბევრი მუშაობის დროსაც იმღერება, თუმცა აქ სამუშაო ლექსებში არაა ჩარიცხული და სხვ. მაგრამ დაყოფა-დანაწილება მაინც სიჭირო იყო კითხვის და პოვნის გასაადვილებლად. გარდა ამისა, ზოგი ლექსები აქ ნაწყვეტ-ნაწყვეტებად როდია მოცემული, არამედ — ერთმანეთთან დაკავშირებით, რათა უფრო სასიამოვნო წასაკითხი ყოფილიყო. ასეთია სახელდობრ, ქალ-ვაჟის სამიჯნურო ლექსები.

მასალებიდან მე თითქმის არა დამიტოვებია რა, რომ ტექსტში ან შენიშვნებში არ შემეტანოს ან არ აღმენიშნოს. ვამბობ „თითქმის“ მეტქი, ვინაიდან დატოვე ძალიან მცირე ნაწილი. ეს იყო ისეთი მასალა რომელიც ან ვერ გავარჩიე, ან ძალიან არეული იყო და უვარგისი, ანდა უშვერს ლექსს წარმოადგენდა და მის დაბეჭდვას ლიტერატურული ზრდილობა გვიკრძალავს. ამ უკანასკნელის მხრივ მე მაინც ისე შორს არ წავსულვარ, როგორც რაფ. ერისთავი, რომელიც თავისი ანდაზების (1879 წ.) წინასიტყვაობაში სწერს: „მე გამოვრიცხე ჩემის შეკრებულის გამოცანებიდგან ისეთნი, რომელნიც ანუ იგავით, ანუ ალღეგორიით და ან გამოხატულებით წარმოგვიდგენდნენ უმართებულო და უშვერს ლექსსა, ანუ მნიშვნელობასა, წინააღმდეგთა ხნეობისათა და ამით არ იყვნენ ღირსნი სტამბისაცა, მაგალითებრ, როგორათაც გამოცანებია: პატივებზედ, ზღმარტლზედ, წამწამებზედ და სხვანი“. მე ასეთები არ გამომირიცხავს, მაგრამ ნაწილი მაინც გამოსარიცხი აღმოჩნდა.

წიგნში შეტანილი სვანური ლექსები მოცემულია სვანურად ¹⁾ და ქართულად. მათი განხილვის და შესწორების მხრივ დიდი დახმარება გამიწია პროფ. თოფურჩამ, რომელმაც დედანი გასინჯა და გაასწორა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებ.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუცხადებ გამომცემლობა „ფედერაცია“-ს, რომელმაც ამ მასალის გამოცემა შემაძლებინა და ჩემი ახალგაზრდობის ვალი სიბერეში შემასრულებინა.

ფ. გოგიჩაიშვილი

¹⁾ სამწუხაროდ, სვანური ტექსტის დაბეჭდვა ვეღარ მოხერხდა.

ს ე მ ს ე ბ ი

1. სავაჭრო

ა შ ი რ ა ნ ი

ბადრი, უსუფ და ამირან ობლები დავიზარდენით.
ვინც კარგი გვიყო, გვახსოვდა, მუშაჩი დავეხმარენით,
ვინც ავი გვიყო, გვახსოვდა, შინდაშინ შავეტანენით.
ავდექით, ბალხეთს წავედით, ვაჭრულათ შავიპარენით,
მოჯამაგირეთ დავდეგით, ბეზირგან დავეტანენით.
გვითხრა:

„არა გავთ მოჯამაგირეს, ადექით, გამეცალენით“. 1

სამნი ჩვენ და ცხრანი დევნი ბალხეთში შავიყარენით,
სათავეს მოვხვდით ბალხეთსა, ბოლოსა გავიყარენით,
ვერც არა იმათ დაგვაკლეს, სწორ და სწორ გავიყარენით. 2

დევთას სასტუმროთ წავედით, ამირანს პური შიოდა.
„მოდო, ამირან, ნუ ჩავალთ“, ბადრი ძმა ეუბნებოდა;
უსიბიც ამას უბნობდა: „გუშინ ის მთაი ხუოდა“.
არ დაიშალა, ჩავიდა, თურმე მას პური შიოდა.
ამირანისა იქ შასვლა დევთ გულჩი არ ჩასდიოდა;
მაგრამ იმისი შიშითა პირს ღიმი ამოსდიოდა.
ამირანს ლუდი მიართვეს, შიგ გველ-ბაყაყი დიოდა;
ეგრე გაძლა უსმელათა, ყელჩიგა ამოსდიოდა.
დევთა დედასა ქადანი კერაჩი უჯდა, შხიოდა,
ამოიღეს და გატეხეს, კაცის თავ-კელი დიოდა.
ამირანს იმის ცოდვითა თოლს ცრემლი გადმოსდიოდა,
იმისი ძმანი ფიქრობდეს, — ამირან შიშით ტიროდა,
ეგ ბადრი კარხედ მოუდგა, უსუფ სარკმელჩი ჭყიოდა.
იქ დევთა შვილი ატირდა:
„არწკი მიქადე, მამაო, ამირანს მოგაკვლევინებ,
უსიბის ქამარ-ხანჯალსა წელხედ შენ შეგაბმევინებ,
ბადრისა გრძელთა გალოთა სადილათ გაგახრევინებ?“

შვილი მამასა პირსა ჰკრა სულისა საუბარათა,
წარბის თავს კმალი დაარტყა სისხლისა სადინარათა.
„დედა-ცოლ ბოზო ამირან,
ეგრე რაისთვი გასჯავრდი ბაღლისა საუბარზედა?“ 3

*

(გველეშაპმა ამირანი ჩაჰყლაპა. ბადრმა
მას კუდი მოჰკვეთა და ამირანს ჩასძახა:)

წესია დარეჯანელთა ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გაკვეთა შავისა გველეშაპისა.

(ამირანმა გასკრა გველეშაპის მუცელი
და გამოვიდა. მუცელში თმა და წვერი
გასცვივნოდა. ძმებმა უთხრეს:)

ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგვანდა ხუხალასა,
თმა და წვერი გასცვივნოდა, ჩეყარა ტომარასა¹⁾. 4

*

ადგა ამირან წავიდა, ამირან და ძმანი მისნი,
ცხრა მთა გადაიარეს და მეათე ალგეთისნი,
იქ ნახეს ერთი ირემი, [ცასა სწვდება რქანი მისნი].
ამირანმა ბოძალი ჰკრა, ძვალში გაძვრა ვითა რბილში,
დაჭრილსა კვალი უჩხრიკეს და ვერ პოვეს კვალი მისი,
გზა პარულადა იარეს, სულ დაკარგეს კვალი მისი.
ერთს უპატრონო მინდორსა [გავიდა ის, ძმანი მისნი].
იქ ერთი შენობა მოჩნდა, ციხე იყო საღი ქვისა.
ამირან ახლო მიუდგა და აგრეთვე ძმანი მისნი,
სასმენელი შემოესმათ საზარელი ტირილისა.
ციხეს გარს შემოუარეს და ვერ პოვეს კარი მისი,
[საცა მზე მიადგებოდა, იქ ყოფილა კარი მისი.]
ადგა ამირან, წიხლი ჰკრა, იქ შეელო კარი მისი,
შიგ ერთი კვტარი ესვენა, საწყალი და საბრალისი,
მარჯვნივ [უჯდა] ცოლი მისი, ფეხთით ება რაში მისი,
[გვერდით ედო ერთი ხმალი, იამან და ბასრი მისი.]

1) ნახეს, მელიამ წყალში იბანა და გააძღვებულ ბეწვით გამოვიდა. ამირანმაც
იბანა და თმა და წვერი ამოუვიდა.

თავში შუბი უყუდია, გალესილი აღმჯსისა,
 თითებ შუა წიგნი უძევს, ანდერძია სიკვდილისა,
 ამირანმა წაიკითხა, ცრემლი მოსდის საზარლისა:
 „მინამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შავჭამე ჯავრი მისი,
 დამრჩა ერთი ბაყბაყ-დევი, ვაჟმე, ჩამყვა ჯ... ი,
 ვინც რომ ბაყბაყ-დევისა მოკლამს, ჩემი ხმალი ალალ მისი,
 ვინც რომ დედაჩემს დამარხავს, შუბი მისთვის ალალ მისი,
 ვინც რომ ჩემ დიაცს იტვირთებს, ჩემი რაში ალალ მისი,
 და არცა ვარ დაკარგული, დისწული ვარ უსუფისი“.

(აღვა ამირან, წავიდა, წინ ბაყბაყ შე-
 მოეყარა. ამირანმა შეუძახა:)

[„შენ კაცო, კაცო, ვინ ხარო, სახელი შენი მითხარო“.
 — „უსუფის ძმისწული მოკვდა, მის შესაჭმელად მივალო“.
 — „ადამიანს ვინ შეგაჭმევს, შენთან საომრათ მოვალო“].
 ამირან, ბაყბაყ შეიბნენ, მინდორ გაჭქონდა გრიალი,
 ამირანმა დევი დასცა, ალაგი შეხვდა ქვრანი,
 დასცა და ბეჭი მოსტესა, დააწყებია ღრიალი:
 „ნუ მამკლამ, გმირო ამირან, შეგფიცო მკლავი ხმლიანი,
 წყალ გაღმა ქალსა გასწავლი, სახელათ ჰქვიან კამარი,
 თუ ძალი გინდა, იქ წადი, მას მოსდევს დიდი რიალი“.
 აღვა ამირან, წავიდა, სად ქალი კამარი არი.
 ციხისა ძირას ჩამოხდა ამირან ორი ძმიანი,
 ციხეს შუქი შეაყენა, ვითარ ცხოველი მზე არი.
 კამარ ფანჯარა გააღო, მსგავსად ეგონა მზე არი.
 კამარ ეხვევის ამირანს თავგადაშლილი თმიანი.
 სიამამრი ამირანისა, მდიდარი, ერთობ ყმიანი,
 შვიდ წელიწადს ქაჯს ებრძოდა, ჰყვანდა ჯარები ძრიელი,
 ქაჯეთ მეფე შეაწუხა, შეიპყრო საყმოიანი.
 ამჟამათ ქალი მოსტაცეს, კამარი პირნათლიანი.
 თეფშებს მიჭქონდა პასუხი, ლანბაქს მიჭქონდა ტრიალი,
 მივიდნენ, უთხრეს პასუხი: „დაგვეცა მტერო ზიანი,
 ამირან ქალი მოგვტაცა, დაგვეცა ორი ძმიანი“.
 მეფემ ჯარი შეიყარა თავის ქაჯეთ ლაშკრიანი,
 ქაჯეთ მისცა მტკიცე ფიცი: „არ წავახდენთ, ძმანო ჩემო“.
 ადგნენ ქაჯეთ ულაშკრეს, გააქვთ ქაჯებსა გრიალი,
 ამირანს კვალზედ მოსდევენ ქაჯებ ორ ხემწიფიანი.

კამარმა უკუიხედა, გზა ჰქონდა მინდოვრიანი,
ქალმა ჯარი დაინახა, გულმა დაუწყო ზრიალი:

„ამირან, ჰგოლე, ჰგოლეო, მუხლათ გაქებენ მალეო,
მამიჩემისა ლაშკარი აწ მოგეწევა მალეო,
გასწივე, თორემ მოგვდევენ, ომი იციან მწარეო“.

ამირან ეტყვის რისხვითა:

„არა ვარ მინდვრის ხოხობი, რომ მინადირონ ქორითა,
არა ვარ ქალის კურდღელი, წინ გზა შემიკრან მწევრითა,
[არცა ვარ წყლისა ნადირი, რომ მინადირონ ბადითა,]
თუ მოვა და აქ დავხვდები ამ ჩემი ორი ძმებითა,
მწარესა ომსაც ავკიდებ, გულებს დაუხეთქ გმენითა“.

[ამირან ციხეს შავიდა, ამირან და ძმანი მისნი,]
გარსა ჯარი შემოერტყათ, დიდი იყო და ძლიერი,
გარე მონაპირე ჯარი ჭინჭვლის ოდენი ძლივ არი.
ამირანს ქალი გვერდს უზის, კამარი თავრიდიანი,
ყოველიფრით ტურფათ მორთულ მგზავსად ბრწყინვალე მზე არი.

ამირანმა უთხრა უსუფს: „ნუ სწუხარ, არა ზნე არი,
ჩადი და ჯარი დაჩხრიკე, რამდენი საბრძოლი არი“.

ადგა უსუფ და ჩავიდა, ნახა, ჯარი დიდი არი,
შუბი დასცა ნაპირის თავს, როგორც გმირთა რიგი არი,
ვერ აილო ანგარიში, — ეგ რა ჩვენი რიგი არი.

ავიდა და უთხრა ძმასა: „საომარი დიდი არი“.

ამირანმა უთხრა რისხვით:

„ანგარიში ვერ აილე, ეგ რა ჩვენი რიგი არი?“

ადგა ამირან, ჩავიდა თავისი მშვილდ-ისრიანი,
ქაჯთა ნაპირ შუბი დასცა, მისი საქმე მკვიდრი არი.
ჯარს ნაპირ შემოუარა, როგორც გმირთა რიგი არი;
ქაჯნი შუბს ეჭიდებიან, მოსაგლეჯათ ძნელი არი.
ისარი ჰკრა, იქავ მოკლუ ეჭვსი ქაჯი მშვილდიანი,
ავლიჯა შუბი, წავიდა, გზა შეუვლო კიბიანი.
გაფრანგდა, კარი შეაღო, როგორც შმაგთა რიგი არი.
უთხრა ძმათა საყვედური:

„მყევხართ ჩემად საიმედოდ ქვეყანაზედ საქებური,
სამნივ ერთად დავიხოცნეთ, არვინა თქოს საყვედური,
ჯარი თავს შემოგვხვევია როგორც სნეულს თავსა კირი,
საომარი განვიწილოთ და ყველამა ვყაროთ წილი“.

პირველ ერგო ომი უსუფს, მისთვის იყო ერთობ ლბილი,

ადგა უსუფ და ჩავიდა, მტერსა შეაყარა ჩრდილი,
დახოცა თავის წილობა, სულ დაადნო ვითარ რთვილი;
მეორე წილში გადვიდა, მოეხვია ჯარი ხშირი,
პირისახეში შუბი სცეს, შუბლში მოხვდა ისრის პირი,
უსუფ მთასა გადავარდა, სანახავად იქნა ძვირი.
ციხეს ბადრს, ღვინონასომსა, მოსდებოდა ტკბილი ძილი.
ამირან ეუბნებოდა:

„ადე, ბადრო, ნურას დგები, ღვინო გისომ, განა ბანგი!
ან ჩადი და ან ჩამიშვი, ან შეკაზმე ჩემი რაში;

მოგვიკლეს ჩვენი უსუფი, ჩემთვინ მწუხარე დღე არი,
არც მოდის რაშის კიხვინი, არც ჩემი ლახტის ჟრიალი“.

ადგა ბადრი და ჩავიდა, უთხრა ძმასა საყვედური:

„ორილი ძმანი ვიხოციო შენისა ცოლის თავზედა,
ჩვენც გვიყვარს ქალი ლამაზი, გადავიგორებთ მკლავზედა“.

ადგა ბადრი და ჩავიდა, იომა წილდაუყრელი.

დაიჭრა ბადრი ამ დროსა, მკვდრებში თავი მაირჩინა.

ომისა ხმა რომ გადასწყდა, ამირანმა ჩაიციხა.

ადგა ამირან ჩავიდა, ხელში ხმალი დაიჭირა,

საითაც კი ეცემოდა, ერთობ [მკვდარი] გაახშირა,

ყოველი ჯარი დახოცა და სიმამრი შეარჩინა,

სიმამრი, მისი მბრძოლელი, ტანითა სალი კვიანი.

ამირანი ხმალსა სცემდა, ცეცხლსა გაჰქონდა ჟრიალი,

სცემდა სიმამრი მათრახსა, აჰქონდა მწვადი მცვრიანი.

ციხიდან ქალმა დაუძახა:

„ამირან: გულად გმირი ხარ, კილო არ იცი ომისა.

მალლა რათა სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰქარ რბილოსა,

ჩარდახს. შეაჭერ ბოძები, მასწამზე მიაწვინოსა“.

სიმამრს კანკებში ხმალი სცა, მაშინვე მიაწვინოსა.

მამამ ქალსა დაუძახა:

„უყურე ქალსა კამარსა, კახასა, კახახანასა,

უნამუსოსა და ურცხვსა, კურო ირჩია მამასა,

დაიწოს შენი აკვანი, რისთვის გავზარდა დედამა!|

რათ დამთმევი აგრე მალე, აღარ გეტყოდი ნანასა?!“

ქალმა მიუთხრა მამასა:

„არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა,

გარეთ გადგამდით აკვანსა, შიგნით მეტყოდით ნანასა,

როცა შინა შემეყვანდი, ყელზე მადებდი დანასა,

ხელში მეჭირა მათარა, ღამე სუ წყალზე მატარა,
ქალი გავზრდილვარ პატარძლათ, დროება მოდის ხანხედა.]
ადგა ამირან, წავიდა საძებნელათ თავის ძმათა,
ბადრი მკვდრებ შიგან იპოვა, მკვდრებში ფარული ცოცხალი,
ცხენ და ცხენ უცნობ შუბი ჰკრა, ბადრმა შემოქნა ფორთხალი.
მოიყვანა, დაასვენა დასალუბის ციხის ძირსა.
ამირან ეძებს უსუფსა, საყვარელსა ერთობ გმირსა,
წავიდა, მთა-მთა ეძება, ტყეს ხმა მისცა ტირილისა.
(შემოეყარა მონადირე)

ჰკითხა: „ათუ ნახე, მითხარი, მკვდარსა გულსა მოელხინე!“

— „ამირან. იქით ნუ წახვალ. გუშინ რომ მთანი ხუოდა:
ან იყო დევთა ნაბრძოლი, ანდა კლდეთა ქვანი ჰკროდა,
კაცი მთით გადმოხვეწილი გეხელ-ქორულებ ჰკიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა,
ასი მოეკლა ხმალდახმალ, უომრობასა ჩიოდა,
და ვაჟე სულთ ცოდვილო, თუ რომ დაჭრილი სტკიოდა!“
ამირან მთის ძირს მივიდა, სად უსუფ დამალულია:

„სიკვდილმა ერთობ შემწურა, შემწუხებია სულია!“¹⁾

ამირან მინდორს გავიდა, ერთობ ქარმა მაიტაცა,
შეხედა, ცით მოდის კაცი, ხმალსა ხელი შეიტაცა,
ფეხდაბჯენილი დაუდგა, ამირანი იყო მზათა:

„აქ მოდი და აქ დაგხვდები, კაცი ხარ თუ ანუ ვაცი“.
ამ დროს კაცი წამოვიდა ყოვლისფრით გამალებულად.

„ამირან დავხვდი, ხმალი ვკარ გვერდსა, გავხეთქე ქებურად,
ამირანს ომი გადამხდა და ესეც კი ჩემებურად,
ვაცი ხომ ველარ მიუვა დედასა თავისებურად,
მაგრამ ვერც მე გადვეხვევი კამარ ქალსა ჩემებურად“.

ამირან ციხეს მივიდა, იქავ მოკვდა გმირი ისი.

კაცთაგან ნაომართაგან წასდიოდა ცხვირით სისხლი.
მოვიდა თავის წრუწუნა, სისხლსა დაუწყო ლოკეაო,
იგი რომ ნახა კამარმა, სისხლით შემოსა ლოყაო,
დაჰკრა თავესა ხელცახოცი, იმავე წუთსავე მოკვდაო.
თავის დედა გამოვარდა, სწყევლიდა ქალსა, შფოთდაო:

„ესე შვილი რათ მამიკალ, მწუხარეობით ტოკდაო!“

თავმა მოწყვიტა ბალახი, მისთვის წამალათ მოხდაო,

1) ამის შემდეგ ორი სტრიქონი ხელნაწერში გაუგებარია და ჩვენ გამოვეტოვეთ

წრუწუნას ცხვირზე მოუსვა, დედისგან უფრო სწოვდაო.
 კამარი საქმეს გაკვირდა: „ეს საქმე რითგან მოხდაო?“
 ქალი ამირანს ბალახს სცემს, და გმირი შემოტოკდაო.
 კამარს ამირან მოურჩა, საყვარელი თვისი ძმანი.
 ამირანს მოჰყავს კამარი, სანახავად ტურფა არი,
 ამირანმა ქორწილი ჰქნა, ქალზე დაიწერა ჯვარი,
 თავით ბოლომდინ სრული ჰყავთ, ესე საქმე ჩვენი არი. 5

*

ამირან და ჩრდილოველი, ორივე ისხდნენ წყლისა პირსა,
 ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილოველი უწყობს პირსა.
 ბერი კაცი, ჩაჩნაველი, ტურფად მოაგოგებს ვირსა,
 წინ ამირანი გადუდგა, თავი მოუკვეცა ვირსა.
 დაჯდა ბერიკაცი, ტირის: „ჩემი ვირი ქვეყნად ღირსა“
 — ბერი კაცო, რა გატირებს?
 შენი ვირი ლომი იყო, წაგიყვანდა წყლისა პირსა,
 შენც წყალში გადაგაგდებდა, დაგიჭამდა ცოლსა, შვილსა. 6

*

ამირან ცოტა კაცია, ცოტა საგძალი უნდა:
 სადილად ბულა კამბეჩი, სამხრათ ფურ ბერწი უნდა,
 ვახშმათ იმათი თავ-ფეხი, ზეღ შვიდი ცხვარიც უნდა. 7

*

ბადრი დაუდეს მარხილსა, ხშირად აუბეს ხარები,
 ბადრის ფეხი გადმოვარდა, მიწას შააბა კარები.
 — ასწიე, შვილო ამირან, აგრემც დედა გენაცვლების!
 — სამჯერ ავწიე, ვერ დავძარ, ვაი, დედავ, ზურგის ძვლები!
 — ბადრისა მზემან, ამირან, შენ ბადრს ვერ შეედარები,
 ვერც სმასში და ვერც ჭამაში, ვერც ომში დეედარები. 8

როსტომ და გურამი

ედემშია აყვავდება თავხობობი, ყურეთ იღებს.

ბრძენი იტყვის: „ვესვრი ბადეს, გამოვიყვან შავ როსტომსა“.

ცუდია ბადე ნასროლი, თუ კაცსა ემარცხებისა.

ზურაბ მჯდომი კოშკსა გვანდა, გარს რო ევლო გალავანი;

მარჯვნივ უჯდა ანგაროზი, მარცხნივ თომა ფალავანი.

ბნელსა უკუნსა ღამესა როსტომ საჭვრეტლად არისა;

ამაშია ანგაროზი ადგა, გარეთ გამოვიდა.

ნახა როსტომ დამალული, გაუკვირდა: „ვინ მოსულა?“

ცალ კალთასა ხელი სტაცა, სამთლისაკენ წამოსწია:

„პირი მიჩვენე, გაგშინჯო, ვინა ხარ, სადაურთაგან?“

ხარ ყველაზე უმაღლესი ამა ჯართაგან სხომთაგან“.

კისერში ხელი წამოჰკრა, ფიცხლავ დაცალა სულთაგან.

გამოვიდნენ, მკვდარი ჰპოვეს, გლოვნა შეექნება ზარნად:

„ვინ მოგვიკლა ანგაროზი, ვინ მოგვიდო ცეცხლის ალად?“

ავდგეთ, ავიღოთ შუბები, ყველგნივ მოვიკვლიოთ გზები!

ვეჭობ ჯავრი ჩვენც ვიყაროთ, მისი სისხლი შევსვათ წყალად“.

გათენდა და გაანათა დღე საწუთრო, მთა და ბარი.

ადგა ზურაბ, შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა საომარი.

ერანელთა თავ წაადგა, ჰქონდა ქედი საომარი:

„წამოდექით, ერანელნო, გინდა ერთი, გინდა ორი,

თუ არ იცით, მე გასწავლით, როგორც უნდა გმირთა ომი!“

ინადირეს ერანელთა ჩიტისაგან უფრო ბევრი.

ცალ მხარესა შეუტია, ვით რომ ცამა დაიბრგვინვა;

ცალი მხარე სულ გასწყვიტა, სამოცდაათ სპილო ტანი:

ზურაბ გმირი თავ დაბრუნდა ვით რომ მზესა დალახანდი.

ამბობს: „ქაქაოზ რა იქნა, მოვკლა ჩემისა ხელითა,

ავილო შუბის წვერითა, ავაგლო მალლა მცაშია,

მოწიფულობლივ აქებდნენ, ავილო შუბის წვერითა!“

ცხენები ცხენტა დააბეს, ორნივ იყვნენ ერთად რკმულნი;

მათი ჩექმების ქუსლები სამარეს კარს გაალებდნენ,

მეტისმეტის მომშრალობით სისხლსა და ოფლსა ხმარობდნენ.

ზურაბმა ჰკადრა მოკითხვა მოცინარისა პირითა:

„შენ ხარ როსტომ დასტამიძე, შვილი შვილისა ამისი?“

— „არა თუ როსტომ არა ვარ, არცა იმათი გვარისა;

ერთი თურქი ვარ მოლაშქრე, მამკვლელი მუზამბარისა, მტერთა დამღვრელი სისხლისა, ტანთა მომკვეთი თავისა“.

— „ეგ რა მითხარ, ბერო კაცო, დამიკოდე წყლული გული, გიჯობს, რომ შინ წასულიყავ, მართლა დაგელია სული“.

— „ყმაწვილო, სეილანი ხარ, წითელი ჭარმაგოსანი, წინა გიდგია დროშანი, ლახტი გაქვს პატიოსანი.

ყმაწვილო, ტყვილად აობლებ, აობლებ ცუდად ენასა.

გუშინ ერთმანეთს დავპირდით ჩვენ ერთმანეთის ლქენასა, გვიჯობს, რომ გადავიხადოთ ჩვენ ერთმანეთის ცქერასა“.

ცალი ხელი კისერს მოზდო, ცალი ბარკალს შემოხვია, ასწია და ძელმან დასცა, დააძახა რაბონია.

რაბონ დასცა ადგილზედა, ტვინი ადგილ გაურყია,

დაიძახეს: „ფალავანი შვილი მამას მოერია!“

თავს უმაღლის მოკვეთასა, სხვა აღარა დაულია.

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლამ, ყველა დაგიწყებს გმობასა, საცა რომ შემოგეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა!“

— „ამიშვიხარ, ბერო კაცო, ლაყაფს აღარ უნდა კერვა, დღეის შემდგომ გამიფროთხილდი, სალი გედმით (?) ჩემგნით შენა“.

როსტომ ჯარში ამოვიდა, მომშრალი და დამქრეული,

წინ თავადნი მოეგებნენ, ისინიც მასთან რეულნი:

ინადირეს ერანელთა ჩიტისაგან უფრო ბევრი,

ბევრი სული ამოწყდება, წაირღვენება სისხლის ღვარი.

უიმედო დასხდებიან ციხისა და ტახტისაგან.

ორი ლუკმა ძლივს შეჭამა, ისიც რა გულის ხევითა.

იმ ღამეს ღმერთსა ეხვეწა სიტყვითა საკვირველითა:

„ნუ ამოაგდებ ჭაქაოზს, ნურცა ერანს საძირკვლითა,

ნურცა შეარცხვენ ჩემ თავსა იმ ფალავნის სახელითა.

სიმძიმე მიწა ვერ ვზიდე, მასკვლავთა განაცხადია,

ომში ვეცადე, ხმალშია, თოფშიაც გამოვცადია,—

ვერა ვუყავი მე იმას, ყველა იმასთან ჩანდია.

ბარგი აქავე დავსდე, რაცა აქამდინ მდებია,

მე იმ ფალავნის სიკვდილი მე ახლოს მისაზრებია:

თუ მამერევა მე ისა, ვარ ღირსი გადამხდელია“.

— „აქა ერთი ფალავანი სპილო ტანსა ელქინება,

წინა პირველ არას იტყვის, თავპატიოთ მიიღებსა,

თუ მეორეთ შეერევა, გააშორებს თავს ტანიდგან,

საქვეყნურად გაიტანსა“.

— „მე მამეულთა ნიშანი, ნიშანი სულ მენიშნება,
ბეწაყრა და კბილ კაროზა მამეულით მემგზავსება,
სასიკვდილოთ ვერა გმეტავ, გული რასმე მემოწმება“.
ცალი ხელი კისერ მოზდო, ცალი ბარკალს შემოხვია,
ასწია და ძელმა დასცა, დააძახა რაბონია,
რაბონ დასცა ადგილზედა, ტვინი ადგილ გაურყია,
თავს უმალი მოკვეთასა, სხვა აღარა დაულია.
დაიძახეს: „ფალავანი შვილი მამას მოერია!“

— „შენ, ბერი კაცო, რათ მამკალ, სმალი რათ შემე ვადამდინ,
შენ მამაჩემსა როსტომსა სად ემალეები სადამდინ?
ზღვას გახვალ, ზღვას გამოგყვება, ხმელეთს ვერ დაემალეები,
გიჯობს, რომ ზღვაში შეხვიდე, თევზისა ჭკუა აილო,
ან იგი ცაში ახვიდე, ვარსკლავთ არენი აილო!“

— „შე ბოზო დიაცი შვილო, სადა გაქვს როსტომ ნიშანი?“

— „ამწიე მარჯვენა მხარსა, ელვა გამოვა მზისანი!“

დადგა უშტოვოს ხელითა, აშტოვდა ფურცელივითა:

„აწ რო შენ სიტყვა მიამბე, ვაძმე დავიკარგე იქა!“

შენ ქაქაოზო მეფეო, შენთვის შევებრ მდევსაო,

წამალი გამომიგზავნე, ზურაბ მეცლება ხელსაო“.

წაჰკრა ფეხი, წააქცია. სიცოცხლეს აღარ ელისა.

ზურაბ წყლის პირს დაასვენა. ადგა როსტომ, წამოვიდა,

წამოვიდა ქაოზისკენ, წამოვიდა ვით რომ ქარი,

ქაოზს შვილნი დაუხოცა, გეგონება ღვინით მთვრალი.

როსტომს კაცი მოეგება:

ჰკადრა: „რათ გინდა წამალი, ზურაბ ხელიდგან გვეცლება!“

მან ისეთი დაისტვინა, იმისი ხმა ზეცას სწვდება. 9

გ მ შ ა ნ ი

ატირდა და მოახსენა: „ბედნიერო ხემწიფეო,

შენ რომ იგი ჭალა მოგვეც, სანადირო დიდი ტყეო,

იგი ღორით სულ ამსილა, არ ელვეა სიმრავლეო,

კლდეს აქცევენ, ხევს აქცევენ, ვბილები აქვთ ხლმის სიგრძეო;

იმათ ვერა ვაუძლებს რა, ანერგილი, დანერგილი,

მას სიბი ქვა ვერ გაუძლებს, წახდა ქვეყნის ჭირნახული“.

ადგა ხემწიფე, გადმოდგა თწვისა მოაჯირზედა:

„გლენხო, თავადნო, მთავარნო, ვისა ძალგიძთ სამსახური?“

ერთი სინი, თავმობმული, სულ ბაჯაღლო ოქროები,
ზედ დასვა ოქროს ბატკანი: „ეს იმის საჩუქარია,
ვინც იმ ტახებსა დახოცამს, ვინც იქ წავა საომრათა“.

ადგა ბეჟანი, წამოდგა ერანელი საყვარელი:

„შაგვიძლიან სამსახური და მსახურობა მთლიანი“.

ბიძა გურგენი წამოდგა:

„რა იცის ბეჟან ტახისა, უსუსური ყმაწვილია!“

ბეჟან ძრიელ გაგულისდა: „მე არა ვარ უსუსური,
თუ რომ კარგათ მოგვექცევი, ამხანაგათ გაგიხდია.“

მამავ, თქვენი ხმალი მომე, თქვენი ლახტი დაგვადგია,

თქვენი ხმალი ხელში მოგვე, ათას თურქსა შეგვაბია,

თუ ჩვენ ერთი გადაგვირჩეს, ერანელში შევრცხვენია“.

— „შვილო, ჩემი შენ რათ გინდა, ყველა შენი ტანთ გაცვია,
პაპის ჯაჭვი, პაპის ხმალი ომში უფრო ნაცადია“.

ბეჟან დედა ამოტირდა, წინ გურგენი გაუმძღვარა,
გზა იცოდა განგებული.

ორშაბათ დილა გათენდა, რაში რაშსა შეუფარდეს,

მკლავი მკლავსა გადასდესა,

წავიდნენ და იქ ჩამოხტნენ, ტახების საომარზედა.

გურგენი ხეზე ავიდა, ბეჟანი ტყეში შევიდა.

— „ტახო, არეში, მარეში, გამო და გამოთარეში!“

ბეჟან ტახმა გააქცია, ჯაჭვი კალთას შაუხია.

მოუბრუნდა ლახტი დაჰკრა, ადგილ ტვინი დაუშთხია.

ტახს ეშვები შემოლენწა ბატონისა საჩვენებლათ,

ისი მთა და ისი ბარი სულ ერთიან დაიმშვიდა.

გურგენ, ელი ხარ, მეღი ხარ, ხეზე გამსვლელი გველი ხარ!

ავიარე ანანური;

ძმამ რომ ძმასა უღალატოს, ეს რა ვნახე სანანური!

— „ეგ საქმე საქმე არ არი, საქმე ჩონგურის კვრა არი:

აფროსიანთა ვხლებივარ, ლხინი გვინახავ მრავალი,

იმათ ერთი მანიჟა ჰყავთ, მზე არი ამომავალი,

რაც კაცი იმას არ ნახავს, მისი საწუთრო რა არი?

პატარა ჩრდილო გაუძევს, ერთი ალაჯი გზა არი,

მაგ შენ რაშის სიარულით სადილობამდის სავალი,

საქეიფო, სასეირნო ერთისათვისა გზა არი“.

— „მაშ მე თუ ის არა ვნახე, ჩემი კაცობა რა არი?“

აღგა ბეჟან, შაიკმაზა, დეემგზავსა დილის მზესა,
ტანთა ჩაიცვა სამკლავე, სამკლავე და საბახური¹⁾,
წავიდა და იქ ჩამოხტა მანიჟას სიახლოვესა.

მანიჟამ გადმოიხედა თავისა მოაჯარზედა:

„ვინ მოსულხარ შორი გზითა, რათა მწვეამდი შენი მზითა?
წელზე რომ ლახტი გარტყია, რათა — ჯარი არ გახლია?
ათარეშებ მაგ შენ რაშსა, ჰბრუნავ ოქროს ბურთივითა.

აგეთია შენი წელი ალვი ხისგან დანერგილი,

აგეთია შენი პირი მთვარესავით გავსებული!“

შუალამე რომ შეიქნა, აღგა ბეჟან შააპარა,
რწყილმა არსად გაიგოსა.

სამი ღლე და სამი ლამე მიმღეროდნენ წვრილი ხმითა,

და ჩონგურისა ტვირითა, დაირითა და სტვირითა.

ის მეკარემ გაიგონა, აფროსიანს მოხსენდესა.

ის რომ აფროსიმ შაიტყო, თვალზე ცრემლი ჩამოსდისა,
ვეზირებ შემოიყარა, — გამოუგზავნა ბეჟანსა.

ბეჟან მაადგნენ კარზედა ფიცითა და სასჯელითა:

„ბეჟანო კარი გაგვიღე, ღმერთმან იცის არას გერჩით.“

აღგა ბეჟანი, წამოდგა:

„ქიშმედიანთი გვარი მაქვს, ჩექმას მიძევ ხანჯალია,
რომელიც წინდაწინ მოვა, სიცოცხლით გამაძღარია!“

ბეჟანსა შეეტყუვნენ, რას ფერობით, როგორც იყო,

კამპანია გაუმართეს, ბეჟან ღვინით დაათვრესა,

შიგა ბანგი შააპარეს, სამი ღლისა ძილი მისცეს,

მას ჩანგები დაუჭირეს, ზედ ზეწარი გადახურეს.

ცხედრულეებმა შააპარეს, აფროსიანთ მიართვესა.

ბეჟან რომ გემეღვიძა, ბეჟანი არის საკანსა,²⁾

ერანელი საყვარელი.

მაახსენა ხემწიფესა: „შენი ჭირიმე ხემწიფე,

ცალი ხელი შამიხსენი, მძიმე ლახტი ხელში მამე,

ათას თურქსა შამაბისა,

თუ რომ ერთი გადამირჩეს, ერანელში შამრცხეებისა“.

¹⁾ ხელთათმანი.

²⁾ გასაჭირში.

რა ქნას ლომმა, თუ ჩანგები არა სკრისა!

„ხელთა მყავ და ომ მიპირობს, ეს ეშმაკი და ქლიბია!

ამართეთ ძელი მალალი. ზე ბეჟან ჩამოჰკიდა!“

ფრიდონ ცხენი გააქენა, კვიცი ახალგზმართული:

„ვისა ჰკლავენ, ვის არჩენენ, ვინ არი ტყვე დაკარგული?“

— „ბეჟანი არი საკანსა, ერანელბ საყვარელი!“

ფირან წასდგხ ტახტის წინა, მრავლის მადლის გადამხდელი:

„შენ ბეჟანს როგორ მოჰკლამ, გიგობელს, როსტომს და გივიშვილსა?

თუ ბეჟან მოჰკლამ, იცოდე, ბევრჯელ დაგამწარებს ძილსა,

სულ დაგიწვენ ამ ქვეყნებსა, არ გაუშვებენ ქვის ძირსა“.

— „მაშ რა უყოთ შენს ბეჟანსა?“

— „ბეჟან ჩავადლოთ ხაროში, ისი სიკვდილთან წესია,

თავ გელახი¹⁾ დავაფართოთ, ათთავ დევით მოტანილბ,

გვერთ მანიჟა მოუყენეთ, ეშმაკობით გატენილი,

უთხოვოს და ის აჭამოს, ერთი პური ნახევარი“ . 10

ს ტ რ ი მ ლ

(ნაწყვეტები)

ერთი რამე მოყმე ღნახე ნამტირალი ზღვისა პირსა,

ვეუბენ და არ მეუბნა, ხელი შაიფარა პირსა.

დაჰკარგოდა საყვარელი, დამჯდარა და მასა ტირსა,

დეერთვილა დიდი ველი იმის ცრემლის დანატირსა,

ისე შაჰკროდა კბილები, დანაც არ უხსნიდა კბილსა:

„რა მიყო ჩემმა მიჯნურმა, შემყარა გულის სევდასა;

მე გულსა ლხინი მეწადა, იმან შემყარა სევდასა,

გუშინ ის მეჯლისში ვნახე, ია და ვარდი ეშალა,

ბმისმა სიმშვენეიერემ ჩვენ ხო ჰკუაზე შეგვშალა!“ 11

*

ერთი ვინმე მოყმე ღნახე, წყლის პირს იყო მომტირალი,

ხელთ ეჭირა ერთი რაში, ჰგვანდა მეტად ლომსა გმირსა,

ხშირათ ესხა მარგალიტი ლაგამ-აბეჟანდ-უნავირსა.

¹⁾ ლოდი.

«გამარჯვება» დავუძახე, — ხელი აიფარა პირსა.
დაჰკარგოდა საყვარელი, ველარ უხსნის დანა პირსა,
მე რომ ის კაცი მინახამს, ნეტა რამ გააძლიარა?
თითით ირემი აიღო, ბურთივით დაატრიალა,
არაბეთ ქვეით ქვეყნები სულ ოხრათ დაატრიალა! 12

*

ტარიელისა ყმობასა ენა იტყვის ადვილია,
წინ მეცხვარეს გადაუდგა: „შენ ვინა ხარ, სად გივლია?“
მეცხვარეს თავი წაგლიჯა, სუ ჭკუიდან გადირია.
ახა ეს ოხერ-ტიალი ასრე რამ გააძრეილა?
ნეკზე აიცვა ირემი, ბურთივით დაიტრიალა. 13

*

ტარიელმა მამიდასა: „ეგ სტუმარნი ვინ არიან?
ცხენთა შჭედენ ნალურსმარსა, კაცნი მესხვაფერებიან,
ქალსა სთხოვენ ბიძას ჩემსა, ქორწილობას ლამევდიან.
როგორა ქნას ტარიელმა, ჩემთვის რასლა ლამევდიან?“
ეგ ქალი ქმარსა არ მისცა, თავსა არ უყო ზიანი.

ჩავიარე ნეფის კარი, ფეხი ჩავამუდარაყე,
სასიძოსა, მეფის შვილსა, თავი ქვათა უდალაყე,
ერთმა კაცმა ის ვერ მითხრა: „რა ხქენ, რაზე უდალაყე?“

ეგ შენა გკითხე, ტარიელ, ეგ შენავ გაგაბჭობიე.
სისხლი ქიქაველთ მეფისა თავზე რათ დამაღებიე?
კელთი გაშობილი ლახტი ისრე რათ დამაღებიე?

ბერი მამყვანდა, ბებერი, მამიხაროდა ქალათა,
დავჯედი, კბილი უშინჯე, ერთი არ ედგა წამლათა,
დავჯე, ვიტირე მაგდენი, ცრემლი ჩამომდის ღვარათა.

ჩაყარნეს მეკიდობნენი, ასხი მესხი და თათარნი,
შიგ ქალი ჩასვეს მზევინარ, ძალითა, არა ნებიითა,
შიგ სამნი გველნი ჩაუსხნის, შავი, თეთრი და წითელი.
შავმა გველმ უთხრა: „შავჭამოთ“, წითელ უშქინა¹⁾ ავითა,
თეთრმა გველმ უთხრა: „ნუ შავჭამო, მზე სახმელეთოს გავიდეს“.

1) უქმინა.

ტარიელ, მზის მადებარი, წყლის ნაპირთ იარებოდა.
მთვარე რა ჩახდეს, დაწვება, ამოხდეს, იარებოდა,
მასკვლავნი უდგან ლოგინათ, მთვარე გულს იამებოდა.

„ბატონ ჩვენო, ხემწიფეო, საყვარელსა რასმე პირსა,
მინდორ კაცი დაბადულა, არა იყო ამ მიჯნისა;
კელთა ჰყვანდა შავი რაში, დეებლუჯ ეგრო გმირსა,
წვრილად ესხა მარგალიტი ცხენის ლაგამ-უნაგირსა“
— ადექით, აიშალენით, ადემ ჩემო და ომარი,
ის კაცი აქ მოიყვანეთ, ვინ არის ველზე მდგომარი!
„ბრძანება იყოს, ბატონო, ბაგეთა შენთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურ იყოს ერთის მოყვანა სამთაგან!“
— ტანტურფო, თვალთი ლამაზი ვინა ხარ ველზე მდგომარი?
აქ მოდი, ბატონ გიბრძანებს, ჯარი სარდალი თვით არი“.
„მინდორჩი თეთრი კოშკი დგა, გარეშემოზე თასები,
ახლოს მოდექით მიჯრულნო, შორით არ დავიფასები“,
კოჭლი მანამ ჩავიდოდა, თავჩი მიიცემდა ქვითა,
ცხენი ცხენს ხკრა, კაცი კაცსა, გორე ეგა ცხენ კაცისა,
ადემ გვიცა მათრახითა, ომანს მოგვიმწვადა¹⁾ მხარი,
ერთი მინდორ გაგვილალა, მინდორს ბრუნავს ჯარასვითა,
ერთი ცაში შაისრია, ჯერეც არ მოსულა ცითა.
ა მაგ ხალხის ცოდო-ბრალ[მ]ა ჯარი მძიმე შაუყარა.
ა მაგ ჯარის სიალყემა ორბი მალლა შააფრინა,
ისარი ხკრა ტარიელმა, მხრებზე სისხლი შაადინა,
ჩამოხტა და მხრები აშკრა: „ბოდვლის²⁾ გასაკრავათ მინდა!“
ცხენის ავჟანდს ფეხი შადგა, ამო შაჯდა, არ შაშინდა.

რას ამბობ, ბოზო დიაცო, არჯალო აუგიანო,
უწყლო-ულარო წისქვილი მთაში ვის აუგიანო,
მაყვარეების გულისად ქმარნი ვის გადუგდიანო?
— ღმერთი გაუწყრეს თინათინს, ხატი ყოველი რჯულისა,
შენ მეტი ქმარი უნდოდეს, ათას რო ჰყვანდეს გულისა!
მადებნო, მაინც კარგია მოყმისა დაკარგულისა.

1) მოჭვლიჯა.

2) ბოდვლის.

ციხით იძახა თინათინ: ავთანდილ გაიპარაო,
სამოცი ჯუფთის ისარი ქარქაშში ჩაითვალაო,
შავი აქ დაკლა ფურ-ბერწი, თეთრი თან წაიტანაო.

ათანდილ ჩავა დილაზე, ჩამტვრევს ქვასა, რკინასა;
რა მარკე გაუჯავრებო მა ნეფის ქალსა თინასა!

ათანდილ გადინადირა ქედი მალალი მთიანი,
ვერც კარი მოკლპ, ვერც ფური, ვერც ბოჩოლაი რქიანი.
მშველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის თმიანი,
დახკიდა ცხენის ტახტარსა ტყავგაუხდელი, რქიანი,
ჩაძღა ბურვილ ძირჩია, ცეცხლი დაანთა პრიალი,
მონა დაუხვდა სადგომა, წყლიანი, ჭაობიანი,
მაჰხადა, ქვედით დაიდგა თიქალთო უნაგრიანი,
ეკლის ამოსკრნა შამფურნი, ცეცხლ დაუბრუნა ცვრიანი,
სანამ მწვად შაიწვებოდეს, ცხენსა მისცა საძოვარი.
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდამ მამავალი:
„ცხენო, ახლოს და ახლოსა, აბჯარნო მამეძალენით,
მიშლით და მოშლით არ შავრჩათ ა იმ ბურვილთა ძირჩია“.

შე დევო, მამის ძმობილო, კაცმუ ვინ ჩამოვიარა?
— ერთმა მოყმემა, პირქუშმა, ცრემ-ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა ჯამბარას¹⁾, წყალგალმით გამიტრიალა,
წაღმბრუნვლიანი წისქვილი უკულმე მათრიალა,
მე თავის ბოსელ დავასქდი, კუნელმა ამაიარა.
ღმინი ქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა გადაიარა.
შენ იმას ვერ მიეწევი, იმან შორი გზა იარა,
გაწირა ჩვენი სამძღვარი, სათათრე გადაიარა.

ა იმ დიდსა მინდორჩია სისხლის ბრუნვედიან ტბანი,
შენ დახოცენ, ათანდილო, ჩემნი მამა, ბიძა, ძმანი.
ეგ ქარავან დამანებე, მემრე მე შენ ვიყვნეთ ძმანი.
ეგ ქარავანი სხვისია, საჭმელად არ მოგერგება,
გაუშვი ტარიელის მზემ, თორე ამანი გეცემა.
შენის თავ-ტვინის ნათოზი²⁾ სხვას პერად³⁾ გადაეცემა.

1) კამბეჩს.

2) ნამტვრევი.

3) ქაფად.

ფარტმანის მონადირეთა დილ-დილა თვალი ხკიდესა,
სამოცი ჯუფთის ისარი დახკრეს კიდობნის დირესა,
შავიდეს, გამაიტანეს, დასწონეს, არ დაღრიდესა.

ქუმსივ¹⁾, ნუ მიხვალ, სიტყვებსა გათქმევინებენ მცდარებსა,
მიხოლ, მოგეგებებიან დარბაისლები მთვრალეები,
შამოგაძლევენ კათხებსა, სიტყვებს გათქმენენ მცდარებსა.
„მცდარ სიტყვას მაშინც არ ვიტყვი, თავი რომ დამკრან სოლები!“
— საითა მოგაქვს, ქუმსივო, მარგალიტი და თვალეები?
„ეგეცა გვყავ და მზეცა გვყავ, ბატონის შასადარეები,
შავის მეტს მაშინც არ მათქმევ, თავი რომ დამკრა სოლები“

ან გამაპარე, ხუცესო, ან დავეგები დანასა,
ქალსა თავისა სახსარი ტანზე მარტყავი სარტყლადა.

ა იმა მთაზე გაღმითა ვეფხვ-ლომნი გაკიდებულან,
ვეფხვი სცემს, ლომი უფარებს, ჩადიან დამწარებული,
იმათ შუაჩი ტარიელ, საგონლის გაღრინებული.
ვეფხვი გულს გამაიხვია, მზის თვალთ აკვლევდა დობასა.
გულზე დაუწყო კაწვრაი, სისხლი ადინა ღვარათა,
აქნივა და ქვასა დახკრა, ამაათრივა ლალასა,
ლომსავ დაუწყო გმობაი: „რაზე ხკლამდი საყვარელსა?“

შავი ხარ და შავსა ზიხარ, შავად რასმე შაბურვილხარ,
აქ ნუ მოხვალ, მა დაბრუნდი, თოვ სამარისკ დაბრუნვილხარ.

სახლი მიდგას საგონების, კარი ჯავრისა მიბია,
შავსა ცხენს ვზივარ რემასა²⁾, შავი თიქალთო მიდგია,
შავი ზე მხურავ ნაბადი, შავი ღინკილო მიყრია,
წინ ტაბლა მიდგა სევდისა, ზედ ნარეკალი³⁾ მიყრია,
მოველი ღვთის ბძანებასა, ჯერ ჭამა არ გამიგია.
პურსა ჭამს ტარიელაი, პატივ მაქ გაგძელებული,
ფეხზე დგას ათანდილაი, გულნება, აჩქარებული.

1) სახელი.

2) ველური ცხენი.

3) ცხენის ხორცი.

ტარიელს წვერებს რად უჭვრეტო, განა დროთაგან ბერია?
ბეჭებში გარდაუხენი, ნაჭრევეებისგან კრელია,
ქაჯავეთს საქურბაქოსა სიმალხევეითა¹⁾ სწერია.

ქაჯავეთ ვიჯე ციხეთში, თვალნი არ ამამწვდებიან,
ვერ მოხვალ, ათანდილაო, თუ მხარნი არ შეგებიან.

ჩემა დედამა, მამამა საბელნი გამიკიდიან,
მე ეს მეგონა ქვე თუ მკვლენ, თვალთმაქცობას თუ მჩვევდიან.

შინ შეუშველე, ტარიელ, [დამჭირდა შენი გმირობა],
ათანდილ დაუსუსტებო, ქაჯებს [აქვთ] ზედ-მოვლილობა.

ქაჯებ სთქვეს ტარიელისა: უგ საქმე სადევურია,
კარ-კლიტე, ქოლბალანქები მინდორთ ყრია დასრეული.

მზე იყო, მზეი მზეობდა, თინათინ თინათინობდა. 14

არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა!
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა.
შვიდს წელიწადს ტყეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.

რო შეიქნა თექვსმეტის წლის, უღვაშები დარმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე გააჭენ-გამოაჭენა,
ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა.
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება:
— გოგო მე მამე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება!“
რა რომ შინადგან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.
„ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისტანაო?“

1) ხიფათით.

ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაჭისთანაო!“
 — „მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო“.
 ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო:
 „თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო?“
 — „აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადევ და მამყევ თანაო!“
 ი ზო ზაალმა გაიგო, ქოში უკულმა ჰყარაო;
 კარიდგან ველარ შეასწრო, ფანჯრიდგან გადიპარაო.
 მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,
 ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შეუკერა;
 იმის ქვემოთ შეიდიში კოჭებამდინ დაუმშვენა.
 მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლშვილით გაანამტვერა.

ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალით შექნა ცრემლა.
 დაჯდა ჩვენი ის ზაალი, და სტოლზე წიგნი დასწერა,
 ქალაქში გამოაცხადა, ლუბერნატორს მოახსენა:
 „გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!
 ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართო და გადმიყენა;
 წამახდინა არსენამა, — თუ რასმე მიშველით თქვენა!
 თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!“

ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.
 კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:
 „ღრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდოშ საითკენა?“
 — „ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქ, მივდივართ მარაბდისკენა,
 ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვიან არსენა,
 თუ ვისმე კი გაგეგონოს, — გვიხდა იმისი დაჭერა“.
 ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიციხა ნელა-ნელა,
 ნაბადი გვერდზედ იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა;
 ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა.
 ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდენა,
 თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხითში არ გააჩერა,
 იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა,
 «ნას კაკოიც» მიაძახა, — „თავათ გახლავარ არსენა!“
 სულ უკან იხედებოდნენ, — „აღარ მოგვდევდეს არსენა“.
 ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროსს მოახსენა:
 „უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა.
 ან არის მღვეი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნეტელა.“

თუ ჩვენგან არ დაიჯერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგვკიდა, ფეხზედ აღარ დაგვაყენა,
ექვსსა თოფები წავგართო, სულ მიწებით დაგვიტენა“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალთ შექნა ცრემლა:
„ნეტავი კაცი მაჩვენა იმ არსენას, დამჭერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!“

აღმასის წყალზე ურიებს აწყევინა ბედის წერა.
გამოართვა ხახამს ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა:
„თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყდომიათ ხენა და თესვა,
ძალათ გაჭმევ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამ წვენსა,
ბუ იმას არ დამჯერდები, ქართულათ დაგპარსავ წვერსა.
ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას კრელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა;
ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავათ პატარძლებსა“.
მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაუწყდესა!“
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა,
შვიდი მტკავლით გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა:
„თუ ამითი არ გაჰყიდით, ვაი დედის თქვენის ღმერთსა,
საცა რომ შემოგეყრები, სუყველას გამოგჭრი ყელსა!“
იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:
„ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რალა დახლი დაგვიჯდესა?
ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ ღუქნებში დაღპესა.
არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმები წახდესა!“
— „სახალუხე მამყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!“
არა ღირდა ორ მანეთათ, ერთ თუმნათ დაუფასესა.
მაშინ ჩვენი არსენაი, თითო მუშტებს წაადებსა.
დახედე, სახალუხეს სულ ტყვილათაც წაართმევსა:
კიდევ იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძევსა;
ურიავ, ფულები მამე, ვიცი საგძლათ მამინდესა“.
ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:
„ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა“.
ამოიღეს და გადუდეს, თუთხმეტი თუმნის ოდენა.
ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა.

„ოღონდ დაგვეხსენ არსენა, გამოვაცხოვობთ სეფისკვერსა, ქართულათ დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ წვერსა, ძალათი ვჭამთ ღორის ხორცსა, ზე თავზე დავისხამთ წვენსა!“

გზას სომეხი მოდიოდა, არხეინათ, ნელი-ნელა; არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააჭენა. წინიდგან წამოუარა: „საით მიბრძანდებით თქვენა? ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თეჭა ჩაიცვით თქვენა“. ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა. ცხენი გრილოში დააბა, თავათ იქაც მოისვენა.

ბძანება შემოეთვალათ [თბილისიდან უფროსებსა¹⁾]: „ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლებსა?! ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა“. კარახტინები შეუკრეს, ლეკში არსად გადვიდესა: „თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიჭერსა. ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“

გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბის-ხეველსა: ნათლიმამათ მოიკიდა, მაგრამ ის უღალატებსა. როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა. თაფარავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხვდესა: „არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“ — „მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა“. „არსენს როგორ გიღალატებ, სამის შეილის მომნათველსა, ჩემის მირონის მომლებსა?!“ ძირს დედამიწას აძლევდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა. მაშინა თქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!“ მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა; აი ლამაზი ღვინითა ის არსენა დაგვითვრესა; შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა, დამთვრალსა და გალოშვილსა ტკბილი ძილი მოუხდესა. იარალი აიყარა, ნათლიდედას აბარებსა: „ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, ადრიანათ დამქირდესა“.

1) ეს სიტყვები პირველ გამოცემაში ცენზურას წაუშლია; მათ ადგილას წერტილებია დასმული.

იალუჩი და ბალიში საჩქაროზე მიაართვესა,
 ზედ ტყავები წააფარეს, — არსენს არ შეგვიცივდესა.
 ამ მამაძალს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
 შუალამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა.
 ათი-თორმეტი მეცხვარე თავმძინარეს დააწვესა.
 არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:
 „ე მამაძალის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა?“
 ათსა ეგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
 მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს გაუკრავდნენ ხელსა,
 ისე მაგრა გაუჭირეს, ფხილებში სისხლი გასწვეთსა.
 „ნათლიმამავ, ნუ მლალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა:
 ათასწილათ სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
 მე მლალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მალალ ღმერთსა?
 ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!
 ნუ მლალატობ, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
 ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.
 ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.
 ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა:
 ბიჭი მარდია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტესა.

წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდგანა ღვრიდა ცრემლსა.
 მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა:
 იმერლები იძახიან: „კი, კი, კი, კი, სადა თქვესა!“
 სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არი ესა!“
 ოსები კი იძახოდნენ: „ხორზუ, ხორზუ არი ესა!“
 რუსები — „ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა!“
 ბებრები გაიძახიან: „ახ ნეტავი დედა შენსა!“
 პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
 ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!“
 მაგარი ბორკილი მიაქვს, თვარა წვრილებს დაამტვრევსა.
 ჯილის ტოლა თვალეები აქვს, მტერი რალას დააკლებსა.
 მოუბრუნდება არსენა, კამბეჩივით შეუბღვერსა:
 „რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?
 თრიალეთში ცხვარ გაგიწყობ, მინდორში დაგიწვამ ძნებსა,
 მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა“.

იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
 უფროსი გამობძანდება, ბალკონიდან გადმოსცქერსა.
 ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
 „შე წუწკო და მამაძაღლო, რათ იჭერდი ე მაგ ტყვესა?
 ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
 არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამჭერსა.
 ფარსადანს ასე ეგონა, — „ჯამაგირსაც გამიჩენსა“
 იმტელი მამა უცხონდა რამტელიც იმას მისცესა,
 ერთი ოთხიოდ პანლური ამოჰკრეს და გაადღესა.
 უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალო:
 რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაოდ.
 „რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“
 — „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა:
 მართალია, გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
 მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის ჭმევა,
 დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა“.
 არსენს ხელები შეუსხნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
 იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეადგესა,
 შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა,
 საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარსესა.

მაშინა თქვა არსენამა: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
 მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?“
 იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედმამის მზესა,
 აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,
 წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა“.
 წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.
 ერთი საწყალი მანათი არსენს ჯიბეში უდევსა,
 ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
 „ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშიერ სალდათებსა“.
 დახედე, ის მიკიტნები მეგობრათაც გაუჩნდესა;
 სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
 სალდათებს ოტკა ჰგონიათ, ჩუმათ რომი ჩაუსხესა.
 ისე დათვრენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
 აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
 უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა.
 მაშინა თქვა არსენამა: „ჰა დიდება მოწყალესა!

ჩემი საქმე არის ესა!“

აუზებთან რომ მივიდა, აიწვეს და გადახტესა.
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ: „აგურით იხებს ფეხებსა“.
აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტკრევსა,
ფეშტამლები დაახვია, რაჟღა-რუჟღს არ დაიწყებსა.
გატეხა და გადმოაგდო: „ფუ, გამჭედი გაგიქრესა!“
ამ ხანათ მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა ის შინელი, მალლა ბალკონზედ დადებსა.
გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა:
„ვნახო როგორ მარგებს ესა?“

რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს, და რუსულ შლაპკას დაიდებსა.
კარებში რომ გამოვიდა, წინ დოინჯსაც გაიგდებსა;
შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანეცა!“
სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.
პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშკესა:
„ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭრი ყელსა“
რომელიც კარგი დროშკაა, არსენასა მოართვესა;
დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოყნის გზებსა.

კუკიის მთაზე გადადგა, ბიჭი მოუძღვის სიდედრსა,
არსენამ რომ დაინახა, თქვა: „დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!“ თავდაბლა მოახსენებსა:
„თუ უკაცრავათ არ ვიყო, დედი, ჩამობძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეს ფეხებსა“.
დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
„გასწით იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?
ხემწითის გზაზე მიხვდები, — ეს კაცი არ გაგიჟდესა!“
მაშინ ჩვენი არსენაი კამბეჩივით შეუბღვერსა:
„მოგიბრუნდები, შემოგვრამ, სუ მუშტით დაგამტკრევ ყბებსა“.
რალა ბევრი მოვახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა.
არსენა ღონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა;
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუზივით დააბნევსა.
დედაკაცი ეხვეწება: „ნუ მამიკლავ ჩემ სიძესა,
მაგ ჩემ გამამცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილათ შეგარგებსა!“

ცხენიც იმას დაულოცა, ზე ხურჯინსაც გაატნებსა.
 [„დედავ, დედა-შვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა“.
 ის დედაკაცი ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,] სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენა, გაგიმარჯვდესა, მაძლარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა!“
 პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:
 ცალ ხურჯინში ტიკჭორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;
 ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავს აძევსა.
 დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზად ქეიფსა სწევსა.
 ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,
 ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:
 „ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა, —
 არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა დღესა.
 მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?
 სადაც თათარს დაინახავს, «ბურ და ვალას» აძახებსა;
 სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა.“

ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა.
 ერთი თუმანი აჩუქა, — რაც რომ ნალი გაუცვდესა.
 ბებერიც ამას უთვლიდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!“

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:
 „თუ უკაცრავათ არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა,
 მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებს მატკენსა!“
 მეჯინიბეს ეუბნება: „უნაგირი სადა ძევსა?“
 — „უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.
 ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა,
 ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა.“
 — „ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომადგებსა!“
 [გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.
 ყაზალში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.
 „ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოუშვებ წვერსა“.
 იქიდგანაც წამოვიდა და სომხითში გამოსწევსა.
 ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ დღესა.

იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.
 ბოდბის-ხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.

ის ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.
 მეტის-მეტი ჯავრისაგან ადგილზე ველარ დადგესა.
 ძმებსა კაცი გაუგზავნა: „არსენა არ მამარჩენსა“.
 მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადასდებენ ხელსა:
 „გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გავვიხდესა“
 — „ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიძლებსა“.
 მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:
 ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსჭრესა,
 ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა,
 ზედ ფიცრები წაათარეს და მიწა დააყარესა:
 „ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!“
 ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა.
 შესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
 „თუთხმეტ წელს ყაჩაღათა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა,
 ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!
 გამობრძანდი, ნათლიდედაე!“ ხელში მოჰკიდებდა ხელსა:
 „გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არათფერსა;
 ვაპატივებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,
 ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!“

ღვთაებობის მაღლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია.]
 იქ იყო მისი ღლეობა, თითონაც გიახელია.
 სუმბათოვიც იქ მობძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
 სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია;
 კნენებიც იქა ჰყვანდათ. ზედ გადებვით ხელია,
 როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მაღლი შენია, —
 რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.
 იმ სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია,
 ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწერია!
 მაგ შენს [აპელატებზედა] შენით აიღე ხელია!“
 კნენა ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!
 აიღე და გადაუგდე ეგ ოხრათ დასარჩენია,
 თვარემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგჭრა ყელია;
 სუყველა ოხრათ დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.
 მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია“.

შინლიანებ გარდმოუგდო [აპელატები¹⁾] სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამორბის როგორც მშველია,
მაკაროვს თავის ხმალზედა აალებინა ხელია.

ორი კვირა თონეთს იყო, ქეიფებსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერიით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:
„შესანდობელი დალიეთ, როდეს არსენა მოკვდესა“.
რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა:
„ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებაში წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა.
თუ ძალათ არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“.
—„რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ღმერთსა!
თუთხმეტ წელს ყაჩაღათ დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა,
სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა“.

მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.
ღიღმის სწორათ რომ მოვიდა, მიკიტნებმა დაათვრესა,
კი ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
მცხეთის პირდაპირ მოვიდა, მუხათ-ფერდში ქეიფს სწევსა.
ის რომ პურის ჭამათ დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა.
იმ გიორგი კუჭატნელსა გამჩენელი გაუწყრესა,
წამოსულა კახეთიდგან, იმერეთში გამოსწევსა.
ამოუარა არსენას, გამარჯვებას ეტყვის ერთსა:
„გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, სალამათ ხომ ეს იყვესა.
„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-მამის მზესა“.
გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა:
„ვა, შე საწყალო, არსენა, რათა ხარ ჭკუა თხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელერ პარასკევია.“

1) სიტყვა „აპელატები“ პირველ გამოცემაში ცენზურას წაუშლია.

თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“.

ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:

„კაცად როდილა ჩამადლო, რალა ბიჭობა ჩემია,
ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალო ფერია!“

გაჯავრებული არსენა პირიდანაჲ ჰყრიდა ცეცხლსა.

წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა:

„გიორგი საით მიდიხარ, არსენა ვერ გაიგებსა?

ან უნდა მამცე ფულები, ან შენი ცხენი დამრჩესა“.

გიორგიც ეუბნებოდა:

„ნუ გგონივარ ზოგზოგები, შენ რომ მოჰკიდებდი ხელსა;

[ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა,]

ორმოცე ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“

მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვენდა ხელსა,

პირით რომ ჰერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა,

ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.

მაშინა თქვა არსენამა: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია!

ვახ, რა დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამჰედელია“.

შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია!

დაღონებული არსენა ცხენიდან გამდგარდესა.

ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა;

ცოტას კიდევ მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,

ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა:

„ეგეც გეყოფა გიორგი, აჭიმიც ვერ მოგარჩენსა;

ვერ გაგიმეტე გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა!“

ერთი ლეკის ბიჭი ჰყვანდა იმ გიორგი კუჭატნელსა,

ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.

დაღონებული არსენა აიწევს და ვერ ადგესა:

„რახან მომკალი გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:

ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა,

ლარიბსა, არას მქონებსა, მიეცეს და მოხმარდესა“.

ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.

მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდგან ცრემლი ჰყარესა,

ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოიბრბენსა.

ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდგესა,

გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა,
მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადგესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“ 15

კირილა და კლუდა

შავიყარენით სწორები, ჭერხოს¹⁾ დაესხედით სმაზედა,
ხელჩი მივეციოთ საღვინე, კირილაი გვადგა თავზედა.
აურიგ-ჩამოურიგა ყანწნი და ჯიკვნი ჯარზედა,
მე კი არ ვსომდი ალუდა, კირილა დამადგა ძალზედა,
გადამეკიდა: დალიე, თორო²⁾ დაგასხამ თავზედა!
„გირჩევ, დაჰყუხდე კირილაო, — ლოგინს დაგაწვენ შავზედა!“
თედოში წიხლი ამომკრა ჩემთვის ნაჯდომსა შკამზედა,
მაგარ ქალბანი სტანოდა, თედო მატკივნა ძალზედა.
წამოვდეგ გაჯავრებული, ხელი გავიკარ კმალზედა,
გარდაუქნიე კირილასა, პირდაპირ მოხვდა თავზედა,
ფარი შუაზედ გაწყვიტა, ცოტა უწია თავზედა,
ხუთ ფურიანი დააჩნდა³⁾, კიდევ გადვიდა თხაზედა.
ზის კირილა დაღონებული, სისხლი ჩამოსდის ყბაზედა:
„დამაცა, ბიჭო ალუდავ, შავიყრებით სამ მთაზედა!“
ერთის წლის გამომავლობით შავიყარენით გზაზედა,
მიწროს გზას შავიყარენით საძელეს ღელის ფხაზედა.
მე გაუძრახე კირილასა: „მანდ მოიცადე ველზედა,
მაიმუნივით გატლინკებ, ბაწარს შეგაბამ ყელზედა!“
კირილაი გაჯავრებული კმალს სცდიდა თავის ცხენზედა
„შენს კმალს ულაყზედ კი ნუ სცდი, მოდი მე დამკარ... ზედა“
გავედით წავიკიდენით ორნიე მიმდგარნი დღეზედა,
შიში კი ორთავ გულში გვაქვს, ერთი(ც ვერა ვართ ფერზედა.
გავედი გაჯავრებული, ხელი გავისვი კმალზედა,
წამოუქნიე კირილასა, არ დავარიდე ყელზედა,

1) სახლის ზედა სართული.

2) თორემ.

3) ჭრილობა, ქერის მარცვლებით გაზომვის თანახმად, ძროხებით გადასახდელი-

თავრიალ¹⁾ ვავასრევინე, იქავ დავკიდე ხეზედა.
 მე წავედ, კევსა მივდივარ, სატანი²⁾ მიმაქვს ვალზედა,
 თქვენმა მტერმაცა იაროს ე მაგისტანა გზაზედა.
 სნოისა სოფელჩი მოველ, დიაცი დამხვდა წყალზედა,
 ვიკითხე კორაის სახლი, — ზედ მიმიყვანეს კარზედა.
 შინ და შინ შამიპატიყეს, დამსვეს სამარტო შკამზედა,
 დავჯექ და იმათ უანზე; რაიც გადამხდა გზაზედა:
 „მე შამომაკვდა კირჩლაი, ხელი ავიღე თავზედა,
 თეძოში წიხლი ამომკრა ჩემთვის ნაჯდომსა შკამზედა,
 გამამასხარა სწორებში, ვერ გავდიოდი კარზედა,
 სწორებში სირცხვილიანი არვინაა ჩვენს მთაზედა,
 მე იმას ვერ მოვითმენდი, რაც მომაყენა თავზედა,
 მაშინვე უნდა მომეკლა, მაგრამ მომიხვდა ფარზედა,
 გულით რად უნდა წამელო ჯავრი სამარის კარზედა,
 სჯობს სიცოცხლესა მასხარას სიკვდილი კარგსა კმაზედა,
 ე მაგ დარდითა ვირთვოდი, ვდნებოდი ჩემსა ტანზედა.
 გარდაუხდა წლის თავზედ და ეხლა შემოვხვდით გზაზედა,
 თქვენი ავი დღე წაილოს. — იქვე ჰკიდია ხეზედა,
 ჯავრი კი ამოვიყარე, — თუნდაც არ ვიყო კმელზედა,
 თუნდა გამგზავნონ ციმბირსა, თუნდ მეც დამკიდონ ხეზედა.
 კორავ, შენ კმა მიაწვდინე, კირჩლას სიკვდილი გზაზედა“.
 კორაი მაშინვე უბარებს იმავ სადილის ჟამზედა:
 „აბიკანთ კირჩლა მოუკლავსთ, მოუპატრონდით წამზედა,
 აღუდა კი გაქცეულა გუდანას ჯვარის მთაზედა“.
 ღმერთმა ყველას გაგიმარჯოსთ ამ ლექსის წაკითხვაზედა. 16

¹⁾ თავი.

²⁾ ერთი და ყველი.

ბერდიაი და კირჩლაი

ბერდიაი და კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა,
იქ ლაპარაკი მასვლიათ ადრინდელს მტერობაზედა.
ბერდიაი უთხრა კირჩლასა...

„ვერ გექნას შენი ბერდია, ვერ შეგეყარე გზაზედა,
ეს ჩემი მოკლე ფრანგული¹⁾ ვერ ვათამაშე შენზედა!“
— მაგას ნუ უბნობ, ბერდია, სანეს ლუდნი ვსვათ ჯარზედა²⁾,
ჯერ არვის გაუხარნია ვაჟის კირჩლაის ტანზედა,
ეგ ლაპარაკი მაშინ ჰკამს, როცა შავხვდებით გზაზედა,
არ გვევანდეს მაშველებელი, თითო დაუკრათ ფარზედა. 17

(ვარიანტი)

ოჟო, დადგი ვაჟის ძე, ბევრგან ბევრბ ხქენ ზიანი,
გადმოხვე ხევსურეთისკე, ხმალი წინ დაგხვდა ფხიანი,
კირჩლაი შამოგეყარა, კირჩლა ღვთის ნასიბიანი,
მარცხნითკე ჩამოგარა, მარცხნითკე გიყო ზიანი. 18

გ ა გ ა ი ს კ მ კ ი

გაგაის ძოძივ³⁾, გირჩიყო ღილლო გეჭამა ჰკვითაო,
ყან გეხნა, კარი გელალა, ჯოხი მოგეჭრა ტყითაო,
ხევსურეთ რად მიხვიდოდი მართული შენით ყმითაო?
საძელეს⁴⁾ დაგვხვდეს ხევსურნი დაღესულეებით ხმლითაო,
თვალ ეჯდა თურმანაულსა ჯურკასა შავარდნისაო,
ხმანი ხევსურეთ ჩაყარნა უხნოდა, არა ხნითაო.
გუდან, შეიტყო, იწამა ღვთითა და ღვთისშობლითაო,
ადგა, ააბა დროშია ლალის გუდანის ჯვრისაო.
მაგას ღერენამ მისდია არწივმა კივილითაო.

1) ხმალი.

2) რიგზე, ჩამწკრივებით.

3) ქისტის სახელი.

4) შთა.

მამა გიტირის, ღერენავ წინხადუელო, ხმითაო:

„შვილო, არ მოხვალ ცოცხალი, არც დაღბრუნდები გზითაო,
სახელის მაყვარული ხარ, შიგ გაერევი ხმლითაო“.

ხინჩლამ შეხკმაზა საფერხე, ზედ ორბი შაჯდა მხრითაო,
ბლო-ღელე გარდაავლია, საძელე კინკილითაო.

ქოთანას ჩამოეწია, ბორტვი აავსა კვდრითაო.

მალლა ჭებს კახოს გიუნა, ხევსურნო ვერორთ ცდითაო.

ბეჭიტაისა ხმლის შუქნი მახევეთ ნახნეს მზირთაო,

ხმლით სცემდა თითო-თითოსა, გზისძირ წაიღებს გზითაო.

მშვილდი აყეფა ომამა ბასილის შვილმა რქისაო,

ჩამოაბრუნა ძოძიი თეთრი მანძილა ტყისაო,

ჯაჭვი დაწყვიტა ბექთარი¹⁾ როგორც გუდაი შვლისაო.

„საკარყმო, ხინჩლა, ვის მივსცათ, ხევსური ვინ ჯობდ ცდითაო?“

— თვალაჯაისძეს მიეცით, ჩამომიარა მხრითაო,

მანამდინ მე მივიდოდი, მესამეს სცემდა ხმლითაო. 19

როშქს ჯარის მოსვლა

ერთს[ა] მეც ვიტყვი სიტყვას[ა], ძმათაც რომ მამჭრან თავიო,

საძელეს გარმოდოდა თავუჩინარი ჯარიო,

ჩამოდის როშქის ხორხშია ქუჩუმინი ფარიო,

დეეცნეს ქმოსატს როშქას[ა] უდროოს დროში ცანიო.

ციხეთ როშქის გორ ნადგომთა ჩაიცვეს გორის ტყავიო,

შიგ ჯოყოლიკა შეუდა, შეილო საომარიო,

წინ-წინ მოსულს[ა] ლურჯასა არ მისცა რბოლის ხანიო,

ზედა ნაჯდომსა მხედარსა წითლად უღება ტანიო.

როშქის გორ შუშპრობს დიღველი: ხევსურებს შევსდევ ხარიო,

კვამლად მოვსთხოვე ბეგარი თითო შიშაგი ცხვარიო.

ამბობენ ხევსურთ შვილები: რად უნდა საუბარიო,

წინ-წინ მოვიდეს ლულითა კრელაისშვილნი ძმანიო,

ბრალია, კრელაისშვილო, არ გექნას ომის ხანიო,

ფარს ქვეთით შემოგაპარეს ტყვია მაჭრისა ჩქარიო.

1) მაგარი ჯაჭვი.

გუნდი ლიქოკით გარმოხდა ქორის შავარდნის ჯარიო,
 მოუძღვა ლოხაურაი ყვირილობისა ხარიო,
 მეშველათ ხათუთისძემა თოფს ახალ მისცა ტალიო,
 თინიბექს გაულესავის ღერენას შვილსა ხმალიო,
 წამოხკრა საკაისშვილსა, გალოს მოვიდეს ჭკვანიო,
 ჯარიამ ჯინჭარაულმა ხელით მოილა ხამლიო.
 გიკვეხნავ, საკაისშვილო, ხევსურნი მინდან რვანიო,
 ეხლად კი ვერ ღნახენია ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანიო?! 20

ს უ მ ი ნ ს

ამბობენ, შეწუხებულავ სულეთში წიქაისასა,
 უნათრავდ (?) დის ქისტები ჩვენის ძირ კალაისასა:
 ძმასა აფშინას მითქვიდით, ჯავრსა ნუ მაჭმევს მტრისასა,
 ადგას, ჩაიდვას საგძალი ტანს ვახყვეს სიათისასა:
 უმცროსი თამარისძეი იმედსა დადვას ხმლისასა:
 სულწუხად ჭყვივლს ამბობენ მითხოველთ მთიბლებისასა:
 რა იქნა, რა მოგვეწია, ვინ მოგვიარა მთისასა!
 ვაჟებ, აფშინა იქმნება, კირს მოსდევს წიქაისასა,
 თოფს დახკრავს, გამააგორებს ნარჩევსა მითხოვლისასა,
 ხმლითა სცემს თამარისძეი, ჩამოაწითებს ქვიშასა:
 იქმნები წიქაისადა, ზიდვანს დაუწყებ წყლისასა. 21

*

საგურვოდ წამოვედით აფშინაის სატირლადა,
 აფშინას კი რა მოხკლევდა, — მოგვეგება საკვირვლადა,
 ერთი ძროხა ვახშმად დაკლა, ორი ხარი სადილადა,
 თითონ ციხეში შავიდა, არ გამოდის ადვილადა,
 ბუჩასეულ შაიტანა ზარბაზნების მაგივრადა,
 თუ ბუჩასეულ გავარდა, პრისტავ ვახდა სატირლადა.
 აფშინა დაუბარებდა გაჯავრებული პრისტავსა:
 დილაზე გაყურებინებ ქუხილსა ბუჩაისასა,
 ეტანებოდე კლდეებსა, ტვია გაყრიდეს ქვიშასა. 22

ივანე ჯოყოლიკათი

ივანე ჯოყოლიკათო, კაცი გამოხვედ რაფერი,
დაბადების დღეს გამოგყვა მარჯვენას მხარზედ სანთელი,
ალარას შენ გაუალი საურჯულოსა მთა წვერი,
ალარს შენი დაუჯდომი, სადაც ტყის ღბავა ბანცვერი,
შენი კაც-მოუკლავი არ იყო ქისტის სოფელი.
ივანე, შენ გამჯაყავი კაციმც ნულარ არს დღეგრძელი,
ა ისითამალ გაგჯაყოს, რომელიც იყოს შენფერი. 23

*

ივანე ჯოყოლიკათო, შენფერ ვერვინა ხმლიანი,
მანამდინ სახსენებელ ხარ, მანამდინ ცა და მზე არი,
ივანე, შენს სიმთელესა მითხო არ იყო ცხვრიანი,
ძალღებსა მითხოველებსა ვეფხვი ეგონე მწკლიანი,
სადაც შენ აუმხარდიდი, შინისკე ედგა გრიალი,
თოთხმეტი ქისტი მოგიკლავ, დილა გიქნავ ზიანი.
დღისით კი ვერ შემოგწონეს, ღამით ტყვიამ გყო ზიანი,
შენი მამკლავი, ივანე, მითხოში დავა ხმლიანი.
შინ არვინ დაგრჩა მძებნელი, შვილ ვერ გყავს ჯერ წამავალი.
ბებერ ბაჩუა ამბობდა: მითხოს სოფელში მივალი!
— ახლებ, ბაჩუავ, გაუშვი, ბევრი გყავს ზედ მიმავალი! 24

ბევრს სახელობს ხევსური

ბევრა სახელობს ხევსური, ბევრამ გაბანდა ჯღანიო,
წლით ხოცენ ხახმატელები, მტერს იმით შესდღეს ზარიო.
არდოტელები აძრახდეს: „მტერმა შემოგვრთო თვალიო“.
ბევრგან გაწირა გიორგიმ უთურგას შვილმა მკვდარიო,
აწითნეს ბაცალიგველთა ბუყარეჩოში გზანიო,
დაუკრნეს წყალსიქითელთა ბალხის ბათარის გზანიო,
ჩვენდ იყავ მონის მოქმედო, წავგვისხი ხაროვანიო.

შიბუს ბათარა მოხკლიან, ყორნებ აილით მკვდარიო,
დალუპეს ლიქოკელებმა ბუნოთ მომდინარ მეზავრიო,
საშოვარ დააყრევინეს, იმით შურობენ სხვანიო. 25

ბოშტუა გადიდებულა.

ბოშტუა გადიდებულა არხოტივნების ჯავრზედა,
მტერ არ უხოცავ ბოშტუას, მლოცავც არ უდგას კარზედა.
გაიგეს არხოტივნებმა, — ურჯულო დადგა ძალზედა:
წავიდეს მონადირენი, იქ შახდეს ტერლის მთაზედა,
ტერლის წვერ გადამდინრებსა. ყორნები დახყეფს თავზედა.
გზას ესხდა ქისტის შვილები, ნახალიზრები სხვებზედა,
იციან არხოტივნებმა თოფთა ხმარება ხელზედა.
არ დასდევ, თოლგაის შვილო, ტყვია აგასხეს ტანზედა,
ეხლა წაილი ამბავი, დიდგულად გადი ბანზედა.
შემოგხვდეს არხოტივნები ტერლის სასწორო გზაზედა,
ძმისწულ იქ დამიგაგდებიეს, გაზდილი მუქარაზედა,
ჯერ იქ მოითვრნეს სისხლითა, აწ ჩავლენ ტერლის წყალზედა.
ბოსელთ აბრუნდეს არწივნი, ეთელებიან მკვდარზედა. 26

ნაკულა გამაროშვილი

ნაკულავ გამაროშვილო, კახეთ რა გქონდა სავალი,
ვერცხლი შინ გედვა, ოქროვი, მთას ცხვარი გედვა მრავალი,
ცოლად [გ]ყავს გოისძის ქალი, მზეი გორის პირ მოვალი.
გზაი შევიკრეს ლეკებმა ტყის პირზე შენი სავალი,
ვერ შემოგწონეს სახმალედ, თოფებს უმეტეს წამალი.
ნაკულავ, შენსა მომკლავსა ლეკმა ლეკს მისცა სალამი. 27

მ ა რ ტ ი ა

ვაჟ ნადირობდა, დაბერდა, მთაწვერთა იარებოდა[ვ],
 მიუსხდეს მენადირენი, ვაჟს სიკვდილ ეღირებოდა[ვ],
 ესრევენ გოშტიკაურნი, მარტიას არ მოხედებოდა[ვ],
 მარტიასი ნასრევი გალოზედ აქკვავდებოდა[ვ],
 ნარჩევი გოშტიკაურნი ყორანთ საკმელად ხდებოდავ,
 მაჟარი მარტიასი თოფთ ნამეტნავად დგებოდავ,
 ვერ გამაირჩევთ ჩემთანავ, ჰოხობებს ეჯიბრებოდავ.
 მარტია, თოფს ემღუროდავ: „თოფ სახელს მეკიდებოდავ“.
 მარტიავ, თოფს ნუ ემღური, სახელ ხომ შენდავ რჩებოდავ.
 წამოვა საშინაოდავ, წინ სახელ დაუდგებოდავ,
 სწორები სახელს ულოცვენ: „ვერა ვქენ“, ეუბნებოდავ. 28

*

დაიჯაჭვიან ხევსურნი, ჯაჭვით ცხენებზე შესხდიან,
 შეიყარნიან სანესა, მაგარი პირობ შეკრიან,
 რად გააჯავრა ზურაბი, მარტიას ჯურუმს¹⁾ სთხოვდიან. 29

*

მარტიავ მამსურის შვილო, კმალს როჯის მოგიშვიდება,
 ომჩი შახოლ და გამოხოლ, გული ზრ შაგიშინდება,
 სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება. 30

მითხოვლავ გადიღებულა

მითხოვლებ²⁾ გადიღებულა, აღარა კაცის წა[ო?]რზედა,
 იდომლი³⁾ ყრია[ნ] ლაშქარსა, კმას დაიგდებდენ სხვაზედა:
 აცელ გამოსულს მუშასა ჩამო[ე]ხვიენენ სამზედა,
 ახალნი შემევეგებნენ, სტუმართ რო თავის კარზედა,

1) ჯარიმას.

2) ქისტების სოფელი.

3) იდუმალ.

ერთურთის მემჯობინართა კვამლი დაბადეს კვამლზედა.
 გორგოლაათ კვირიკა მარტო შაუდგა წელზედა.
 ბრალია შენდა, კვირიკა, არწივ დაიკანკ მკარზედა;
 შოკოროშვილი დაუკარ, სადილ თქვენც გინდათ გზაზედა.
 მთაჩი ეძახა ყორანთა, — სისხლის მიზდიე კვალზედა,
 ამბავ, ლომაზო, მოიღე, კვდარ ვიზე მივა კარზედა,
 ე ისი ქვე იკითხიდი, რომელზე გვიყვეს ჯავრზედა,
 დანდობამც გამობრუნდება სიმაგრე ნაქნარ ჯვარზედა;
 უფროსებ ნუ დაიცვილებთ კვირიკას ჯვარის კარზედა,
 ა იქ ნამყოფებ ვაჟია სათავის დასხი ჯარზედა. 31

ლიქოკის ღელეს გარდადის

ლიქოკის ღელეს გარდადის ხევსურთ შვილები დილასო,
 ხკითხვიდეს გელდიაურსა ძველსა და წინაწინასო,
 გამურჩევს გელდიაური ჯერ ჭკუას, მემრა რკინასო.
 გუდანს აგებენ ბელელსა, ლიბუდ¹⁾ უგებენ სინასო²⁾,
 სწამებენ ჩაჩბარაულსა ქრთამს, ქალაბანსა³⁾, ინასო,
 არცა რა კარგი თავს უყვა, არც რა შესძინა შინასო. 32

გაგუკა ქალუნდაური

გიორგ წმინდაში დახვიეს თუშებმა ელამ⁴⁾ ფარია,
 საკვირაოთით აიღეს თეთრი მძოვარი ცხორია.
 ქალუნდაურმა მოხკიდა სანადიროთით თოლია,
 აისხა იარაღები, მალლა შაიბა ხმალია,
 ჩამოვა თათრის გორასა, მუხლებს შაუჯდა ქარია.

1) ლიბუ — საძირკველი.

2) სინა — ხარი.

3) ქალაბანს — ქრთამს.

4) ვარიანტშია: დელამ.

გავარდა ალერდაჩია, როგრო ნაჯოგარ ხარია,
 ხევის გზათ ამოუბრუნდა პირს მზეი, ბეჭებს ფარია,
 შამოხდა საფეხნოშია, ქალ ზძალს დასწერა ჯვარია, —
 „აქით გამიშვით, ქალებო, შორით დამიგით თოლია“.
 ბელელჩი შემოეწია: „თუშებ, დაყარეთ ცხორია!“
 „ქალუნდაურო, ნუ მოგვდევე, არ მიდის შენი ცხორია“.
 მამუკამ არ დაიჯერა, — „სანეს ნაცად მაქვ ხმალია“.
 დაბრუნდეს მექობაურნი შალვა, ივანე ძმანია,
 თოფსა ივანე ეტყოდა: ჭერავ, დაყარენ ხმანია,
 გულს დახკრავ ქალუნდაურსა, ირემ წამასხნავ რქანია.
 — ხელსავ, ივანე, ნუ მამკრი, მარჯვენე ირჩივ, შენია,
 ხმალსა წელს ზეით ნუ შამხსნი, ხევსურთად კაის მქნელია,
 თოფსა მხარ ზეით ნუ ამხდი, ჭაუხჩი ჯიხვთა მტერია,
 ტან ზეით ჯაჭვთა ნუ წამყრი, ქერიგოს ქვიშათ ფერია.
 ამბობდა ქალუნდაური: ნეტავი გამამთელაო,
 გზა მასწავლა სათუშეთოთ, ბორბლის წვერ გამავლიაო,
 სად სახლობს მექობაური, შინამც ვინ შამაჩინაო,
 მეშველიმც გაგვიგვიანა, ერთურთიმც დაგვაცდიაო,
 ივანეს ცოლს და დედასა თვალითამც აცქერიაო,
 ერთიმც ვინ მამაქნევია, მემრ მამკლა, დამაწვინაო. 33.

რად გაგიხარდათ, დილღველნო

რად გაგიხარდათ, დილღველნო, არხოტიანთა ზიანი?
 უშიშა ოჩიაურნო, როს დაგიბარა გზიანი,
 ალუდაი შვილს მიუა შინ სხევართ სირცხვილიანი.
 ადგეს, ჩაიდგეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
 გავიდეს ქორიელაზე¹⁾, დილაა თირთვილიანი.
 მოუკლავთ ცხვირეგუელი თეთრა მანძილა რქიანი,
 ერთმანეთს ეუბნებიან! ორმა გულს უყვეს ზიანი,
 კურდღელაილამც იქნები, შამოწე გულს ნატყვიარი.

¹⁾ მთა.

ჩორეხსა 1) ყეფდა ყორნები: ვინ იყავ, ვინ ხქე რიალი?
 „ვაჩიაურნე, ყორანნო, სრუ დიან სახელიანნი“.
 ამაგ ლექსისა მათქვამი ახიელ ბანზე ვზივარო. 34

ჭიმლის კლდეს ხყეფდა ყორანი

ჭიმლის კლდეს ხყეფდა ყორანი, ერთი გასძახის სხვასაო:
 ველთ მიდის ოჩიაური, ჩვენც გავხყვეთ იმის კოლსაო,
 თათარა დაგვიმზადებდა ყორის წყალზედა მკვდარსაო.
 ლუდის კლდეს არწივნ აბრუნდეს, ვალი შეგვირჩა ძმისაო,
 ბიძიასი მომკლავი მოიგდეს კალოს პირსაო.
 ქისტო დიდგული ხყოფილხარ, ყამ არ გქონია მტრისაო,
 წყალთ რად არ ხკითხე ამბავი ოჩიაურთა ხლმისაო. 35

ამოვა ჩეკილისშვილი

ამოვა ჩეკილისშვილი, ირემს ამოჰქვა რქანიო,
 ილტოზედ 2) ამოსეესა 3) ლეკმა მოჰკიდა თვალისო.
 ლეკებსა უთხრა ბელადმა: „საჩვენო არას არიო“.
 არ დაიჯერეს ძაღლებმა, არა აქეს სამართალიო,
 დაუსხდენ გზის თავ, გზის ძირსა, არ დაანებნენ გზანიო.
 დეექცნენ „ამხინიგები“, — ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
 დაბრუნდა იარაღშია, დააბობინა 4) თვალნიო:
 „დამექცა „ამხინიგები“, თოფო, მიჭირე მკარიო“.
 დაუჯდა თოფის ლიშანსა, — „ლეკო, დაგეძრას ტანო!“
 გამააგორა ბელადი, სისხლისა მიდის წყალიო.
 იმასაც დაჰკრეს მაჟარი, მემრე იხმარეს კმალიო:

1) კლდე.

2) მთა ფშავში.

3) ამოსულს.

4) დააბრიალა.

..შე რო მოგვიკალ ბელადი, ეხლა უზიდენ წყალიო!“
 ატირდეს წვრილნი მასკვლავნი, ცამა დაყარა ნამიო,
 თვარემა ხუთმეტისამა შემაიმტვრივნა რქანიო,
 ემაგ ლექსაის მათქომი ალვანში თუშის ქალიო,
 სალექსო გამამიგზავნეთ თითო შიშაგი ცხვარიო
 ან თითო საყურ-ბეჭედი, აჟრიალებდეს ქარიო. 36

პ პ პ პ მ ი

ყარავლობაა ჩვენზედა დამდეგ აპრილის თვეზედა,
 პაკაციმ ხმალი გალესა, ცერი აუსვა ფხაზედა,
 ცხენს შეჯდა ბედაურზედა, ნიაგ-ქარივით ქრისაო,
 ამხანაგსა გაურბინა ომან ბადალაშვილსაო.
 ომან შინ შეიპატიუა, — ტურფად გამართვენ ლხინსაო;
 ადგნენ, ქვევითათ წავიდნენ, — დააცემინა ცხვირსაო:
 „ეს ცხვირი რას გვეუბნება, — ლეკები დაგვხვდებიანო“.
 ჭიან ტყესთან რომ ჩავიდნენ, ლეკებმა შექნეს ჯილჯილი,
 ერთმანეთს უთხრეს: „ვალაო,
 იქ რო ორი კაცი მოდის, ისინი ჩვენი დავლაო“.
 პაკაციამ გაიგონა: „ჩვენ დაგვცინიან განაო?“
 ზევიდან ჩამოუქროლა, ცხვარივით გაილალაო.
 ერთი წუწკი გულხადარა უბელო ცხენსა მჯდარაო,
 პაკაცის თოფი მოარტყა მარჯვენა მუხლის ძირსაო,
 პაკაცი ძირს ჩამოვარდა, შუქი ბნელდება მზისაო.
 პაკაცის თოფი გავარდა, ხმა ქონდა, ზარბაზნისაო,
 ერთი პაკაციმ მოუკლა, თვალთა ბელაქნისაო.
 პაკაცი¹⁾ ეუბნება ცოლსაო:
 „ნუ გეშინიან, მარიამ, ნუ გაიტეხამ გულსაო,
 იქნება კიდევ მოგიჩე, არ ვაგირიო ქარივსაო“.
 37

¹⁾ აქ სიტყვები აკლია.

მელეშიშვილსა აქებენ

მელეშიშვილსა¹⁾ აქებენ ყაზახსა მეტი მეტსაო,
 კახეთში დაიარება, ვერა შოულობს ტყვესაო,
 ე ჩვენი წმინდა გიორგი არც უმართამდა ხელსაო,
 ყვარელებსა ემუქრება წმინდი გიორგი[ს] ყმებსაო.
 წავიდა და გამოუძღვა შარიგებულსა ლექსაო,
 ჩამოერივა ყვარელში ფერიცვალობის დღესაო,
 სახლები დაწვეს, დაბუგეს, კვდრებ ვერ აუქცევ ფებსაო,
 ქალ-რძალი ბევრი წაასხეს, გადაუყენეს მთებსაო,
 ერთსა ციხეში შერეკეს შვიდ ლამესა და დღესაო.
 მელეშიშვილი ბძანებდა, სიტყვას ამბობდა ბრძენსაო:
 „საბელადოსა ავიღებ, ბელადიც ვიყო დღესაო,
 საბელადოში ავიყვან, ქალსა ავიყვან ერთსაო“.
 შავიდა, გამაარჩივა, — ლამე ანათებს ბნელსაო,
 კისერი ბუღას მიუგავ, თვალები მინდვრის მწყერსაო.
 ქალები მელეშიშვილსა ჩამოუმწყკრივდნენ გვერთაო.
 „ქალო, ნუ მოგაგონდება შენი ვაჟკაცი ქმარიო“.
 — ჯულდაღლო მელეშიშვილო,
 ქმარი და მაზლი მამიკალ, ბიძას მიცემე ხმალიო,
 მე შენ როგორ დამინდობდი, ვიყავ ყვარელის თვალიო,
 საქრისტიანო დააგდე, ბოზბაშ ირჩიე ფლავიო. 38

წარუველთ მოგვი

ცხვარი დიქს²⁾ ჩემეფინა პატარ ნაქერლის ძირსაო,
 გართაის ჯარი დეეცა პატარა ხმელეთისაო,
 წარუველთ გოგი წამოსწვდა პატარა ხუფრის ძირსაო,
 ისე გაკაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო,
 ისე დადგება ღვარები, როგორც ელღვარი მცისაო.

1) მეორე ვარიანტში: ბელეშიშვილსა. ლეკების ბელადი ყოფილდა.

2) ძირს.

წარუველთ გოგი შინ მოდის, თოფები მააქვს მტრისაო,
 ას თოფი, ას იარაღი, ას ხელი გულხადრისაო,
 ისე მორეკა ის ფარა, ბეწვი არ დააკლდისაო,
 ისე გაივლის ლეკებში, როგორც პაჟარნი ღვთისაო.
 ისე დაჰხოცავს ლეკებსა, როგორც ბიგაი¹⁾ ღვთისაო:
 გამოვიდოდა ჯარჯუი, როგორც ბელადი ღვთისაო..
 ჯარჯუი ამოივლიდა ავჭალას დილაობითა,
 აქ ტვერ²⁾ ნარჩევი ბიჭები წინ შაუკრავენ სანგალსა,
 გამოვარდება თოთას ხირიმი, იაკობ ჯარჯუი იქ დარბის,
 ცხრანი მოგვიკლა ხელდახელ, მეათეს თავი მოგვიჭრა,
 ათ ხელი, ათ იარაღი, შინ მოსვლა მშვიდობითაო. 39.

ხ ე ლ ი ა ი ს მ მ

მიხა ბქვეს, რომათის შვილი, შაყარა ფშავლის ჯარიო,
 გადვიდა ბორკილაშია, უკვენ გადაჰყვა ცხვარიო.
 სამშაბათ დილას იძახის: „ქისტებ დალალეს ცხვარიო“..
 ხალიაისძეც იქ არის, არწივ თქვეს მეომარიო:
 „კიდევ მოსულხართ, ქისტებო, კიდევცა მქონდა ჯავრიო,
 ბევრი მაქვს ტყვია-წამალი, ცხრა-ათ ოსმალოს ტალიო“..
 ხალიაისძის-ხირიმმა³⁾, ქისტო, დაგიძრა ტანიო,
 მესამე დაჰკრა ეხლაო შაშჩეს სათოფე თვალიო.
 შენც დაგკრეს, ხალიაისძე, მასტყდა ფშავის ხელს მხარიო,
 მათურელ გოგლლაურთა გამეეთხარა თვალიო,
 მათურაშია ქალ-რძალსა არ ჩაიცვასა შავიო,
 შენ ცოლმა გადმოყოლილმა არ შაირთოსო ქმარიო;
 რაი ქნას, ვინლა შაირთოს, შენფერ კაც აღარ არიო.
 სასუფეველსამ დაგადგამს ლალი ლაშარი ჯვარიო,
 რო წახვე სამოთხისაკე, წინ წაიმძღვარენ სამნიო,
 ზოგთ კი წყალს აზიდვინებდი, ზოგთ აბანდვინე ჯღანნიო.

1) ვანთქმული ლეკი ყოფილა.

2) ლეკების სოფელი.

3) თოფი.

ე მაგ ქართულის მათქომი ცალხელით ხაიშარიო¹⁾,
 თოფი მეცა მკრეს თათრებმა, მტრისა მეცა მაქ ჯავრიო,
 სალექსოთ დამიმზადოდით რომელიც კაი ქალიო. 40

*

ბეჩავო, ხალიაისძე, ღმერთმა გაცხონა მკვდარიო,
 ანდაგში დააყრევინე ფშავლების შვილის ცხორიო;
 ქავთარა წიქაისშვილო. დიდხან ცოცხალიმც ხარიო,
 შორათ არ დაათრევინე ხალიაისძე მკვდარიო.
 ხალიაისძის მაჟარმა, ლეკო, დაგიძრა ტანიო,
 გიტირა შავმა დედამა ხალიაისძე მკვდარიო:
 „ბევრჯელ დაგმალე საგზარნი, ბევრჯელ მოგპარე ხმალნიო,
 არა ხქენ, არ დაიშალე, — ვაჲ დედიშენის ბრალიო!“. 41

შაყრილან ფშავლის შვილები

შაყრილან ფშავლის შვილები, ლაშარსა გროვდებიანო,
 გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს მუქარაზედაო,
 საგათენობოთ დაეცნენ თუშეთს მხაროვანზედაო.
 შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აბჯართ გაიღეს ჟღირალი:
 უთხრიდით ჩაღმა გომეწართ, დაძრან ბაირახ ტარები.
 მოვიდნენ პირიქითელნი, საომრათ ბარაქიანი,
 მოგვდევენ თუშის შვილები, შვილდნი მოჰყეფენ რქიანი.
 მოეწეოდნენ ნაროვანს, ჩალად დაჰყარნეს მკვდარნიო.
 გვიქებენ გელოიძესა, ქორ ცხენზე შეგვიჯდესაო,
 მანჭირაულის ლურჯაი ირემივითა რბისაო.
 ვაგვიძებ, ცისკარ ფოცხვერო, დილის დაღვბერტყე ნამიო!
 აქრა გინდოდათ, ჯღანდიდნო, სიტყვა რათა სთქვით მცდარიო,
 ყადოვანს დაგადებინეთ დროშა ლაშარის ჯვრისაო,
 თუშეთს როგორ გასტეხამდით, განა კოკაა წყლისაო?
 ამ შეირის მოშაირე ვერხოვანს ბანზე ზისაო,
 თუ სახელათ ვერ მიცანით, უქრმო ქალი ვარ ღვთისაო. 42

¹⁾ ხელნაკლული.

გური ბაჩყაური

გუროზი ბაჩყაურო, შინ იჯე შიშო მტრისაო.
 ბაქართას არ დაგიდგების მამკლავ ძმის ჩოთაიასი.
 წელთ ხმალი გება ფოლადი, მხარს თოფ გეკიდა სხვისაო,
 თლოშიაური ახლები ვერ გამოდიან ჩდილსაო,
 საც ბეჭის ძირი ან ტყისა, ბაჩყაურ ხგონავ ზისაო.
 თლოშია ეუბნებოდა: საყელ შეუკრათ გზისაო.
 „საყელჩი არ დაგვენდობის, შავარდენია მთისაო“.
 დათვიას, გუდამაყრელსა, ნიავ ეშლების მთისაო.
 გულზე ნაკანქარ აწუხებს, ახურათ ყმაწვილისაო:
 სკოდნია გუდამაყრელსა ხელუკულმ ქნევა ხლმისაო.
 მოსყედავ ბაჩყაურო, დათვია დაგხვდებისაო,
 ლამაზად შაინახილი ნახეთქი თავრივლისაო,
 იქნები სახსენებელი ჩემი და შენის მკედრისაო. 43

დადილდა მითხოველი¹⁾

დადილდა მითხოველები, არ იყვნეს კაცის ნარზედა,
 უდებლა ყრიან ლაშქარსა, დანდობა ქნიან ჯვარზედა.
 აცებ ნამყოფსა მუშასა ჩამოეხვიენეს სამზედა,
 ლაშქართ კვირიკა დაუდგა გორგალაშვილი ძალზედა:
 „ნუ გავიქცევით, — ეტყოდა, — ადგილ ჩვენ გვიდგას ხმალზედა“.
 ბრალ იყო კვირიკაისა, არწივ დაკოდეს მხარზედა,
 თოთიამ თოფი მაასწრო, მაქარ დაიბრუნ მკლავზედა.
 შოკოროშვილს ქვე დაგიკრათ, სადილ თქვენც გინდათ გზაზედა,
 გადაუყენა ყორნები, მისდიეს სისხლის კოლზედა:
 „მოგვიტანილით ამბავი, მკვდარ ვისას მივა კარზედა,
 ეგიც გაიგითია, რა რალ ვინ გვიყო ჯავრზედა“.
 დედანი ქაშლოს ატირდეს, ქალნ ამოვიდეს, კარზედა. 44

¹⁾ შეად. „მითხოველები გადიდებულა“, გვ. 40.

არშას შაიქნა თქონთქორი

არშას შაიქნა თქონთქორი, სიმაგრე გათხტა კლდისაო,
 ბაზალთ გივარგის დაკარგვა გასახაროა მტრისაო,
 ან შტერთ რად გაუხარდება, ბძანება მოხდა ლეთისაო.
 ერთმანერთს ეუბნებიან. ფხა ამოვლესათ ხლმისაო,
 ავისხათ იარაღები, ყელი შაუკრათ ხდისაო.
 წავიდეს ახალგაზდები ცხრა შავარდენი მთისაო,
 ღილღვის მთას გამოემზადა თორმეტი კაცი მთისაო:
 „წავიდეთ ოხერ ხევისკე, კარები ვალათ ხისაო,
 ცხენი და ძროხა გავრევათ, ფარა სულ თეთრის ცხვრისაო“.
 აქებენ აფციაურსა, ყმაწვილსა ცოტა ხნისაო.
 ქოითით შამომდინართა თოლი ჰკრა შავარდენისაო:
 „გაისაჯენით, ბიჭებო, ვისიც რომ ხმალი სკრისაო“.
 მაგ გოგბათ ნინას აქებენ, ყმაწვილსა ცოტა ხნისაო,
 არა აქე ოძის ხალისი, ქისტებზე ხმალსა სკდისაო.
 ხულელთ ბეუანას, ნაცადსა, მთელი ქვეყანა ხკვირსაო,
 დისწულის გივარგისათენ დედის ძმას ყელსა სკრისაო.
 გაბრიელს გაუგონია სახელი ჩვენის მთისაო,
 მობძანდა, თქო: „გამარჯვება, მოსახელენო მთისაო,
 ბაზალნო, მართლო გცოდნიათ ქისტებზედ დავდა ხლმისაო“. 45

ვინა თქვა, ენა გაუხმა

ვინა თქვა, — ენა გაუხმა, — თუშებჩი ბევრი ცხორი,
 ანდაგიი შემოსულიყო თორმეტი ფარა ცხორი.
 საწყალ და თუშის ვაუებსა საწყინო ეტყვის მხარი:
 არ ვიცი ჩვენი წერაი, არ ვიცი ცხვრისა ზარალი.
 უჯურდებიან ძალღებსა: ოხრათ წაჰკარით ჩქამი,
 ცოდვა, ჩვენ დაგვაძინებდი, ან თქვენით გიძევს თავი.
 შუა ღამის დროს დეეცა დიდის ურჯულოს ჯარი.
 ბათურმა უთხრა გიგაურს; ძმაო, წაასხეს ცხორი,
 არ მიგვიშვებენ ჯალაბნი, არ გვიტირებენ ქალნი,
 ჩვენ საქონელჩი გავწყდებით, ვაჟ მწყემსნო თქვენი ბრალი,

თქვენის დედამისის ცოდვითა ყელთამდი მოვიყარით|
 თითო შავსწირეთ მწყემსებსა, [ვ]აბრუნებინ[თ] ცხორი,
 ორი ბათურსა შავსწირენ, — მოუტანოდენ წყალნი,
 ორი გიგაურს შავსწირენ, — მო იყვან იმის ყმანი!
 ლუთხუმის კეცსა შამოჩნდა ლურჯაი პიროფლიანი,
 ლუთხუმით გარდმაციკვირენ: ვინ მოდის დოვლათიანი?
 ცოლმა შააგდა ანდერ'ხა:
 ჩენი მეცხორის ლურჯას გავს, ვაჟ მე თუ დავრჩი ტიალი!
 წამაეგება დედაი, თმათეთრი, ქალარიანი,
 მადლობა ღმერთსა მასთხოვა, — შვილი მამილა ცოცხალი!
 „დედავ, რაილა მაგივენ, მაგივენ სირცხვილიანი!
 ბორკილაჩიგა წაგვისხეს ფოცხორისშვილის ცხორი,
 თელეთით დახვდა დავითი, ჩალა დაყარა მკვდარი,
 კმლითი მარეკა გაბედა, ვაჟმა დახოვა თავი!“ 45

ს ა ხ მ ი რ ი

მინდორიხი ერთმა მოყმემა სიზმარი ნახა მხრიანი:
 მანდ ცხორი დამეხოცება, მანდ ჩემი მწერელი არი.
 სახარემ ცხორი აპყარა, მიჯრილი სამი დღე არი,
 ადგა და გამაიმართა ბედრიან-დოვლათიანი.
 ლუთხუმის ქალას შამოჩნდა ლურჯაი პიროფლიანი:
 „ლურჯავ, გაიწი შინათკე, ჩქარა დარჩები ტიალი!“
 გადმოსცქერს მთელი სოფელი, — ვინ მოდის დოვლათიანი,
 ადგა და ცოლმა გახვდა, სიტყვა რაიმ თქვა ქვეიანი:
 „ჩენი მეცხორე ცხენს შაჰგავს, ვაჟ თუ დავრჩე ტიალი!“
 წინ რძალი ჩემეეგება, მძღლიანი და ღეთიანი:
 — მაზლო, დაჯე და მიაშბე, ცხორიჩი რა ამბავი არი?
 „მე ცხვრისა არა ვიცი რა, ჩემი დღე მიჯრილი არი“.
 — სახარეს გაუცხელეთ რა, სახარე ნამგზავრი არი.
 „სახარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცვრიანი“.
 როცა სახარე კვდებოდა, ცა ქუხდა, მიწა ტყვრებოდა,
 მასკვლაგებ ჩამადიოდა, თორე უკულმა ცხრებოდა,
 სახარეს ცოლი და შვილი სულ ცრემლი იხვრიშებოდა,
 ლუთხუმის ქალი და რძალი შავს ტალავარჩი სხდებოდა. 47

სული მთხოვა, არ მივეცი

შავნაბადელსა მიქებდნენ ცუდსა და ავი ზნისასა,
 ორნი იქ შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა.
 პურსა მთხოვდა და ვაქმევდი, — ვურჩევდი ქაბაბისასა,
 ხორცსა მთხოვდა და ვაქმევდი, — ვურჩევდი კაკაბისასა,
 ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი, — ვურჩევდი ბაღაგისასა;
 ცოლი მთხოვა, არ მივეცი, — ჩემი ვარჩიე სხვისასა.
 [გადაეხვია, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა;
 დაიწყო ქალმა ტირილი: „ვაჟ მე უღონო ქმრისასა!“]
 ლეკურსა ხელი მოვისვი, ნაბოძებ ცოლის ძმისასა,
 ცხენი და კაცი გავწყიტე, წვერმა უწია ქვიშასა;
 ერთი იმანაც გადმომკრა, რისხვასა ჰგავდა ღვთისასა;
 იმდენი კიდევ დამცალდა, ცოლი გავგზავნე ძმისასა.
 ორნივე იქ დავიხოცენით, სამზღვარსა მუხრანისასა. 48

*

(ვარიანტი)

ავსა გზას შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა,
 მკითხამ და მეც მოგახსენებ ჩემსა და ქინცრადისასა.
 ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი, ვურჩევდი შაფანცკისასა,
 ხორცსა მთხოვდა და ვაქმევდი, ვურჩევდი ხობობისასა,
 პურსა მთხოვდა და ვაქმევდი კარგსა და თათუბისასა,
 ცოლი მთხოვა და ვერ მივე, ჩემი ვირჩივე სხვისასა.
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა.
 ამიტირდა და ქალმა თქო: „ვაჟ ქალ დანდობსა ქმრისასა!
 ვაუკაც რო ცოლი წაართონ, მიჰყვანდეს სიღვდრისასა!
 მოდი და ქალი ქმარს ენდოს, დახე იმედსა ქმრისასა!
 ამისთანა ვაუი კაცი ქვეშა მოექცეს მიწასა!“
 ვაუკაცმა ყური დაუფიქრე მე ჩემი ცოლის სიტყვასა,
 ისეთი გული გამიხდა, მორევსა ჰგვანდა ზღვისასა.
 ხელი გავიკარ ფრანგულ ხმალს, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,
 დავქვარ, შუაზე გავწყვიტე, ხმალმა გაუსო ქვიშასა;
 ერთი იმანაც გადმომკრა, ლახვარსა ჰგვანდა ღვთისასა,

ორნივ იქ დავიხოცენით, ქალი წავიდა ძმისასა.
რო ვჰკვდებოდი, ვინანოდი: რისთვის დავდექი შარხედა,
ორივ ქალმა გვინაცვალა, ხელი გადადო სხვაზედა.
ის კაცი ცუდი იქნება, ვინც დადგეს ქალის ჰკვაზედა. 49

სულ მუდამ ლუღუშაურო

სულ მუდამ, ლუღუშაურო, შკამს იჯე ერისთვისასა,
არ გაგიშვია ფრეხელი¹⁾ კევს მიმავალი დისასა.
ცხენი სთხოვე და გიბოძა, შვილდს რასლა სთხოვდი რქისასა?
შვილდი არ დაეთმება, ნაპირს სდგა ადგილისასა.
გადმაუბრუნა, გულსა ჰკრა მაგ ბატონს აჩხოტისასა:
„აქამდის სჭამე აჩხოტი, ახლა მე გაჰმევე ქვიშასა!“
კურელის ყანა[ს] გამორბის, გაელებას გავს ცისასა.
მოზდევენ ლუღუშაურნი, რისხვასა გვანან ღვთისასა,
კარნი არ დახედეს ღიანი, ვაჟ გულსა ფრეხელისასა!
ახლა იმ სახლსა მიღმართა ქერ-ბელელაი[ს] ზ[ძ]ისასა:
„ნეტარ არ შაიხვეწება ძმისა მამკლავი დისასა?“
„შამოდი, შაიხვეწება...“
ნუ მოზდევე, ჩემნო მამულნო, ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასა!“
არ დაუშალეს, მოუკლეს, საკომით²⁾ უკრვენ ისარსა.
ამბობენ წამოქცევასა ახალციხურის კლდისასა,
შიგ დატანასაც ამბობენ ქერ-ბელელაის ძისასა. 50

*

შიულამ ლუღუშაურმა წამამატანა ძალიო,
ახლოს ჰქვანიყო წისქვილი, შორით მაუგდო წყალიო. 51.

1) ორ სხვა ვარიანტშია: მფრეხელი; ორში კიდევ: მთრეხელი.

2) სარკმელი.

პარკუჩას ბალათერაი

პარკუჩას ბალათერაი ლამე წამოვა დილითა,
 ქოთათნი ბეგნი აივსნეს ქომაციხლების მზირითა,
 გადმსხდარან გზის თავ, გზის ძირსა გადალესილნი რკინითა.
 გადაუფრინდა ბალათერ,
 ზოგნი კრნა, ზოგნი დახოცნა, ზოგთ დაეხწია კირითა,
 გადაუვიდა დედასა გაცინებულის პირითა,
 გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილი ტვინითა.
 ბალათერაის დედამა თმანი დაიკრნა ძირითა:
 „რაზედ გაგზარდე, ბალათერ, რათ გაგიტიე შინითა?
 პური რომ მოგშივდებოდა, ბოლტსა ყლაპავდი პირითა,
 წყალი რომ მოგწყურდებოდა, სისხლს სომდი ჩაჩქნის ჯამითა,
 ბიძამა ხმალი არ მოგცა, ვერ გაძღა შენის კირითა!“ 52

შარუხ მამა და სნოს სიხე

შარუხ მამა და სნოს ციხე სულ დგანან მუქარაზედა.
 შარუხმა შამოუთვალა: „წინ შემეგებე გზაზედა,
 ჩამშას¹⁾ ჩააბი ცხენები, ნუ ეეგები ხმალზედა“.
 გაწყრა, გაჯავრდა სნოს ციხე, წისქვილს იბრუნებს თავზედა:
 „ვინ იყო, ვინ შამამწონა²⁾, ეგ დღე ვინ მისცა ჩემზედა?
 ცამდი ვარ ამაღლებული, მეთოფე მისხედს ჯარზედა,
 სიმგვირგვლივ გურჯი მავლია, შალესილი ვარ ტანზედა!
 შენც მამაცალენ ცხორანი, მეც გაგაწითე ტანზედა,
 სირცხვილით გარდაგავლიე მაგ თრიალეთის მთაზედა!“ 53

1) ყანები სნოსთან.

2) გამიბედა, სიტყვა გამისწორა.

ყორანო ჯავარიანო

ყორანო ჯავარიანო, მთასა ჩაავლე თოლიო,
 დავითი თუ არცა ღნახე, ნამგალა იყო ჩემიო,
 წყლის პირზე მავლეს თათრებმა, გზის პირს დაავდეს მკვდარიო,
 სამი დღე ყორანი ხავის, პატრონი არცად არიო.
 მეოთხეს დღეზე მოუდგეს დავითსა თავის ძმანიო,
 მისვლაზე თათარი მაკლეს, დავით შასწირეს მკვდარიო,
 ლამას გასაჯე ჯულძალდი, აზიდვინონო წყალიო,
 მწყემსებს ნუ შააწუხებ, აბრუნებინე ცხორიო.
 ქალმა გაიგა, შასტირა, ლურჯას დააკრა ნალიო,
 წელ შამაირტყა კმალიო,
 შაჯდა და ეგრე წავიდა, როგორც დაღბეროს ქარიო.
 შე[მე]ეყარნეს თათრები, ისენი სამნი ძმანიო,
 ისენი, სამნი გაწყვიტნა. იქ ეერივნეს გზანიო,
 დაჯდა, დაიწყო ტირილი: ვაჟ დედიჩემის ბრალიო!
 დავით დაუცეს ალამი, უბრიალებდეს ქარიო,
 ფეხთით დაუბეს ლურჯაი, — დასტირის როგორც ქალიო. 54

ივანე ერისთვის შვილი

ივანე ერისთვის შვილი წავიდა მამის მწყრალათა,
 ავჭალა ჩაინაღბრა, ქალაქს ჩავიდა ჯანათა,
 ხემწიფე კარზედ დაუხვდა, შორით აძლევდა სალამსა:
 „ყმაწვილო, რამ მოგიყვანა, ვისზედ წამახვე მწყრალათა,
 ირემო, მთასა გაზდილო, რამ ჩამოგავდა ბარათა?“
 „მთას გახლდი, მთას გავიზარდე, ეხლა გიახელ ბარათა“.
 ფიცხლავ შინ დაიპატიჯა, დაისო ხალიჩაზედა,
 ქამარ-ხანჯალი აჩუქა, ტარი დაუწყო ლალისა.
 ერთმა ვინმე ურჯულომა საწამლავი შეაპარა,
 ასეთმა სისხლმა დახეთქა, ჩოხა შეღება შავათა:
 „ამყარეთ თოფ-იარალი, მღვდელს მიეც საწირავათა,
 თინათინ ასეთს კაცს მიეც, მე მჯობდეს ყველაფერშია,
 ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანეთ მზითვათა“. 55

გუგუა ყამარაული

ნეტარ ვინ მოკლეს ქიშტები[მა], ნეტარ მა კევის წყლისაო,
გუგუა ყამარაული, ოცდათორმეტის წლისაო.
სალამოს პირზე დეეცა ურჯულო ქიშტის ჯარიო:

„გუგუა, უკან გაბრუნდი,

შენ ერთი ბიჭი ღბძანდები, ჩვენ ბევრი ქიშტის ჯარიო“.

არ დაიშალა-გუგუამ, თოფს დაუპირა ტალიო,

ხუთი ესროლეს გუგუას, ხუთი სჭირს ნატყვიარიო,

ორი წინათ მახვედრია, სამი ბეჭებჩიც არიო.

ახლა გაჯავრდეს ქიშტებო, თავს დაიხურნეს ცანიო,

ორი გუგუამ მოუკლა, შინითკენ მიაქვ მკვდარიო,

ერთურთი ჩხუბად გაუხდა, წამასვლა შენი ბრალიო,

ან მოვლენ ამხანაგები, ან მოგვეწევა ჯარიო.

შაიტყვეს ამხანაგებმა მინდორჩი თოფის კომლიო,

ყველამ თოფს ხელი დაავლო, ვინც თოფის მხმარი არიო.

ცხვარსკ კი არა აკლია რა,

თოფის გნით დაშინებულდი მინდორ შაკრული არიო.

ახლა გუგუა მონახეს, მინდორზე იწვა მკვდარიო,

აიღეს დ' წამაიღეს, ბინაჩი მათქვთ მკვდარიო.

სამი დღე ბინაჩი იყო,

მეოთხეს დღეს წამაიღეს, ძაუგჩი მათქვთ მკვდარიო.

ეგ ჩქარეული თომაი ეგეც ძაუგჩი არიო:

„საით მახველით მწყემსებო, რას ჯავრიანათ ხარიო?“

„ჩვენი გუგუა მაგვიკლეს, შინათკე მიგვაქ მკვდარიო“.

თომა გაიქცა ღუქნისკე, ჯიბას გაიკრა ხელიო,

სასმელი გამაიტანა გუგუას შასანდობარი:

„ყველამ შანდობა უთხარით, — სახელიანი მკვდარიო“.

ლარსი იქ გადმაიარეს, წვრილად რამ მასთქვეს ლხინიო. 56



ივანეებანი

კევს ვინლაც ივანეები, მიდორს ბუბუნებს კარიო,
 არ იარება დაბალზე, მთის წვერზე დაქნა გზანიო,
 ქალაქს დაწყვიტნა სომხები, გუდამაყარს ქნა ძალიო,
 ქმოსტროჩხას¹⁾ ჩამაჩვეულა, როგორც მუჯახზე²⁾ კარიო;
 წისქვილჩი მჯდომსა ქალასა თავს დასცემია ქვანიო..
 ქალმა დაიწყა ტირილი, არხოტს შაყარა ყმანიო,
 ჭერხოჩი³⁾ მსხდართა ვაჟათა მუკლჩი ჩაუჯდა ქარიო,
 დასჭარბდა ერთი კევსური, ყოფილა ქალის ქმარიო.
 ხკითხავდა ივანეები: ყმაწვილო, ვისი ხარიო?
 „რას მკითხავ, ივანეებო,
 შე რო ქალს ეხუმრებოდი, მე ვარ იმისი ქმარიო“.
 შამახკრა ივანეებასა, გზის თავს შამაწვა მკვდარიო,
 არც ვალი მაგას გაუყვა, მასჭრა მარჯვენა მკარიო. 57

თვალი დაგიდგა ივანე

თვალი დაგიდგა ივანე, სოფლებში ველარ იარე,
 ხევსურმა ხანჯალი შეგცა, ყირაზედ გადაიარე.
 მოსულიყო დედა შენი: „ეგ რა მოგსვლია, ივანე?“
 „ნუ სტირი, დედა, ივანეს, ეგ შვილი დაგიჭკვიანე,
 სხვისა ცოლი მოინდომა, თავისი გავუტიალე“.
 ანანური თავს დაიეც, უპრავა შაგრიალე,
 შაშვივით პირი დააღე, ვირივით დაიღრიალე! 58

*

(ვარიანტი)

გუდამაყარელო ლეგაო, მოდიხარ ნება-ნებაო,
 ანანურჩი რომ ჩამოხველ, ივანე დაგიხვდებოა.
 გაძლია ორი აბაზი, „ოჟო⁴⁾“, დამეხსენ, ივანე!“

1) სახელი თემისა სწოს სათავისკენ.

2) მარტილზე ან საბალახეზე ერთ ადგილს მიჩვევა ხარისა.

3) სოფელი ქმოსტროჩხას თემში.

4) ვაჟო.

არ დაიშალა ივანემ, ხანჯალი გაუწკრიალა.
 თუშეთით მოდის ბებერი: „ვაჟმე, ჩემო ივანე!“
 „რას ტირი, ძაღლო ბებერო, ივანე დაგიტკვიანგ,
 ჩემ დიაცს მეცილებოდა, თავისიც გავუტიალგ!“ 59

ივანელა დიბაისძე

ივანელა დიბაისძე მაღალიც დაბრუნდებაო,
 „მხარმა დამწვა და დამდაგა“, ამხანავს ეუბნებაო,
 „თქვენ თქვენი იცით, ბიჭებო, მე ჩემი გარდამხდებოა“.
 ომია ყირენისა) ბოლოზე გაუთენებლით დილითა,
 შიგ ბრუნავს ნადიბაისძე, კმალსა იქნევდა პირითა,
 ზოგნი კი გაუწყვეტიან, ზოგნი წასვლიან ჭირითა,
 რაც რომ წასვლიან ჭირითა, სისხლს ამოღვრიან პირითა. 60

დ უ დ ა რ ი

პირველ იყივლა მამალმა სამჯერ სახელი ღვთისაო,
 ჯერ გათენება არ არის, ხმა მოდის ზარებისაო.
 ღმერთმა აცხოვნოს დუდარი, ის ანგელოზი ღვთისაო,
 არჩილის ციხე აიღეს ლამაზი ღუსლებითაო,
 ოთხ კუთხივ ჯარით გადუსო ჭეჭა და ზარბაზნითაო.
 დაგაზიანეს, დუდარო, ერთგულო ხემწიფისაო,
 მეწყინა შენი ზიანი, ცრემლი ჩამომდის პირსაო.
 დუდარსა დედას უქებენ, მლოცავი იყო ღვთისაო,
 წელზე რო ხმალი არტყია, ყუა სჭრის პირისაგანო.
 კემერგო/შემოირიგე, ყაბართო მოგცემს პირსაო,
 ჩაჩანსა გადაემტერე, ნუ დააძინებ ძილსაო,
 დღისით მოსტაცე ნახირი, ღამით ქალ-პატარძალიო. 61

1) მყინვარის შთა.

მეცხვარეობა მინდოდა

მეცხვარეობა მინდოდა, ცხვარიც ხომ მო[ვ]ამრავლეო,
 კარდანახული ივანე ჯერისთვინ გამოვგზავნეო,
 მარტოკა დავრჩი ბინაზედ, ღმერთ ხელი გავუშალეო.
 ოსებმა ჩამოიარეს: „გამარჯვება, მეცხვარეო!“
 არც გამარჯობა ვუთხარი, არც შუბლი გავუშალეო,
 ფიცხლავ რომ თოფსა დავავლე, ფალია დავადევნეო,
 სამი მოვკალ, ორი დავჭერ, თავიც ხომ ვინაცვალეო.
 შენი ჭირიმე, გიორგი, დათიკო გენაცვალეო,
 აქ ნუ დამმარხამთ ლეკებში, შუა მთას გადმიტანეო,
 საცა ბეწვის ხიდი არის, იქ ფრთხილათ გამიტანეო,
 ჩემი ცოლი ორსულია, იმასთან მიმიტანეო,
 იმას ბიჭი გაუჩნდება, დაუძახეთ მეცხვარეო. 62.

ჯანიყო ნაზლაიძე

ჯანიყო ნაზლაიძეო, ყველა შამხვედრო კეჭისაო,
 ყველა გწყალობდა ბატონი არაგვისა და ქსნისაო,
 შე რო შვილები გაზარდე, თავადებია მთისაო,
 გისხედან დაკმაზულები ერისთვის მუხლის ძირსაო.
 შიო უკრავდა ჩონგურსა, თან ბერი¹⁾ დაეტყვისაო,
 პატარა ბიჭის ჭირიმე, მონაწილეა ღვთისაო. 63.

თაბაის ქალი

ქომამ წინ დასძრაო²⁾, წავიდეთ საშოვარზეო,
 გერგეტს მივიდეთ სოფლადა, გავალათ ბოსლის კარიო,
 შიგათით გამოვიყვანოთ ფირან თაბაის ქალიო.
 ქალმა გაიგა, ატირდა, შინ არა ჩემი ქმარიო,

¹⁾ სახელი

²⁾ აქ სიტყვა აკლია.

უკიბოთ ჩაკდა ბოსელსა, მოასწრა ბოსლის კარიო:
 „აცადე, ოსო, ვერ გახვალ, ლუდუშაური ვარიო!
 მოდევით, გერგეტელებო, ქალ მე გაუკრენ ხელნიო,
 წელთ იარალი ავყარე, ტანთ დავაწყვიტე კმალიო“.
 გაუმაგრებან გერგეტი, ხატი და ხატის კარიო,
 ამაუშვიან ციხელნი, ზედ შემოუვლან ყავლნიო.
 კევურმა მოკელეებმა საღმერთო დაკლან კარიო;
 კომლზე მოკრიფან ბეგარა თითო შიშავი ცხორიო.
 დავლათი ლუდუშაურთა ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო,
 მოკვდეს, წავიდეს იალი¹⁾, ერგნეს სამოთხის გზანიო,
 სამოთხის კარსა მინათლა, ჩაუძღვეს ხუცის ჯარიო,
 დავლათი ლუდუშაურთა ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო.
 დაგბერებიათ მარტია, ახ ო რა დიდი ბრალიო,
 ბრალია მარტიაისი, სიბერემ უყვის ძალიო,
 არ იჯდეს თავის თავლაზედ, მალლა მიჰქონდეს თავიო,
 არ იდგეს ბატონის კარზედ თავადთან შესადარიო.
 თათარას ყაზიესასა არწივს მიუგავს მხარნიო.
 მაგა ლექსისა მათქომი მამის დედული ვარიო,
 დარეჯან, ერთი შარვალი, თუ გიყორს შენი ქმარიო,
 ან დედიშენის სამშობლო ან ლუდუშაურთ გვარიო,
 ან პაპაშენი ფირანა, ლეკების მეომარიო. 64

გუდან ხკაზმევენ დროშათა

გუდან²⁾ ხკაზმევენ დროშათა, სალაშკროთ. ლამევდიანო,
 შასხემდენ ჩუჩაყურსა³⁾ შალვასა, შაჰხდებიანო,
 ახლები წყალს-იქითლები როშკის გორს გროვდებიანო,
 ელიან ხახმატელებსა, ცხენ არცად მოიდიანო,
 დილაა თირთვილიანი, საძელეს⁴⁾ გარდივლიანო,
 ჯუთას ჩადიან ჯვართანა, სიმღერეს ჩაიტყვიანო.

1) ბედისწერა.

2) სოფელი.

3) კაცის სახელი.

4) მთა.

წალმ ჩაჰყევ ჯუთის გიორგი, საკარყმოს¹⁾ შენდ იტყვიანო,
 მაკევებ კვირობდიანო, კევსურებ სად მიდიანო.
 არშას²⁾ მიდიან კევსურნი, სადილათ სნოს მოდიანო,
 სნო-ახალციხე გატეხეს, კარკუჩს³⁾ ცხენტ გაგალიანო,
 არშითა ყრილან ყორანნი, საძელეს ბუდობდიანო,
 კელი და კმალი დალოცეს, — „მშიერნი დაგვაძლიანო“.
 ბარაქელ კევსურთ შვილებო, წინეთაც აგრე ქნიანო! 65

თავს კადა, ბოლოს ცხაკატი

თავს კადა, ბოლოს ცხაკატი — შეყრილა დიდი ერია
 ძმამ ძმასა მისცა პირობა:
 „ავდგეთ და იქით წავიდეთ, საცა მოგვივა ქერია,
 მენესოს⁴⁾ ვჰსჯამოთ სადილი, წორბლის მინდორი გრძელია“.
 იქ დახვდენ ფშაველ-ხევსურნი, ეგ უსამართლოს მქნელნია:
 „ცოლშვილი აქავ გაუშვით, თქვენ შინავ წადით მთელნია“.
 — არ მოგცემთ ცოლსა და შვილსა, არცა ჩვენ წავალთ მთელნია! 66

ორხევში მისხპარეში

ორხევში მეცხვარეები სანგალსა ხვევენ ცხვრისასა,
 ერთ მეცხვარისას ამბობენ, — ხავილს გაჰყვება შვლისასა.
 გადმოეშალნეს ლეკები, გულს ვერა ხედვენ ყმისასა,
 თორმეტთ შუაში დაბრუნდა, პირს დაიბრუნებს მგლისასა:
 „ნუ მომკლამ, ალი მაჰმადო⁵⁾, ვერ იქამ სიმართლისასა,
 დაგიხოცთ ბიძა-ძმისწულთა, არ გაგიფერებ სხვისასა“.

1) საკარყმოს.

2) სოფელი.

3) სოფელი.

4) სოფელი.

5) ლეკების ბელადი.

ქარში გაჰკვირდეს ლეკები ცდას ხუტით¹⁾ ქავთარისასა,
 თოფის სიმართლეს უქებდენ ნაჭერსა ფრანგულისასა,
 თიანეთს თიანელები — ცოდვა-ბრალს მაგის დისასა:
 ჩამოსდგომიყო ქალასა, გულზე იყრიდა ქვიშასა. 67

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკენ

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკენ, როგორც მუშაი წყლისაკენ,
 დილაზედ გამოვალიკე²⁾, ვიცქირებიკე გზისაკენ,
 მგზავრიც არცად დავინახე, თოლნი ამომშრა მისაკენ,
 არ ვიცი, მოკლეს ლეკებმა, არ ვიცი მიდის მთისაკენ.
 მურდლად ლეკნი ვერ მოჰკლავდეს, კელს წაიღებდა კმლისაკენ,
 სულ დაჰკაფავდა ლეკებსა, არ მიუშვებდა ცხვრისაკენ.
 უფროსი მაზლი გავგზავნე ბაზარზედ ჭაიტვნისაკენ,
 შავამბევინე ცხენები, კმანი დავყარე ღვთისაკენ,
 დავჯექ, დავსწერე წერილი, გავგზავნე საყორლისაკენ:
 რით არ მოგინდა სახლობა, ან არ დასწუხდი ვისაკენ,
 ან შენი ძმანი არ გინდა, ან შენის მეუღლისაკენ,
 ან შენი მაზლი-წულები, ან შენის კაის რძლისაკენ?
 ეხლა ბეჯითად გეგონოს, მოვდივარ შენის ცხვრისაკენ,
 მთაჩი ნუ მომილოდინებ, ჭალაზედ მოვალ წყლისაკენ,
 დავიდგამ წითელს კარავსა, კმას დავჰყრი მეცხორისაკენ,
 მზემდენ კი მოგილოდინებ, მემრე კი წავალ წყლისაკენ,
 გარდავარდები წყალჩიგა, წამიღებს დიდის ზღვისაკენ,
 ან სად გამიტანს რიყეზედ, პირი დამრჩება მზისაკენ,
 მაშინ კი არას ვინაღვლი, თუ მოვკვდი ჩირდილისაკენ;
 ან გველი შამჰამს, ან ფსენი, ან თევზი დამთრის წყლისაკენ,
 ან მომთხრის ყორანი თოლსა, ან დიდ არწივი ხისაკენ.
 რად გინდა ჩემი ზიანი, ქალი ვარ გიშრის თმიანი,
 რომ იცნობ ჩემსა ლაწევებსა, მთორეზედ³⁾ მთავარი არი.
 მეც მენანები მაგითა, ღონე გაქვს დიდი ძლიარი,
 ვაჟკაცი გამოსავალი, სუყველგან იმედიანი.

1) გვარია.

2) კე — ხოლმე.

3) მთორვე — მთვარე.

ტანი გაქვს აღვის ხესავით, გულისპირ ჯვარ-მედლიანი,
 შენ რომ შახოლკე ომჩივა, ლომივით იცი ტრიალი,
 ხმალს რომ შემოჰკრავ ლეკებსა, შინ მოდის მაგის წკრიალი,
 ლეკი რომ იდგეს ფეხზედა, თავი მიგორავს თმიანი.
 ეგ შენი უმრავი ფარა ცხოსთან¹⁾ გაკდება ზიარი.
 ბევრი გაძლება ნადირი, პირ-მურა, მუცელ-მშიარი,
 ბევრი ყორანი გაძლება, სულ შავი ნისკარტიანი,
 ეგ კმალი გატიალდება, ფრანგული ცხრა-ღარიანი,
 ეგ თოფიც გატიალდება, სიათი პირ-კომლიანი,
 ეგ ცხენიც გატიალდება, ლურჯაი ნალ-ქათიანი.
 დავიხოცებით ორნივე, პირი წაგვეყვება წყლიანი,
 არც ვინ ობოლი დაგვრჩება, არც ვინ გვეყვოს დედამიანი. 68

აღმზგა მოღამთა

შორად წავიდა ამბოვი ქება მაგ კაი ყმისაო,
 ოსმალში თუშის მწყემსებსა სანათქმელოდ აქვს ისაო,
 ე მაგისთანა სახელი არ გადმოსულა მთისაო.
 იტყვიან სტეფანწმინდასა, სოფელი არის გზისაო,
 ორპირად არის ერობა, მადლი ტრიალებს ღვთისაო,
 მაგათი ბერი კაცები სუდნია კემწიფისაო,
 მაგათ რიგსა და საქმესა ყველაი კაცი ჰკვირსაო.
 გამოვლენ ახალგაზდანი, ანგელოზნია ცისაო,
 მაგათ უჭირავს სიმაგრე ყუროისა და კდისაო²⁾,
 ჩუმად იციან მდევარი, წინაის მოვლა მტრისაო.
 ჰკვიანის კაცის ნათქვამი სიტყვა ძვირფასად ღირსაო.
 ოჯახს უკდების ქონება, ვაჟკაცს სახელი ცდისაო,
 შეიკმაზება ცუდაი, მოილამაზებს პირსაო,
 მარჯვეჩი კარგი ბიჭია, მარკეჩი არად ღირსაო.
 დედამ გაზარდას ეგეთი, ერთი ათასად ღირსაო,
 მოკითხულობა მიაართვით თათარეთ ქალის შვილსაო,

1) ცხოსთან — სხვასთან

2) ყურო და კდე მთებია, სადაც ნაქურდული ცხენები და საქონელი მიუდისთ.

ალოშკას გოდაეთასა¹⁾, ნუ გეგონებათ ცხვისაო,
 სულ თემის საპატიოა, გორჩი²⁾ შუქია მზისაო,
 სახელის გულისათვინა ჰყრიდა ცოლსა და შვილსაო.
 ქოითით³⁾ მოსდის ამბოვი თავის დაჭრილის მტრისაო.
 ჩამოდი, თოლი დაავლე, ნუ ჰფიქრობ, არა სჭირსაო.
 ეგ რომ ალოშკამ გათვა, სიცილი მოსდის პირსაო,
 დედაი უჯავრდებოდა: „ახლაც არ მოგვხვდა ჭკვისაო?“
 „ნუ სჯავრობ, ბეჩავ დედაო, — დედა სულ ჰბრალობს შვილსაო, —
 ჩემი ნაქნარი საქმეა, ველარ მოვაკდენ ტყვილსაო,
 ჯერთა თქმა, მერმე გადათქმა, ვაჟკაცს არ შეენის ისაო;
 იმიტომ წავედ მდევარჩი, აგემ მოვასწრო ვისაო,
 სოფელს ვაჭმია სახელი, გული გავხეთქა მტრისაო“,
 ემაგან დააყრევინა ცხენები მემცხორისაო,
 ამხანაგებიც კარგი ჰყავს, არ გაუტეხენ პირსაო.
 ამა ლექსისა მოთქომი თუში ვარ, წყემსი ცხვრისაო,
 ზაფხულის თრიალეთზედ ვარ, ზამთრის — ალაზნის პირსაო,
 მიყორს ვაჟკაცის შექება, ეგ ხასიათი მჭირსაო.
 მთქმელსა და გამგონებელსა წყალობა გქონდესთ ღვთისაო. 69

მთის ინარალი მამკვდარა

ამოთქმა მერცხლის ენაზე, ბედი ვახსენეთ ღვთისაო,
 მთის ინარალი მამკვდარა, სადარი ხემწიფისაო,
 დები უტირის ძალზედა მაგ ყაზიბეგის შვილსაო.
 მოხსენებია ხემწიფეს გადაცვლა ინარლისაო,
 გარეთ აღარ გამობძანდა, მოწყენით რასმე ზისაო.
 ტახტი თავადის ვაჟები ცრემლით იბანენ პირსაო,
 ტირიან არაგვიანნი, კარი შეგვეხსნა გზისაო.
 ჩაჩანჩი ჰკითხეთ შამილსა პრიალი მაგის ხმლისაო,
 დაბრუნდის ოქრო-რქიანი გმირი წინ არს უამისაო,

1) ალოშკა გოდაეთი — გიორგი და დიმიტრი ყაზბეგების მოურავი, თავისი პა
 ჟიოსნებით განთქმული მთელს ხევში, +1888 წლის მკათათვეში.

2) გვარში.

3) ქისტებიდან.

საცა შავგედლოს ომჩიგა ყველა სახელი ქნისაო,
 მორეკის გამარჯვებული მილიციაი მთისაო.
 ბრალია მაგათ ფაცოსა ¹⁾, მიწა უშლიდეს პირსაო,
 ხემწიფის ტახტზედ გაზდილი, პადპალკონიკი მთისაო.
 ბევრი ეგეთი უხდია დავით სვიმონის შვილსაო,
 ნიკოლოზიც კარგი ჰყავ, ამხირებელი მტრისაო;
 კარს გალავნები მაივლა, ქარმა სრა მაგის პირსაო,
 გარშამო ფანჯარაები, სანათობელი მზისაო.
 დასავიწყარი არა ჰყავს შვილსა და შვილის შვილსაო.
 ბევრის ცხოვრების პატრონი ეგ მძიმე საძირკველისაო,
 ნეტარ ვინ შამიტყობინებს სანდროს, ინარლის შვილსაო.
 მაგა ლექსისა მათქომი ძველს კადარმაში ზისაო,
 იმიტო დავდე იტაბჩი, ვალი მემართა ცხვისაო,
 ერთი საწყალი კაცი ვარ, კიდევ შიში მაქვს მტრისაო,
 ვერ მოგახსენეთ ქებაი, რაიც თქვენ გეკუთვნისაო. 70:

დ ე მ უ რ

აღდა დემურ, შეიკმაზა, ტანთ ჩაიცვა საომარი:
 „თუშნო, კარგათ მოიხმარეთ სამკლავი და საბუხარი!“
 თუშნი უკან გამობრუნდნენ, ვაჟ ქიზიყო, შენი ბრალი!
 აქ ქიზიყურმა ბიჭებმა დააყენეს სისხლის ღვარი,
 დემურამა ასი მოკლა, მემრე დემურს მოსჭრეს თავი.
 დედას კაცი გაუგზავნეს: „შენი დემურ მოგდის მკვდარი!“
 „ჩემ დემურსა ვინ მოკლავდა, ხმელეთში გათქმული არი!“
 შაჰკივლა და გამოვარდა, გადაყარა გიშრის თმანი:
 „ვაიმე შვილო დემურო, რა დროს შენი ომი არი!
 შაბათს ქორწილს გიპირობდი, უნდა მომეყვანა რძალი
 მოღრუბლული ტახტი მიდგა, ოქრო-მკედლით მოქარგული,
 შიგ მიზის ბატონის შვილი, შავთვალწარბა თეთრიქალი,
 იმას რო გაეცინება, მწვანეზე მოეფინება,
 სიტურფით და სილამაზით მტვერი არ მიედინება!
 შიგნიდან მოვის პერანგო, გარეთ შაკრულო დილითა!“ 71

¹⁾ „ამილახვრიანთ ქალი ჰყვანდა“.

გიორგი ავთიაშვილი

გიორგი ავთიაშვილო, შავარდენი ხარ მთისაო,
 კარგო მხენელო და მთესველო, მსახურო ერისთვისაო,
 სახლკარი მომართული გაქვს, კოშკი გიდგია ხისაო,
 ახვალ და შიგ დაიძინებ, [არ გეშინია] მტრისაო.
 ხურვალეთ ჯარი მოსულა, ლეკია დაღისტნისაო,
 შენ ჯარი შემოიხვიე პატარა ლიახვისაო.
 გამოგვინიშნეს, მოგვიკლეს გიორგი ალვის ხისაო.
 იმედა ბურღიაშვილო, შენა ხარ ჩვენი ხნისაო,
 ეს იარაღი აჰყარე, ნუ დაუკარგამ შეილსაო.
 ტახტი დავდგი და დავადგი გუმბათი ვამარიანი,
 ზედა დავუწყე ლოდები, ვერცხლია ანუ ხიანი,
 გვერთა უსხედან მთვარენი, ქალნი პირმარეხიანი. 72

ხელთუბანზე ჯარი მოღის

დამდეგ მარიამობისთვისა გვიბნელებენ ჩვენსა მზესა.
 ხელთუბანზე ჯარი მოღის თარაქამა ოსმალისა,
 ჯარი არის დაღისტნისა.
 თავადები მოუძღვიან, მსახურებიც ერისთვისა,
 მიხეილი ბელადია ქანჯრობისა, ავი გზისა.
 ხეობაში ჩამოვიდა, წიგნი მოეგება ძმისა;
 წაიკითხა, შიგ ეწერა შეწუხება როსტომისა:
 „ვაიმე ძმა დავკარგე, ველარ ვიხილავ შენს პირსა,
 მე ძირსაც ვერ დავიძინებ, ქართლზე ვიღებ შენსა სისხლსა!“
 ლაფში ცხენები ჩაყარა, ვერა გაიგო რა გზისა.
 ალიკსანდრამ შეუტია:
 „შე გურჯო გაულიშვილო, რაზე იღებ ჩვენსა სისხლსა?
 ეგები მუხანათი ხარ ჯარისა და ბელაქნისა!“
 მიხეილი ეუბნება: „ფიქრი ნუ გაქ ნურაფრისა!
 საერისთოს ბატონი ვარ, წიგნები მაქვს ყველა მხრისა,
 ტერ-მოსესა ცოცხალი მყავს, ის ამბავს არ დამაკლებსა.“

დავლას ბევრსა გაშოვნინებ ქალ-პატარძალ ათი წლისა,
დავაშორებთ დედა-შვილსა, ცრემლით ვაბანინებთ პირსა,
ოქროებსა ვათვლევინებ გორელ ამირალაშვილსა,
საბელადოში ავიყვანთ იმ ტერტერას ცოლსა, შვილსა.“ 73

ერისთავს ცხენსა გიქებენ

ერისთავს ცხენსა გიქებენ, კვიცია სამი წლისაო,
ზედ შეჯდება ერისთავი, ლერწამი ზღვის პირისაო,
წელსაც აკრია ქარქაში წითელი კერმუხტისაო,
შიგაც ისრები უწყვია, წარჩევი გველის ფხისაო.
ხევ ჩამოვიდა ლაშქარი, ოსი და ჩერქეზისაო,
ბიჭმა დაჭეჭა იასამ¹⁾, როსტომი დასცა ძირსაო.
როსტომის ქალო ბარბარევ, ტოროლავ ჭიკჭიკისაო,
მოგიკლეს შენი როსტომი, რათ არ ჩამოხვალ ძირსაო.
მუთრუბში ჰპოვა²⁾ სიმრავლე, გაუშვა ვარჩი ძირსაო.
ეუბნევა მამა მისსა: გამიშვი შენსა მზესაო!
— მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ, ვერ გავაცინამ მტერსაო,
ერთმანერთს გადავეხვიოთ, სული შევწიროთ ღმერთსაო. 74

გალეგავ ბელადი

გალეგავ, ლეკის ბელადო, სულთანო დალისტნისაო,
შენ ამოაგდე კახეთი, ქართლი შენ დაე ძირსაო,
ჩამოხოლ საყორნეზედა, შაჰკრავ კახეთის გზასაო,
რა მობალახე შამექენ მაგ ბუჩაშვილის ცხვრისაო!
თუშეთით მოდის მღვევარი, ვაჟკაცი ვაჟკაცთ ცდისაო.
ჭადიჯორს საყდარს აქებენ, პატარა გალავანსაო,
შემეფხვიენეს გალევას, — „ეს არი ჩემ ცოდისაო“.
„გალეგავ, გარეთ გამოდი, ბიჭები კარზე ხტისაო!“
„გამოვალ, თქვენი ჭირიმი, მე მამხვდა ჩემი ჭკვისაო“. 75

¹⁾ მეორე ვარიანტშია: სიათა. ²⁾ დედანშია: იშოვნა.

*

გაღეკას შემოუთვლია, თავლაფიანის შეილსაო:
 ლეკები გამომეპარნენ ახალციხისა ძირსაო,
 გენახოთ, გამომიგზავნეთ, თორემ დაგიფრთხობ ძილსაო,
 დღისით დაგპარამ ცხვარ-ძროხას, ღამე ცოლსა და შეილსაო;
 იმათ რომ თოფი გამოჰყვათ, ვერცხლი ავლია პირსაო,
 თორმეტი ოქროს სალტა აქვს, ტყვიას არ უშვებს ძირსაო. 76

*

გულაკოიმ გადასძახა შიგნით კახეთის ჯარსაო,
 წავიდა და იქ ჩამოხდა ჭალასა ალაზანსაო.
 გაღმიდამ თოფი გვესროლეს, კაცს მოგვიხვედრეს თავსაო;
 თქვე დაწყევლილო ლეკებო, არ შევქამ თქვენსა ჯავრსაო:
 ალაზანზე ხიდსა გავდებ, ზედ გავატარებ ჯარსაო,
 ორივეს ერთ დღეს ავიღებ, ჭარსა და ბელაქანსაო;
 ლეკებსა დაწვეავ, დავდაგავ, ოსმალს არ მივცემ წყალსაო,
 ზეცას გავაჩენ ცეცხლებსა, ქვეშენელს ხომ მივცემ ძალსაო. 77

მ უ ს ი ლ დ

მუცელამ ჯარი შაჰყარა პირიქით დაღისტნისაო,
 საქობოს წამოერია, მზე არის ამოსვლისაო,
 წმინდა ნინო მოციქულმა დასცა თავისი რისხვაო.
 ეს რომ პაატამ გაიგო, პირიდგან ცეცხლსა ჰყრისაო:
 „წავიდეთ, ძმანო, გზა შავკრათ კახურ ალაზნის პირსაო,
 ტყვეები დავაყრევივით, მაღლი გვეყოფა ღვთისაო“.
 რათ არ მეწყინოს, უფალო, სიკვდილი ორი ძმისაო! 78

*

მუცელამ ჯარი შაჰყარა პირიქით დაღისტნისაო,
 ბატონსა კაცსა უგზავნის: „ხარჯს გაწევივებ დიდსაო“.
 ბატონიც ხარჯსა უგზავნის, გამამცხვარსა და ფქვილსაო,
 საქონლისა და ხარისა, ფარა ჩაუდის ცხვრისაო.
 გათენება რო შეიქმნა, მიუხდა ბალაშვილსაო,

ახალ აგებულს ციხესა თავს წამოაშლის კირსაო,
 ზურაბიმ გამოიხედა, ჭარაო ეცა პირსაო,
 იარალისთვინ მიბრუნდა, მაჟარსა ჰკოცნის პირსაო:
 „იარე, ბიჭო, წავიდეთ, ჩაუსხდეთ შუა გზასაო“.
 ერთი წუწკი გულხადარა ერთ ჯაგსა ემეფარა,
 იქილამ თოფი გავარდა, ზაზას მოჰხვდა გულის პირსა.
 ეხვევიან, სჭამენ ჭირსა: „ძმაო, რაზე იკლავ თავსა!
 არ გაუშვი მთას ნადირი, ძეც გააქრე ლეკებისა“. 79

აბღულა და მაზმადალა

ბელეჩნიდან წამოვიდნენ აბღულა და მაზმადალაო,
 ერთმანეთს ეუბნებოდნენ:
 დიდ მარტყოფი და ნიორიო ორივე ხელთა გვეყავს ვალლაო,
 ქალაქში უნდა შევიდეთ, ბაზარში ხმალ და ხმალაო.
 გელა კომსელი განაბა, ეგონა[თ] გაიპარაო:
 „დაიცა, ახლოს მოვიდნენ, რომ ცეცხლმა უყოს ძალაო“.
 ზარბაზნებმა დაიჭუხა ხუთმეტმა ერთიანაო,
 ზღვის ოდენი დალისტანი გაფრიწა, როგორც ყანაო,
 ყაფლანიშვილს დიმიტრისა წელს არტყია ხმალი მჭრელი,
 ვისაც დაჰკრამს, არ გაუშვის კაცი შუა გაუჭრელი,
 აბღულას წაეწივა, ცხენ უწივა სადავის წვერი,
 აბღულა ძირს გადმოვარდა, — აგრე გახდეს თქვენი მტერი!
 მსახურს უთხრა: „თავი მოსჭერ, ეგ დათვალე რამთვეენი“.
 „შენი ჭირიმიე, ბატონო, ცხრა ბელადი გავაშიშვლე
 ხელ-მწვანე და ინის ფერი, აბრეშუმის შალვრიანი,
 რაც ჯარის კაცმა წაიღო, ის ვინ იყო გამგებარი!“
 ვინც რომ კაცია, ჩონხა ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა ჩაბალახია. 80

ომანს ხაჩაშვილი

ეს ომანა ხაჩაშვილი ტანწვრილი და სუფთა არი,
 ნადირობას გეეჩვია, ყვირილობას ხოცა ხარი.
 თანდათან ქვეით წავიდა, შაისწავლა ბელექანი,
 ბელექანს შემოუარა, ბახჩა ნახა დასამალი.
 შვიდი კამეჩი დათვალა, შვიდივ ზაქიანი არი:
 „ზაქები რო წავიყვანო, კამეჩები ცოდო არი,
 კამეჩები წავიყვანო, — ზაქები ხო ცოდო არი.
 შენი ომანი მოგიკვდეს, ვერ გიჩვენო გურჯაანი!“
 წამოუარა გარეკა, — ომან მოყაზახე არი!
 შვიდი ლეკნი დედევნენ, შვიდივ იარალიანი,
 შვიდსა წაართვა ცხენები, შვიდივ ულაყები არი.
 ერთი ბატონსაც მიაართო, რომელიც რომ კარგი არი,
 ბატონმა მამული მისცა, სავენახოთ კარგი არი.
 შაფათ წასული ომანი კვირას დილით შინავ არი,
 გურჯანელნი კითხულობენ: „კამეჩები ვისი არი?“
 — შენ რა გინდა, გურჯანელო, ომან მოყაზახის არი! 81

*

ომანს კაცი მოუვიდა: ლიახვზე¹⁾ დგა ლეკის ჯარი.
 „აბა, ბიჭებო, დაკმაზეთ, რომელიც რომ კარგი არი!“
 ომანსა ასრე გონია, — „ყველა ჩემისთანა არი“,
 ის კი არ იცის ომანამ, ყველა ქალაჩუნა არი.
 ომანი ჯარში შევიდა²⁾,
 ომანს ის არ დააცალეს, ძირში გადმოჭრეს თავი.
 ლეკში გადვიდა ამბავი: ომანი ხომ მკვდარი არი!
 „იმის მომკვლელი გვაჩვენეთ, ჩვენი მურთუხალი არი!“
 კარზე მწარი პანტა უდგა, ხანჯლით გამოსახეს ჯვარი. 82

1) ხელნაწერში ეს სიტყვა გაურკვეველია; წერია: ლიაკვზე ან: ლაკვზე.

2) აქ სიტყვები აკლია.

რ პ ზ პ ბ პ

თავლანფიანი რაჯაბა შაიყრის ლეკის ჯარსაო,
ქუღზედ იძახის თათარსა; დიდსა და პატარასაო.
ზოგსა კი მიუხარიან იმერეთისკენ წასვლაო,
ზოგსა კი ასე გაუდის:
თუ იმერეთსა გადავალთ, ნულა მოველით თავსაო.
რაჯაბიმას «ყიწილები» წუწკ იმერელსა დარჩაო. 83

ხმესურთ საუბარი

დასხდენ, დარიგდენ ხევსურნი, არიგულ-ჩამორიგულნი,
თითო თასი რო იხმიეს, ყველას მოუვიდა გული.
ლეკებზედ იმუქრებოდენ: „მათგნითა ვართ დაჩაგრული“, —
ერთმანეთს ეუბნებოდენ და ზოგს მოსდიოდა გული, —
„ავდგეთ, ავისხათ ფარ-ხმალი, რად ვართ ერთურთის ორგული?“
ლეკებს კრიჭაში ჩაუსხდეთ და მით გაუხეთქათ გული.
ფარსა ვჰკრათ, თოფი ვაჭექათ, ბელადს გაუხვრიტოთ გული,
ლეკების მდინარ სისხლითა ყორნებს მოუკლათ წყურვილი,
მათი ნახოცი მძორებით რო მთაში დაძღნენ ნადირნი“. 84

ოსეგის თავდასხმა ლიბელივგე

დიგორსა დასხდენ ვეზირნი, რჩეულნი ბადელოვანი,
მათ გამორჩევა შეიქნა: ლები¹⁾ გვეყავს საქონლოვანი;
მთანი და მთანი ასწონეს, სავალად კირტიშუანი.
კირტიშოს რომ გადმოვიდენ, გზანი დაუხვდათ წყლიანი,
წინ კაცი შემოეყარათ, რომელს გაგნია ჰქვიანი.
ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა, ვით შევარდენი ფდიანი,

1) სოფელი რაჭაში.

ციხის ადგილას გავიდა, მალლა დაიწყო ხმინი:
 „ვაჟებო, ფთხილად იყავით, საქმეა ლალატუანი,
 მაცხოვარს სიტყვა მივართოთ ჰკუიანი და სვიანი,
 მე მგონი თქვენცა გეწყინოსთ თქვენი ლებისა ზიანი,
 ლები დასწვან და დასდაგონ, არსად გაუშვან ზიანი“.
 დილა ვათენდა მზიანი, ლაშკარსა გახდა ხრიალი,
 ქვემოთით ვაჟნი მოვიდენ დაკაზმულ-ჯაფაროვანი,
 თან ახლდათ გამყრელოვანი.
 გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიანო,
 რუსული ხრმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიანო,
 ოსები გაუბედურდენ, უკულმა ჩამოდიანო.
 ასე გასწყვიტეს ოსები, ჯირკვებივითა ჰყრიანო,
 სამარე ველარ იშოვნეს, ღორის ნათხარში ყრიანო.
 გიჯობდა, ჯამხოთიშვილო, არ ჩახტომოდე ლებსაო,
 გეჭამოს ქერის ქარჯინა, ქვე მოსდგომოდე ცხვრებსაო,
 სწუნობდი ლებურ თოფებსა, ახლა დახედე მკვდრებსაო. 85

ოსების თავდასხმა სოფელ შქმერში

აწვი წამოვლენ ოსები მაცხოვარელიელია¹⁾,
 კვაჟალეთს²⁾ ჩამოიარეს, ერთმანეთს მისცეს ხელია:
 „საგძალი ბევრი წავილოთ, პურის ქარჯინა ბევრია“.
 ქარებში რომ ჩამოვიდნენ, ცეცხლი დაანთეს ძნელია,
 გარს სარგალი შემოირტყეს ნაძვის სისინა ბევრია.
 ბუჭულ კიას დაუშვილსა ძაღლი გადაყვა ქრელია, —
 ამ ოსმა წამოიძახა: „ან არჩვია, ან შველია!“
 — არც არჩვია, არც შველია, დაგვედვა მთელი შქმერია!³⁾ 86

1) სადაც მაცხოვრის საყდარია, იქიდან.

2) სოფელი.

3) სოფელი რაჭაში.

დიდი აიძრა სულტანი

დიდი აიძრა სულტანი სულ ამ სვანეთის ჯარია,
 ეცერსა კაცი გაგზავნეს: გვანმარეთ თქვენი ძალია.
 ეს ეცერი და უშკული შეიქნა დიდი ჯარია,
 ბრილისა ჭალას ჩამოდგენ, მიწას დაართეს ძალია,
 მათ რომ ანჯარი ჩაიცვეს, არ მაშორდება თვალია.
 თვითო ფარფარა დალიეს, მათ იზიარეს თავია:
 თევრეშო კარგი სოფელი, მას გაღუაროთ თავია,
 მაცხოვარსა კი მივართვათ რქა-თეთრი ქერა ხარია,
 დედა ღვთისასა მივართვათ რქა-დაკაული ცხვარია.
 ჭიორა კარგი სოფელი დაბლა ქალაქის კარია,
 ზემოთა კარსა გამოდგენ შავი სვანისა ჯარია,
 ქვემოთა კარხედ გამოდგა შავი სისხლისა ღვარია:
 ფეხო ნუ მამიცურდები, გულო ნუ შემეშინდები!
 გაშქერი ხელო და რხმალო, გულო ნუ შემეშინდები!
 შედინა ქალაქის კარსა ქვას ეჭიდება კბილითა:
 „ვიცი, თქვენ მამკლავთ, სვანებო, მეც გაჯერებყე კირითა!“ 87

საფის ომი

პირველ ამბავი მოვიდა: ოსმალის მოდის მტერათა.
 მართველმა ჯარი შაყარა, ჯარი შაყარა ძველათა,
 ლეჩხუმი ამოირჩიეს სეფის ადგილის ცველათა.
 წავიდა გრემი-ლეჩხუმი, ჩავიდა სეფის მინდორსა;
 გურულმა მტერი იხვედრა, ისროდნენ ზარბაზნის ტოლსა.
 ლეჩხუმების განძრახვითა გურული არ დაგვინდობსა,
 თქვეს და კიდევ აასრულეს, ვაჟ იმათი დამნდოსა,
 თავები შაუხვევითა როგორცა რომ სნეულებსა;
 ომის დროს მხარი ეცვალათ, შაიქნენ გაუჩნებულნი,
 არ ვიცი, საით წავიდნენ, სულ შიშითა დაბნეულნი.
 გათენებამ მათანა და ცისკარი ამოვიდა,
 ათი ათასი ოსმალის ას კაცხედა წამოვიდა.

გრიმი ჯოგია სარდალი არიგებდა თავისთვისა,
 სტყორცნა და წყალში ჩაყარა, — „ჩვენ მოვსულვართ ამისთვისა“.
 სარდალისა თანაშემწე ასათიანისა დათა,
 ომის მოსვლა რო შაიტყო, თვალი მაშინ გაიმართა,
 მტერსა წინა მიეგება, ორსა პირდაპირ თოფი ჰკრა,
 მემრე მასაც მოხვდა ტყვია...
 ძმამა ხელი შაატანა, — „დაჭრილობა დაგატყვია“.
 „ძმაო, იქით გაგვეცალე, თორემ მტერი კარ გვადგია“.
 გამოვარდა ზარბაზანი, შენს მტერს რომ ის დაამტვრია.
 მაშინ კი თქვა ფარნაოზმა: „ახლა მამწყდა სალი მხარე,
 საომრათა წამოსულნი მე და დათა, ორი ძმანი,
 ღმერთო რატომ არ გვაცალე, დაგვედინა სისხლის ღვარი!“
 სიძე-ცოლისძმა, ყმაწვილი, იოსები და ჰერაჯი,
 საქმით იყვნენ განუყრელნი, ვაჟკაცათ ძალგულოვანი.
 იოსები ფარს უჯდია, თოფს ისროდა მალიმალა,
 ჰერაჯი საფარს აკეთებს, ამბობს: „მე აქ მოვკვდებიო“,
 ოსმალი მალღით დაგვეყვირის: „მე მანდა გადმოვხტებიო“,
 ჰერაჯი ამასა ანბობს: „მოხვალ, მე აქ დაგხვდებიო“.
 გამოვარდა ერთი თოფი, ჰერაჯი წამოგვიქციეს,
 ჰერაჯის მკვლელი ოსმალი ფარნაოზმა წააქცივა,
 შახტა მალლა, შათამაშდა:
 „მე მქვიან ასათიანი, სისხლის სისხლზე გადამსხმელი!“
 თაშა მოვიდა ათასით ას კაცზე დასაჭერათა,
 ვერ ვაქებ მის ვაჟკაცობას, ვერ მოკლა თავათ ხშირათა.
 ასათი კაცი მოუკლეს, წასვლა აქვს გასაჭირათა. 88

წერეთელმა დაიბარა

წერეთელმა დაიბარა ოსმანა და თათრის ჯარი.
 წამოვიდა, წამოვიდა ჯარ ყრილუან სერესქელი,
 ალვის¹⁾ სახტარს შემოვიდა, იქ შემოიხვია ჯარი,
 იქ იყარა ცეცხლის ალი. დაკრა ხელი, წამოვიდა,

1) მეორე ვარიანტშია: ალის..

კორტოხი გადმოიარა, ლელ-ლელე და ავი გზანი.
 ცხენი ტალახში ეფლოდა, ფიცხლათ ახუჭვია თვალი,
 ვინც ბიჭი იყო, ცხენს შეჯდა, გაარბენია ყაფარი.
 ძირულაზე ჩამოვიდა, — ორბის ალაგიც არ არი,
 დაკრა ხელი, წამოვიდა, დამწალა გადმოიარა,
 კოდბეურს ჩამოიარა, დადგა და დასცა კარავი.
 ორშაბათ დილა გათენდა, თოვლმა მოგვიჭირა კარი,
 წინამძღვარსა თოფი გვიკრეს, საჩტყლით აუხვიეს თვალი.
 ყვირილაზე ჩამოვიდა, მიიხედა-მოიხედა,
 ორბის ალაგიც არ არი, თავზედ დაიდგა კარავი.
 იმ ღამეს სიზმარი ნახა: „მოგვატყუა წერეთელმა,
 სხოვა კარგი სოფელია, მთა არი გადასავალი“.
 სხოვა სულ დაითარეშა, სულ გოგო და პატარძალი.
 მივიხედე-მოვიხედე, ორ-სამ პირათ მოდის ჯარი,
 უშიშრათ შემოგვიცვინდნენ, მიწას გაქონდა ძანძალი.
 ნეფემ, ლაყარაჯის მამამ, ჯარი ჯარსა დაახალა.
 მუსეილამ შეიძახა: „ვინ ხარ ბიჭი მეომარი,
 ჯერ მე ჩავალ და ვიომებ, მერმე შენ მოიკალ თავი“.
 ალალომა შეიძახა: „ყბაჩუა ლეკი სად არი?“
 იმისთანა მეომარი დალისტანშიდაც არ არი.
 ფინთი ყარაჯის მამაო საბძელში დაიმალო,
 საგძალი შემოვლია, ქერის მარცვალი კვარაო. 89

ყ ა ი ს ი

ყაისი¹⁾ რაჭას წავიდა, ის ბასიანე თავია,
 სკოდორა²⁾ ლელეს გავიდა, ხიზანს დაივლო თვალია.
 მეყაფრე მუშა მოდიან, ფაციაშვილიც³⁾ არია,
 დასჭრეს გიორგელა⁴⁾ სვანი, უკან [გაურქეს⁵⁾] რხმალია.

1) გმირ-ფალავანი ყოფილა.

2) კლდე.

3) ყაისის მტერი.

4) ყაისის ამხანაგი ყოფილა.

5) აქ დედანში სიტყვა გაურკვეველია.

წესსა კაცი გამოგზავნეს, — „გვახმარე შენი ძალია!“
 ეს წესი და [ეს] სორელი¹⁾ შეიქმნა დიდი ჯარია.
 ყაისი უკან ჩამოდგა, არ დაუბნიეს კვალთა.
 „შემოიკადე, ყაისო, დრო აღარ არი შენია,
 სულა გლეხი ნუ გგონია, ჯაფარიძენიც არია!“
 ყაისი შეხტა ქვა ქვეშა, ფინთიხი მოხვდა ყბა ქვეშა.
 „წინ წამოდექი, პაპუნა²⁾, თუ რომ გიჭრიდეს რხმალთა“.
 „მე რხმალის არა ვიცი რა“, — ჩაივლო ჩახმახს ხელითა.
 ჩამოკრა ჩიჩაბიძესა³⁾, ჩაართვა ცალი მხარია.
 მაყლანს⁴⁾ ჩავიდა ამბავი, ტიროდა ქალის ჯარია,
 ჩამოჯდომილა ჯამბოლა⁵⁾, ჩამოუგდია თავითა:
 „ვინ იყო რაქას მაგვარი, ყაისს მომიჭრა თავითა“.
 „ასე მოგიჭრა თავითა, როგორც კვიჭიჭა ფხალითა“.
 ყაისის ცოლი ტიროდა:
 „ჭიორის ქალას გავიდა ჭია და შავი გველითა;
 თუ რომ გაზაფხული მოვა, სორს მოუკიდებ ცეცხლსათა“.
 ჩვენც ამითი გავათავებთ ამ ყაისისა ლექსსათა. 90

ნათელაშვილი გიორგი

ნათელაშვილი გიორგი სარდალი მწყემსებისათა,
 ისე არიგებს ბიჭებსა, როგორც რომ მამა შვილსათა:
 „გუშინ რომ ღორში ვიყავი, ნავალი ვნახე მტრისათა,
 ის ჩვენი ფეხი არ იყო, ბანდულიანი რამ იყო!“
 გიორგის არვინ უჯერებს, რაც ღმერთს სურს, იმას იქსათა.
 შუალამე რომ შეიქნა, ელვა რამ იყო ცისათა:
 თავსა ლეკები დასხმოდენ იმ ექვსშაურაშვილსათა.
 ყვიროდა გამგელელებული, როგორც ნადირი ტყისათა:
 „მიშველე, ჩემო გიორგი, ლეკმა მამიდეა ძირსათა“.
 „ბიჭო, როგორ არ გიშველი, ჩვენი ხარ, განა სხვისათა!“

1) წესი და სორი — სოფლები.

2) ყაისის ამხანაგი.

3) ყაისის წინააღმდეგ მებრძოლი.

4) დიდი ბუჩქებიანი მინდორი, რომელიც ყაისს ეკუთვნოდა.

5) ყაისის ძმა.

გადაფრინდება გიორგი, როგორც რომ ვეფხვი ტყისაო.
 ისე აკაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო.
 „გადავეშველოთ დიღმელებს, არიან ჩვენი მხრისაო!“
 გადაეშველნენ დიღმელებს, დაჰკივლეს დიდი ხმითაო:
 „ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მოვდივართ თქვენი მხრისაო!“
 ორი ურჯულო, ლეკები, ცეცხლპირით წამოხტისაო,
 თოფი ესროლეს გიორგის, ტყვია მოარტყეს გულსაო.
 „მეც უნდ მქონოდა საფარი, ვაი თქვენს გიორგისაო!
 შეც ბევრის დედა ვატირე თქვენებრ ძალღ ლეკებისაო“.
 გიორგი უკვე დამარხეს, ნათელი დაადგესაო. 91.

*

ჩემო ჩონგურო დაუკარ, მალლა მოჭრილო ხისაო,
 შამიჩემისა ნაქონო, პაპიჩემისა ხნისაო!
 ლეკები შამომეყარნენ, ლეკები დაღისტნისაო:
 მოდი გიორგი, მიშველე, ჩვენი ხარ, განა სხვისაო!
 გიორგი ასე გადმოხტა, როგორც ბორბალი წყლისაო,
 კაფა და კაფა, ლეკები, როგორც ტოტები ხისაო. 92

სოლომან გუშულაშვილი

ჭარს აყრილა აშკეიტი, ქვეით უნდა წავიდესო,
 წავიდეს თუ არ წავიდეს, პატარძელს გავიდესო,
 ვინც რომ კარგი ბიჭი იყოს, მას დღეს უკან მოვიდესო.
 ეგი გაიგა სოლომან, მუხლზედ დაიკრავდა ხელსა,
 წადგება და წამოდგება, კუთლალეებს კი გადიყრისა.
 დაინახა მართებელმა, [შორით] დაუქნევდა ხელსა:
 „აქ წამოდი სოლომანო, მუხლთ მომიჯე მე აქ ქვეშა,
 ჯერ ჯამაგირ გაგიმწესებ, შემრე ჯვარსა-თემლაკებსა“.
 სოლომან ბუტულაშვილი კარგა ჰყურებს თავის ცხენსა,
 თბილი წყლით ძუას დაჰბანდა, ერბოთ გადაჰყოფდა წელსა:
 „შენი ჭირიმე, ლურჯაო, გამამადგები ერთ დღესა!“
 სოლომან ქვეით გამწესდა, დედა-მამა ჯვარსა სწერსა:
 „შვილო, რომ მიხვალ, სოლომან, სთველს რას უზამდასაკრეტსა?“

„ჩემო დედავ, შამახვეწე ჯერ უფალსა, მემრე ღმერთსა,
 აგებ იქა მოუსწრობდე ჯერ კალოსა, მემრე სთველსა!“
 ჩადიან ჩამდინარაზე, სოლომან ჯობ თავადებსა,
 გაფრენილი ქორსა ჰგავის, გამოფრენილ შავარდენსა.
 ეგერ ილო ოსმალი, ეგ რო მიმინო მწყერსაო,
 საჩქაროზე მოუტანა ხუთი თავი მართებელსა:
 „დაჯე იკმარ, სოლომან, კმარს, მამი შენისა ღმერთსაო!“
 არ დაიჯერა სოლომან: „კიდევ მოვიმატებ ბევრსა!“
 ერთი კიდევ გაუტივა, თათრებ გარდუხდინა წინა,
 ერთი ტყვია ლურჯას უკრეს, ორი სოლომან დაჰკრესა.
 „ვაჟ დედაშენსა, სოლომან, რა ჰრელათა ვხედამ მზესა!“
 ბიძა ცაცოვა გვერდს ედგა, ცხენი გავას გარდისვემსა:
 „ნუ გეშინიან, სოლომან, მალ გაჩვენებ დედაშენსა,
 ყმაწვილურად რად ამბობდი, — სადა ვნახამ დედა ჩემსა!“
 „გული გულათ აღარა მაქვ, გულის აღავ დამარტყესა!“
 ეგ სიტყვებ კი დაათავა, სოლომანს კი სული ხვდესა.
 გაიტანეს სოლომანი, შუა გზაჩი დამარხესა.
 ცოდვაა სოლომანისა საურჯულოთ დარჩესა, —
 ამაგდეს სოლომანი, შუაზე გაკვეთესა,
 ზე მარილი წააყარეს, არამც სული შეიცვესა,
 დროშკებჩი[ა] ჩააწვინეს, შიგ ორქაფებ შააბესა.
 მტკვრის პირზე შამოუყენეს, ნელა-ნელა მოდიანო,
 ქალაქს რო დაუახლოვეს, ღუჭნის კარებ დახკეტესა.
 ეფემიამ რომ გაიგას, ხო თავის თავს წაიხდენსა!
 სამჯერ კარზე გამოვიდა, ხელი ჰკრეს და შააგდესა.
 სიონჩი მიიტანიან, სიონის ზარი რეკესა,
 ამდენი დღერგძელობა მაქვ, რამდენი ცრემლი ვარდესა,
 მაგის ჯვარი-თემლაკები, კემწიფიდან, აართვესა.
 მეორე დილა გათენდა, ეფემია ვაჟსა შობსა,
 მართებელმა მოუნათლა, სოლომანი დაარქვესა,
 წლითა და თვითა იზდება, უკეთ ვაჟკაცი დადგესა.
 ამაგ ლექსების მათქვამსა ერთი ჩოკა ჩამაცვესა,
 საახალუხე შამპირდა, ეგიც ისრევ დამაკლესა. 93

ს მ ლ მ ლ ა

ქუხდა, წვიმდა და ელავდა, სეტყოს ისროდა ქვისასა.
 აღგა, წავიდა სოლოლა ყეენტან საჩივლელადა,
 შვიდი დღე-ღამე იარა, მივიდა ხონთქრის კარზედა.
 „რას გაურჯინარ, სოლოლა, ამ ჩვენის ხონთქრის კარზედა?“
 ფიცხლად შინ შეიპატიჟეს, დასვეს სამარტო სკამზედა.
 „ხონთქარს ჰყავს ერთი არაბი, განთქმული ქვეყანაზედა,
 თუ იმას გეეჩიქნები, ხალათს ჩაგაცმევთ ტანზედა“.
 „ვიცი, კი არ მომეშვებით, ცხენი მომგორეთ წამზედა,
 თქვენ მე ის ცხენი მომგორეთ, რძეს რომ ასმევენ ჯამზედა“.
 ცხრას მეჯინიბეს მოჰყვანდა, ვერ აყენებდენ გზაზედა.
 ფამფარზედ ხელი გაავლა, ზედ მოაფრინდა წამზედა.
 ორშაბათ დილა გათენდა, გავიდეს საომარზედა.
 ზაითით მოდის არაბი, ვით შავარდენი მთაზედა,
 მაიტრიალებს ჯირითსა იმ გაშავებულ მკლავზედა.
 ამოწიწინდეს მოლები: „სოლოლანს მოჰკლავს წამზედა!“
 ბეჩაო ბერო სოლოლან, ვერ გიცნეს ბიჭობაზედა!
 „აბა გაიქეც, არაბო, დაგყვე ღვთის სამართალზედა“.
 „შენა გაიქეც, სოლოლან, ჯირითის მოედანზედა“.
 გაიქცა სოლოლანის ცხენი, არაბი დაჰყვა კვალზედა.
 სამი ესროლა არაბმა, ერთი არ იხლა ტანზედა,
 შახტა და შამოტრიალდა, დადგა ცალს ავჟანდაზედა.
 „აბა გამექეც, არაბო, დაგყვე ღვთის სამართალზედა!“
 გაიქცა არაბის ცხენი, სოლოლან დაჰყვა კვალზედა,
 ერთი ესროლა სოლოლან, დაჰყუდა თავ-კისერზედა.
 „წაიღეთ, იქავ დამარხეთ დიდის მეჩითის კარზედა,
 მეჩითემ ჩითა გაშალოს, დასვით მარტო იმაზედა“.
 სამშაბათ დილა გათენდა, გავიდეს სატირალზედა,
 სოლოლას უყვეს წყალობა, ქისებს აბერტყენ თავზედა . 94

როსაფ ამირაჯიბი

ეს როსაფ ამირაჯიბი გამოწკეპილა ტანშია,
 ისეთი ვაჟი-კაცია, ცალიც არა ჰყავს გვარშია.
 ოსეთის მოურავია და საყმო ჰყვანდა მთაშია,
 მაგრამ ერთ საქმეს ცუდს შეხვდა, ქალებს მისდევდა სახლშია.
 ეს რომ ოსებმა შეუტყვეს, ჩავარდნენ ცოტა დარღშია:
 „ჩვენ ამას ვერა მოვითმენთ, რომ მოგვჭრან ეხლავ თავია,
 ჩვენ რომ კაცი გაგვაჯავრებს, იმას გამოვსხლეთ გვარშია,
 გარეთ გვაცხია შირონი, ის არ შესულა გვამშია,
 მთლათ შევჭამთ ქართველისა ხორცს და წვენს დავასხამთ ჯამშია“.
 აერჩნენ ბიჭი ოსები, როსაფს ჩაუსხდნენ გზაშია,
 შეხედეს, მოდის როსაფი, ვით ნიავ-ქარი ცაშია.
 ის კი არ იცის საწყალმა, რომ მტრები ზიან გზაშია;
 იქ ერთი თოფი გავარდა, როგორც რომ მეხი ცაშია,
 მაჯვენა ღლიაში მოხვდა, მარცხნივ გავარდა ტყავშია,
 მსროლელი მსწრაფად გაიქცა და გადავარდა მთაშია.
 უკან როსაფი მისდევდა, მაგრამ ვერას დაეწია:
 „ნეტავი თვალით მენახა, როგორი იყო ტანშია,
 თუ კარგი ვაჟკაცი იყო, მიაბებოდა თვალშია“.
 როსაფს ხალხი მიეხვია, ხელი მოკიდეს მკლავშია:
 „ნუ გეშინიან, ყმაწვილო, ტყვია აქ არის ტყავშია“.
 როსაფმა ღლიას დახედა, სისხლი გამოდის კარშია:
 „თავს რალა იმედი მივსცე, რომ არ ჩავაგდო დარღშია;
 ისე ადუღდი, გულ-ღვიძლო, როგორც ჭინჭარი ქვაბშია,
 რაც ნაშენობა ყოფილა, ყველა გამოდის კარშია.
 მოდით, ბიჭებო, ცხენს შემსვით, ეგებ მივიდე სახლშია,
 ეგები ვნახო ცოლშვილი, რომ არ ჩავაგდო ჯავრშია“.
 ისე შენი მტერი მივა, როგორც ის მივა სახლშია:
 შუა გზაზედ რომ მივიდა, სული გაგზავნა ცაშია.
 როსაფის ცოლმა სოფიომ სიზმარი ნახა ცუდია,
 დილაზედ ადრე წამოდგა, თვალზედ ჩამოდის ცრემლია.
 მოახლემ მისცა იმედი: „სიზმარი არაფერია!“
 პატარა ხანი გავიდა, პირი იბანა, ხელია,
 მახარობელი მოვიდა, სახელად ერქვა ბერია.
 „შენ, ბიჭო, რაზე გარჯილხარ, ამბავი იცი ძნელია?“

„მე რომ ამბავს მოგახსენებ, მისთანა შენი მტერია:
 მოგვიკლეს ჩვენი როსაფი, ტყვია მოარტყეს ცხელია“.
 ცოლმა მაშინვე იკივლა, გარბოდა თავშიშველია,
 აღარც ურემი ეძება, აღარც ეძება ცხენია,
 აღარც ქოშები ჩაიცვა, აღარც წინდები კრელია,
 ის იმოდენი მინდორი ფეხიშველ გაურბენია,
 ფეხში ერჭობა ეკლები, — ვითომ ბუმბული ჰფენია.
 შეხედა, მოაქეთ როსაფი, წინ მოუძლოდა მღვდელია,
 სოფიო დანას იძებნის: „უნდა გავიჭრა ყელია!“
 მაგრამ ხალხი მიეხვია, მას დაუჭირეს ხელია.
 სოფიო ქმარსა მოეხვა, გულს დააყარა ცრემლია,
 ულვაში გადაუგრიხა, წარბებს გადუსვა ხელია:
 „როსაფო, თუ კი მომკვდარხარ, ლაზათი არა გქონია“.
 ადგა და წინ წამოუძღვა, მწუხარე საკვირველია. 95

ხოროშან ლაშქრად ვიყვებით

ხოროშან ლაშქრად ვიყვებით ჩვენ ლომნი ლომისისანი,
 იქ გავიგონეთ ჟღერანი ჟამურ ბერციხის კლდისანი.
 მუკლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,
 სადილით სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიშანი,
 შვიდნი ჩვენ შვიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით,
 გაშქრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით. 96

ფირანა ოტიაშვილი

ფირანა ოტიაშვილი ხაჯარივითა ხტისაო,
 თოფი ჰკიდია სიათა, მუჭით წამალსა ჰყრისაო,
 თეთრებო¹⁾ ჩამომეცალე[თ] ამ ალიან ჩალიანსა,
 აზუნამდინ²⁾ ასე მოგდევ, როგორ ქორი ვარისა,

1) თათრებო?

2) აზრუმამდინ?

ცხენ-ჯორ დაგატოვებებ, ძუა-ფაფარ ლალიასა.
 გელათ კაცი გავაგზავნე გელათური ქუდითაო,
 ნეფის ქალმა დედოფალმა თეთრი მიწყო ქუდითაო,
 ნეჲ ჯხვირი მრეთალოს მოკრებული ცულითაო. 97

კანი და აისტი

ახალ საქმეს მოგიყვები, განა [კი] ძველიძველსაო:
 ამ დალოცვილმა რუსებმა ეს საქმე როგორ ქნესაო,
 აისტ-კანი დაიჭირეს, ისევე გაუშვესაო.
 აგრე იციან ოსებმა, — ხო სისხლიც აიღესაო,
 ლიახვში ზურგით გაასხეს, ისევ იქ გაუშვესაო.
 წავიდნენ, ფხვენისს მიუბტნენ იმ ნიკოლოზ ღვდელსაჲ,
 ბანის კარები გააღეს, ხო ქვევრიც ახადესაო,
 ღვინო ძალიან დალიეს, ძალიან დაითვრესაო,
 თავიდან ქუდი მოხადეს: „აგრე უნდა ღვდელსაო“.
 დიაკვნებიც დაულახეს, ისევ გაუშვესაო. 98

სხვადასხვა

ჩოფიკაისძევე გუგუავ, ხევსურებს ნუ ხოც, ვითხარო,
 არამც ვინ გულში ჩაიდვას, არც დანდობილი თვით ხარო,
 ტყვიას ვინ გამოგილალავს, ტყვიას შენ ხკითხე, ვინ ხარო. 99

*

ჩონჩქარაიო დალათა, რა რიგა შამოვედიო,
 ეწადა ქისტნელეებსა, ჩონჩქარა გამოვექციო.
 ვერ გომამაქცევ, ქისტნელო, ომს ბატარია ვეჩვიე!
 ეწადა ქისტნელეებსა, ჩონჩქარა გამოვექციე;
 ქალებს დაეწყო სიცილი, დედროვენებსა [ვ?]ეწყიე. 100

*

ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია წმინდის გიორგის კარზედა,
ქალმა იცნა — და ატირდა — ძმისა ნაცომი ტანხედა:
„ვაჟ ჯანგი მოგკიდებია, შე ოკრის პატრონისაო,
ღღრთ ხუთჯერ ომჩი ნამყოფო პირშიშველას ემისაო!“ 101

*

გიყვარდა იარაღები, წელზე შემორტყმა კმლისაო,
უბის მასრები გიყვარდა თორმეტისა და ცხრისაო,
საპირისწამლევ გიყვარდა ლამაზ გათლილი რქისაო,
მარტუამ ჩამაიარი ის გძელი ჭალა კდისაო. 102

*

დაიძრა ერთი თათარი, სულ შაძრა მთა და ბარიო,
შილეწ-მოლეწა ხოყანა, ჭარი და ბელაქანიო,
ვისაც სიმაგრეს მიუდგა, სულ ყველას უყო ძალიო. 103

*

გაწყვეტა-ჩქარიულების გასახაროა მტრისაო,
მტერო, ნუ გაგხარდება, გამჯავრო რჩება ჭირსაო. 104

*

არაგვის თავთა კლდეთშიგა სისხლის წვიმები დიანო,
არც ბევრსა მოიმატებენ, არც სრულად დაშრებიანო. 105

*

აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი პირი მზისა,
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ხალხი შესწყდა ყოვლის მხრისა. 106

*

ახალციხე და რაჯაბა გაიფიცნეს როგორც ძმანი,
ჯარი ჯარსა შამოჰყარეს, წელთა შამაარტყეს ხმალნი,
ეგრე დააწყეს თითები¹⁾, როგორც მინდორჩი სოსანი,
იქერელთ მეფეც იქ იყო, თავ-ოქრო გვირგვინოსანი. 107

¹⁾ რაზმები.

*

მოდით თუშნო და ფშაველნო, ლაშქარი შავაზიაროთ,
ჩვენ ერთმანეთს ნურას ვერჩით, ცხო მტერი დავაზიანოთ. 108

*

უყურე ხურთიელებსა, ციხით ისვრიან თოფათა,
გაუშვეს სისხლის ლორები, ქოაკეს მიდის მილითა. 109

*

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშარას, ხოშარა ეკლიანია,
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ, სამივე ლეკვიანია,
თუ ჩახვალ, ველარ ამოხვალ, გიორგი ეტლიანია. 110

*

ტირიან თუშის ქალები: არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვაი, თუ დახვდნენ ლეკები, დააყრევინეს თავები! 111

*

ადე ბიჭებო, წავიდეთ, გზა შავკრათ ჩვენი მტრისაო,
ეგება მოვიგერიოთ მღეჭელი ჩვენი ყბისაო. 112

*

გაგვიძელ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო. 113

*

კაბლიდგან მოდის კანონი, წინ მოუძღვის კასიანი,
ფიჩხის ბოგირზედ მოვიდა, იქ მაილო პატა ქარი.
საგარეჯულმა ნინომა თოფსა გაუტეხა თვალი,
ლეკებს ბელადი მოუკლა, მაშინ წახდა იმათ ჯარი,
ბიჭებო, გაიხარენით: გამარჯვება ჩვენი არი! 114

*

ბელაქნიდამ წამოვიდა სამი დიდი ჯარია,
საქობოს ბოლოს მოვიდა, იქ რო დიდი წყალია;
ბელადები დაიჭიდნენ, დადგა დიდი ღვარია. 115

*

ჭარში ბიჭი დაიკარგა, ყაყაჩოა — შთვარეა.
 ლეკო, ბიჭი დამანებე! — „დაგზნებებ, წამია!“
 ესროლა და გადმოაგდო ის ბელაქნის თვალია. 116

*

ჭარში ბიჭმა დაიკვება: წავალ, კახეთს შავისწავლი.
 კახის ბიჭმა შაუთვალა: შენ კახეთს ვერ შაისწავლი,
 ან წაგიღებს ალაზანი, ან იორი შავი წყალი,
 თუ იმასაც გადურჩები, ჩემს ხმალს ველარ მოურჩები! 117

*

ეს საბრალო გურჯანელი სანადიროდ წასულიყო,
 ალაზანზედ ჩასულიყო, ვეჭობ ტივით გასულიყო.
 მოეკლა ერთი ბურვაკი, მოეზიდნა შეშა ბევრი.
 გარს ჯარი შემოხვეენია ფოთოლზედაც უმრავლესი.
 დათიკელა იმერელსა სტამბოლი ეჭირა გრძელი:
 თითო სროლით ექვსსა ჰკლავდა, ყრია ყელეზ დასაჭრელი. 118

*


ხიტალიონო ღერენავ, დედა გიტირის კმითაო,
 შინ ველარ მიხოლ მშვიდობით, ვერ დაღბრუნდები გზითაო,
 სახელის მოყვარული ხარ, ომჩი ჩაეჭვრი კმლითაო. 119

*

არმაზის ციხე-ქალაქო, ძველათგან გაოხრებულო!
 შენ ვილამ გნახოს ნაშენი, მტერთა მახვილით მოსრულო! 120

*

არაგვის თავსა კლდეთ შიგა სისხლის წყარონი დიანო,
 თუშნი დარლექნი დიდარნი ერთურთზე გარდადიანო. 121



2. სანსვოჩო

თამარ მეფე

თამარ დედოფალი ვიყავ, დიდი სახელი გავიგდე,
შემოვუარე ხმელეთსა, წილი არავის დავუდე,
ჩავჰყარე ზღვაში სამნები¹⁾, ხმელეთი ჩემკენ დავიგდე.
ვაი, შენ წუთისოფელო, რა ტყუილათ გიამაგე,
სიბერე და სიყმაწვილე ორივ შენზე გადავაგე.
სიკვდილი ჟამი მოსულა, სამოთხევე კარი გააღე,
ორი ადლი ტილო გამყვა, სხვა რაც მქონდა, აქ დავაგდე. 122

*

ქალმა თქვა თამარ ნეტემა: ხალხისა ვერა გავიგი,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი, ქართველობა ჩემკენ მოვიგდი,
ხახმატს ავაგი საყდარი, ვერცხლის თასები შავილი,
შიგ დავაყენე ბერ-ღვდელი, ცხენი ანატორს²⁾ დავიბი,
ღელეს³⁾ დავნიშნე საფლავი ხორციელის, სულსა არ ვიყრი,
თავითი მიკრავ სანთელი, ცხრა ადლი ტილო ჩავიცვი. 123

*

სივანს ციხე⁴⁾ ამიგია, ახალციხეს⁵⁾ ყველაწმინდა,
ას ორასი მარილის ქვა პურ-უხვდურზე⁶⁾ გადმიგია, —
სული ვერად მამიგია. 124

*

თამარ მეფე და ხონთქარი მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი, ზედ აღმასები დაჰკიდა,
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი, მრავალ წყალობას დაჰპირდა. 125

1) მიჯნები.

2) სოფ. შატილში სალოცავი საყდარია, აგა.

3) სალოცავი ფშავში, ლაშარის ჯვართან სოფელ კოშარას, სადაც, თუშ-
ვშავ-ხევსურების აზრით, მარხია თამარი.

4) სივანი — სიონი, სოფელია თერგის ხევში და ციხე-ეკლესია.

5) სოფ. სნოს ხეობაში; იქ ეკლესიაა ღვთისმშობლისა.

6) უხვდური — ერბო და ყველი.

*

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმოვდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა! 126

*

(თამარ დედოფალზე სწერია:)

პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდე, ამერნი ხაზარეთამდე,
თვით გელაქუნი ჩრდილოთ კერძ, მპყრობელი სულ ყიფიამდე. 127

ზურაბ ერისთავი

ზურაბისთანა ბატონი ვინლა გამოვა ხმლიანი,
განჯა მირანა ამტვრივა, დღესაც კი სახელი არი,
იმის ნანგრევი სოფლები ოხრათვე ყრია, ტიალი.
ზურაბ მობძანდა ქალაქში, სუერთიან მიეგებენ,
თავადი და აზნაურნი, შეყრილი არაგვიანი.
უბძანა, — ხმას ნულარ გამცემთ, გული მაქ ბოროტიანი,
ერთი ურჯულო ბელადი დამიხვდა ყაწიმიანი:
„სალამ რათ მივცემ ზურაბსა, რა ჩემი ბატონი არი?“
იმის ციხე დაამგრიეს, ხევი აამსეს ქვიანი.
იკვებდა: „ციხე კარგი მაქ, კარი აბია კლდიანი“.
მაგრამ ცოლიც კი წაართვეს, ზურაბ ბატონის ტყვე არი. 128

*

შენ გენაცვალოს დედაო, ზურაბ თავშაუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო, ზედ წამალდაუდებარო,
სიყმაწვილით სიბერემდინ შენ დღეში დაუდებარო. 129

*

კევსურეთია, ბატონო, ვერ იქამ ერისთობასა,
დაგიწვრილდების კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა. 130

ღუშეთით ქორი აფრინდა

ღუშეთით ქორი აფრინდა, არაგვი შაინადირა,
 კევსურეთ ქათამს დაეცა, იქ ნაბუარი აღინა.
 დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, თავ ზურაბი დაადგება,
 დაუსხამს წითელ ღვინოსა ვერცხლისა თასებზედა,
 სამოცი თავი ჰგორავდა სამოცი[სა] კევსურისა. 131

შენმც დაგლევს სისხლის წყალიო

შენმც დაგლევს, ერისთვიშვილო ზურაბო, სისხლის წყალიო,
 თხუსოს ჩაჰყარნენ კევსურნი, ხელით არჩიენ ყმანიო,
 გაატეხიე დვალეთი, თეთრი მალღალე ცხვარიო ¹⁾,
 თრუსოს მაასხენ მაშვრალნი, დანდობით დასჭერ თავიო ²⁾,
 რად არ სწორდი-სწორ გაუშვენ კევსურნი და შენნი ყმანიო,
 დაუჯედ მეთვალედა, რომელთ უფრო სჭრის ხმალიო.
 ომს კევსურნი განახვიებდეს, ფარს ქვეშ ნაწურნი ყმანიო.
 მე დაგწყევ, ერისთვიშვილო, რომ დაგწყევ, ისრემ მოგივაო,
 თვალი დაჰსთხარი ძმას გიორგისა, გივიმც ყეენში გაგივაო,
 ყრუნიმც ბარძიმს მოგიკვლენ, მეხმემც დათუნის მოგივაო,
 ზაალს წაღლაღავს რუსეთსა, შინ მთელიც ნულა მოგივაო,
 შენემც საფურცლეს დარჩები, კევსურთ გულისიმც მოგივაო. 132

ზურაბ აიკლა ქვეყანა

ზურაბ აიკლა ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
 ისპანამდი გაითქვა, ყეენთან გაიზარდაო.
 უბარა ლუღუშაურსა, კაცს მისწევს ზედიზედაო:
 გამომიგზავნენ კევსურნი, ვინც ომში გამოდგებაო,

¹⁾ თეთრი ცხვარი ჩამოასხია.

²⁾ ხევსურნი დაგენდვენ და დახოცეო.

ქინჯარაული შალვაი ნიადაგ ნუ დატეგებაო,
 სამნაიც გამოაყვანე, ომში გვერდთ დაუდგებაო.
 „კევსურნო, სამნაჲ ნუ წავა, მჭედელი დაგვაკლდებაო“.
 დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, თავს ზურაბ დაადგებაო.
 კედეშაურთ გახუაი კევსურთ კას ეუბნებაო:
 „კევსურნო, ხმალს ნუ დაიხსნით, ზურაბ არ დაინდობაო,
 თუ აბჯარი აიყარეთ, კარგათ ვერ მოგიხდებაო“.
 კედეშაურთ გახუაი, ზურაბ, რა ავად მოგექცაო,
 მოგიკლა პირის მეღვინე, თითონ უჭირველ გავექცაო,
 დაშნა ჩამოგიქნია და შენი მსახური შეაქრაო.
 ღმერთსამც ნუ ექნა, ზურაბო, დაშნას რომ პირი მოეკრაო.
 ირემავე, რად გიხაროდა კევსურთა თრუსოს ზიანიო,
 კიდევ დაცვიდა კევსურეთს სამოცდასამი ხლმიანიო,
 ღმერთმა დრო მისცეს კევსურეთს ხევისკე მიქონდეს დგრიალიო,
 სნო-ახალციხე გატეხას, ზენა ხევეს მისცეს ზიანიო.
 ირემას კარზედ მიუდგეს, შვილდნი შეჰყეფენ რქიანიო,
 ირემას ცოლი წიპკივის ქალ ლურჯის პერანგიანიო,
 უკან ირემა მისდევდა: „ქალი რად მიგყავთ თმიანიო?“
 „დაბრუნდ, ირემავე, ნუ მოგვდევ, კევსურებთან გყავ ზიარიო.
 თორომ დაბრუნდა იმედა, უკკვოს არ დაგხვდა ჭკვიანიო“.
 უწინ ირემამ ესროლა, ვადამ გაილა ჟღრიალიო,
 მერმე იმედამ ესროლა, ქუდმა გადილა ბრიალიო:
 „დავციდი, ნუ დამხალისდები, წამალ დასჭარბდა ტიალიო 133.“

ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს

ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს, თან ხყონან თავის ყმანიო,
 ახიელციხეს მოხქადნის, კუთხს არ შეღგლიჯნეს ქვანიო.
 ამ ქავთარაულთ ვაჟებსა ერტყა ნაცადნი ხმალნიო,
 ალიეთ ბაბლეს უთხარით, ბერო, გვიჭირე მხარიო,
 არდანათ ხომიზურასა — არ დაგვიმტვრივენ რქანიო.
 შერუმამ მათურლისშვილმა ვეფხვმა გაშალნა მწკაღნიო.
 ემაგრს ლექსის მათქვამი ხიზნის პატრონი ვარიო,
 მიჭერავ ბლახურის ძესა შიშნას. თოფის ტანიო. 134

*

როშკის ჯამოჯდა ზურაბი, შუქნი ჩამუშნა მზისანი,
 დაჯე, დაგვეხსინ ზურაბი, ნარჩენო ჩვენის ხმლისანი,
 თორ ვიწრო აოხრდებიან, ხოჯეგნი გვიდგან ღვთისანი,
 მაგვეულენ ¹⁾ პირიქითელნი ნაპირის ადგილისანი,
 თან მოჰყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი,
 ბეგენგორს ჩამეეხვიენეს, ჩამააწითლნეს ქვიშანი.
 ბეგენგორს ქალუნდაური ყორნის გრილოსა ყვებოდა:
 „ხმლითა ვჰსცათ, ჩემო კევსურნო, ადგილი თქვენ დარჩებოდა“
 შენდობა ქალუნდაურსა, ცუდები შეიცდებოდა.
 ამანდით ამობრუნვილმა სამანნი ჩადგა ქვისანი,
 ვინც ამას გადამიცილდეს, ცოდვა მოხკიდა ხმლისანი,
 ვაჟმა კი ყველამ ესე ჰქნას, ვინც აქ აწითლას ქვიშანი. 135

ღუჟეთს ეყრების ლაშქარი

ღუჟეთს ეყრების ლაშქარი, არ სწვდების წვიმის ცვარიო,
 არ ეყვენ ასახვეტლათა ბაზალეთურნი ტბანიო,
 შიგ დადგეს, ვერ დაეტევის თრიალეთს დიდი მთანიო,
 არაგვზედ შამადიოდა, თავშალმ დაბრუნდეს წყალიო.
 ღულის თავს დადგა ქვევითი, ნაკარვებს ცხენოსანიო.
 ჩვენ ღელეს მოვიმალენით სამოცამდ ფაროსანიო,
 სამოცსა ფარიანჩია სამსაც ძლივ გვერტყა ხმალიო.
 ბაცას მიუდგეს სუმბატას: „სუმბატავ, შინა ხარო?“
 — შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გვეტანნეს სხვანიო,
 ბევრად დავხვეწეთ ისარი, თითო გვაქვს ჯორის ცალიო,
 პურიც არ გვაკლავს საჭმელად, კოდებჩი გვიდგას წყალიო,
 ქალნი ჩავყარენ დარანჯჩი ²⁾ შუქო, თამარო დანიო,
 ზურაბ, მაგვთენ არ შაიძლო, არ მოუხელო კვალიო.
 „სუმბატავ, კარჩი გამოედ, ზურაბ მაასხნა ყმანიო,
 ჯერ ჯორი გამოიძღვარე, მემრ შიშველაი ხმალიო“.

1) მოგვივლენ.

2) სამალავში.

სახელს იღებდა ბრძობითა ფიცხელაური გვარიო,
 ეგი ბრმა არ ყოფლიყო, არჩივა კაბიანო,
 მადაქვილოს რო ციხე დგას, არ გაუნაყა კარიო.
 გამოტულოს გორს ჩამადგეს ბიძაის ძენი რვანო,
 კვათეს ჩაყარეს ისარი, როგორც დილის ცამ ნამიო,
 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რომ ¹⁾ საკალმახეს წყალიო.
 ვინ იჯედ ღორღოანასა, მამა წაგიწყმდეს მკვდარიო,
 ჩაგუბებულსა ლაშქარსა ვინ ჩაგვისწავლენ გზანიო,
 თორ ²⁾ კიდევ ჩაწითლებოდეს, კიბეს რომ ქცეულანიო. 136

ღულოს თავს ხელად იჭერენ

ღულოს თავს ხელად იჭერენ, ვისაც ფუნჩია ხქვიანო,
 წავალ, თქვა, არ დავიჯერებ აკუშოს ომსა ღბიანო,
 ჩავხოცდი აზნაურებსა, ფრანგულსა სისხლი შიანო.
 კაცი მასტყუვდი, აბაო ჭინჭარაულო ჭკვიანო,
 რად დააბრუნე კევსურნი, მართულნი ცხენ-აბჯრიანო,
 არვის უნდოდა სახელი, ცხენჯორი საკიდვრიანო,
 ან ხმალი არვის უნდოდა, ვადამდის სისხლის ცვრიანო?
 ჩვენ ვანხევამდინ მისდივეთ, მშვილდ ვაყეფენით რქიანო,
 ჩარგლის გორ ზალი ³⁾ ვატირეთ, ვითმ გოგო იყვა თბიანო.
 მოახსენებენ მსახურნი: ზალო მასტყუვდი ჭკვიანო,
 აკუშოს რად მიხვიდოდი, ჯვარი ხყავს დოვლათიანო,
 ქუდნისა პლა (?) ხქონია, საძახებელი ტიალო;
 ჩალხურნი ნებიერულნი, ბასრის ხმალია ფხიანო,
 მშვილდს ზიდვენ იანვარშია, ისარი ხქონდა თბიანო;
 აკუშოს ჭალას ჩაგვყარნეს, კლდიანი კიბორჭიანო,
 წამოგვაყარეს ისარი ფოცხვიან-მაკრატლიანო,
 გვიხოცეს აზნაურები, ყორნებ ჩამოდის თბიანო. 137

¹⁾ ვით.

²⁾ თორემ.

³⁾ ზვარაბ ვრისთავის ძმა.

კაცი ბეგენგორ წამოდგა

კაცი ბეგენგორ წამოდგა, — ზურაბ სანეში ჯდებოა.
 როშკას ატირდეს დედანი, ხმა ხევსურეთში ტყდებოა,
 უთურგი მეწყინაის ძე ხევსურთ გულისად კვდებოა,
 ამლას ესხდიან ცოლშვილნი, მაგას რა წაუხდებოა.
 ღივასა გელდიაურსა ტანს სისვი ¹⁾ სკლატი ²⁾ ხდებოა,
 ხმლითა სცემს ჩდილელის შვილი, — «აქ მოდევ», ეუბნებოა,
 კაბას ხდის პაპიაური, — «ახიელს მომინდებოა».
 ყაწიმიანნი ³⁾ ხევსურნი გძელ კლდესა იმალებოა.
 ერჩიყო ⁴⁾ ამანდ მალვასა ხაროს ეჭირა მხარიო,
 უთურგი არ მოეკვლია მეწყინაის ძე ხარიო.
 ღულის თავს მოგწვდა, ზურაბო, ლომნიურის ძის ხმალიო.
 მოკლედ მოხყვები ყმაწვილი, ხადუველთ ⁵⁾ მეომარიო,
 ლარაქიშთ აპარეკაო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
 ღულის თავს კარგათ უჭირე ლომნიურის ძეს მხარიო.
 ხარხოს უნდ შევხოციყვენათ, გვაშაირებენ ქალნიო.
 ამაგ სიმღერის მათქვამი ბახალოს შვილი ვარიო,
 ბანზე არ გამომეყარნან ერისთვის შვილის ყმანიო,
 სახლნ მიდგან ხუროთ ნაგებნი, კუთხზე მიკრიან რქანიო. 138

ზურაბის მოკვლა

ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი, ერთ ხანად დაიბადეო,
 ისპაანამდი გაითქვი, ყაენთან გაიზარდეო,
 აშენებული ოსეთი, ხარ-ცხენი ჩამოლალეო,
 სოსლომიშვილსაც აქებდეს, აღზდეგ და ეგეც ნახეო,
 სოსლომიშვილის ლურჯაი სიმამრის გაულალეო.

1) მწვანე.

2) მაუდი.

3) „ყაწიში — ხმლის, თოფის მასრების ჩამოსაგდები ჯვარედინად, რომელსაც წვრილი ასხმული მეტალისა აქვს“.

4) უჯობდა.

5) სოფელი.

შამაგითვალა სიმამრმა, სიძევ, საფურცლეს მნახეო.
 საფურცლეს ზურაბ ჩავიდა, ლალათით მხოცელ მტრისაო.
 კახელთ მაართვეს ყურძენი: სიძევ, შეექეც ხილსაო.
 დაუსხეს მუზანგები, — დაწევ, დაენდევ ძილსაო.
 დაითვრა ღვინით ზურაბი, მემრ პირი წაჰყვა ლხინსაო.
 თემურაზ¹⁾ ჩეუბნების იმერეთ მეფის შვილსაო:
 ზურაბს თუ მოჰკლამ, ქალს მოგცემ, მონას არ დაგცემს ცხვირსაო!
 ხლმით სცემდა ბარამ ბატონი, — „დაჰკარით კახპის შვილსაო!“
 თუშთ მოურავ ჰკრა ხანჯლები, ზურაბ გიწვდინა ცრუსაო.
 ბარამს უბოძა ბატონმა ზურაბის ცხენი საღარიო²⁾,
 ტყავ კაბა საგინაშვილსა, ზედ ოთაღანი³⁾ მალაღიო,
 შახდების თუშთ მოურავსა ზურაბის ქამარ-ხანჯალიო.
 არაგვზედ დალალეს ფშავ-კეცსურეთში ჩაფარიო:
 უთხრიდით მაგათ ქალ რძალსაო, ძილ დაიძინან მაგარიო,
 ზურაბ საფურცლეს მოვკალით, არ შამოვალს ლაშქარიო. 139

*

საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლელწამი ზღვის პირისაო.
 გაუშალეს ხალიჩები, ზედ ზურაბ დაბძანდისაო,
 აუყვავებენ სუფრასა, — ზურაბ შეექეც ხილსაო.
 გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო!
 ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: „დაჰკარით კახპის შვილსაო!“
 საფურცლით მოდის ტირილი სულძალდი ერისთვისაო:
 „ვინ მოგკლა, შვილო ზურაბა, ვინ შეგხსნა ზელნი გმირსაო,
 ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა არაგვისაო,
 აღარვინ მეგულებოდა მომრევი ზურაბისაო.“
 ზურაბის ცოლი ტიროდა: „ვაი უდროვოდ ქვრივსაო!“
 თამარ⁴⁾ სწყევლიდა დედასა: „ჩემიმც დღე დაგადგებაო,
 ამ ჩემი ლალატისათვის თემურაზ მოგიკვდებაო!“ 140

1) ზურაბის სიმამრი, „ერეკლეს პაპაო“.

2) ცუდად არ დაგცდის ცხვირის დაცემინებაო.

3) ნიშა.

4) ქუდი

5) ზურაბის ცოლი.

*

ელუმო თულუმიშვილო, ვეფხვი ხარ ველის კანჯარი,
 მარჯვენა ხელიმც შეგრჩება, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.
 გაგზავნეთ მახარობელი ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი,
 ზურაბის მოკვლა ახარეთ, — აღარ მოვალის ლაშქარი,
 ფშავ-ხევსურეთის ქალ რძალმა ძილ დაიძინოს მაგარი,
 მიგრი 1) მოხვით ბატონსა ზურაბის წამოსასხამი,
 შეარტყით ჩოლოყაშვილსა ზურაბის ქამარ-ხანჯარი! 141

იასა მეფე

იასა მეფე მობრძანდა, დაჯდა ქალაქის პირსაო,
 გარს გალავანი მოივლო გათლილი თუთის ხისაო,
 შიგ ბაღი-ბაღია ჩაყარა, სულ არჩეული ხისაო. 142

ცხრანი ძმანი

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარმონიძე კახილონი:
 ოზ ბალთარ, დავით სოსლან, ოთხ სამეფოდ მებრძოლანი,
 ფიდარიოზ, ჯადარიოზ, სოყე, გიორგ, მტერთა რისხვით შემხედვარნი,
 ჩვენი ძმანი სამნი ბერნი: ისაკ, რომანოზ და ვასილ
 იყვნეს ქრისტეს კარგი ყმანი,
 საიქიოს მოიმედე, სააქაოს კარგად მდგარნი.
 ჩვენ გვიჭირავს ოთხ კუთხეთა მიმავალთა ვიწრო გზანი,
 კასარაზე 2) სიმაგრე გვაქვს, აქ გვიჭირავს ხიდის კარი 3).
 ქართველს ბატონს გამოვტაცეთ, არ დავაგდეთ ჩვენი გვარი.
 მოგვწვდა, ფიცით გვილალატა, მან დაიდვა ჩვენი ბრალი,
 ბალთარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი.
 ვინც ეს ლექსი წაიკითხოს მცირედ ბძანოს შენდობანი. 143

1) ტანსაცმელი.

2) მთა დიგორისაკენ.

3) რაჭისაკენ.

ჯიმშერ

ჯიმშერ ხადას ¹⁾ მიბრძანდება, ქალბატონი უშლის ხელსა: ბატონო, ნუ მიბრძანდები, წუხელ ვიყავ ავ²⁾ სიზმართა, შენს ნაგებ ციხე-ქვითკირთა სამი ჰკრეს ზარბაზანია, ცალი კუთხე ჩამოშალეს, მიწა დაიძრა მყარია.

— ქალბატონო, რატომ ბრძანებ, რათა ბრძანებ მაგ სიტყვებსა, მე რომ მთიულეთს წავბრძანდე, ჩემი შიში ქვასა ხეთქსა, მოვკრეფ ყალან-ბეგარასა თრუსოსა და ხადახევსა, ასეთს ხალათს გამოგიცვლი, რო შაშურდეს თავადებსა. პატარა ხანი ვაცალე, ორი ბიჭი თოფსა სტენსა, ერთმანეთს ეუბნებოდენ: „თოფი კი არ დაგვიცდესა!“ ქალბატონი ცხენით ელის, ჯიმშერ კუბოთ მიართვესა, ომანმა და ქაიხოსრომ ქოჩორ ხელი გაივლესა: „ჩვენც იქ უნდა დავიხოცნეთ, საცა ჯიმშერ მოგვიკლესა.“ ხუცაი ჰფიცავს ხეთისასა იმ თავის ლომისისასა: „ორისვე დედას ვატირებ, ჩემსა და ჯიმშერისასა“. 144

ალმასხან გამონიშვილი

ალმასხან ბატონიშვილო, პირში არ დაგეფერები, წამართვი ჩემი ბუდრისი ²⁾, შიგ ჩააყენე ცხენები, უკულმამც დაიკმაზება იმ მგლის გამოსახვრელები, გაიქეც გუდამაყარსა, გაგრიხეს თხილის წნელები, ჩამოგაცალეს არაგვი, მამჭამე ჩემი . . . ბი. 145

1) სოფელი მთიულეთში.

2) ბუდრისი — მინდორი დუშეთთან ახლო.

შანშევ გეხალისებოდა

შანშევ, გეხალისებოდა, მამული გედო პტყელიო,
 ქართლი ხელთ გქონდა, ქალაქი, მუხრანში გება ცხენიო,
 ექადდი ერისთვიანთა, ემტერე, წაჰყავ ხელიო.
 მაჭარი ვახტანგიშვილო, ღმერთმა მაგტეხოს წელიო,
 ქალაქით გამოემართე, ღამით შაჰკაზმე ცხენიო,
 ახალგორს ამოიარე, ხანჯალზედ გიდევს ხელიო.
 წამოგიქროლა შანშემა, წამაგკრა შუბის წვერიო,
 დაგიჭირა და დაგგრიხა როგორც კი რცხილის წნელიო,
 ჩაგაგდა საბნელოჩია, მაგიღერება ყელიო,
 დაგშიშვლებიან ცოლშვილი, თვალთ მოგადგების ცრემლიო,
 აღარ არ დინამბექობა, საგლებო მოგცეს ხელიო,
 პტყელი წაგართვა მამული, თავოდ ჩაუშო სთველიო.
 თოფი გავარდა ახალგორს, მთა გაიარა გძელიო,
 შანშეს ძმამ ყურალაღამა თოფს წამოავლო ხელიო,
 არ მოუცდენდა ჩახმახი, არც გაუცვდების ცერიო.
 აცალეთ ნათათრალეზო, ჩვენჩი მზე მოვალს ცხელიო,
 დაიქცნად ¹⁾ არ გეკადრებისთ, რად დაჰკაზმენით ცხენიო. 146

აპარდა ბატონიშვილი

ავარდა ბატონიშვილი, ურჯულო ნათათრალიო,
 კაცი დალაღა ხევსურეთს, სად მყვანდნეს უნჯნი ²⁾ ყმანიო.
 ეგრე წამოვლენ ხევსურნი, ისრო ³⁾ მარილზედ ცხვარიო.
 ერეკლეს ღუეეთს მიუვლენ, სრუ წყრობით არ იქნებისო,
 გარდავლივა სურამი, ჯარ აწყვერს მიუდგებისო,
 აწყვერულს სიმაგრეჩიო შიგ ლეკებ დაუხვდებისო.
 დაბრუნდა იარაღაი ⁴⁾, მაგას რა მეეგვრებისო.

¹⁾ გაქცევა.

²⁾ ერთგულნი.

³⁾ როგორც.

⁴⁾ სარდალი ლეკის ჯარისა.

შაჰსწუხდა ბატონიშვილი: ჯარი სრუ გამიწყვდებისო.
 მახსენებენ ხევსურნი: „დღე ჩვენი გარდახდებისო“.
 ჯარჩივით გამოერჩინეს, ერეკლეს თან ჩაჰყვებისო,
 სუმბათა ლოხაურისძე 1) ლაშქართა გაღმეტდებისო,
 დედით ძმათ გაჯავრებული ძმას აღარ[ა] სძრახდებისო,
 აბაი ბიტურაზაი 2) დედასამც დაურჩებისო,
 ხელში აქვს ლეკის მაჯარი, ესრევ არ დაუცდებისო,
 საც აბა დაეტანების, ცალე 3) კი არ დარჩებისო.
 ერეკლეს ბატონიშვილსა ომი ცხენ და ცხენ ხდებისო,
 დაკაფა კოხტა ბელადი, გლენს 4) როდი ეკადრებისო. 147

(გარიანტი)

იარალაის კუდაი ზევის შთას გარდმოხდებო,
 ერეკლე ბატონის შვილი ტახტზეით ჩამოხდებო:
 „გამომივიდან ხევსურნი, ვინც ომში გამოდგებო.
 ფშაველა ჭინჭარაულნი ნიაღვრე ნუ დადგებო,
 გამოიყოლოს სამანა, მჭედელიც დაგვჭირდებო“.
 დუშეთ ერეკლეს მიუფლენ, სულ წყრომით არ იქნებო,
 გარდაავლია მუხრანი, ჯარ აწყვერს მიუდგებო,
 აწყვერულს სიმაგრეშია შიგ ლეკებ დაუხვდებო.
 დაბრუნდა იარალაი, — მაგას რა მოეგვრებო.
 შესწუხდა ბატონიშვილი: ჯარი სრუ გამიწყვდებო.
 მოახსენებენ ხევსურნი: „დღეს ჩვენზე გარდახდებო“.
 ჯარშით[ა] ჩამოერჩინეს, ერეკლეს ჩამოხყვებო.
 სუმბათა ლოხაურისძე ხევსურებს გაღმეტდებო,
 დედი ძმათ გაჯავრებული ძმასაც არა ძრახდებო,
 ჯანშათა ივანეთურსა მეშველი მოუნდებო.
 ნუ ხკვდები ივანეთურო, მარტო ხარ, არ გიხდებო,
 შენი წილი და ნაწილი გუდან გასაყოფ რჩებო.
 გუგუვას შვილი ლერენა სახლშიაც შეუდგებო,
 ბევრი აქვს ტყვია-წამალი, ძალზედაც დაუდგებო.

1) ლიქოკელი ხევსური, მომკვდარა ამ ომში; ამისი შთამომავალნი ვხლავართ თიანეთში, ფიცხელაურს უძახიან.

2) ბლოელი ხევსური.

3) კაცმოუკვლელად, უსახელიად.

4) გლენს დასახოცად არ კადრულობსო. (ი. ჭავჭავაძის განმარტებები).

აბაი ბიტურას შვილი დედასამც დაურჩებაო,
ხელში აქვს ლეკის მაყარი, ნასრევ არ დაუცდებო,
საც ომში დეეტანება, ცალია არ დარჩებო.
ერეკლეს ბატონის შვილსა ომი ცხენ და ცხენ ხდებო,
აკათა ლეკის ბელადი, გლეხი არ ეკადრებო. 148

*

ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
მთიულეთშ ამიარა, ფხიტუს დალახნა მთანიო.
მამავალ მაკითხულობდა: ხევსურებს ვინ ჰყავთ თავიო.
სანეს დაიცა კარავი, შამაიხვიენა ყმანიო.
იმედას ეხვეწებიან: გაგვიღე ბელლის¹⁾ კარიო,
გამოგვიბძანე დროშიაი, სამსა აგვიბი ზარიო.
ხევსურებ ლაშქრა გაბედეს, არ ერგებიან გზანიო,
ჩავიდეს ნაქალაქართა, არ სწვდების წვიმის ცვარიო,
გადაიხურეს ჩაჩქნები, მთა დააშვენეს, ბარიო.
მაშინ ერეკლემ უბრძანა: ჩემნი ხართ უნჯნი ყმანიო,
ურუმებს დაუჭერია საქალაქონი გზანიო.
ხევსურებს ურუმებისგან დიდ მოუვიდათ ძალიო.
სანგალ მოივლით, ხევსურნო, ისრემც უწყალობდით ჯვარო,
მეკრეთ²⁾ ფუნჩიათ დაუდგა გიორგაის ძე ხარია,
ღვედრება ამადიოდა ღულელ მანგია ვარია.
სახელსა კი ნუ დაღმალავთ, ვინაც ქართველობა ხარია,
იარ ნაკუდავთ, წავიდეთ, დაგხიათ³⁾ ქართლის წყალია,
რახა ქალაქში ჩავიდათ, მანდ მოვა ხევსურთ მგზავრია.
ამბა უამბა სწორადა ჩვენზე ნადგომი ძალია,
აღარ ხვიოდა დროშიაი, ლაღი გუდანის ჯვარია.
ბატონს ერთ ფუნჩაი ახლდა, გიორგაისძე ხარია,
ამანდ ნაყოფთა ხევსურთა იმედას დასდევს ბრალია,—
იმედავ, რათ ჩამოყარენ, თუ არ ლამოდენ ჯვარიჲ. 149

1) ადგილი დეკანოზებისა, ოთახი. სალოცავთან.

2) მეკარედ.

3) გაგხიოთ. გავიდეთ.

*

აგარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
 შეჰკაზმა თავის თავლაი, ზედ შეჯდა თავო ქორიო;
 მაგას მოხსენდა ბატონსა, ჯარი მოვიდა ბევრიო,
 ამაგ ჯარს გამოერია, წელზე შეიბა ხმალიო.
 ამბობენ ერეკლისასა, ჯარებ შუაზე გახიო,
 ასი ცხენს გაახტოქინა, ორას კარავში გახვიო,
 ომსა არ უნდა გძელება, შუბი ბუდეში წახვიო. 150

ჯარს ეძახს ბატონის შვილი ერეკლე

ჯარს ეძახს ბატონის შვილი ერეკლე თავის ყმათაო:
 „პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა, თუშები მიდგას მზასაო“.
 გავიდეს ნაყვეჩაოსა, მაღალს თუშეთის მთასაო,
 გახედვენ გარმოსახედსა, ლეკ რომელს მოვას გზასაო.
 ხუთშაბათ თენებაზედა ურჯულო გარმოხდ მთასაო.
 „ფარსმანს დამიდგით ციხენო, ქავს¹⁾ გამიტეხენ კარსაო“.
 იმედს აძლევენ ფშავლები, თოფის დავხვევდით კვამლსაო,
 ხელი გაისვა აბამა, ხევსურის შვილმა, ხმალსაო,
 განათდა ბაწარაული, ცადა უცემდა თვალსაო,
 გვერდს ედგეს განაყოფები, მშაველა უჭერს მხარსაო,
 ბოგელი მალოდინაი, მგელი მალლალავს ცხვარსაო,
 ომობენ ლულელთ შვილები, ერთი ეძახდა სხვასაო:
 „თითოს შევწირათ ოროლი ლეკთა ნახოცსა მკედარსაო“. 151

1) ბურჯს.

ქალაქი ფშავლის შვილები

ქალაქი ფშავლის შვილები ჰკითხვენ ლაშარის ჯვარსაო,
 გიორგი იმას ბძანებდა, ურჯულო მიკრავს გზასაო.
 ბაზარზე ად-ჩადიოდეს, თოფის ვაჭრობენ ტარ[ლ?]საო,
 უთხარით ლეკთა შვილებსა, ფშავლებს ნუ უკვრენ გზასაო,
 მთის კაცებია ფშავლები, იარაღს ზიდვენ მზასაო.
 აბაზზედ გაუმართლებათ გულოშვილს მანგიასაო,
 ჩუგაურთ გონჯილუასა ჩარმა¹⁾ შამააქ მზასაო.
 ლეკ ნუ დაგიკრათ ბელათსა, ქართველსა მგელიასაო,
 თოფსა აგიხსნით მხარითა, ხირიმსა ძალიანსაო,
 ხმალსაც შაგიხსნით წელთითა, ფრანგულსა ღარიანსაო.
 ერეკლეს გახარდომია, — ხალათს დააცომს ტანსაო. 152

გოშტაშვილი დათუნი

არა ქნა ჩვენმა ბატონმა, შაყარა დიდი ჯარია,
 ორპირ აამსო ქიზიყი, ხელთ მისცა წინამხარია,
 ალაზან გადო ჯიშირი, ზედ გადის ჩვენი ჯარია.
 პატარა ნაბახჩევშია შიგ დამალულა ჯარია,
 შიველით, გამოგვაქციეს როგორც ნადირმა ცხვარია,
 ბატონსა ცხენი მოუკლეს, თავს უკრეს ზარბაზანია.
 ეს გოშტაშვილი დათუნი ღვთის ჩამოსული ჯვარია,
 ბატონსა ცხენი მიართო, ხელში ეჭირა ხმალია:
 „ბატონო, ცხენზედ შაბძანდი, თუ გიყვარს ჩემი თავია“.
 ბატონი ცხენზე შაბძანდა, ქვეშ უჭრის ნიაფ-ქარია.
 დათუნი ქალაქ ჩავიდა, ეხვევა დედოფალია:
 „შენი ჭირიმე, დათუნი, შენ მამირჩინე ქმარია“.
 საჩუქარი ბევრი მისცა, წელს შამაარტყა ხმალია. 153

1) დიდა თოფი.

*

(ვარიანტი)

დათუნავ, ქალაქ ჩამოდი, გიბარებს დედუფალია:
 შენი თვალების ქირიმე, შენ მამირჩინე ქმარია,
 სულაც შენ გენაცვალემა ქართლის, კახეთის ჯარია,
 მამულებიც კი მონახე, სიგრძე-სიგანე ბრტყელია,
 დათუნავ, საქართველოსა შენგნით არტყია ხმალია. 154

ქალი მოვიდა ურუმით

ქალი მოვიდა ურუმით, თვალები უგამს მწყერსაო,
 კახურს კითხულობს ანბავსა, ერეკლეს ჰფიცავს მზესაო:
 ერეკლეს დაუბარებავ, დავ, ნუ შეირთავ მტერსაო,
 ცოტა ხან შამომიცადე, ქალაქს აგიდენ მტვერსაო,
 შენსა მოგიკლავ საქმარეს, ზედ გადავაფრენ ცხენსაო,
 მოგიტან საპერანგესა დარაიასა ჭრელსაო,
 ქმარსა მიგცემდი აგეთსა, მზეს რო ჰფიცავდის ჩემსაო. 155

*

(ვარიანტი)

კირმიზით ქალი მოსულა, თვალები უგამ მწყერსაო,
 ჰკითხულობს ქართლის მშვიდობას, ჰფიცავს ერეკლეს მზესაო:
 ერეკლემ შემოუთვალა: დავ, ნუ შაირთავ ქმარსაო,
 თორომ მოვალ და მოგიკლავ, ხელს გადავიფრენ ცხენსაო,
 მუხრანს დავსწოვ და დავდაგავ, ქალაქს ავადენ მტვერსაო. 156

ბაქარიანთა დაღევა

ბაქარიანთა დაღევა ქართველზე წილნაყარია,
 სიკვდილი ჰაატაისა ღმერთმა იცოდეს ბრალია,
 შეინახიდით, ხევსურნ, ვინც გყვანდათ წილს ნაბარგალია¹⁾,
 ეკიდას ბაგრატიონთა ამაგათ ცოდვა-ბრალია,
 დალივნეს ბაქარიანნი, სულ საქართველოს კარნია. 157

1) დედანში ეს სიტყვა გაურკვეველია: ნამარგალია, ნაბარგალია.

მეფე ერეკლეს მოლაპარაკებანი

მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონო, კელეპტარი ხარ ქვეყნისა მნათი, რუსეთ ხემწიფე შენგნით გაჰკვირდა, შენგნით შეშინდა ყანდარ-ერანი, ღმერთის მგმობელმა, რჯულის დამგდებმა, ვინ მოიგონა მეფის ღალატი. ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს, — ეს ჩავიტანე ქარუმ ხანამდინ: „ქარუმ ხან, შენ წინ წამოდექ, სულ ამოვწყვიტოთ შვილით თავამდინ“. იმ ფეიქარმა სამ დღეს იარა, [სამ დღეს იარა] სამ დღის სავალი. ანგელოზები წინ გადაუდგნენ: „როგორ იქნება მეფის ღალატი?“ ის ფეიქარი უკან დაბრუნდა, ღამით მოვიდა მეფის კარამდინ: „ჩემო ხემწიფევ, თავს გაუფთხილდი, უკან დაგიდგნენ ყოვლნი თავადნი“.

მეფე ერეკლე გაჯავრდა: „ვის შეუძლია ჩემი ღალატი?“¹⁾ „ჩემო ხემწიფევ, თუ არა გჯერა, უბეში მიძევს მათი ბარათი“. უბეს უნახეს, ამოაცალეს იმ თავადების ავათ ნახლათი. მეფე ერეკლემ რომ წაიკითხა, ხმა არ გაიღო დიდი ხანამდინ. კახეთს შესთვალა: „მოდიოთ, მიტარეთ, საკვდილი მოხდა ჩემი ამლათი“. კახეთის ჯარო მალე მოვიდა, რომ მოიხედამთ, ისე მალათა: „ვინ მოგვიკალით ჩვენი ერეკლე, სისხლი დავლიოთ როგორც შარბათი!“

ის თავადები სულ მოაგროვეს როგორც კალოზედ პურსა არნადით, თავს დააყენეს თვალის მთხრელები, მას მიადევნეს უკან ჯალათი. თავთაქიშვილსა ნავთი დაესხეს, სულ შიგ ამოწვეს თავით ტანამდინ, ამილახვარსა თვალნი დასთხარეს, ხელები დასჭრეს, — ის ველარ მივა თავის კარამდინ.

ამილახვრის შვილს თვალი მოსთხარეს და ხელი მოსჭრეს: — წადი, იარე შენ გაგლახავდი!

ფეიქრის ცოლი დედოფალმა იქ დაიბარა თავის არამში, ფეიქრის ცოლი რომ შეიყვანეს, ქვეშ გაუშალეს მასთაქ ნაბადი: „შენ, ფეიქარო, ამდენსაც მოგცემ, სანამდინ გეყოს შვილით თავამდინ“.

იმ ფეიქარსა მსახურნი მისცეს, თან მიადევნეს კარგი დალაქი, კახეთში მისცეს კოშკი ქალაქი. ფანიაშვილო, ეს შენ გამოთქვი, ბარემ სულითაც მანდავ განათლდი, ეს რომ მეფეს მოახსენო, ფიცხლავ მზა არის შენი ხალათი! 158

1) დედანშია: მეფე ერეკლე გაუჯავრდა: „ბიჭო, რას ამბობ, ვის შეუძლია ჩემი ღალატი?“

აბდულა

აბდულა შეკაზმულიყო ჯაჭვითა და ჯინჯილითა
 „მინდა ქალაქს შემოვადგე, ამოვწყვიტო შიმშილითა“.
 მეფე ირაკლიმ გაიგონა, გადაბრუნდა სიცილითა:
 „შენ ეს ბიჭი მოგიკვდება, ვერ გაგხეთქო სირბილითა,
 კოჯორი მოგარბევინო, მონასტრები ტირილძთა!“
 შეჭამანდებ ანელებენ კოფებითა და პილპილითა:
 „დაჯე, აბდულ, პური ჭამე, რაზე კვდება შიმშილითა?“.
 — რა პურისა მეცხელება, კუჭი მტკივა სირბილითა! 159

მეფე მრეკლეს მესულე

ყაბართოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე მანათობელათ,
 იმავე ხანის ასული იყო ჩერქეზთა მფლობელათ,
 მშვენიერებით მდიდარი, უმანკო დაუჭკნობელათ.
 რძლათ მოიწოდა მეფემან პალატის შესამკობელათ. 160

მეფე მრეკლე

ქართველებთ ვერ გაიგითა, რკინით შეგესხნათ კარიო,
 მეფე ერეკლე აღარ გყავთ, ბაგრატიონთა გვარიო,
 აღარ ყავ ბაირახები, აღარ ჰქვხს ზარბაზანიო?
 ღმერთს კი შესწ[ტ?]ირნეს თავადთა, რად შეგვიკერენ ბრალნიო¹⁾,
 მეფის ერეკლის სიკვდილი ვინა თქვა, რა სათქმელიაო,
 მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილნაყარიო,
 მცხეთაში ოქროს კუბო სდგას, შიგ ნათობს კელაპტარიო,
 მეფე ერეკლე შიგა წევს, ბაგრატიონთა გვარიო:
 „მანამდის ვიყავ, ცხენსა ვჯექ, მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო,
 ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ ფხასისხლიანი ხმალიო,

1) შავები.

შეინახიდით, შვილებო, ქალაქის მოედანო,
 ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმ შამოგართოს¹⁾ თვალიო“.
 ამა ქართულის მათქვამი მე კი ხევსური ვარო,
 ვაიმ გაგვიწყრეს ბატონი, გაჯავრდეს დედოფალიო!
 ქართული მე მოვიგონე მეფე ერეკლეს ცდისაო,
 თუგინ გამიწყრეს ბატონი, იქნების ჩემის ჭკუისაო,
 ბატონს რაით ეკადრების ნათქვამ ქართულის ყმისაო. 161

*

(ვარიანტი)

ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია,
 დაჩუმდა ბარიახები²⁾, აღარ ჭეხს ზარბაზანია,
 აღარ გყავთ მეფე ერეკლე, არც მაგის საომარია?
 ღმერთს შასტირიან თავადნი, რა შაგვიკერე ბრალია,
 დედუფალ იმას სტიროდა, იმერეთ ნეფის ქალია.
 „შვილებს დაუდგი ბექთარი³⁾, სისხლში ნამწვლარი ხმალია,
 მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯვით, მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,
 ეხლად იმას გცხვენოდესო, ვის გერთყათ ჩემი ხმალია,
 აწ შეინახით, შვილებო, ქალაქის მეედანია“.
 ცხეთას კუბო დგას ოქროსი, ნათობდა კელაპტარია,
 შიგ იწვა ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია. 162

*

(ვარიანტი)

არ გეჯერებათ, ქართველნო, შეგვეხსნა რკინის კარები,
 აღარ გვყოვ მეფე ერეკლე, არც მაგის საომარები,
 დადაბლებულან კარები, აღარ სჭექს ზარბაზანები,
 დამდგარან ბაირალენი, დაჩუმებულან ყმანიო,
 ქრისტესთან კაცი გავგზავნეთ, ქრისტესთან წინა ყარო,
 სუყველამ შავი ჩაიცვა, დავკარგეთ საჩივარიო.
 მცხეთას რომ ოქროს კუბო დგას, ზედ ნათობს კელაპტარიო,
 შიგა წევს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გორიო,

1) ერთ ვარიანტშია: მტერმა არ გთხართ თვალიო; მეორეში: მტერმა არ შეგართოთ თვალიო.

2) ბაირალები.

3) ჯაჭვი.

თავს ადვას ცოლი თავისი, იმერელთ მეფის ქალიო.
 შვილებს დაუგდა ბევთარი, პირსისხლიანი კმალიო:
 „შვილებო, თქვენ შეინახით ქალაქის მოედანიო,
 მინამ მე მთელი ვიყავი, მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო“.
 ნუ გაგვიწყრები, მეფეო, მთის კაცის სიტყვა მცდარიო,
 თქვენს კალთას გამოგვიხვიე, მტერთ დაგვაყენეს ძალიო. 163

*

შენ ერეკლეე ოქმიანო, ცხენ ლამაზ უნაგრიანო,
 შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ყრიანო,
 ყვაგი, ყორანი ლემსა სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო. 164

*

გამობძანდა კახი მეფე, ოან გამოჰყვა დიდი ჯარი,
 სულ ოსი და სულ ჩარგასი, დარაზმული რაზმის ჯარი,
 ჯერ კი იხმარეს თოფები, მამრე ამოიღეს ხმალი. 165

*

ერეკლემ შემოუტია ამ თავის ბორდა ხმალსაო:
 „რას შვრები, ჩემო ფრანგულო, რატომ არ გამცემ ხმასაო?“
 — გულუშიშრადა შემამკარ, ძალი ატანე კლავსაო
 და მაშინ სეირს მიყურე, სად გავაგორებ თავსაო! 166

*

ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევზე გახადა თქათანი,
 ხევ-ღელე ლეშით აამსო, ცხენს შეულება ფათარი. 167

*

ძმათა ერთია ყრილობა, გინდა მენ მოჰკლა, გინდა მე,
 ჩვენი ერეკლე ხემწიფე ერთი პატარა კახია,
 ჩაიყო ჯაჭვის პერანგი, გაიკრა ხელი, გახია. 168

*

მეფის ერეკლის დროიგა შორს მოვაძოვნი ძროხანი,
 დავწვი და ისე მეძინის, ზედ წავიხურნი ჩოხანი,
 [ახლა ასეთ დროს ჩავარდი, მენატრებიან დოსანი]. 169

*

ფეტვიით აქულაკამ თქვა: ტაშტი თავქვე დაიხარო,
რომ მივედ, სეტყვა მოვიდა, გარდავრჩი, გარდიყარო,
ვითომ კი მამიდა ვიყავ, ქალმა გულს შამაიყარო;
არა გიშავ რა, მე ვუთხარ, დროება გამოიცვალაო,
რუსი ხემწიფედ დაგვიჯდა, ერეკლე გარდაიცვალაო. 170

მ რ ი მ კ ლ ე ს გ ლ ო ზ ე ა

მთაში ამიღვრდა არაგვი, ბარათ აყროლდა მტკვარია,
ყველა შიგ შემეერია, გველი, მყვარი და მკალია,
მტკვარსაც ნუ დაღვეთ, იცოდეთ, მტკვარიც კი მძორიანია.
ჩრდილოეთს მივდით, გვიხარის, როგორც მარილზე ცხვარია,
ძეგლი დავკარგეთ მამისა, აღარც გვყავ დედა მარია,
ავღგეთ და გადავიხვეწნათ, მანამდინ კიდევ დარია,
სამხრეთისაკენ გავწიოთ, საიდან მოგვდის მტკვარია,
იქნება მაშინ ვიპოვნათ ჩვენი ბაგრატის გვარია.
აეწ ტკბილი გვაქ, ვიცოდეთ, კვლავ კი გვექნება მწარეა,
ნეტავი იყოს ლაშქროვან, ნეტავ გავიდეს ჯარია,
ნეტავი წელზე შეერთყას ერეკლეს ჩვენსა ხმალია,
გატეხოს ციხის კარები, გაჰქროლოს როგორც ქარია,
გვერდითა ჩამოგვიყენა ჩვენის არაგვის ყმანია,
თქვენ თვალით გაყურებით, ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
წინამც საომრათ შეგვყარა ყენის შვილის ჯარია.
სუყველამ იცით, ტუსაღთა მუხლებს აღარ აქვს ჯანია,
გაგყვითლებია თვალები, რომ გვისომ თერგის წყალია,
ვინც თერგის წყალი დავლიეთ, გუნება გვექნა ჩქარია. 171

ა ლ ა მ ა ლ მ მ ი შ ხ ა ნ ი

ეს რა საქმე დავემართა ალა მალმეტ ხანისაგან,
მაცხოვარო, დავიფარე ზოგნი დატყვეებისაგან.
არჩივა ყორღანაშვილმა, გაუგზავნა ბამბა, ტარი:

„დაჯექ ყენო, დაართი, შაიქნები ჩვენი რძალი!“
 ეს რომ ყენმა შეიტყო, ჯარებს დაატანა ძალი,
 ადგა ქვემოთ წამოვიდა, თან მოჰქონდა მთა და ბარი.
 იაღლუჯას რომ მოვიდა ის ურჯულო არაბელი,
 სოლოლაკზედ რომ გადმოდგა, ქალაქს აეშალა კვალი.
 ბევრი მოკვდა არაბისა, ვერ იტყოდა ლელვით მტკვარი.
 რა კი აღარ იქნებოდა, — მორიდება კარგი არი:
 ბატონი ცხენზე შებძანდა, აირბინა ანანური.
 „სად მიხვალ, ჩვენო ბატონო, ქალაქი გაქვს სანანური!“
 თათრები ქალაქს ჩავიდნენ, შიგ დაუკრეს სალამური,
 ტურფები ბევრი წაასხეს, ბებრებია დადალული. 172

ხოჯა ხანი წამოვიდა

ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო,
 ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო,
 გარს ახვევია ბალები, ჩარხი უბრუნამს წყლისაო,
 შიგ წისქვილები უბრუნამს გარშემოუვლილი წყლისაო,
 ქალაქში აბანოები, ბადალი ხმელეთისაო,
 ძირილამ აშენებული აუზებია ქვისაო,
 მალლიდგანა მოჭედილი წითელ იაგუნდისაო,
 გვერდილამ ფანჯარეები სანათურია მზისაო,
 ვინც შავა, აგრე გახდების, როგორც თოვლია მთისაო.
 ქალი და რძალი გამოდის, ვით რომ ყვავილი ხისაო.
 დუქნები ბევრი დამარჯეს, სასხდომი ბაყლებისაო,
 ქვეშ ქუჩები დაატანეს, სარბენი არი გზისაო,
 წინ ნათხარი ორმოები, ნაგები სარდაფისაო,
 ხო ის ლაინი ბევრია და ფარჩა ბეზირგნისაო.
 საყდარიც ბევრი ააგეს ამ თეთრი ქვიტკირისაო,
 ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია ხვთისაო,
 ბერი და ლვდელი ამთერი, როგორც რომ წვიმა წყლისაო.
 ხაზინაები აწყევია, მოჭრილი თამაზ ხნისაო.
 ერეკლე ბატონი იჯდა, ბადალი ხმელეთისაო.
 ასტირდა მცა და ქვეყანა, მისთვის არ მოდის დარია,

ხოჯა ხანი წამოვიდა, თეირნით მომავალრა,
 ამდენი ჯარი მოუდის, არ გადასწვდება თვალია,
 შიგ და შიგ სარდლები მიჰცა, მან კი აართო მხარია.
 შიშის ხან წიგნი დასწერა, ერეკლეს გაუგზავნია.
 თავადები დაერჩინენ, ერთათ მოაბან მხარია,
 საყდრიდამ გამოიყვანეს ის დიდი ძველი ჯვარია.
 ზოგი მოუკლამს ტყვიასა, ზოგ მიწას შეუჭამია.
 „ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვყრი, ისევ შენ მოგვიხმარია“, —
 წინ ერეკლეს გამოუძღვენ, ვითომ ირემი ხარია,
 ასე მოჰქონდა ლაპლაპი, ვით საომარი ხმალთა.
 დუშეთში რომ შემოვიდა, ცხენს მოაგოგებს ნელათ,
 დაჯდა და წიგნი დასწერა:
 ეს რუს ხემწიფეს მიმირთვით, მან გადიკითხოს ნელათ:
 „ხოჯა ხანი წამოვიდა, ქალაქი შეამტვერაო,
 მე აქედამ მომიქცია, ისევ მიშველე შენაო“.
 გადიკითხა რუს ხემწიფემ, მუხლზე დაიკრა ხელია:
 „ვაი შენ ტიფლის ქალაქო, რა ძნელი საქმე ჰქენია,
 ხაზინაები დევკარგე და ოქროები ბევრია.
 ზოგი ბოლოზე წავიდეთ, დავიმონაოთ მტერია,
 ზოგი დარბანზე გავიდეთ, ორათ გავაწყოთ გემია,
 ხოჯა ხანი დავიჭიროთ, ძაღლივით მოვჭრათ ყელია,
 ქალაქი დავიმორჩილოთ, სულ საქართველო ჩვენბა“.
 ეს ამისი გამომთქმელი სიტყვების ჩამომთვლელია,
 ყველანი ერთათ დაგლოცოთ, რაც ქვეყანაზე მღვდელია,
 მისი მადლი შეგეწიოთ, ცხეთას რო ხატი სვენია. 173

ყვენი რომ წინ წამოდგა

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბძანება იქნა მღვთისა,
 მოეკიდა ხმალი ხმალსა, ომი იქნა პირველ ჟამსა.
 ყვენი რომ წინ წამოდგა, ნეტა რისგან ჰქონდა ძალი,
 ხანები რომ დაიბარა, იმას დაჰყვა დიდი ჯარი.
 შუშის ხანს შემოუთვალა: შენზედ არის ეს აფარი,
 ყოვლის მხრიდამ მოამზადე, რაც რომ გქონდეს საომარი.

„ოთხი კარები მიბია, ერთგნითა შაქ გასავალი,
 იმასაც მაგრა დაგიკეტ, რას დამაკლებს შენი ჯარი,
 შორიდამ გალაპარაკებ, როგორც მეძებარი ძალი;
 თუ რო ქალაქისკენ წახვალ, იქაც ერეკლე მზა არი,
 ერეკლე შენ დაგამარცხებს, შინ წახვალ გაუხარელი“.
 ერეკლეი გამოვიდა, მიიხედა, მოიხედა, — აღარ არის თავადები,
 გადაჰკრა, გადააჭენა: „აღარ არის ჩემი ბრალი!“
 საწყალი გურამიშვილი, რა ერთგული თოფჩი იყო,
 ახულ ხარბაზნებ ქვეშ აკუწეს, ტყვია-წამალი რა იყო! 174.

ღათუნა ზატონიშვილი

იმერეთის მთას გაღმდის აქლემთა ნატოტარიო,
 წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარდო,
 ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დაღბერნეს, დასძრავს ქარიო,
 მაგის საკრეფლად წასულა ბაგრატიონთა ქალიო,
 სამაყროთ გადმოსჩვევია ერთი ურჯულო მყრალიო.
 ქვენიტ მოვიდა ამბავი, დაიძრა ჯაბალ ხანიო,
 ალგეთი გადმოიარა, გაშლიტ დალახნა მთანიო,
 კახეთით ბოლოთ ჩავიდა, ადგილთ დაუხვდა ბარიო.
 დასჯდა, დასწერა წიგნები კახთ ბატონთანა ძალიო:
 „სასმელათ არ მეყოფისო ალაზანი და მტკვარიო,
 მოსაძოებრათ ბალახნი თრიალეთისა მთანიო,
 ქალი მე მამეც რუსუდან, ლამაზი ლერწმის ტანიო“.
 ქალმა გაიგა რუსუდან, გაჯავრდა დედოფალიო,
 ჩანაყა საყურ-ბეჭედი, სალტისა იქნეს განიო,
 მამის შეკმაზა ყურთეთრი, ზედ თავად შეჯდა ქალიო:
 „ან მიპატრონეთ, მამანო, ან ქალ შემაბით ხმალიო,
 არვინ გაზდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო“.
 დათუნა ბატონიშვილმა გადიცვა სამანქანიო,
 მსახურებს ეუბნებოდა: „ჩემი მამგვარეთ ჩქარიო“.
 ე მაგი ცხენის ნახტომი დიდი გვეგონა ხრამიო.
 კახეთის ბოლოს ჩავიდა, ცას არ გაულამს კარიო,
 გამეერია ლაშქარსა; გაანახევრა ჯარიო,
 მეჩვიდმეტეზედ მივიდა, დადგა, ჩააგო ხმალიო.

„შამინდავ ღვთის ბძანებაო, ოცსა დამიკლდა სამიო“.
 ცოლი ძმამ ჩამოურბინა, გვერდს ჩამეეგდო ხმალიო,
 ათსა რომ იმანაც მოსჭრა იმ თარაქამას თავიო.
 ერთმა ურჯულო თათარმა თოფსა დახვია ალიო.
 ცხენ ზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო,
 გაისახელა თათარმა, წაჰყარა სამარქანიო.
 ამას ჰკვირობდეს თათრები, ეს ტყვია რამ იჭირაო,
 ჯაჭვში მორტყმული ტყვიანი ორ ლიტრა გამოვიდანო.
 თმა-გლეჯით ჩამაატარეს სიასამურის ქალიო:

„ჩემი მიჩვენეო დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარო“
 „დათუნას ვინლა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვრალიო!“
 ამა ქართულის მათქომი წო[ც]ათ მჟავია ვარიო,
 ერისთვიანი მაქჟადან, მალრან ავრეკე ცხვარიო,
 ნურც მიტირებენ დედანი, წოვათ ნარჩენი ქალნიო,
 უერთოთ თუ დავანებო, წელთა ნულარ მბამს ხმალიო. 175

დაიდრა დიდი სულთანი

დაიდრა დიდი სულთანი, სულ დაძრა მთა და ბარია,
 ჩამოხდა რეშის წყაროზედ, ადგილი ხპოვნა ბარია,
 წყალნი არ იყვეს სასმელათ. ბალახნი საძოვნელათა,
 თევზნი გაწყვიტნა წყურვილით, წამამყვა მათი ბრალია.
 სულთანმა წიგნი დასწერა შვიდმკეცი, შვიდი მხარია,
 არჩია, გამაარჩია, ჩიკრიკი გამაარჩია; —
 „შენ ჩემო ძმაო ჩიკრიკო, ერთგული ყმა ხარ ჩემია“.
 წამააყენეს ჩიკრიკი, წელს შამაარტყეს ხმალია, —
 „ეს ქუჩთა მეფეს მიაართვი, ეს სამი სიტყვა ჩემია:
 ან ჩვენ დაგვიგდე სანეფო, გადაიარე მთანია,
 ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია,
 ან მოგვეც ქალი რუსუდან, ტანჩი ალვისა ფერია“.
 ეგ რაღ. რუსუდანს მოხსენდა, გაწყრა ის დედუფალია,
 უკუიხვივნა ძუძუნი, მაგრა შაიკრა თმანია,
 უკიბო ჩაკდა ჩარდახსა, შაძრა ჩარდახის კარია:
 „ცხო ვილა ვათათრებულა ბაგრატიონთა ქალია!“
 ჩალეწა საყურ-ბეჭედი, მით ჩაინათლა გზანია. 176

ხმალი სჭრის ბაგრატიონისა

ხმალი სჭრის ბაგრატიონისა მეფისა ერეკლისაო,
 სალევო შამოამტვრია ვით ზვავმა წვერი ტყისაო.
 მოხსენდა რუს ხემწიფესა, ამაგას ჰკვირობდისაო:
 „ნეტავის გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო“.
 ევი შაიტყის ლევანმა, წელ ხმალი შეირტყისაო,
 წავიდა სარუსეთოში, მასაც ნახვა სურისაო,
 თან გამიყოლა გუნდი ქორისა, შავარდნისაო.
 მივიდა რუს ხემწიფესთან, სალამიც მიართვისაო.
 „მობძანდი, ლევან ბატონო, ყმაწვილო ათის წლისაო!“
 დაჯდა და ჰკითხა ანბავი თბილეთის ქალაქისაო:
 „რამ გაადიდა ჭარელნი, ნარჩომი ჩვენის ხლმისაო,
 წახვიდე, არ შეჩქარები, არ წასვლა არ ჰხდებდისაო“.
 გამაყოლა ჯარები ზერხება ათას ფრისაო.
 ქალაქში შევა ლევანი, ჰეხა შეილა ცისაო,
 შაშინდა ლექთ ბელადები, „ჩვენკენ კი იქავს პირსაო!“
 ამაგას ვინ დაუდგების, შიში აქვს ზარბაზნისაო. 177

ნუსხლის ჭარი

ქაჩურსა მთასა¹⁾ გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,
 ჩამოდვა გირევის ვაკეს როგორც ნაგუბარს წყალია.
 წოვათის თევდარის ანთაი ნუცალს მიუვა კარზედა.
 წინ დაუდგ თქროს ლამბაქი²⁾, ზედ კვიცის ხორცი აწყვია,
 ზედა დევს დანა ჯავარი, ტარი უბია გიშლისა,
 შიან და ვერა ბედავდეს, რჯულის გულისთვის კვდებოდეს.
 გაიგო ათაბანულამ³⁾, ლურჯას დააკრა ნალები.
 საგათენებლოთ ჩავალის გრემში⁴⁾ ბატონის კარზედა:

- 1) ვარიანტში იკითხება: თავსა.
 2) " " " ტაბაკი.
 3) " " " ითინაბაურმა.
 4) " " " გრემას.

„ლევანო, ჩვენო ხემწიფე, ჩვენა გვიბოძე ჯარია,
 თუ ჩვენა არას გვიბოძებ, ვიქნებით ლეკთა ყმანია.“
 ლევანმა ჯარი შეკრიფა ათასი მეომარია,
 ანთო მამხალეზია, ლამით გაიხსნა გზანია.
 გადადის ნაყავეჩისა¹⁾, ღმერთო დასწერე ჯვარიბ,
 ათაბანულას²⁾ ლურჯაი ნაყავეჩს გდია კვდარია,
 გვერთ უზის თავის პატრონი, დასტიროდ როგორც ქალია:
 „ვინ გახვალთ გირეის წყალსა, ვინ გაიმეტებთ თავსაო?“
 წინ გავიდ ნაყავეჩის³⁾ წყალს ვაჟა ლურჯ-პერანგიანი,
 იქნებოდ საღირიშვილი⁴⁾, ანდერაზმ ვისაც ჰქვიანო,
 ჩავიდა, ჩამოერია მათხუცის⁵⁾ მარქაფითაო,
 ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკვეთაურთის⁶⁾ ხმლითაო.
 ცოლი ნუცალის იძახის: „ნეტავ ნუცალი რა იქნა?“
 „ნუცალი ანდერაზმ მოკლა, ყორნებს ჩაჰქონდათ წყლითაო⁷⁾.“
 ლეკთა სტირიან ქალები: ველარ მოგვივლენ ქმარები,
 ცხენებს რა ვუყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები⁸⁾.
 ზოგმა სთქვა: მთაზედ გავუშვათ, ზედ წავაყაროთ ლაგმები,
 ზოგმა სთქვა: უკულმ შევკმაზოთ, ზედ თავათ დავსხდეთ ქალები,
 ვადვიდეთ თუმისაკენა, იქავ შევირთოთ ქმარები. 178

ლევან ბატონიშვილი

პირველათ ღმერთი ვახსენოთ, მერე ბატონი ჩვენია,
 ატირდა რუსთა ხემწიფე, მუხლზე დაიკრა ხელია:
 „რას უყურებთ, კნიაზებო, ცოდო დაბრუნდა ძნელია,
 ან შემიკარით ტივები, ან მომიმზადეთ გემია.“
 ქალაქ მელიქი ჩიოდა: „სიხმარი ვნახე ძნელია,

1) ვარიანტში იკითხება: ნაყავეჩასა.

2) „ „ ითიბანაურის.

3) „ „ გირეის წყალსა.

4) „ „ საგინაშვილი.

5) „ „ სალთხუცის.

6) „ „ ნაკუდაურის.

7) „ „ მწყლითაო.

8) „ „ რკინის ლაგმები. ამის შემდეგ: ზოგთა თქვეს, ბაშტეს
 შავრეკოთ, მაგრა დაგვულოთ კარები.

ლევანს ალყროდა აბჯარი, გარს შამოსცლოდა თემია“. ლევანმა წიგნი დასწერა, შიგ ჩაატანა ღვდელია, ეს დედა ჩემსა მიმირთვით, ნახვა მამინდა თქვენია. ჩათარ ცხენი შაუკმაზა, აბჟანდა უყო გძელია: „თუ იდგეთ, ნულარ დასხდებით, ხომ მზათ გიბიათ ცხენია, თუ ჩემი სული გიყვარდეთ, თეთრი გამიეც ბევრია, ყოველ შათათ შემიმოსე სამოცდასამი ღვდელია, ეგ ქვრივი გებრალეობდეს, ხო ნარძლევა თქვენია, წლამდინ მიტიროს, მიგლოვრს, სამართალია ჩემია, წელიწადი გამობრუნდეს, — გაშალოს ყველის ფერია; შაყარე ჩემი ტოლები, აღინე ცხარი ცრემლია: მილიონ ბატონიშვილო, ახლა თაობა შენია, გებრალეობდეს არაგვი, შეუძლებარი თემია“. ჭარში ლეკმა ვაიგონა, ცხენ გადაუსო ხელია, ოთხავ ფეხს ნალი მიაკრა, ლურსმანს უხარა წვერია: „წავიდეთ არაგვიანში, რალა ლევანი მშლელია, ღუმეთ თარეში გაუშოთ, ტყვე წამოვასხათ ბევრია, ნაოზა გავარბენოთ, დიღმის მინდორი გძელია“. აცადე, შვილო ლეკებო, ნუ წამაგვყავით ხელია, ისევ კაცია ლევანი, ისევ ჯარი ჰყავს ბევრია, კიდევაც წაპოგეწევა იმის ფეხმარდი ცხენია, უყურე იმის საქციელს, ციხე ააგო თქვენია, — თქვენი გუდა და ნაბადი ჯერაც იქავა ჰტენია. 179

ბატონიშვილი ამბობდა

ბატონიშვილი ამბობდა, წითლად ჩავვიხდა მზეიო, გამომაქციეს რუსებმა, მინდორი მრბოლეს გძელიო, მიშველეთ, ჩემნო ხევსურნო! თქვენ ხომ ყმანი ხართ ჩემნო, ქალაქ თუ მე დავიჭირე, მემრე მე ვიცი თქვენო, ქალაქ თუ მე არ დამნებდა, თქვენც თავი დასთმით ჩემო. ფუნჩური ტურაის შვილო, დიდხანაემც ხარ მთელიო, მაჩხოვი თანდილაშვილო, ენაიმც მოგჭრა გძელიო, რა მალედ დავგიწყებოვა. ხალათდაცნული ჩემო.

აკუშოს მგელაის შვილნო, დედა ვაცხონე თქვენიო,
 არვინ ყოფილა თქვენ ფერი საქართველოზე ჩემიო,
 მე ესრე მომახსენებენ, ბევრი უხოცავ მტერიო.
 ოროლთა ხელმოკლიათა დაიდვეს სინის ფერიო,
 მამუკამა და ჯოყოლამ დაივლეს ხმლებსა ხელიო.
 აბობენ, გუროველებმავ ციხეს შააბეს წვერიო,
 დიდი ხქონია ბუჩაი¹⁾, ტყვია გამოსდის ცხელიო,
 მაგათ ნახოცსა სალდათსა ქალაში ითრევს მელიო,
 ბელლის კარ ნაჯდომმა წავთვლე, ეგ მოძმე იყო ჩემიო,
 ჩამომაცოლე სახმთოო შენ ნისლის ფერი ცხენიო,
 რუსებ თუ ვერ მომერიენეს, შაძლება იყო შენიო,
 მოგიტან ვერცხლის სურასა, მალალი ედვას ყელიო. 180

მ რ ა ქ ნ ა ჩ ვ ე ნ მ ა ბ ა ტ ო ნ მ ა

ე რ ა ქ ნ ა ჩ ვ ე ნ მ ა ბ ა ტ ო ნ მ ა, ლეკშია გადირბინაო,
 ალი ოსმალო შაჰყარა, რუსი ვერ წაახდინაო,
 ქართველებ თავი დაანება, განჯას მონახა ბინაო,
 ის ჯალია, ის სოსია ლეკშია გადირბინაო,
 ლეკები შამაიყარა, ქიზიყ მართვა წინაო,
 ხოცეს და ხოცეს რუსები, ვერაფერს გააწყვიანო,
 ჩალაუბნის პირს მოვირდნენ, — აქ არის ჩვენი ბინაო,
 ქართველები ეხვეწებიან, რაზე დაგვიწვი ბინაო?
 — ვინც ჩვენ კაცათა გაგვიცნობს,
 ასეთ სახლათ ავაშენებთ, არ ეტეოდეს შინაო. 181

ს ა ა ბ ა შ ი ო შ ე შ ი ნ დ ა

სააბაშიო შეშინდა, და ემართა ღვთისგან შიში,
 ათას კაცი თეჯებამდინ დაებარვა ნებოდირში.
 მეფე სოლომონ შეიტყო, დაებარვა ქადრის ძირში.
 არჩილსა შემოუთვალა:

¹⁾ თოფი.

„ძმაი ხარ და საყვარელი, მომეხმარე გასაჭირში“.
 არჩილმა წამოიძახა: „შემიკაზმეთ ბერი კვიცი!
 ფარეშები გამატანეთ, რომელიცა მარჯვე ბიჭი.
 ერთი მათრახი ამოვკრა, იქ გავუსწრო ნებოდირში!“
 ლეკებმა შექნეს ჩუქჩუქი: „დაგვეწია არჩილ ვიჟი,
 რიგს მოგვკლავს და რიგს დაგვარჩენს, რიგს ღორის ხორცს
 ჩაგვცხებს პირში!“

ხოსგა მაჭავარიანი ერთობ ვარგა გასაჭირში,
 ბატონიშვილს დაუგორდა [1] მუხლის ძირში:
 „არ გებრალეები, ბატონო, რო მოგვიკლეს ბერი კვიცი!“
 ბერმა კვიცმა შემოსძახა:
 „ამას რა მომაგონებდა, თუ საფრად გამაკეთებდი!
 თორმეტი თოფი გვერდში მკრეს, აქიმს რაღას მაყენებდით?
 აქიმის რაღა ბრალია, წეპოთ ხო ვერ შემაწყობდით!
 მეჯინიბის ჩამყვა ჯავრი, — ნეტავ ერთხელ მას ვრგებოდი,
 დილით წყალზე წამიყვანდა, შემიხტუნებდა გემოთი;
 სალამოს შინ მომიყვანდა, თოფრით მომართუმა ქერსა,
 ერბოთ მომიზელდა წელსა.
 სად იყო დიდი მინდორი, იქ იყო ჩემი გვანგვალი,
 აღმა მელ[რ]ანი ვიყავი, დაღმა დაგიგოგდებოდი,
 სიონ კლდეზე მიგიყვანე, შუბურებ დავმაგრდებოდი,
 ოთხმოცი ზარბაზნის ხმაში გულში არ დაგიფთხებოდი,
 წვრილი თოფის ხმას ვყურობდი, მე თქვენი ჯავრით ვკვდებოდი.
 ვაი შე ყვაგო-ყორანო, — ბერ კვიცის ხორციტ ძლებოდე!“ 182.

გ ა ვ ა რ დ ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ი

გავარდა ალექსანდრეი, ჯარი ჰყავს დაღისტნისაო,
 მეფე გიორგი ბატონი აწ შაიბძოლა ღვთითაო,
 ჯარი ჰყავთ რუსთ ხემწიფეთა, მართულ ჰყავთ ზარბაზნითაო.
 კაცი ხევსურეთს მოგზავნა, — თავი დამჭირდა ყმისაო,
 ხევსურებ ჩამომივიდეს, თორ ქალაქ წამერთმისაო.
 აჩქარდა ხევსურთ შვილები, ერთი სხვას არ უცდისაო,

[1] სიტყვა აკლია.

ჭეხით მიაართვეს სალამი გიორგის, მეფის შვილსაო,
 ერთურთს პირდაპირ დაუდგეს ჯარი ორისავე ძმისაო,
 შუაზედ უდის ჩაფრები, რუსი არ აძლევს პირსაო,
 ლეკთაი ქართველთ რიგობა ანდრეზათ არ მოდისაო.
 შუადლის დროსავე შეიბნეს, ჭეხა დგას ზარბაზნისაო,
 მოციქულობენ ტყვიანი, შიგი-შიგ მიდ-მოდისაო,
 ვერ გაგვარიგეს ტყვიათა, ხევსურთ გული აქვთ ხმლისაო,
 დიდი ურჯულო გაიქცა, ბძანება იქნა ღვთისაო,
 სანამ მიზდიეს ხევსურთა, სანამ ნიშანში ჩინსაო,
 დაბრუნდეს ბნელების ხანზედ, ცნობა არ არის მკედრისაო,
 თოთიას ამწუხარებენ, სულხანაურის შვილსაო,
 თავზედ ეხურა ჩაჩქანი, ჯამს ნატყვივარი ჰჭირსაო,
 მაგას ვეშაგურს ვინ ეტყვის, ვინ გადაავლებს პირსაო.
 ყველაის საწყინარია დარჩომა ბორაყისაო ¹⁾,
 ჭარში გავიდა, ამბობენ, დროშა კარატის ჯვრისაო.
 აუგის ჯანიკაურის შიშნისას კუბო რვლისაო ²⁾,
 ცხრა დააყენეს ხუცესი, ცოდო მოხადან ხმლისაო,
 ემად ნამყოფთა ხევსურთა შიშნია გვეჯობდა ცდითაო.
 ერთურთს უარმედ სახელი, ცოდო გეკიდოთ მკედრისაო,
 უკარგეთ, ვერ დაუკარგეთ ლომნის მინდიაშვილსაო,
 მოწმად წამოუდგებოდა, შვილია ხემწიფისაო. 183

ნიახურას ოში

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა,
 ახლა დადგა საქართველო, ომი იქნა პირველ ჟმისა,
 მოიხსენეთ, წამკითხველნო, რა გიამბოთ ომარ ხნისა.
 ჯარი დიდი შეუყრია გულხადარა დალისტნისა,
 ალექსანდრეს შეუთვალა, კახ ბატონის მეფი შვილსა:
 „თუ ჯამაგირსა შეიძლებ, კიდენ მოგიმატებ ჯარსა,
 თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ, პირი მომეც მოტევისა,
 ასე აგიყვან თელავსა, არ მოგადენ ნიავ ცივსა“.
 ნიახურაზედ გავიდნენ, შემოჰყარეს პირი პირსა,

¹⁾ დროშისაო.

²⁾ სპილენძისაო.

რუსმა დააწყო თიბები, ომარ ხანი იცინისა:

„მოიცადე, ომარ ხანო, მალე გაცვლევინებთ პირსა“.
ზარბაზნები დაუშინეს, ლურჯათ თოფის ტყვია წვიმსა,
[ჩვენი] გრიგოლ ჯანდიერი მონატეხი არის კლდისა,
ისე შედის ცხარე ომში, როგორც რძალი მეზობლისა,
ჯრგანთასა ¹⁾ თავი მოსჭრა ვითა კიტრი მებალისა,
მისგან ნახოცნი ლეკნიცა პანტასავით ჩამოდისა. 184

*

ამისთანა დიდი ჯარი არ გვინახამ თამას ხნისა,
წინ მიუძღვის ალექსანდრე, სარდალია ხანებისა:
„გიორგი ნეფე გადვაგდეთ, ჯავრი ჩამყვა ჩემი ძმისა,
რუსი ბევრი მოიყვანა, ჯარი დიდი ხემწიფისა“.
ნიახურაზე შეიბნენ, საათია კიდეც დღისა,
თივით ტენეს ზარბაზნები, მოტყუება უნდათ მტრისა.
გაჯავრდა რუსის უფროსი, პირიღამა ცეცხლსა ჰყრისა.
რა გააქცევს რუსის ჯარსა, ციხე არის აღამ ძისა,
რუსმა უნდა გაიმარჯვოს, ჰძანებაა მალღი ღვთისა.
პატარა რომ დავაცადე, ბური დადგა ზარბაზნისა,
ერთმანეთი გაიტანეს, ასრესინეს ცხენის ჩლიქსა.
ზალს აქებენ მოურავსა, ბატონია კახეთისა,
ღღის სავალზე მოდიოდა ყეფა მისი ფრანგულისა,
მოსჭრის თავსა და მიუტანს, წინ დაუდებს ნუხლის ძირსა:
„აფერო, ჩემო კნიაზო, მარჯვენაში მოგვკამ კირსა!“ 185

*

დიდება და მალღი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა,
სამჯერ გასქდა დედამიწა, სამჯერ მისცა პირი პირსა,
აბა ყური დამიგდევით, რა ვთქო ძალღი ომარ ხნისა:
ომარ ხან ჯარი შეყარა, გულხადრები დაღისტნისა,
ჭარელები შაირიგა, ახლა ხანებს აძლევს პირსა,
ალექსანდრეს ატყუებდა, ვაჟბატონი ნეფის შვილსა:
„ჯარებ ბევრსა მოგიმატებ, თუ შეიძლებ ჯამაგერსა,
თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ, ტყვე ჩვენ მოგვე კახეთისა“.
შაიტყო რუსის უფროსმა, იცემს, იკრაჭუნებს პირსა:
„აცა, შვილო ომარხანო, თუ ვერ გაწვნიებ ცხრილსა.“ 186

1). ომარ ხანის სარდალს.

*

ახლანდელი ომარ ხანი ალექსანდრეა განაო,
 თანდითან ქვევით ჩავიდა, ჯარი გამოჰყვა თანაო,
 სულ ერთიან თან მოჰქონდათ თოფი და ჯაბახანაო.
 ნიახურს ჯარი მოსულა; თავს წვრილი და ბოლოს სქელი,
 ჯერ თოფი არ გავარდნილა, არუთინამ მოკლა ცხენი,
 გიგოშვილმა მალხაზამა ალამს მოგვიწყვიტა წელი,
 ეს სამებლიანთ დავითა ბურჯია მოუდრეკელი.
 დიაკვანი გადმომდგარა: ლეკო
 ჩვენ ხო ბევრი ამოგხოცეთ, ჩვენ არ გავგდის ცვარი სისხლი,
 მინდვრისა წმინდა გიორგიმ გადმოგვიგდო საფარველი,
 სუყველამ იქ შავასწარით ხიზანი და საქონელი.
 ერთი კურატი მოგვტაცეთ, ეგ ხო იყო დავლა თქვენი,
 გაღმა ჩაღებში გავიდნენ, ჩვენება იყო განაო,
 გაღმა ჩაღებში გავიდნენ, ცეცხლი დაანთეს განაო,
 წმინდა გიორგიმ დასწყევლოთ, ვერ მოიხმარეს დანაო,
 შუა ღამე რო შაიქმნა, ადგა და გაიპარაო,
 სუ ყველაყა იქ დაჰრჩებათ ყალიონი და დანაო. 187

*

ჩავიდეთ ნიახურაზედ, შამოვყაროთ პირი პირსა,
 რუსმა დააწყო თიბები, ომარ ხანი იცინისა,
 ზარბაზნები დაუშინეს, თოფი ტყვია უფრო წვიმსა.
 „რაზე ავეყ თავბერასა, არ კი მამხვდა ჩემი ჭკვისა,
 არ ვიჯექი კახეთშია, არ ვიბანდი ღვინით პირსა,
 რატომ დილით თავს არ უკრამ ნეფე მამი ჩემი შვილსა,
 რატომ ხელზედ არ ვაკოცებ ქათალიკოზ ჟამნი პირსა!“ 1) 188

*

ამოტირდა ალექსანდრე: „მარტო დავრჩი ზღვისა პირსა,
 ეგ როდის შეკადრებოდა ალექსანდრე მეფის შვილსა.
 რაზე ავჭყევ თავბერასა, მამხვდა ახლა ჩემის ჭკვისა,
 რატო არ ვიჯე თელავში, ღვინით არ ვიბანდი პირსა!“ 189

1) ალექსანდრე ბატონიშვილი ამბობდაო.

*

აღექსანდრე მოვიდა [და] მოიყვანა ხუდათ ხანი,
 პლანები კარგათ დააწყო, აბელი ჰყავდა სარდალი.
 ორშაბათ დილა გათენდა, გარს მოესხა ლეკის ჯარი,
 ვახსენეთ წმინდა გიორგი, პირზე გადვიწერეთ ჯვარი,
 ერთობლივა შეუტოეთ, ლეკზედ მივიღეთ საფარი,
 გავაქცეთ და დავხოცეთ, სარდალს გამოვჭერით ყელი.
 ომშია ნაქები არის ვაჟკაცათა სიღნაღელი,
 თოფ-ხმალი ხელთა უჭირავს, სულ ფრანგული ძველისძველი. 190

*

ყვინი რო მოგვესია, ისიც ღმერთმა მოგვანახა,
 წამოვიდა თერანიდან, ზღვა გემებით გადმოლახა,
 თბილ ქალაქში ჩამოვიდა, ნაომარი ვერა ნახა,
 იგეთი ღროება მოხდა, დედამ შვილი ვერა ნახა,
 შეწუხებულს ავანტყოფსა უწყლოდ უშრებოდა ხახა.
 ყმაწვილების კალო ლეწა, ჰოროველა შემოსდახა,
 ორმოცდაათი თათარი ერთ ადგილას დაიმარხა.
 რკინის ურმები შააბა, ავლაბრისკენ გაუძახა,
 ავლაბრის ხიდზედ რო შედგა, მაშინ მტკვარში ჩაუძახა.
 აღექსანდრეს ეუბნება იმ კახეთის მეფის შვილსა:
 „ჯარსა ბევრსა მოგიმატებ, თუ შეიძლებ ჯამაგირსა“.
 ჯარი ბევრი შეუყრია გულხადარა დაღისტნისა,
 ნიახურაზედ გავიდნენ, შემოჰყარეს პირი პირსა.
 ამიტირდა აღექსანდრე, მუშტიტოლა ცრემლსა ჰყრისა:
 „ვაი როგორ უღალატო ნეფე მამიჩემის შვილსა!“
 ივანე ბატონიშვილი შავარდენი არი ცისა,
 იმი ნაკაფი ლეკები პანტასავით გადმოღისა,
 წუწკი გულხადარას სისხლი მარჯვენაზედ ჩამოჰღისა. 191

მამაძაღლო ომარ ხანო, რატომ გუთანს არა ჰხნამო,
 არ დასთესამ ქერის პურსა, არ დაჯდები, არა სჭამო.
 მამაძაღლმა ომარ ხანმა ღამე ჯარი გააპარა,
 ბელაქანს ცეცხლი მოუღო, თივა ბევრი გადმოყარა,

ბელაქნური ეუბნება: „როდის მიაქმევ ამასა?“

— ეხლა მოგრეკამ კამეჩებს, ეხლავ მოვაქმევ ამასა. 192

*

მამაძალი ომარ ხანი რაზედ აგვიშლის დავასა,

ბეჟანიან წავვიხდინა, ცეცხლი მოგვიდო გავაზსა.

ნინიამ უთხრა ბეროსა: „ბიჭო, რა ვუყოთ ჩალასა?“

— წავალ, კამბეჩებს ჩამოვრეკ, იმათ მოვაქმევ ჩალასა. 193

*

ჩემყენ მოდექ ომარ ხანო, უნდა სიტყვა მოგახსენო,

წორ ამხანაგში გასულო, ლამაზო თავისიანო. 194

დავითითანა ბატონი

დავითითანა ბატონი არ გამოსულა გვარშია,
ადგა და ქვეით წავიდა დიდი ყვინი ჯარშია,
ადგა და წინ გამოუძღვა ვით ორაგული ზღვაშია,
ყვენმა მისცა წყალობა, კაბა გააკრა ტანშია. 195

ი ხეკაშვილი გიორგი

ი ხეკაშვილი გიორგი ის მორწმუნე იყო ღვთისა,
როცა ღმერთმა გააჩინა, იარალი მისცა ხელსა,
ხელში უჭირამ მაყარი, ტყვია უნდა ზარბაზნისა,
სადაც ნადირს შემოსტყორცნის, მოჭხედება და დასცემს ძირსა,
იმი მოკლულ მშველ-ირემსა ვინ აიღებს ანგარიშსა,
წყალში თევზი სულ გაწყვიტა, ქარავანი დიდი მტკვრისა.
ზურაბისთანა ბატონსა დედა ველარ გაზდის შვილსა,
ხელში უჭირამს საზომი, მოსამძღვრეა დალისტნისა.
იესო ქრისტემაც კკითხოს იმ გიორგის, მეფის შვილსა:
საქართველო რუსებს მისცა, ძმებს კი აღარ უღებს წილსა.

ლევანმა და ალექსანდრემ შემოჰყარეს პირი პირსა,
 იახლეს თან მსახურები, ყეენს კარზე უახლდესა:
 „ყეენო, ჯარს არ გვიბოძებ? თავი მოგვჭერ შენი ხლმითა,
 ჩვენმა ბიძამ საქართველო აიღო და რუსებს მისცა,
 ძნელი საქმე მოგვიხდინა, ჩვენ კი აღარ გვიდებს წილსა“.
 მაშინ უბძანა ყეენმა:
 „თავი როგორ მოეჭრება საქართველოს მეფის შვილსა!
 ათი ათას კაცს მოგართმევ, შიგ დაგიჩვენ თავის ხლმითა,
 გაგიმართამ ზარბაზნებსა, სულ ზევეთკე უზამ პირსა“.
 ლევანი მოკლეს რუსებმა, მაშინ გაწყრა პირი ღვთისა.
 ალექსანდრე კი ტიროდა: „ძმაო, ნუ გამიტყებ პირსა!
 რა უშველო საქართველოს მარტოკამ ამ ერთის ხლმითა!“
 გაფრენილსა მერცხალ გავდა იმ თავისის სიმარდითა,
 გულადობით ტარიელსა, შიში არა ჰქონდა მტრისა.
 იმერელთ მეფეც ჩიოდა: „მეც რუსების ჯავრი მჭირსა,
 წამართვეს გვირგვინის ცოლი, მაიორს ტახტზე უზისა“.
 თითონ რო ვერ შეგვინახა, აგვილო და რუსებს მიგვცა:
 ცხარე მათრახი იციან, როზგები აქვთ ტირიფისა,
 ისეთ-ისეთ დაგვარტყამენ, როგორც ხარი იყოს სხვისა. 196

სიციანოვი

ციციანმა დაიკვება, მინდა ერთი განჯა ვნახო,
 განჯის ციხე არ მინახავს, მინდა თვალით დავინახო,
 სალდათებსაც ხომ წავესხამ, ზარბაზნები ბევრი გვაქო,
 თოფი გვიჭირავს სირათა ¹⁾, ხმალი ფრანგული რკინაო.
 ციციანი გამობძანდა, ჯარსა გაუძღვა წინაო,
 რომელღც უკან დადგება, ლომივით შეუბღვირაო.
 წავიდა და იქ ჩამოხტა, სადაც ბალი ბალჩა აქო,
 განჯის ხანს კაცსა უგზავნის: „გარეთა ხარ თუ შინაო?“
 განჯის ხანმა შეუთვალა: „ჩემთან ხელი არა გაქო,
 ისევ ქალაქი იბრიყვე, არ გახლავარ კოჭლი საქო,

1) სიათა?

შენ კარი ღია გგონია, მაგრამ დაკეტილი მაქო,
 ეს სულ ყეინმა მიბოძა, ეს სოფლები ქვეით მაქო“.
 — შენიმც ციცო მოგიკვდება, კარი ვერ გაგაღებინო,
 ტახდიდამ ვერ გადმოგავდო, თავი ვერ გაგაგდებინო,
 ეგ შენი მათრაშაები სომხებს ვერ წავაღებინო,
 რაც შენ სოფლები მოთვალე, ხელი ვერ აგაღებინო,
 ჩემი სალდათის შუბები სისხლში ვერ შეგაღებინო!
 განჯელებ კარი მოხურეს, თოფები დაუშინესო,
 სწყალობდა წმინდა გიორგი, სუყველა აიცდინესო.
 ციცო გადვიდა გალავანს, — „აქ მოვინახოთ ბინაო“
 ათასი იქავ ჩაკაფა განჯის გალავნის წინაო,
 ასე შევიდა საწოლში, თითქო ყოფილა შინაო,
 ლამაზი გამოიყვანა, ხელზედ სდებია ინაო,
 ის სერჟანტებს შიაბარა, — „ეს წაიყვანეთ შინაო“.
 ციცომ რომ შემოუძახა, თათრულათ შეაგინაო:
 „კაი გაზდილი მეგონე, ცუდათა ხარ გაზდილია,
 შენ რუს როგორ ეომები, — განა ეგრე ადვილია! —
 რუსეთიდან სტამბოლამდის თორმეტი თვის სავალია,
 თოთხმეტი სავსე ხომალდი ცხრა დღე-ღამეს გამივლია,
 ადე, აბძანდი ხონთქარო, შენზედ არის დავთარია,
 სულ ამ ერთ წამზედ მომგვარე ცხრა ათასი თათარია,
 სურსათი გამოგვიტანე, ათი კოდი შაქარია“ . 197

*

ციციანისთანა შვილსა ძვირათ გაზდის დედა შვილსა,
 რომ შეიქნა ექვსი წლისა, ოსტატია ზარბაზნისა,
 და მეშვიდეში გადადგა, ხემწიფესთან იდებს წილსა.
 ხემწიფემა დაჰპატიჟა, ტახტზე დასვა, განა ძირსა,
 ერთი ხმალი შემოარტყა, პირი ჰქონდა აღმასისა,
 სულ რომ მცირეთ დავაფასოთ, ორმოც თუმნად მაინც ღირსა,
 ტარში ეჯდა გველის თვალი და ქარქაში კერმუხტისა,
 ერთი თოლფა ჯარი მისცა და მეორე ხაზინისა,
 წინ ბელადი გაუძლოლა, გზა ასწავლა შავი ზღვისა.
 შავ ზღვის პირზედ რო მივიდნენ, ჯარი დახვდათ არაბისა,
 არაბს კაცი მიუგზავნა: „აქ ვიომოთ, ამ ზღვის პირსა!“
 ტყვია წვიმს [და] თოფი ხუის და ზარბაზან გრიალეებსა. 198

რუსის შემოსვლა

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ე რა საქმე მოგვივლინა,
რუსები გადმოგვირეკა, ხო სალდათი გაგვიჩინა,
მათრახი წამოგვიშინეს როგორც რომ მაისის წვიმა,
„ჩქარა, ჩქარა!“ იქახიან, — ხარიც ხომ არ არის შინა! 199

*

რუსები რომ შემოვიდნენ, პურს დაუძახეს ხლებათ,
მათრახი მოგვიტურტურეს, — «მაიცა» არ იქნებაო. 200

*

რუსები რომ გადმოვიდნენ, სულ აგვირიეს ქვეყანა,
სულ ერთიან ამოხვეტეს, ვისაც რამ პური გვეყარა,
ტერტერას ფიჩხი დაუწვეს, ღერი არ დარჩა კენწერა,
ტერტერას ბევრი ცემითა ზურგზე დააჯდა ბებერა. 201

*

რა დრო მოვიდა, უფალო, რა ცოდო ბრალი ხდებაო,
მშველელიც აღარვინ არის, გული ჯავრითა სკდებაო. 202

*

ქალი მივა ქალაქშია, კვერცხი მიაქვს კალათშია,
წინ რუსი შამოეყარა: „პაჩომ კვერცხი ფარაშია?
თლათ სკოლკო კალათშია?“ 203

ხახულმა ჯარი აწვია

ხახულმა ჯარი აწვია ნეფე სოლომნის გულისთვის:
„ვინც რომ მოკვტები, ცხონდები, ჩვენ გიზამთ ალაპს სულისთვის“.
ხახულმა წერა წიგნები, მალ-მალ უგზავნა ნეფესა.
ნეფე იმერეთს მევიდა, ხახულმა ქნა სიხარული,
ნეფემ თვალებში აკოცა: „შენ ხარ ჩემი სიქადული!“
ხახულმა ხმალი აიღო [და] შევარდა რუსის ჯარში,

საღდათებს თავი დასხეპა, კაძახებს აციებს ტანში,
მემრე ხახულს შუბები ჰკრეს, აღარ ეტევოდა ტანში.
„ვაიმე, ძმაო ხახულო . . .
მე წავხთი, მტერი წავიხთა ამ ჩემ დროშია და უამში,
მე ბარში ველარ დავდგები, უნდა დევიმალო ფთაში“. 204

ხემწიფის ნიკოლაოგის მოსვლა საქართველოში

თავარმართებელი წიგნს სწერს ნიკოლაოზ მართებელსა,
ხემწიფე რომ წამოვიდა, ზღვაზე მოვიდესო.
ხომალდები კარგათ მორთეს, კარგათ მოკაზმესო,
ჯერ ვერცხლი გადააკრეს, მემრე დააოქროესო,
შიგ რომ ხემწიფე შებრძანდა, ნიავი თან ჰყვესო,
ცხრა მღვდელი, ცხრა დიაკვანი ხემწიფეს ახლდესო.
შუა ზღვაზე რომ მივიდა, გემი დაუდგესო.
ძრიელ გაჯავრდა ხემწიფე, — თავს გაიბრუნებსო,
მეგემეებსა გაუწყრა: „ეს საქმე როგორ ხდესო?“
მეგემეებმა მოახსენეს:
„ხემწიფევ, როგორ გწადიან საქართველოსთვინ დღესო?“
ხემწიფემ ბძანა:
„მე მოძღვარს აღსარება უთხრა, — ყველამ ირწმუნოსო, —
რომ საღდათს აღარ ავკრეფ, მაშინ გემი დაიძრესო“,
გემი მაშინვე დაიძრა, ხმელზე გავიდესო.
ქალაქში მოქალაქენი წინ მოეგებნესო,
ზუბალოვის სასახლე, ის არჩივესო,
ხემწიფე უნდა მობძანდეს, ნიებს აქ გასწევსო.
ქალებიც კარგათ დაჰკმაზეს, კარგათ ჩააცვესო,
აგეთი ფარჩა ჩააცვეს, რომ ხორცი გარეთ ჩნდესო.
როგორც მოვიდა ხემწიფე, ქალები კარზედ ხვდესო,
ძრიელ გაჯავრდა ხემწიფე, — თავს გაიბრუნებსო:
„ამ ძაღლმა მოქალაქებმა საქმე როგორ ხდესო,
შამაგდეს კახპახანაში და კარი დასჯარესო“.
თავარმართებელს გაუწყრა, — „ეს საქმე როგორ ხდესო“,
და აპელატებს ჰგლეჯსო.... 205

მალაქია გაბონიუვილი

საცოდვეგო მილინციავ, გადაგელო თავზე მამა,
 აწი ტყულა თავს რას იკლავ, სამსახური რაღათ გავა!
 თოფი, ფიშტო, სატევარი ჯობს გავყიდოთ, თუ სამ¹⁾ გავა,
 ვისაც ქონდა, მას მოსძულდა, დამერწმუნე, — აღარ გავა.
 ბატონიშვილი მხედრობდა, ვიყავით თავაწეული,
 სახელს ვშობოდით²⁾, გვაქებდენ, შორით ხმაგაწეული,
 გასაქორხედ მოირბენდა ხმალით ამოწეული,
 ახლა უცებ გადაგველო, დავრჩით ყურდაწეული.
 ბატონიშვილის მხედრობას ვერ შევამკობთ ჩვენ საწყალნი,
 ფოთში ხემწიფე მობძანდა, ის მიიღო, დარჩა სხვანი.
 ხემწიფემ უთხრა მალაქოს: „ღმერთმა მოგცეს დიდი ხანი,
 მისთვის, რომა შენა გაქებს თათარი და ქრისტიანი.
 მესმის მე შენი მხედრობა, სხვასთან არ ჩაიგდო თავი,
 ბედნიერებას გიბოძებ, ტოლიც რომ არ გყავდეს სხვანი,
 ღღეს შენთვის მიჩუქებია არღონი და შავი ზღვაი,
 მტრებიც ვერას გაბედავენ, სადაც ისმის შენი ხმაი“.
 ქობულეთლები ამბობენ: „მისი სახელი რომ მოგვესმება,
 ყაზახობა წაგვიხდება, მუხლებში დაგვისავლება,
 კანკალიც აგვივარდება, მუხლში წყალი, ჩაგვიდგება,
 რაც ძალი და ღონე კი გვაქვს, ისიც შიშით გვეკარგება.
 აი დიდი მალაქია მეტად მხედარი კაცია,
 როცა გურიას გავედით, მაშინვე უკან გაგვაქცია,
 მოგვეწია, ბევრი გვცემა, მუცელში სისხლი ჩაგვიქცია,
 თოფი, ფიშტო, სატევარი აგვალლიტა და შინ გასწია.
 ვაი რა ვქნათ ჩვენ საწყლებმა, სანამდი ვიქნებით მის შიშში?
 ღმერთო, რაცხა შეგვეწიე, ნუ ამოგვეწყვეტ მათ ხელში,
 მის სიკვდილს რომ მოგვასწრობდე, მაშინ შევალთ სიხარულში,
 მგონი დასტურაც მომკვდარა ჩვენი მალაქო ტფილისში“.
 თავს იყრიან ქობულეთში, თუ სამ ფირალები კია,
 მოლაპარაკება აქვან: „დასტურ მოკვდა, მალაქია,
 აწი გურიას გავიდეთ, ტყვე გავყიდოთ, თუ სამ კია“.

¹⁾ სადმე.

²⁾ ვიხვევდით.

ხასან ეუბნება ხუსენს: ჩვენი გასვლა ცუდათ კია,
 არ მომკვდარა მალაქია, მისი შუქი კიდევ ქია,
 მალაქიამ თქვენი მახე მოწყობილი კი დატია,
 უნდა გქონდეთ გულში მჯავრად, შვილიც ასეთი დატია.“
 ფირალებო, ნულარ ცელქობთ, თქვენ-თქვენ სახლში დადექია.
 ქვეყანაში სამი საქმე უსაშველოდ ნაქმარია,
 ზღვისა ხიდე, ცისა კიბე ჯორის კვიცის სადარია,
 გურის საზოგადოება მჯავრმა რალმე გადარია,
 თურმე ცას ქვეშ არ ყოფილა მალაქიას ბადალია.
 შენ საწყალო მალაქიავე. შენ იყავ გურის მთავარი;
 შენს მერმე დაღონებული საწყალი შენი თამარი
 და ის შენი მშვენიერი წითლად გაჩესტული ჯარი,
 ყველა ასე გაიფანტენ, როგორც უმწყემსური ცხვარი.
 არ გცხვენია, მშვენიერო, ჩინთის¹⁾ სუფრას გაგვიწყობდი,
 შენს პურღვინოხედ ვლხინობდით, ამდენ ხანს გვანუგეშებდი
 და შენს გაცნობილ ამბავსა შენი პირით მოგვითხრობდი,
 წინააღმდეგ ქობულეთლებს შენი ძალით დაიპყრობდი!
 დასაქცეველმა სიკვდილმა აგრე როგორ მოგისავა,
 ყარაღაში რათ წადი, თუ არ გქონდა ტანის ავა,
 შენს ხელში შესვენებულსა აწი მოგვადგა სულ ტანჯვა.
 ვაი, რა ვქნა მე საწყალმა, ვფიქრობ, მარა რა უნდა ვთქვა.
 საცოდაო კობლატაძევ, ლექსი რალას წაგადგება,
 გვყოლოდა ბატონიშვილი, გვექნებოდა წარმართება,
 რა დღეს იგი გადაგველო, ვაი ჩვენი დაბადება!
 აწ ჩვენი ქება-სახელი სულ მიწაში იმარხება.
 კურთხეულო მალაქიავე, მოწონებულო ყველაზედ,
 ქართლისა და იმერეთის თავადსა და აზნაურზედ,
 როცა ხემწიფე გნახავდა, მიგიღებდა წინ ყველაზედ,
 მისთვის შენა მტერობითა გადაგაკლეს საწამლაგზედ.
 მაგრამ შენი სახელი მიზღღემში არ დავარდება,
 საწყალი შენი დესპინე შენ მიწაში რათ არ გყვება!
 აწი ჩვენა შენი მჯავრით სიცოცხლე გაგვიმწარდება.
 გამწარებას ვინლა ამბობს, სუნთლაც აგერ მოგვესპობა. 206

¹⁾ ჩითის.

კუნთი გურიანი

გურული ხალხი აყრღლა, ყველა, ბრუნდი და მართალი,
 აულიათ იარალი, შიშვლათ აქვან ხელში ხრმალი,
 ვისაც არ აქვს იარალი, აულიათ თოხის ტარი,
 ერთმანეთს ეუბნებიან: „ამევილოთ გულში ჯავრი!
 ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ, აუღულოთ სისხლის ღვარი-
 ოთხი კაცი პუნტოჩიკი, ათასია მოფიცარი,
 ალექსანდრე ქარცივაძე, სიმონ ჭყონიაც აქ არი,
 ამბაკო შალიკაშვილი, თავი და ბაილახტარი,
 ღმერთმა ის დრო[ხ] მოგვასწროს, ამოგველოს მისი ჯავრი,
 ნურცა გვინდა მისი ჩინი, ნურცა მისი ყელის ჯვარი.
 თხოვნას ღმერთი აგვისრულებს, გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი;
 ნურც ქნას ღმერთმა მორიგება, ნურც გვიჩვენოს მისი თვალი“
 ასკანას პლანი, დააწყევს, ოზურგეთს შეკრეს კარები.
 სტოლნაჩანიკმა შეიტყო, ქალაქს გაუსვა კალმები,
 მართებელს ფოჩტი უფრინა, — „საით გავწიოთ ჯარები,
 ისთე მოვთელოთ გურია, როგორც რომ ჩოხის შალეები!“
 გასაჭირზედ თუ მოგადგე, არ დამიკეტო კარები.
 ბათმნობით თუ ვყიდე სიმიდი, ქეც გადვიხადე ვალები!
 ამ შემთხვევას ნუ მიძრახავთ, თქვენს სახელს ვენაცვალები.
 ხელმწიფეს რომ ჩხუბი დაუწყეთ, მაშინ დაგვიდგა თვალები.
 ას მანეთად ცხენი ღირდა, ორმოც ყურუშად აფშარა,
 ზაფრის ქარები ამიტყდა, გული-გონება დაშალა;
 ჩხუბობით ველარ მოიგეს, სარგებლობა საღათ: ჩანა!
 მისი ოჯახი დაიქცა, ვინც რომ გურია აშალა.
 ოშპიტალი დაგვიყრუეს, თავში დაგვიშრეს წყალია,
 ხასან-ბეგურას მაგივრად ვიმღერეთ ზარის ბანია,
 ტყულა ყოფნას ვამჯობინეთ, — ვაკეთეთ ჩიტის გალია;
 რაც რომ გურიას ჩხუბია, — სიმონ ჭყონიას ბრალია.
 მამაძაღლმა ქანჭათლებმა არ გადიხადა აბაზი,
 იზაზატელი მოუხთა, ქალი მოსტაცა ლამაზი;
 გამოვეკიდეთ, გავლახეთ მოსამსახურე, ხაბაზი,
 მისი ქმარი მუდამ სტირის, — „ქალი წამართვეს ლამაზი“.
 ქვეყანა მოვიმღურიეთ, მარტო გურია დაგვირჩა.
 ჭვიტირზედ რომ ჩავაწიეთ, ნაკაშიძე წინ დაგვირჩა.

გვესროლა, მოგვიკვდა კაცი, კაძახობა სულ წაგვიხთა,
 მაგიერი ვერ ვესროლეთ, ტამბასა [?] ტყვია გაგვირჩა.
 ჩვენსკენ მოვლიან თათრები, ოსმან-ალა და ხასანა,
 კარგა თოფები მოაქვან, მაქახელა და ლამფარა;
 ქობულეთლებმა თათრებმა წამლის მაზანდა გაშალა,
 ტყვია-წამალი მრავალი საჭირო არის მათთანა.
 ბურხულომ წიგნი მისწერა ლევანის შვილს დადიანსა:
 „გურულებმა გვიღალატა, მე აქ ველი შენსა ჯარსა,
 ეხლა შემწე კაცს თუ მომცემ, ყელს გავკიდებ სისხლის ჯვარსა,
 ჯავრით გული ისთე წახთა, გარეთ ველარ ვიცვლით ფეხსა“.
 დადიანმა საჩქაროთა გაუფრინა თავის ჯარი.
 წინ გადუდგა გურულებმა, ყველას გაუტეხა ჯანი,
 წასავალი გზა არ აქვენ, ჩავარდნიათ გულში ჯავრი,
 ლევანის შვილს დადიანსა დაელუბა სისხლის ჯვარი.
 დადიანი მისი ჯარით ყუყვით მივა უკან ბარდში;
 თოფის სროლა რომ შეიქნა, ბალოტაში რატომ დარჩი?
 აწი შიმშილი მოგიწევს, დაეწინდრეთ ლუკმა ჭადში!
 ამის მეტი თვარ შეგეძლოთ, თქვენს დედმამას რატომ დარჩით.
 ის გიორგი დადიანი ბიჭათაც არის ნაქები,
 ჩოლოყისკენ რომ გაქანდა, თათრებს მოქონდა ფართლები,
 ხუთი ბიჭი რომ ხლებოდა, ვერას აწყენდა თათრები.
 სანამდიც გავძლებ, ქე ვიცდი, მერე წყალს გაღმა გავხტები. 207

საგმ გათავდა ღრუბელი

ცაზე გათავდა ღრუბელი, დედამიწაზე წყალიო,
 მოსავალ აღარ მოვიდა, დაიწვა მთა და ბარიო,
 თითოს ეგეთი ენა აქვს, თავს მოსჭრის როგორც ხმალიო,
 ამბობენ, ადგა ხონთქარი, შემოაბრუნა ზღვანიო,
 აქით, ამ რუსთ ხენწიფესა მიდის-მიუდის ჯარიო,
 ჩადის და ჩადის სალდათი, რომ ნაგუბარზედ წყალიო,
 შაიყარიან გუმბრზედა, სისხლსა წვიმს. ცა და დარიო,
 ცაშიიდ ჩამოდიოდა კაცის თავ-ფეხი ძვალიო.
 ხევსურებ შამააწერეს მამასახლისზედ სამიო;
 ყრილობა იქნეს ხევსურებ, დიდი დგას საუბარიო, —

წილი თოთიას არგინეს, ეგ არას წამავალიო.
 „იქ კი არ წავალ, ხევსურნო, აქვე მომჭერთ თავიო,
 დედაკაცი მყავს სნეული, ვინ მოუტანოს წყალიო“.
 ამოდენ საუბარშია წავიდა დიდი ხანიო,
 ცოტაი ხნიდგენ შემოჩნდა ფშავლის შვილების ჯარიო,
 შუაში უდგა ნაჩალიკ, შორიდ მოენბის თვალიო,
 თითოს ეგეთი ცხენი ჰყავს, მოჰქრის რო ნიაგ-ქარიო.
 გვიბრძანა რობაქიშვილმა: ვახშმად დაკალით სამიო.
 ერთ ჩემით გამოიყვანეს, ორნ მოუდიან სხვანიო,
 ქვაბ შინით გადმომიხადეს, გადმომიჯარეს კარიო.
 თითო გულ იმას მეტყოდა: „ადე, შაირტყი ხმალიო,
 ჩადი და გამოერიე, მთელი ხარ, განა მკვდარიო“.
 ჩავედ და გამოვერიე, არვინ მიჭირა მხარიო,
 ერთ მამაძაღლმა ფშაველმა აისხა საომარიო.
 კაც რომ თავისას დამალავს, იმან შემომდო ზარიო;
 ძაღლებო, ფშავლის შვილებო, დღეს თქვენი არის დარიო,
 საკვლად მეც დავისწავლი, შური მაქვს საძვეარიო.
 ამაგ შაირის მათქვამი ყველამ იკითხეთ, ვინც იყო,
 ბიჭი, აზაზად გაზდილი, ღმერთ გეფიცებით, ძვირ იყო,
 აპირობს რუსეთობასა, არ უწონებენ შინითო,
 ცუდ სიტყვა ნურა გამოვა, თემნო, მა თქვენის პირითო. 208

რუს-თურქთა ომი

იცი და მოგეხსენება, რა მოდის ხემწიფესაო,
 ის შამირი და თათარი [სულ] ყველა აუტყდესაო,
 ქრისტეს ნაკურთხი გვირგვინი ნიკოლოზს დაადგესაო,
 კარგი ხემწიფე დაგვიჯდა, ვერავინ წავგახდენსაო.
 ეს ყურუსალი თათრები საომრათა წამოდგესო:
 „იმერეთი ჩვენი არის, ქუთაისსა ჩავდგამთ ფეხსო,
 სულ მამა ჩემს გაუგზავნი, რაც რომ იქ ქონება დევსო“.
 ეს რომ ღენერალს მოხსენდა, მასუკან მართებელსაო,
 დაჟდეს და წიგნი დაწერეს, მიართვეს ხემწიფესაო:
 „ეს ყურუსალი თათრები ჩვენ როგორ გაგვიძლებსაო“.
 ვარდიის ჯარს დაუძახეს, კაბები ჩააცვესაო,

დრაგუნის ჯარს დაუძახეს და პლანი დააწყვესაო.
 ოცდაათი წელიწადი ჭედლები დეისვესაო,
 ახალ თოფებს აკეთებენ, შუბები დეიგესაო:
 „ჩ . . . მოკრილი თათარი ჩვენ როგორ გაგვიძლებსაო“.
 პირველ ხომ ჩხუბი მოვიდა ნიგოითს განსაცდელსაო,
 ოცდაათი ზარბაზანი ერთბაშათ გავარდესაო,
 „ურა-ურას“ იძახოდენ, ზედ აყენებენ ცხენსაო.
 ქუთაისს ლხინი მოვიდა, იაშა მართებელსაო,
 სამი ოქრო გოუგზავნეს, აფიცარს მიართვესაო,
 ასეთი ოქროებია, ადლი არ გადაწვდესაო.
 დოუჭირავს ყე თათრები, ქუთაისს გაგზავნესაო,
 ზოგერთს მოპარცეს ულაში, ზოგს კუპრი წოუსვესაო.
 ასე გეიქცა თათრები, თავსხლადი დაასხესაო,
 მაგრამ იმას მოუხთება სამოცი ცოლის . . . 209

*

ერთი რამე გავიგონე, ერუსალემს უთხრეს ტვასი,
 ქრისტეს საფლავის გაყიდვას ვინ გაბედავს ამ დრო-ჟამში,
 ვინც ამ სიტყვას არ იყურებს, მატლი დაესევა თმაში,
 ყველა იყურებს ამ სიტყვას, ვინც რომ ქრისტეს ერგო ფარდში.
 თათრის ხვანთქარსა ბატონსა ჭკუა დაბნევა თავში,
 მას რომ დოუჩემებია ჩასაფურთხებელი თვალში:
 „რუსი უცებ გარდავდენო, მაგიერათ დავსხდე ტახტში“.
 ეს ხემწიფემ გაიგონა, ცოტათ გაიცინა წარბში:
 „აყროლებულსა თათარსა რა უქენი ამის ფასი?
 გამევიდეს და მეჩხუბოს, ფხარი მომცეს საჩხუბარში“ . 210.

*

ათი ათასი ხმაღს იცემს, უფალმა გამოუსია,
 რუს ხემწიფე და ხვანთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
 უძირო ზღვა გააჩინა, შიგ ხომალდები ჩაჰკიდა,
 არვის ნასროლ ზარბაზანსა ხონთქარი ტახტზედ გაჰკვირდა,
 ბეგლარები იძახოდნენ: „ახლა კი საქმე გაქირდა!“ 211

*

(ვარიანტი)

რუსთ ხემწიფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
 რაც რუსთ ხემწიფემ საქმე ჰქნა, თითონ ხონთქარი გაჰკვირდა.
 ზღვაჩი ჩღუშო გემები, ზედ ხომალდები მოჰკიდა. 212

*

ბოჯიოლოლის რომ უქია სულთან მეჯიდის ჯენგია,
 ყოლი კაცი ფეხზე დადგა: თუნუს, ინგლისი, ფრენგია,
 ყველა ცეხლათ გადაიქცა: ფაშა, ბიმბაში, ბეგია,
 ნიზამი, იუზბაშები, ბაში-ბუზული, ბერია,
 მე რომ საბრალო მეგონა, თურმე მამალი მეელია!
 სალასტოფი დააქციეს, დაღუპეს სუნთლათ გემია..
 მოსკოვს ასე არ ეგონა, — თათარი ასე ძნელია.
 ახლა კვალში ჩამოუდგენ, თიფლის მიზღვევენ მგონია,
 თიფლისი კი რამდა იყოს, პეტერბურღს მივა მგონია.
 რიონის პირს შეაყოლეს ნავი, ჩიქთური, გემია,
 მუხიმეთი — დელიბეთი, ტყვია-წამალი ბევრია.
 კონტრაით უნდა დაჯლაგნონ ხემწიფის ტახტი, მგონია,
 მის კარზე უნდა დაუკრან დუდუკ-ტრაპანტა, ბორია,
 თალუმსაც იქ ითამაშვენ ნიზამ-ასკერი, მგონია! 213

*

ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ვორვე ეში¹⁾,
 ალი-ფაშამ გვიღალატა, გაგვიყვანა კვირიკეთში,
 მან რომ ფულები აიღო, ჩვენ დაგვტია რუსის ხელში,
 კაი ხომ არ დამართია, ბაწრით ჩათრიეს გემში,
 მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში. 214

ჰაი გიდი ჩახალ ოლლი

ჰაი გიდი ჩახალ ოლლი, ერთხანაც გიქრიდა ქარი,
 შემოიღვევი ოლქაობა²⁾, ხომ არ ქენი კაი ქარი,
 ფაშას ყულე³⁾ დეუმგვრიე, სასახლეს გეჟლე ხარი⁴⁾.
 ეს რომ სელიმ ფაშამ შეიტყვა, რომ შეიქნა ჰერსით⁵⁾ მთვრალი:
 ჩახალ ოლლი, შემირიგდი, გავაკეთოთ ბარიშალი⁶⁾.

1) ტოლი.

2) ჯარიანობა.

3) ციხის ბურჯი.

4) მხარე.

5) ჯავრით.

6) კარგი შერიგება.

ასრე ვნახოთ ერთმანერთი, ვითარცა რომ და და ძმანი,
 თუ მე არა მომენდობი, ბოლათ¹⁾ შეიყარე ჯარი,
 შუა ტეზე რომ გადმეიარე, იქ გადმეიტანე თარი,
 აღიგვე²⁾ რომ ჩამეიარე, მეიდანს ჭამე სამხარი,
 ქალაქში³⁾ რომ შემოხვედი, ვით ფადიშაჰ სერესკერი.
 ფაშამ საჩუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი!
 ფაშა ვალეს წემოვიდა, ხომ არ გამოვიდა ხანი,
 ჩივთეები⁴⁾ დეუწყვილეს, ზეცას აღის მათი აღი,
 სამი ფეხის გადადგმაში ჩამოართვეს ორივ მხარი,
 სამივ ერთად დაარწყვილეს, ორი ძმა და ბაირახდარი⁵⁾,
 სამივ ერთად დასჭრეს თავი; ვითარცა ყასაბმა ცხვარი,
 ყველა იმას ეხვეოდა, ვითარცა სკაში ფუთკარი,
 აჭარა დასწვა, დადაგა, ზეცას აღის მათი აღი. 215

არაბი უაუა

როს არაბი ფაშის საქმეს მიჰყო სასამართლომ ხელი,
 მაშინ გატყდა თვით არაბი, გაიტეხა მან სახელი,
 ყველაფერი აღვიარა, რისიც ყოფილიყო მქნელი,
 იმას ექმნა ისე საქმე, რაც რომ არ იყო საქნელი.
 სასამართლოში არაბიმ ეს წარმოსთქვა საუბარი:
 „თვით ეგვიპტე მე დავლუბე და მე შევახოცე ჯარი,
 ომში ცუდად ვმოქმედებდი, ბევრია ჩემგან წამხდარი,
 ქედისაც მე ვულალატი⁶⁾, ვიყავ დიდად გადამდგარი“.
 სასამართლომ არაბისგან რა ესენი მაისმინა,
 სასიკვდილოდ გაამზადა, რადგან საქმე წაეხდინა.

1) ბლომად.

2) სოფელი.

3) აჭარაში და ძველ საათაბაგოსკენ ახალციხეს ქალაქს უძახიან, — როგორც საქართველოში ტფილისს.

4) ჩივთეები — დაბანჩები [? დამბაჩები?].

5) მებაირაღე. — ჩახალ ოლლი ქვედა აჭარელი იყო, სოფელ ბზუბზუდამ. ჩახსნა მთქმელას მიერაა მოცემული).

6) „ქედისის სიკვდილიც განეზრახებინაო, მაგრამა იმ დროს კი არა უთქვამს რა მგონია; იქნება ან წინათ სადმე თქვა და ან ეჭვი აიღეს არაბ-ფაშაზე“ (დამწერის შენიშვნა).

მაგრამ ქედვიმან დაიხსნა, ღმერთს შემაღლა, მაითმინა.
 მეორეთ საქმე გაღუღვა, სიკვდილს კი მან გადარჩინა.
 ქედვისს გადადებული საქმე იწყეს ხელმეორედ,
 გაღუწყვიტა სამართალმა საქმე ძიებით და სწორედ.
 წაუკითხესა არაბისა გადაწყვეტილება მდორედ,
 დამტკიცდა ეხლა ნამდვილად, რომელიც იყო საქორედ.
 საწყალი არაბი ფაშა მორჩა ქვეყნის ენა-ყბასა, —
 ამბობდნენ სიკვდილით დასჯას იმისას სხვასა და სხვასა,
 მაგრამა ყველა გამტყუენდა, ის დაადგა სულ სხვა გზასა:
 გადასახლების ადგილი ცეილონში მისცეს მასა.
 ისე საქმე რისთვისა ქმნა, მას გამაელიოს გონი,
 მან დაანელა ეგვიპტე, მისი საქმე იყო მგონი,
 ქედვისსაც ამად გაღუღვა, — „არ მინდაო ის ბატონი“.
 ეგვიპტეს ყოფნა მოსძულდა, ეხლა ნახოს ცეილონი!
 არაბი და მის მომხრენი სასამართლომ გაამზადა:
 მათ ეგვიპტეში ყოფნისა მიეცათ ათი დღე ვადა;
 ნაცვლად მისი ქონებისა, რაც იმას კი რამ ებადა,
 უნდა მცირე ფულად მისცენ, — ეს ბრძანება განეცხადა.
 ათ დღეს იქით ეგვიპტიდან არაბი და მის მომხრენი
 ეგვიპტეს ესალმებიან სამუდამოდ თავის დღენი,
 ეგვიპტის ნაცვლად ექმნებათ ცეილონის კუნძულთ ბქენი.
 ვაი კარგი დღის მნახველთა, იქნება რა მოსათმენი!
 მოაგონდებათ კარგი დღე, თავს დაეცემათ ზარები,
 რომ აღარ ახლავთ მცველები, აღარც სამხედრო ჯარები;
 წინაწინ იყვნენ მოთავედ ჯარების წინამძღვარები,
 ეხლა რა დღეში ჩაცვივდნენ, გახდნენ ყველაზე მდარები.
 რასაც რომ სხვისთვის იფიქრებ, ღვთისა თუ არ გერცხვინება,
 ისევ შენ მოგიბრუნდება და შენვე მოგვევლინება.
 სჯობია, სხვისა სიკარგე, სიდიდე ნუ გეწყინება,
 თორემ სხვის გული ბოლოს დროს, იცოდე; დაგეცინება. 216

3. ავტორიზაცია

ადამ და ევა

უწინ იყო ზღვა ქვეყანა, გადაშრა და დარჩა ხმელი, მაშინ კაცი არსად იყო ქვეყნიერად განაჩენი. ჰკვირობდა იესო ქრისტე, თვითონ ი ჩვენი გამჩენი; ძირიდგან მიწა ეილო, მიწა იყო ყვითლის ფერი, ამას სული ჩეუბერა, — ადამ დაგდვა კაცის ფერი. ადამ ნათლათ შემოსილსა არ უნდოდა ტანსაცმელი, არც მუშაობა უნდოდა, სარჩო ჰქონდა ძველისძველი, დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეციდამ გაფცქვნილი მწყერი. მასუკან კიდევ უხერხეს, მას ამოსჭრეს გვერდის წკნელი, ადამს უწოდეს ცოლათა, არვინ იყო მისი მდრელი, სიტურფით და სილამაზით ლამე გაანათლოს ბნელი. ის ადამი და ევაი ერთათ იყვნენ დასასხდენი, ორთავე ბალში დაბძანდენ, ნეკრეთ მისცა ერთი გველი. უფალი სხვაგან წაბძანდა, ხმელადე აქვს დასავლელი. ნეკრეთ მისცა ერთი გველი, ევას ეგრე დააბარა: „ყოველი ხელი მიირთვი, ყოველიერთ მოსახდენი, ლეღვა არავინ შეგტყუოს, საძაგელათ შესაჭმელი; თუ ვინმემ ლეღვა შეგტყუა, ჩვენგან აგელემა ხელი!“ ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, თურმე გახდა ჩვენი მტერი. მივიდა, დახე, კარებზე!

„გველო, კარები გააღე, მე ვარ შენი მეუფენი!“ გამობრუნდა ის ეშმაკი, გამოსცვალა ტანსაცმელი. მეორეთ რომ შეუტია, გველსა შიშით მოსწყდა წელი. გველმა კარები გააღო. შევიდა, დახე, ეშმაკი! ეიარ-ჩამეიარა ედემისა ბალი გძელი:

„ევა, ე ლეღვი მიირთვი, გემრიელი შესაჭმელი!“ როცა შესცდენ და შეჭამეს, ძირს ჩამოცვინდათ ნათელი. დაღონებულან საწყლები, ტანზე დეიფარეს ხელი, ჯაგებში იმალებოდენ, თვალზე მოსდიოდათ ცრემლი: ისევ უფალი მობძანდა, თვითონ ი ჩვენი გამჩენი:

„ევა, სიტყვა დაგაბარე, რალათ ქენი მაგოდენი?“

„ეგ ჩვენი ბრალი არ არი, რაც გერჩიოს, ის გვიქენი! ეს იმისი ბრალი არი, შე რომ ნეკრეთ მოგვე გველი, ის ხო იყო ჩვენი მტერი“. მაშინ დასწყია ის გველი, აღარც შეარჩინა ფეხი, აღარც შეარჩინა ხელი, მიწა მისცა საჭმელათა, კიდე ჰქონდეს საზოგველი. გველი და ადამიანი გავხდით ერთმანეთის მტერი. ქალიც ხო ისე დასწყია:

„სულ წიოდე და კიოდე, ძეობა რომ მოვა შენი, [ძეობაზე რომ მიდგები, მორჩინაა შენი ძნელი, მალლა გეკიდოს ბაწარი, იმაზე გეკიდოს ხელი!“] ქალმა შეიღები ინატრა სასიკვდილოთ. გასაზრდელი, — ქალის ჭკუა თხამ შეჭამა, ჭკუას ვერ მოჰკიდა ხელი. თურმე წყალზე მობძანდება მარიამი ღვთისმშობელი, წყარო გრილთან რო მივიდა, დაამთქნარა მარიამმა: იესო ქრისტე ჩაუძვრა თვითან ი ჩვენი გამჩენი. მარიამ მუცელს შეფსხვილდა, რომ გევიდა ორი თვენი, ოცდახუთ ქრისტიშობისთვის იესო გამოჩნდა ჩვენი, ნათლიღებას შეინათლა იესო ნაზაროველი, იორდანეც იქ მობძანდა, მერე ი ზურაბი ჩვენი. დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ზღვაში ჩაკრა თვითან ხელი, ჩაკრა და ამოიღო მარმარილოს ქვა ნაჭერი, ადამ და ევას მინაცემი.

წეიკითხა, დაამტვრია აგრე როგორცა რომ ტვერი, ეშმაკებს შემოუტია, შიშით წაუხდინა ფერი.

პირველ მჭედელი აკურთხა, შეწურა და შესდგა დგვლემი (?), რკინის კეტები აკეთა, ჯოჯოხეთის სარღვეველი, [ათი კუთხე დააქცია, მეთერთმეტეს მიჰყო ხელი. მივიდა პილწმა ეშმაკმა და იცვალა ტანსაცმელი:

„ქრისტევ, კუთხეს ნუ დააქცევ, — აგეყრება ჩვენი ხელი, არც ერთი აღარ გაგიტანს, აღარც ბერი, აღარც ღვდელი!“ დაფიქრდა ქრისტე მეუფე:

„ამ დაწყევლილმა ეშმაკმა ეს ქნა ჩემი მოსახთენი!“ იქ დატოვა ცალი კუთხე, შიგ შუუშვა კუბრი ცხელი, დედ-მამის უპატიურსა გაუხვრიტეს ენის წვერი, ძმა ძმისა მოლალატესა ფიცხლად მისცეს სატანჯველი, კისერზე შემოახვიეს ოცდახუთი ჭრელი გველი!

შიგ არის წისქვილის ქურდი, პირში ჩრია სარეკელი.
ვინც ჩემი არ გაიგონო, იმან გაიკითხე ღვდელი:
წირვას უნდა ყურის სმენა, ლაპარაკი არის ძნელი,
ხომ იცით, რომ ეშმაკს მოკლავს ცისკრის ლოცვის მომსმენელი! | 217

ა ბ რ ა მ ი

აბრამ იყო ღვთის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრების,
საქონელი ბევრი ჰქონდა, არვინ იცის ვის დარჩების.
„ღმერთო, ერთი შვილი მამეც, ისიც შენთვის გაძეხდების,
შვიდის წლისა საღმთოთ მითქვამს, ეს პასუხი არ გატყდების“.
ორმოც დღესა ღრა ჭამა, შინა სტუმარსა მოელის.
რა დასრულდა ორმოცი დღე, ეწვია მასა ღვთაება.
პურის ჭამა გაათავეს, მაშინ მისცა აღსარება.
„შენ შემკვიდრე გაგიჩნდება, სამამულეთ გაგეზდება!“
ეს ანბავი გაიგონა, — თვით სარას გაეცინება:
„დრო გარდამსვლია შვილისა, მე როგორღა გამიჩნდება!
და თუ ნება უფლისა არს, ძე ადვილათ მეყოლება,
ვიგონებ მალ-მალ ღვთის სახელს, ნება მისი ათავდება!“
სარას შვილი ჩაესახა, მეცხრე თვესა ეყოლება.
ისაკ იშვა, ძე უმანკო, იგი სამღვთოთ აღსრულდება,
იმ მეორე წელიწადსა მშვენიერად აღიზრდება,
იმ მესამე წელიწადსა ისაკ მეტად გამშვენდება,
იმ მეოთხე წელიწადსა მამასთან დაეძინება,
იმ მეხუთე წელიწადსა ღვთის მონება შეეძლება,
იმ მეექვსე წელიწადსა ისაკ ტანად აღიზრდება,
იმ მეშვიდე წელიწადსა აბრამ ცოლსაც გაუტყდება:
„ქალბატონო, შენ რა იცი, ეს ყმაწვილი რათ კეთდება?
შვიდის წლის სამღვთოთ აღმითქვამს, ეს პასუხი არ გატყდება“.
„წაიყვანე, რაღას ღონობ, ღვთის პასუხი არ გატყდება,
ღვთისა წინა სამსახური არაოდეს არ წახდება!“
აბრამ ისაკ წაიყვანა, ზვარაკად ის ენებება.
აბრამს ცეცხლი ხელთ ეჭირა, ისაკ შეშას ეზიდება,
რა მივიდნენ მაღალ ნერგთან, შეშას მისცეს ცეცხლკიდება,
ცეცხლი ასეთი ანთია, აღი ზეცას ავარდება.

შვილმა უთხრა: „მამაჩემო, ქვაბი ღულს და წყალი შრება, სხვა საკლავი არსად ჩანს რა, გული რაღათ გიღონდება?“ ადგა, მამას გვერდ მოუჯდა, დედამიწას დაემხვება: „მაგრა შემკარ, ისე დამკალ, — მამას ასე ეუბნება, — სისხლი არსად შემოგესხას, სამსახური წავიხლება“. აბრამმა დანა გალესა, დასაკლავად ემზადება, თვალთაგან ცრემლი ზდიოდა, კალთას ზედა ტბა დგებოდა. მიჰყო ხელი უმანკოსა, თან შემოქმედს ევედრება. ანგელოზი მოეფლინა, აბრამს მისცა გახარება, — ზეცით ვერძი დაანახვა, მის მაგიერ ეს ინება: „ეს დაკალი და შესწირე, ღმერთსა დიდათ მიაჩნდება, შემოქმედმან გამოგცადა, მტკიცეთ გაქვს სარწმუნოება, და ზენს შვილს ისაკს ეშველა, სარას მისცა გახარება. ამას იქით ნუ ინაღვლით, თქვენი გვარი გადიდდება, ვითა ქვიშიანი ზღვისა უმეტესად გამრავლდება. ხაროთ კურთხეული უფლისგან, მავნე არსით გეცილებო, ყოველნი მართალნი სულნი შტენს წიაღს შეიკრიბება“. რა ესმა ღვთისა მონება, გულსმოღვინედ ისაკ ახსნა, ორნივე შევიდნენ ღვთის წინა, შექნეს დიდი ლალადება, თაყვანი სცეს შემოქმედსა და უმეტესი დიდება. ვერძი დაკლა და შესწირა, რადგან იყო ღვთისა ნება. 218

იღბი

დიდება და მაღლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა, ხელი რომ ხმალ მოეჭიდა, ომი მოხდა პირველ ჟმისა, აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი იგრავინისა, ათახთახდა დედამიწა, მთა და ბარი შეიძვრისა. მაშინ გასქდა დედამიწა, ისევ მისცა პირი პირსა. უწინ იყო დიდი ჟამი, ძე გასწყვიტა ვაჟკაცისა, დიდი გვალვა დაგვაყენა, შუქი დაგვაჭირა მზისა, ხევაები სულ დააშრო, წყაროც აღარ მოდის მთისა, ხეს ფურცელი შემოუხმა, ფესვი შემოალბა ძირსა, მინდვრებ ცეცხლი წაეკიდა, ძირი დასწვა ბალახისა, პირუტყვი გასწყდა შიმშილით, ეჭიდება ნარის ძირსა.

კაცის თვალი ხარბო არის, რა გააძღობს მიწის შვილსა?
 რაგინდ რომ ცხოვრება ჰქონდეს, კიდეც ეხარბება სხვისა,
 გადაბრუნდება, მოკვდება, მიწა ამოუმსებს პირსა,
 რასაც იშოვნის, ინახამს, — შეიქნება ეშმაკისა.
 ამ დროს იმიტომ ჩავსცვივდით, თითონ ყიდდა მამა შვილსა,
 ნაშენობაც დაანგრის პირველ თამარ დედოფლისა.
 ვილას ახსომს პურადობა ადამს აქეთ იობისა, —
 უსტუმროთ პურს არა სჭამდა, სიყვარული ჰქონდა ღვთისა.
 ენაძლევება ეშმაკი, — ვათქმევინებ შენსა ძვირსა!
 „ოი წყეულო ეშმაკო, როგორ შემომკადრე პირსა!
 იმის სულთან რა ხელი გაქ, ანგელოზი არის ღვთისა,
 წადი, რაც გინდა უყავი, რადგან იტყვის ჩემსა ძვირსა!
 დაუწერა წერილები, დაუბეჭდა, ეშმაკ მისცა.
 ჩარხი უკულმა დაბრუნდა, მგზავრი მოწყდა ყოვლი გზისა,
 წინ ეშმაკი გადებობა, ის წყეული შავი მთისა,
 ტანისამოსი გადიცვა შავისა და ბნელეთისა:
 „სადლა მიდიხართ, სტუმრებო, მამა მოკვდა იობისა!“
 ეს საქმე ყველას უმძიმდა, სამძიმარი ეშმაკისა.
 იობ იყო მღვთის მლოცველი, ცოლი უფრო მართლი გზისა.
 იობს ჰყვანდა შვიდი ვაჟი, სამიც ქალი სახე მზისა,
 ათივ ერთ დღეს დაეხოცა, ერთიც აღარ დარჩა ძირსა.
 იობ ღზინი არ მოშალა, სუფრა ჰქონდა ნადიმისა.
 ცოლ სუდარი გაუგზავნა; მონახევი სამოსლისა:
 „ნუ იტირებ გულმწუხრათა, ცრემლს რათ აყრი მიწის შვილსა,
 ღვთიდგან იყო ნაშობარი, ისევ იმან მიირთვისა,
 ვმადლობ ჩვენ წილ მოწყალესა, ჩვენი ბედი ამას ღირსა!“
 იობს მატლი დაეხვია ათას ფერი ნარგიზისა,
 ზოგი ძვალ ეჭიდებიან, ზოგი ეხვევიან რბილსა,
 რამტონიც გაღმოვარდება, აიყვანა, მკლავ დაისვა:
 „ძვალი ზარ და რბილი სჭამე, შენი სარჩო ეგ არისა,
 შენ მაგას ნუ მოშორდები, ფიქრი ნუ გაქვს შიმშილისა,
 მაგას იქით სადლა წახვალ, ბძანებაა ეგრე ღვთისა,
 ვმადლობ ჩვენ წილ მოწყალესა, ჩვენი ბედი მაგას ღირსა!“
 ერთ რიგს მატლი დაეხვია, ძვალს ამტვრევდა, სვამდა სისხლსა,
 მეორე რიგ დაეხვია, ჭია იყო კახეთისა,
 მესამეც ასეთი იყო, ძე გასწყვიტა ვენახისა,
 მეოთხე ჭიაფერია, მშვენებაა ადამ ცისა,

მეხუთეც ფუტკარი იყო, სამსახური არის ღვთისა,
 სუყველას გამოსადეგი, ჯერ ცოცხლისა, მერე მკვდრისა.
 იობ მეტად შეაწუხეს, სინახველა ზედა ძისა.
 იმის ცოლმა ერთ პურშია ბეწვი მისცა ოქროს თმისა,
 იობთან რომ წამოიღო, წინ ეშმაკი მოუძღვისა,
 ის წყეულ-შეჩვენებული იმ პურ ხელში შეუცვლისა.
 იობთან რომ მიიტანა, აიღო და ხელში მისცა:
 „აბა, იობ, პური სჭამე, ხელამ ამ შაქარზე ტკბილსა!“
 რამწამ დახედა იობმა, მაშინათვე სული იცნა,
 ვატენა და გადაავდო, აიღო და ძაღლებ მისცა:
 „ვერა ხელამ, დედაკაცო, სუნი უდის იუდისა!“
 რამწამ ძაღლმა ის შესჭამა, იქვე ძაღლი გახეთქისა.
 ატირდა იობის ცოლი, სულ ხუშურა ცრემლსა ღვრისა:
 „ასრე წვალემა რა გახდა მე და შენი, იობისა!“
 იობი ცოლს გაუჯავრდა, თავის უფალს მადლი მისცა:
 „შენ რა იცი, დედაკაცო, თუ რა საქმე არის რისა!
 იმას ხომ შეჭიწირავდით, რო ვისხედით სუფრა-ლხინსა!
 ესეც უნდა შევიწიროთ, ბძანებაა ეგრე ღვთისა“.
 იობის ცოლი შინ წავა, მას ეშმაკი ეცხადვისა:
 „იობ, ღმერთ რათ არ აძაგებ, ზარალი გაქვს ხმელეთისა,
 ცხენ-ჯორები დაგეხოცა, ვირ-ჯორები აღმასისა,
 აღარა ძევს ქვა ქვაზედა შენი ციხე-ქალაქისა,
 ნახე შენ ცოდვის კითხვისა გუნდი იწვის შენი ცხვრისა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, სამღვთო გადახდილა ღვთისა“.
 „იობ, შენი ნახირები ქვა და რიყეთ გადაიქცა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, ჩემ სასახლეს არა სჭირსა!“
 მერმე წყეული ეშმაკი სარაიას შეებრძვისა,
 ოქროს სვეტი გააცალა, სარაია დასცა ძირსა.
 „იობ, ღმერთ რათ არ აძაგებ, სარაია სულ დაიქცა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, მე ხომ არაფერი მჭირსა“.
 „ღვთისაგან არის ბრძანება, სულსაც ეხლა ამოგხდისა!“
 ეს იობმა გაიგონა, ტანისამოსს გაიხდისა,
 დაწვა დედამიწაზედა, თავზედ მიწას წაიყრისა:
 „შიშველი დაგბადებულვარ მე დედიჩემის მუცლისა,
 ისევ შიშველი მივდივარ, ბძანებაა ეგრე ღვთისა.
 ნალათ, შენ პილწო ეშმაკო, ეს საქმე სულ შენგან მჭირსა!“
 მაშინ გასივდა ეშმაკი, დასკდა იქავ, ნაცრად იქცა.

გამოეცხადა უფალი, — სასამართლოთ იყო ძირსა:
 „იოზ, შვილებ დაგიცოცხლო, თუ სულ მოგცე ადამ ძისა?“
 წამოხტა და თაყვანი სცა, თავი დაახალა ძირსა:
 „არ მოხერხდება, უფალო, გაცოცხლება ჩემი მკვდრისა,
 თუ შენგან არის წყალობა, ისევ იოზ იქნებისა“.
 წაიყვანა სამოთხეში, მალლა დასვა, განა ძირსა,
 შვიდი ვაჟი, სამი ქალი უკვდავ-უბერებლივ მისცა,
 ცხოვნება და წაწყმენდაი დღესაც იმას ეკითხვისა.
 ეს წიგნი დაბეჭდილია ამ გიორგი ქებაძისა,
 ამა ლექსის გამგონესა მადლი შეეწიოს ღვთისა! 219

ნ მ მ

წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჯდა თალა კიდობანი,
 შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ ააყვავა,
 შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მაგრა გაუყარა.
 კამბეჩი მოდის, მოყვირის: „მეცა შიგა შემიყვანე!“
 ზღვიდან ხო წყალი გადმოსქდა, თან წაილო არემარე
 ადგა და ყვავი გაგზავნეს: ქვეყნიერად არი რამე?
 მივიდა და ძრომლს დააჯდა, გაათენა დღე და ღამე.
 ადგა და ტრედი გაგზავნეს, უფუნური და საწყალი,
 სისხლში დარია ფეხები, შიმშილითაც მოკვდა ღამე.
 ზეთის ხილს ტოტი მოსტეხა, ტურფად იყო მსხმოიარე,
 თითო ყველას დაუჭრიგა, თითონ დარჩა მგლოვიარე. 220

სოლომან ბრძენი:

დავითი და სოლომან ბრძენ ხემწიფეა ხმელეთისა,
 ნაზირი და დედოფალი ჩამამხდარან ზღვისა პირსა.
 მებაღურმა ბადე უგდო, სამი თევზი გამოჰყვესა,
 დაკუწეს და ტათას ჩადეს, ტათა ცეცხლზე შემოდგესა,
 მოხარშვა რომ დაუთავეს, ტათა დაბლა გადმოდგესა.

სოლომანი ლექსსა მოჰყვა, ლექსსა მოჰყვა მეტათ ძნელსა:
 „სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შავაბამ უღელ დევსა,
 ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ, მშრალზე ვინადირებ თევზსა,
 ყინულზედ კალოს გავლენამ და მორევში ჩავყრი ბზესა,
 მიმინოს ბარგსა ავკიდებ, აქლემს დაუტევებ მწყერსა.
 წუხელის ჩემსა საწოლსა კაცი იყო, ვნახე მეცა,
 ხელთ ეჭირა ოქროს ბურთი, აგორებდა საწოლს ჩემსა.
 თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა!“
 გაცოცხლდა და ზღვას შევიდა, ორი ისევ ტაფას ძევსა.
 „რიგით მივყვეთ სამართალსა, ახლა ნაზირ-ვეზირს ჰხვდესა!“
 ვეზირმა წამოუჩოქა ამ ჰკვიან სოლომან ბრძენსა:
 „გამზარდე, გამავაჟკაცე, ნუ მაჩვენებ შავსა დღესა!
 დღეში სამჯერ ამას ვიტყვი: მოვკლამ სოლომანსა ბრძენსა;
 სამჯერ ეშმაკს შევაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა.
 თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა!“
 გაცოცხლდა და ზღვას შევიდა, ერთი ისევ ტაფას ძევსა.
 „რიგით მივყვეთ სამართალსა, ერთი დედოფალსა ჰხვდესა!“
 შიშითა და სირცხვილითა გულს ეყრება დედოფალსა,
 ვარდის წყალსა გულზე ასხმენ, აფიცებენ მამის მზესა:
 „ამოგვითქვი, პირა მზეო, ხელი მოგვიკიდე მტერსა!“
 „თქვენ იმას ხელს ვინ გაკიდებს, იმ ქაჯეთის ხემწიფესა!
 თორმეტი წელიწადია, ვყვარობ კუნწულ ხემწიფესა,
 მთვარე რომ ბანზე ჩამოვა, კუნწულელი ჩამოჰყვესა.
 დაჰპატიჟე კუნწულელი სამს დღესა და სამს ღამესა,
 ისეთი ლხინი უჩვენე, არ ენახოს თავის დღესა“.
 „დამიძახეთ კუნწულელსა, ეშმაკების თავის მყრელსა!“
 კუნწულელსა დაუძახეს, სუფრას გაუშლიან გძელსა.
 „კუნწულელო, სიტყვას გეტყვი, სიტყვას საამურსა შენსა:
 ერთი თულუხი კოკა მაქვს, მიბარია მემამზლესა,
 თუ მას საყმოთი ამიმსებ, საყვარელი შენ დაგრჩესა!“
 კუნწულელი სიჩქარითა, ველარ იცომს მაშიებსა:
 „ჩემსა ყმასა დამიძახეთ, ნაზირსა და ვეზირებსა,
 სულ ერთიან გამორეკეთ, არ დაჰყრიდეთ ყმაწვილებსა!“
 შვიდი დღე-ღამე იდინეს, კოკას ყელში დააკლდესა.
 „შენ შიგ ჩაჯექ, კუნწულელო, საყვარელი თან ჩაგყვესა!“
 ჩაიტყუეს კუნწულელი, თავ ზარფუში გადარქვესა,
 ოთხავ კუთხით გადაჭედეს, წაიღეს და ზღვას მისცესა.

ათას ხუთას წელიწადსა ავი მავნე არ იქნესა,
 ყმაწვილ კარგა დაეძინოს, გულში ფიქრი არ ჩაჰყვესა.
 მეზადურმა ბადე უგდო, კოკას ყელში გამოსდესა,
 სწიეს, სწიეს, გამოსწიეს, ზედ ნაშეზე გადმოდესა:
 „ამაში რომ სულ არ იყოს, შვიდი სოფლის ფასი ძევსა!“
 ერთმანეთი დაარისხეს, ვინც ეს უთხრას ბატონს ჩვენსა.
 დაუშინეს ნაჯახები, კოკას ყელი მოსტყებესა:
 გამოცვივდნენ ეშმაკები, ზოგი კლდესა, ზოგი ღრესა,
 ზოგი წისკვილებსა ეცა, ზოგი ქალათ გადიქცესა.
 კუნწულელი შიგ დაკუწეს, ქოფაკებს გაღუყარესა.
 ღმერთმა ორივ დაშამათოს მეთევზე და მემაშხლესა! 221

ნათლისმცემელი და გლახა

[ერთ ვერანა ქვეყანასა ერთი გლახა ესახლება,
 გლახა ასე გლახა არი, უგლახესი რა იქნება,
 საჭმელათ პური არა აქ, ქვა საჭმელათ ენატრება,
 გამოვა სანებველაზე, ბანძა-ბუნძით იმოსება,
 მას ერთი ძაფი ავაძროთ, ოცი კინძი ავარდება.
 ივანე ნათლისმცემელი ქრისტე ღმერთსა ევედრება:
 „შენ რომ გლახა გააჩინე, რატომ შვილი არ ეძლევა?“
 „წადი და შენ გაუჩინე, თუ არ გაგიკოხტავდება!“
 გლახას მისცეს ერთი შვილი, — უნათლავათ უბერდება,
 მდიდარმა არ მოუნათლა, — „გლახა არი, ვერ დაგვხტება“.
 „წადი და შენ მოუნათლე, თუ არ გაგიკოხტავდება!“
 ივანე ნათლისმცემელი გლახას კარზე მიადგება,
 თავს დაღუნავს, სახლში შევა და უბარი ჩამოჯდება.
 სიშიშვლითა ნათლიდელა კარსა უკან ეფარება,
 სიგლახავით ნათლიმამა ზეზე ველარ წამოდგება,
 [„ნათლიდელა, ნათლიმამა, სვინას პური ეშვივნება!“
 „ღმერთმან იცის, ჩემო სვინა, შენთვის სული ამომხდება,]
 არ მყავს ხარი, რომ შეუბა, არცა ფური მეწველება!“
 მწყალობელი იოანე გლახას აგრე ეუბნება:
 „ადე, კიდობანს დახედე, საქონელი დაგიხვდება,
 მურასა ტანისამოსი დაკეცილი გაგიჩნდება,
 ადე, ბელელსა დახედე, პურით სუნთლა აგემსება,

მიდი და მარანს დახედე, ღვინო ჭურში დაგიხვდება,
 მარმალღლოს კოშკსა ზედა თვალიც ველარ აგიწვდება,
 ბაღვის წყალი და წისქვილი გლახის კარსა გაკეთდება,
 [ათას ხუთასი თხა-ცხვარი ყველა კარზე მოგადგება,]
 ათზე ერთი ღმერთს შესწირე, ისიც მასა იამება,
 თუ ათზე ვერ გაიმეტებ, ოცზეც ყაბული იქნება“.
 ნათლიდელა წამოდგება, მზისა შუქი თანა ჰყვება,
 ცხრა ტყვეოსანი მოახლე კაბის კალთას ეკიდება.
 ცოტა დროებისა შემდეგ იოანე შინ ბძანდება.
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი ნათლისმცემელს ეუბნება:
 „წადი, შენ ნათლულს ეწვიე, თუ როგორად დაგიხვდება“.
 როცა ეზოს მიახლოვდა, გლახა ქალსა ეუბნება:
 „ადე, ქალო, გარ გახედე, — ჩვენსა სვინას რა ეხლება,
 რა მალ-მალე დაეთრევა, თვალიც მასა დაუდგება!“
 სვინა სადგომს მიიწვიეს, სწრაფად საჯდომს ჩამოჯდება,
 როცა რომ ლაპარაკს იწყებს, მსმენელს ყური უნათლდება...
 საღამო ხანი შეიქნა, სვინას ვახშამი კეთდება:
 ამას რომ ერთი ცხვარი ჰყავს, რომ გაიმბო, შეგზიზღდება,
 ოთხივე ფეხით კოჭლია, ორვე თვალით ბრმა იქნება,
 იმდენი სატკივარი აქვს, რომ მის ხორცი არ იჭმება,
 [წვიდა და მეიყვანა, — „ეს ნათლიას ეკადრება“.
 „ნათლიდელა, ნათლიმამა, სვინას ეგ ხრ ეკადრება,
 ფეხმართალი ღმერთს შესწირე, ბრმა და კოჭლი გასწორდება!“
 „სტუმარი რომ ბჭედ დადგება, სახლი მაშინ გასწორდება!]
 ეგი სვი და ეგი ჭამე, სამასპინძლოთ გეკადრება!“
 შესწყალა ნათლისმცემელი და ფიცხლად კარში გამოხტება.
 გაკოხტავებული გლახა მას დაცინვით ეუბნება:
 „თუ შემწყელი, ვაი რა ვქნა, საქონელი გამიწყდება,
 თქვენს მოტანილს ტანისამოსს ირიბები დამიტყდება!“
 ამბობს ნათლისმცემელი: „ეგ რომ წახდეს, რა იქნება!
 წავახდინო, როგორ რა ვქნა, მე მირონი მეწამება“.
 [მიწას დაკრა მისი ჯოხი, მიწას კარი გვეღება,
 ნათლიდელა, ნათლიმამა ორივე შიგ ჩეიყრება.
 თან ნათლული წეიყვანა, — ანგელოზთან იწერება.
 ნათლიდელის ძვალის სისხლი ენდრონებათ ითხრევნება,
 ნათლიდელის თმანი მისი მიწა-მოლათ გადიქცევა,
 იზდება და არ იღევა, ისთევე ბევრი იზდება.
 ამისა მოსმინარესა ყოვლა წმიდა შეგეწევა!] 222.

ქრისტე

დალოცვილი ქრისტე ღმერთი სოფლიერათ გამოჩდაო,
 ის მამაძალი ურია დასაჭირავათ დასდევსო,
 ერთსა გორას დაიჭირეს, მორე გორას დამარხესო,
 იქ ლურსმნები აიტანეს, თურმე ყურით დააკრესო,
 ქინძი, ძმარი მიუტანეს, — ქრისტეს წამლათ წაადგესო,
 კვირე დილას რომ მივიდენ, — ცარიელი ტილო ძევსო.
 „არ გებრალეები, პილატე, ჩვენი ქრისტე მოგვპარესო!“
 „არ გითხარით, თქვენ, მურალეზო, თქვენ ვერ მოკლავთ გამჩენელსო!“
 მაშინ ურია დასწყევლა, დაუკარგა ხენა და თესვა:
 „დახვიდოდე სოფელ-სოფელ, ატყუებდე პატარძლებსა,
 ერთ მანეთად რომ არ ღირდეს, აფასებდე სამ მანეთსა!“ 223

მამაო ჩვენო

ვითარცა ზეცით, ეგრეცა ქვეყნით პურსა არსებით მომცემო ჩვენო,
 მოვედ სუფევით ყოვნება შენი, რომ სატანასა არ მოგვაჩვენო,
 გვიხსენ ცოდვილნი და დაგვიფარე, ყოვლის ცოდვისგან, მამაო ჩვენო,
 და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, ბოროტსა დაგვხსენ, უფალო
 ჩვენო. 224

სიზმრითა ვნახე ედემი

სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის მთაშია,
 არის მზე და არის მთვარე, არის მასკვლავი მცაშია,
 ათასნაირი ხილონი სულ დანერგილი პლანშია,
 რიგი მწიფს, რიგი მკვახეა, რიგსა ყვავილი ასხია,
 გარს ახვევია ფრინველი, ვინ დასთვლის რამდენ ასია.
 ამრეულ ენას¹⁾ ამბობენ, მე დავიშალე ტანშია,

1) ვარიანტში: ებრაულ ენას.

მითხრეს, თუ ნუ გეზინია, ჩვენში ადათი ასეა.
 ოქროს არაყ დის საყდარსა, ვერავინ დასდო ფასია.
 იქ ერთი ტურფა რამა ზის, ლაღღადი გააქვს კარშია.
 ორი წყეული აბია აქედამ მისავალშია,
 საშინლად ჰკრეჭენ კბილებსა, იკლაკნებიან ტანშია.
 თორმეტი ოთახი არის, სულ ნაკეთები ლარშია,
 არც ხეა, არცა ფიცარი, არც საძირკველი ქვაშია.
 სულ თითო წყარო გამოდის თითო ოთახის თავშია.
 ერთი რამ დიდი ზღვა არის კარებთან შესავალშია,
 გადადეს ბეწვის ხიდები, — ვინ გადაზომამს თვალშია!
 ცოდვილმა თქვა: „ვერ გავივლი, ვაჰ თუ ჩავარდე ზღვაშია!“
 მადლიანმა თქვა: „გავივლი, როგორც რომ შარა გზაშია“. 225

მადლიანი და სოდვიანი

ცოდვილო, ცოდვისაგან აიღე ხელი,
 თორემ საიქიოს მე ვერ გიშველი,
 ღმერთი გვეყოლება სამართლის მქნელი
 და ისვე იქნება ჩვენი მრისხველი.
 ცოდვილო, ცოდვისაგან როდემდის დახვალ,
 სიკვდილის უკან სატანჯველს ნახამ.
 ერთი მოიგონე ქრისტეს ვნებანი,
 მისი მწარე სატანჯველი, შოლტის ცემანი!
 მის სატანჯველისაგან ქრისტემ გიხსნათ ყოველი,
 მე საწყალიც ცოდვილი ვარ, ქრისტესგნით ხსნას მოველი. 226

*

ვაი შენ წუთისოფელო, რა სიზმარის კვალათა ხარ:
 რაკი მოხვალ ამ სოფელსა, გაიპარვი როგორც ქურდი.
 სულმა თქვა: „ხორცო, გენდური მე შენ გვამშია დგომასა,
 გამგზავნე ცოდვით სავსენი, ვაი შენს მასპინძლობასა!“
 „სულო ტკბილო, საყვარელო, კიდეც დადექ, ნუ აშურდი!“
 „მაინც ვერა დამაყენებს, — ფეხში შემეყარო ხუნდი!“
 დამდგომია ღვთის ბძანება, აქ სადგომათ აღარ უნდი:

სულისმკრეფლები მოსულან, მიქელი და გაბრიელი,
 არ გამიშვეს, წამიყვანეს, გამატარეს დიდი გზანი,
 ბეწვის ხიდს რომ მიმიყვანეს, ძვალზედ მადნებოდა რბილი.
 მადლიანი ასე გარბის, როგორც ჩიტი-ფრინველია.
 ცოდვიანი ზის და ტირის: „ბეწვის ხიდ-გასვლა ძნელია!“
 დაუძახეს მადლიანსა, მხრებში ამოასხეს ფრთანი,
 აუწონეს მადლის წიგნი, — ცოდვა აღარც მტვერი არი,
 წაიყვანეს და იქ დასვეს, სად სამოთხის ბაღი არი,
 თავით აუნთეს სანთელი, ფეხთით გამოუბეს ცხვარი:
 „ეგე სვი და ეგა ჭამე, სხვაც მოგივა კიდევ არი“.
 დაუძახეს ცოდვიანსა, — ძვალზედ აღნებოდა რბილი,
 აუწონეს ცოდვის წიგნი, — მადლი აღარც მტვერი არი,
 წაიყვანეს, იქ ჩააგდეს, სადაც ცხელი კუპრი არი,
 თავს დაუდგნენ ეშმაკები, — „მაგის სული ჩვენი არი!“
 ვინც გაივლის, იბრალებდა: „ვაი დედიშენის ბრალი!
 შე საწყალო, რათ არ გაეც, თუ კი დაჰყავ წუთი ხანი“.
 — ვაი, მე ამასა ვსტირი, გლახაკს არ გავიკითხამდი,
 სტუმარი მეჯავრებოდა, სახლის კარს არ გაუღებდი,
 ექვსი ქისა თეთრი მქონდა, სიკვდილისთვის ვინახამდი,
 სიკვდილს ქრთამი არ სცოდნია, არც ქრთამის მოყვარე არი.
 ნეტავი ჩემი სასახლე სულ ეკლესიათ ამეგო,
 ნეტავი ჩემი ცხოვრება სულ გლახაზედ გადამეგო,
 და ნეტავ სული მამეგო, ჯოჯუხეთში არ ჩამეგდო! 227

ვაი შენ წუთისოფელო

ვაი შენ წუთისოფელო, სანახავათა ხარ ცუდი,
 გვეჩვენები სიზმრის კვალად, გაგვებარვი ვითამ ქურდი!
 გეიბჭო სული და ხორცი, რომ მიდგენ გასაყრელათა:
 „შენ ჩემთვის ცოდვას შობოდი, ცოდვაში ჩასაგდებათა,
 გამისტუმრებ ცოდვიანსა, — ვაი შენს მასპინძლობასა!“
 უსაყელოსა პერანგსა გვიკერვენ ჩასაცმელათა,
 ამონათხარს ორმოებს გვითხრიენ ჩასაგდებათა,
 ამონათხარსა დიდ ქვებსა გულზე გვაწყობენ ქერათა,

მოდიენ ჭირისუფლები, ცრემლს დაგვაყრიენ ცხელათა.
 მადლი მისი შეგეწიოს, ვინც რომ იხსენოს მღვდელათა,
 თავის ფეხით ანგელოზი, ქრისტე დაგადგა მცველათა!
 ვერჯისწავლე დიაკვნობა, ვერც დავეკურთხე ბერათა,
 ხორცი ვასუქე, ვალაღე, სულს შოუდექი მტერათა.
 ეს რა გვიქნა ქრისტე ღმერთმა, კუპრი აღულა ცხელია,
 ბეწვის ხიდები დაგვიგო, იმაზედ გასვლა ძნელია,
 ასე მიდის მადლიანი, როგორც სააქაოს [ქ]არი.
 ამოტირდა ცოდვიანი: „ვაჰმე ცოდვა რათა ვქენი!“
 დოუძახა მოწყალესა: „ღმერთო, მომიმართე ხელი!“
 ეს უბრძანა ქრისტე ღმერთმა: „შენ ის ცოდვა რათა ქენი?
 ცივანი კარზე მოვადგა, არ გაათბობინე ხელი.
 მას შიოდა და წყუროდა, რატომ არ მოკიდე ხელი?“
 დოუძახა ეშმაკებსა: „მაგის სული არის თქვენი!“
 გადმოფრინდენ ეშმაკები, ფიცხლათ გადახვიეს ხელი,
 ეიყვანეს და ჩაადგეს, საცა ი კუპრია ცხელი.
 მაშინა თქვა ცოდვიანმა:
 „სააქაოს რა გამივა სიტყვა ბძენი, ენა პტყელი!“
 რა ნახა კაცმა ცოდვილმა, შეეზიზლა საძაგელი,
 დაწყევლილმა ეშმაკებმა უკითხავათ მიყვეს ხელი,
 მიეხვიენ, მოეხვიენ, — იკლაკნება ვითა გველი.
 ნეტა იმის წუთისოფელს, ვინაც იყო კაის მქნელი! 228

საიქიოს ამბავები

საიქიოს ამბავები ხორციელს არ მოხსენდება,
 იქ რომ შაწუხება არი, ჩვენ იქ ვინ მოგვეშველება.
 ვაი, აყრიან ისარსა, ვინცა ჭამს ძალვით სხვისასა,
 უკან გაუკვრენ ხელებსა, თოკს აბმენ კანაფისასა.
 დაუჩოქნია ქრისტესთან, ფიცამს, „არ მომიპარია“,
 მაგრამ იქ ცოდო არ არის, აგდებენ ჯოჯოხეთსაცა.
 აგრეთია ბეწვის ხიდი: ცოდვიან არ გაეველება,
 ოდეს მოვა მადლის მქნელი, ბოგირ-ხიდათ გაჩვენდება,
 არც კოჭლია და არცა ბრმა, სული სწორედ გაჩვენდება,

კარზე მოგვივა მწერალი: „დაიცადე“ არ იქნება,
 აღარც გაგვივა ქრთამები, არც მეგობარი გახდება.
 ეს ხომ იცი, — გაზაფხულზე ტყის ფურცელი გაიშლება,
 [მას რომ ვადები¹⁾] მოუვა, ისევ ძირსა გასცივდება;
 ისე ჩვენცა გადავდივართ, დღე-ღამე არ გაჩვენდება,
 უფლისა ნაწირები ვართ, რეგვენ კაც კი გაჰკვირდება. 229

ნურს იპარებ, ნურს იბოზებ

ნურც იპარებ, ნურც იბოზებ, — გეტყვის მოსე ღვთისმეტყველი-
 ქალი იყო ვინმე ბოზი, პირს ჩაუძვრა შვიდი გველი,
 მას მუცელი გაუსივდა, საქმე რომ ქნა საძაგელი,
 გარდაბრუნდა, ავათ გახდა ეშმაკების მასინძელი.
 ეშმაკებმა რომ გაიგო, მიეხვიენ ვით რომ მკალნი,
 რამე ფერათ შემეეკრენ, ქალს ჩაედვა ფერი ძნელი,
 შეჰქნა ხჭიალი, კანკალი, სული ეცა საძაგელი.
 ანგელოზები მობძანდა, ქალზედა გამწარებული,
 სული ჩანგლით ამოხეთქეს, მძორი გდის წყალწაღებული,
 ყრალი²⁾ ბოზი გარდაადგეს, ეშმაკით აყროლებული,
 მატლნი, უძილნი მკბენარნი ბოზს მოეხვია მრავალი,
 აღის ქვესკვნელში ჩაადგეს, გზა არსად აქვს წასავალი.
 ანგელოზმა ეს უბძანა:

„შენ რომ შენ ქმარს უღალატე, მაშინ დასწვი შენი სული,
 სხვა კაცებს რომ ეწყობოდი, ეშმაკებსა თავს აძლევდი,
 ცოდვა მწარეში გორებდი, ზედ წითელ ღვინოს დალევდი,
 იქ იცინოდი, ხარობდი, აქ სატანჯველს თავს აძლევდი,
 სიკვტილი ვერ მოიგონე, თვალეებზე ხელს იფარებდი“. 230

1) დედანში აქ სიტყვები გაურჩეველია.

2) დედანშია: ავით ყრალი.

წმწმსთის აუხენა

ამ დაწყებულმა ეშმაკმა რა სიტყვა თქვა საზარელი:
 „ავაშენოთ ჯოჯოხეთი, ღრმათ ჩავყაროთ საძირკველი,
 პირი ქვევრივით ვიწრო აქვს, დასაქცევი არის ძნელი,
 სულ ერთიან შიგ მოვრეკოთ, საცა იყოს ადამ ძენი“.
 მაშინ დაფიქრდა უფალი: „მეც იქა ვარ მისასვლელი,
 მივიდე და დავაქციო, აღარ იყოს საძირკველი“.
 ათი კუთხე დაანგრია, მეთერთმეტეს მიჰყო ხელი.
 წადგა ის პილწი ეშმაკი, სიტყვა მოახსენა ბევრი:
 „თქვენ აღარათ ჩავაგდებენ თქვენი გაჩენილი ძენი!
 ცოდო ძრიელ გამრავლდება, შეიქნება ძმა ძმის მკვლელი“.
 ქრისტემ დასწყევლოს ეშმაკი, — რა სიტყვა თქვა დასაჯერი! 231

წმწმსთში შინ არის

სულ-ხორცის გაყრას მოგიყვე, სათქმელათ საზარელია,
 დაგვცვივა ხელის ფრხხილები, ბაგეს გვეცვლება ფერია,
 სადა გვყამს მაშინ მოწყალე, გულზედ მოგვისვას ხელია!
 ანგელოზები მოვიდნენ, მიქელი და გაბრიელი:
 „ჩემო გლახავ და დათუნი, რათ გინდათ თქვენ ეს სოფელი?
 სამოთხეს ახლოს გამყოფებთ, გეყოლებათ მეზობელი“.
 დაიბარეს მეწისქვილე, — ხელთ ეჭირა სარეკელი:
 „დაიხოქე, მეწისქვილე, აღვიარე ცოდო შენი!“
 ამოსტირდა მეწისქვილე: „საქმე ვქენი საზარელი!
 ვაი დედიჩემის მზესა, ხრილს რო შემოუსვი ხელი!
 თითო ჯამს შინდს ვიპარამდი, გამომყამდა სარჩო ჩემი“.
 დაიბარეს ი მჭედელი, ხელთ ეჭირა დიდი კვერი:
 „კაცმა რკინა მოგიტანა, წვერი რაზე წაუჭერი?“
 „თითო ლურსმანს ვიპარამდი, გამომყავდა საკვეთელი“.
 დაიბარეს ფეიქარი, ხელთ ეჭირა სავარცხელი:
 „დაიხოქე, ფეიქარო, აღვიარე ცოდო შენი!“
 დაიხოქა ფეიქარმა, ჩამოჰყარა ცხარე ცრემლი:
 „ვაი დედიჩემის მზესა, შულოს წავეპარე ხელი!“

გამოცვივდნენ ეშმაკები, სატანა და სამოელი,
 ერთს ეჭირა ეინჟლილი და მეორეს რკინის კვერი,
 აქეთ-იქით მოუარეს, ორივემა სტაცეს ხელი,
 წაიყვანეს და ჩააგდეს, საცა დულდა კუპრი ცხელი.
 დიდის ცოდოს ამლებელი: ჯერ მქედელი, მემრე მლედელი,
 მელვინე თავსა სწერია, დიდის ცოდოს მომქმედელი:
 ზოგი დაარჩო ღვინითა, ზოგს არ ჩაუსველა ყელი.
 ქეშმარიტათ ეშმაკს მოჰკლამს ცისკრის ლოცვის მომსმენელი,
 მაშ უჟადლის ლოცვაზედა ლაპარაკი არის ძნელი,
 ვინც იმ ლოცვას ყურს არ უგდებს, ცეცხლზე უღევს ენის წვერი,
 ამხანაგის მოღალატეს პირში სჩრია გველი ქრელი,
 ვინც რომ შორით ყურს დაუგდებს, რასა შვრება მეზობელი,
 წავა და სოფელში იტყვის, — შეიქნება კაცის მკვლელი. 232

*

გრეთი-გრეთი, როგორ გრეთი, საგოგავი საფრანგეთი,
 ქონი ქონზე ადულდება, მზე რო წალმა დაბრუნდება.
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი ოქროს ტახტზე დაბძანდება,
 ზედ უღვა ოქროს სასწორი, ცოდო-მატლი იწონება.
 მე და ივანე კავთელი სულის საკრეფლათ წავედით,
 არ მივდევდი, წამიყვანა. ბეწვის ხიდთან რომ მივედით,
 ეშმაკი ამომჯდარყო. შავხედე და შამქრთა ფერი,
 ჩემსა გულსა დავეკითხე, მუხლებს მივე დიდი ძალი.
 შვიდსა ნახნავ-ნუხნავშია ეკალ-უკალი ჰფენია;
 ცოდვიანი ამას ამბობს: „ვაჰ რა ძნელ გასავლელია!“
 მადლიანი ამას ამბობს: „ვითომ ბუმბული ჰფენია!“
 გადვიხედე სამოთხეში, — რა ტურფა ქალის ჯარია!
 სამი ქალი გამოიქცნენ, თურმე იყვნენ ჩემი დანი,
 თასით ღვინო მომაწოდეს, ანთებული კელაპტარი:
 „ძმაო, აქ რამ მოგიყვანა, რისგან გედგა დიდი ძალი?“
 „დაო, იმან მომიყვანა, ღვთისგან მეღვა დიდი ძალი!“
 კუპრი დულს, ალი ამოდის, შიგ ეკიდება გენია,
 დედმამის მეუღიარეს შიგ უღევს ენის წვერია.
 ცასა სარეკლები დაჰკრეს, საწყვეტი აიყარია,
 სამას და სამი ბებერი სულ ერთათ შეიყარია,
 მაშინ არის განჩინება, ვინც კვერცხი მოიპარია! 233

*

შვიდის დღის ნაყანობზედა ეკალ-უკალი ჰფენია,
 ცოდოს მქნელი ამას ამბობს: „ამაზე გავლა ძნელია!“
 მადლის მქნელი ამას ამბობს: „ჩემთვის ბუმბული ჰფენია!“
 კუპრი დუღს, კუპრი გადმოდის, გარს ეკიდება გენია,
 გუთნის დედა და ხაბაზი ორივე შუაში სტენია. 234

*

ღორღომელა მელია, ჯოჯოხეთი რა ძნელია!
 სამი დღისა სავალზედა ზედ კალოს კარი ჰფენია,
 შუაგულ კუპრი ამოდის, ზედ ახვევია გენია.
 დედმამის უპატიურსა გაუხმეს ენის წვერია,
 ნათლიის უპატიურსა ცეცხლში უდგია ფეხია,
 აფხანაკის მოლალატეს დაკიდეს ქრელი გველია! 235

*

უეჭველათ მოკლამს ეშმაკს ცისკრის ლოცვის მასმენელი,
 ლოცვას უნდა ყური გდება, ლაპარაკი არი ძნელი,
 სახარების კითხვაზედა უნდა ვყაროთ ცხარე ცრემლი.
 დედმამის მეუღლიარეთ ყელზედ ჩამოკიდეს გველი,
 ბატონთან მობეზლარეთა გაუხვრიტეს ენის წვერი,
 წაიღეს და გადააგდეს, საცა დუღდა კუპრი ცხელი.
 რას უშველის დედა-მამა, თუ კიარი ცოდვის მქნელი! 236

*

კუპრი დუღს, ალი ამოდის, ქვეშ უკიდია გენია,
 ამხანაგის მოლალატეს ყელზე ჰკიდია გველია,
 ბატონთან მბეზლარესა პირში ამოჰდის გენია,
 ცოლქმრობის მოლალატესა კუპრში აქვ ენის წვერია.
 გამოჰკითხეს ცოლიანსა: „რა გაქ ხელით მონაცემი?“
 წამოდგა და ვერა თქვა რა, წამოყარა მწარე ცრემლი,
 იქ [მას] არას გამოადგა ის ოხერი ენა გრძელი. 237

4. ყოფიანობის რეალიზაცია

მთელი

„აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეგვყარა ერთფერი!“

— „შენ დიდი ხარ, დიდებული, დიდი დედამხით ქებული;
ვარ ობოლი, ობლიშვილი, ობლობისგან დაჩაგრული,
ვაჟ თუ ბოლოს მილატო, გამიშო წყალწაღებული!“

— „ეთერო, შენს ამ ლალატსა ღვთის მეტი ვინ შეუდგება?
ომში ხმალდახმალ შესულსა ვადაშიც გადაუტყდება
და ცხენსა გამალეებულსა უზანგიც ჩამოუწყდება,
წყალი უწყლოსა ალაგსა, წყარონიც ამოუშრება,
შვიდი წლის სავალსა გზაზე საგძალი წამოუწყდება!“
აბესალომ ქორწილი ქნა, დაბანდა ოქროს ტახტზედა,
საყმოსულ დაიპატიჟა, არ მოვა სათვალავზედა.

— „სად არის ჩემი მურმანი, რომ აქ არ გვიზის ტახტზედა?“
გადიპატიჟეს, დაისვენს ოქროს ხალიჩის პირზედა.

მურმანმა ქალსა შეხედა, ჟრუოლა მოუვა ტანზედა:

„ვინ არის კაცი ასეთი, ეს შეაძულოს წამზედა!“

წამოდგა პილწი ეშმაკი იმავე ქართულის თქმაზედა:

„მურმანო, სული მე მამე, მე შევაძულე წამზედა“.

აილო სული მას მისცა იმავე ქართულის თქმაზედა.

ეთერს ფეტვი შეაყარა, ბირნა შეზდინდა ტანზედა,

ხამსა და ხამსა უცვლიან, ბირნა ავიდა თავზედა.

ორშაბათ დილა გათენდა, აბესალომ დგას კარზედა,

გამოიყვანა ეთერი, დაისო მუხლის თავზედა:

„შაფათ შეყრილნი მიჯნურნი ორშაბათ გავიყარენით,
ვისაც რომ შეყრა გეწყინათ, გავყრილვართ, — გაიხარენით,
ვის გინდათ ქალი ეთერი თეთრ ქორივით მწყაზარია?“

მურმანმა ჩოქით სალამი: „ბატონო, ქალი მე მამე,
ჩემზე ერთგულთ ყმა შენა ხომ არა გყავს მთელ თემშია“.

აილო ქალი მას მისცა იმავე ქართულის თქმაზედა.

წაიყვანა და იქ დასვა, სად ბროლის ციხე ცამდევს.

ორი კვირა გამოვიდა, აბესალომ გაბძანდება:

— „რას ამივლი, რას ჩამივლი მაგ თუხარეკის ცხენითა!“

შენ თუ ჩემ ფიცს გადაურჩი, ქორწილი ქენი რთველითა.

შე აბესალომ ბატონო, რა წუნი ნახე ჩემშია,
 რად გამიწბილე მაყრები უცხოს თემ — ქვეყანაშია,
 ზეცით მოსული გვირგვინი გარეე ჩალა-მტვერშია!“
 — „მურმან, მურმან, შენსა მზესა, შენი ცოლი რა რიგია!“
 — „რას კითხულობ, ცათა სწორო, ცოლის ქება აუგია!
 შენც გინახამ ბროლის ციხე, როგორც ცამდინ მალაღია,
 შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,
 ყელი გრძელი, წელი წვრილი, თეძოს თავი დაბალია,
 შუბლი პტყელი, პირი ბადრი, საფერთქელი მწყაზარია.
 ყაქსა ართამს, აბრაშუმსა, იგი ხელით აუგია.
 ცხრანი მულნი წინ უსხედან, მისი პირის ფარეშია.
 დედამთილი უკან უზის, ოქროს დაღალის მწნელია.
 ცხრანი მაზლნი კარს ადგანან, დაღესილი აღმასია,
 მამამზრდი ერდოს ადგა, გველემაპის მყლაპავია,
 მაზლის წული ნადირობს და ნადირების შამტანია“.
 — „მურმან, წადი სანადიროთ, შევლი მოკალ, ჯვირანი!“
 მურმანი გულში შეფიქრდა: „ჩემთან ფარსაგნი არ არი!
 ამალამდელი ლამეო, ნუ გათენდები მალეო!
 მახვიე ბროლისა მკერდსა, ველარ ვიშოვნი ხვალეო!
 დილაზე ქვევით მგზავნიან, ქალასა ილინგთისასა,
 ორ კიბესა ჩავლა უნდა საშიშარსა ლეკისასა,
 კოჯორის მთას მოვლა უნდა მოსარბენსა ორბისასა,
 აქ რომ ქვას გამოისვრიან მონაგერსა ლომისასა,
 მომარტყმენ, თავს გამიტეხენ, თავს ამ სპილოსა ძვლისასა.
 ნურც შეიხვევ ავსა კაცსა, ნურცა ავი გვარისასა,
 ნურცარა შეხვალ დისასა, ნურცარა მეზობლისასა!“
 — „არც შევხვევ ავსა კაცსა, არცა ავის გვარისასა,
 არცარა შევალ დისასა, არცარა მეზობლისასა,
 თუ შევალ მეზობლისასა, — როგორც და იყვეს ძმისასა;
 დავაგდებ ჩარდახობასა, ჩამოვალ დარბაზობასა,
 გავიხდი ატლასობასა და ჩავიციომ ბამბობასა,
 ხელსა მაშრაფას დავიქერ, ზურგთ ავიკიდებ კოკასა“.
 — „შენ თუ მაგ საქმეს დაიქერ, ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა,
 გადგიხვეტ ქვასა, ქვიშასა,
 ზედ მარმალღლოს მოგიყრი, ფეხი არა ჰკრა ქვიშასა,
 კარზე დაგიდგამ აღვის ხეს, საჩრდილობელსა მზისასა,
 ზედ ოქროს შუშას დავკიდამ სასმელად ვარდის წყლისასა!“

— „ადექი, შუქურ მასკვლაო, ეთერსა კარსა უარე, თუ გკითხოს ჩემი ამბავი, უარ და უარ, უამბე: რათ არ ნახამ შენ დარბაზსა, თერმუხანის აგებულსა, ქამხა-ატლასს რათ არ ნახამ, ინდუეთით მოტანულსა? აბესალომ რათ არ ნახამ, შენგნით დამწვარ-დადაგულსა?“

— „არა ვნახამ ჩემსა დარბაზს, თერმუხანის აგებულსა, არცა ქამხა-ატლასს ვნახამ, ინდუეთით მოტანულსა, არცა აბესალომ ვნახამ, ეშმაკების წაღებულსა! მარეხ ქალო, გამეცალე, ნუ შემფიხვლი ენითაო, თავს აიხადა გვირგვინი, ყმას დახურა ხელითაო“.

— „დაო, ხუნძალო, ხუნძალო, ეთერსა კარი უარე, ფეხშველა გამომივლია მარტი, აპრილი, მაისი, ეთერო, შენის ნახვითა რომ გამიცოცხლდეს ძმა ისი!“
ეთერი ერდოს შემოდგა, ფიცარი შესძრა, ყავარი:
„ეთერი ტყვილათ გარჯილა, — ვარ საიქიოს მავალი, უფალსა უბძანებია გზა წვრილი, მარტო სავალი, გარშემო ბევრი მისხედან ეპისკოპოზი მრავალი. ეთერსა ცხენი უბოძეთ, ვაგა სქელი და მალალი, მას უკან კვიცი მისდევდეს, ტანად დაბალი, სალარი“.

— „ეთერსა ცხენი რათ უნდა, არსად არ არის მავალი, აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეგვეყარა ერთფერად; ერთგანა დავიხოცებით, ერთგანა დაგვმარბიანო, გზის თავში დავვალირებენ, გზის ძირში დავგმარბიანო, მიწასაც მოგვალირებენ, ფოთოლთამც მოგვაყრიანო, ფეხზედაც ია ამოვა, დილის ნიაენი შლიანო, ფეხთითა წყარო გამოვა, შიგ ოქროს თასი ღვინო, ყველა მუშა და მაშვრალი სულ ჩვენა დაგვნატრიანო, გამვლელი და გამომვლელი შენდობას გვეტყვიდიანო. შენ ჩემო მოყვრის დანაო, უბეს მიდევხარ განაო, ამოგიღებ და დავიცემ მარჯვენა ძუძუსთანაო!“ 238

ჩვენს უკან დიდი ჭელია, ია დვას, ვარდი ხფენია, კოშკი დვას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია, შიგა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელია, მას სავარცხელი რათ უნდა, დარალა ოქროს ფერია. 239

მდიდარი

იყო მონასტერთ ხემწიფე, მეტად დიდი კმელეთზედა,
 სასახლე და სადარბაზე ედგა ოქროს ბოძებზედა,
 ასი ზარი ზარ-კემუხტი იდგა ტახტად, იჯდა ზედა.
 ხაბაზი კარებს ჰკეტავდა შიშით პურის ცხობაზედა,
 მზარეული კორცს ვერ ნახამს კორცსა მარილ ხარშვაზედა,
 მელვინე ღვინოს ასომდეს, უზიარებო კვდებოდა.
 ქრისტემ კაცი გაუგზავნა: „დღეს მობძანდი ლოცვაზედა“
 „ლოცვისთვის სადა მცალიან, ვდგვევარ ბეჯით საქმეზედა,
 ასი-ორასი მუშა მყავს, იმათ ვადგავარ თავზედა!“
 გლახას მისცა ცალი ფული, ის გაგზავნა ლოცვაზედა.
 გლახაც ამას ეხვეწება:
 „მდიდარი კი აღღეგრძელე, მე დამიხსენ ცოდვისგანა“
 მდიდარმა სული დაღია იმ კვირას შუა ხანზედა,
 ჩოქსა ზის ბერი ნეზირი, ჩოქსა ზის ნარიყალზედა,
 ცხრაგან უთხრიან საფლავსა, წერაქვს ამტვრევენ ქვაზედა.
 მდიდარს ყელზედ ჯაჭვი მოსდეს, გადმოუშვებს ციხეზედა,
 გაწყდა ცოდვით რკინის ჯაჭვი, დაეცემა შარაზედა.
 აყროლდა კორცი მღებარე, შედიოდა მატლი ზედა,
 ვერც ყვავი და ვერც ყორანი, ვერც ჯინჭველა გადის ზედა.
 ხაბაზებსა ვინა ნახამს შეშით პურის ცხობაზედა!
 მზარეულსაც ვინა ნახავს მარილ-კორცის ხარშვაზედა! 240

ქვრივი

შენ მაღალო ხემწიფეო, გულქველო და პილატეო,
 ქვრივისა და ობლებისა მოწყალებო, გამამსხნელო!
 მეც ქვრივი ვარ, შემიბრაღე, არსითა მაქ მოგვარება,
 დღესასწაული მოგვიდის და მეც მინდა გახარება.
 სააღდგომით ტყე იმოსვის, მე კი ვერ ვიცვამ კაბასა,
 ვიყიდო, — ფასი არა მაქ, სიდან ვიშონი ფარასა! 241

*

ღვთისგან ნაკურთხი გვირგვინი სიყრმით გადგია თავზედა,
 მოწყალებით შემომხედე, ჯვარი დაგწერე თვალზედა!
 ქადაგება კი ნაცოდნა გადამეტებულ გვარზედა.
 შენ რომ კაბაი მიქაღე, ღღე გამოვიდა ოცია,
 შენი მტერი და ორგული ღმერთს ყველა დაუხოცია.
 ვარ დაღონების მწუხარე, ძვალზე მადნება ხორცია. 242

მ გ მ ლ ი

პატარა ვიყავ, ობოლი, მიბრიყვეს და მცემდნენ თავში,
 გუნებასა დევეკითხე: ადე, ბიჭო, წადი მთაში!
 პირველად მოველ ოსებში, იმათ მომიწონეს თვალში:
 „ეს კაი ბიჭი ყოფილა, მოდი ეს გავგზავნოთ ცხვარში;
 წინაც ქიზგა გაუღდევნოთ, ისიც მიუღდება მხარში!“
 ორლობეში გამოველი, იქა დგას პანტის ძირია,
 მივწექ და მიმძინებო, ტკბილათ მამსვლოდა ძილია;
 ორთავ თავ წამამდგომიყვნენ ქეჩო და ვივიშვილია,
 ამყარეს გულა-ნაბადი, წამართვეს ჩემი სტვირია. 243

*

სიკვდილმა ჩამაიარა, ობოლი დახვდა წინაო:
 „მე წამიყვანე, სიკვდილო, არავინა მყავს შინაო!“
 „მე შენ როგორ წაგიყვანო, ქემხიანთაას მივალო,
 ცხრა ძმანი გამდიდრებულან, იმათი გაყრა მინდაო,
 მინდა ისინი გაყარო, თავთავათ მივცე ბინაო!“ 244

მ მ რ ი

ქორწინის ერთი ბერი იყო, სათემოში ჩამოვიდა,
 გორელეზო, — გაუფთხილდიო, ახლა თქვენკენ წამოვიდა! 245

*

თრიალეთო, თრიალეთო, მანდ რომ ბერი ტრიალებსო,
თუ ის ბერი არ დაჰკოდეთ, ქალებს გაგიტიალებთო! 246

მღვდელი

(ერთი მღვდელი და მისი დიაკვანი, ოსებში, ხშირად ბატონებს იპარავდნენ. ერთხელ მღვდელმა შესვა დიაკვანი თავის ცხენზე და გაგზავნა ბატონის მოსაპარავად. ოსებმა დიაკვანი დაიჭირეს, ცხენი წაართვეს და გამოაგდეს. დიაკვანი რომ დაბრუნდა, მღვდელი წირვად იდგა. მღვდელმა დიაკვანი დაინახა, ველარ მოითმინა და გალობით გადასძახა:)

დიაკვანო, დიაკვანო,
ბაკაკაი რა უყავი?

დიაკვანმა გალობითვე უპასუხა:

მღვდელო, მღვდელო,
შენსა მადლსა,
ჰვიჰი ჰვიჰი იქ დამრჩაო! 247

*

მღვდელო, დარეკე ზარები, შაგირდათ მოგებარები,
ანაბანაიც მასწავლე, ლოცვაზე მოგეხმარები! 248

*


მარხვის ჭამას გვიჯავრდება ბესარიონ ჩვენს მღვდელი,
კიდევ სადმე დაითვრება, კიდევ გადმოაგდებს ცხენი,
კიდევ შაჰხვდება ჭალასა სამი შამშეული მგელი,
გასწევენ და გამოსწევენ, სულ დაჰვლევენ თმა და წვერსა. 249

*

მე ვარ მღვდელი ეგნატეო, უმალ ვიყავ მებატეო,
ერთი კაცი კი გავლახე, გავბერტყე და მივაგდეო,
ვგონებ პირველს დაუზბრუნდე, მღვდლობასაც კი მივატევეო. 250

თინიკია

თინიკია, ალე-მალე, ცალკე მზე და ცალკენ თვარე,
 შენი გული მოწამეა, ამხელა რომ მოგიყვანე,
 ისთე ჩემ კლავზე გაგზარდე, ძინიც აღარ წაგამწარე,
 უშობლის ხორცი გაჭამე, მოზვრის აღარ წაგამწერე,
 შავ დედლის ხორცი გაჭამე, მამლის აღარ მოგაკარე,
 ბრეწაულის ღვინო გასვი, წყალიც აღარ მოგაკარე,
 ფარჩა-ფურჩა შეგიკერე, ხამიც აღარ მოგაკარე,
 კახეთს ფოსთალი გიყიდე, მიწას აღარ დაგაკარე;
 იმ დაქცეულს შაფათ ლამეს ფეხშიშველი გამეპარე,
 თავი რათ გაიპარტვანე; თვალზედ ხელი მოიფარე,
 ქმარი აღარ მოიკარე, მიწაც მალე მოიყარე! 251



მ მ მ ი ა

სიცოცხლეში მოსახლობა გადასახადი ვალია.
 დედი-ალას ქალი ხავდა, ქვრივი გასათხოვარია,
 მოურავი გავუგზავნე, — კილამ დეიკლა თავია.
 სეიფიმა შეუთვალა: „იმას არ უთხრა ვარია,
 ჭური, მამული ბევრი აქ, მინდორი, მთა და ბარია“.
 ხასან-ბეგს ბევრი ეხვეწეს, ხანუმს უზიდეს ძღვენია:
 „აი საქმე მალე მოვრთოთ, ვინცხას კი მოკლავს მემია“.
 რამაზანი რომ დგებოდა, — ყველას მოგესწრა ბრევლია, —
 არაფა¹⁾ ლამე დაღამდა, შევყავ ჯამეში თოფია.
 გავარდა. სეიფ იყვირა: „ვაიმე, შვილო, გენჯია!
 სასიკვდილოთ არ მინდოდი, ხანუმს მოუტვდა ნესლია“²⁾.
 დედი-ალა ქალთან ტირის: „დამქვრივდა ჩვენი ფადია!“.
 რა გინდა, რას არ წაყვება, რომ წეიყვანდეს მემია!
 ამ ქვეყანას ვერ გაათხოვს, თუ დარჩა ჩემი ნესლია. 252

¹⁾ რამაზანის (საერთოდ დღესასწაულის) წინაღდე.

²⁾ ჯილაგი, თესლი.

სულ-ძმარი

ადექ ყმაწვილო, ლომისა მსგავსო,
 გათენებულა, ცისკარსა გავსო,
 შენი ტოლები ლოგინსა სძრამსო,
 ყელს გამოვიჭრი, ცოდვით აგამსო!
 — დაეხსენ ქალო¹⁾, მთვარისა მსგავსო,
 მოლალულია, ნამგზავრსა გავსო.
 — როგორ დავეხსნა, ჩემო ბატონო,
 სამჯერა ვნახე, მომკვდარსა გავსო! 253

*

ადე ქალო ზეზედა, რა დროს შენი ძილია!
 შენი ძილი, ჩემი ძილი მიხაკ-დარიჩინია! 254

ორი საყვარელი მყვანდა

ორი საყვარელი მყვანდა ერთმანეთზე უბჯობესი,
 ერთი მოდის, მალ-მალ მეტყვის: „მე ვჯობივარ, თუ რომ ისი?“
 — შენ გაქო და ის ვაძაგო, მე ხო გამიწყობა ისი!
 შე პირმზეო, გენაცვალე, შენ მთვარე ხარ და მზე ისი! 255

ბეწინა

კარგა ქალა გაუზღია მამასახლისს ბეწინასა,
 დილა კარზე გამოვიდა, გამოიჭერს თეთრ პირასა,
 დაკვრთულია მწყერსავეითა, ეძრახება მზეს პირასა,
 მაგსათანამც შამაგდებდეს ტუსალადა ერთ კვირასა!
 რა რიგ ღუმელს აუწევდი, ხევსური რომ ჭედილასა!
 კაწალხევს ვერ ვიარები, ბეწინა შემუქარება.

1) დედამთილი ეუბნება. რძალს.

რად იცი, მამასახლისო ბეწინავ, შორით პარება,
 თოფში რომ შასხამ ტყვიათა, წამალიმც გაგეპარება.
 თოფით რომ მემუქარები, — ვიცია მერე ხმარება?
 სადაც დაზადებ ნიშანსა, შენ ქალიმც დამეფარება! 256

საყვარელი დამიპარებ

საყვარელი დამეკარგა, მას აქეთა დღე ოცია,
 შე საწყალი სულ ქე ვტირი, თვალი არ მომიხოცია.
 ენა ჭიკჭიკ მერცხალს უგავს, ინდოეთიდან მოსულსა,
 ვინც ნახავს და არ მომიყვანს, ღმერთი ამოახთენს სულსა. 257

*

მილიციის კენჭი მერგო, გული დამიდარდიანა,
 ერთი საყვარელი მყვანდა, დაჰკრა ფეხი, გამივარდა.
 ხმელეთი შემოვიარე, ქართლის ხევი, იმერეთი,
 ქალები ბევრი ვნახევი იმ ჩემი საყვარლის მეტი. 258

მელიციის ჯარში

გავბრეყვდი და დავეწერე პირველ მელიციის ჯარსა.
 შე ვთქვი: კახეთს წამიყვანენ, შევისწავლი მთა და ბარსა.
 ქალაქში რომ მიმიყვანეს, მეძახიან ნაპრაფასა,
 ნაპლეჩო და ნაპრაული არ სცოდნია ჩვენს პაპასა.
 შევხედე ნაჩალიკებსა, ჩუმათ ამზადებენ ბარგსა:
 „უნდა წახვიდეთ პახოდსა, ნუ შეატყობინებთ ხალხსა!“
 ამას ხო გიჟიც გაიგებს, ვინც შეჰხედავს ამ ჩვენს ბარგსა:
 გუდა-ნაბად დაწაწკულსა და წრიაპა პატრონებსა!
 ოცდასამს აპრილს ჩავედით საომარსა ქობულეთსა,
 იქ დავვიჭრეს ურედნიკი, მოარტყეს მარცხენა მხარსა.
 ზოგი მოკვდა, ზოგი დარჩა, ვაი დედიჩემი ღმერთსა!
 კამანდერმა მოგვილოცა: „ყოჩაღ, დრუჟინ, მალადეცა!“

თქვენ რომ სულ თანა მყოლოდით, წავართმევდით ლაჯამეთსა,
დადგებოდა ჩვენი ჯარი, დააწყობდნენ ზარბაზნებსა“.
ეს შაირი სად გამოვთქევი? ლერწამის წყაროსთანაო,
ამ შაირის გამომთქმელი კოჭლი ბიჭია განაო. 259

პაროტნიკები

პირველ ჩინებს მოგილოცავთ პაროტნების ყარაულებს,
ქართლსა და იმერეთის თავადსა და აზნაურებს,
ოდიდგან გამოუსვლელად ქუთაისშიდ ნამსახურებს,
ჯილდო სწორედ გეკადრებათ, კარგად ჭამდით ჭადს და პურებს.
ერთობ მიკვირს, მეუფროსემ როგორ მისცა წარდგინება,
ან რა მიზეზზე ინება თქვენი ჩინზე დადგინება!
ვგონებ, იმით რა იქნება, რომ ქმნას კაცმა განჩინება,
ქუთაისს სადილ-ვახშამი, ნავახშობებს დაძინება.
ვხუმბრომ, თვარა დასტურ ვიტყვი, ჟამად იყავთ არა ცოტა,
რა მხნეობა გიწერიათ, მიჩვენეთ თქვენი გრამოტა, —
უშიშრად იარებოდით, სადაც იდგა ცხრაი როტა,
მადლობა ღმერთს, იმ თქვენ ჩხუბში კაცი გაძლომით არ მოკვდა! 260

სადნიკის¹⁾ ლექსი

იმერეთი მოგვანატრეს, დაგვალოცვიეს გურია,
ცხელებამ ტყლიპი დაგვიდო, ციებით წახდა გულია,
მინემდის ავიყრებოდეთ, აგერ წაგვივა სულია,
ყველა გავწყდებით, იცოდეთ, თუ ჩვენი წასვლა ტყულია.
.....²⁾
ვერც ვაძსგავსე წმინდა აფხაზს, ვგონებ არც არის ურია,

1) „სადნიკის“, ცხენოსანი მილიციელის, რომელიც აფხაზეთში ყოფილა.
ბანაკად.

2) სტრ. აკლია.

თავზე ხრიკი სჭირს ერთობით, ტანზედ ახჩობენ მუნია,
 მათ ნახელავზე წმინდა კაცს არ მიესვლება გულია.
 განათლებად მიაჩნიათ, თუ მოგართვეს ჭადი ღომად,
 დარიჩინის მაგიერად პიმპილს ურთვენ ერთი ორად,
 თავადი და აზნაური, დამერწმუნე, არ ღირს ღორად,
 ჩვენებური მოჯალაბე მცხოვრები ჯობს ერთი ორად.
 ჩვენებური არ ესმიან, გამეიღეს თავში ტვინი,
 შეგიპირებს, — მოგატყუებს, არ ქონიათ იმათ პირი,
 ქრისტიანი რომ წაშწყმიდეს, მარადის დღე იმას ვტირი,
 მარად ხელი უბეში აქვთ, მუჭით მოყავთ ყველას ტილი.
 რა გურიას გამოფშორდი, არ მინახავს ეკლესია,
 ხუცის ღარღილი რას ქვია, — მისი მადლი-შეგვეწია,
 ბრევლად ჯობდა აქ წამოსვლას ციმბირისკენ გაგვეწია.
 ლობიოს ვერ გიახლებით, წყალი მწყენს, ტყლიბსა ახარებს,
 მუდამ ქათამი — არა მაქვს, თნის ყველი გულზე მაქარვებს,
 უღვინოდ ღომისა მჭამელს, იფიქრე, რა გამახარებს,
 ასე გავსივდი მუცელზე, კამბეჩიც ვერ გამაქანებს.
 დიდის ხნიდან ჩემს თავს ვატყობ, მაქვს სიკვდილი ერთობ ახლო,
 ოჯახს კაცი არ მანახვებს, სახლეულობა რომ ვნახო,
 ამას ყველას გეხვეწები: სლაპოტკაში არ დამმარხო,
 ნაკურთხი მიწა თუ კი მხვდეს, მერე კაცმა აღარ მნახო! 261.

თილისძე

ლაშარს მოვიდა თილისძე¹⁾, გულდიდად დაჯდა კარიო,
 შამაეხვიენენ ფშავლები, როგორც ბატონსა ყმანიო:
 „შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო,
 დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცამდის გაუშვი ალიო,
 იქიურ დიაც-ყმაწვილი კალოთ გააღლეწე მკვდარიო,
 ნაკვეთაურის ციხესა შამაკსენ რკინის კარიო.“
 — თქვენ დამაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ ხატის კარიო,
 სამხვეწლოთ მამიყვანია თეთრი ორბაი კარიო;

¹⁾ მტერი ყოფილა ხოშარას სოფლის.

ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ¹⁾ მთანიო,
 უბისთავს²⁾ დანათლებიან თილიძის ცხენის ნალნიო,
 ან ვისი სკებდეს ბოძალნი, ან ვისი სკრიდეს კმალნიო,
 ბატონ ერეკლე მობძანდეს, ვისად დარჩება მკვდარიო. 262

წიქა ნაცვლად დააყენეს

წიქა ნაცვლად დააყენეს, გაუხარდა ქვეყანასა,
 პურადი კაცი ყოფილა, პატივსა სცემს სუყველასა,
 უფრო მალ-მალ პატივსა სცემს სვიმონას და ბასილასა.
 კალოზედ ჩაიბრაცუნებს იმ ქალიანთ ზაქარასა,
 არც მაგას დაიცილებდა ქოლიკაურს თათარასა.
 სპილენძის ქვაბი არ უძლებს, თუჯს უპირებს მოტანასა.
 გაზაფხული რომ მოვიდა, ყვავილ ასხამს ასკილასა,
 თესლი ველარ გაიტანა, ვერც შაადგა საფარავსა.
 „ახლა მაინც მომასესხე!“ — მოუვიდა წიწალასა.
 წიწალა ეუბნებოდა: „ველარ ვაძლევ ქვეყანასა!“
 ამაგის მოშაირეი სიონთ-გორზედა³⁾ ზისაო,
 მალი-მალ თოფსა გაღმართავს, ხალიზ მოუვლის ტყისაო,
 ირმებს კი არ ემტერება, ჯაფრი აქვს დაბეგბისაო:
 წიქასთან დაუბარებავ: ზორცი წაიღე მშვლისაო,
 მე უმარილო მეღვეა, შენ ყორე გიდგა ქვისაო. 263

ღერენაი ღალათაო

ღერენაი ღალათაო, ტანს მაცვია ხალათაო,
 სახლ მიდგას კიდურისთაო, წინ გამომიდის არაგვი,
 კახეთის კუთხე მიჭერა, ხელად ავიღე ქალაქი;

1) გამოვა მთა — თოვლი გადნება და მწვანე გამოვა.

2) მთა.

3) სოფელი.

ცხენი მყავ ყიზილბაშური, მხედრად არა მჯობს თავადი,
ავილე ცხენის იმედი, ვამბობ, — პახოდჩი გავარდი,
ვიცი ჯვარ-მენდალ ჩამისხმენ, თუ რუსის ხელში ჩავარდი,
მაგრამ იტყვიან ქალები, — ცხენ-მხედართ ორთავ..... 264

გადრღდა ცხვირათ ბერიძე

გადრღდა ცხვირათ ბერიძე, ტანზედ ჩაეცო თექები¹⁾,
სათრიელეთოთ გამართა, წინ გაიყარა ქეჩები.
თრიალეთ წასვლისათვინა ყოვილიც²⁾ გიკოცს ბატკანსა,
შე რომ ბედებზე³⁾ გახვიდე, კიდსანს⁴⁾ ჩაგიგდებს წალკასა.
შენმა მზემ, ველარ აშივტე⁵⁾ მაგ შენ ნაზიდევ ფარჩასა,
ამამაგდებენ დილითა, გამამაგდებენ სამკალსა,
ბევრი რო ვისმე ვებვეწო, არ გამილესვენ ნამგალსა;
ჯალაბს რომ მაგას ვეტყვი კე⁶⁾, მაგას ვაშავებ, — სხოს რასა? 265

ჩივიან ქვიშკეველები

ჩივიან ქვიშკეველები, — ფური გვყავ შემოჩვეული,
ალარ გაუშვა ყანები გაზაფხულისა სთვლეული.
ბოჭორმას კაცი გაგზავნეს, ბატატი ყვავის წეული,
ქვიშკევს ერთს მუხლათ მოვიდა ბოჭორმით გამოქცეული,
დეკეულ ამოუჩნდება ძალაში ამოთრეული.
ბატატიმ წამოუქადლა, ესროლა წამოწეული,
ე მაგას დაკრავს, ფურბერწო, ბატატის გამოსრეული. 266

¹⁾ ტყავი

²⁾ პირუტყვის სენი

³⁾ ბედზე.

⁴⁾ ხიდებს.

⁵⁾ ველარ აშივტე — საბარგულს ველარ შოულლობო.

⁶⁾ კე — კი.

მე რომ თქვენსა ვიყავი

მე რომ თქვენსა ვიყავი, ოტკა მასვეს ბევრია,
 თქვენიდგან რომ წამოველ, გზას მეძინა ბევრია,
 ძილში სიზმარი ვნახე, — მან მიცვალა ფერია.
 ავდეგ და შინ წამოველ, დამხვდა დედაჩემია:
 „შვილო, რა დაგმართვია, გაძევს სიყვითლის ფერია“
 — დედავ, შინ შემიყვანე, სათქმელი მაქვს ბევრია,
 დედავ, მე ხო მოვკვდები, სავლელი მაქვს ბევრია,
 დედავ, დამიპატიჟე გლეხი, კნიაზი, ღვდელია,
 პურ-მარილი მიჭამე, ღვინო ლალის ფერია.
 ეხლა კი მიმაწვინეთ, მომწყდა ეხლა წელია! 267

სტუმარ-მასპინძელი

აი, შე ოსიტაშვილო, ზიხარ ნაოზის ჭალასა!
 სამოცი კაცით მოგივალ, მე ვნახამ შენსა მარანსა!
 — სამოცი კაცი რა გახდა, თუ კი არ მორეკ სამასსა?
 აგრე გაუხდი საქმესა, ხელით ეძებდე ალაგსა,
 ლოგინებს ველარ ჰპოვებდე, ეზიდებოდე ჩალასა! 268

*

გაღმიდამ გამოგესახლე, მე ვარ კიკნაძე ბერია,
 სამოც უღელა ხარი მყავს, სულ ეჟანა და ჭრელია,
 სამოც უღელა მოზვერი, სულ კალოს მოსასვლელია,
 სამოცი ფურ-კამბეჩი მყავს, სულ კასრში დასაწკელია,
 სამოცი შინათ რძალი მყავს, სულ აკვან დასარწვევია,
 სამი ათასი ცხვარი მყავს, თან მიაქ მთა და ველია,
 მას მიზღვეს ხუთი ნაგაზი, ვერსად წაუვა მგელია,
 სამი წისქვილი მიბრუნამს, სამოცი სოფლის მფქველია,
 წყალში ფაცერა გამიბავს, თევზი დაჭერას ველია,
 სახლში მყავს გულის სტუმარი, მჭადი ვარ მასპინძელია. 269

*

შოშხას რო დედაბერია, აი ის მართლა მგელია,
 მე რო სახლში შემიყვანა, მაშინ ჩააგდო კვერია,
 გამოცხობას ვერ ვუცადე, წაუწყდეს მამის სულია;
 მე რო კარში გამოვედი, ნუგუზ დაავლო ხელია,
 პირალმა ამარბენია, თავდაღმა ჩამარბენია,
 მაშინდელ შეშინებულსა ახლაც არა მაქვს ფერია,
 საცლა ვიშოვნე ნაგერა, სულ მთელი დამაბნევია. 270

*

დიაცი შადის და გადის, ცამ ნისლი აიყარაო,
 სტუმარი არსად არ მიდის, მჭადს სული გაეპარაო! 271

*

შაშვმა დეიწყო გალობა,
 ვინც რომ კვერი არ მიწყვიტოს, დეიწვა მისი ქალობა! 272

ავი სამართალ დაგვიდგა

ავი სამართალ დაგვიდგა თუშსა და ფშაველ-ხევსურსა,
 სხოს რად არ გაგვიმწესებენ ყალამბეს გარდა მსახურსა,
 აღარ გუოწვენენ წაწლებთან კიკიმო გამოშვებულსა,
 ვინც რო დაწვება, ართმევენ ოცდახუთ მანეთ-თეთრ ფულსა—
 რას გვიშლი ბლალოჩინები ქალებთან წოლაჰ და ძილსა,
 განა მაგა[თ?]სა ჰკიდებენ ქალებ თავის საბარგულსა?
 შემამეყრება წაწალი, ჩაჰკვიდინებს, დამწვავს გულსა! 273

ჩახერისძე ლორსამია

ხევსურნ, წავიდა თქვენი დრო, ახლად შეგეხსნათ ხმალია,
 დაგიჯდათ მოსამართლეთი, ორწყალთ მოგტაცათ კარია,
 მანდ დაიბარა ქალები, ვინც დაიწუნა ქმარია;
 ხელცალე ნუვინ მიუა, ქალებ მიართონ ქრთამია,
 სამართალს ჩაქად გაუჭრის ჩახერისძე ლორსამია. 274

*

წინავ გითხარ, ჩახერისძევ, ხევსურებს აწ ერიდეთ,
 არდოტით გამოგაქციეს, არდოტს ჭალა გრძელი ძეო,
 მოგეწივნეს და მოგადვეს ჭალაში რაც ძელი ძეო.
 მთაზედ შემოხვედ, თავს დასწყევ: „ქვემც დაილევს ჩემი ძეო,
 რაც რომ მედვა, სულ გამცვივდა, ჩემ მუცელში რაღა ძეო“,
 ეხვეწება ნათლულებსა: „არიქ გამიღულეთ რძეო“. 275.

ფუხარას მოკლეს

დაგვას¹⁾ ფუხარა²⁾ რომ მოკლეს, თლათ ქვეყანა გარეზილდა³⁾,
 ვორი ძმაი შიშმანოლლი ღმერთმა ადრე გამოსწყვიდა, —
 რას ერჩოდა იმ ფუხარას, რომ არ ეცვა ფეხზე წინდა!
 ხელით ველარ მიერია, ამეილო ყამა⁴⁾, სწყვიდა,
 ჯიბეში ფარა წაართვა. რომ გიეშვა, რა უჭირდა?!
 ფუხარა ევლია⁵⁾ არის, ბელქი⁶⁾ იყო სულიწმინდა!
 რაც კაცმა რომ იგი მოკლა, ჯეხენნებში⁷⁾ იწვის მიზდა.
 ვორი ძმაი შიშმანოლლი დევნახვიდი⁸⁾ — ყოლგან მძულდა,
 გარედან კაცი მეგონა, თურმე იყო შიგნით ხურდა.
 იმის ქნას — ლორი ეჭამა და შეესვა ღვინით გულდა!
 ოქრო და ვერცხლი ეგონა, არ დაურჩა ვორი გროში!
 იმას ძაღლი არ დაყუფდა, ძარებოდა ვითა ქოჩი⁹⁾,
 ყამის წვერით რომ დაჩეხა, ხდომ არ იყო ლორის გოქი!
 დაგვასა რომ კაცი მოკლეს, არ ვიცი მისი გვარია;
 ვინცხა კაჟ ბიჭი მეგონა, თურმე ყოფილა მთხვარია!¹⁰⁾
 სიმინდებსაც თხონილობდა, ზრუგში¹¹⁾ ეკიდა ჯვალა¹²⁾,
 ენას ვერა მიგახტენდა¹³⁾ საწყალობელი ლალია¹⁴⁾.

1) სოფელი.

2) დარიბი.

3) თავსლაფი დაესხა.

4) ხანჯალი.

5) მადლიანი.

6) იქნება.

7) ჯოჯოხეთში.

8) დავინახავდი.

9) ბატკანი.

10) მათხოვარი.

11) ხურგში.

12) ტომარა.

13) მიგახვედრებდა.

14) ენაბლუ.

ერთი ბიჭი შიეყარა, ქი დაემსხვრია¹⁾ გზაშია,
 მას ჭკვიანი არა იქდა, ბელქი და იყო მთვრალია.
 გამჩენს რაფერი კაცი ხავს²⁾, რაფერ დაპილწა გვარია!
 ასწიეთ და გააგზანეთ, თუ კაი სამართალია!
 დაგველებსა რომ უქნიათ, ტყულაჲ მოუკლან დილენჯი³⁾;
 თეთრი ფარა⁴⁾ ხომ არ ქონდა, ჯიბეში ქონდა სპილენძი,
 რაც კაცმა იგი მოკალი, კაცათ ყოფილხარ ერინჯი⁵⁾,
 მთხვარი რაფერ მოიკლება, საწყალობელი, გეზგინჯი!⁶⁾
 საცოდვათ იარებოდა, ზრუგში ეკიდა ზემბილი⁷⁾,
 სათხვარათ არ წევიდოდა, რომ ყოფილიყო ზენგილი⁸⁾.
 მთხვარი რაფერ მოიკლება, საწყალობელი, სეფილი!⁹⁾
 დაგველებს რომ დაგიჭერვენ, ვინ დაგიდგებათ ქეფილი?¹⁰⁾
 ღმერთო, ადრე მოიკითხე, ვინაც რომ მოკლა მთხვარია,
 ჯიბეში ფარა წაართვა, იქვე დააგდო მკვდარია.
 მე, ძიავე, ტკბილათ გასწავლი, — აწე აღარ ქნა მაგია,
 მაგი ფარაც მოიტანე, — გადასახადი ვალია! 276

ბ ი მ კ ა

ციცკაი კობით წამოვა, წინ გაიძლოლებს მტერსაო,
 ივანწმინდას რომ ჩამოვა, ციცკამ ცხენს მოუჩქარაო,
 შაისხა თოფ-იარაღი, ღმერთმა — ვერ შეუკდესაო.
 „აქით მობრუნდი, ფასია, სადლა მიიქნევ ხელსაო?
 შენი ვალები მეკიდა, უნდა გავსწორდე დღესაო!“
 — ნუ მამკლავ, ძმაო ციცკაო, შენი დედმამის მზესაო,
 ჩემს წილს დუქანსაც შენ მოგცემ, ეხლამ მოგიწერ ხელსაო.
 „აი, შენ თოქო¹¹⁾ სომეხო, ხმალ, [თუ მოჰკიდებ ხელსაო¹²⁾].“
 ციცკაის თოფი გავარდა, სისხლი მაკდება კლდესაო.
 „ნუ გეშინია, ფასია, მე ვერ შეგაქმევ ზგელთაო,

1) ძალიან ეცემნა.

2) ჭყავს.

3) საწყალი.

4) ფული.

5) ვაგლახი.

6) მაწანწალა.

7) ჩანთა.

8) მდიდარი.

9) უწყინარი.

10) თავდები.

11) მშიშარა.

12) აქ სიტყვები აკლია.

ყარაულად დაგიყენებ ორიოდ გველათელთაო;
ძმებსაც მე შაგიტყობინებ, — ფასია ა იქ წევსაო,
ძალიან ხშირის ძილია, არას გააგებს ფქვენსაო,
ფულსაც ლამაზს შაგინახავს, ხელზე დაგიბავს ცხენსაო“. 277

მამუკა სამანელია

მამუკა სამანელია ტკბილი და საყვარელია.
ადგა, ცოლშვილს დაეკითხა: „სიზმარი ვნახე ძნელია,
წადი, ბიჭო, მომიყვანე ჩემი თამაშა ცხენია!“
წიფლის შეღმართს რომ შეუდგა, დასვდა გედეონ მტერია,
თავი მოსჭრა, წინ დაუდო,
წელზე ქამარი შამოხსნა, — ასი თუმანი სწერია. 278

შენ გიორგი, მეფის შვილო

შენ გიორგი, მეფის შვილო, შენი ცხენი ხვიოდაო,
ლაგამსა და უნაგირსა მარგალიტი ჰცვიოდაო.
თუ შენ, ცხენო, მომიკვდები, სამ წელიწადს პურს არა ვჭამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა, გამტკიცული პურის მეტსა,
ღვინოს დავლევ ლალის ფერსა, გვერთ მოვისვამ ლამაზ ქალსა,
ხელში მივცემ ვერცხლის თასსა,
შიგ ჩავუგდებ უზალთუნსა, ვაკოცებ და ვუზამ თვალსა. 279

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო,
წმინდის გიორგის კარები როგორ გააღეო?
— ხელი შევყავ, ვაჩხაკუნე, კლიტე გავტეხეო,
შიგ ხატები დავიპარე, ოსეთს გავყიდეო.
იქიღამა წამოვედი ხელშეკრული ტყვეო,
უკან დედ-მამა მამძახის: „ვაი, დამიცადეო!“ 280

მს წინდის ჩხირა ელია

ეს წინდისჩხირა ელია საპოხებია, გძელია,
 კოკოლაშვილსაც მოჰპარა თავი წითელი ცხენია,
 დუქნი კარებზე მიაბა, ბლომათ აჭამა ქერია,
 ტიკებ წყალი გამაავლო, — „ეს არყის ჩასასხმელია!“
 დილა აღრიან შეკმაზა, — „ძეგესა ვარ წასასვლელია!“
 ზუთი მანათის ნავაჭრმა კარგა დაჩაგრა ცხენია,
 რომ მათანა ვიწროებს, — „აქ საფიჩხულე ჩვენია!
 ავდგე, წავიდე ბერშევეთს, ღვინოები მაქვ ბევრია,
 ორმოცი კოკა ახალი, სამოცი ძველი-ძველია,
 იმასაც არი გავყიდი, ვალსაც მოვწყვიტამ წელია“.
 კოკოლაშვილმა გაიგო, მუხლებს დაიკრა ხელია,
 ამხანაგს უთხრა: „მოსია,
 კაი ძმა კაცი ბძანდები, შენ უნდა მიზლა ცხენია“.
 „მე ვერ გიზლამ [შენსა] ცხენსა, ჩემიც ბევრი წაიღესა!“ 281

შუბაშოვი

ეს მიხაკო შუბაშოვი კაი არის დარდიმანდი,
 ერთი მისხალი ჭკუა აქვს, არც გონება ერთი დანგი,
 იმან თავის გონებითა უდროოთ მოიკლა თავი,
 ორი კარგი ბიჭი მოჰკლა, თავზე ადევს იმას ვალი.
 შაბათი დილა გათენდა, მძიმედ დაიბარცხნა თავი,
 პალიტო რომ წამოისხა, დუქნისკენ მიდის საწყალი.
 დუქნის კარი რომ გააღო, კარზე მიადგა კვარტალნი,
 კვარტალნს ვილა იჩივლებდა, — შვიდი დრაგუნის სალდათი!
 გადმოხტა და ეუბნება: არ ვარ მე მაგაში ბრალი,
 წუხელ ნიშნობაში ვიყავ, იქიდან მოვდივარ მთვრალი!
 „წამო შენა, ავო სულო, ფრანგი დაქერილი არი!“
 ხელები უკან გაუკრეს,
 ფეხში ბორკილი ჩაუგდეს,
 დუქანს ბარაბა აუგდეს,
 კლიტეს პეჩატი დაუკრეს,

ყველამ მასხარათ აიგდეს.
 ცალი თავი გადაჰპარსეს,
 გულზედ ფიცარი მიაკრეს,
 მთლათ ქალაქი მოატარეს,
 თავის სწორში შეარცხვინეს! 282

ფირალი

ათას ოცდასამ ცხრაშია(?) შევიქენი ფირალია¹⁾,
 დღეში სამოცჯერ მომნახვენ ხვანთქარი და ყირალია²⁾,
 გურიაში ვინაც დოსტი³⁾, — სულ ყველაყა მტირალია. 283

კატიმარი

ფოდრაჩიკობა დავიწყე, ლიხხეთს⁴⁾ მიმქონდა პურია,
 ეს ბიჭია ჩინჩიბური ციხეში გაჭიმულია,
 შინელი კარგი აცვია, სიცივის არ ეშინია,
 არყანოვის პურიცა აქვს, არც შიმშილის ეშინია,
 შვილები გვერდით უსხედან, იქ როგორ მოეწყინება?
 თუ აქ ქალი ვერ იშოვნა, ციმბირში დაქორწინდება,
 გაიოზამ შეუთვალა: „არ ვარ შენი მადლიერი,
 ცხრა თვე ციხეში ჩამაბი, ღმერთმა გიყოს მაგიერი!“ 284

*

ათას ხუთას ოზდაცხრასა მე შევემთხვიე ბელასა⁵⁾,
 ჩემიანებს მომაცილეს, საყვარელსა და ნენასა.
 ვჯივარ მარტო მოწყენილი, ვერ ვამბობ ჯავრით ენასა,
 ვინც აქიღამ მე მიშველის, მოწყალე მისცემს ლხენასა.

1) ყაჩალი.

2) რუსთ ხელმწიფე.

3) მეგობარი.

4) სოფელი.

5) ხათაბლას.

ბრევალ¹⁾ წყალობა მოგვივდა ოზურგეთიდან ბრძანება,
წავიკითხე და წავედი, — როგორ შემეძლო ვარება.
ვინცხა რუსი დოჟრჩიათ, ის არის ჩვენზე ბრალემა.
მე რომ რუსი გამეცვითა, ხომ არ დავტევდი ფართალსა?
რაღ მიდღემჩი²⁾ დამმართია, იმასაც ვიტყვი მართალსა.
ათ-თუთხეტ კაცს გავუძლებდი, — თლათ დემესია, ღუნია!
რა ოხრათ დამატევიეს ჩემი სამშობლო გურია!
დიდმა-კაცმა, ნაჩალიკმა, გაძიჯავრდა და დამფახა³⁾.
შავი კაძახი ჩურჩუტობს. იმას ჰკითხეთ, მე სა მნახა?
მისმა ეშმაკმა დალახრა!⁴⁾ 285

გულ-ყირმიზა⁵⁾

ტყეში წასვლას ვემზადები, წივზე მაცვია ზანკალი⁶⁾,
თოფი ხელში მიკავია, ალესტეთა⁷⁾ ვარ დამდგარი.
გულ-ყირმიზამ შველი მოკლა, მოვიდა ახირ-ზამანი⁸⁾!
მუსლიმანი მაინც არ ჭამს, — ზრუგში⁹⁾ არ ქონდა ბალანი,
სამ-ოთხ დღიდან გონჯა¹⁰⁾ იყო, თიკანს შრებოდა ზავალ¹¹⁾.
დიდ-კაცთან მისატანია იხვი, ინდოვრი, ბატია,
გულ-ყირმიზა მკვდარი ვნახე, — რაფერ უშველოთ დამტია!¹²⁾ 286

სურამის ციხე

ეს გივი ამილახვარი მტრის ენამ შავვიშალაო,
სამკვიდრო დიდი დაადლო, სამთავის-რცხილოს ჭალაო,
სურამის ციხე ააგო, სულ ცამდინ აიყვანაო, —
ჩქარა ჩამოდით, თათრებო, ქალბი ავილოთ ბარაო, —

1) მრავალ.

2) ჩემდღეში.

3) დამტუქსა.

4) დასწყეელა.

5) კაცის მეტსახელი.

6) პაიჭი.

7) მზად, ყოჩაღათ.

8) მეორედ მოსვლა.

9) ზურგზე.

10) ავად.

11) საწყალი.

12) დამტოვა.

სამი წისქვილი აკეთა, შიგ წყალი შაიყვანაო.
რა მიყო ჩემმა პატრონმა, სამარე გამითხარაო,
სამარე ვიწრო მოვიდა, გვერდები ჩამათალაო,
ჩემი გვერდების ნათალი უბურობაში ქამაო. 287

*

საბრალო ამილახვარი მტრის ენით მოითხარაო,
ააგო სურამის ციხე, ცათამდინ აიტანაო,
გარს გალავანი შეაგლო, კოშკები დაატანაო. 288

*

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არი, კარგათ შემინახეო,
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, ფეხამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, მუხლამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, გულამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, ყელამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, თავამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე დედავ, გავთავდი!“ 289

*

სურამის ციხევ, სურვილით გნახე,
ზურაბ შვილი რა უყავ? კარგათ შამინახე!
თუნგით წყალს მოგიტან, პირი დააბავინე,
ქერის პურსა ნუ მიჭმევ, წმინდით შამინახე,
ქალამნებ ნუ ჩააცმევ, წაღებითა მიტარე.
შვილო ზურაბ, სადამდინ? „ვაიმე დედავ, მუცლამდინ!“
შვილო ზურაბ, სადამდინ? „ვაიმე დედავ, გავთავდი!“ 290



სიზმარი

- „წუხელისა სიზმარშია, ნეტავ დედავ რაო?
თვარე დაბნელებულიყო, ნეტავ დედავ რაო?“
— შენი წუთისოფელია, ვაჰ შენ დედასაო!
- „წუხელისა სიზმარშია, ნეტავ დედავ რაო?
ალვის ხე წაქცეულიყო, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი ტანი არის, ვაჰ შენ დედასაო!
- „წყალსაცა ყუთი მიჰქონდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი კუბო არის, ვაჰ შენ დედასაო!
- „შიგვე იყო ერთი ბოხჩა, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი მორთულობა, ვაჰ შენ დედასაო!
- „გვერდით ჰქონდა თეთრი ტილო, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი სუღარაა, ვაჰ შენ დედასაო!
- „კარებზე დგას ალვის ხეო, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი ტანი არის, ვაჰ შენ დედასაო!
- „იმას ჰქონდა ორი ტოტი, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი ხელ-მკლავია, ვაჰ შენ დედასაო!
- „იმას უჯდა ორი მტრედი, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი და-ძმანია, ვაჰ შენ დედასაო!
- „გალმით ირემი ბლუოდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, მამაშენი არის, ვაჰ შენ დედასაო!
- „მინდორში ძროხა ბლუოდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი მშობელია, ვაჰ შენ დედასაო!
- „ცაში ჩიტი მიფრინებდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შვილო, შენი სული არის, ვაჰ შენ დედასაო! 291.

გენაცვლებიან

იძერეთს გენაცვლებიან ქუთაისი და ხონია,
ქალაქს შენ გენაცვლებიან კუკია-ავლაბარია,
სუნთელი შენ გენაცვლება ციციონ-ბარათიანი, —
ვინ მამაძალდი არ გაქებს ცოლ-დედა თავლაფიანი, —
გორში თენგუდისშვილები, ხერთუმანს თუმანიანი,

მუხნარში მუხნარიანი, ავჭალას გურამიანი,
ქალაქში ყაფლამიანი, მანავში ჩერქეზიანი,
ფხოში ენდრონიკიანი, კარდანაღს ბენბურიანი,
კოლაკს ოზენაშვილები, ვეჭაქს აბაშიძიანი,
ირკოკში ერისთვიანი, ჩუბლაყში ავალიანი,
ახაშენს გიჟისმყრელები, ყვარელს ჭავჭავაძიანი,
ახატენს გალობლიანი, ქისტაურს ერისთვიანი,
ოჟიოს საქარიანი, ართანს კართალასშვილები,
თელავს ყოშიბარიანი, ჩალაურს გველესიანი,
ქისის ყვედინიშვილები, კონდორში მუშრუკიანი,
წინანდაღს მამუჩრიანი, ხოდაშენს გოგნიაშვილები,
ვანთას ჯაფარიძიანი, კალაურს თალხნისშვილები,
საშიანს ქემხისშვილები! 292

რორცა აშენდა მანგლისი

რორცა აშენდა მანგლისი, წყალი მოუგდეს მილითა,
[თეთრათა ლესეს სახლები ქვიშანარევი კირითა,]
შიგ დასვეს ქალი ლამაზი, მჩხილებს იღებავს ინიითა.
თრიალეთს თურმე მეცხორეს წყალი თან დააქვ ვირითა,
[მეცხორე რო შაეჩვია, ყველი უზიდა პინითა.
შაჰბედა: „ქალო, ნეტავი შენთან გამაძლო ძილითა!“]
ქალმა შასწყევლა მეცხორე თავის ცხვრითა და ბინითა:
[„მეცხორე, ცხორი გაგიწყდეს შიგ დარეული ვირითა,
მთაზედა ველარ წახვიდე შენი ძრიელი ბინითა!“]
ახლა მეცხორემ შასწყევლა თავის ცოდვილის პირითა:
„ლეკებიც დაგიტაცებენ შენის ქმრითა და შვილითა,
მაგდევდეს ბიჭი მეცხორე, ფული მახქონდეს პინითა,
დაგიხსნას, გამაგიყვანას, შინ მიგიყვანას რხინითა!“ 293

1) ლხინითა.

ორმოში უმჯვი ჩაყყარე

ორმოში ფეტვი ჩაყყარე შესანახათაო,
 შიგ წვიმა ჩამოსულიყო დასალპობათაო,
 ამოვიღე და გავფინე გასაშრობათაო.
 ღობეზედ ჩიტი შემოჯდა ასაკენკათაო,
 ჩიტსა ჯოხი წამოვკარი მოსაკლავათაო.
 ჩიტი ბატონთან წავიდა საჩივლელათაო,
 თან გზირები მოიყოლა დასარბევათაო,
 წიშა ხარი გაიყვანეს დასაკლავათაო,
 დიდი ქვევრი ამიხადეს დასალევათაო. 294

ხოშიაო, ხოშიაო

ხოშიაო, ხოშიაო, შენი კაბის არშიაო,
 გავლასა და გამოვლასა, გაწყობილსა ტანშიაო!
 „მაზლო, ერთი შემამხედე, როგორ მადგა ტანშიაო!“
 გავკარ ხელი, გაჭიხადე, ჩავდე ზანდუკაშიაო,
 ნაპერწკალი ჩაჰყოლოდა სახელ-აზლუტაშიაო.
 დილაზედ რომ თავს ავხადე, ფერფლი მეცა თვალშიაო,
 დავჯექ და ბევრი ვბტირე იმ ოხერ დარბაზშიაო.
 დედამთილი შემამესწრო იმდენ ამბაებშიაო,
 წავიდა და ხმა დაყარა ხოჯის აბანოშიაო. 295

ქალო ანაო, ბანაო

ქალო ანაო, ბანაო, ხელპირი დაგებანაო,
 შენი ხელპირის ნაბანი ავჭალას ჩამომდგარაო,
 ერთი ავჭალა ავსილა, მეორეს გადამდგარაო,
 შიგ დიაკვანი დამხვალა, საბრალო დედის ერთაო.
 მისი დედა მარიამი შეკმახულიყო შავითა,
 წინ კაცი შემოეყარა: „დედავ, სად მიხვალ შავითა?“

„ნეტავი არა მკითხამდე, შვილი მომიკლეს ძალითა!“
 აიარეს, ჩაიარეს, წყალში ეძებენ ჩანგლითა,
 იპოვნეს, გამოიტანეს, ხეზედ დაჰკიდეს საბლითა,
 ჩამოვარდა და დჰიმტვრა ხმელი რამ ჩინჩხვარივითა. 296

სანადიროსა წავედი

სანადიროსა წავედი ქორითა და მეძებრითა,
 ასეთ ციხეზედ მივედი, მზეც არ მიადგებოდაო,
 იმაში რომ ქალი იჯდა, ღმერთო მიეც დიდი დღეო-
 ლაინისა კაბა ეცვა, დავხიე და დავლარსეო,
 მალლა ჯიხურ გადმოვკიდე, ქვეშა დევიალაგეო.
 საჯინიბო შევისწავლე, შავი ცხენი ება ზეო,
 გავაზე ხელი ვადუსვი, უნაგირი ედგა ზეო,
 შევჯედი და გავაჰენე, კარქა გამიტანა მეო.
 ვიწრო გზა გავარბენიე, მიწდორი უფრო ჩქარათო.
 წინ ჩიტი შემომეყარა:
 დაჯედ, ჩიტო, და მიანბე ჩემი სახკარის ანბავი!
 „რა ვითხრა და რა გიანბო,— შენსა ცოლსა ათხოვებენ,
 თუ მიუსწრებ შენი არის, თვარა გაგივლის ფარათა“.
 წისქვილში რომ ქალი იჯდა, ღმერთო მიეც დიდი დღეო,
 ერთი რომ მისთვის მეკოცნა, არ მიხილებდა მიწანი,
 დათვი შემეჭამდა ტყისანი, ჭინჭარი ფოლოცისანი.
 მე გიორგი ბახტურიძე დაბადებიდან მქვიანო,
 ცოლის ქორწილს შევესწერი, ბედიც ამასაც ქვიანო:
 „ადე, ნეფე, კარში ვადი, დედოფალი ჩემიანო“.
 — და შენთვის მომიციაო! 297

ელი ელამდაო

ელი ელამდაო, ზღვა ფიფინებდაო,
 ზღვისა პირასაო კარავი იდგაო,
 შიგ ქალი იწვაო, ზარი ეხურაო.

ზარი ავხადერ, სამი ვაკოცეო,
 სამმა კოცნამაო ფერი უცვალაო,
 ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერაო.
 ვის გაუგზავნაო? — დავით მეფესაო.
 რა მოუვიდაო? — დიბა-ზარბაბიო,
 რითი გამოსჭრაო? — მაკრატელითაო.
 რითი შეჰკერაო? — ბროლის თითითაო.
 რითი ჩაიცივაო? — სიხარულითაო.
 რით გაიხადაო? — ხორცაგლეჯითაო.
 რითი გარეცხაო? — მცხარე ცრემლითაო.
 რითი გააშროო? — ნიავ-ქართაო. 298

თავფარავნელი ჭაბუკი

თავფარავნელი ჭაბუკი აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა,
 სავლელათ ედვა შავი ზღვა, გასვლას აღარა ზარობდა.
 ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
 ერთი სულძალი ბებერი უქრობდა, ბობოქარობდა.
 ზღვასა ვაჟკაცი დაეხრჩო, ზღვა იქით-აქეთ ქანობდა,
 იმის თეთრ ძუძუ-მკერდზედა ზედ იჯდა ორბი, ხარობდა. 299

რიკი-რიკი ფაფარიკი

რიკი-რიკი ფაფარიკი, აბზინტა და თოხარიკი,
 კატა გადახტა რქიანი, ბიჭი იარალიანი.
 გადავხტი მეზობლის კარსა, თოფი მოვარტყი ტყვიანი.
 დედამთილი მეუბნება: „რათ მოჰკალ ქალ-ბიჭიანი?“
 მიუბრუნდი რიკოვითა, ბიჭი შეეკენ გვრიტივითა,
 მენახირეს მივაბარე, — „არ მომიკლა სიცივითა!“
 უშობელსა წიხლი ეკრა, გაეხადა ტიკივითა,
 ტიკი ტიკათ გამომადგა, პოლორჭიკი საკრავათა. 300

სოლომონ ბჰანა

სოლომონ ბჰანა: იესო, შენ ღმერთო გამაჩინეო,
ხელ-კლავში ძალა მომეცი, მაცოცხლე, დამარჩინეო,
ქვრივი-ობოლი აცხოვრე, ბრმას თვალი აუხილეო,
სამი წლის ხმელი მამალი ხეს შესვი, დააყივლეო. 301

ნუ ეძიებ წელსა ჩემსა

ნუ ეძიებ წელსა ჩემსა, ვერ მიხვდები ანგარიშსა:
კნიაზ მათეს მეძახიან, ნატუსალას ძმასა თვისსა,
ემბროსს ვახდი განუყრელათ, არ ვეძებდი სხვასა ბედსა,
ადამ იყო პაპა ჩემი, მასა დავრჩი სამის წლისა,
ენუქის და ილიასი ვარ მარწებელი აკვნისა,
სოდომს ცეცხლი წაეკიდა, დამსწრები ვარ იმა ღლისა,
ვინც რომ იქ მიჯნური მყავდა, ვსწუხდი მისთვის, — დაიწვისა,
ნოეს ხელში ხურო ვიყავ, მაშენებელ კილობნისა,
წყლისა ღრვნასა მოვესწარი, წვერი მქონდა გარნახისა,
ქრისტეს მოსვლის უწინარეს ვიყავ სამას სამის წლისა. 302

ანბანთ ქეჟა

აღვსილხარ, ყოვლად წმინდაო, ყოვლის მადლითა უფლისა,
ბაღჩა ხარ, აყვავებული, სადგომი სულის წმინდისა,
გაბრიელის ხარებითა მოგვევლინა ძალი ძღვთისა,
დედა ხარ იესო ქრისტესი, ქალ ზეციერი მამისა,
ემანუილ შენგან იშვა, მიზეზი ჩვენის დახსნისა,
ვარდი ხარ მეტათ ლამაზი, მოსაწონარი უფლისა,
ზიხარ მუდამ შენ ძესთანა მეოხად ცოდვილებისა.
ღსრეთი ვარ მე, ცოდვილი, მუდამ შენის წყალობითა,
თვალი შენი ჩვენზედ იყოს, არ გვეშინოდეს მტერისა.
ისი ძუძუ დაილოცა, რომ აწოვა ქრისტეს პირსა,

კურთხეული ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
 ლამპარი ხარ ნათლოვანი და ვარსკლავი ცისკარისა,
 მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
 ნეტარედი ხარ, მარიამ, კარი განგვიღე ზეცისა,
 ორნი გზანი მიგვაჩნია, გვიწინამძღვრე სამოთხესა,
 პილწსა ეშმაკსა ნუ მიმცემ, შემავედრე მაცხოვარსა.
 ჟამი იგი დაილოცოს, რომ შენ იქენ დედა ღვთისა,
 რა ღირს ვარ, რომ მე შენ გაქო, თუ შენ არ მომცემ იმედსა!
 ხანთელი ხარ ნათლოვანი, გამნათლებელი ბნელისა,
 ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმსგავსებული მტრედისა,
 უშენოთ არ შემიძლია ხილვა წმინდის სამებისა,
 ფარ-ფორთლოვანი ვარდი ხარ, სუნი გაქვს უკვდავებისა,
 ქვეყნისა ანგელოზი ხარ და ვარსკვლავები ზეცისა,
 ღრუბელი ხარ უწვიმარი, წვიმა ხარ შვიდ მაისისა,
 ყოვლისფრად შემკობილი ხარ, ტაძარი სოლომონისა,
 შიშველი ვარ მე, ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
 ჩემთვის შენ ძეს შემავედრე, ნუ მკითხავ შეცოდებასა.
 ცამ-ქვეყანამ გაიხარა დღე იესოს ქრისტეს შობისა,
 ძე ღვთისა ქვეყნად მოვიდა დახსნად ადამის ტომისა,
 წყალობის კარი განგვიღე, წყალობა მოეც სოფელსა.
 ჭეშმარიტად ღვთის დედა ხარ, უხრწნელი ქალწულებისა,
 ხე ცხოვრებისა იწოდე, ხილი გაქვს უკვდავებისა.
 ჯოჯოხეთისგან დამიხსენ, მუდამ შენ მიზამ კეთილსა,
 შაზრობა აღმისრულე, ქალწულო, დედავ მხსნელისა,
 ჭოი რა ტკბილი დედა ხარ, მალირსე ხილვა ზეცისა! 303

სახსრების ლექსი

სახსრების ქება გამოვსთქვათ, კაცთა სხეულთა მრავალო,
 საწყალო ფეხის კვანჩხებო, დღეი და ღამე მავალო.
 ფრჩხილებმა სთქვა თავის ქება: აღმასის ნათალს ვგეგარო,
 ნებებმა¹⁾ დაიბრაგუნა: ლომისა ტატებს ვგეგარო.

¹⁾ ტერფებმა.

კოჭებმა აგრე უბრძანა: ნებო, მეც შენთანა ვარო.
 მუხლმა ასე მოახსენა: მე თქვენს ზევითა ვდგევარო,
 თქვენ უჩემოთ რათ ივარგებთ, თუ მე კარვად არ გყევარო.
 თედოს თავმა უბასუხა: გრიმი-შევარდენს ვგევარო,
 ყ...ბმა უთხრა საწყალმა: თედოვ, მეც შენთანა ვარო.
 ი ბრუციანმა... უთხრა:... ხომ იცი, რა ვარო,
 ხანდისხან დამეძინება, გამეღვიძება სხვა ვარო,
 უფთურსა მთასა, უგზურსა ღამე უსანთლოთ დავალო.
 ტანადობამ მოახსენა:
 სურათი ვარ შემკობილი, როსტომ-ტარიელს ვგევარო,
 ზედ მხარ-ბეჭი მოწყობილი, ჯვარის ძალივით ვდგევარო,
 ხანდახან მოვილუნები, შვილდსა და ისარს ვგევარო,
 როცა რომ გავიმართები, მტერთან საომრად წავალო.
 მაჯა ლამაზო, ჯავარო,
 ზედ მოსხედილო ფრჩხილებო, ობოლ მარგალიტს ვგევარო.
 ქედის სიმტკიცე რას უმბობს? — ყველაზე უფრო ღრმა ვარო,
 ხანდისხან გული მომივა, რომ დავმშვიდდები, სხვა ვარო.
 ლიტონი ენა რას უმბობს? — სამოცდაშვიდი გზა ვარო,
 მტერთან წავდგები უშიშრად, ძებნა არ მინდა, მზა ვარო.
 კბილებმა სთქვა: შემომხედეთ, რუსის ჯარივითა ვარო,
 წისქვილად ვარ მოწყობილი, ფერთაც იმას ვგევარო,
 დამთვალეთ, — ოცდაათი ვარ, სულ ერთმანეთზედ ვდგევარო.
 თავო, ყველაზე თავარო, — საფქვილე ქვაბსა ვგევარო,
 ჭკუა-გონებით სავსე ვარ, ლამაზი გიშრის თმა ვარო,
 მხარზე რომ ფეხი დაგადგა, ცამდი ფრენითა ავალო,
 ღმერთი მიმიღებს წინაშე, სასუფეველში შავალო. 304

ქალაქის რედაქტორები

ქალაქის რედაქტორები ვარსკვლავებს სთვლიან ცაზედა,
 სტამბაში ბეჭდენ გაზეთებს, გზავნიან ქვეყანაზედა,
 პირველ გვირჩევენ კეთილსა, ჩვენც გვარიგებენ ჭკვაზედა,
 მდიდარის ჭკუით იციან, რაც გარდაგვხვდება თავზედა,
 გაზეთში ამას გვიწერენ, დარიგება გახლამთ ჩვენი:
 კარქია კეთილი ყოფა, ტანთსაცმელი გქონდეთ ბევრი,

სულ მცირეთ გქონდეთ კვირაში, უნდა გქონდეთ სამი ხელი, უმჯობესია კაცთათვის, ტანი მოისვენებს თქვენი. მათს მაღალს კეთილშობილებას გვაქვს პატივი მოვახსენოთ — ახლა მოიხსენეთ ჩვენი:

ჭეშმარიტათ, ჩვენც ხომ გვინდა ტანთსაცმელი გვქონდეს ბევრი, ყოველიფრივ სრული გახლდეთ, ქვევრებითაც, ღვინო ბევრი, უღვინოთ პურს არა ვსჭამდეთ, დილით გვქონდეს ჩაი ცხელი, სამ დღეში ერთხელ აბანო, ეკიპაჟი გახლდეთ ჩვენი, სპალნაში მარმარილოსი ვანებიც ხომ გახლდეთ ჩვენი, გაუქრობელი სანთელი, ნათლად გახლდეთ თვალი ჩვენი, ძილისთვის მოსასვენებლად დივნებიც ხომ გახლდეთ ჩვენი, ატაჟიანი სასახლე, მას ბალკონი ჰქონდეს გძელი, დროსა და დროს ბოლთა დაეკრათ, ჩექმა კრაჭუნებდეს ჩვენი. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, სიღარიბე გახლამთ ძნელი, ამტვენა სიღარიბისგან ვერსაით გვიწვდება ხელი, სამ ხელს ვინ მოგვცემს კვირაში, ერთ წლამდენ არა გვაქვს ერთი. მოვახსენოთ, შეგვიწყნარეთ, გლეხი კაცი რო ვართ ცეცხლში, ბოლომდინაც საჩივარი ახლა მოვახსენოთ თქვენცა. ღამესა და ღღეს ვასწორებთ, ძლივ ვაცხოვრებთ თავსა ჩვენსა, ხუთის წლის ყმაწვილებს ვსტანჯამო, იმათ ვამუშავებთ ჩვენცა, — ისენიც ამას ფიქრობენ, ცხოვრება რომ გვიჭირს ჩვენცა. მამულებს ძალა წაერთო, ისიც აღარ გვაძლევს ხელსა. ღმერთია უსრულელებელი, მოკლეთ მოვახსენებთ შენცა, უწინდელთ მოვახსენებენ, ჭკუათამყოფელთა თქვიანო, უწინ ასეთი დრო გახლდათ: ღღეს სამი კვალი ხნაანო, სამის კვალის მოსავალი შვიდ წელ ვერ შეჭამიანო, ეხლა კომლი სამოც ღღეს ვხნავთ, მაინც კი ვჩივით გვშიანო, ამგვარ ყოფაში გახლავართ, გონიარნო და ჭკვიანნო. ამგვარ ყოფაში გახლავართ, მოვახსენებთ ჭკუა-გრძელთა, ყოველს სწავლაში ნასწავლნო, კეთილად გვარიგებთ თქვენცა. თქვენი გაზეთები მოსდის უეზდის ნაჩაღნიკს ჩვენსა, არიგებს ყოველ სოფელში, მრავალჯერ მივიღეთ ჩვენცა; ვკითხულობთ და ყურადვილებთ, გონებაში ვცვივით ჩვენცა, დედის მუცლით რა გამოგვყვა? რაც ვისწავლეთ, — თქვენგან ჩვენცა. ამ სიტყვისთვის არ შეგვრისხავთ, თქვენგან იმედი გვაქვს ჩვენცა. 305

ნეტა მარიათ გაქცია

ნეტა მარიათ გაქცია, დიდრ მთაო და გორაო,
წისქვილი რისთვინ დაგეწვა; ნადარბაელო ღოროო?
— მისთვის დამეწვა წისქვილი, მინდი ვერ ვილე სწორაო,
პათმანზე ორ ჯამს ვილებდი, არ მამიწონა ღმერთმაო. 306

სსპაღასსპა

შენმა მზემ, მცხვარიშვილო

შენმა მზემ, მცხვარიშვილო თამაზხან, დაგემდურები,
აბაზად წალდი გახადე, ოროლ აბაზად ცულები,
გლახის კაცისად შენ გეთქვა: „დავჭრათ ძირიდან ყურები!“ 307

დავენდევ ქათალიკოხსა

დავენდევ ქათალიკოხსა, ფიც ვჭამე მაგასთანაო,
გაუბედავის ლალატი შაუტყვი თანდათანაო,
გავხედე, ხელი მიხქონდა მარცხნითკე ვადითანაო. 308

რას იცინი დევთა რძალო

რას იცინი, დევთა რძალო, უცხოთურათ აკრეჭ კბილსა,
სომეხი ვარ, დიდ ვაჭარი, დავკარგე და ვეძებ გმირსა,
შენ ქმარ-მაზლებს შამიძრახე, — სტუმარი რამ გელის კარსა. 309

ბებერმა წველა დაგისხა

ბებერმა წველა დაგისხა, თითმა ვერ ვიყო კოვზობა,
სხვაგანაც გამოგადგება ეგ შენი ფილოფოფობა. 310

ბებერო შენი ჯარაო

ბებერო შენი ჯარაო დაბერდა, აღარ იჯარა.
აილო, ცეცხლზედ დაუდო, — ნეტა ვის გამოაჯავრა! 311

მაგ ჭული ვინ შეგიკერა

მაგ ჭული ვინ შეგიკერა, ვინ შემოგივლო არშია?
 — ბატონმა ეგა მაჩუქა, წყალობა იცის კაცშია,
 ღმერთმა მისთვის მამსახუროს, რომ მოვიდეს რაქაშია,
 კალმახი არ დაემალვის, თუ სადმე არის წყალშია,
 ხანდახან ნედლად მივართმევ, ხანდახან ჩავსდებ ძმარშია. 312

—:—

სომხის მოჯამაგებობას

სომხის მოჯამაგებობას ადვილად იტყვის ენაო, —
 მწევარ-მეძებარს გაგატანს: თუ დაიჭირო მელაო,
 ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო;
 თუ დაიჭირო ღორიო, ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო. 313

—:—

ვაჰ შე ანდრიაჲ ლასკარო

ვაჰ შე ანდრიაჲ ლასკარო, ქვეყანათაზე დახვალაო!
 სხნილში სასხნილო გაქმიე, მარხვაში სჭამე ჩამიჩი,
 არ გეცვა წმინდა პაჭიჭი, ჩემის წყალობით ჩაიცივი,
 თუ მე შენ ხელში არ გქონდე, შენ სხვის საქმისა რა იცი! 314

—:—

ნიქაბაძე ცხენს ეძებდა

ნიქაბაძე ცხენს ეძებდა, მთის მწყემსები აშალაო,
 ცქიტშივილმა კეტი დაჰკრა, ცხენმა ფეხი გაშალაო,
 უკანიდან მოუარა, წამოაცვა აფშარაო:
 „შენი რჯული დაილოცა, გვარიან ხანს მაცალაო!“ 315

—:—

ნეტავი შენ ყვავო

ნეტავი შენ ყვავო, სამი ცოლი გყავო,
 ნეტავი შენ კაჭკაჭო, არა გენალვლება რაო!
 — როგორ არ მენალვლება, ცოლი მებუზღუნება,
 რაწამს გადამიხტება, გული ამამიჯდება! 316

—:—

ტიალო დოლაის წვერო

ტიალო დოლაის წვერო¹⁾, გადმოქცეულსამც გნახავო,
 დამაძერ ფეკის თითები, შინ ჯალაბთ ველარ გნახავო. 317

—:—

1) მთა.

დედამთილი მიქხა მყვანდა

დედამთილი მიქხა მყვანდა, მამამთილი მიქხა, მოქხა,
ჭმარი მყვანდა კუდიანი, არც მე ვყვანდი ქრისტიანი. 318

—:—

სიმამრი მყვანდა

სიმამრი მყვანდა იელი, სიდედრი კაშკანდიელი,
ცოლი მყვანდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი. 319

—:—

მე ობოლი

მე ობოლი, ობლის შვილი, ობლობიდან დადაგული,
სიმამრი მყავ ღიპიანი, სიდედრი ფაშვ-კუნძიანი,
ცოლი მყვანდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი. 320

—:—

აწყვრის ხეობას შემოვყევ

აწყვრის ხეობას შემოვყევ, გამოვყევ ქარის ქროლასა,
აჰა და კიდევ დავესწარ რძალ-დედამთილის ბრძოლასა,
რძალმა აჭარბა დედამთილს, თავი უგალა კერასა.
დიდმა რძალმა შემოუსწრო: „რძალო, რად მიკლამ დედასა?“
— ხანდახან ასრე მოხდება, არ დააყენებს ენასა! 321

—:—

სყვეთბიდან გასარკვა

მივიარე, მოვიარე, სანადიროთ წაველ მეო.
მე ლეკებმა დამიჭრეს, პატარა ვარ, იმათ ტყვეო,
დათვის ანგალაში ჩამსვეს, აღარ მამადინეს მზეო.
მეჯინიბეს ცხენი მოჰყავ, შავკმაზე და შევჯექ მეო,
ერთი კაცი იძახოდა: გაიპარა ჩვენი ტყვეო!
სანამ ლეკი გაიგებდა, სამშვიდობოს ჩაველ მეო.
სამშვიდობოს ქორწილია, ჩამოვხტი და შაველ მეო,
ნეფე კარში გამოვიდა, პატარძალი დამრჩა მეო,
ერთის მეტი ვერ ვაკოცე, მადლობელი შემრჩა მეო. 322

—:—

ლეკებმა რო დამიჭირეს

ლეკებმა რო დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა,
 მთები დიდი გადმატარეს, მთები კავკასიონისა.
 გადავხედე ჩერქეზ მინდორს, ნისლი იწვა შავი მთისა,
 სამი ქალი თივას თიბდა, სამივე ჩერქეზთ ბატონისა,
 ხელში ეჭირათ ცელები, პირები აქვთ აღმასისა,
 მარმარილოს სალესავენი იმათ აუწყობენ პირსა,
 ასეთ სიმღერებს ამბობენ, ვით ბულბული ბაღებისა.
 არ მენახა, გამიკვირდა მუშაობა ქალებისა! 323

ტყვე ქალი

შანდ რო ქალი დავიკარგე, განჯის თათარსა ვყევარო,
 დილით დამსვამენ სკამზედა, ღამე შემიკვრენ ხელფეხსო,
 მომიტანებენ ცხენი ხორცს, მარხვა ვერ მიჭამიაო,
 ჩემიანებო მიშველეთ, რჯულიც ვერ დამიგდიაო
 მოკრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო. 324

*

ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო,
 დალისტანს ლეკებს მივჰყევარ, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო. 325

ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასს

ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასა, ჩემს ამის მოხილებასა,
 ენაზე მიძევ ბორკილი, თვალთ მიშლის ახილებასა,
 ველარც ვის წირვას შავაქცევ, ველარც ვის შავინებასა.
 წყლისა ნაკვეთსა ვკიდივარ, ჩავვარდე, — ჩამზადული ვარ,
 გინდა ჩავვარდე გინდ არა, მე მაინც დაკარგული ვარ.

გამიგონოდით, სწორებო, დამიტიროდი დედაო,
 გამწყრალის შვილის ტირილი რაკი არ შაგეკდებო,
 ლასის რომ ველარ მოვიდე, ჩემი რა გაიგებო,
 მეც შავდეგ მტრისა გზაზედა, ფერი და ფერი მკდებო. 326

დატყვევება

ჯაფსუტაშვილო ნადირავ, შენ დღეში შავის მნახავო,
 ცოლშვილის მოძაგებულო, ბატონის შაუნახავო,
 რამდენი კვირა დღე მოვა, საწისქვილოთ ემზადები.
 დაფქვამ და თავით დაიდგამ, ამხანაგებს ელოდები.
 წუხელის სიზმარი ვნახე: „ხიფათს რასმე ჩავარდები“.
 შავ ტყეში რომ ჩამოვედით, გამოცვივდნენ გულხადრები,
 გულხადრები არ გვეგონა, ჩვენ — ოსები, მთიულები.
 ერთი ირემას გაუდგა, ზედ ურემზედ სტაცა ხელი,
 ერთი თადიას გაუდგა, სომეხია ჩოხა-გრძელი,
 ერთი ჩემყე გამაიქცა, კანჭ-მალალი, ბეჭა-ბრტყელი.
 თოფი დავეც, არ გავარდა, მაშინ მამწყდა შიშით წელი.
 „ადე, ძაღლო, ნუ ეგდები, შორი გზა გვაქვს გასავლელი!“
 ხელები მაგრათ შემიკრეს, თითებს გააქვს ჟუღლები. 327

განმანათლებლის ლექსები

(კახეთი)

დაღალული მოვდივარ, მთლათ დავიარე ქალაქი,
 ღმერთმა ისე გააოხროს, ცხენს ვერ უშოვე ბალახი.
 ხემწიფის შვილი მობრძანდა, თელავს ხალხი დაგვიბარეს;
 ჩვენ გვეგონა, ბევრსა გვცემდა, დაგვსხეს, ლხინი გვაწეინეს,
 წინ მოგვართვეს ყველა ხილი, უფრო კარგათ მოვილხინე.
 თავადი თავსა გვადგიან, გუნებაში ჩავიცინე,
 სიტყვა ველარ გაგვიბედეს, ენაზედ დაიდგეს კბილი.

წამოსვლის დროს, რო წამოველ, დაგვირიგეს თითო წიგნი.
ხემწიფის შვილმა გვამღერა: არალალი, თარალალი,
ბატონყმობაც აღარ ალი,
სამოვარი რომ შემოვდგით, ჩამბერავიც აღარ არი! 328

*

(მ ა რ თ ლ ი)

ათას რვას სამოცდაოთხსა დიდმა ხემწიფემა ბძანა:
„წმინდის სახარების სიტყვა თავის დღეში არ გამტყდარა,
ბატონყმობა გადავსწყვიტოთ იესო ქრისტესაგანა“.
თავადები ტუტუცობენ: „ეს რათ მოდის ხათაბალა,
მამა-პაპით ჩვენა გვეყანდა, ამას რალაში აქვს ძალა!
ღიამბევი, ნაჩალნიკი, ორივე გადააბძანა,
სტარშინები [ჩვენ] დაგვისხეს თითო-თითო სოფელთანა“,
ზოგიერთა თავადები წინ წამოდგნენ ხმალ და ხმალა:
„ხემწიფემ გიორგი მეფემ საქართველო ჩაგაბარა,
მამა-პაპეულ ამაგზედ შენ ჩვენთანა არ გაქვს ძალა!“
ეს დაბეჭდილი წიგნები ხემწიფემა გამოგზავნა:
„თავადებო, რას ჩადიხართ, მეყურება მანდღედგანა,
ბევრსა ქვრივსა და ობოლსა სევდით გულ შემეყვარა.
სიობლე არ ეყოფოდათ, რომ სახლში არ წაგეყვანათ?
ჩემი ხაზინა სამსეა, სულ ჩალალდმა გაამრავლა.
მოდით, მოგცემთ ჯამაგირსა, რაც რომ გინდათ იმტენხანა“.
ეს პასუხი, ანგარიში ვერავენ კი ვერა ბძანა,
ბოლოს წაართვა მამული ამ გლეხკაცებ ერთიანა:
ათი დღისა ნადელია, მეოთხედი ბატონთანა.
ზოგი გლეხკაცი გაკეთდა, ზოგს გული შემოეყარა.
როცა რომ გორში მოვიდა ეს ბძანება იქიდგანა,
დააგროვა ბევრი ხალხი, თავადებიც ერთიანა,
სტოლი, სკამები გამართა, წინაც სუფრა გაუშალა,
ბევრი ხალხი ერეოდა, — შენც ხომ იცი: მეტიჩარა, —
ბატონყმობის გადაწყვეტა ხახანოვი მღვდელმა ბძანა.
ამ ალექსანდრე მარშალმა ცხარე ცრემლი გადმოჟყარა:
„მამილოცავს, გლებო კაცო, ბატონყმობა გადამწყდარა,
ეგ არის განთავისუფლდით, თქვენთან აღარა გვაქვს ძალა!“ 329

*

(ი მ ე რ ე თ ი)

დიდება და მაღლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქმნა ღვთისა,
 აღამ და ევას დაებადა სამი ვაჟი, სახე მზისა,
 სამთავ ერთნი ძმანი იყვნენ და მავედრებელნი ღვთისა.
 ერთსა მისცეს უნფროსობა თავიანთი ოჯახისა,
 მავრამ ისე გათამამდა, ფეხსაც აღარ აღგამს ძირსა,
 ბატონობა მონინდობა უნცროსი თავის ძმებისა.
 საშუალმა სიტყვა უთხრა და პასუხი ქარაგმისა:
 „ბატონათ ვერ დაუდგები იმ შენი დედმამის შვილსა,
 მართალია, უფროსი ხარ და ხნეობით ერთი წლისა“.
 შეექმნათ განყოფილობა, რომ შეიქმნენ ასი წლისა.
 უნცროსი გაინაპირა, საშუალი მიითვისა.
 ეს რომ უნცროსმა ვაიგო, ცხარე ცრემლი ჩამოსდისა:
 მიღალატეს ჩემმა ძმებმა, ჩამაყენეს გასაჭირსა,
 ეგების ღმერთმა მიშველოს, იმედიც მაქვს ხემწიფისა“.
 მას უკან არის ნაწყები ბატონყმობა გაჩენილი,
 აზნაური და თავადი, უნცროსი ძმით დარჩენილი.
 ჯერ გამოართვეს მსახური, ღვინო და პური ბევრათა,
 ქვრივი აღარ შეარჩინეს, აღარც ობოლი დედათა.
 გადმოხედა ქრისტე ღმერთმა: „ეს რა ცოდვა მოხდა ძირსა,
 რანაირათ აწვალებენ იმ თავის დედმამის შვილსა!
 ღმერთმა უბოძა წყალობა და იმედი მისცა ღვთისა,
 შოსავალი მიუნიჭა ყოველ მუდამ სამის წლისა,
 შვილები იმდენი მისცა, როგორც რომ ფოთელი ტყისა.
 დაეხვიენ თავის ყმასა როგორც რომ ჯინქველი ჯირკსა,
 ჭულიც აღარ შეარჩინეს ნაბოძები თავის ღვთისა“.
 ანგელოზი მობძანდება, მოციქული მეუფისა,
 ჭემწიფეს გამოეცხადა როგორც შუქი ალი მზისა:
 „ბატონ-ყმანი დააშორე, თუ ცხონება გინდა მკვდრისა,
 თუ საქმე არ გაათავე, შენი ხმალი აღარ ჭრისა“.
 თავადებმა ასე ბძანეს: „ჩვენ ვინ წავვართვა მთავრობა,
 ჩვენ ყმაშიდ ხელი ვისა აქ, არავისი გყავს წყალობა“.
 დაეხვიენ თავის ყმასა, ძლიერ დაუწყეს ძალობა,
 საცხოვრებელი წაართვეს, დააწყებინეს ნანობა.

ხალხმა თავი შეინგროვა, არძით გაამსეს მთავრობა:
 „დაგვეხვიენ თავადები, ძლიერ დაგვიწყეს ძალობა,
 საცხოვრებელი წაგვართვეს, დაგვაწყებინეს ნანობა“.
 კავკასიის ნამესნიკმა გლებ კაცს უბოძა წყალობა,
 თავადები დაითხოვა: „აღარ გარგოათ ძალობა,
 მალლა ღმერთია მხილველი, ძირს ჩვენ ვართ თქვენი მთავრობა,
 თუ რომ არ მოიტეხინეთ, მაშინ მოხდება ჯარობა“.
 თავადებმა ასე ბძანეს:

„ჩვენ ჯაროს არ გვეშინია, ხმალი გვაქ ამოღებული,
 ყმა ჩვენია, ვიმსახურებთ, ღვთისაგან დამკვიდრებული,
 რაც უნდა ჯარი მოგვადგეს, თავი გვაქვს გამეტებული“.
 ქალაქის ველიკ კნიაზმა ზღვა და ხმელეთი გაზომა,
 ამ გლები კაცის არძები სუნთლათ ფუთობით აწონა,
 ის ხემწიფეს წარუდგინა: „არძა მოგართვეს ამდონმა,
 ყმები ყავთ შეწუხებული, არ უნდა დიდი აწონა,
 იქნება უშველოთ რამე, მოილოთ თქვენი წყალობა“.
 ხემწიფემ არძა გამოსცა ღვთის მაგიორი ნაწერი:
 „საქმე რათ არ ვაათავეთ, რათ დააღონეთ ამდონი?
 ახლავე გამოამცხადეთ, რაც საქმე იყოს ნაწყები“.
 ათას რვაას სამოცდა ხუთს მოხდა ბრძანება ღვთისაო.
 მობრძანდენ ჩინოვნიკები ზესტაფონ-ქუთაისსაო,
 გლები კაცი დაიბარეს, აზნაურ-თავადიცაო,
 ხალხი ისე შეანგროვეს, როგორც ფოთელი ტყისაო.
 შიგ ჩადგნენ ჩინოვნიკები როგორც რომ შუქი მზისაო,
 გაშალეს თავის ნაწერი ქალაქი ერთი წლისაო.
 საზოგადოს წაუკითხეს პასუხი ხემწიფისაო.

ეს თავადებმა გაიგეს: „ვაი დედი ჩვენის ღმერთსა!“
 ერთმანეთსა გადახედეს, რჯული ბევრი აგინესა:
 „ეს ჩვენი უბედურება ჩვენის ცოდვით მოგვიხთესა,
 ქვრივსა და ობოლს ჩვენ ვყიდდით, ვაწუხებდით მსახურებსა,
 სამსახურს არ ვჯერდებოდით, ნიადაგ ვახდენდით გლებსა,
 ახლა მისი გულისათვის ჩვენაც მიგვცეს განსაცდელსა,
 ჩვენის ცოდვით გამოცხადდა რვა დღე გიორგობისთვისა,
 მადლობა ქონდეს ხემწიფეს, რაც ენებოს, ის იქმნესა“.
 უბრძანა ლუბერნატორმა:
 „თავადებო, არ გეგონოთ ეს ხემწიფის მოგონილი,—
 ერუსამეთს ჩამოვარდა სამჯერ ნაწერი ქალაქი,

ავილეთ და წავიკითხეთ, იყო ღვთისაგან ნახატი: ერთ სახემწიფო ადგილას ცუდი საქმე და ანბავი, ერთი დედმამის შვილია გლეხი კაცი და თავადი, სული სულს არ უნდა სჭამდეს, არც კი ყოფილა მანამდი. ბატონყმობის დაშორებას მასუკან მოვდევთ აქამდი, თქვენ ჯამაგირს არ დაგაკლებთ, ვინცა ხართ კარქი თავადი“ — თავადებმა ასე ბძანეს:

„ჩვენ ჯამაგირი რას გვიზამს, რათი ვარჩინოთ ცოლშვილი! ჩვენ ხაბაზობა არ ვიცით, არც მუშაობა მიწისა, თითო წელიწადს მოგვეცით მოსამსახურე ბიჭისა, იქნება ჩვენაც ვისწავლოთ ხელით კეთება ბრინჯისა“ — თავადების სამსახური დებუტატმა გააჩინა, მეოთხელი მიწა-წყალი შებატონეს დაარჩინა:

„ქარვასლები გამართეთ და იმაში აილეთ ქირა“ — თავადებმა ასე ბძანეს: „თავი შევინგროვოთ ჩვენა, ნამესნიკს მივცეთ ქალაღდი, — რათი უნდა ჩვენი რჩენა? დაილოცა გლეხი კაცი, ღმერთსა მიუცია რჩენა, — მინდორშიდ დაყავს გუთანი, ოროველას დევმღერა, სარჩო სამყოფი ბევრი აქვს, ნათესობა ამოდენა, თავადებს არ გაგვივიდა რუსული და წიგნის წერა, აღარც ღმერთმა გაგვიკითხა, ხემწიფეც ჩვენ აგვემტერა, ამ საქმეს არ მოვსწრებივართ, დავიზარდეთ ამოდენა“ —

იმერელმა თავადებმა ხმაღზედ მოიკიდეს ხელი, ხემწიფეს უპირდაპირეს: „რა გვაქ თქვენი ნაბოძები? არასოდეს არ იფიქროთ, ჩვენ ყმაზედ ავიღოთ ხელი, მავის მეტი აღარ ბძანოთ, ახლავ დააბრუნეთ ცხენი!“ ნამესნიკმა მოისმინა: „ვიცი საქმე არის ძნელი“ — იმ სააჩში გააბრუნა კალასკა და დროშკის ცხენი, ზღვის პირზედ რომ მიატანა, წიგნის წერას მიყო ხელი, რუსეთს გაგზავნა არძები, დაიბარა ჯარი სქელი, ქუთაისში დააბარგა ყაზახი და რუსის ცხენი, ამ თავადებს გაუგზავნა მოციქული მეტად ძნელი:

„თქვენ რომ სიკვდილს მპირდებოდით, ახლა გამოიღეთ ხელი, ჩემს სიკვდილს როგორ ბედავდით, არ ვიყავი ცოდვის მქნელი, ხმელეთი მუჭშიდ მიჭირამს, ცამდის მიმიწვდება ხელი“ — თავადებმა გამოიღეს ერთი რჩევა საკურველი:

„ჩვენ ხემწიფეს ვერ ვაჯობებთ, მას ჯარი უამს მეტათ ბევრი, ტყვია-წამალი ბევრი აქ, ზარბაზანი რამოდენი, გლახ კაცს აღარ უნდა ექმნეს ბატონისგან სატანჯველი“.

რათი უნდა დავიჯეროთ ბატონყმანის დაშორება?
თავადებმა სამსახური ახლა უფრო გააძნელა,
მეოთხედი სარჩო გვთხოვეს და მიდორშიდ საბალახე,
ტყეშიდ სულ აღარ შეგვიშვეს, ასე მოხდა ჩვენი საქმე. 330

*

(ბ უ რ ი ა)

ერთმანეთს ეუბნებიან საბატონო ყმები:

„ბატონს ჩამოგვაშორებენ, დაგვიყარეს ხმები,
რაც ამბავი გამოვიდა, ყველა იქმნა სხვები,
თუ ეს საქმე არ იქმნა, მჯავრით აგერ ვკვტები“.
მეორემ თქვა: „როგორ, ბიჭო, როგორ არ იქნება?
თუ მართალი არ იყოს, აღარც ქე ითქმება,
რუსეთში გათავებულა, აქაც კი იქნება,
ავი საქმე უსათუოთ აპრილში იქნება“.

ერთმა ეგერ დაიძახა: „რომელი აპრილია,
ათი წელი გამოვიდა, რაც ეს ხმა დაყრილია,
ამ უბრალო ამბავით ხალხი სულ აყრილია,
ბატონი ქე დევიმდურეთ, აღარც ქე გაყრილია“.

„ფიცით გეტყვი, ჩვენ ამ სიტყვამ ბევრი ამოგვიშავა,
ვითამ ჩვენმა ბატონებმა როდის რა დაგვიშავა?
შათი მამისგან გვემართა, მანაც ქე გვამუშავა,
ყმობა გვეზარება, თვარა როდის რა დაგვიშავა!
მუშავობა, ძმაო, შენ თავის დღეში გემართა“.

„შენ იგი არ შეგიტყვია, მე თუ რა დამემართა,
შვიდი ღორები წამართვეს, მე რომ ერთი მემართა,
შესახვეწათ რომ მივედი, ჩახმახი შემიმართა“.

„ღორის წართმევა რა არის, — ძროხებს გვართმევს და ხარებს,
ყმის წართმევა რომ შეიტყვეს, მერეთ აღარ გვაზარებს,
მუდამ სახლში ატირებენ ჩვენს ბაღნებსა და ქალებს,
და თუ ღმერთი მოგვაშორებს, იმით ჩვენ გავაზარებს“.

„ავი და კაი ბატონი ახლა ვინ გაარჩიოს?

ღმერთმა ჩვენი ბატონები თავდაღმა დააქციოს!

თუთხმეტი თხაი წამართვა, ღმერთმა ნუ შეარჩინოს,

საწყალი ჩემი ცოლშვილი აწი რამ დაარჩინოს?“

„ბატონს მოუნდა ყველა ის, რაცა მექნება,
ვერ შევიძლე მისი რჩენა, ან კი რალა მექნება,
მე თუ კაი ღონე მქონდეს, ერთი ფაცხა მექნება,
ბატონი რომ ღარიბია, ყმას კი რალა მექნება!“

„ღიღი ხანია ბატონმა გამომიგზავნა კაცი,
თავის დახსნა შემიკვეთა, — ველარ ვიშოვნე ფასი,
გამჯავრებულმა შემოხტა გუშინ ზედა კარში
და თმით გამომითრია ჩემი დედაკაცი“.

ერთი ამბობს დარწმუნებით: „მამულიანათ გვიშობენ“,
მეორემ თქვა: „როგორ არა, ცოლშვილს ხომ არ დაგვიჩობენ?“

ერთმა უთხრა: „კი შეიტყობ, ხვალ რომ საყეს დაგვისობენ,
ისე მოკრეფს მებატონე, ჩვენ სულ აღარ დაგვისწრობენ.
ვგონებ ამაზედ მთავრობა ბატონს ძალას არ დაატანს,
ყმას თუ უშობს ბატონიდგან, მიწას მაინც არ წაატანს,
ჩვენ ამაზედ ბატონები საცხოვრებელს გადაგვატანს,
ყმაი თუ მოგვიშორიო, მამულს მაინც არ წაგვატანს.

ფული არ გვაქვს თავი დავიხსნათ, ვერც შევძლებთ სხვაგან

ვალებას

რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, უფრო ვინატრებთ გარდაცვალებას,
შეგვივედრიე საწყალი ყმები, ღმერთო, თუ მოგვცემ დროის

ცვალებას,

თუ მოგვაშორებ უწყალო ბატონს, მაშინ მოვრჩებით

ამდენ წვალებას“.

ბატონმა თქვა: ჩვენი ყმები ამას არ გვემართლებიან,
რაც რომ მწუხარება უთქმან, ერთიც არ დამართებიან.

იგი ბეგარა წავიღეთ, რაც რომ ძველათ მართებიან,
აწი ვნახოთ უჩვენოთაც მათ თუ რა დაემართებიან.

ისინი ყველა ჩვენს მერე ვნახოთ რაეა წახთებიან,

ბეგარა და ათისთავი სულის თავს გადახდებიან,

ნახალნიკი, ბოქაული კერძასთან დახთებიან,

„ნეტა ბატონი გვეყოლოდა!“ მაშინ კი იძახდებიან. 331



კონსტანტინე დადიშკელიანი

დადიშკელიანის ქება განთქმულა ქვეყანაზედა,
 სვანეთიდან წამოსული ქეიფათ მოდის გზაზედა,
 ქუთაისს რომ შემოვიდა, ფიქრი მიეცა გულზედა:
 „ნეტავი შემატყობინა, ნახმოები ვარ რაცხაზედა“.
 გაგარინმა მიიწვია თავის საკუთარ ტახტზედა,
 გაგარინმა გაუცხადა: „რუსეთს წადი ამ წამზედა“.
 სამი ცხენი და ტროიკა უცბათ აახლეს კარზედა.
 კონსტანტინე გაუჩერდა, უყურა ლაპარაკზედა:
 — ხემწიფისგან ბრძანებაა, ხელი ეილე ყმაზედა!
 — ჩემზედ გარისხდა ხემწიფე, ნაქები სამართალზედა?
 ღმერთმა ის დღე ნუ მომასწროს, ხელი ამელოს ყმაზედა?
 ცოტა დროება მომეცი გარებ-გამორებაზედა,
 აქ შვილი მყავს საზარდათა, უნდა მივიღე კლასზედა.
 — ეს ხომ შეუძლებელია, არ გიყურო წასვლაზედა,
 შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, ქეც გაიპარვი გვარზედა-
 თუ მაგრე გაქვს გუნებაში, ქეც მიფრთხილდი ამ ჯავრზედა,
 ის სვანეთში დაიქაღნე, შენ რომ მაჯობო ჯანზედა.
 კონსტანტინემ დაიქაღნა: „თავს მოვიკლავ ამ წამზედა“ —
 რაც უნდოდა, აახდინა, — სამი გაჩეხა შუაზედა.
 გეიხედ-გამოიხედა, დაადგა გაფრენაზედა,
 სით წევიდა, არ იცოდა, თურმე მივიდა წყალზედა:
 „მე რომ ამაში ჩევიდე, სიდედაბრე ჩემს თავზედა!“
 გამობრუნდა კონსტანტინე, მოდის ბაქრაძის სახლზედა,
 ასი კაცი შეეყარა, ერთი ვერ უმზერს თვალზედა.
 ბაქრაძის სახლში შევიდა, ლეკურს აკოცა ტარზედა:
 „შენ რომ აქ არ დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზედა,
 მე რომ დღეს ბიჭობა ვქენი, ისე შიქნია სხვაზედა-
 ვაი ამფერ ბიჭობასა, თუ ამაცონ ანძაზედა,
 ახლა აქედგან ამაგდო, დამსვა სვანეთის მთაზედა,
 გაპარვით გევიპარები, რომ გამიშვებდენ გზაზედა,
 გაპარვას ვერ მოვახერხებ, ჯარი მიდგია კარზედა“.
 დაიჭირეს კონსტანტინე, მიყავდათ ნაობახზედა,
 ყარაული დააყენეს როგორც ცის წვიმა თავზედა.
 გლებმა კაცებმა შეიტყვეს, — „სამართალია მაზედა,
 თუ ეს ხემწიფე მოგვიკლეს, ხელი დავიდვით ხმალზედა“.

ხემწიფიდგან მოიწერეს:

„ვინ არის მაქ მამაძალი, რომ გაგვდგომია ძალზედა?
შვიდი ხემწიფე მეჩხუბა, ყველა ჩავრეკე ზღვაზედა.
მე სვანი ვერასა მიზამს, ტყვილა დვია მაგარზედა,
ყველას ისე ტყვიით დავხევე, რაც სვანი და აფხაზია“.
განჩინება წაუკითხეს, გაშავდა პირის კანზედა.
კონსტანტინე იხვერწება: „შვიდჯერ ამწონეთ ქთამზედა,
შემომივლეთ და გამიშვით, ვითამ საწირავ ცხვარზედა“.
კონსტანტინეს ვილამ კითხა, ტილოს აცმევენ თავზედა,
დედინაცვალი მოსტირის, ცრემლი მოდივა თვალზედა:
„საწყალი შენი მეუღლე უბედურია შენზედა!“
გალმა სილას გაიყვანეს, ფეხი აუკრეს ქვაზედა,
თორმეტი თოფი ესროლეს, ბილი დაგლიჯეს ძვალზედა,
გადმოზრუნდა კონსტანტინე, ტვინი დაასხა ქვაზედა. 332

დედის აღმსი

შუბლ მთვარიანო,
წარბ ყორნის ფრთიანო,
თვალმელნიანო,
ცხვირბროლიანო,
ნიკაპგათლილო,
უსულიანო. 333

დედის არუქ-მარუქო,
მამის ციხე ქალაქო.
ბიძის ქამარ-ხანჯალო,
პაპის ოქროს გუთანო,
ბების მწვანე ბოსტანო,
მამიდის წითელო ვაშლო. 334

დანდლი დანდლი დანდალო,
დედის ოქროს შანდალო,
ასხმულო მარგალიტო,

ანთებულო სანთელო,
სააქოს ცხოვრებავე,
საიქიოს ცხოვრებავე. 335

ადანდალო დანდალო,
ჩემო ოქროს შანდალო,
პაპის ოქროს გუთანო,
ზღვაში ნახნავ-ნათესო,
მამის ოქროს ხანჯალო,
წელზედ შემოსარტყამო.
ადანდალო დანდალო,
ჩემო ოქროს შანდალო. 336

ნეტავ რა ხარ მაგისტანა,
ამომავალი მზისთანა,
ზღვაში გიდგია ფეხები,
იმ ოქროს ჩანგებისთანა. 337

ნ ა ნ ა

ნანა, ნანა მამასა,
 გაზდა გახარებასა,
 შეგიკერამ კაბასა,
 წითელ-ყვითელ ატლასსა,
 ზედ დაგისხამ ღილებსა
 ოქროს დაფერილებსა,
 შემოგაკრამ ქამარსა,
 შიგ ჩაგირჭობ ხანჯალსა,
 დაგიკერებ ჯიბესა,

შიგ ჩაგიყრი ფულებსა,
 აგატარებ ბაზარში,
 ჩაგატარებ ქუჩაში,
 გლახა შემოგეყრება,
 იმას მიე აბაზი,
 ისიც გეტყვის გაზდასა,
 გაზდა გახარებასა,
 სევდის მოშორებასა,
 ყოველ ქირ მორჩენასა. 338

ი ა ვ ნ ა ნ ა

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანიწაო,
 იავუნდის მარანშია, იავ ნანიწაო,
 შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო, იავ ნანიწაო,
 შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ ნანიწაო,
 ნორჩია და შტოსა შლისო, იავ ნანიწაო,
 ზედ ბულბული შამამჯდარა, იავ ნანიწაო,
 გასაფრენათ ფრთასა შლისო, იავ ნანიწაო. 339

იისა და ვარდის ბაღში, იავ ნანიწაო,
 ბატონები ბძანდებიან, იავ ნანიწაო,
 ბატონებსა სუფრა ნებათ, იავ ნანიწაო,
 გარშემო ძრიელ მორწყული, იავ ნანიწაო.
 ბატონების მამიდასა, იავ ნანიწაო,
 ვარდნი უსხედან კერასა, იავ ნანიწაო,
 გვერთ უდგა ჩარხის აკვანი, იავ ნანიწაო
 შიგ უწევს ბატონიშვილი, იავ ნანიწაო,
 ეუბნებიან ნანასა, იავ ნანიწაო,
 დიბის საბანი უხურამთ, იავ ნანიწაო,
 ატლას-ბაბთის არტახები, იავ ნანიწაო,
 მოვის პერანგი უცვიათ, იავ ნანიწაო,
 ვარდი ფეხამდინ უსხიათ, იავ ნანიწაო,
 გვერთ ზის ბატონის დედა, იავ ნანიწაო,

წვრილი ხმით ეტყვის ნანასა, იავ ნანინაო,
 უფლის გამოგზავნილები, იავ ნანინაო,
 ნანი ნანა, იავ ნანა, ვარდო ნანინაო, 340

*

იავ ნანა ბატონებსა, იავ ნანინაო,
 აქ ბატონები მობძანდენ, იავ ნანინაო,
 მობძანდენ და გვიხარიან, იავ ნანინაო,
 ბატონიშვილს ეძინება, იავ ნანინაო,
 უდგია ჩარხის აკვანი, იავ ნანინაო,
 უხურამს დიბის საბანი, იავ ნანინაო,
 ზედ უბია ჩანჩხურაი, იავ ნანინაო,
 ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო,
 ულხინეთ თქვენი ჭირიმე, იავ ნანინაო,
 შვიდი და-ძმანი მოვდივართ, იავ ნანინაო,
 შვიდ სოფელს მოვეფინენით, იავ ნანინაო,
 შვიდგან დავეცით კარავი, იავ ნანინაო. 341

დედა და შვილი

შვილო, ეგე მიყვარს შენი შუბლი პტყელი კაოსანი,
 საყდარს რო მიბძანდებოდე, გესხას დიბის ტყაოსანი,
 თავზედ გედგას ოქროს ჯილა ხშირათ მარგალიტოსანი,
 ქმარი გყვანდეს ახალგაზდა, მებურთალე, ცხენოსანი. 342

დედაო, ღმერთმან ის მოგცეს, რაცა გულით გინდა თნები(?)
 ტახტსა ზიხარ და წინ გიდგას ოქროს თასითა პინები,
 ტანთ ჩაცმა მეტათ შეგშვენის ნარინჯთა ფერი ჩინები,
 ბე რალას მაქნევ, მანდა გყავს ჩემი სანაცვლო შვილები. 343

შვილი და მამა

აცადე და დამაცადე, სიტყვა გითხრა შავარდნისა,
 შვილი მამას ეუბნება: გამეყარე, მოგცემ წილსა,
 აქამდინ რომ გინახამდი, სხვლა იცოდი ვენახისა.
 „გაგზარდე და გაგაკაცე, ჯიბით გიზიდამდი ხილსა,

შვილო, თავჳ დამანებე, გზები ვიცი სამართლისა,
ისე გაგიხდი საქმესა, მეხვეოდე მუხლის ძირსა“: 344

დედამ რომ შვილი გაზარდოს, ცემას რაღას ევალება,
მამაზედ წიხლით შადგება,
დედას კარზე გამოაგდებს: „წადი, თვალიმც დაგიდგება!“
სამგზავროზე საცა წავა, თავის წერა წინ დახვდება:
მიწრო არი ბეწვის ხიდი, ცოდვილს არა გაესვლება,
ვინც მადლიანი მივალის, ბოგირ-ხიდათ ეჩვენება. 345

მ პ ყ რ უ

ერთი რძალი კახჳა მეყანდა, მეორე ხო თარაქამა,
ისინი რომ წაიკიდნენ, მე გამიხდა ხათაბალა,
გზირი, ქევხები მორეკეს, მამულები დაყვეს ჩქარა.
ერთი ძველი სახლი მერგო, თავზე არ ეხურა ჩალა,
ერთი ნაფუზუჳარი მამცეს, იმას სულ არ მოჳყვა ყანა,
ერთი ძველი ქვაბი მამცეს, იმას არა ჳქონდა კალა,
შვიდიოდე ვაზი მამცეს, სულ თავამდი გადამხმარა,
ერთი ჳრელი ფური მამცეს, იმას არა ჳქონდა ლალა,
თითო მუჳა რძეს იწველის, ისიც რძალმა გაშიწყალა,
ერთი ჩაფი ღვინო მერგო, ისიც იმან დამიძმარა,
ერთი კოდი ქერი მამცეს, ისიც ჯორმა შემიჳამა,
ერთი თეთრი ხარიც მამცეს, იმას არა ჳქონდა ძალა,
ბუზებმა რო შეაწუხეს, ისიც ტყეში დამემალა,
ერთი კუდა ვირიც მამცეს, ისიც მგელმა შამიჳამა,
სუყველა იმათ ირგუნეს, პირში გამომავლეს ჩალა. 346

რძალო ბატონო¹⁾

რძალო ბატონო, ლამაზო, ერთობრივ კაი ზნისაო,
საროსა მჯობნო, ტანადო, ლერწამო ზღვის პირისაო,
ახალო ვარდის ყვავილო, ტურფაო წალკოტისაო,
შენსა ნახვამდინ რაღა ექნა, სამთელო სამოთხისაო.

¹⁾ ერისთვიანთ მოახლე აზნაურშვილს უთხოვნია და იმაზე გამოუთქვამთ.

საყდარში რო წაბძანდები, წინ მიგიძღვის მსახურები,
ტახტი შეკრული გიდგია, სუფრა გაშლილი დაგუხვდება
შარჯვნივ გისხედან თავადნი და მარცხნივ დეკანოზები,
ერდოზე ბულბული გიზის და კარზე იადონები,
გვერთ მარსკულავი მოგიჯდება, ალვის ხის საჩრდილობელი,
ლოცა რომ ძილსა ინებებთ, გულში ჩაგეკვრის გმირები. 347

სიძე-სიმამრი

სიძე-სიმამრიო,
მთას ნადირობდაო,
სტყორცნა სიძემაო,
ირემი მოკლაო,
სტყორცნა სიმამრმაო,
მოკლა სასიძოო.
შვილო დარეჯანო,
შე რა გახაროო,—
ქმარი მოგიკალო,
თავ ნუ მოიკლავო.
შენ მამაჩემოვო,
დარბაისელოვო
ასემც მომკვდარხარო,

ვერ მოისვენოვო.
მამე ცულ-წალდოო,
გზა გავიკაფოვო,
მამე სანთელიო,
გზა გავინათლოვო,
მამე საკმელიო,
გზა გავირკვივოვო,
ეგებ მოვნახოვო
სისხლის წვეთიო,
ეგებ გავრეცხოვო
ირმის რძითაო,
ეგებ გავაშროვო
ნიაფ-ქართაო. 348

*

სიძევ, გაქო, როგორ გაქო, თეთრი სპილოს ძვალი გაქო,
თოფ-იარალი გიხდება, მხარბეჭიც ხო კარგი გაქო,
ომში წასვლა მოგიხდება, თუ რო ცოტა ფხაცა გაქო. 349

*

ფეხალევეს მოველ ხატობასა, ცნობა მეწადა სიძისა:
— რა კარგი ქალი მოგეცით, არ მოგვიკლათ შიმშილითა! —
— ქერის პურს კი ჩვენცა ვაჭმევთ და — არც თქვენ ზდიდით
ბრინჯითა. 350

ფეხალევეს ჩამოვიარე, ცნობა მინდოდა სიძისა:
— რა კარგი ქალი მოგეცით, მოგვიკვლევინეთ შიმშილსა! —
— ამ ქერის პურს კი ჩვენც ვაჭმევთ, არც თქვენ გაგიზღავთ ბრინჯითა,

ჩვენ ქერიანი გოდრები შიგ სადომია კიბითა.

„მე თქვენს გოდრებში ჩაგხედე, მარცვალ არ ეგდო დიკისა,
ცხენებს დასწყვიტეთ წელები კახეთს ნახვეწის ზიდვითა“.

— ხატის თასების პარვასა ხვეწა სჯობს ჩვენის ფიქრითა,
ან სუღში არ დამაბიზლო, ან არ გამგზავნო ციმბირსა.
ციმბირ ჩვენ ჯოჯოხეთია, თავათ იციან ღვთის შვილთა. 351

თვალევს მოვედი ღუჭანში, გნახე ახალო სიძეო,
მაუდის ჩოკა ჩაგიცვამ, სახლჩიგა არა გიძეო.

— რას ამბობ, ხარანაელო, რას კერკზე ამეკიდეო,
როდის მოგიდევ ცხენითა, პური რამ ამიკიდეო,
ჩემი ნაღები ვალები შენ როდის გადასწყვიტეო! 352

*

ლორო და ლორო, ბუჩუკურო, ლორო, ლორობა არ მოიშალე,
ვაი მე შენ ქალი მოგეც, უგორო გაგაგორიანე,
უხლმოსა ხმალი შეგამბი, უფრო გაგაფარიანე. 353

ნ ა თ ლ ი ა

ნათლია ჩემი მეწვია, ჯიბეში ედო ყარყარა,
ან ორი ჯამი გამოვა, ან ორიოდე მათარა.
ერთი ქათამი დაუკალ, კუდა იყო და ნაცარა,
აგრე შექამა ქათამი, წვერი არ გააცანცარა,
ნათლული არ მოიკითხა, დიდი არი თუ პატარა:
ავდექ, იმათას წავედი, რალაცა ღმერთმა შამშალა;
იმათ ერთი ძალლი ჰყვანდათ, კუდა იყო და ნაცარა,
უკანიდამ მამეპარა, გამომაცალა კანჩალა,
იმის ოჯახი დაიქცეს, ვინც მას ნათლიათ შამყარა! 354

მეპახალი

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს მალარაული მძახალი,
დილით რომ პური ვაჭამო, საღამოთ ისრევ აქ არი,
ბოსტანშია გაგვიწყვიტა ხახვის ფოჩი და ჭარხალი,
აგრე სჭამდა მჭადის კუტსა, როგორც ყინული შაქარი,
კარებზედ აყუდებულა, მითომ ალალი თათარი. 355

ქალი ტირიდა ქართლელი

ქალი ტირიდა ქართლელი ქართლისა შუა გზასაო:
დავყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვრეკე წყალსაო.
იმისიმც სული კრულია, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
კობტასა, ამპარტავანსა, უწვევ-ულვაშო ვაჟსაო.
წუხელი უდრო-უდროზედ მოადგა ეზოს კარსაო,
„შორიდგან შემომიძახა: „რათ არ გამიღებ კარსაო?“
ავდექ, ავანთე სანთელი, მივარდი სახლის კარსაო,
ოქროსა სკამი მივართვი: „დაბძანდი, ღვთისა მაღლსაო“.
წალის სახდელათ ვიახელ, — მუშტი მიღერა ყბასაო:
„დახე ამ კახჳა დიაცსა, რათ არ გაივლის კარსაო!“
ავდექ და გამოვიარე, დავადექ შავსა გზასაო.
უკუვიხედე, მომდევდა, მოაბრიალებს ხმალსაო.
— ვაჟო, რა გინდა, რას მომდევ, შენი რა წამილიაო,
ცივი წყლით სახლი მომირწყამს, ზედ ვარდი მომიშლიაო,
დედამთილი, მამამთილი ბოსტანში გამიშვიაო,
ცხრა მაზლი ნამგლის მქნეველი ნაფუზვარს გამიშვიაო,
ის ჩემი დამტირებელი აკვანში გამიშვიაო,
უსურვაზის ხელსახოცი კამარას მომიგდიაო,
ჩემი ნეკისა ბეჭედი კუტალში ჩამიგდიაო.
აილო და დამიქნია, ხმალი მიღერა ყელსაო.
ხმალსა ხელი მივაშველე: „ნუ მომკლავ ხოსროს მზესაო“.
„მე ხოსრო-მოსრო არ ვიცი, — ეხლავ გამოგჭრი ყელსაო“.
გავშორდი და გადავსძახე ჩემსა ივანე ძმასაო:
„დას გიკვლენ, ძმაო ივანე, ცხვარივით სჭრიან ყელსაო,

ეგ შენი წეის ბეჭედი გამოუგზავნე დასაო,
 შენსა დას წაიყვანებენ შეიდი წლის სავალ გზასაო,
 შეუკვრენ ხელსა და ფეხსა, შეაცურებენ ზღვასაო,
 ზღვა დაჰკრამს, ქვიშა დალევამს ძუძუ კოკობსა ქალსაო,
 იმისი ქამხის სარტყელი გარს შემოურტყამს ზღვასაო,
 იმისი მღვის პერანგი თავს დაჰფრიალებს ზღვასაო,
 იმისი ხუჭუჭ კაეები თევზს მიაქვს საბუდარსაო,
 მისი შავშავი თვალები ამოუსილავს ლამსაო,
 გუნდით ნალები წარბები გადულამია შლამსაო“. 356

*

ქართლელი ქალი ტიროდა ქართლისა, შუა გზაშია!
 დაყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვასხი ზღვაშია,
 ღმერთმა უშველოს მეცხვარეს, მეცხვარეს იმის ცხვარსაო,
 გამომირეკა ობლები, არ დამიყარა ზღვასაო. 357

ქ მ რ ი

ქალმა თქვა: სიზმარი ვნახე დაჰდევ ენკენისთვისასა,
 ცა წითლად, ყვითლად ელავდა, სეტყვას ისვრიდა ქვისასა,
 თავზედ მაქცევდა ჩარდახსა, დახურულ ყავარისასა,
 წინა სანთელსა მიქრობდა, ჩამოსხმულ კელაპტრისასა,
 ბალში ხეხილსა მიმტვრევდა, დარგულსა ალვის ხისასა.
 ნეტა ვიცოდე, რა არის, — სიკვდილს იტყვიან ქმრისასა. 358

რა ვქნა, რა უყო თავსა, სწორთ იყვარის ქმარსა,
 არცა შეეძლო შენახვა, არც მანებებდა თავსა! 359

რა ქნას, რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალია,
 პირდაპირ ჩამოჯდომია სიკვდილის ფერი ქმარია. 360

პეპელა კრელა, დაი საყვარელა,
 მე არ მინდა ქმარი, გაბერილი ყვარი,
 გადმოდგება კარსა, გარმოანთხევს თვალსა,
 იგი მე შეწყინება, გარდავიარ კარსა,

იქ ვიშოვი ქმარსა, წითელ ქუდიანსა,
ნალა-ნულიანსა, უღვაშ-დაკვარხნილსა,
წელში მოწვრილოსა, არა მუცლიანსა. 361

ახალი პატარძალი ვარ, შემამატარეს კერასა,
მე რო ქმარი შემეყარა, გებრალეზოდეთ ყველასა,
კისერი გასწვრილებია, უგავს ქიანჭველასა. 362

ღედავ, რათ გამათხოვე ზემო ქართლში,
უეცრათ შააქე: „მდიდარი კაცია“,
ნათხოვარია, რაც რომ აცვია,
ერთი კომლი ყმა ჰყავს, უღელა ხარი,
ერთი კუდა ცხენი, ისიც ზურგწამხდარი.
არც აქვს ჭურჭელი, არც სათათარე ხორბალი,
ქალაქს წამოვიდა, აილო ვალი... (აკლია) 363.

რას დამილონდი, რას სტირი, რად ჩამოხყარე ყურები;
იძახდი: „ქმრადა ეგ მინდა“, რალას ვის მოემდურები? 364.

ლამაზმა თქვა: ჩემი ქმარი გულით არა მყვარებია,
არც ლაშქართ წასვლა მწყენია, არც მოსვლა გამხარებია 365

ჩემი ქმარი თოვლეთს არის, თეთრი თოვლის გულისთვინა,
ღმერთო აქ ნულა მოიყვან ჩემი კუროს გულისთვინა. 366

ქალი წავიდა წყალზედა, თან გავადევნე თვალიო,
აავსო კოკა კუტალი, შიგ ვაუყარა თმანიო,
მოდის და თან მოტუტუნებს: ღმერთო, მომიკალ ქმარიო,
არ მომცა კოკის საკიდო, სულ დამაწყვიტა თმანიო. 367

მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი, ნინო ნიჟარაძის ქალი,
ყმაწვილებო, ჩამოდექით, დამანახვეთ სახტრის კარი,
ღვთისმშობელსა ვევედრები, რომ მომიკლას ჩემი ქმარი,
თუ ამ სიტყვას გამიგონებს, მე მივართვა ნიშა ხარი. 368

ყოვლათ წმინდა ღვთისმშობელო, ქმარი ავით გამიხადე,
სიკვდილით კი ნუ მომიკლავ, — დამიწვი და დამიდაგე. 369.

ნუ მოხკვდები, ჩემო ქმარო, თორემ არ დავირჩენ თავსა,
ხესა გავალ ქონდრისასა, მაზედ ჩამოვიხრჩობ თავსა,
ნაგუბარსა ჩავარდები, ნაქლიკავსა კარისასა. 370

ბატონო ერისთვისშვილო, ოქრო ხარ, განა მინა,
ჩვენს ცოლებს შემოუთვლიათ: კმარა, წამოდით შინა,
დაეთხოვენი ბატონსა, აგრემც მოსქამდეთ პირსა,
ისე გაგვიხდა სასირცხო, ველარ უპოვით პირსა. 371

ლამაზმა დაიტრაბაზა, ჩვენში ყველიერიაო,
ლამაზი ქმრის შეყრა ყველაზე გემრიელიაო. 372

შენ ბიჭო, წითელ პერანგავ, რას იყურები მკლავზედა,
შენ ჩემსა ქმარსა ვერ იცნობ, — სულ ხელი უძევს ხმალზედა,
დღისით მიხოცავს ნადირსა, ღამე უწევარ მკლავზედა. 373

ქალო, შენი ქმარი ჩემ ქმარს დავჭიდო მეიდანზედა.
რომლისამ ქმარმა გალახოს, ლაფი დავასხათ თავზედა. 374

განგიურის ქალი ვიყავ, ბაიდურანთ პატარძალი,
ჩაილურში ამიყვანეს, შემიკმაზეს ფრიფინაო,
თიხის ხევზედ რომ მივედი, მხარმა მითხრა — მიფრინაო,
პატა ხანი დავაცალე, მტერმა თავი იჩინაო,
მაყრები შემომეფანტნენ, ძმამ გარეშე მირბინაო,
ასი მოკლა, ასი დასჭრა, ასი ჯავზედ მიჰკიდაო.
ჩემ ქალაჩუნა საქმროსა ჩიქილა წამოვხურე,
კოჭებამდის დაჰფინაო,
ჩიქილა ჩამოხვეულმა სულ შინამდინ ირბინაო. 375

ბედნიერი შენი ქმარი, ლაშქარს მიდის როგორც ქარი,
უბედური ჩემი ქმარი, ნაცარს ქეჟავს როგორც ქალი. 376

ქალსა ქმარი მოჰკვდომოდა, ბულბულივითა გალობდა,
ისე ქმარს არა ტიროდა, როგორც შაირსა ნანობდა. 377

ნადარბაზევის ტირილი გამოდის ზარის ხმაზედა,
მე ბულბულები მეგონა, ქალი ტიროდა ქმარზედა. 378

ქალო, ნუ გინდა ეგ ქმარი, სნეულია და მოკვდება,
შენ ჩემი თავი არჩიე, ბოლომდინ გამოგადგება. 379

ქალო, შენსა დერეფანსა ბოძ მოუდგამ, არ დავაქცევ,
მე რომ შენი ქმარი ვიცი, — შაუბერამ, გადავაქცევ. 380

ქისტის ქალაი

ჰანკისში გუთან წავიღე, იქაც ვეთრიე ერთხელა,
მოვიდა ქისტის ქალაი, წამეთელ-წამომეთელა.
გაჯავრებულ ქისტის ქალმა დაიფელა და მეძგერა,
ფვალ მომჩნეს ამხანაგზედა, აღარც ის წამომეშველა.
წამოვიკიდე ქისტის ქალ, ვერ გადმოვიღე ერთხელა,
შეორედ წამოვიკიდე, — ძირს ქისტის ქალი, ზედ მენა!
ხევში რომ ჩავიყარენით, მაშინ ვთქვი: ეხლა მეშველა!
ძუძუებს ვეტანებოდი, როგორც ბატკანი ხეხერა. 381

ნონიაანთ ქალი ვიყავ

ნონიაანთ ქალი ვიყავ, კერმუხტი და ლალი ვიყავ,
ჭრა და კერვა კარვა ვიცი. წიგნის ქამანდარი ვიყავ,
რატომ არავინ მითხოვა, — თითქოს მოდის ქალი ვიყავ.
მთხოვნელები ბევრი მყვანდა, მაგრამ ძერას ბიჭი მინდა.
ამ თედეკამ წამიყვანა, მთები გადაპაროდინა,
ერთ საყდარში მიმიყვანა, ცალ ხელშია ხატი მომცა,
ცალ ხელშია კელეპტარი. დამაფიცა და შევფიცე:
„მამაც მიყვარს, დედაც მიყვარს, ძმები ყველას მირჩევიან,
მაგრამა ეს ძერას ბიჭი მთელ ქვეყანას მირჩევიან“. 382

კონსტა მსუპასის საყვარლად

კონსტა ვაჟკაცის საყვარლად ესახელება ქალსა,
 ქალი მუდამდღე კარზე დგას, გასცქერის იმის გზასა,
 როცა მივა, გადებხვევა, კონსტათ შემოახვევს მკლავსა.
 მყრალი ვაჟკაცის საყვარლად ეთაკილება ქალსა,
 არც გული გულად მიუვა, არც უამება თვალსა,
 მიზნებ მოუდებს, დაითხოვს, არ გაატარებს ხანსა.
 მაგრამ ბევრი შეუძლიან თეთრის ფულების ხმასა,
 ხელში დაიწყებს ელვასა, ქალ აუჭრელებს თვალსა.
 ქალი მაშინ ფიქრში წავა, შეეკითხება ჭკვასა,
 ფულების სიხალისითა მივა გადახვევს მკლავსა,
 მემრე დაითხოვს, დააგდებს, გზას გაუყენებს შავსა.
 მემრე თუნდა წინ შემოხვდეს, არ გაუმართამს თვალსა,
 კარგი ვაჟკაცი ქალს უყვარს, რა ეშველება მყრალსა! 383.

დედა სჯობიან

შენმა გარდამ, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა,
 მთელ ქალაქში არ მივცემ დედას წარბსა და თვალსა.
 ქალი რუსობის ამყოლი არ დააკლდება ბალსა,
 ტყუილათ შემოგიცინებს, შემდეგ სხვას უზამს თვალსა.
 დამერწმუნე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა,
 ვინ იცის, ძამიავ, ქალმა ჩაგიგდოს დარდია,
 ქალი ნარგიზი არის, დედა ძველი ვარდია,
 ვარდი რაგინდ რომ დაჭკნეს, მაინც კიდევ კარგია.
 მას ემონე და მისთვის ამოიღებდღე ხმალსა,
 ყველგან ამასაც იტყვიან, დედა სჯობიან ქალსა.
 ძმაო, ქალი რათ ვარგა, რაცრაცი და ყვითელი,
 ქალი კონსტა-პრეწაა, დედა — დარბაისელი.
 ქალი სულ გაგაციებს, დედა მოგიგდებს ყურსა,
 დამიჯერე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა:
 ვით შემოდგომა ტკბილია, მშვენივრათ მოყვანილია,
 ქალი მჭლეობს და ანჩხლობს, მასთანაც გულგრილია.
 ქალში მეტს ვერას ჰპოვებ, მარტო ტყავსა და ძვალსა,

დამიჯერე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა.
 დედა ბადრი მთვარეა, ქალი ნაცრებულია,
 ქალი ნაძრახი არის, დედა ყველგან გათქმულია.
 მარად დედის სიკეთეს ყველა იტყვის ქებასა,
 ძმაო, შენ იცი, არსად თქო, ქალი სჯობსო დედასა. 384

მალღობიან გადმამდგარიყო

მალღობიან გადმამდგარიყო თვალუფუნა თეთრი ქალიო.
 ხელს მიქნევს, ჩემკენ წამოდი, შინ არ არის ჩემი ქმარიო.
 ციხის საგებლათ გავგზავნე, თავს დასცემია ქვანიო.
 მახარობელი მოვიდა: „ქალო, მოგიკვდა ქმარიო!“
 სამახარობლო გავიღე სამასი სული ცხვარიო,
 იმასაც არ დავაჯერე, გავუგდე ნიშა ხარიო,
 იმასაც არ დავაჯერე, წელს შემოვარტყი ხმალიო. 385

*

გალმა კაცი მოუვიდა ქალი მარღულისშვილსაო,
 სამახარობლო გაიღო, უღელი ხარი მისცაო. 386

ახმეტური ქალი ვიყავ

ახმეტური ქალი ვიყავ, ახმეტელი მეო,
 დედ-მამა რომ მათხოვებდა, ქვეშ-ქვეშ ვიცქირეო,
 ბიჭი რომ გვერდით მომისვს, გვერდზე შევხედეო.
 მაყრიონი რომ მოვიდა, მძიმეთ მოვიქეო,
 უმარილი ბევრი ვისვი, ფერი ვიჭარბეო.
 საყდარშია წამიყვანეს, ჯვარი დამწერესო,
 გვირგვინები მოვიგლიჯე, მღვდელს მივათხლიშეო,
 საყდრიდან გამომიყვანეს, ცხენზე შემსვეს მეო,
 ცხენს ფეხი ამოვუჭირე, გადავაცილეო,
 მეფე და მისი მაყრები უკან დავყარეო.
 მაყრიონი მამძახიან: „ქალო გვიცადეო“.

შე მაყრებს ყური არ უგდე, ვაშლი გავკმინჩეო,
 სოფლის ბოლოს რომ მივედი, სახლი ვიკითხეო.
 საქმრეულას რომ მოვედი, ცხენით გარდმოვხეო,
 დედამთილი მომეგება, ტუჩი უბრიქეო,
 დედაბოძს შემოუარე, ქილა გავტეხეო,
 უდაიროთ ვითამაშე, ბალღი გავტყლიტეო;
 აველი, ტახტზე დავჯექი, არ შევირცხვინეო,
 პირბადი გადავიხადე, არვისგან ვითხოვეო,
 ატმით ღვინო რო დავლიე, პირი ვისველეო,
 ერბოკვერცხი რომ მომიწვეს, კარქა შევექეო,
 დიდი ლუკმა რომ შევიდე, ბოძს მოვეფარეო.
 ქორწილობა რო გათავდა, ქმარს ავეშაღეო,
 დედამთილი ვჯობხე, ვჯობხე, მული გავიგდეო,
 მამამთილს წვერი ვაგლიჯე, პირში ვაყარეო,
 მაზლი კარებს მოეფარა: „ღმერთო, მიშველეო!“
 სამი დღისა პატარძალმა მოვილოგინეო,
 ქალაჩუნა ჩემი ქმარი სამკალ გავაგდეო,
 ერთი მჭადი მეზობლებში გარეთ უსესხეო,
 ასე ვუთხარ: „შენ ყმაწვილო, ეს იმყოფინეო“.
 საღამოზე რომ მოვიდა, მოვიკრუსუნეო,
 მძიმეთ მითხრა: „რას უწებარ, მაჭამე რამეო!“
 „ვინ რა მომცა, რა გაჭამო, კარს გაეთრიეო“.
 „არას მაჭმევ, რას მიწყრები, ქვეშ გამიშაღეო!“
 ქმარმა წოლა მომინდომა, წიხლით გავხეთქეო:
 „ემენდა ძველი ნაბადი, კუთხეს მიეგდეო“.
 ჩემი ქმარი რომ გავაგდე, დავჯექი, მოვირთეო,
 ჩემი კურო დავიბარე, კარგა შევექეო,
 დედალ ყვერული შამოვდგი, ქვევრსა მოვხადეო,
 სიყვარულით გამაძღარმა დავწექი ვიძინეო,
 ჩემი დრო ასე ვატარე, კარგა შევექეო,
 სოფელში ხმას ვინ გამცემდა, — სულ ავატუტეო. 387

ქალი გავთხოვდი ანაო

სოფელო, რა გაგიკვირდა, ქალი გავთხოვდი ანაო,
ოსმალ თათარს შევეყვარდი, ჯიბეს ეყარა ფარაო,
თავის რჯულზედ შამამფიცა: „მე არ გაგყიდი ვალაო“¹⁾.
პატა ხანი დავაცალე, ვაჭარი მოიყვანაო,
თეთრი ბეერი დაუთვალა, უზალთუნი და ფარაო,
ჯიბეში არ ჩაეცია, ქამარში ჩაიყარაო. 388

ქართლიდან წამოსული ქალი

ქართლიდანა წამოსული არი ერთი ქალი,
ტანთ აცვია დარაია, ლერწამს უგავს ტანი.
მას იმაზედ წამოუსხამს თეთრი დიბის ტყავი,
მას იმაზედ გადუშლია შავი გიშრის თმანი,
მას იმაზედ გადუშლია თეთრი ალაბანი,
მას იმაზედ შამოუკრამ წკებლა თასაკრავი,
მას იმაში უბნევია ქიძისთავი, ლალი.
ქალო, შენზედ ამილია ასი თუმნის ვალი,
სულ თვალი და მარგალიტი, ზურმუხტი და ლალი.
თუ შემიხვევ შემიხვიე... (აკლია). 389

მთიულის ქალი ვითხოვ

მთიულის ქალი ვითხოვე, ბრიყვი და გაურდელია,
ორი სარტყელი უყიდე, მესამე ჭიაფერია,
სამივ ერთად გადავაბი, კიდევ ვერ მოუწვდენია,
ის მამაძაღლის გარდილი კამბეჩზედ კიდევ სქელია,
ჩამოსაყვანათ რომ წაველ, ცხენ მამიწყვიტა წელია,
მთიულეთში რომ წაველი, მაჩუქეს ერბო-ყველია,
სულ ერთიანათ დავამსე ის ქოცოვები ჩვენია.
სულ ასრე ამეეჭაბა, ძირზედ მეესო ხელია,
დედაკაცებში კვებულობს: „ნიგოზსაც მივაგენია!“
ყმაწვილები დეელახა, საწყალი დედაჩემია,
დეეჭირა მამაჩემი, გედეეტრუსა წვერია. 390

1) ღმერთმანია.

მე რომ ღმერთმა გამაჩინა

მე რომ ღმერთმა გამაჩინა, ლხინისათვის დამარჩინა,
 საცა ლექსი გავიგონე, ვისწავლე და შევინახე.
 რო ვთქვი, რომ ღმერთმა მიშველა, სამი კვირა ავით გავზე-
 საცა ქალი დავინახე, დავიწვი და დავიდაგე.
 ორღობეს ქალმა ჩამომიარა, გავიქე და დავემალე,
 როგორც ხოხობს, მახე უგდე.
 გვერდზედ რომ გამოიარა, წამოვდექ და გავეზრახე, —
 გზის ქვა სულ ჩემზე მოიღო, აღარ შემარჩინა სახე,
 მალმალე კი იმას მეტყვის: „მამაძაღლო, ეგა ნახე!
 ეგ სიტყვა რო გულში გქონდა, პირათ როგორ გამეძრახე!“ 391

პ ა ტ რ ი მ ა ლ ი

ქალამანი ამოვისხი თაგვის მთავრიელიო,
 პატარძალი ზოგიყვანე ის არ ვასარდელიო,
 ერბო-კვერცხი შეგვიჭამა, შვიდი ნიტრა ყველიო,
 ექვსი რძალი გამილახა, მერე დედაჩემიო,
 ერთიც მე გადმომიჭირა, განზედ გადავბტევიო,
 მაშინდელს შეშინებულსა ეხლაც არა მაქვს ფერიო. 392

*

გიგო, გიგო ბარაქა,
 შენ რომ ცოლი მოიყვანე,
 არ გიქებენ თვალათა,
 ცხვირპირი დასიებია,
 კბილებში აქ ბარაქა,
 ქვაბში ნაღებს აღარ უშვებს,
 კიდობანში კარაქსა,
 ორხობეში კარაქსა,
 მეიდანზე ბალანსა. 393

*

ოსტატობას გვამადლიდი, გვინელებდი ერბო ყველსა,
ნულარც არას გაგვიკეთებ, ნულარც არას გვიხლებ ხელსა. 394

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს ეხლანდელი ქალის გული,
მინამ გასათხოვარია, უნდა იჯდეს დაღუღული,
როდესაც რომ გათხოვდება, მიეცემა დიდი გული;
ქმარი ტყეში წაუვიდა, ხელში მიაგება ცული,
კიდობანს კლიტე დაადო, არავის აჭამა პური:
„ჩემი ქმრის მონაგარია, გამოიჩიჩქნეთ ეგ ყური!“ 395

დედავ, დედავ, გამათხოვე

დედავ დედავ, გამათხოვე, რას მიყურებ, რასაო,
გათხოვდენ ჩემი ტოლები, გაუყენეს გზასაო,
ოჯახს ემსახურებიან, გვერთ უწვანან ქმარსაო.
წყლის წყურვილით იხრჩობოდე, არ მოგიტან წყალსაო,
ყელამდინ ნაგავში იჯდე, არ დაგიგვი კარსაო. 396

ქ ა ლ ი

ქალი ვარ, მქვიან ქალთამზე, ქალური ვიცი ლხინია,
ვაჟკაცსა ვეძებ, რას დავდევი, პეტრე ქვიან თუ თინია. 397

ალალმე, შენი ჭირიმე, დალალმე, გამათხოვესო,
წითელი კაბა ჩამაცვეს, საყდარში წამიყვანესო. 398

წაიყვანეს თამარ ქალი, ზედ ურემზედ დაუსვენა:
„აქამდინ თქვენა გყოლიათ, ახლა ჩვენ დაგვანებეთა“. 399

კაციანთ ქორწილი ქნეს სტვირითა და ქამანჩითა,
პატარძალი მაიყვანეს სარკითა და სადაფითა,
არც მაჩვენეს დილის მზითა, არც საღამოს სანათითა,
მაშინ მაინც დავინახამ, რომ დარბოდეს კალათითა. 400

ქართლისა არაბასაო ქალი უდგემდა ძნასაო.
ქალო, ნუ უდგამ ძნასაო, მოსულა ლეკი ზღვასაო.
„მე ლეკისა არ მეშინის, თუ არა მიჭირს ძმისაო“. 401

მამა-შვილი წაჩხუბულან, შვილი მამას მორეცია.
„რათ მინდა ¹⁾ ჯავავის ქალი, ჩიქილა ჩამოფხატული,
ქართლელი ქალი სჯობია, თვალწარბი გადახატული“. 402

შენი ყანა, ჩემი ყანა, გუშინ ქალმა შემეყვანა,
სარტყელში ხელი ჩამავლო, შიგნი შიგან შემეყვანა,
ჩემი სიყრმით მონაგარი სუ ჯიბეში ჩაიყარა.
ბეზარს იმან მამეყვანა, — იმ ღამეს სხვამ წაიყვანა. 403

საყვარელო მაცალე, ჯიბე ნუ დამიცალე,
სანამ ფულები მქონდა, დასჯექ და გაიხარე.
როცა გამომელია, წახველ, სხვა გაახარე. 404

შენ რა გინდა, ჩემო ქმარო, მე სხვა ბიჭი გავახარო,
შენ შენი არ დაგაკლდება, მე სხვა კაციც გავახარო,
ჩემი გული არ დავჩაგრო!.. 405

რა კარგი ქალი გავთხოვდი მარტყოფიდამ ავქალასა,
როცა ბიჭი მომინდებდა, მალმალ ჩავრბივარ ქალაქსა,
შიკიტნებსა დაუჩახებ, — მელქოსა და გასპარასა,
რუსს ვეტყოდი: „პოდი სუდა!“ იმერელსა: „აქანასა“. 406

წავალ, წავალ, არ დავდგები, ჩემ ქმარს გავებუტები,
ვინც მიყიდის ხაბარდას, იმას ჩავებუტები. 407

1) მამა ეუბნება.

ქალმა თქვა: ჩემი ლოგინი ნეტამც შარაზე დამეგო,
გამლეღის, გამომლეღისა ყველასი გული მამეგო. 408

(ქალს კურო ჰყავდა. ღამით მოვიდა, კედელზედ აფხაჭუნებდა და
კატურებ ჰყაოდა. ქალი მიხვდა და დაუძახა:)

აცხა, აცხა კატაო, რას შემომჰყავი კარსაო,
მე ჩემი ლომი გვერდ მიწევს, შენ ვინ გაგიღებს კარსაო...
(მამამთილმა გაუგო რძალს და ასე უთხრა:)

უყურე, კახბა დიაცსა, რა მეიგონა წამსაო,
კუროს კატურებ აჰყავლებს, რათ არ გაუღებს კარსაო! 409

ქალი ვიყავ ქალაუცი, ტანი ალვად გადავუშვი,
საცა ბიჭი მომეწონა, მომდურავი არ გავუშვი. 410

საქარას კახბა ქალები: პლანგია და მართაო,
ედუკია და სალომე, მაია მაჭანკლათაო,
დამჯდარან, ასე ჩივიან: ქმრები არ გვივის ქმრათაო,
ვინ ხარ კაცი მადლიანი, მოდი, მოგვძიე მართლაო. 411

ერთი ვინმე თეთრი ქალი იბარცხნიდა დალალ კავსაო,
სარკეშია იხედება, მოიწონებს თავი თავსაო,
დედამთილი გვერდზე უზის, მაგრა აკრავს თავსაკრავსაო,
თავის მაზლი შემოესწრო: „მოუჭირე მამამკვდარსაო“.
— ჩემო მაზლო, რა გაჯავრებს, მუქათათხომ არ ვაძლევ თავსაო,
მუჭა-მუჭა ფულს მაძლევენ, შენ მოგიტან, განა სხვასაო,
ჯერ გიყიდი გუთნეულსა, გაზაფხულზე კალოს ხარსაო,
წისქვილსაც დაგიბრუნებ, ღარზე გადმოუგდებ წყალსაო,
კარგ ნაფუზრებსაც გიყიდი, შეუმატე დიდ ზერებსაო. 412

მარჯვენა მხარი ამტკივდა

მარჯვენა მხარი ამტკივდა ამ შუა მარხვას დღესაო,
თანდთან დამიწყო ტკივილი, გულმა დაიწყო კვნესაო,
გვერდით დედმამა მისხედან, მაყრიან ხოხოშნებსაო¹⁾;

¹⁾ წამალი ბალახებისგან.

სოფელში კაცსა ჰგზავნიან, წამალს იკითხვენ ბევრსაო.
 რაღას მიშველის წამალი საბრალოს მიწის ტყვესაო,
 გამიკეთებენ კუბოსა თეთრსა ტირიფის ხესაო,
 დამდებენ საკაცეზედა, დებს დაუჭერენ კელსაო,
 მამა იძახის „მუზლებსა“, დედა იძახის „წელსაო!“
 წინ კაცებს გამიძღვარებენ, დიაკონსა და მღვდელსაო,
 რომოვლენ საყდრის კარზედა, წიგნს წაიკითხვენ ჭრელსაო,
 ჩამდებენ სამარეშია, ქვებს დამაყრიან ბევრსაო.
 წითელი გველი მოვალის, მაიღერებდა ყელსაო,
 ჯერ გადამძოვა ულვაში, მემრ ქოჩორს მიჰყოფს კელსაო,
 მარჯვენა თვალი მოსთხარა, გულმა დაიწყო კვნესაო.
 ერთი მოვალის სკვის შვილი¹⁾ მედამ ბედნიერ დღესაო,
 აყენებს ცრემლის გუბებსა, აქ შამაწუბა წვეთმაო,
 ვინც უგმობს²⁾ ჩემებ სწორები, ვიფიცავ იმის მზესაო. 413

ს მ რ მ ე ლ ა

ჩვენი ცოდვით მოგვეწია შუა მარიობისთვისა,
 რისთვისა და ამისთვისა, თუ რომ გული გაგვიგებსა:
 არა სწამდა დაჲ ძმასჲ, მეზობელი მეზობელსა,
 ნათლიობა ნათლიასა, არ ინდობდენ ერთმანერთსა,
 ამისთანა ყოფაქცევა აღარ მოსწონს ქრისტე ღმერთსა:
 „ჩემის ხელით დაწერილი სახარება ძირსა ძევსა.
 მაგრამ შევლენ ბრიყფნი ხალხნი, მას ყურიც არ დაუგდესა,
 რაც თავის დღეში ენახათ, სულ ეკლესიაში თქვესა“.
 ამისთანა კანონები აღარ მოსწონს ქრისტე ღმერთსა,
 სთქვა თუ: „ხელი წამოუსო, სულ გავწყვიტო ამ ერთ დღესა“.
 ეს ამბავი გაუგია ძირს მარიამ ღვთისმშობელსა,
 აღფრინდა, მცაში წავიდა, ქრისტეს ტახტზედ დაბძანდესა:
 „ჰეი, შვილო, ტკბილო ძეო, რას მიპირობ დედაშენსა!
 რისთვის მიწყვეტ სამთელ საკმელს, სეფისკვერსა, ზედაშენსა,
 „თუ ქრისტიანენტ გამიწყვეტ, შვილო, მე რა დამარჩენსა!

¹⁾ ცოლი.

²⁾ ნუგეშს მისცემს.

— შენ, დედავ ჩემო ქალწულო, შენ რა იცო დღეჲ დღესა,
შენ რა იცი, ქრისტიანზედ მე რა ჯაფა გარდამადესა!

მე ქრისტიანის გულისთვის თავი მივე სატანჯველსა,
შოგვედი და ისევ გავცოცხლდი, ჩავვარდი ურიის ხელსა.

„არა შვილო, გენაცვალე“, ღვთისმშობელი ღალადებსა,
„ორი წილი მაინც მომე, მესამედი თუნდ გაწყდესა“.

დასხდენ ორნი, დედა-შვილი, ზეცას ანგარიში ქნესა:

— ცეცხლი მივცეთ, — არ იქნება, ვაჲ თუ ყველა დაგვეწოსა,
ქარი მივცეთ, — არ იქნება, ვაჲ თუ გადგვიყაროს კლდესა,

წყალი მივცეთ, — არ იქნება, ვაჲ თუ ყველა დაგვერჩოსა;
შიშის ელდა გავუჩინოთ, იმავე ნიმუტს სული სძვრესა,

თვალთ ველარას ხედავდნენ, ველარც ზიარებას, მღვდელსა“.

ცხრა-ცხრა გუნდნი ანგელოზნი ჩვენ ზეცაში შეჰყარესა,
ხელში უჭირამთ ჩანგლები ჩვენი სულის ამამხდლებსა,

აქეთ იქით გამოგზავნეს, მთელ ხმელეთზედ მოფანტესა.

პირველად რუსეთ გავგზავნეს, რუსის ჯარში შეუშვესა,
სამ როტა ჯარში შეუშვეს, ბლავანი არ გაუშვესა.

ზოგი ხელებს იკლანჭამდა, ზოგი შლიდა მკლავსა, ფეხსა,
ზოგი თვალებს ატრიალებს და პირიდამ ანაღვლებსა.

შემრე წიგნი გაუგზავნეს ნიკოლოზ ხელმწიფესა:

„ქართლის ცოდო მოგვეწია, ჯარები სულ დაგვიწყდესა“.

ნიკოლოზ კელმწიფეი ტახტზედ იჯდეს, წამოხტესა,

ათი სამთელი დეეკრა, ათივე სულვე ენთებისა,

შინამ ათივე დაიწოდა, ჩოქზედ ეხვეწება ღმერთსა:

„ღმერთო და ჩემო გამჩენო, ქრისტიანი მომიჩრჩესა,

ჩემი ჯარი წამოვიდეს, ქალაქი იქვე დარჩესა“.

წიგნი ჩადეს ფოშტაშია, დაბეჭდეს და დალაქესა;

შინამ ფოშტა მოვიდოდა, მას ხორველა დაარქვესა.

ხორველა რომ აიყარა, ჩაჩანზედ გადმოიბრბენსა,

ერევანს ეცა ელივით, ყიზლარს აადენენ მტვერსა,

სომხითზედ ჩამოიბრბინეს, სულ ჭერეხივით ყარესა.

ქალაქს წიგნი მოუწერეს, ამ ქალაქის ქემხუდებსა:

„ყველანი დეეშურენით სარჩოსა და ხაზინასა,

თორემ მოდის ღვთისგან რისხვა, ხაზინებ ვინ შეგაქმევსა,

ცხენი არ დაგვივარდება, მანდაც მოვალთ ამ ორ დღესა“.

შოგვეცემა ღვთის წყალობა, ფაფხური აქეთ სომეხებსა,

ველარც არა ივაჭრეს რა, ველარც არა გაყიდესა.

ხუთშაბათ დილა გათენდა, ჩვენ ქალაქსაც მოადგესა, თათრის მეიდანს მოვიდნენ, ბარგი სულ იქა ყარესა. სამ წილათ დადგა ხორველა, სამათ ანგარიში ქნესა: ერთსა ერგო ქაშუეთი, ხევის პირი ჩაუბესა, მეორესა — ავლაბარი, ხიდის ყური ჩაუბესა, მესამესა — განჯისკარი, აბანოებ ჩაუბესა, გარშემოფარგლეს ქალაქი, კაცი აღარ გაუშვესა, ბევრი კარგი ვაჟი კაცი უადგილოს დაარჩესა. ეს გეურქ აღამ შეიტყო, გულზედ იცემს თავის ხელსა: „ეს რა საქმე მომხდენია, ვაჟ დედი ჩემის ღმერთსა!“ რალათ უნდა ქარვასლაჲ, სულ ოხრათაც დაურჩესა. „წავიდე და გავიხიზნო, ხორველა რას მომაგნებსა, ამტენსა სარჩოს ჩავიტან, არც წელიწადს მომინდესა, ნუში, ნუყლი და ქიშმიში ათას ფერათ აყვავდესა“. დაბლა ჩავიდა სარდაფში, მაგრა ადებს კარებს ძელსაჲ: „აცა შვილო ხორველაო, აქ ის რალას მომაგნებსა“. სამი დღე რომ გამოვიდა, იქ ხორველას ისიზმრებსა: ყიზილბაშად მოეჩვენა, წვერი დაბლა დაუშვასა. „გამარჯობა, გეურქ აღავ“, შორით სალამს მიართმევსა, „ღვთისგან გამოგზავნილნი ვართ, სად დაგვემალევი დღესა, შენ რომ კარებ დაგვიკეტამ, ჩვენ ვაკეთებთ გასაღებსა, იქიდგან ჩამოგიძვრებით, სადაც ვნახამთ სინათლესა“. უბედური გეურქ აღა შიშისაგან გახეთქესა, ერთი ანდერძად ესა თქო, რაც ეწადა ქრისტე ღმერთსა: „ნეტა ეს ჩემი ქარვასლა ახლა ვის უნდა დარჩესა, მინამ ჩემი სინსილა არს, ხომ ვერავინ წამართმევსა, ოდეს სინსილა გაწყდება, ეჩმიადინსა შესწირდესა“. მოჯამაგირეს უძახის: „წადი, დამჩახე მღვდელსა!“ სანამ ეს სიტყვა გათავდა, მისი სული ამოხდესა. მოგვეცემა ღვთის წყალობა, მკვდარსა ყური არ უგდესა, ქალაქში ჩამოიბინეს, ღუქნები რომ დააღესა, ბაზრის ქუჩაში ჩაუხსდნენ, სულ თხებივით დათვალესა, ერთ დღესა რამტელი მოკლეს, ანგარიში ვერა ქნესა, ეს ასრეთი მეიდანჲ სულ მატყლივით დააგესა. ქალაქს მელიქ სოლომანსა ბიჭათ ვერვინ აჯობებსა, დაუარა რაზბონიკებს, ყველას თავის მომყრელებსა: „წამოდით, ვნახოთ გეურქა, ცოცხალია თუ მოკლესა“.

წავიდნენ გეურქ ალასთან, სარდაფიდგან ჩახედესა:
 ასეთია გეურქ ალა, ლამის სულით აყროლდესა,
 თავის ალმასის ბეჭედი ნეკის ძირს ჩაუქანგდესა.
 იმ მამაძაღლ ყარსელებსა კაი ამინდი დაუდგესა,
 რვა თუმანი თეთრი შეკრეს, გეურქ ალა წაიღესა,
 ახლოს ვინლა მიეკარა, ფეხთ ლელეჭი ჩააბესა,
 საფლავიც კი არ აღირსეს, ერთ ხევში გადააგდესა,
 რაც იქ ქვა და ღორღი იყო, სუ ზედ მას მიაყარესა.
 ზოგი კაცი ამას ამბობს: „ვაჟ დედი ჩვენის ღმერთსა,
 წუთისოფელი რა არის, გუშინ მოველთ, მივალთ დღესა“.
 ბებრები ამას ამბობენ: „ჩვენ ვჯობივართ ყმაწვილებსა,
 ოღონც სული გადაგვირჩეს, შვილები თუნდ დაგვიწყდესა“.
 სული ასრეთი ტკბილია, — ნახე გაჭირების დღესა!
 ქალაქს თავარმართებელი ფრანგის ლეკრებს იბარებსა:
 „თავი იცან სატკიერისა, თორემ სულ გამოგჭრით ყელსა“.
 „სატკივარი ასეთია, წამალს ვერვინ დაადებსა,
 რისხვა არის მალლით ღვთისა, უნდა ყველას გადაგვხდესა“.
 ქალაქს სიონ ღვთისმშობელი ჩვენის ცოდვით ატირდესა,
 შევიდნენ და მოახსენეს ქალაქს თავარმართებელსა.
 შეუტია მართებელმან, მადიანაც გაჯავრდესა:
 „დახე ამ სულელებსა, ეს რა საქმე მიაშბესა,
 ღვთისმშობელს რა აატირებს, თუ ზეთი არ გადაასხესა!“
 აიყვანეს ღვთისმშობელი, შალისაგან გასეხესა,
 ყარაულიც მიუყენეს, თუ რომ მართალია ესა.
 ოდეს რომ ვახტი მოვიდა, არქიელი შებძანდესა,
 ხატებს რომ შემოუარა, ღვთისმშობელთან მივიდესა:
 ასეთია ღვთისმშობელი, ვით წყალი გარდაასხესა.
 შაშინ ბრძანა მართებელმაც, დაცლა იყოს ქალაქისა.
 სომხის ტერტერებ გარბიან, მელის სოროს მიაგნესა,
 თავდაყირა შიგ ძვრებიან, — „ჩვენი ღარბაზია დღესა“.
 ქართველისა მღვდელი მოვიდა, ფეხებზედ წაავლებს ხელსა,
 იმას ხორველა ეგონა, ფიცხლავ სული ამოსძვრესა.
 ერთ დღეს გაცივდა ქალაქი, ძალლი შიგნით აღარ ჰყეფსა,
 ზოგი კაცი ხარებს აბამს, აპეურს ველარ უჭერსა,
 ზოგი კაცი ცხენზედ ჯდება, საბელს ველარ აიკეცსა,
 ზოგი კაცი ისრე გარბის, ცოლშვილს თავსა ანებებსა.
 ზოგი გაივლ-გამოივლის, ყურთმაჯებსაც შეიყრისა,

შემოყრება ხორველა, წინ პირდაპირ შესცინებსა:
 „გამარჯობა — გაგიმარჯოს, შოღი დავიჭიდნეთ დღესა“.
 ერთ ხელს კისერში გადახვევს, ერთით ილღიაში სწვდესა,
 აიყვანს და დაახეთქებს, როგორც ძერა წიწილასა,
 სამი დღის სავალს გასტყორცნის, სული ძირს აღარ დაჰყვესა.
 ზოგიერთა ქემხუდები ჭირით იჭერენ დროშკებსა:
 „ჩვენი მკვდარი დავმარხოთ და — ვილა ეძებს უცხოებსა“.
 მედროშკეები ამბობენ: „დღეს ჩვენა ვართ განსაცდელსა,
 ამისთანა მოგებაჲ არ უნახავს მამას ჩვენსა,
 შვილო, თუ დავიხოცებით, ჩვენ გავიტანთ ერთმანეთსა“.
 გაიტანეს ქემხუდები, ავლაბრის ხიდ ქვეშ ყარესა,
 ზოგი წიხლსაც მიახელდა და ნიშნსაც კი მოუგებსა:
 „აცა, შვილო ქემხუდებო, აგრე გირჩევიათ თქვენცა,
 მთელებსაც აღარ გვაძლევდით, მოგვიყრიდით ნამტვრევებსა“.
 შემრე წიგნი გაუგზავნეს ამ გორელებ-ქემხუდებსა:
 „ყველანი ზეეშურენით სარჩოსა და ხაზინასა,
 თორემ მოღის ღვთისგან რისხვა, ხაზინას ვინ შეგვაჭმევსა,
 ცხენი არ დაუვარდებათ, მანდაც მოვლენ ამ ორ დღესა“.
 ქართლში ერთი სოფელია, მას რუისი დაარქვესა,
 გამჩენი ღმერთი გაუწყრა ფიცხელაურ არქიელსა,
 ოდეს ის დროშკით მობძანდა და წირვაზედ შევიდესა,
 მინამ წირვას მოისმენდა, იქ თორმეტი წაიქცესა.
 ზაქარია მამაცოვი, ელაღდებოდა ღმერთსა,
 მოიხადა ოქროს მიტრა, შიგნით ტრაპეზზედ დასდებსა.
 ოდეს წირვა გამოვიდა, დაჰპატიჟებს თავადებსა,
 ბოლოს დროს გათავებისას შემოუძახა ბიჭებსა:
 „რას მირიგებთ ეხლა თქვენა, რათ არ მომგვრით იმ ჩემ ცხენსა,
 წავიდეთ ზემო ქართლშია, ვაწირვინოთ იმათ მღვდლებსა.“
 სალოლაშენს მიატანეს: — „რა ვქნა, ჭრელათ ვხედავ მზესა,
 გამოვბრუნდე, აქ არ მოვკვდე, მე ვეღარ ვიცოცხლებ ბევრსა“.
 „ნუ გეშინიან, ბატონო, კიდევ ღმერთი გილხენს შენცა,
 ვაჟიშვილი ხომ არა გყავს, ხომ არ მოუცია ღმერთსა“.
 ქრისტემ ღმერთმან გადმოხედა: „კარგი კაცი მოღის უსა!“
 აქაც კარგი კაცი იყო, იქაც კარგათ მიიღესა.
 ეს ანბავი გაუგია ყუჟნიაშვილ შიო მღვდელსა,
 მოვიდა და თავს დაადგა, თვალებიდგან ჰყრიდა ცრემლსა,
 ტირილიც აღარ დასცალდა, ფიცხლავ წვერში შეუძვრესა,
 ანდერძიც კი ვეღარა თქვა, — ვერ დააცდევინა მტერსა. 414.

ხორველამ სთქვა, ცასა წაველ, მსხალი მოვჭამე მალათში,
ახლა იქილამ გიახელ, ჩამოველ თბილის ქალაქში,
შავხედე გეურქ აღასა, მალლა ბძანდება ჩარდახში,
ცეცხლივით შემოურბინე, შიგ ჩამოვაგდე სარდაფში,
სუდარა ველარ მოასწრეს, შიგ შაახვიეს ფარდავში. 415

სხილმბა

ნახე რა მიყო ცხელებამ, როგორ ჩამიგდო ხელშია,
ქურდულად შამომეპარა, ცივად გამიჩნდა წელშია,
მუხლებში ძალა წამართვა, აღარ მაქვს ღონე ხელშია,
სუყველაშიდ გამომსხლიტა, მოყვარესა და მტერშია,
ველარსით ველარ წაუვედ, ხელი ჩაჭკიდა წვერშია.
— რას ლაპარაკობ, გრიგოლა, ჭკუა ვერ ვნახე შენშია,
რატომ არ მიფრთხილდებოდი ამ მარიობისთვეშია,
ეს ორი თვე ჩემი არის, ეს მიქნია ჩემ დღეშია,
საჭმლის ნდომას დაუკარგავ, ვისაც ჩაუვიგდებ ხელშია,
ფერსაც და ხორცსაც წავართმევ, ვით მოხარჩული თხლეშია,
გარს სიცხეს შამოუკიდებ, ცივად მოვკუტავ წელშია.
ცხელებამ გული მოიცა, მალ-მალ იძახის ქადილსა:
მე იმას ვიზამ, იცოდე, რომ ველარ სკამდე სადილსა,
სულყოლიფერს დავიკარგამ მე შენი გულის წადილსა,
საწყლად დაგაგდებ სოფელსა, შენთვის ხარშამდენ წანდილსა.
— რას მეშფოთები, ცხელებავ, რატომ აღარ შეგებრაღე,
რათ მომაშორე სოფელსა, რისთვის მომკალ ასეთე მალე,
ჩემის შეწუხებისათვის ღმერთთან იყავ შენ მრვალე!
ამ მარიობისთვეშია ავათმყოფი მოამრავლე,
ავათ არიან ყველანი, ლხინი თავზე გარდაავლე,
ხორცად დამავდე ეს არის, სიცხე მეტად მოამრავლე.
გთხოვ, რომ გამიშვა, ცხელებავ, მომეცი ცივი ოფლია,
ხომ ხედავ, უბატრონო ვარ, მარადის ვტირი მეთქვია,
მე და შენ ვსჩივით ქალაღლით, ამ ჩემ საჩივარს რა ქვია,
მუღამ შენ სიცხეს მიმატებ, არ ქენი ჩემზედ ხათრია,

შენ შერცხვენილო ცხელებაჲ, ჩემსკენ ვინ წამოგათრია?
 — რას ლაპარაკობ, გრიგოლა, რომ არ ისწავლე ჭკუავო,
 რომ არც ფიქრობდი, რათ იყავ, რათ იყავ აგრე ყრუავო;
 ვიცი, შენ ამას ფიქრობდი, მაინც ცხელება ტყუავო,
 ბოლოს გისუსტე, ძირს დაგეც, ყელში ჩაგაბი ძუავო,
 ასე გაგხადე საწყალო, სულ აღარსად გაქ ჭკუავო.
 — თავსლად დასხმულო ცხელებაჲ, აწ ჩაჯექი ბუდეშია,
 უპატრონო არ გეგონო, ყველა ჩემი ნუგეშია,
 ლაზარე ჩემი მოწყალე წყალსაც მასმევს სიცხეშია,
 ავამყოფის მისებრ მოვლა არ მინახამს ჩემ დღეშია,
 გული აქვს ერთობ საწყალი, ვენაცვალე გამჩენშია.
 აწი მიფრთხილდი, საწყალო, თორემ შეგიშლი ფერსავო,
 პირდაპირ უნდა შეება, თუ რომ ბიჭი ხარ, მტერსავო,
 ქურდულეზ დაიარები, ვერაგინ გკიდებს ხელსავო,
 კაცს სიცხეს მისცემ ცოტათი, მასუკან ატკენ წელსავო.
 ხელსა მოგკიდებ, მე ვიცი, გაგიხდი მიმის ყელსავო.
 — რამ გაგაბრიყვა, გრიგოლა, მაგინებ მამის ყელსავო.
 თუმც გაზაფხული მოვიდა, მაშინ მოგკიდებ ხელსავო,
 ეგონებ შენ აღარ მოელი იმ მარიობისთვისავო,
 რათ აღარ გახსოვს, საწყალო, დაგაწყებინე კენესავო,
 წყალსაც რომ სვამდი ნიადაგ, ვერ ისოლებდი ყელსავო,
 გრიგოლამ უთხრა ცხელებას: აწ ვერას მიზამ შენავო,
 აწ წამლებს დავლევ იმოდენს, ველარ დათვლიდეს ენავო,
 ჯულაბს ავიღებ, იცოდე, ეგების მომცეს ლხენავო,
 კიტრსა და ნესვსა აღარ ვჭამ, თუ რომ შევატყვე წყენავო.
 ცხელებამ უთხრა გრიგოლას: გაბრიყვებულხარ შენავო,
 ეგების მართლა გეგონა ზაფხულის კიტრის წყენავო;
 შენ საწყალო, გატყუებდი, მე მინდოდა შეცდენავო,
 კიდევ მინდოდა აწი მე შენი თავი მეშოვნავო,
 ისეთი სიცხე მომეცა; სულ დამესერა ენავო. 416

მ უ ნ ი

ჩემო ჩინგურო დაუკარ, თორ ვიცი ოფლის დენაო,
აგიღებ და ქვაზე დაგკრამ, ქალებმა იწყოს ფრენაო.

„აი, შენ ჩემო პატრონო, ჩემთან გიძს დიდი ენაო,
აბა ერობაჩი გადი თუ გინდა სისხლის დენაო“.

ამოვედი ერობაჩიც, — ჩურჩური არის ჩემიო;

„მაგას ხელი არვინ ახლათ, მაგას ჯაბარა¹⁾ სჭირსაო“.

ახლა გამიგეს ჯალაბთა, ეგაც იღბალი ჩემიო,

ცალკე დამიდგეს ბაკანი²⁾, დამისაკუთრეს ძარიო³⁾,

კუთხჩი გამითნეს ცეცხლანი, კერაჩიც ნულარ ხარიო,

ერთი გონჯი ფური მამცეს, უშობელი დეკეულიო. 417

სულ-ხორცის გაყრა

სულ-ხორცის გაყრა ვიფიქროთ, სათქმელათ საზარელია,

შეტადრე ცოდვილისათვის სულის ამორთმა ძნელია,

დაადგო ფეხის ფჩხილები, ბაგეს უცვალა ფერია,

შე რომ მოწყალე არა მყავს, გულზე მამისვას ხელია.

ხორცი სულსა ეუბნება: „რათ არ გიმძიმს გაყრა ჩემი?“

სინანული არ მადროც, ჯერ არ ვიყავ მოსაშლელი.

ნეტავი, სულო, ჩემთანა სამ დღეს კიდევ მოგეცადა,

ცის ვარსკვლავი შემკობილი ჩემს თვალს კიდევ გაეცადა!“

მაგრამ სული ამოსული ჩაბრუნებას არ ეცადა,

აღარ არი სათუოში, წავიდა და გაემზადა:

„რაც მე მძულდა, შენ გიყვარდა, იმისთვის რათ მომეცადა?“

ერები ჰკითხვენ ბერებსა: „სად არი მოლოზანები?“

„ქვეშენელს არიან, ჯოჯოხეთს, ამოსდის კუბრის ალები“. 418

1) მუნი.

2) ჯამი.

3) საწოლი.

*

არავინა მყავს პატრონი, გულზედ მომისვას ხელები,
 მაშინ რას გამომადლება, თუგინდ რომ მყვანდეს შვილები,
 მოუხაროდეს ეშმაკსა, მოჰქონდეს ხელწერილები,
 სხვადასხვა ცოდვის ბარათი ეჭიროს დაბლუჯულები,
 სულის ამოსვლას ჩქარობდეს, მწარედ ეკრიჭოს კბილები.
 აჩქარდი, სულო ცოდვილო, ხანი არა ჰყავ გვიანი!
 შენ ჩემთან შეტკობილი ხარ, გონიერი და ჭკვიანი.
 — ნულარას მეტყვი ტყუილსა, გულსა ნუ ამიჩქარებო,
 შენ ასეთ საქმეს მიპირებ სამკვიდროს გამიმწარებო. 419

სიკვდილმა თქვ

სიკვდილმა თქვა, შავს ზღვას ვზივარ, ზღვა ჩქეფით ამოვიარე,
 ცხენზე ვზივარ თუ აქლემზე, კმელეთი შამოვიარე;
 დავხედე, ეგრე ყვაოდეს, როგორც რომ ვარდნი, იანი,
 დაუდე, ეგრე დავთიბე, როგორც რომ ცელმა თივანი.
 ბევრისა დედა ვატირე, ბევრისა ცოლი თმიანი,
 ბევრისა დანი დავყარენ, ის დანი გულნაღვლიანი,
 ბევრის ფრანგული შავკიდე, ფრანგული სამლარიანი,
 ბევრის მაყარი შავკიდე, მაყარი პირცეცხლიანი,
 ბევრის ლურჯაი დავაბი, ლურჯაი პიროფლიანი,
 დავჯე და ტყავნი შავკერე სულ მსხვილის ვაეკაციისანი,
 შამრე სახელნი გარვაბენ სულ წვრილის ყმაწვილისანი. 420

სიკვდილი და სიხოსხლე

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლე, ჩემი ყმა ხარო,
 როცა ჩემი ნება არის, შენი თავი ხელთა მყავო,
 არც ხელმწიფე გამაჩნია, არც ბატონი, არცა ყმაო.
 პირველათ მიზეზ მოგიდებ, სიცივისგან გაგთანგამო,
 ზოლო დროს მოგცემ სიცხესა, გონებიდან დაგკარგამო,

პურის მადას დაგიკარგამ, ზეზეულათ გაგტანჯამო,
 მეზობლები კითხულობდნენ: «ახლა როგორ შეიქნაო?»
 საწყალი შენი პატრონი ცხარე ცრემლით ატირდაო:
 „უარ და უარ წავიდა, ბატონებო, რაღა ვქნაო,
 ყურთა სმენა აღარა აქვს, ენაც ეხლა ჩავარდაო“.
 აკი გითხარ შენ, სიცოცხლევ, ბოლოს შენსას დაგმართამო,
 თვალ სინათლეს მოგაშორებ, შავ მიწაში ჩავმარხამო,
 იავონდის მიწათ გაქცევ, ადგილ ვერ დაილახამო,
 შენი გულის საყვარელსა ჭირისუფლათ დაგისვამო,
 იმას სულ შავებში ჩავსვამ, სამძიმრისთვის მოდიანო.
 ახლა უთხრა სიცოცხლემ: სიკვდილო, ღმერთსა ვფიცამო,
 შენ რომ მე გამხდი ავათა, მაშინ ვახსენებ უფალსო:
 „იესო ძეო ღვთისაო, ანგელოზებო ცისაო,
 ერთობრივ დამეხმარენით კახეთის მონასტრისაო“.
 თუ ღმერთი ჩემი შემწეა, სიკვდილო, ვერას მიზამო,
 დაგწყევლი ღვთისა პირითა, სახლშიაც შემოვხიზნამო,
 გზას და სავალს დაგიწყევლი, თუ სხვას ველარას გიზამო.
 ახლა უთხრა ამ სიკვდილმა: ხელს არ მოგცემს ჩემი ბრძოლა,
 ათასი რომ რაც გინდა ქნა, ვერ გამოხვალ ჩემი წონა,
 წავაწვენ, ამტენ გაკენესებ, მოგეწყინოს გვერდზე წოლა,
 თვის ტომებში გამოგარჩევ, აღარ იყოს შენი ყოლა,
 მოვალ, ერთსა მიგცემ ვისმე, ვით შეკრული ვარდისკონა.
 ბევრი ხატი დაიარე, სიკვდილისგან არ გეშველა,
 ტირილითაც ხომ გატირე, მაგრამ ვერა შეგეტყო რა,
 სული ზეცას გავისტუმრე, ღეში მიწამ დაგიძმორა.
 ახლა უთხრა სიცოცხლემ: ნეტა, სიკვდილო, რა ხარო,
 საცა რომ გაიგონები, ვაი რა ცუდი ძმა ხარო,
 საცა რომ ჭირი გაჩნდება, შენ იმ სოფელში დახვალო,
 არ გინდა დაპატიჟება, სახლში ქურდულათ შახვალო,
 რომელსაც რომ არ მოარჩენ, იმისთვის ღვიძლი ძმა ხარო,
 და რომელსაც რომ მოარჩენ, იმისთვის უფრო სხვა ხარო.
 დაგწყევლის ჭირისუფალი, «ეგრემც უკულმა წახვალო».
 ღვთისგან წყეულო სიკვდილო, ხორციელობის ლახვარო,
 ბებრებ ძალიან ინახამ, ყმაწვილებ გაგვილახამო,
 დროულსა და ახალგაზდას რატო არ დაინახამო,
 მოგვიშლი ახალგაზდასა, ბებრებ კი შეინახამო;
 თუ ღმერთსაც არა სწადიან, ვაცრუებული წახვალო. 421

*

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლეგ, ჩემი ძმა ხარო.
— მე შენი ძმა რაათ ვიქნები, შენ პირქვე დასამარხავო,
დადიხარ ჩუმათ სოფლებში, ქურდულათ, ჩუმათ დახვალო,
ჯეელ ვაჟკაცებს დაგვირჩევ, ბებრებს კი შავვინახამო.
სიკვდილო, თავსაც არ მოგციემ, თავიც რომ ქვაზედ ახალო!
სიკვდილმან უთხრა სიცოცხლეს: შენგან მაქვს ბევრი გინება,
მაქ ყური მოკრუებული, რაცა სთქო, არ მეწყინება!
რამ შაქმნა ცა და ქვეყანა, სიკვდილიც იმან ინება. 422

*

ამ დალოცვილსა სიკვდილსა ვერსად ვერ დავემალთ,
გავიქცე, — ვერსად წაუვალ; ცხენი ყავს მეტად ჩქარია;
წაველ და კლდე გავაკეთე, იქ შავათარე თავია,
მოვიდა, იქაც მიპოვა: „შენ გმართებს ჩემი ვალია“.
შე დალოცვილო სიკვდილო, როდისა მოგე პირობა?
კვირადალ სანთელ გინთებდი, პიჯვარ ვიწერდი შენზედა.
თუ რომ შავხვდები, მე ვიცი, დედას ვატირებ შენზედა. 423

როსტომ თქვა

როსტომ თქვა: სიყმაწვილეში ია მოვკრიფე და ვარდი,
საცა იყვის მძიმე ომი, თავს მოვხვდი, ბოლოს გავარდი,
ვაი შენ წუთისოფელო, ბოლოს ამ ალავს ჩავარდი!
თავს მომდგომია სიკვდილი: «ადექ და ჩემთან წამოდი!»
არ იხდის შიში სიკვდილსა, არც დიდის კაცის შვილობა;
არც ჯავრს იხდის სიკვდილსა, ცუდია გატეხილობა. 424

დედაც და

დედაც და მამაც, მე ნულარ მელი,
ცოცხალი თავით ვერ გიახელი,
უცებ მამეცა სიკვდილის ძილი,
ალარ ვინდომე ძმებისგან წილი.

რომ ჩამატარეს, დაჰკრეს ზარები,
 თავს დამეხვიენ ტოლნი ჯარები;
 გადმამდგარიყვნენ ქალნი და რძალნი,
 ზოგი იძახის: „ცოცხალ თუ მკვდარი?“
 ზოგიც იძახის: „ვაჰ შენი ბრალი!“ 425

ს ე ტ ყ ვ ა

ვენახი კარგათ მოვრთევი წმინდათ დათლილი სარითა,
 თოხნითაც კარგათ დავთოხნე, წმინდათ დავბარე ბარითა.
 დაისხა მსხვილი მტევანი, ცისკენ ასწია რქანიცა,
 გუნებით აგრე ვამბობდი: „ამოვალ ჩემი ვალითა“.
 დავალ და ვხარობ ვენახში, არხეინათ მაქვს გულია,
 მთისკენ ამოჩნდა ღრუბელი, ცას მოეფინა ბურია,
 ამ დღეს იყო ეს საქმე, რო შუადღე იყო სრულია,
 შავათ დაბურა ღრუბლებმა, თან მოჰყვა ნიაღვარია,
 იქურხა ერთი საშიშრათ, გულს ეცა როგორც ხმალია-
 სეტყვა დაუშო სხვილ-სხვილი, თავს დამაქცია ბანია,
 მოვარდა სეტყვისა წყალი, შამამივარდა ღვარია,
 დამიწოკა ცოლშვილი, ღმერთმა აღარ შემიბრალა,
 ქვეყანა დააწიოკა, საყდარს დაღეწეს ზარია,
 დავიჩოქე და ვევედრე, ავანთე კელაპტარია,
 ყურძენიც გააყრევინა, თან გააყოლა რქანია,
 ქვევრებს უმზადებდი სხვილსა, არ მომივიდა ცვარია.
 გუნებაში კი ვამბობდი: „გავასისინებ ნავსაო“,
 დახე ცოდვისა კიანხვასა, ღვინოც არა მაქვს მსხლავსაო. 426

რ თ ვ ი ლ ი

უფალმა იესო ქრისტემ ქვეყანას ხელი დარბა,
 მაისში თოვლი მოვიდა, დასცა იანვრის ძალია,
 თიბათვემ რთვილი გააგდო, ვაი ქვეყანა ბრალია.

ვენახები წაგვიხდინა, ლობიო ხო დამძრალა.
 სიმინდი ბევრი მოვიდა, ყველას უდგია ზარია;
 ამ უცოლშვილო ბიჭებსა ცეცხლზე დაუსხა წყალია:

„ახლა რილათ ვქნათ ქორწილი, რით გავახილოთ თვალია!“ 427

თოვლი სემსურითში

აი ყარობტისშვილები სამკვიდროებ დაწირესა,
 გამაუდგა ეშმაკები, ცის ვასკვლავბ დასწილესა.
 საგულებჩი ¹⁾ წამოვიდეს, მანდ თივები დაცხვირესა:
 ზორგნი, ხორგნი ²⁾ კევებზედა, კაც გამოვა საკვირელსა!
 მაქვთენკე რა შეგაწყინეთ, უფალო ილეთიანო! ³⁾
 მა შენად სწლოცავათა ბარე საქონდე დიანო,
 საკენკე შაის ყურეზე ადიან-ჩამადიანო,
 კელში გავ ჭიანურები, სამაიაჩი ღბიანო,
 ა მაგათ მეუფროსესა, მეც ვიცი, ლიკო ⁴⁾ ხქვიანო,
 თუ ქიდ წადი და იკითხე, კბილებზე იცნობიანო.
 ახედვენ დათვისელები: ვაიმე ჩემნო თივანო!
 ჩალით დაგვეყება ძროხათა, ლურჯავ რა გიყო ტიალო!
 აღარც ვინ მგზავრი მოვიდა, ევესურებ რას ჩადიანო?
 დათვისელნ შეიყარენით: ქადაგებ რას გეტყვიანო,
 ღვთის შვილებ რას გიბძანებენთ, ხატებ რომ გამადიანო?
 შენ რას გვეტყვი ქამხელაო, სოფლის უფროსო ჭკვიანო?
 ავდგეთა და იქ წავიდეთ, საცა დოლოშა ხქვიანო,
 აი მათ ახლოაშია ნაბდის ქუდაით დიანო,
 საკალოესა არ უკლავ, ურმითაც მიდმოდიანო,
 ქერის პურს აღარ კადრობენ, იფქლის პურსა ხლეჩდიანო. 428

¹⁾ მოფარებული ადგილები, სადაც თივას დასდგამენ, რომ ზვავმა არ წაიღოს.

²⁾ ხორგი — დიდი ყინული.

³⁾ მოსაწონი, სასიამოვნო.

⁴⁾ მაზრის უფროსი კიკო ჩოლოყაშვილი.

*

ე ოხერი სთველ¹⁾ მოვიდა: თოვლ ჩამოდის ცაჩივითა,
 გადმოვიღე ფანდურათა, ლაშთ ავირთხამ შაშვივითა,
 სიტყვა აღევვა ვიციო, შიბაიანს თათივითა²⁾);
 ხანდხან ვიქნევ კევსურათა, ხან ვავხდები კახივითა,
 რახან ქალი მამავონდეს, მამედების ნავთივითა,
 სადაც გზაჩი შევიყრებით, ჩავიხერგნეთ დათვივითა. 429

მგოს დაბნელება

მეცნიერები დადიან, ანგარიშს კრეფენ ცისასა,
 სოფლებში გამოაცხადეს: „დალამდეს შუადღისასა“.
 სოფელი დიდათ შეშინდა, დაემთხვა დედამიწასა,
 ზოგ-ზოგი ერთად დადიან, ზოგი მიდიან მღვდლისასა :
 ეგებ მღვდელმა გვიპატრონოს, წიგნებს კითხულობს ღვთისასა. 430

სა და დედამიწა

იმ უფალმა გაგვიჩინა ჯერ ვაზი და მემრე სარი,
 ეგეთი უნდა შევკაზმოთ, როგორც რომ მორთული ქალი.
 ხანდხან გაგვიგიჟდება ის ელია წინამძღვარი,
 ცაში ღრუბელი დაიძვრის და წამოვა ნიაღვარი:
 ჩვილი ყლორტი ჩამოჰყარა და დააგდო ხმელი სარი,
 ყოველივე მაშინ ვამბობთ: „ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი,
 ცოცხალი რითი დაფრჩებით, რითი მოვიხსენოთ მკვდარი!
 წმინდა ელია ვახსენოთ, მას აუნთოთ კელეპტარი“.
 ელია რაღას გვიშველის, თუ რომ ღმერთი მწყრალათ არი.

1) მთაში სთველს შემოდგომას ეტყვიან.

2) ზოლიანი წინდა.

*

შეიბნენ ცა-დედამიწა, მოჰყენენ თავთავის ქებასა.
 ცამ უთხრა დედამიწასა: რათ მეტყვი ქებით მაგასა,
 მე რომ მასკვლავებს დავისხამ, შენ რას ნახამ იმის ფასსა?
 დედამიწამ უთხრა ცასა: რათ მეტყვი კვეხნით მაგასა,
 მე რომ მიწას ავამწვანებ, შენ რას ნახამ იმის ფასსა?
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: რათ მეტყვი კვეხნით მაგასა,
 დაგიბნელებ მზეს და მთვარეს, რას გაიგებ ქვეყნისასა?
 დედამიწამ უთხრა ცასა: რათ მეტყვი ქებით მაგასა,
 მე ავანთებ კელებტარსა, დავინახამ ქვეყანასა.
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: რათ მეტყვი კვეხნით მაგასა,
 მე რომ ზეცილამ ნამს უშვებ, შენ რას ნახამ ამის ფასსა?
 დედამიწამ უთხრა ცასა: კვეხნით ნუ მეტყვი მაგასა,
 მე რომ კარგ ჰურსა მოვიყვან, იმითი დაგარჩენ ხალხსა.
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: რათ მეტყვი ქებით მაგასა,
 ასეთ გვალვას გამოუშვებ, სულ გადავწვამ მთა და ბარსა.
 დედამიწამ უთხრა ცასა: რათ მეტყვი კვეხნით მაგასა,
 ულაგო ალავასა გამოვიყვან წყაროს წყალსა,
 ძირიდგან მივცემ სიგრილეს, ყანას დავასხამ თავთავსა.
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: ქებით ნუ იტყვი მაგასა,
 ელვა-ჭექას გამოუშვებ, გაგისწორებ მთა და ბარსა.
 დედამიწამ უთხრა ცასა: რათ მეტყვი კვეხნით მაგასა,
 შენ ელვა-ჭექას ვინ მოგცემს, თუ ზღვიდგან არ მოგცემ წყალსა?
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: ქებით ნუ იტყვი მაგასა,
 მზე და მთვარე ჩემ პირზეა, მე ვანათებ ქვეყანასა,
 დღისით ხმელაზე დავდივარ, ღამე შამოურბენ ცასა.
 ახლა მიწამ უთხრა ცასა: ქებით ნუ იტყვი მაგასა,
 მე რო ვენახ გავაკეთებ, იმითი დავათრობ ხალხსა,
 ზედაშათ მე წამიღებენ, ჩემით ახსენებენ მკვლარსა.
 ახლა ცამ უთხრა მიწასა: ქებით ნუ იტყვი მაგასა,
 ასეთ სეტყვას გადმოუშვებ, თავზე გადაგამგვრევ სახლსა.
 ახლა მიწამ უთხრა ცასა: ქებით ნუ იტყვი მაგასა,
 ზეთის ამარა ფუტკარი მყავს, ჩამოვასხამ კელებტრებსა,
 გამჩენელ შავებგეწები, გავჭარვებ შენ სეტყვასა.
 სამი ჩარექით აჯობა დედამიწამ ზეით ცასა. 431

თ ვ ი ი ბ ი

იანვარი გვესტუმრა ახალ წელიწად დილასა,
 მასპინძელს კარგად იამა, სტუმრებსაც მოუღბენსა,
 ძველ ანგარიშს მოუყობა იმ ქრისტეშობისთვისა,
 ანგარიშებს დაურიგებს დღესასწაულის წელსა,
 ჭორანიკონს განუცხადებს მწიგნობარსა და მღვდელსა:
 ამ მომავალ წელიწადში ხალხს წაუკითხე ესა.
 ნათლულებს მოიპატიჟებს იმ ნათლისღება დღესა,
 ეპისკოპოსსა შემოსაგს, ყოველგან წყალს აკურთხებსა,
 მოვა და სადილს მიართმევს, ნათლულებსა მოუღბენსა,—
 „ჩემთან ვერა თვე ვერ მოვა, ტყუილად რად იბანს ხელსა“
 თებერვალი რომ შეიტყობს, ფინთად დაუშობს წვერსა:
 „უყურე ამ მყრალ იანვარს, ამ ბრიყვსა და საძაგელსა,
 რაც რომ ცუდი ზამთარია, სულ მისაგან გამოდისა,
 კაცი არაფელს აკეთებს სმისა და ჭამის მეტსა.
 წიგნი და დღესასწაული გაუჩენია ღმერთსა,
 ეგ რა მისი საქმე არის, ტყულად რად ჭამს ამ ჩემ ნესვსა,
 ყველა თვე ჯობს იმას, მაგრამ ათას ფერად ჯობვარ მეცა,
 მუშა კაცსა განვახარებ, რომ მოუმატებ დღესა,
 ყოველ ნაყოფს განვალვიძებ, წყალს ჩაუყენებ ხესა,
 წირვა-ლოცვას შევაყვარებ მწიგნობარსა და მღვდელსა,
 მე მარტს ნურავინ მაღარებს, იმ ბრიყვსა და საძაგელსა“
 ამას მარტი რომ შეიტყობს, დანით გამოიჭრის ყელსა:
 „ვის უბედავ, თებერვალო, შენ ვის კადრებ «საძაგელსა»?
 შენ ჩემზე მეტი რითი ხარ, [გამოუწყდი] დედაშენსა!
 ყოველ ნაყოფს ავაყვავებ ბრეწოულის, ლელვის მეტსა,
 საქონელს ავათამაშებ, რაც რომ უნდა იყოს მჭლეცა,
 მსუქან-მსუქანს თქვენ გიტოვებთ, მე დავიკლავ ძლიერ მჭლესა,
 თუ სადმე ტანში უდგია, მუნსაც გამოუჩენ ცხენსა.
 ცოტა გულფიცხი კაცივარ, მალ-მალ გამოვიცვლი ზნესა,
 დღეში სამჯერ გავთოვდები, სამჯერ გამოვიყვან მზესა;
 ჩემს სიმართლეს თქვენც კი ხედავთ, პირად ვამბობ ყორიფელსა—
 აპრილი რაღას აკეთებს, რომ იწმენდავს უღვაშებსა?“
 ამას აპრილი შეიტყობს, უღვაშებს გადაიგრეხსა:
 „ბეჩა მარტო თუმცა ამბობ, რომ შვილი ყავს დედაშენსა,

მე ჭამაში არ დავიჯდენ შენისთანა ჭკუათხელსა,
 დღეში ასჯერ გაგიჟდები, ასჯერ გამოიცვლი ზნესა,
 წელიწადში არ იტყვიან შენისთანა მყრალსა თვესა“.

მიბრუნებულმა მარტმა სთქვა:

„რადგან ასთე კი ვყოფილვარ, გავარიგებ შენ საქმესა,
 რადგან არაფელს ვაკეთებ, გაცემინებ თავში ხელსა,
 ასე მოვწვავ ყოველ ნაყოფს, სათესური არ დარჩესა“ -
 ამას აპრილი შეიტყობს, გუნებაში იფიქრებსა:

„მაგდენი ჭკუა არა აქვს, მართლა ქე არ გაბრიყვდესა!
 მარტო, მართლა არ გაბრიყვდე, ვიხუმრე და გავრიგდეთა,
 მწვანე ბალახს ამოვიყვან, მუნიან ცხენს მოგიჩინესა“.

მარტმა სთქვა: „მე“ხვალ მივდივარ, თვარ მოჩრება, ამ ჩემ ფეხსა
 გინდა მუნი მოჟრჩინე, გინდა შეაჭამე მეგლსა!“

აპრილი გამობრუნდება, თავის საქმეს არიგებსა:

„ყანები დასახნავი მაქვს, დაგვიანდა ბამბის თესვა“ -
 ორშაბათს მოდის მაისი, ჩოხის კალთას გარდიკეცსა,
 მუშას ყანაში აგზავნის, ხარებსაც წინ გაიგდებსა,
 ზედ კავ-უღელს გარდაადგამს, არ დატიებს ფარცხის წქნელსა -

მესადილეს დაუბარებს ლობიოს და ლომის თესლსა,
 ქალებს ფურცელზედ გაგზავნის ახალგაზდა პატარძლებსა,
 „ბებრებო, თქვენ შინ იყავით, არაფერი წაგვიხთვისა“,
 მუშა კაცებს გამოუვლის: „გამარჯობა თქვენს მარჯვენსა,
 აჭა, შვილებო, მივდივარ, მიგანდობ თქვენ თიბათვესა“.

გაცხარებულა თიბათვე, მხარზედა ადევს ცელია:

„გამომიპირე თოხები, ნამგალი, სათიბელია,
 ხვალისათვის ნალი მინდა, ყანა მაქვს სამარგელია,
 ქალაქში უნდა წავიდე, თხაი მყავს საყიდელია,
 სადილ-ვახშმათ თხა მეყოფა, სამხარ-საუზმეთ ყველია,
 თუ რომ ყანები დავმარგლე, პურები მოსაჭრელია,
 სკებიცა სანახავი მყამს, მაგრამ რა გასამხელია, —
 თუ ყოველ საქმეს მე ვიზამ, კათათვე რილას მქნელია!“

კვირკობისთვემ [უპასუხა]: „ხარ ყბედი, საძაგელია,
 თუმცა წვიმასა დაიწყებ, გამოდარება ძნელია,
 სიმინდი თივით სავსეა, ლომები სამარგელია,
 მოჭრილი პური დამპალა, ბევრი კი მოსაჭრელია,
 აბა აწ ჩემგან უყურეთ, თუ არ ვარ საქმის მქნელია:
 აბა, ბიჭებო, მიშველეთ, ღვინო ბევრი მაქვს ძველია,

ასე გავსწმინდოთ ყანები, ვერ ვნახოთ თივის ღეროა,
 დილაობით დარი მივცეთ, ლამაზი, უწვიმარია,
 ლამით ცვარი და წმინდა ცა, მიწის გასახარელია,
 სინამდი მე წავიდოდე, დავტოვო თავ საყრელია“.
 შარიობისთვე მოვიდა, ის უფრო საყვარელია,
 ორ კვირას ცივება იცის, ყოველგნით მოსამხილია,
 ორ კვირას თუ გარდაცილდა, კაცს დაედება ფერია.
 ფერისცვალება-დღეს ყურძენს აკურთხებს ჩვენი მღვდელია,
 სამარიობით დაიძვრის ჭური და საწნახელია,
 ქვეყნბერებას აკურთხებს ის წმინდა ღვთისმშობელია.
 კაცი შესჩივის ურთერთსა: სისუსტე შემოგვერია,
 მაჭარი დავდგით საქებრათ, მაგრამ ჯერ დაუქნელია,
 ვაჟ თუ ყმაწვილებს აწყინოს, მისი დანდობა ძნელია.
 სამუშავოსაც უჩქარენ, საქმეები გვაქვს ბევრია,
 სიმინდმა გული ჩაიდვა, ლომები თავ საყრელია,
 ურემი უნდა ავაგოთ, ფარდები ქე გვაქვს ძველია;
 წროულს იოლათ წავიდეთ, მერმისთვის მოვჭრათ წკნელია.
 მობზილობს ეკენისთვე, გაწითლებია წვერია,
 გამსხვილებია კისერი, როგორც ულაყი ცხენია,
 ლეღვები ყოლგან მწიფეა, ქალები მადრიელია,

1). 432

*

გიორგიობისთვე რა დადვა, სიცივეა ძაან ძნელი,
 ქრისტიშობისთვე რო დადვა, თოვლი ჩამოყარა ბევრი
 იანვარი მოწიწინებს, როგორც შავი ყორის გველი:
 გავწყვიტე ხარი, კამეჩი, არ გავუშვი ქურა ცხენი,
 ხევები ლეშით ავავსე, დავასუქე ტურა-მგელი“. 433

მოწიწინებს თებერვალი, როგორც იანვარის გველი,
 გაწყვიტა ხარი და ძროხა, არ გაუშვა კაკი ცხენი. 434

თებერვალი დადგაო, ხევში წყალი ჩადგაო,
 ყველა სულმა და სულდგმულმა საქირკველი გადგაო. 435

1) გაგრძელება აკლია.

მარტმა თქვა: ჩემი დღენია ავდარი ვარ და ბნელია,
ციკან-ბატკანი დაეხოცე, ტყავი შავკერე ჭრელია,
ხარი ერთი არ გაუშვი, კამბეჩებს მივყავ ხელია,
ახრუმში ტყავი გავგზავნე, პატრონ ვაფარე ხელია:
მანდ კარგი გემი შეკერეთ, ეგ ხომ არალის თხელია.
აპრილმა შემოშითვალა:

მე რომ წვიმა გაახელით, თოვლს მოგიწყვიტე წელია,
ტყე და მინდორი ავამსე, შიგ რომ ბალახი ჰფენია,
კამბეჩები დავასუქე, საგუთნეთ ემზადებიან,
საყვერები დავაგრძელე, გუთანს უმართე ხელია. 436

ჭერმის ხევი

ჭერმის ხევი სთქვა: ავდიდდი, მოვალ, მოვდივარ, მოვხუცი,
არა თუ ცოტა გეგონოს, უკან მომდევნ ჯარები,
მუკუხანში რო ჩამოველ, იქა სდგას ხვალი ლაღები,
ზევიდგან წამოუარე, სულ თავქვე მიველაღები;
ველისციხეს რომ ჩამოველ, დავაღე ბოსტნის კარები,
ისე დავმარგლე ბოსტნები, არ მოვანდომე ქაღები,
ბადანთ მართას შაჟვარდი, გამოვალაგე ქვაბები. 437

*

სად შიხვალ, წყალო მდინარო, ნაწურო მაღლის მთისაო,
ჩამთქმელო ლურჯის ცხენისა, ზედ ლალის ჭაბუკისაო,
ნაპირზე გამომტანელო ქუდისა — მათრახისაო? 438

ქვედრულა

ქვედრულა მოდიდებულა, თან მუაქ მთა და ჭარია:
„ლალაშვილს დაუქადნია, მე მომდის ბევრი ჭერია.
შენი ქვედრულა მოგიკედეს, თუ ვერ გიცვალე ფერია“ —
კალო-საბძელი მოსტაცა, სამოცი კოდი ჭერია,
წისქვილიც უკან გაჰკიდა: „წადი და იქა ფქვევია“.

საცერიც უკან გაჰკიდა, „წადი და იქა სცერია!“
 ღიასახლისი სტიროდა; „ვაი რას მოვესწარია!
 მომივა გულის სტუმარი, ჭადზე ვარ მასპინძელია.
 ჩიქილით სახლი დაგვავე, ცოცხიც ვერ მამიგონია,
 საცერი ცეცხლზე მივაღვი, კეციც ვერ მამიგონია,
 ცხრილითა წყალზე წავედი, კოკაც ვერ მამიგონია.
 ვაი რა დღეში ჩავარდი, ვაი რას მოვესწარია!“ 439

ლიახვმა თქვა

ლიახვმა თქვა: ავდიდდები, არაგვს არ დავედარები,
 ასე მოვდივარ, მოვხუი, ფეხზე არ მინდა ნალები,
 ოსმალო გადმოვიარე, თან წამოვიღე ტყავები,
 ცხინვალის ხიდს რო მოველი, გარ გადავხვით კლავები,
 ორი ურიბ მოვკალი, წითელ ქოჩორა, ლალები.
 ტკვარი კაი ოსტატია, შაგირდათ მივებარები,
 კეხმელია შვილს მიქებენ, უდგია ღვინო ლალები,
 ასე მოვხადე ცხრა ქვევრი, არ მოვანდომე ბარები,
 ასე დავმარგლე ბალები, არ მოვანდომე ქალები,
 თანაც ხომ ბევრი წავიღე ქინძი, ქონდარი, კამები.
 მესტვირი შვილსა აქებენ, — შეება ჭრელი ხარები,
 სამი აგეთი გადუკარ, ზედ დაუმტვრიე ჭალები,
 პური წყალში ჩაუბნივე,
 კაცი გაღმა გამივარდა: „აქ მაინც დაგემალები!
 შე ლიახვო, რას მერჩოდი, შე ჭაბუკისა ჭალო,
 იქ ბატონს ვემსახურები, შენ აქ მოვართვი ღალაო;
 ციციშვილის ნაჩუქრები მომაქ ათი კოდი პური,
 ისიც, ლიახვო, წამართვი, დამაგდე წყალწალებული.
 ეგეც გეყოფა, ლიახვო, — წახვალ და დაიკვებები:
 ჯავცარცვე ძველი მესტვირე, ველარ მიჰქონდა ფეხები...
 მაცადე, გნახო ლიახვო, გეხვეოდნენ კოლოები,
 შიგ ბანაობდნენ ბიჭები და უნიფხო გოგოები!
 წავალ და შევეხვეწები ქალაქ ლაქვერდის სიონსა:
 ჩემი ათი კოდი პური იქ მამე საიქიოსა!“ 440

რიონმა თქვა

რიონმა თქვა: დასაწყისს ვარ ყინულად გამომდინარე,
ერთ ინჟილერს დავენტერე, ისიც გავსადე მტირალე,
მისი გაყრილი ისრები პირჩაღმა შევატრიალე,
მისი ცოდვით ქვა გავტეხე, ქალაქი შევაწრიალე.
ყვირილაე! დავაფხანიკდეთ, აგიაშვილს ვემტერები,
ადგილმამულს ჩამოვართმევ, ერისთევებს დავეშველები,
ბაშს ეკლესიას დავაქცევ, თვარ გამიჯავრდა ბერები,
იქიდგან გაჯავრებული ჭყუშელებს დავეძგერები,
ასთე გავიხდი ორპირსა, ყულევს ჩაჩონდეს ძელები,
სირიაჩქუმს სილას დავდებ, კაცს წაუხთინო ფერები,
ფოთის ციხეს ვერას ვაუნებ, პირში არ მოგეფერები. 441

ხ ა რ ი

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა,
[გარ გალავანი არტყია, ცანი დაჰყურებს თავზედა.]
სამშაბათს იყო ყრილობა ქრისტე მეუფის კარზედა,
ხარი და ადამიანი დადგნენ ერთ სამართალზედა.
ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იღვა მხარზედა,
ადგა, ხარმა მოახსენა: „მე დამიღვია თავზედა“.
წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორსავ თვალზედა,
ღვთის ჩამოსხმული სანთელი დააკრეს ორსავ რქაზედა:
— წადი, ხარო, და იხარე ცასა და ქვეყანაზედა,
ექვსი დღე კი იმუშავე, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
ვინც მეშვიდეს შენ შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა! 442

ავი ბუთნისდედის სული
დაწერილია ჰვაზადა

ეს უღმერთო ჩემი მეხრე შირტყამს ხმელ ბეჭის თავშია,
თითოს ასეთსა ჩამიშვებს, თითქმის ჩამაწვენს კვალშია-
დავიჩოქებ და შევსტირი ჩემ მეუფესა ცაშია:

„მიშველე, ჩემო გამჩენო, ჩემს გაჭირვების დღეშია!“

— მე რა გიშველო, საწყალო, მეც მაგინებენ ცაშია!

მე მაშინ მოურიგდები, როს მოვლენ სამართალშია,

დავადგამ რკინის უღელსა, შევგზავნი ჯოჯოხეთშია,

[გარ შემოუსვამ ეშმაკებს, ურაკუნებდენ თავშია,]

„აწი-აწი“, იძახოდენ, „სულს ამოდი ყელშია!“ 443.

კ ა მ ე რ ი

ამ იანვარმა რა გვიქნა, რა მოიგონა ხერხიო,

ხარი და ძროხა გაწყვიტა, სულა კამეჩის ფეხიო.

კამეჩი გდია ჭალასა აუშვერია ფეხიო:

„შეატყობინეთ ჩემ პატრონს, დანა გაირქე წელშიო;

ნეტავც გაგელო აბაზი თითო კალათა ბზეშიო,

გინდოდა ჩემი სიკვდილი, დაჯექ და ჭამე ლეშიო;

მაშინაც მოგაგონდები, ურემს ტოვებდე ტყეშიო,

შეგებას წვრილი მოზვრები, იწმაწნებოდენ წელშიო,

ყველაი შინ მოდიოდეს, შენ იქვე ეგლო ტყეშიო.“ 444

სხენი მამყიდა

მარტილოზაშვილ სტეფანსა წვერი აქვს როგორც გიშელი,

იმან რომ ცხენი მამყიდა ქეციანი და ტიტველი,

ცხრა კოდი ქერი შაჭამა, არ შამარჩინა ბზის მტვერი.

ბოდორნაზედ გავაქენე, კლდეებს გასდიოდა მტვერი,

წამამექცა ის ტიალი, ქვეშ მაძიტანა კისერი;

ჯერა ვთქვი: „ქვრივი დაქვრივდა, სტვირი გატიალდა კრელი“.

წამოვიწივე, წამოვდექ, ძლივსღა ავიტანე წელი.
პატარა ჯოხი გამოვჭერ, მოკლე იყო, შვინდის ღერი,
მივდექ და იმდენი ვცემე, სულ მშრალათ მოვწყვიტე წელი.
მოველ და ჩემ ძმას უამბე.

— წადი და პატრონს მიუვდე ეს ტიალათ დასარჩენი!
„პატრონი აღარ აიღებს, მშრალათ მოსწყვეტია წელი“.
ავდექ და წაველ სოფლებში, სოფლებია დასავლელი.
სომეხი შამამეყარა:

სამი მანათი მაძლივა, უხალთუნიც ვთხოვე ჭრელი.
როცა რომ კბილი უნახა, მაშინ მშრალათ მამწყდა წელი:
„უხალთუნს რაღაში მთხოვდი, რაც გაძლივე, ისიც ბევრი!
პირმიხანთ ქორწილი აქვთ, ღვინო მასვეს ლალის ფერი,
ერთი კაცი დამთერალიყო, ჩამოეკრა ხანჯლის წვერი.
შინ კაცი შამამივიდა: „დაკუდავდა შენი ცხენი!“
ძრიელ გავწყრი და გავჯავრდი, ხანჯალს მოვიკარი ხელი,
მოუკლავს არ გაუშვებდი, — მეშველი დაეცა ბევრი. 445

სხენის თხოვნა

ენიაზ დიმიტრი წერეთელს უმდაბლესათ ჩემგან თხოვნა.
ერთ დროში მეც ლაფშა ვიყავ, ვისაცა აქვს ჩემი ხსოვნა,
ისეთ პატრონს ჩაუვარდი, არ მალირსა დღისით ძოვნა,
დავბერდი, დავმკლდი, არ მიშვებს, არ იფიქრა მან დათხოვნა,
თქვენო მალაღბრწყინვალეზავ, აწ გევედრო მომეც ნება,
ვინ გამიშობს საწყალს, თორემ მე მინდოდა თვითონ ხლება,
დაბმული ვარ უბელურ ღდეს, თავს ბაწარი არ მეხსნება.
რა ვიფიქრო მე საწყალმა, რა განსაცთელში ვაბივარ,
მუდამ დღე კურტანი მადევს, ღამე ტალახში ვავდივარ,
ღონე არა მაქვს მუხლებში, დაღონებულ ვავდივარ.
ას ცხენს გამრიო სამგზავროთ, სუყველას უკან ზადი ვარ.
ცხენი არ მირევეს სიმკლისთვის, მკბენს და ვძულვარ

სიმყრალისთვის,

ზურგზე ტყავი აღარა მაქვს, არც მტალია ხაძოვრისთვის.
გათენდება, შემკაზმავენ, ამკიდებენ სიმინდს ან ქვილს,
მომხთიან და წამყრიან წამლის ნაცვლათ მიწას და ხვირს.

ორშაბათ დილით დაწყებულს სულ მათრევენ მარად დღეში,
 შაბათს საპალნეს მომწითიან, ლაზარ მჯდება შემოქმედში,
 სმა და ჭამა რალათ მინდა, ქუსლებს მირტყამს მალმალ ფერდში.
 მოწმე მყავს: ათი ფოშტიდამ დაამტკიცებენ ჩემ თრევას,
 ზედნის მეტს ვინ რას მალირსებს, რათ იფიქრებს ჩემთვის ჭმევას.
 თვითონ უწყით, ფულმოყვარე თუ მე რა საქმეს წამკიდებს,
 რაც მჭირდა, კმარა აქამდიც, აწი უმძიმესს ამკიდებს,
 ღმერთი ასი გზით უარგვავ, მოვკვდე, — ჩემ რჯულზე წამწყმინდეს;
 დამერწმუნე, არ გაწუხებ, მე საწყალს რომ გულს არ მწვიდეს.
 მახედ ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალეებას, თუმც ურჩევთ და დაარიგებ,
 შვიდ კაცს მიმცა სახედარათ, ამათ მე რაღას გაუგებ,
 მუხლი წახთა, ზურგზე ტყავი, მე საპალნეს ვერ ავიღებ,
 თავს დავიღწობ უთვოდ წყალში, თუ სხვას ვერას გავარიგებ.
 მის ხელში ვერ ვიმსახურებ, გამცეს სადმე ან გამყიდოს,
 ვითომ მისთვის რა მადლია, სიბჭრის ჟამს რო წამწყმინდოს.
 დაბეთანხმოს, — თქვენ მიყიდეთ, სამადლოთ გამიშვით მინდორს,
 ჩემთვის ჯიბეს თუ მოაკლებ, ღმერთი შეგზლავს ათას იმდენს. 446

ქმრივი ქალის ჩივილი და მთხოვლის ნუბიში

მწუხარება დამიახლდა, დამიშვავდა თავზე მეხი,
 ცხენო, შენ რომ კარგათ მყავდი, გინდ მყოლოდა ოცი გლეხი;
 ცხენი არ მყავს, სად წევიდე, არც მისაქმებს ოხერ ფეხი,
 ან ვინ მომცემს, ვინ ცხონდება, არც მაქვს ფული მოსახერხი.
 ვაიმე რა წამეკიდა მწარეთ გულის გასატეხი!
 ცხენო, საწყალო, რა მოგეხმარო, რავარ ვიცოდი, თუ მოკვდებოდი,
 რაც გასაჭირი მომადგებოდა, შენ საიმედოთ მეგულებოდი,
 რომ მგონებოდა, არ გაგიშობდი, მგელის საქმელათ თუ
 დაწობოდი! 447

ზატონ თავართქილაძის ქალს. დედის მსგავსად მოვიკითხავ
 და თქვენს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ, უმდაბლესათ თავს
 დაუკრავ,
 შენ რომ ცხენი დაგეკარგა, იმისათვის თავს რათ იკლავ?

შენ რომ ტყულათ იგონებ, ვინ გეიგონა მისი ჭიხვინი,
 აღმართს ნახვიდა, — ვერ ააწევდა, გაგაყრუებდა მისი ტრიწინი;
 ასთე ლამაზათ თუ შეამკობდი, აქამდი ჯობდა მისი სიკვდილი.
 ბატონო, იგი მიბძანე, რა საიმედოთ გეგულებოდა,
 სარგებელი არ ყოფილა, რა გასაჭირზე წაგადგებოდა?
 სადაც გზაში წვევიდოდა, სულ ყველას უკან ჩამორჩებოდა,
 მინდორში რაფერ გაჭენდებოდა, თავი რომ აღარ ეზიდებოდა,
 არც სიარული შეეძლო და აღარცა მუხლი ქონდა,
 ვინც კი მას შეაჯდებოდა, ყველანი კუჭით კვდებოდა,
 ქუსლის შამოკრას ვერ შეიტყობდა, დეზი რომ გეკრა, სულ
 დადგებოდა,
 კბილი არ ქონდა, ჩონჩორიკს ჭამდა, რაღა პატივი
 ეკადრებოდა?
 იყო სულ აჯანაკრული, ცა და ქვეყანას ეზიზღებოდა,
 სინამდი იყო საწყალი სიმონ, მის გამომყიდველს ექადნებოდა;
 იგი რომ იშვა, ქორანიკონი ათასხუთასი იწერებოდა,
 ათას ხუთას ოცდაათექვსმეტს კიდევ ცოცხალი იარებოდა,
 უკეთესად ტურა-მგელი ვერავის წაადგებოდა,
 წააზავდენ და შეჭამეს, ეგონათ გაიმებოდა, —
 პირფერობით ჩივი, თვარა შენ რაღა გეწყინებოდა?
 თქვენ იმდენი რა გაწყინა, — გობრონიძე დაუფსია:
 იგი შენი ხუხუ ცხენი მის წისქვილთან დაურჩვია,
 ფუში რომ გარეთ გამოსულა, სათავანი აუფსია,
 ეგებ კი გიეკეთებია, — სიმყრალეს არ მიუშვია! 448

სნოს მღვდლის ხსენის მკვლევები

აბა ვის გაუგონია ქვევით¹⁾ შევარდნა მგლისაო,
 იორღა ცხენის სიკვდილი სტუმრათ მისული მღვდლისაო.
 ეგ რომ მოძღვარმა გაიგო, სუფრიდან ამოხტისაო,
 აანთო ქონის სანთელი, ცრემლები ჩამოსდისაო:
 „რას ვის უშლიდა მკვდარ ძალსა, ვისზედ იგებდნენ შურსაო“
 ეგ რომ ტეტეკამ გაიგო, სიცილი მოსდის პირსაო:
 ეგრე იცოდნეს ახლებმა, არ შეარჩენდნენ ჭირსაო.
 ტყავი ივანეს მიჰქონდა, ტულუფი გამომდისაო,

¹⁾ ძირის სახელში, ბოსფორი.

თავიც სასოფლოთ წაიღეს, ვინც რომ უფროსად ზისაო,
 ეგ ფასფუშებიც იმასა, ვისიც ხანჯალი სჭირსაო,
 ძეხვები კარგი ექნება, სულ ქონი ჩამოსდისაო,
 მიართვით იოსებასა, მგონავ სუდიად ზისაო,
 ძუა-ფამფარი ესტატეს, მამად მოუდევს შვილსაო,
 დაწნოდეს წუის საბელი, ჩამოინასკდეს პირსაო.
 რალას უმაღავთ სახელსა დოდდის და გიგოლისაო,
 ათი თუმანი გადადევს, საჩუქარია ძღვედლისაო,
 ხათრი ბევრი შევინახეთ მაგ სტეფანურის მღვდლისაო,
 დედის ძმას შვილებს უნათლავს, მირონს შოილებს ბევრსაო,
 ეშმაკმა ბევრი გვაცდინა, რალას გავაწყობთ დღესაო,
 სინანული და დარდები ბევრი ჩავდევით გულსაო,
 ანდრია გვიჯავრდებოდა, ნულარ დაშვრებით ავსაო,
 ჩვენ ცხენი არას გვიშლოდა, მოკვლა გვინდოდა მღვდლისაო,
 ლექსებს ბევრს არ გაუჭრელებთ დოდდის და გიგოლისაო,
 სირცხვილათაც ის ეყოფათ, ველარ ჩამოვლენ სნოსაო.
 მამაძაღლო კარკუჩღებო, ნულარ დაშვრებით ავსაო! 449

მ მ მ მ მ

დაიჩოქა ლურჯა ცხენმა და მოახსენა ბატონსა:
 აკი ვითხარ, გამასუქე, მაშინ ნახავ ჩემსა რჯულსა!
 მეჯინიბეს მიმაბარე, ავაზაკსა, მამაძაღლსა,
 დილას არ დამიურვებს, არც შუადღემდი მასმევს წყალსა,
 თივას ლოკინზე დაიგებს, ქერს მიიღებს სასტუმალსა,
 ადგება, ჩულსა გადაშბდის, თვითონ დაიხურავს თავსა.
 — რა ვქნა, ცხენო, მეც უნდა ვთქვა, შენთან მეც ვიმართლებ
 თავსა:

დაჯდება შენი პატრონი, ქუდმოხდილი იწყებს სმასა,
 შუალამემდის თავს ვადგივარ, მუხლში ჩამიყენებს წყალსა,
 არც მიძებნის პურის ლუკმას, არც არა და ქალამანსა,
 გამოვალ გაჯავრებული, შენზე გადავიყრი ჯავრსა. 450

*

გურგენმა ცხენი იყიდა წითელისა ნოლისო,
ძირ წოლა აღარ აკადრა, მალლა უგებს ლოგინსო,
ძალღები მისჩერებიან, დღეს მოკვდება თუ როდისო. 451

*

ვიყიდე ცხენი	ვაჭამე თივა,
ის ჩემი შემრცხვენი,	გამოება თია,
ვარტყი მათრახი,	ვაჭამე ბზე,
შაქნა თახთახი,	დაუბნელდა მზე,
ვაკრამდი ნალსა,	ვაჭამე ქერი,
არ გამიყვანდა კოჭამდი წყალსა,	გამოყარა მთელი. 452

*

ორშაბათ დილა გათენდა, ღმერთო კეთილი ქენიო,
ვაის ვაგლახოთ ვიყიდე ერთი ცალთვალი ცხენიო,
ავშრითა წყალზე დამყვანდა, ვერ მოვაშორე ხელიო,
წაველ, წყლიდამ მოვიყვანე, შინ შაველ, მოვისვენეო.
შინიდამა გადვიხედე, გადარეხვილა ცხენიო,
ჯოხები ბევრი დავკარი, ველარ აილო წელიო,
თვალეებზე ხელი მოუსვი, ველარ მოეცა ფერიო;
წაველ, რძალსა ურუსულე: „პრაპალ ცალთვალი ცხენიო“.
დედა ჩემმა გამიგონა, კეტს წამამივლო ხელიო,
არცა დამკრა, არცა მცემა, შიშით მომწყვიტა წელიო. 453

*

ხიზანანთ თეთრი რაში შავკმაზე და გავკარ ტაში,
ივანე ღვინოზედ მიდის, ერთ დღეს გავა გაღმა მხარში;
გადაქცეულა, მამკვდარა სამატაჯიან თავლაში,
თომბა ამასა ჩიოდა:
ბევრი ქერი შევაჭამე, ყელამდინ ჩაეარდი ვალში,
ივანე ამას ამბობდა:
უღელი ხარი ვითხოვოთ, გამოვართოთ ბაზარში.
ბიჭები ამას ამბობენ: ქეცი ჰქონია ფაფარში,
წაიღეთ და გადაადღეთ იმ ირემანთ ნათხარში. 454

საქონლის ჭირი

ეხლა რო ჭირი კი გაჩნდა, მაშინა ქონდა წველაო,
იმტენმა მაწვნი ჭამამა ფეხები დამისქელაო,
ისე დამყავდა დოები, მუცელი შამამბერაო.
საჭამანდათ გავაკეთეთ, მაშინვე გაჩნდა ხველაო;
ძროხები ჭირმა წაასხა, ხარები გაგვითხელაო,—
ეხლაც გაწყინოს მაწონია, დომაც ხომ შემოგბერაო. 455

ძროხის ჭირი

დიდება მა ძროხის ჭირსა, ვილა შეუფარებს ხელსა,
კავკავჩი გამოჩენილი ახლა მობრძანდება კევსა,
ფეხით მოსვლას არ იკადრებს, იქვე იჭირავებს ცხენსა;
გზის პირზე დავდგი ფარახი, შუა დაუგდებდი ფეხსა,
ფურასა [ჭირი გაუჩნდა], ჩემი ძროხების ქეჩსა!) 456

ქოჩორაი

ქალო-ჯანო, რისტისტანცო,
იჭილო და ბეჭდის თვალო.
ქოჩორაი დამეკარქა, უკეთესი ქათმის გვარი,
დავუხმობდი, — მოვიდოდა, ხელში მეჭირა კაკალი;
დავუყრიდი, — გაძლებოდა, ალესტეთ²⁾ იყო დამდგარი,
მისი ლამაზი თავ-ყელი სურათათ იყო ნაქმარი:
კისერს ზეით თეთრი იყო, როგორც გინახავს შაქარი,
იზეთამ³⁾ წიგნი მომწერა: „რათ იმწუხრე ნამეტარი?“

1) ძროხის წინამძღოლს.

2) ამაყად.

3) კაცის სახელი.

რაცხამ ქოჩორაჟ წამართვა, არ გამაგონა კარკალი¹⁾,
მისი უკარკალობისთვის ტურამ შეახმო ბარკალი.
ქოჩორამ შემომითვალა: „ახლა მოდი და დამკალი“. 457

თაგვი ავით გამხდარიყო

თაგვი ავით გამხდარიყო, ტანში იყო ლერწმითაო,
დოშაგები გეეშალათ, ბუმბულაკზედ ზედ იწვაო.
კატას კაცი მოუვიდა, თაგვი ავით გამხდარაო,
აღვა კატა, წამობძანდა თავის დიდი ჯართაო,
თაგვისა კარსა ჩამოხტა ფირუშის კარავითაო.
თაგვსა კაცი მოუვიდა, «ციცა კარზე მოვადგაო»,
თაგვი იწვა მხართეძოზე, ფიცხლავ ფეხზე წამოხტაო,
კარი კლიტით ჩაუკეტა, საკლიტიდამ ეტყოდაო:
„რა გინდაო, ყურდიდაო?“ — „როგორა ხარ, ყურცქვიტაო,
ავათყოფნა შემომესმა, შენთან მოველ, ყურცქვიტაო“.
„ისრე მტერი გაგიხდება, როგორც შენი ყურცქვიტაო,
შენ რომ მოხვალ, ავათა ვარ, შენ რომ წახვალ, კარგათაო,
რა გინდა რომ ავით ვიყო, შენი ნახვა არ მინდაო“.
აღვა კატა, გამობრუნდა თავის დიდი ჯართაო,
მუხლებზედ ხელი დაიკრა:
„ეს რა ვქენით, ვეზირებო, სულ თაგვები დაგვიფთხაო,
აწ რა ვქნათ, რით მოვატყუოთ, რისი ტკბილის ენითაო,
საფიცრის წიგნი დავწეროთ, გავგზავნოთ ელჩებითაო“. 458

თაგვთ მეფემ სიზმარი ნახა

თაგვთ მეფემ სიზმარი ნახა შაბათ ღამეს პირველ დღესა,
დილას ადრე წამოდგება, თავზე შამოიდებს ხელსა:
„წუხელი სიზმარი ვნახე, ინით ვიღებავდი წვერსა“.
ნაზირ-ვეზირს დაიბარებს, რჩევას ჰკითხვენ ერთმანეთსა:
„კატებმა რომ შეგვაწუხეს, სირცხვილია ჩვენთვის ესა,
სახლში აღარ დავვაყენეს, კარში აღარ გავვიშვესა,

1) კაკანი

ცოლშვილი ამოგვიწყვიტეს, სული აღარ ჩაგვიდგესა,
 მოდი და ბუნტი შეეყაროთ, პირი მივცეთ ერთმანეთსა,
 ფიცის ქალღმერთი შევიკრათ, არ ვემტყუნოთ ერთმანეთსა,
 ფირინას მარშლობა მივცეთ ციხისა და ქალაქისა,
 ვირთხა ყვინთან გავგზავნოთ, თათრული კარგათ ესმისა,
 იასაული გავგზავნოთ ახლო-მახლო სოფლის პირსა,
 კაცი არსად გამოტოვოს, ბრძანებაა ხემწიფისა“.

ორგორას ციხეს აგებენ, კედელი აქვს თლილი ქვისა,
 ვალავანი უნდა ექნეს მუხისა და ფიქვის ხისა,
 შიგ ზარბაზნებს აყოლებენ, სასროლია დიდი ხნისა,
 შიგ დუქნები გაუწყვიათ ოტკისა და საფანცქისა,
 დაბლა ძირი დაატანეს თოფისა და დამბაჩისა,
 რკინის კარები შეაბეს, გასაღები აღმასისა,
 ათასი კაცი ადგია, გარზედ უკეთებენ თხრილსა,
 თავენი ომსა აპირობენ, კატამ კი არა იცისა.

ციცამ თქვა: „სიზმარი ვნახე, რომ მეძინა ცეცხლის პირსა,
 მომპაროდა ერთი ვირთხა, ძაფით მიზომავდა პირსა“

დილას დედამისს ჰკითხავდა: „ეგ სიზმარი რამ იცისა?“

„უცხო ამბავი მოგივა, ის აგიხსნის მაგ სიზმარსა“.

გათენებულში მოვიდა თირინა და დიდი ვირთხა,
 კატასა წიგნი მიართვეს, — ბრძანებაა ხემწიფისა:

„თუ შეგიძლია მეჩხუბე, თუ არ, — ნუ იქ ჩემსკენ პირსა“

კატამ წიგნი წაიკითხა, უღვაშებში გაიცინა:

„თავგო, შენ რამ გადაგრია, მე რას მაცხებ შენსა სისხლსა,
 სოფლის ჭორს ნუ აყოლიხარ, თორემ დაგიძახებ ბრიყვსა.

მოდი, მზახლობა გავაწყოთ, ჩემს შვილს მივცემ შენსა შვილსა,
 წისქვილის მინდს არ მოგაკლებ, მომიცია დუქნის ქირა,
 ჩემს ბეგარას გამოგართმევ ყოველ წელსა ოროლ თავგსა“.

თავგთ მეფეს წიგნი მიართვეს, გაატანეს თეთრი ციცა:

„მზახლობა შემოუთვლია, უყურე იმ სულელ-ბრიყვსა!“

უპასუხოთ გამობრუნდა ეგ საწყალი თეთრი ციცა,
 კიბეზე რომ ჩამოვიდა, ფინთათ აცმაცურებს პირსა,
 დაჯდა და წიგნი დასწერა: „მოემზადე შენსა რიგსა.

რაცხა ციხის პატრონი ხარ, გიახლები ხვალ დილასა“.

სოფელში რომ ჩამოვიდა, დაიძახა დიდი ხმითა,
 ორასი კაცი ეახლა ცხენებით და ქვევითითა,
 თირინას ჯარი მოვიდა ციხისა და ქალაქისა.

ვირთხის ჯარმაც მოაწია განჯისა და ერევნისა.
 თავვთ მეფე სტოლზე ბძანდება აბრეშუმის ხალათითა,
 გაივლის და გამოივლის, კრიალოსნებს ჩაითვლისა,
 თავადსა და აზნაურსა განსხვავებით დაითვლისა,
 წვრილი კაცი რამდენი ჰყავს, ანგარიშიც არ იცისა.
 ჩამოყოფა, დაარბევს: „რიგიანათ მოიქცითა,
 ზარბაზნები დაარჩიეთ, რომელია დიდი ხმისა“.
 ადგა ციცა წამოვიდა, ჯარი მოყვა ცხენოსნისა,
 სასახლეში ჩამოვიდა, კარი შეჰკრა გალავნისა,
 სამი დღე და სამი ღამე სროლა იყო ზარბაზნისა,
 მეოთხე დღე რომ შეიქნა, დილა იყო შაბათისა,
 ხელჩართულ ჩხუბი შეიქნა, სისხლი მიდის ნიაღვრისა.
 თავვთ მეფემ გადმოიხედა, — რისხვა არის შალა ღვთისა:
 „აჰა, ვისაც შეგიძლია, შეგეწიოს მადლი ღვთისა,
 აქედამ ცოცხალი წასვლა სირცხვილია ვაჟკაცისა“.
 თავვთ მეფე სტოლზე ბძანდება, ცოლი უჯის მუხლის ძირსა.
 „თავვთ მეფევ, კარი გაგვიღე, გახლება შენი ციცა,
 გადმოგათრიო სტოლიდგან, გახენევინო ცხვირით მიწა!“
 თავვთ მეფემ კარი დაკეტა, ორვე ხელი მიაბიჯგა.
 გამოვარდა თეთრი ციცა, ვითა ელვა ალმასისა,
 გადმოითრია თავვთ მეფე, დედამიწას დაასრისა.
 ერთმანეთსა ეკითხება თირინა და დიდი ვირთხა:
 „მოდო გაქცევა ვიკადროთ, გავითხაროთ დედამიწა“.
 იკადრა ვირთხამ გაქცევა, შორილამ უცქერს თირინა.
 „ორვემ ახლა მომეხმარეთ, ჩემო ვირთხა და თირინა!“
 „ჩვენ რომ შენს საქმეს შევხედეთ, ვერ წამოვალთ ამის წინა“.
 „ამისანა ერთგულობა ორვეს ღმერთმა შეგირცხვინა!“
 თავვთა მეფე დაიჭირეს, ჩამოაგდეს ღუქნის წინა:
 „შენ თუ მდიდარი კაცი ხარ, მიჩვენე შენი ხაზინა,
 ის იყო შენი ნიშანი, წვერზე რომ დაგედვა ინა,
 მისდღემში არ გაგონილა თავვთ მეფე და წვერზე ინა,
 წისქვილის მინდი მოგეცი, მეტი იყო ღუქნის ქირა,
 სამიკიტნო დაგილოცე, ნედლი ხორცი და მიჩინა,
 შენ ჩემგანა ვერ გიშველის ვერც ვირთხა და ვერც თირინა,
 ღმერთმა რომ კატა დაბადა, თავვი სარჩოთ გაუჩინა“. 459

კანაფარი

სუნელობითა შეიმკო ხმელეთი, მთა და ბარია,
თავით რო ხემწიფე გაუჩნდა, დაარქვეს კანაფარია,
გვერთ დედოფალი მოუსვეს, პეწინიკ თეთრი ქალია,
უმწეოთ არის გაზდილი, ხემწიფის ანაბარია.

გათენდა, ჩაი მიართვეს, ჩაი, ყავა და ფუნჯია,
საჭმელები მოიკითხეს, ნუშით, ქიშმიშით ფლავია,
იმაზედ პური მიართვეს ფურნეში გამომცხვარია.

„დამიძახევით კუდრაქსა, ის არის მუხლათ ჩქარია“.

აბეზარს კაცი უგზავნა: „ომი მწადიან ხვალეა“.

ეს რომ კუდრაქამ გაიგო, დღე გაიმწარა, ლამეა.

გასწია და იქ ჩამოხტა, სადაც რომ აბეზარია.

აბეზარსა მოახსენა კანაფრის დანაბარია:

„ცოტა რამ ჯარი შევჭყაროთ, ერთმანეთსა ვჭკრათ ფარია“.

აბეზარმა უპასუხა, — დაბლა ჩაღუნა თავია, —

„მე არც არა ჯარებს შევჭყარი, არცა მაქვს მისი თავია,

ნურცა წამიხდენს მამულსა, მისი ცოდო და ბრალია,

უთუოთ მიმირთმევია აბანო ჩემი ქალია“.

უცბათ გაბრუნდა კუდრაქა, გულმხიარული არია,

გასწია და იქ ჩამოხტა, სადაც რომ კანაფარია.

მივიდა და მოახსენა პასუხათ შენათვალთ:

„არ ვიხარიან, კანაფარ, აბეზარ ავით არია,

ნურცა წაუხდენ მამულსა, შენი ცოდო და ბრალია,

უთუოთ მოურთმევია აბანო თავის ქალია“.

გაჯავრდა კანაფარია, გაყარა ცეცხლის ალია:

„მე იმის ქალი რათ მინდა, ის ჩემი მოსისხარია!“.

ტახტასა ჩამოიკიდა თავის ფრანგული ხმალია,

დაიძახა თავით ლაშქარი, როგორც ქუდუნა მხალია:

„შაიკრიბენით სარდლები, წელს შამაირტყით ხმალია.

წავიდეთ და იქ ჩამოვხტეთ, საცა რომ შეიდანია,

გავწყვიტოთ კატის ჯილაგი, ვამრავლოთ ჩვენი გვარია.

წადით და ქეიფი სწიეთ, არ იყოს აბეზარია!“.

ზოგსა მიჰქონდა საგზალი, ზოგსა არც ქუმლი მტვერია,

ზოგნი იმას იძახიან: „აბეზრის ქვეყანიშია,

თხილი — კაკალი ბევრია, ის უფრო გასახარია.

ჩვენ კი იმას წავეხვივნეთ, კანაფარს ვანებოთ თავია“.
 წავიდნენ და იქ ჩამოხტენ, საცა რომ მეიდანია.
 შაყრილა კატის ჯილაგი, უამრავ კატის ჯარია.
 ლაშქარი გამოუფშოუქა, დარჩება კანაფარია:
 „შენ რომ გოგვით დაგინახე, მეღხინა სატკივარია!“
 თავის ფრანგული შემოჰკრა, შემოამტვრია მხარია.
 ახლა ციცამ შემოუსვა თავისი მჭრელი ხმალია,
 ძვლებში რბილი და ტყავები სუ ერთმანეთში არია.
 ქალსა კაცი გაუგზავნეს: „ქალო, მოგიკლეს ქმარია“.
 „ჩემს კანაფარს რა მოჰკლამდა, ჭკუიანი და წყნარია...
 დამიძახევით ლოკოკას, ის არი მუხლათ ჩქარია,
 უნდა წავიდეს იდინტას, იქ უკვდავების წყალია“.
 ეს რომ ლოკოკამ გაიგო, მაგრა ჩაკეტა კარია:
 „მე აგრე არ ვიარები, გვალვა და ავი დარია,
 მე მაშინ დამიძახევით, რომ წვიმდეს, მუხლათ ჩქარია“
 იმაოზაში კანაფარ უეცრივ სული დალია.
 ოქროსა კუბო აუგეს, მიწა აყარეს ჩქარეა,
 წაიღეს და იქ დამარხეს, სადაც რომ დიდი მთანია. 460

ქ ე ლ ი ა

ჩემ საჩივარს რომ მოგიყვე, იტყვი: ვაჟ შენი ბრალია!
 შვიდი დღის ფეტვები ვხანი, შიგ ამოგხოცე ხარია,
 იმას ნამი არ ეღირსა. გვალვა დაადგა დარია.
 წაველ და ტყეში გავთალე სამოცი ადლი დარია,
 დუშეთის წყალი მოუგდე, ეგებ შაყაროს ტანია.
 სამკალათ რომ მოვემზადე, შევები საბძელს კარია,
 გავლესე ჩემი ნამგალი, მაგრა დავაგე ტარია.
 დედა ჩემი მეუბნება: „შვილო, იჩინე ძალია,
 სადილად შაგაპატივებ, დავნაშნე სამი ვარია“.
 მე მინამ იქ ჩავიდოდი, შამოსევოდა კალია.
 ერთი დიდი სინი მქონდა, ხმა ჰქონდა როგორც ზარია,
 გაველ და დაუწკარუნე, ეგების დაფთხეს კალია.
 მიტრიალდა, მოტრიალდა, როგორც ფარეხში ცხვარია...
 ავდექი და დაუძახე რაც ჭვეყანაზედ ქალია.

ქალებმა ვერა უყვეს რა, ქვრივებმა უყვეს ძალია.
 ავდექ, გადავხტი ვენახში, მოვვლიჯე დიდი სარია,
 მივიქნიე, მოვიქნიე, — დაოსდა ერთი კალია,
 მე იმას ზედ დავაჯექი, ქვაზედ უხალე თავია.
 შვიდი ადლი კბილი ჰქონდა, რვა და ცხრა ადლი მხარია,
 ვაიმე რაზედ შემეჭამდა, ღმერთო, შენ დამიფარეა! 461

მ გ ე ლ ი

ორშაბათ დილა გათენდა, ვირებს გაულე კარია,
 ჯოხი ვკარ, ჭალას ჩავრეკე, იქ არის ბევრი ნარია.
 წინ მგელი შემეეყარა: „შენ, ვირო, ვისი ხარია?“
 „რას კითხულობ, შე კუდგძელო, მე შალაანთი ვარია,
 სამჯერ ვყოფილვარ მარილზედ, მომიტანია ქვანია,
 ნამცეცს არ გამოგიგზავნი, რომ შაინელო მხალია“.
 — მე მხალი-მხული არ ვიცი, არცა ვარ მოლოზანია,
 პატარა მწვადი მამიჭერ, თეძო იყოს, გინდ მხარია,
 დიდი არ დაიღრიალო, არ შამიყარო ჯარიან;
 კული არ გააცანცარო, არ გამომთხარო თვალია,
 ჩოკინა შინა გავგზავნოთ, — არ ამოვარდეს გვარია.
 კოსალა მოკისკისებდა: „მეც მახვრევეინე ძვალა!“
 — კოსალავ, ხერისა რა იცი, ფუტუროს შაყავ თავია. 462

*

აგერ არის ორი მგელი, ტუჩმურა და კუდაგძელი,
 ერთმანეთს ეუბნებიან: აგერ ნოდარასა ცხენი,
 ერთმა ფაფარ დაუჭიროთ; ერთმა გავას გავკრათ ხელი,
 პატრონს კაცი გაუგზავნოთ, ნელარ უნდა ბზე და ქერი,
 მოდი ნალები წაიღე, წალდი გამოგივა მკრელი,
 ქუა-ფაფარი წაიღე, საცერი დაგეწვნის სქელი. 463

*

მგელმა თქვა: გუშინ გორს ვიყავ, თავრეხ წავიღე კვალით,
 იმ ჩემსა ძმობილ მეცხვარეს გადმოეშალა ცხვარიო,
 დავთვალე, მეტნი მოვიდნენ ის ურჯულონიც თხანიო,
 იმ დალოცვილს შიშავასა ჩემსკენ ეჭირა თვალიო.

მე და თხა დავიჭიდენით, თხამ დაიძახა «ვაიო»,
 მეცხვარე გადმოეშველა, მხარზე გაედო კავიო,
 გადმომკრა, გადმომიჭირა, მამტეხა თემოს თავიო.
 „მაცადე, შვილო მეცხვარევე, მოგსლოდეს ტკბილი ძილიო,
 შეგპაროდე სამცხვარეში, მეწყვიტოს თხა და ცხვარიო“.
 — აჰა მაცადე, შენ მგელო, დავზარდო წყვილი ლეკვიო,
 საცა რომ მოგკრან თვალის, იქვე გაგაძრონ ტყავიო. 464

*

მგელმა თქვა: ავით დავცადე იანვარშია წვიმაო,
 ჩოყელთას ვიყავ ნაწვევი, ამერთას შაველ შინაო,
 თხასა დავტაცე კისერი, ტიალმა შაჰკიკინაო;
 აანთეს სანთელ-მაშხალა, მე მამაგებეს წინაო,
 ერთი ქოსა ბიჭი მოდის, კელში უჭირამ რკინაო,
 იმას რომ ხალხი მოდევდა, ნეტა რამ თოვა წვიმაო,
 ასეთ ასეთი დამჭყიდლა. მიწაში ჩამაძვრინაო. 465

*

ესო მესო,	კარგა გასხლიბესო,
მგელი გეისვესო,	მალღა შემოდვესო,
ხრამში ჩაიგდესო,	კარგა გაახმესო,
ძაღლი ჩაუშვესო,	ქალაქს წვილესო,
ამოათრიესო.	კარგა გაყიდესო. 466
კარგა გატყავესო,	

*

მგელ ცხვარში გამომერივა, კინალამ გამომაქცივა,
 წამომიყვანა უკულმა, ზედ ცეცხლზე წამომაქცივა,
 ხატსა და ღმერთსა ვეხვეწე, მზემ პირიც აღარ მაქცრვა,
 დაღუნატრე ბუღანტურასა, ნეტავი კაცად გაქცივა,
 მთვარეი ხაღლა დახკარგე, ცავე, ღმერთმა ჩამოგაქცივა! 467

*

ჯაცი და მგელი შაიბნეს, ვაცმა დაიწყო ღრიალი:
 აცადე, მგელო, ნუ გამხვთქ, ღრა ვარ ტიალ ოხერი,
 ჩემსა პატრონსა შენც იცნობ, როგორი მეთოდე არი. 468

*

მგელმა თქო: კორწილს ვაპირობ, ღვინო ჩავასხი ნასეტყვი,
 წავალ, მეცხოვრეს ცხორსა ვთხოვ, თიკანს მამცემს თუ რას
 მეტყვის;
 არ მამცემს? ძალათ წავართომ. ტირილს დაიწყებს? ბანს
 ვეტყვი. 469

სოფიანი მგელი

სახელიმც დაიკარგება მაგ ცოფიანის მგლისაო,
 იასეს გამაღრევია, ბატკანი მასტაცისაო.
 აბა ვის გაუგონია კელდაკელ შამბა¹⁾ მგლისაო,
 სასულიაი²⁾ შასტაცა, შაშვივით აღებს პირსაო!
 იმღვინა დანა არ ხქონდა, რომ მაიჭრიდა მჩხილსაო³⁾,
 დედამც ცხონდება გამზღელი გელეთ გიგოლისაო,
 ძმაცა ხომ კარგი ყოფილა გაჭირებაჩი ძმისაო.
 ჩემეშველა იასე, ჩომბახი დაადვისაო,
 შაიბრძოლა და წავიდა, გვერდოს პირს. შეემბისაო.
 შახვდა გლახაის შვილსაო,
 არ მეეშო ის ტიალი, თეძოჩი უზამს კბილსაო.
 წავიდა სტეფანწმინდისკენ, რაილაც ქარი ქრისაო,
 იქ მწყემსებს შამაღრევია, შახვდა ქუჩაის შვილსაო,
 თავჩი უკბინა საწყალსა, მაგის მარჩენა ჭირსაო,
 თოლებჩი სისხლი ჩასვლია, ძმა ველარა სცნობს ძმასაო;
 თოფი უჭირავს ეგეთი, კმა ქონდა ზარბაზნისაო,
 ცალით⁴⁾ აყრის წამალსა, ბეჭებს არ დააცდისაო,
 მარჯვნი ილლიას დაადვა, მარცხნითვე სისხლი დისაო,
 ნაწვალი ველარ წამოდვა, მიწას გაუსობს კბილსაო.
 მა ქუშეთ⁵⁾ ახალგაზღვებსა სიცილი მაზდის პირსაო,
 ეგრე მტერს ავეკირებით, შორს არ გავატანთ ჭირსაო.

1) შებმა.

2) ყელი.

3) ფრჩხილსაო.

4) ცალი მ ჭით.

5) გვარია.

აქებენ გულადობითა ნინიას-ბაის შვილსაო,
 არ ერიდება სნეულსა, თავის კელით ღბანს პირსაო.
 ამა ლექსისა მათქომი თავის სწორებჩი ზისაო,
 სახელად ხქვიან ვანკაი, არ დაიბანსკე პირსაო,
 ზელჩი უჭირავს ფანდური, ხანდიხან დაუკრისაო,
 ერთნი ქალბანნი მამეცით, აგრემ მაგპარავთ ჭირსაო. 470

ღ ა თ შ ი

დათვმა თქვა: სიზმარი ვნახე, რაც რომ თავს გადამხდებოდა,
 მელორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა,
 ერთი ბურვაკი შავჭამე, შხამათაც შემერგებოდა.
 სოფლის თავს გადმოვიარე, სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
 ლამაზ-ლამაზი ვაქკაცი თოფ-იარაღში სხდებოდა.
 ნაგაზ-ნაგაზი ძაღლები კბილებზე ილესებოდა,
 ასეთს მინდორს გამიყენეს, თვალი ვერ გადასწვდებოდა,
 ასეთს კლდეზე გადამაგდეს, ორბი ვერ შეუწვდებოდა,
 ასი ამასხეს ტყვიები, თითი არ ჩეესობოდა,
 ასეთი სისხლის ღვარია, ზედ ნავი მოცურდებოდა,
 მოვიდა ყვავი, ყორანი, სომდა და არ ილევოდა. 471

*

დაღამდა და დასცა ბინდი, ცოლეულთან მიდის ბიჭი,
 წინ დათვი შემოეყარა, ყელქედანა, მეტად დიდი.
 „დაჯე, დათვო, პური ვჭამოთ, ღვინო მაქვს და კათხა დიდი“
 — მე შენი ღვინო რათ მინდა, ეხლა ვჭამე ჭალას შინდი,
 წრეულობით გამიშვიხარ, სამემრისოდ დამიშინდი!
 „დათვო, მაგას ვერ მეტყოდი, რომ მქონოდა ისარ-შვილდი,
 ვაქლიბულსა ქეიბურსა ზედ ბეჭებზე დაგაფშენიდი!“ 472

*

დათვმა თქვა: „გადმოვიარე მშვიდობიანი ზამთარი,
 ჩამი[ოვ?]ელ ფშავის ჭალაჩი, ვარ შამოვივლე სარდალი¹⁾,
 მე-კაცი საით მამივა, თუ არ დამეცა ლაშქარი!“

¹⁾ გაღაფანი

გავხედე და მოდიოდა ეგ ლურთხუმული ახალი,
წინ ლერენა მოუძლოდა, ურჯულო მოუნათლავი,
მოვიდა, გულზე დამადგა სამლარიანი ხანჯალი,
გულს ბერდენ გადამიჭირა, გულმა დამიწყა კანკალი.
მეც ვიყავ ბერი გივარგი, ცა წვერს მივხევედი შუბითა,
თხმელ გორხედ მედგა ბერ მუხა, ცას ავდიოდი კიბითა! 473

*

დათვმა თქვა: ჩემი დალაბრა ჩამამაცივდა ზედაო,
ჩემი მთა გამაგდებინა, გამაგდო ჭალაზედაო,
მივთელ-მოვთელე ბუჩქები, წამოვწექ მწვანეზედაო,
აგრე გავხადე მალაბრა, დაუდეს მარხილზედაო. 474

*

დათვმა თქო: ლოგოუთასა¹⁾ ჩე ვჰსჯამ ლაზარეს ყანასა,
მე ლაზარე არ მაშინებს, წელზედ არ იბამს დანასა,
ჩამაჰდგამს ბუხართან ფეხსა, ელექსებოდა ქალებსა. 475

*

დათვმა სთქვა: ყანის მტერი ვარ, წყავზედ გული ამივარდა,
ყანაში რომ ჩავბადუნდი, მახეს ფეხი ჩამივარდა,
კაძახობას თუ იკითხავ, სხვაზედ უფრო მე მივარგა,
ერთი წუთიც არ გასულა, გულში თოფი გამივარდა.
მახეში რომ ჩავიჭერი, იმ წამს შემიტყო ძაღლმა,
ხელები რომ მომიკრიჭა, ამაპრიალა მალლა.
საწყალი ჩემი შვილები ტყეში დავტიე გაღმა,
ჩემ საძებრად რომ მოვიდენ, ლუკმად დავლიჯა ძაღლმა.
დათვი უბნობს, ჩემი მოკვლით ვერ იპოვიან დიდ
სარგებლობას.

ჩემ გულისთვის ჩემი ძმები დაიჩემებენ დიდ კაძახობას,
ყანას დაუქამს, გაუფურაქებს, დააწყებინებს სხვაგან ვალებას,
უნდა აკეთონ დიდი კარვები, ღამით არ მისცემს ძილს,
მოსვენებს.

დიდებს ვერაფერს უბედვენ, ბელზედ აქვენ დიდი გული,
დაუჭირავს და ცხვირს უხვრეტს ივანიკა გულერთგული,
არ გაიქცეს ეშინიათ, ჯაჭკით ყავან გაძაგრული.

1) სოფელი.

უშვილოდ გამწარებული დედა მისი დაჩაგრული!
 კარვის კეთება რა არის, ნაგრზედ აკეთებს ლოგინებს,
 ივანიკა მიდარაჯებს, უმძინაროს აწოდინებს,
 „ერთი დათვი მომაკვლიე!“ — მოწყალეს ხელს უპოტინებს,
 ერთ მანძილზედ რომ შემხედოს, მაშინ კი ამაბლორინებს. 476

მ ა რ ვ ი

მაჩემა სთქვა: თავსა ღარი ვარ, თავსა დავიდევ პილია,
 ბალჩაში რომ ჩავედი, ხახვს ამოვუგდე ძირია,
 ხახვმა პირი გამიმწარა, ვჭამე ნიორის კბილია.
 გავიხედე, ჩემ საწოლსა გადაკაკულა ჩხირია,
 გავიქეცი, შიგ გავევი, დაღმა მაქნია ცხვირია,
 ჩემთან რომ კაცი მორბოდა, იყო მაღალი, მსხვილია,
 თურმე ეს წყეული მახე იყო მის მოწყობილია,
 მისთვის მყისვე გამოიქცა ფრიად გახარებულა,
 ჩემ დასარტყამად მოჭქონდა გათლილი შვილდის ტარია,
 მოირბინა, თავს დამარტყა, ტვინი მიწას დაურია,
 მწარედ მე იმან დამარტყა, — მწარედ ამოხდა სულია! 477

მ ე ლ ა

საწყალი მელა ჩიოდა: არ მომივიდა თილია,
 ბოსტანსა გადავეჩვიე, ხახვს ამოვუგვედ ძირია,
 სუყველა ხილი შავირგე, ტყემალმა მამჭრა კბილია.
 უკუვიხედე, მამდევდა პატრონი გზირიშვილია,
 მხარზე გვედო კომბალი, გათლილი შვინდის ძირია.
 გაღმამკრა, გაღმამიშხივლა, გაღმამადინა ტვინია,
 მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა, ცოლშვილი დამრჩა ქვრივია,
 ცოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩნენ წვრილია,
 ობლებიც დაირდებიან, თავი დავკარგე გმირია!). 478

4) დედანშია: გმილია.

*

ორშაბათ დილა თენდება, ავი დარები დგებო,
 ეს ჩვენი წუწკი მელია საქურდლათ ემზადებო,
 წავა და იქა ჩაჯდება, სადაც მამალი ჯდებაო.
 მამალმა უთხრა იმ მელას: „ჩემი ბატონი დგებო,
 ჩემი ხორცი არ გეკმება, ძვალი ყელს დაგადგებო,
 თოფი კედელზე ჰკიდია“. — „ჩახმახი უჟანგდებაო,
 თუგინდ მუგზური დაადო, მაინც არ გავარდებაო“. 479

*

ვესო, მეესო,	გამომათრიესო,
ეს რა მიყვესო,	წვრილათ დამკუწესო,
სოროს ჩამავდესო,	ქათიბ დამიდესო,
შიგ გამომახრჩვესო,	ქალს გამატანესო. 480
კავი შემოყვესო,	

*

ესო, მესო, მელა ჩიოდესო,
 ჩემთვი ტყეჩი მოვდიოდო, ტყავი გამეძრესო. 481

გუთნის გამართვა

გუთანს გავმართამ მე ისე, როგორც რომ მართებულია:
 პირველ გავთალე ხის რვილი სახელდებული თელისა,
 მოუჭერ სახლმე შუაზედ, შემოულერე ყელიცა,
 ყელი კარგათ მოუვიდა და შუა წელი სრულია.
 კაკლის დედანი შევაბი შალაშინ-გადასმულია,
 ზედ გაუკეთე ხელკუდი, როგორც რომ ჩამოსხმულია,
 იფნის ხმალი გავატარე ფარეშით გათანგულია,
 ღირღიტოს მორგვი გავთალე პიტალო კაკლის გულია,
 მუხისა სოლი ვახმარე ხელეჩოთ დაწმენდილია,
 ჯაგრცხილის ფერხოს მოვკიდე როგორც დულაბი კირია,
 ისე გავმართე გუთანი, როგორც რომ მართებულია.
 ზედ მაუბი საყვერები წნელებით გადაბმულია,
 შიგ დავუმართე უღლები ახალი დატუსულია.

შიგ ჩაუყარე ტაბიკი დათლილი შვინდის ვულია,
 შავები აპეურები ახალი დაგრეხილია,
 შავები ხარ და კამეჩი რქაკუდით შემკობილია,
 ხარები იყო შარალი და კამეჩები სრულია.
 ზედ შეუდგნენ მეხრეები, ჰოროველას სთქვამენ ტკბილსა:
 „შაამო, ხარო შავთვალავ, შვინდას უსწორდი მხართანა,
 აბა, ბიჭებო, გარეკეთ“, — ივანეს ეტყვის ათანა,
 „სახრე ფრთხილათ მაიხმარეთ, არ მახვედროთ მხართანა.
 ბიჭო, გუთნის თავის მეხრევ, არ მოზდო დიდი ველია,
 გუთნის გადმოწევისაგან არ მოვიწყვიტო წელია,
 სახრის ცემა არ დაუწყოთ, გაუქნიევით ზელია.
 ყველამ კარგათ გაირეკეთ, ნუ მაიგონებთ ძილსაო,
 ეს ჩვენი მარჯვე გუთანი ველს მალლა უზამს ძირსაო,
 ფარცხით ისე ჩამოვფარცხამთ, როგორც წისქვილი ფქვილსაო,
 შიგ რო დავთესამთ თეთრ პურსა, ყანას მოგვიყვანს
 ხშირსაო“. 482

წისქვილი

წისქვილის ამბავს თუ მკითხამთ, თავით ბოლომდინ რა უნდა:
 ღრმათა გაჭრილი სალორე, იმას რუსხმული სხვა უნდა,
 მალლა წყლის გადასაგდები და გრძელი ღარი სხვა უნდა,
 ძირიდგან მურყნის ბორბალი, ორმოცდაათი ფთა უნდა,
 ზემოდგან მაგარი ღერძი, ზედ ერთი ძირით ქვა უნდა,
 ზევიდგან მტკავლიანი ქვა, მას სარეკელი სხვა უნდა,
 ზედ გადადგმული ბოძები, იმას ხვიმისა სხვა უნდა,
 ძირიდგან შაბმული კრიჭა, რომ აწევ, დაწევა უნდა.
 ქალსა ჩააცო, დაჰხურო, იმაზე მეტი რა უნდა,
 ერთი ხელი საშინაოდ და საგარეო სხვა უნდა,
 თავზედ წითელი ბაღდადი და თასაკრავი სხვა უნდა,
 ფეხზედ წითელი ჩუსტები, პოლსაპოშკები სხვა უნდა. 483

აჩეჩამ უთხრა გუთანსა

აჩეჩამ უთხრა გუთანსა: „პატარა პური მიტეხე!“
 „მაშინ სად იყავ, აჩეჩავ, როცა ყამირი გავტეხე,
 მოვეკიდე ხის ძირებსა, ზარბაზანივით დავტეხე,
 შენ რატომ არა მშველოდი, ხეს რომ ფესვები ავტეხე?“
 საკვეთელმა თქვა: „ძალი მაქვს, კბილები სულ გამვარდება“.
 ის სახნისმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 ამდენა ძირს სიარულით მზის დანახვა მენატრება“.
 ის გუთანმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 დამკუწვენ და ცეცხლზე დამწვენ, დიდი ჯაფა წამიხდება“.
 ის ჯამბარამ გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება“.
 ჯამბარამ თქვა: „ჩემი ძალა ურიასამც გადახდება,
 წინ და უკან შეწვევიან, ზედ შუაზედ წელი მწყდება,
 ავდარია, მენა ვლპები, დარია და — მენა მცხება“.
 ახლა ხარმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 დამადებენ ხის უღელსა, ზევიდგან მეხრე მაწვება,
 თვალსიხარბით გუთნისდედა კვალ-კვალ გამოიციკირება,
 სულ დაკა-დაკას იძახის, უდიარი მე მიხდება“.
 კაცზე კაცს უდიარობა არაოდეს არ შერჩება,
 ამ სოფელს რომ არ ეკითხოს, იმ სოფელს კი გადახდება,
 ვინც რომ არის უდიარი, ის ჯოჯოხეთს არ ასცდება.
 გუთნისდედას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია,
 კაი დარში თვითონა ხნამს, მეხრეს უხნამს ავდარშია,
 ხარსა და იმის მეხრესა ორსავე ყრის ტანჯვაშია.
 ხარი, მეხრე, გუთნისდედა საიჭიოს შაიყრება.
 ხარი ეტყვის გუთნისდედას: რაც მე დამდე, გადაგხდება,
 აქ არის მართალ სარჯელი, აქ ხომ ქრთამს არ გაესვლება,
 კაცს კაცის უსამართლობა არაოდეს არ მოეშვება“.
 მართლის და ცოდვის გამრჩევი ორის მხილველი ღმერთია,
 ვისაც ბალანი ასხია, განა კაცი სულერთია,
 კაცს თავის თავზე ნება აქვს, თუნდ ჩავარდება ცეცხლშია,
 თუნდ მადლს იპოვის, თუნდ ცოდოს, ორივე კაცის

ხილთა ქეზა

გაგრძელდა დევთა ნადიმი, შეიქმნა უცხო მდივანი,
წინ და წინ მარწყვი მოუძღვის, კარქი არის და ნუგბარი,
მას თან ტყემალი მოჰყვება, წუწკია, თავლაფიანი. 485

მარწყვი თქვა: მოვალ პირველად, შე არ მამისწრობს
ხილია,
ფერად მგზავსი ვარ ლალისა, მემრე საჭმელად ტკბილია,
წინათ მამისწრობს ტყემალი, მჟაფე არის და გრილია,
მისგან სჩივიან ყველანი, — გჭამეთ, მოგგვეთა კბილია,
ბალმა უთხრა: ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხეებს თეთრად ავაყვავებ, დავიმშვენებ ჩემსა ძირსა,
შაქრის მგზავსად გადვიქცევი, რომ გამაქანებენ პირსა.
ალუბალმა უთხრა ბალსა: მარტოკა ნუ იქებ თავსა,
შენ, დიდი ამპარტავანი, არ კადრულობ სახლის კაცსა,
შენ მაშინა სადა გდიხარ, მე რომ მხარშვენ მურაბათა,
გუნებნაქცევი მე მნატრობს, ვარ ნაქები სტუმრობასა.
შინდმა თქვა: მეც ხომ ხილი ვარ, არ გავერჩევი ლალშია,
ლამაზ-ლამაზ გოგოებსა გადაუდგები გზაშია,
დამკრეფენ, უბეს ჩამყრიან, ვებგევი ძუძუ-მკერდშია.
გოგრაშა თქვა: მე რალა ვთქვა, ვარ შხამით სავსე ყვითელი,
ხილებში საძაგელი ვარ, ქებას არვისგან მოველი,
ვისაც რომ გულით ვუყვარდე, მონახოს საფლავის მთხრელი,
თუ რომ უზმოთიცა მჭამონ, მაშინვე მონახონ ღვდელი.
პირველად შევაჟიჟინო, მერე დავუკარგო ფერი.
დილით აღრე ამდგარიყო, თავში იცემს დედა ჩემი:
„გიშლიდი და არ იშლიდი, მაგან დაგიკარგა ფერი“.
ქართველებს ვერას დავაკლებ, იმერლებისა ვარ მტერი.
კომშია თქვა: მეცა ხილი ვარ, ერთი ხილისა ყადარი,
სიმწიფით ვერავინ მაქებს, ვარ დაბადებით მაგარი,
მოვწყდები, ჩამოვარდები, სულით მეძებენ, — სად არი,
ქართველი ზედ არ მიცქერის, ზედ დამაკვდება თათარი.
თხილმა თქვა: გკადროთ მართალი პასუხი ჩემი გულისა,
მოჰყვით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა,
სალხინოთ შემაქცევარი მე ვარ ყოველი რჯულისა,

მატკინარი ვარ კბილისა, მერე დამწველი გულისა.
 წყავმა თქვა: დათვის ხილი ვარ, ღვინოთ დამიწყეს კეთება,
 ვინც რომ დამლია, ვაწყინე, ტანში მივეცი ფეთება.
 ტყეში კაცი გავაგზავნე, მოვაკრეფიე წყავი,
 ღვინო დავაყენებზე ბარე ოცი საწყავი,
 დავლოე, მომაფხანია, სუნთლად გამაძრო ტყავი,
 ღმერთო, რატო მოიყვანე აგი დასანარწყავი!
 ვახმა უთხრა: რასა ბოდავთ, ვინ არის ჩემი დარია,
 უჩემოთ ქორწილს ვინა იქს, ან ვინ დამარხა მკვდარია,
 ბევრ კაცს ძაან ავაშენებ, ბევრს კი დავადე ვალია,
 კაცი თავის სენით კვდება, ამბობენ, — «ღვინის ბრალია».
 ყურძენმა თქვა: მეც ხილი ვარ ყოველ ხილზედ უკეთესი,
 ზამთარ ხე ვარ და ხე ფირჩხი, ზაფხულში გავყმაწვილდები,
 ატლასის კაბას ჩავიცვამ, ბოლოსა გადმოვყუყუდები,
 მოვლენ და ჩამომკრეფავენ, უცეცხლოთ ამოვდულდები.
 ბრიყვი დამიწყებს ლევასა, დავაწყებინებ ძგერასა,
 როდესაც მოვა ცნობასა, მაშინ დამიწყებს ქებასა.
 ღვინომ თქვა სახელქებულმან: მეცა ვარ ყველას ქებული,
 მცირედი კაცი არ დამლევს, თუ არა მირონლებული. 486

*

პურმა თქვა სახელქებულმან: მე ვარ ყველასი ქებული,
 კაცი უჩემოთ არ ვარგა, არც გლახა და არც დიდებული.
 პურმა თქვა: მოგეხსენებათ ამ ჩემი თავის ქებაო,
 უჩემოთ წირვა არ ვარგა, კვეთა და ზიარებაო,
 ქრისტე მცნობს, ხორცათ მახსენებს, მითი მაქვს სახელდებაო,
 იესო ქრისტეს წყალობით ქვეყანა ჩემით ძღებაო. 487

მჭადმა თქვა: მეც ვიხსენები სუფრის ბოლოსა გდებული,
 მდიდარი კაცი არა მჭამს, თუ არ ყელგადაგდებული. 488

*

ბამბამ უთხრა აბრეშუმსა, — შენ რა იცი ჩემზე მეტი,
 ჯერ ამოვად ბალახადა, მემრე ვხდები შაქრის ფრადა,
 ჩემი მუშა უკან მომდევს, ქახრაკელი და მის მრთველი,
 ცოცხალს არას არ ვარგივარ, კვდართანა ვარ
 წასასვლელი. 489

აეთანდილ გადინადირა

აეთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი,
 ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი,
 ნახტომსა თხასა ფერდსა ჰკრა ისარი ის პირფითანი.
 ჰანდრისა ძირსა ჩამოხტა, ცეცხლი დაანთო ძრიალი,
 დაჯდა და შამფური თალა, მწვადი ააგო მცვრიანი,
 სანამ მწვადი შეიწოდა, ლურჯას მისცა საძოვარი.
 ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდამ მომავალი.
 შეხტა ცხენი, შეჰჰკვიხინა: ისა კაცი ავი არი!
 მეჯინიბეს დამიძახეთ, — ლურჯა მომგვაროს ჩქარათა!
 გავაზედ ხელი გაღუსვი, ზედ წამოვახტი მარდათა,
 ვიწრო გზა გავარბეინე, მინდორი უფრო ჩქარათა,
 უკუვიხედე, მომდევენ ის ურჯულონი ჯარათა.
 ასი ვკარ, ასი მოვკალი, ერთი გადმირჩა შავადა,
 ერთი იმანაც მესროლა, სისხლი წავიდა ღვარათა.
 ჩამოვხტი მუხისა ძირსა, ტოტი ვიწოდე ფარათა,
 დავჯექ და წიგნი დავწერე, ტრედ გამოვები მხარათა,
 ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარათა,
 გიყვარდა თეთრე მანდილი, ჩემზედ შელეზე შავათა,
 ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავათა,
 ის ქალღ ისეთ კაც მიე, მე მჯობდეს თვალათ-ტანათა,
 ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მზითვათა. 490

ანდუყაფარ

ანდუყაფარ სანადიროდ საქართველო შეჰყარაო,
 შველიც მოკლა, ჯეირანიც, კურდღელმა კი დასცაძაო:
 „ჩამომეხსენ, მაჩაბელო, ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
 ცხენი ცხენსა არ მიხალო, არ მომიკლა ჯაფარაო,
 ათას თუმნათ ცხენი მიღირს, ორას თუმნათ ავშარაო“.
 მაჩაბელმა გააქანა, ცხენი ცხენსა უხალო,
 ანდუყაფარ გადმოვარდა, თავი ქვასა ახალო.
 დედას კაცი მოუვიდა, — ანდუყაფარ მამკვდარაო.

„ანდუყაფარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო“.
 ლოყასა ხელი გაიკრა, მარგალიტი გაყარაო,
 ჩიქილას ხელი გაიკრა, ვიშრის თმანი გაყარაო.
 ცოლსა წიგნი მოუვიდა, — ანდუყაფარ მამკვდარაო.
 „ანდუყაფარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო“.
 მამას წიგნი მოუვიდა, — ანდუყაფარ მამკვდარაო.
 „ანდუყაფარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო“.
 შომიტანეთ კულა ძაბრი, მოჭედილი მათარაო,
 მაინც ჩემი ურგო იყო, სიქიმან თუ მამკვდარაო“.
 დედა მისი მარიაში საბნელოში დამჯდარაო,
 ცოლი მისი ქეთევანი საყეინოდ გამხდარაო. 491

მორის სანახავად წაველ

გორის სანახავად წაველ, ხიდისთავს გაველ მტკვარშია,
 ციხისძირული ყურძენი ჩავჭყუნე კალათაშია,
 მე რომ იმითი დავითვერ, სამი დღე ვეგდე ლაფშია,
 მოვიდა დედინაცვალი, მიფაჩუნებდა თავშია.
 სამი დღის ნავადმყოფარი ავდექ წავედი ტყეშია.
 შავხედე, ღორი მორბოდა, დიდი იყო და მრეშია.
 დავიჩოქე და ვესროლე, მოვადე ბეჭის ფრთაშია,
 ერთი იმანაც ამამკრა ამ სისხო ბარძაყებშია,
 ვერცა თოფი წაშოვიდე, ვერცა იმისი ლეშია,
 აღმართი ამოვირბინე, ერთი არ დამიხვნეშია.
 ეზოს კარებზე მოვედი, — „ვაიმე, დედავ, წელშია!“
 — შვილო, დედამ რა გიშველოს, მონადირისა წესია,
 შენისთანა მონადირე ტახს ბევრი გაუსრესია,
 ვეგონა გადმოიტანდი როგორც ბოჭტანში ნესვია. 492

ბიჭია ჩინჩიბური

ეს ბიჭია ჩინჩიბური¹⁾, კვაშხიეთლების²⁾ ვეჭილი,
ამ ბიჭია ჩინჩიბურსა დახე რა მოუგონია:

თავის ნაწერი წიგნები თვითონ ვექსილი ჰგონია.

ტყეში გაგზავნა ბიჭები, დაულესიათ ცულები,

წინ დატვი შემოეყარათ, დაუკრეჭია კბილები.

ეს ბიჭია იძახოდა:

„სანადიროთ წამოვედით, ვინ დაგვხვდა ესე ნავსია,
თუ ეხლა ამ დათვს წაუველ, ჩემს დღეში თოფს არ დავსცლია“.

ნიკოლიამ დათვი დასჭრა, ფირანა დახვდა წინავო,

ერთი ტოტი რომ შემოჰკრა, მაშინვე ჩააწვინავო.

წინილამ მელა გადმოხტა, — რა უბედური დღიდანო,

რაც კარგი ბიჭი არიან, სუყველა იმაღვიანო.

ყარამან მოდის ქვემოდან, ხანჯალი მოაქ შიშველი:

„ფირანა, ჩქარა წამოხტი, თორემ მე ვერას გიშველი!“

თედორიკა იძახოდა:

„ქალამნები დამიქველდა, ზედ ავიხვიე ბანდები,

თხილივოლეს ვეფარები, — მიწაში ხომ ვერ ჩავძვრები!“

სპირიდონა ხეზედ მიდის, ეგნატეს აძლევს ხანჯალსა,

წიფხვები დაჰფუჭებიან, ველარ იხსნიან ხვანჯრებსა. 493

მადათოვი

ეს მადათოვი კარგია, გათქმული ხშელეთზე არი,

ხევსურებში და ფშავშია ყანები ჰქონდა ზიარი,

აგეთი აშენებული, — ფულებს გაჰქონდა ჩხრიალი.

მთაში მიდის სანადიროთ, ხარ-ირემსა შემოხვდება,

სამჯერ ესროლა ზედიზედ, მოკლა ირემი ჩხიანი.

დედავ, გულში გენაცვალე, შენ რომ გამზარდე ჭკვიანი,

¹⁾ გვარი.

²⁾ სოფელი.

წორ ამხანაგში გავდივარ, სიტყვა მაქვს ომახიანი.
მაღლა წავედი კავთაზე, დაბლა ჩამოველ ბარათა,
მისთვინ მოგახსენებ შაირს, რომ დამიწერო გვარათა,
დავხოცე ბევრი ნადირი, სისხლი ვადინე ღვარათა. 494

ს ა ნ ა ლ ი რ ი

ბალხვნო¹⁾, თქვე მონადირენო, ჩამოგიტოვნა მთანო,
მა თქვენჩი სანადიროჩი ჩამოდიოდენ ცხონო. 495

პაპი²⁾ წავიდა ნადირობ³⁾, თხას დაუკრინტა⁴⁾ თოლიო,
გადის და გადის მაჟარი, კაკი⁵⁾ ამოდის ბოლიო,
აქ აღარ დოგოყონებდა, თუ რომ მოეკლა ორიო. 496

მთასა თოვს, ჯიკვი ფეკსა სცემს; გულს უტუნხს მონადირესა. 497

გახედეთ მაგა ჯიკვებსა, რა მშვენიერი დგანანო,
რქა გაღუდვიათ რქაზედა, საგრილობელზედ დგანანო,
უნდა გამოვლენ მწონეზედ, უნდა გრილოზედ დგანანო. 498

ჯიკვნო, გუნება მძიმენო, კლდიდამ რამ გამოგიყვანათ?
— პირტიტველამა მოყმემა სათავე წამოგვიარა,
თქვენმა მაჟრისა ტყვიამა ილლიას გამოგვიარა,
შავშინდით, კლდეს გადავცვივდით, ყოთანმა გადმოგვიარა. 499

ირემო, მთასა მკვირალო, სად ჩამოვარდი ბარადა?
— მეუღლე ჩემი მომიკლეს, დევებეტები ცალადა. 500

არწიას ეფხუნი⁶⁾ დაზრდილან, ტოტით კლდეს გადმოშლიანო,
კიოხის მთისა ნადირნი ყურით შინ მოუღლიანო. 501

1) ბალღნო.

2) მონადირის სახელი.

3) სანადიროდ.

4) დაუხუჭა.

5) ციცაბო კლდის გვერდი.

6) ვეფხენი.

მთაში ღორმა დაიკვება: ყველგან გავაკეთე ბინა,
ვერცარას თოვლი დამაკლებს, ვერცა შამოდგომის წვიმა,
მე რომ კბილებ გავილესამ, ვერვინ გადმიდგება წინა. 502

ტყეში ტახმა დაიკვება:
მე თოფი ვერას დამაკლებს, თუ არ ყარაბახისაო. 503

თუშმა ივანემ ხმალს უთხრა: გასჭერი ხმალო ტიალო,
გასჭერი, თორემ გაგყიდი, ვაჭარი შამიჩენია.
— რისთვის გამყიდი, პატრონო, ნეტავ რა შავიმჩნევია? 504

თოფმა სთქვა: ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა,
საითაც მისახელებდა, მთასა ხუილი მიჰქონდა,
ჩემი ნახოცი ნადირი ყვავს და ყორანსა გაჰქონდა,
ბოლო დროს ერთი თხა მოვკალ, შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა,
გალმა-გამოღმა თავადებში სულ სანახავად დაჰქონდა. 505

ხობობსა მახე დაუდგი სამოცდასამი თოლიო,
შიგ გაბმულიყო კურდღელი, ამოეჭყირა თოლიო. 506

ეგ ორი მონადირენი, ცისკრის მასკვლევნი ცისანი,
დილაზე წამოდგებიან, დილით იბანენ პირსაო,
ავლენ ბებერთა, სხდებიან ბებერთა ღობის პირსაო,
ყოდანთ აყროლდა კორცები კარ ლალისა და თხისაო,
შავათ მაკლულსა ნადირსა ხუთ-ხუთი ტყვია სჭრისაო. 507

თოფი ბულქი¹⁾ გაქვ, ვაჟაო, წამალი მალომლებული²⁾,
მთაჩი ჩივიან ნადირნი, სულ შენნი დაღონებულნი. 508

ბიჭი ვარ გოდერძაელი, როგორც რო ტალი კლდისაო,
ნადირი ბევრი მამიკლავს, შველი და არჩვი მთისაო. 509

ეშმაკი შენ ხარ კურდღელო, ეშმაკი შენი მღევარი,
ვდვილი დასაჭერი ხარ ხერხითა, გეტყვის მწევარი. 510

1) კარგად ნაკეთები.

2) ხმელი, მშრალი.

შაზანდარი

აქ შაზანდარი გახლათ, ტვირი დაუკრა ჭრელია,
 სულ შენი საყუბო გამხდარა ჭარი და ბელაქანია,
 გუნებაში ჩავიციენე, — მიგაქვს ჯიბისკენ ხელია,
 ამოიღე და შაჩუქე, უნდა ვიყიდო ცხენია.
 აგრე მოგიყვები ქებას, როგორც საყდარში მღვდელია,
 ქალაქს სიონი გწყალობდეს და მცხეთას მონასტერია,
 გაქოსა და გადღევრძელოს, მოგცეს ადამის დღენია,
 უწინ შენ მოგაკვლევინოს შენზე მოსული მტერია;
 კისერი გაქსქელებია, ვერას დაგაკლებს მტერია,
 ლამაზი ქერა ულვაში ლოყაზე გადაგფენია,
 ასენაირათ იცინი, შენ ხარ ქალების მტერია. 511

*

შენი ჭირიმე შენია, ჯიბეს გაიკარ ხელია,
 ან ამოიღე აბაზი ან უხალთუნი ჭრელია. 512

ან აბაზი ამოიღე ან უხალთუნი ჭრელია,
 ნუ ამოიღებ შაურსა, ჯორის ნალივით პტყელია. 513

საზანდარო, საზანდარო, შენ პლუტო და აზარქალო,
 ვერ მითხარი კარგი ლექსი. „არ მოვიდა თაგსა, ქალო“. 514

ზედაველაზედ ვიყავი, მგელი მომიხდა, ვკიოდი,
 სად იყავ, ჩემო ქამანჩავ, მე რომ ბატონთან ვჩიოდი. 515

ქიზიყში ერთმა ბებერმა კარები დაგვიკეტაო,
 მაგრათ დაკეტა კარები, ხელი მაადო ზედაო,
 შიგნიდგან იგრე ამბობდა: თვალი კი დაგიდგებაო.
 ქაფქირით გამოგვიტანა ქათმისა საკენკელია,
 დავკარ ხელი, დაუბნიე, დღესაც იქავე ფენია. 516

საზანდარი მომეშალა

საზანდარი მომეშალა, ვერ მოვიყვანე ჭკუასა,
 ხსნილში სახსნილოს ვაჭმევდი, მარხვაში ტყემლის წუასა.
 ღმერთმან იცის, არ მინდოდა სოფელ-სოფელ სიარული,
 დამიჭირეს, თვალი დამწვეს, ხელში მამცეს ჭიანური,
 თვალდამწვარი გადავეარდი, მივტრიტ-მოვტრიტე ოსეთი-
 ოსეთიდგან წამოვედი, წამოვეყვე თარაებსაო,
 ერთი კაცისას მივედი, ის მამცემს ფარაებსაო.
 ნათლიდედა და სვინაო, ჩამოგიჯდები შინაო,
 თავი ნუ შეგეწყინება, ავდარი არი, წვიმაო.
 ჩვენ რომ მინდორში ვიყავით, ის არის ჩვენი ყანაო,
 ჩვენი პატივ-დიდებისთვის მოწყალემ შეგიყვარაო. 517

ჰოი ელია მელია

ჰოი ელია, მელია, ბუღბუღი მგალობელია,
 ზეცას დარეკეს ზარები, ალავერდ მწყალობელია,
 რაც შიგ ხატები სვენია, სულ ჩვენი მწყალობელია,
 დაუკარ ჩემო ქამანჩავ, დაუკარ ნელა-ნელია.
 დაგლოცა პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა.
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი: ოქროს ტახტზედა ბრძანდება
 ხელში უჭირავს სასწორი, ცოდო-მადლი ეწონება. 518

ღენთი, ღენთი, როგორ ღენთი

ღენთი, ღენთი, როგორ ღენთი, ღვინო დგება განა ზეთი.
 ტალკვესიდამ დაიბადა დალოცვილი ქრისტე ღმერთი,
 ყველა იმან გააჩინა, ნათლია და მირონ-ზეთი.
 ქონი ქონზედ აღუღდება, მზეც რო წაღმა დაბრუნდება.
 აცა, ბიჭო ზეგნელებო, კიდევ გნახავთ თელავშია,
 კიდობნები მივიმტვრიო, მიგიყარო ღელეშია.

გაღმა ხიდები გავყარე საქანგურე თხილებშია,
 მალლა მთაში ღორი ჭყივის, ჭალაშია ირემია,
 გულხადრები ჩამოსულან, ხელთ უჭირავს სტვირებია,
 მეტისმეტი სტვირის კვრითა ჩაცვივნიათ კბილებია,
 ოსური ჩოხა აცვიათ, ზედ უსხიათ ღილებია,
 გაღმა მხარში არ გაუშვეს, შაზამურა თხილებშია. 519

სამოთხე არი გაფხული

სამოთხე არი ზაფხული, ჯოჯოხეთია ზამთარი,
 ხემწიფე კარგი დაგვიდგა, ვერას დაგვაკლებ ხონთქარი,
 თოფები გამართულია, შუბი და ხმალი მზათ არი,
 ასე ჩავკაფოთ თათარი, როგორც თივა და ნაცარი.
 ნეტავ თუ ვისმეს გენახოთ ერთი ქალაქი დამწვარი?
 აღდგომა დილას დაიწო მთელი საჩხრიკის ბაზარი.
 თავში გაუჩნდა ურიას, ბოლომდის გაჰყვა ხანძალ[რ]ი,
 ძაღლი და ღორი დაიწო და მფრინალი ქათამი.
 გზას ზევითა შეუხვია სვიმონ წერეთლის კარამდინ,
 გზას ქვევითა დაუხვია ნაღდიაშვილის კარამდინ.
 კიკოლის ცოლი ტირრდა, ლამაზი და კვინწილაო:
 „ტანისამოსი დაგვეწო, საგარეო ჩიქილაო,
 ბაღები კარგი დაგვეწო სასაცილოთ მტრისთვინაო“.
 კარსა გვერდით ავუარე ლამაზი ქალისთვინაო. 520

ქალაქიღამ წამოველი

ქალაქიღამ წამოველი მე და ჩემი თეთრი ვირი,
 ყარა წიხლი, ჩამამაგდო, ლაფში ჩამივარდა სტვირი,
 ამთენი ლაფი აიკრა, გირვანქა და ერთი სტილი.
 მაჩხაანზე ჩავიარე, წყალი იყო მეტათ ძვირი,
 ერთსა ქალსა წყალი ვთხოვე, — „წყალზე არის ჩვენი ვირი“.
 ჯიბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ლელვის ჩირი:
 „აჰა, ყმაწვილო, მიირთვი, ნახე როგორია ტკბილი,

მინამ ვირი მოვიდოდეს, ამით გაისველე პირი“.
 გაიცინა, გამაცინა, გამოუჩნდა თეთრი კბილი,
 ჩუმ-ჩუმათ ვეუბნებოდი: „შემეყაროს შენი ჭირი!“
 „შენ ჩემი ჭირი რათ გინდა, საიღამ ხარ, ვისი შვილი?
 რო წამოგყვე, სად წამიყვან, საით უნდა მიყო პირი?“
 — ისეთ ალაგას წაგიყვან, რომ ყვოდეს ყველა ხილი,
 ყველა ხილი იქა იყოს, მიხაკი და დარიჩინი,
 წყალღვ ახლო ჩამოგიდის, აღარ მოგინდება ვირი. 521

ერწო მთა გადასავალი

ერწო მთა გადასავალი ლაფი იყო და ჩვილია,
 წამამქეცა ჩემი ლურჯა, შიგ ლაფში ჩაყავ ცხვირია,
 ამხანაგი მეუბნება: ადე, რა გასაჭირია?
 არცა რა იმან მიშველა, ჭიამ მოსჭამოს კბილია.
 უკულმ ვიხედე, გორევედა ეს ჩემი ჭრელა სტვირია,
 ამდენი ლაფი აეკრა, — ჩარეჭი სამი სტილია.
 ავდექ, დავაჯექ ლურჯასა, ფეხი ვკარ ავქანდასაო,
 ბულაჩაურში მოვედი, გავხედე ბოდორნასაო:
 მოდიდებულა არაგვი, ქაფი მაეგდო წყალსაო.
 შუა წყალში რომ შამოველ, შიში მამეცა ტანსაო,
 ძირს მენა, ზევით ლურჯაი, ლურჯამა წიხლი დამცაო,
 ორკოდინი ტომარა ქვევითკენ მიაქვს წყალსაო,
 ვაიმე, კეხის ბალიშო, ჩითი იყავ თუ ფარჩაო.
 დედაჩემი გადმამდგარა, თავში იცემდა ქვასაო:
 „ღვთისმშობელო, შენ უშველე შენსა ერთგულსა ყმასაო“.
 არცა რა იმან მიშველა, დიდება იმის ძალსაო,
 მოუცურდი და გამოველ, ვით ორაგული ზღვასაო.
 აცადე, შვილო არაგვო, თუ ვერ ჩაგიდგო ჯაბრსაო,
 კიდევ მოვალი ზაფხული, ქაჩალ დავიბან თავსაო,
 ბოდორნის ძირზე წამოვალ, ქენებას მოვკლავ ვირსაო.
 ვეჩიჩინები სიმამრსა, ვერ ვათქმევიანებ ღმინსაო,
 როსაც როს სული დალიოს, დავაკლავ ჩემსა ვირსაო. 522

არ ვარგოდა ნადიმობა

არ ვარგოდა ნადიმობა, ბეზლობა და კაცი ძრახვა.
 ყენი რომ დაგვერია, ღმერთმა ისიც მოგვაჩვენა,
 წავიდა და გადიარა, ზღამ გემები გადალახა,
 ისიც იყო ცოდის კითხვა, დედამ შვილი ვერა ნახა,
 ყმაწვილები[ს] კალო ლეწეს, ჰოროლელი შამოსძახეს.
 შვიდი დღე-ღამე იწვიმა, წყალმა კლდეები დახრამა,
 ათას ხუთასი თათარი ერთ ღელეში ჩაიშარხა,
 ჩადიოდნენ, ამოჰქონდათ ცოცხალ, მკვდარი, ნაფერძალი. 523

ქალაქს სიონის საყდარი

ქალაქს სიონის საყდარი, მკვარზე რომ გადმოსცქერია,
 მისი მადლი შაგეწიოთ, რაც რომ შიგ ხატი სვენია.
 ზეინაბანთ გიგია ეშმაკია და გველია,
 თავის ბატონის ფურებსა ყელზედ დაასხა წნელია,
 ხშირი ტყე ამაატარა, მინდორი უფრო გძელია.
 ერთმა ტურამ დაიღმუვლა, იქ შაიყარა მგელია;
 ვენახები მომიჭამეს, ველარა ვქენი რთველია,
 მას აქე ველარ ავამსე შვიდი საპალნის ქვევრია.
 კონდოლის ბოლოს აქებდნენ, ლეკი გამოდის ბევრია,
 ერთი ბელადი გამოდის, კისერი ჰქონდა გძელია,
 ასეთი კისერი ჰქონდა, როგორც რომ გოგრის ყელია. 524

ს ტ ვ ი რ ი

ქავჭავაძემ დამბატიყა, ღვინო მასო ტკბილიო,
 მაშკაოეთს¹⁾ რო ჩამოველი, მომივიდა ძილიო,
 საცა ჩრდილი მამეწონა, იქ წავყავი ცხვირიო.
 ავდექ და ხელი მოვისვი, აღარა მქონდა სტვირიო.

1). სოფელი.

ჩემი სტვირის მომპარავსა შეუდგება ჭირიო,
 დღეისწორამდინ მენახოს იმისი ცოლი ქვრივიო,
 ჩემი ძმისთვინ მამეყვანოს, გამეწიოს ლხინიო,
 მზითევში გამოჰყოლოდეს ჩემი ჭრელი სტვირიო. 525

*

ციხისძირიდან წამოველ მე გძელაშვილი ანდრია,
 ქალაქში მოქალაქესა კარგი ქორწილი ჰქონია,
 ვიშოვნე ხუთი მანათი, შავაკმაზინე სტვირია,
 აფხავის წმინდა გიორგში დავალიდინე სტვირია,
 ბევრი ქალი ვათამაშე, მარიამი და თინია.
 ყველამ კარგათ გამისტუმრა, მოჩხრიკა ჯიბის ძირია,
 ზოგმა პლუტმა ავაზაკმა, იმან მარიდა პირია.
 წმინდა გიორგიმ დასწყევლოს იმის იქით რომ ველია,
 მე ხომ იქ დამძინებიყო, დავკარგე ჩემი სტვირია.
 როცა რო იყო წამოვდეგ, შინატყენ წავეხირია
 ბაღლები შამომეგებნენ: მამავ, რა უყავ სტვირია?
 „წადით, თქვე მამაძაღლებო, დავკარგე ჩემი სტვირია“.
 წავიდნენ და დედას უთხრეს: „მამამ დაკარგა სტვირია“
 კნენიამ გამამიძახა, მამინჯიალა კბილია,
 ის შინიდან მიჯავრდება, მე დერეფანში ვსტირია.
 დაიცადე, ქალბატონო, გაგიცვდეს ქოშის ძირია,
 ეგ კაბაც შემოგეხიოს, წადი და უკან მდივია,
 მე სტვირს მალე გავაკეთებ, — სად გასწყდა ორი ჩხირია,
 გათენდა მესამე დილა, ვიპოვნე ჩემი სტვირია. 526

ყიყლიყო, მამალო

ყიყლიყო, მამალო, თავსა გადასავალო,
 სამი წელიწადია ფური არა მყოლია,
 ფურის ერბო-კარაჭი ქალაქს ჩამიტანია.
 ქალაქური დედლები ახტიან, დახტიან,
 ოქროს კვერცხებს დაჰყრიან,
 ერთი მე ავიღე, ერთი ჩემმა დობილმა,
 დობილს თვალი გავარდა, ისიც მე ავიღე.

წაველ დედას ვახარე. დედამ კვერი დამიკრა,
 მამამ ტყეში წაიღო. ტყილამ გვრიტი მომგვარა,
 გვრიტმა კვერცხი დამიღო. ავაგორე, ჩავაგორე,
 ხუცის ცოლთან მივაგორე.
 ხუცის ცოლი შინ არ იყო,
 კარებს უკან თაგს იბანდა;
 ერთი [ასე დაიძახა],
 ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია,
 მეფე კარზე გაახტუნა,
 დედოფალი ჩააძვრინა. 527

*

(ვარიანტი)

გავალ, გავალ მაღალთა, გავიკითხავ თამარსა.
 თამარ დედუფალია, იმის ქმარი ლალია,
 ლალია უარესია, ქიქის გამხვრეტელია,
 ოქროს გამცემელია.
 არცა ფურა ჰყვანია, არცა კარა ჰყვანია,
 ერთი ჩიტი ჰყვანია, ისაც მოუწკენტია,¹⁾
 იმის ერბო-კარაქნი ქალაქს ჩაუტანია.
 ქალაქურნი დედანი ახტიან და დახტიან,
 ლომსა მოელოდიან.
 ლომი არცა მოვიდა, თეთრი ქორი მოვიდა,
 იმან გაშალა ბოლო, მარგალიტნი დაყარა,
 ერთი მე ავიტაცე, ერთი ჩემმა დობილმა.
 დობილ, მითხარ მართალი, ვინ (მარკაცა²⁾) ბარკალი?
 „სომხის შვილმა პაპუამ, მან შამკარცა ბარკალი“.
 დედამ კვერი შამიქნა, მამამ ტყეში წამიღა,
 მამამ გვრიტი მამგვარა, გვრიტმა კვერცხი დამიდვა.
 ამიგორდა, ჩამიგორდა, ხუცის კარზე მიმიგორდა,
 ხუციანი შინ არ იყო, გამოვარდა იმის ცოლი,
 ერთი ასე [დაიძახა], ყმაწვილები დააშინა,
 კიდაბანჩი ჩაასხდინა, იქ ვაშლები ჩაუყარა,
 თავადვე დააყუჩა, ცხრა ბორბოლი დააბრუნა,
 მეთეს კი ფრთე მოსტეხა, ბერი კაცი დააყრუა. 528

1) მოუწველია.

2) შაგიკეცა.

ხელეჩო

ხელეჩო, ხელეჩო, ხომანდულის ხელეჩო,
 შიგა სხედან ქალები, აზნაურის ცოლები,
 ზოგსა ხურამ ქუდები, ზოგს არა აქვს ქუჩები.
 ახ 'შენ ჩემო რძალო, უცნაურო კუდარო,
 ვისა კარსა მიგასვენო? „სვიმონისა კარსა“.
 სვიმონი რომ შინ არ იყოს, ვინ გაგიღებს კარსა?
 „ჩემი მაზლი დიაკვანი, ის გამიღებს კარსა“.
 „შენი მაზლი დიაკვანი ფოშტაშია ფლამსა.
 შვილო, ადრე ადგებოდე, ქალას ჩაინადირებდე,
 ქალა ეკლიანია, მუხა ძეძვიანია,
 დაიჭერდე ხოხობსა, დავაბამდე ჯაჭვნითა.
 ჯაჭვი დაუწყვეტია, მთასა გადურბენია.
 მთასა შედექ მაღალსა, გადასძახე თამარსა,
 თამარ ჩემი რძალია, ნეკ-ბეჭედლიანია,
 იმის ქმარი ლომია, ლომზე უარესია,
 რკინის დამკვნეტელია, ოქროს მამგებელია. 529

ადიდებულა ტანაო

ადიდებულა ტანაო, წყალ ღორმა¹⁾ მამატანაო,
 დამიგორგოლა, წამილა, შუა ზღვას მიმიტანაო.
 ვახსენე წმინდა გივარგი, ნაპირზე გამიტანაო,
 იქ ორი ჭადი დავკარგე, — ზარალი ამისთანაო.
 ვაფიცე ქართალიკოზი, განჯას ვაფრინე თათარი,
 მილამ განჯით მოვიდოდა, ქადები დაშლილიყოვო.
 შვილო, ადრე ადგებოდე, ქალას ჩაინადირებდე,
 ქალა ეკლიანია, ბოხო²⁾ ძუძუანია³⁾.
 დავიჭერდი კოკობსა, დავაბამდი ჯაჭვითა,
 ჯაჭვი დაუწყვეტია, მთანი გადურბენია.
 ა იმ მთათა მაღალთა გადავსცქერდი ქალათა,
 აზნაურთა ლამაზთა,
 ზოგს დაეხურა ქუდანი, ზოგთ არა აქვთ ჩაჩქანი. 530

1) ღვარმა.

2) მთის სახელი. 3) მხვლეტავი კენჭები.

ასსკი და აგუგუ

ასსკი და აგუგუ, მე რო ქალას მეძინა,
 ასკის ქალი მოვიდა ქუდითა და წარბითა.
 [ქალო ქუდი ვისია? ჩემი ძმისა მეფისა.]
 ჩემა ძმამა მეფემა ყურძენი მომიტანა,
 იმ ყურძენმა არ მიაშა, სამარე გამითხარეს,
 სამარე მიწრო შოვიდა, გვერდები დამათალეს,
 ჩემი გვერდების ნათალი ზედ გულზედ დამაყარეს,
 საწყალმა ჩემა დედამა ზედ კალათაჲ დამაფარა. 531

ილი ილელი

ილი ილელი, ჩიტი ჩიტელი, ღოჯა მორბოდა რქიანი,
 კურდღელსა შეშა მოჰქონდა ასი ურემი ერთათა,
 ხიმეს ვერ ჩამოეტია, ხიმეს ხსნიდა კბილითა.
 იყიცილო მამალო, თავზე გადასავალო,
 სამი ცხვარი მიმიძლოდა თავწითელი რქიანი,
 ისიც ოსეთ ჩავიყვანე, თბილი პური მომართვესო,
 თბილი ქათმის კისერი, ისიც მუხლზე დავიდევო;
 წიწიბურამ მამტაცაო.
 მაცა, მაცა, წიწიბურავ, მეც გადმოვალ სერზედაო,
 გადავედი სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო.
 გამწევენ და გამომწევენ, გამიკრამენ კეტზედაო,
 ქორ-მეტებრები დაუძღვის დაგეშილი ჩემზედაო.
 ღმერთო, ბატონ გაუმარჯვე, ღვინოს ბძანებს ჩვენზედაო. 532

მრმპილი მარ

ერეჰელი ვარ და მერეჰელი,	კენკეთური
ელისბარი, ამასთანა სადიკო.	ხვანსკის მიერ
მიქელაჲ ვარ და მიქელაჲ,	ბეჰეთური ქვე
ჩიტბელური	ქვერი ვარ და ახალ ქვერი,

იმყვირიას
ამყვირიას თვით,
თვითარქო
ჭაშმირექ
დაფარული

ჭერი ჭერი გუ,
გუმუთარ და გულმამლარო,
ნებას გაძლევ სახსოვარი,
ოჰოჰოი მიქელოოო! 533

ქუთათური ქათამი

ქუთათური ქათამი ორლობეში გავთაღე,
იმის კურტუმ-ბარკალი დათიელას გავუგზავნე.
დათიელამ ცხენი მომცა,
ავაჭენე, ჩავაჭენე, ორლობეში მივაჭენე.
ორლობესა ბოლოსა ცხენი სძოვდა ყანასა,
ცხენო, ყანა ვისია? — ასისა, ბასისა, გაღმაური კაცისა.
გაღმაურმა კაცმა ძაღლი დამისისინა,
ვერაფერი ვერ დამაკლო, ცოტა დამასისხლიანა.
წყალში ფეხი ჩამივარდა წმინდა ქალამნიანი,
ორაგული მთიანი, კაი ქალი თქმნიანი. 534

ჩიტო გვრიტო

ჩიტო გვრიტო, მარგალიტო,
შენი დედა ჩვენსა იყო,
ცალი ფეხი მასტეხიყო,
ცალი ისრე ჰქონებოყო,
ჭერში შავდე, გამხმარიყო,
ჩამოვიღე, დამპალიყო,
დიდმა კაცმა ვერ შეჭამა,
ჭინჭველამა ლუკმად იგდო.
ის ჭინჭველა რა ქნდაო?
თავესა შაუჭამიაო.
ისა თავვი რა ქნდაო?
კატას შაუჭამიაო.
ის კატაი რა ქნდაო?

ძაღლსა გაუხეთქიაო.
ისა ძაღლი რა ქნდაო?
მგელსა გაუხეთქიაო.
ისა მგელი რა ქნდაო?
დათესა გაუხეთქიაო.
ისა დათვი რა ქნდაო?
ტყეჩი ჩავარდნილაო.
ისა ტყე რა ქნდაო?
ცულსა გაუკუწიაო.
ისა ცული რა ქნდაო?
მჭედელს შაურეგიაო.
ის მჭედელი რა ქნდაო?
სიკვდილს მოუკლიაო. 535

ს ა ყ მ ა ნ ვ ი ლ ო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მამკვდარიყო,
მალლა შავდე, გამხმარიყო, ჩამოვიღე დამპალიყო,
დიდ ქვაბში არ ეტევიოდა, პატარაში ლალი იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა, ერთი კაცის ლუკმა იყო. 536

ჩიტი, ჩიტი ჩიკორტელა, ჩიტი მყვანდა შავარდელა. 537

ელეა მელია, მუნა-ტყეში მგელია,
ტეტეს ბიჭი დაეგლიჯა, ძნელად მოსარჩენია,
ექიმები დავაყენე, ფული მისაცემია.
ორი მანეთი ვაძლიე, არ მამკიდა ხელია,
მესამე რომ მოუმატე, მამაწოდა ხელია,
გინდა კაბა შაიკერე, გინდა ქოში ჭრელია,
ოთახში რომ შამიყვანეს, გადმეცვალა ფერია. 538

ჩიტმა თქვა წიო,	გავიტანე წისქვილსაო,
კალოს პირას ვზიო,	გამოვიტან, ვსცრიო,
მარცვლებს ვკრეფო,	დავიქ გოგლომებსაო! 1),
ვყრი ჩუხურაჩიო,	დავსთლი ჭრელ კოჭებსაო,
	[დაფურიგებ ამას და იმას]. 539

ჯინჯარი ჭირის ჭირია, სატაცური ბალღამია,
სვინტრი ყველას წამალია.
არჯაკელა ტიროდაო, დიდი ერბო მინდოდაო,
ასი კვერცხი ჩამახალეს, ასი კდევ მინდოდაო. 540

ალათასა, ბალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა,
ერთი გროში თქვენც მოგვეცი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა. 541

ოცდახუთსა ამ თვესა ქრისტე დაბადებულსა,
მადლი მახარობელსა, ქვეყნის გამხარებელსა.
სახლო, ღმერთმა ავაშენოს, მხიარულათ დაგაშვენოს,

1) კვერცხებს.

აღათასა, ბაღათასა, ხელი ჩავყავ კაღათასა,
ერთი კვერცხი გამოგვიტა, შენი სახლის ბარაქასა. 542

ჭონა, ჭონა ვარდის კონა, ჩამოგვიდებ კაღათასა,
ერთი კვერცხი თქვენც გვიბოძეთ, ღმერთი მოგცემთ ბარაქასა. 543

აჩუ, აჩუ (ეხენო, საით გაგაჭენო, ალაწანი დიდია,	შიგ ბებერი ჰკიღია, ჰური ვთხოვე, არ მაჭამა, ჩემი ცოდვა ჰკიღია. 544
--	---

აცა ბაცა ბაცანიკი, ძუაგრძელი სატკვეცელი,
იწერ ბუწერ, ტყეები კვაჭი, გიოღური, გიოჩხური,
ვაძირი და აში მორთი. 545

წი, წი წიქორია, მთასა კვერცხი გიპოვნია,	[გ] ისვია და გიჭამია, პირსა გცხია, გიხარია. 546
--	--

თათარო, თათარო, შენი თავი გავთალო,
შიგ მარილი ჩავყარო, გარეთ უბანს გავყარო. 547

იწილო-ბიწილო, შროშანო გვრიტინო აღხო მალხო ჩიტმა გნახო	შენი ფენი ფენმანდუკი აბლა უბდა კატა სკუბდა აჯექ მაჯექ მეფევ ჩაჯექ! 548
---	--

ბიზი, ბიზი, მარიამ, შენტვის არა მცალიან. 549

გაკრეჭილო იხაო, წიხლი არა მკრაო. 550

მტირალა, მტირალა, ღორებს ჩამოგილაღავ,
თუ ღორები არ გინდა, კატებს ჩამოგილაღავ,
თუ კატები არ გინდა, ბატებს ჩამოგილაღავ,
თუ ბატები არ გინდა, ქათმებს ჩამოგილაღავ,
და სხვა. 551

აგერ მოდის ბერი კაცი,
უკან მოზღვეს შავი ძაღლი,
ვინც ჩვენს უკან ხმა ამაილოს,
უკლუკუდა გველაშაპი,
კაპ! კუპ! 552

ფიცარ ფიცარ ნაორღალო,
ციბრუტო და ოქრო მკედო,
ღმერთო, გაუმარჯვე ოცი! 553

ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ. 554

ნეკ-ნეკასა, კრჭ-კოჭასა,
ვინც გაეყაროს, ჭირი იმასა! 555

საბაღლო სიტყვები: ალუ — პირველი სიტყვა, აკვანში ხმის ამოღებას რომ ასწავლიან; აა — ტანში გასვლა, აა მინდა — გასვლა მინდა; აჩუა — ცხენი, სახეღარი; აჩუ — ცხენით სიარული; ბაბა — პური; ბუა — წყალი; კაკა — ხილი; ნუნუა — ღვინო; პა — კოცნა (პაჩი); ტატი — სიარული; ტატი ქენი — იარე; ტიტტი — ჯდომა; ტიტტი ქენი — დაჯექ; ფიფია; ფია — საჭმელი; ფაფუ — გაქრა, აღარ არის; ფუფალა — ღმერთი; ჩიჩია — ხორცი; ჭულუ — ფსელი; ჭულუ ქენი — მოფსი. 556

ლომხა, წყველუ

დაგლოცოს პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა,
ქვა-ქვაზე აშენებულმა ქალაქმა სიონისამა,
წვიმამ ყანა მოგიყვანოს, მოსულმა შავი ზღვისამა. 557

დაგლოცა პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა,
აშენებულმა ქალაქში იმ დიდმა სიონის მაღლმა,
ცხეთისა ჯვარი გწყალობდეს, გაღმომცქერელი მტკვრისაგან. 558

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს აღმასის დერეფანები,
ვერცხლის დედაბოძი ედგას, ზედ ოქროს გასაყარები,
ასი-ორასი საპანე სუ ზურმუხტი და ლალები.
ისიც შენ მოგცეს უფალმა, შენ მტერს დაუდგეს თვალები,
დაგებას ბედაურები, დაგეკრას ოქროს ნალები. 559.

გუშინ მე ქური ვიყიდე ათიანი და რვიანი,
ღმერთმა ნუ გამაგონოს თქვენი მარცხი და ზიანი. 560

მეფეო ღმერთმა შენ მოგცა ბედი და ბედნიერობა,
ზეთით მასული გვირგვინი შენ დაგეხუროს თავზედა. 561

ელა მელა, სამოთხელა, თხის კომბალა, ყავარჯენა,
დათვი კლდესა ჩვენ მახესა, ჩვენი სული სამოთხესა. 562

ზევით ღმერთი გწყალობდეს, ქვეით წმინდა გიორგი. 563

(დალოცვა მათხოვრისა)

ჯანსაღათ გატაროს წმინდა გიორგიმ,
კარგათ გამყოფოს წმინდა სამების მადლმა,
შენი მარჯვენა დალოცა წმინდა გიორგიმ.
შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა,
მუდამ ზაფხულს კარგათ გატაროს.
იცოცხლოს ვისიცაა (ყმაწვილზე).
შეგეწიოს უფალი.
შენი სახელის ჭირიმე, დაგასწროს ყოვე ზაფხულს. 564

ღმერთ დიდება, თქვენ მშვიდობა! 565

დიდება ღმერთსა, კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, სტუმარ-მასპინძელსა. 566

დიდება ღმერთსა, ყანწი ვიგდოთ ხელსა,
ხელი მაგრათ მოუჭირე, ხელში არ გაგიშპესა.
ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს, დედოფალო შენცა,
შენ რომ ქალი მოგყოლია, გვითავაზე ჩვენცა! 567

დიდება ღმერთსა, ღვინოს დავლევთ ბევრსა,
ერსა, ბერსა, სტუმარ-მასპინძელსა,
ბებრებ მიე ცხონება, გახარება ქალებსა,
მოლოზნები მგლებსა, ბერები ეშმაკებსა,
შენდობა, მამაო, დარბაისელნო გაგიმარჯოთ! 568

ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში ღვინოსა და სადილობასა,
ქალების გასტუმრებასა, ვაჟების ქორწილობასა,
ამისთანა კეთილ საქმეს, სარჩოთი გამხვინებსა. 569

ღმერთო აცოცხლე ისა, ვისიც გული გულთან იყოს,
უყვარდეს და აქ არ იყოს. 570

დაილოცა გაზაფხული, გაიშლება ტყე და ველი,
მშვიდობით მოგაჭმევინოთ ჯერ კალო და მერმე რთველი. 571

(მეჯვარის დალოცვა)

მეფე ილოცება,
ღვთის პირით დაილოცება,
დიდება ღმერთსა,
ამოწყვეტა ლეკთა,
ჟამი ხორასნელთა,
მათი ჯარი, ბელადები
გარდაცვიდეს კლდესა,
ავი კაცი და მოქმედი
დაილუპნენ ბნელთა,

ამხანაგის მოღალატე
მიეცეს დიდ სენტა,
ღმერთო შენი გამარჯვება
მიეც თავადელთა,
ქართლ-კახეთის აზნაურთა
აძლევინე მტერთა,
ჭირნახულის მოსავალი
მოუმატე გლებთა.
ეჯიფე¹⁾, მეფეს გაუმარჯოს. 572

(ხუპარა მეჯვარის დალოცვა)

მეფე ილოცება,
ღვთის პირით დაილოცება,
ღმერთო, ნუ გამოგვიღვე:
მალლა ჩალას ჩიტებსა,
ქორჩიანსა ბიჭებსა,

კიდობანში კუტებსა,
ქვეშაგებში . . . სა,
ბიჭსა ჭ . . . სა,
გოგოსა ტ . . . სა,
ჩვენ ნეფიონს გაუმარჯოს! 573

¹⁾ მაყარი, რომელიც მეფეს გვერდით უხის (შვად. აღ. მირიანაშვილი, „მოამბე“, 1903 წ. № IV, გვ. 11).

(ზღაპრების ბათავებისას)

მთას ურემი ავიტანე, ბარს ჩავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით, საიქიოს ცხონებითა. 574

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელს ჯვარი გწერიათ ყველასა. 575.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა! 576

ეკალსა კურმუხოსა ყვაფი ხესა ნადირობსა,
კურდღელსა შეშა მოჰქონდა ასი ურემი, ყურიტა,
ყურითა ჰყრიდა ხიმესა. თქვენ — დიდი ბატონი,
მე — პატარა შინაყმა, თქვენ ძილი და მოსვენება,
მე ზღაპრისა მოხსენება. 577

*

(ძილის წინ)

დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავქვეშა დამესვენება,
მამა მაცვია, ძე მარტყია და სული წმინდა მმოსია,
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაკლებს მაცდური,
მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი. 578

ჯვარი გწამდეს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი,
ვერას მაცდენს მაცდური, მწყალობს წმინდა გიორგი. 579

ისუსინე — ქრისტუსინე,
ხე შავი და ქარვანი,
მოდრი, ძილო, დავიძინოთ,
სული წმინდა დავისვენოთ,
მამანევი, მაკარევი,
მადლი მოილო ძლიერი,
შიგ ერუსალიმს შევიდა,
ვითარ ეშმაკი ძლიერი,
პირში ლაგამი ამოჰდო,
გაარონია მშიერი.

ოთხო თაო სახარებაე,
მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე,
ამ შთაზე სიონისა
ვიტყვი აღსარებასა.
ეშმაკო, ჩამომეცალე,
არა ვარ შენსა ნებასა.
მე ქრისტესი ვარ,
ქრისტე ჩემია,
ქრისტეს ბეჭდითა
შაჭედილი ვარ.

იოანე ლამისაო,
 რაც შენ წასულხარ,
 მე მძინავს,
 ქრისტე მფარავს,
 სული წმინდა მალვიძებს.
 ჯვარს დავიწერ ჯვარისასა
 სამებისა ძალისასა,
 მოსეს კვერთხითა,
 სოლომონის ბეჭდითა.
 მოსულ არიან წმინდანი,

ეხვეწებიან, ელადებიან:
 დედავ მარიამ, ღვთისმშობელო,
 მოვევ კლიტე ბეჭედი,
 შევკრათ, შევბეჭდოთ
 ეშმაკის ხელი და ფეხი,
 ჩავადლოთ ზღვაში,
 ნუ აუშვებთ ჟამში.
 ღმერთო, შენ დაგვწერე
 შენი წყალობის ჯვარი! 580

ღმერთო, ერთობრივ მიცნისარ, არ დამიგდისარ გონებავ,
 მიხსენ ეშმაკის ხელიდგან, მამეც კჳუა და გონება. 581

*

მინდორში ბატის ფეხია, კისერიც შოგიტეხია. 582

სახლში მშობიარე გყვანდესო, კარზე მევალე გადგესო,
 კიდობანში პური არა გქონდესო, სახლი გიწვეთოდესო. 583

ფლავსა ¹⁾ ერთსა პატარძალსა ფაფა ვაეკეთებინა,
 ფიალები და თეფშები სულ ერთიან დაემალა;
 ის კი ველარ დავუწყევლე, ხელში ეჭირა პატარა,
 ათაშანგი შეეყაროს, რო ველარ დაწვეს ქმართანა. 584

მენახოს შენი სასახლე ორპირ ნაგები ჩალითა,
 მოგკიდებოდეს გარ ცეცხლი, მეყურებინოს თვალითა. 585

გერგეტელს ნახირი, ტურფად ჩამოჭრეხილო ²⁾,
 სულამც ისრი გაუწყდება, ვერ მოასწრან მახვილი. 586

¹⁾ სოფლის სახელი.

²⁾ შეჭრელბული.

მქსაროშმთებო, ანებლოშმებო, წარწერიებო

(მეფე ერეკლემ უთხრა მგზავრს, რომელსაც ქალი მოჰყავდა; მეფეს თან ჰყავდა დედოფალი)

აქ მოველ ყარაიას, ვიშენებ სარაიას,
 ეგ შენი ქალი დამითმე, ჩავაცმევ დარაიას,
 მგზავრმა უპასუხა:
 არც მოვსულვარ ყარაიას, არც ვაშენებ სარაიას,
 ქალი ქალში გამიცვალე, რას ვაქნევთ ჩვენ დარაიას. 587

*

(ერეკლე მეფე კახეთიდან მოდიოდა. საგარეჯოში შეჩერდა. ჩვეულებისამებრ თავს იპარსავდა. უბრძანა იქვე ერთ კაცს ზმა მიიხარო. მანაც უთხრა:)

ერთი საკვირველი ვნახე, — იხვი მიაქვს მალლა ქორსა,
 ერთი კაცი ხარს წყალს ასმევს, ურქოსა და უჩლიქოსა,
 ერთი კაცი პერანგს იცვამს უსაყელო უჩაქოსა,
 ერთი კაცი თავს იპარსავს, არის სამოცი წლის ქოსა. 588

*

წარწერა მებთხის საყდრის კედელზე

მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერს წაჭრთო ძალადო,
 აიღო ჯვარი ქრისტესი, წინ მიიმძღურა ფარადო,
 დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქტს საყდრის კარადო,
 ღვთის მოყვარეს კელმწიფესა ასე სჭირს ამას გვარადო. 589

*

(ილია აფხაზის თქმით, „სვანეთის სამთავროში ციოყ დადეშკელიანის სახლში არის დღემდე თამარის ბეჭედი, რომელსაც აწერია“:

ღვთის მშობელს ვესავ მისი ამარი
 და ძესა მისსა ჰმონებს თამარი. 590

*

(მეფე თეიმურაზს შუამთასთან აღდგომა
დღეს ქალი შემოხვდა. მეფემ ლექსით
მიმართა და ქალმაც ლექსით უპასუხა)

ქალ, შემამხედე, ღვთის მადლსა, ხელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა მე გული გამიხალვათა.

— რას მიმზერ, ჩემო ბატონო, ხელთ რომ მიჭირავს კალათა,
აღდგომას დღეს ვის უნახავს ხელმწიფე მაწანწალათა. 591

*

(თეიმურაზის ლექსი)

ულუმბის მთასა გაღმოვდეგ ჩემ საიმედოდ გულისს,
დავხედე ქართლის ქვეყანას ღვთისაგან კურთხეულისა,
დავაგდე ქაჯთა ქვეყანა ტალახით გამბასრულისა,
ვინც იყოს მათი მოყვარე, იყოს მაჰმადის რჯულისა. 592

*

(დავით მეფის ნათქვამი)

დროსა შავესწარ ასეთსა, გულს ცეცხლი გამიაღერსა,
ყვინჭილად ხდიან აღმასსა, ბრილიანტსა და ლაღებსა,
მურასით სჭედენ ფირებსა, დააკვრენ ოქროს ნაღებსა,
ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ სცემენ, ვინ შეიბრალებსა. 593

*

(დავით რექტორის ნათქვამი ანტონ კა-
თალიკოსის დამბეზღებელი მღვდლის
გაბაშვილის შესახებ)

გაბაანთგან გამობრწყინდა ახლად ჟამად ანტეკრისტე,
შე დაწყევლილო ეშმაკო, ეს რა გამოგვიქოპიტე,
ჯოჯოხეთი აღუშენე, ხელთა მიე მისი კლიტე,
ამ საფრთხისაგან დაგვიხსენ, უფალო იესო ქრისტე! 595

*

(სვიმონ მაჩაბელს, რომელიც ლაყაფი
ენის პატრონი იყო, ეს ლექსი დაუწერია
დადიანისგან გაგზავნილ საღვთისმეტყვე-
ლო წიგნზე. დადიანი ავადმყოფი ყოფი-
ლა, შარიმი [ბუშტუი ქვა] ჰქონებია)

ღვთის განგებას რათ იძიებ, ვერ მიხვდები, რად არ იცი,
იმ ქვეყნისას რას გაიგებ, სწორედ მოესმაც რომ არ იცი. 596

*

(მამია გურიელის სიჭვდილის შემდეგ
შეიჯიბრენ ძმები, ვახტანგი და ჯაბა, რით
გეჯობდა მამია, განა ჩვენ კი არ შეგვიძ-
ლია ლექსით. და დაიწყეს:)

ვახტ.: ოზურგიდამ მოდიოდა ვახტანგი და მის ძმა ჯაბა.

ჯაბა.: წინ შემოხვდა ერთი გოგო, ლამაზი და შავთვალწარბა.

(მაგრამ გაჩერდნენ, გაგრძელება ვერ შესძლეს, ბიჭმა მოასწოო:)

ესიკა.: საწყალი იესიკა გადაჰკრა და დიეწათა. 597

*

(მასპროგთები თუთუნზე)

მოღანახეს რომ მიადგა ეს ბატონი მაიორი,
ზარბაზნები გამოადგეს, დილა იყო ალიონი,
წვერებში გენაცვალები, თუ მათხოვო ყალიონი. 598

მის კეთილშობილებას ბატონს ბუჭუა ლოროტქიფანეს,
ახოვნებით მოხდენილს, ჭკუიანსა და ბრძენს,
ღირსი კაცის მოყვარეს, ეშმაკისა მტერს:

თუთუნს გიქებენ, ბატონო, მოსქოსა და ძნელს.
შე თუთუნის ქება მესმის, მისმა ჯავრმა გადამრია,
დღე და ღამე მომინდება, აღარა მაქვს ამანია,
საიხთა გაქვს შენახული, ვერ შევიტყვე მართალია,
უსათუოდ მოვიპარავ, კლიტეს თუ არ აბარია. 599

შენი სახელი არ ვიცი, გოგია თუ ამბაქო,
თორმეტი ფუთი მარილი ჩემი ზურგითა მომაქო,
თუ ესეც გამომელია, ერთი ბათმანი სხვა მაქო!
ვენაცვალე ულვაშებში, დამალევიე თამბაქო! 600

პეტრეს ბურნუთის ქებაო ერანში გავარდებაო. 601

5. სავსკოვანა

შისხმა

თავით ფეხამდინ შეგამკობ შენ, ქალო, ამბარისებრო:
თავო, თმანო, მუხათ ნაზარდნო, სიშავით ყორნის თმისებრო,
შუბლო, ვერცხლისა ფიცარო, გათლილო ხუროისებრო,
ყურო, ირიბათ ნაზარდო, სიონის საყდარისებრო,
თვალო, წარბო და წამწამო, გველესაპისა ფხისებრო,
თვალი გიყრია გიშრისა, ზღვაშია მორევისებრო,
ცხვირო, სვეტებრ ჩამოსხმულო, ბაგენო ბალახისებრო,
აქეთ-იქითა ლოყებო, მინდვრისა ყაყაჩოსებრო,
ღვიძლო, ტურფათ მოწყობილო, კბილო მარგალიტისებრო,
პირში რო ენა გიგორავს, ზღვაშია კალმახისებრო,
ტუჩებო, ხახვის ფურცელო, სიწმინდით ქალღღისებრო,
მას ქვეით თეთრო ნიკაპო, სურვილი ამოგიკნაფო,
ყელო წვრილო და მაღალო, ზღვის პირსა აღვის ხისებრო,
წელო, მზარო და მენჯანნო, ჩაწყობილ ამბარისებრო,
მკლავნო, მაჯანო, გავანო, ჩაწყობილ ამბარისებრო,
ხელო და ხელის ლანჩანო, თითებო ლერწამისებრო,
გულო და გულის ფიცარო, გათლილო ხუროისებრო,
ზედ ძუძუები გიგორავს, ვერცხლისა კუტალისებრო,
წელო წვრილო და მაღალო, ზღვის პირსა აღვის ხისებრო,
მას ქვევით სიღბო მუცელო, სითეთრით ქალღღისებრო,
ზედაც რო ჭიპი გიგორავს, ცაშია ვარსკვლავისებრო,
შიგ რო წელები გიწყვია, ჩონგურის ალყებისებრო,
მას ქვემოთ...

აქეთ-იქითგან...

ჩოქ-ჩოქით მოღის მლოცავი, კარგისა მონასტრისებრო,
წამოდგე...

ფეხო და ფეხის ლანჩანო, თითებო მათრახისებრო. 602

*

ქალო ისებრო, ისებრო, ზღვის პირის ლერწამისებრო,
თმანო სიმდიდრით ბურღანო, სიშავით ყორანისებრო,
ყურო, უკულმა ნახვრეტო, იოთამ საკმელისებრო,

შუბლო და შუბლის ფიცარო, გათლილო ხუროისებრო,
 მასხედა წარბო აყრილო, ხელმწიფის ალყაითებრო,
 მასხედა თვალი გიდგია, მინდვრისა მაყვალისებრო,
 სუფთათ გაქვს ცხვირი ჩასმული, [სვეტურებ] ყუმყუმისებრო,
 აქეთ-იქითა ლოყებო, მინდვრისა ყაყაჩოსებრო,
 მას შიგან ენა გიდგია, ზღვას შიგან კალმახისებრო,
 მის ქვეითგან ნიკაპო, სული ამოგიკნაპო,
 გულო და გულის ფიცარო, ხელმწიფის შეიდნისებრო,
 მუცელო, სილბო შინა გაქვს, სითეთრითა ბამბისებრო,
 მას შიგან კუჭი გიგორავს, ცაშია ვარსკვლავისებრო,
 მას ქვემოთ ერთო ადგილო, სამყოფლად საცხოვრებელო,
 აქეთ-იქითგან ბოსტანო...
 მას შიგან წყარო გამოდის, სასმელათ ბადაგისებრო. 603

შენ რომ წიგნი მოგეწერა

შენ რომ წიგნი მოგეწერა, რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა...
 დაეწერა ბროლის თითსა, მარგალიტი ბაგე ტკბილსა,
 ზედ რო თვალსა დაეხედა, უშურველათ მოწყობილსა.
 წასაკითხათ მომივიდა, ბალში ვიჯექ ალვის ძირსა,
 გავშალე და წავიკითხე, ვაკოცე და დავდე ძირსა.
 უიმე, ხარ უცხო თემსა, შენ ვინ გნახამს აქ მოსულსა?
 თუმცა გულით არ გიყვარდე, ღმერთი ამომართმევს სულსა.
 ამა წიგნსა შენეულსა ვაკოცებ და მოვსჯამ ჭირსა,
 უბეშია დებისაგან ესე გავხდი, ვითა ჩირსა,
 სუფრაზედან წინ დავიდებ, არ ვაღირსებ თვალთა ძილსა.
 ამის მეტს ქებას რას გეტყვი, ჩემი თავიც მოგჭამს ჭირსა. 604

სულიკო

სულიკო, შენი ჭირიმე, ვკვტები მეცა,
 რა შენ მოგშორდი, მას აქეთ სულისა კუბო მეცა.
 ველარ ვიხილე, საჩემოთ ჩემთვის დაბნელდა ზეცა..

ერთხელ გიპოვნე სიზმარში, ვთქვი: „ღმერთი გამომეცხადა“.
 ძნელი ყოფილა სიზორე, ნეტავ არ გამომეცადა.
 ბატონო ჩემო, მოგიკვტი გულგახეთქილი მტირალი!
 ავდგები აცეტებული, დავჯდები დამწუხრებული!
 სახ, თქვენის სიყვარულითა სული აგერ ამომხთება,
 თავს მატკენს და გულს მიწუხებს, გარე ცეცხლი მომენტება
 და ამდენის უშენობით არც წამალი წამადგება.
 მჯავრის კარავი მიდგია, სელის კარები მიბია,
 ცეცხლის პერანგი მაცვია და ნაფთის ღილი მიბია
 და ამდენის უშენობით ან სული რავამიდგია!
 დღისით ვერ გამევიპარვი, ღამე წვიმით და თვარითა.
 მოვალ და შენ წინ მოვკვტები, აგავსებ ცოდვა-ბრალითა,
 ტირილსა დაგაწყებებ მაგ შევარდენის თვალითა!
 ჩაღდაყსა ჩამოვიარე, დაგხედე მწოლიარესა,
 ვარდსა გამგზავსე გაშლილსა და ბროლსა მოელვარესა.
 ნეტამცა შენსა პატრონსა, შენ განახავს მწოლიარესა! 605

მე ვპოვე ქალი

მე ვპოვე ქალი,
 ალვის ხის ტანი,
 პირათა ლალი,
 სამდომობით მთვრალი.
 ველარსად ვპოვე
 შენ მჯობი ქალი,
 მისთვის შევიქენ
 მე შენი ქმარი.
 რაიც შენ მოგხვდი,
 გავლიე გზანი,
 შენ რა გაწუხებს?
 მე დავრჩი ბრალი.
 მოგსხლიტე თვალი,
 თავს მეცა ქარი,
 გულზე დამესო
 სიკვდილის კვალდ.

შური გვიძიეს
 ჩვენ ჩვენმა მტრებმა,
 საქმე მომართეს
 მეტად ძნელია.
 ჩემზე შეიქნენ
 სისხლის მსმელია,
 მათ მათი დანით
 გამჭრეს ყელია,
 მისთვის გვაგინეს
 ასე ბევრია,
 უბედურება
 უნდათ ჩვენია.
 ცოდნით სავსე ხარ,
 კკუა გაქ ბრძენი,
 ესენი ყველა
 მართალიც ვცანი.

პირი მზეს გიგავს,
თვალნი ვარსკვლავსა,
შუბლის სითეთრეს
შენ გნატრის ბევრი.
წელი წვრილი გაქ,
გულ-კერდი ბტყელი,

ვინ გაგინებდა
ის სულის მტერი!
მომწერე რამე,
ჩემო სიცოცხლე,
ვეჭვ, აღარ მახლოს
სიკვდილმა ხელი. 606

ბ ბ რ ბ ტ ი

ცეცხლი შენი, მწველი ჩემი, მეგონა თუ შენცა გწვიდა,
სიკვტილზე ვარ მიწვენილი და სიცოცხლე გაშიწობილდა!
ტყულათ მარჩობს შენი მჯავრი, არ გაქვს ჩემზედ გული წმინდა,
კვლავ თუჯრას მიქ, ის მიბრძანე, რომ მოვკტები, — რალათ მინდა!
გაქებ შუდამ მარად შენ, სიტყვას მისმენ აროდეს,
რა მადლია დაბნედილს შენგან დღენი მწაროდეს,
ჩემი ამდონი წვალება კაი აწი კმაროდეს,
ღმერთმა კითხოს, ჩემს გარდა სხვაი თუ გეხაროდეს!
მე რომ გულით შეგეხვეწე, შენ ყური რათ მომარიდე?
ან რა ცეცხლად შეგეყარე, ან რა ჭირს გადაგეკიდე!
ერთი ცახე სიყვარული ან მასესხე, ან მომყიდე,
თვარა ჭკუა შემეშლება, თუ ღმერთი გწამს, დამერიდე!
ამის ნაცვალი პასუხი მომწერე, რომ არ შეოცოს,
გრძნობაც იმგვარად დამიტკბოს, ზედ გულის ჭკუნვა წახოცოს,
იმედი მოეც საწყალ გულს, ღირსი მქმენ ხელზე გაკოცოს,
თორემ ღმერთსა ვსთხოვ, მეც მამკლას და შენ გვარობით
დაგხოცოს! 607

ვახ, რა უყო გულსა ჩემსა, შენგან დამწვარ-დადაგულსა,
უშენობამ შემაწუხა, მოგახსენებ მე დასტურსა,
ერთს ალაგას რომ დავჯდები, შემომივა სევდა გულსა,
შენ თუ ახლა წმინდათ მყავხარ, მირჩევნიხარ ათას სულსა.
სითეთრე ქალაღდს მიგიგავს, თოვლი არ დაგეცილებდა,
ვაი, ნეტავი იმ კაცსა, შენთან რომ დეეძინება,
დილას ადგება, დაგხედავს, გილშიაც ჩეიცილება.

ტრედო, ლულუნო, ლამაზო, ჩემო ტკბილო და შაქარო,
 ოდაში რომ პირს დეიბან, გამოხვალ მზესა გავხარო,
 ერთი შენთან დამაწვინა, მომკლა და აღარ მარჩინა!
 მეტი სიცოცხლე რათ მინდა, მაცოცხლებს შენი თვალები,
 მე რომ შენი ჯავრით ვკვდები, იცოდე შეგებრალევი,
 ერთი წიგნი შენც მომწერე, კისერში გენაცვალევი! 608

სა წმინდა გაღარმეზულო

ცა წმინდა გაღარმეზულო, მზევ, დაფენილო დილისო,
 შენ ჩემო დილო იმედო, კოშკო ნაგებო კირისო!
 უკვდავებისა წყარონო, მოდიხართ ოქროს მილითო,
 შენთანამც წოლით გამაძლო შვიდი დღე-ღამე ძილითო!
 რად არ მიბარებ ცისკარსა, დილა მა ამომდინარსა?
 შვიდსავე გავატარებდი შვიდი დღე-ღამე სავალსა.
 კეთილის გულითა დავხვდეთ ჩემით-შენ შუა მავალსა,
 ნამეტნავათა იმასა, ვისაც ვერ ვამჩნევთ ღალატსა. 609

ვერცხლისამც თასად მაქცია

ვერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგვესობოდი,
 დაფერილი მქნა წითლადაც, შამსვემდი, შაგერგებოდი,
 ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო კელზე ჩაგედებოდი,
 ან შენის ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი,
 ანა მქნა ვარდი-ყოილი, ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,
 ან ვიყო მოვის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი,
 ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,
 ანამც ძმა ვიყო მოწილე, ცოცხალს არ გაგეყრებოდი! 610

ერთჯერ მიხილი, ბატონო

ერთჯერ მიხილი, ბატონო, მომწონდა პირი სახეო,
 ვარდის მგზავსად მომეჩვენე, გადაწმენდილო მთვარეო,
 ჩემი სული შენთან რჩება, გეძებე, ვერსად გნახეო.
 ერთი წიგნი შენც მომწერე, ან მაგინე, ან მაქეო,
 ვიწვი უცეცხლოთ, იცოდე, მადლიზა ერთი მნახეო,
 ღმერთო, იგი მომასწარი, რომ ჩავიტკბილო ბაგეო,
 ბნელსა ღამეს გაანათებს, ბატონო, შენი სახეო.
 ისე ღამაში ბძანდები, არ გინდა ღამით სანათი,
 ერთი შენის ნახვისათვის ხომ არ მშურს ასი მანათი,
 ღამე ძილიც ხომ არა მაქ და საკმელიც ხომ არ მინდა,
 შენი ქება მე რო მითხრეს, ჩემი გული დაიბნინდა,
 შენი ჯავრით მე რომ მოვკვტე, ჩემი ცოდო შენ რათ გინდა? 611

სხვადასხვა

მინდვრიდამ მოხვალ, შენ ქალო, ამომავლი მზე ხარო,
 ნეტავი იმის დედასა, ვისიც მკლავზედაც წევხარო. 612

შენც ღამაში, მეც ღამაში, ორთავ გვინდა ხარებაო,
 ვინც ერთმანეთს დაგვაშოროს, ნუ ეღირსოს ცხონებაო,
 საიქიოს გარსჯა მისცეს, სააქაოს ცხელებაო. 613

ანგელოზის შინაბარო, ვინ არი შენი ყადარი,
 თვალწარბი გადაგხატვია, როგორც სიონის საყდარი. 614

ქალო, მიყვარს შენი ევა, გადმოღვები ბანზედა,
 შემოგხედამ, მე დავდნები, ვით ყინული ქვაზედა. 615

შენ, ღამაზო, მოვიხდება ერდო-ბანზე სიარული,
 ტანჩაცმა და თავდახურვა, თეთრი პირი მხიარული. 616

ცასა და ქვეყანას შუა მზე ჩავა, მთვარე ამოვა,
 განა სულყველა შენა გგავს, — ათასში ერთი გამოვა. 617

ქალო, შენსა სიყვარულსა შემომითვალე რა უყო,
 ზურგთ ავიკიდო კოკებურ, რო ვედარ ვზიდო, რა უყო?
 დავერქუე დედამიწასა, ქვეშ ჭიანჭველათ ხმა უყო,
 არც მაშინ შეგებრალეები, თავს უარესი სხვა უყო?
 შენსამც კალთაში მოგკედები, შენის ხელით მასხა წყალი,
 ნეტავ არც მაშინ იტყოდნი, — ვისთვის მოკვდა ეს საწყალი? 618

ამა ბროლისა ნათალო, ვით იაგუნდი ლალები,
 დედავ, ამდონხანს უთქვენოთ რისთვის არ შეგებრალეები?
 ცოცხალი ასე მოგძულდი, კვდარი რათ შეგებრალეები!
 მოგკედები, გულ-ხელ დავიკრებ, შავ მიწას მივებარები.
 წიგნათა გამოხატულო, გონიერისა ხელითა,
 ვახსოვდეს, მამიგონებდე, შაქარო ტკბობის ენითა. 619

ნეტავი, ქალო, მე და შენ გვეთამაშოს ნარდი ორი,
 ხელი ხელთა გადაგვედოს, მივდიოდეთ ბალში ორი. 620

ნეტამცა რათმე მაქცია, თქვენს ვარდებს შემამაჩვია,
 დავკრიფო ვარდის კონები, ჩავყარო ოქროს წყალშია,
 მოვიდე და ჩამოყარო, საცა ბძანდები სახლშია. 621

ქალო, გაშლილ ვარდს გამგზავსე, ედემში მსხმოვიაჩესა,
 ნეტავი შენსა პატრონსა, შენს გვერთით მწოლიაჩესა. 622

ქალო, ეგ რა შეგიკერავს, შუბლი დაგიშვენებია,
 ჩემი გული შენ მოგიკლამს, სხვისი გავიხარებია! 623

ქალო, შენი სიყვარული ერთხელ გულში ჩამიგდია,
 ჭორი ბევრი გავიგონე, მაგრამ ყური არ მიგდა. 624

რა გენადვლება, იქროლოს ზენა ქარმა და ქვენამა,
 ეგება ერთად შეგვყაროს ჩვენმა ბედმა და წერამა. 625

ქალო, პირმარწყვ-მარგალიტო, შემიძლია, საცა ვიყო,
 შინდორივით ავაყვავებ, რაგინდ ძლიერ გლახა ვიყო! 626

ახალ-ახალ ტანადობრივ ბულბულს მიგიგავს ენა,
გაგიბრჭყინამს პირის სახე, ტანდახატული ხარ შენა. 627

როდის იქნება გათენდეს, გამოსულიყო კარზედა,
ინით ნალებსა თითებსა ათამაშებდე ნამშედა! 628

აგერ მალა გორაზედა ხოხობი და მელიაო,
გამეყარე და მომშორდი, მომეკიდა გენიაო. 629

ბულბული ბუდობს ვარდზედა, გარს ახვევია თხილები,
გაყრისა ცეცხლი მამედვა, უფრო და უფრო ხშირები. 630

გადამაგდე და გამტყორცნე, როგორც ჩერქეზმა ისარი,
შენ ჩემ გულს ველარ მოიგებ, ჩემი სათქმელი ის არი. 631

მარგალიტისა კოკასა წყალს ჩავაყენებ ცოტასა,
დავლევ და დაგალევინებ, ზედ შემოგაყრი ცოდვასა! 632

ქალო, ნუ ხარ გულმაღალი, კაცის რჩევა გაბგონე!
დამაბერა შენმა ჯავრმა, მე მომაკლო ძალი-ლონე.
ჩემთვის კეთილს არას ამბობ, შორის კუთხით გევიგონე-
რათი იფიქრე ჩემი ბჭობა, სული ცოდვით ეიყროლე! 633

ატენის ხეობაზედა წყალი ჩამოდის ტანაო,
დედამ რომ შვილი გაზარდოს ემაგრე შენისთანაო. 634

დილას ადრე დაგინახე, ჯერ მზე არ ამოსულიყო,
შავხედე ციხის კარებსა, თინათინ გამოსულიყო! 635

მარიამობისთობისა თევზი ვიჭირე წყლობასა,
ქალო, მეტად ლამაზი ხარ, მე შენ ვერ გეტყვი ღობასა. 636

ქალო, ნეტავი შენი ხმა ავანტყოფს გამაგონა მე,
ლოგინი შენთან დამიგო, შენს ახლოს დამაგორა მე! 637

გაზაფხულისა პირზედა შაშვმა დაიწყო გალობა,
როგორც მე დამწვი დამდაგე, დაიწოს შენი ქალობა! 638

ქალო, უთხარ დედაშენსა, რას აპირებს მე და შენსა?
საპერანგეს შენ გიყიდი, სალეჩაქეს დედაშენსა. 639

ჩითის კაბა გეცვა, ბეჭში გაგეწყო,
შეგეკერა ყოშები, მხარზე გაგეწყო;
თეთრი ძუძუები უბეს ჩაგეწყო,
შენ თვალს მიშვრებოდი, მე ვერ შემეტყო!.. 640

ერთი რამ ხარ ძვირფასი, მით მომტაცე თვალი აგრე,
კეკლუცთა ნაზთა მჭვრეტელმან გული ველარ დავიმაგრე.
საუბრითა მანუგეშე და მით სული დამიმაგრე! 641

ოდეს ვენახი აყვავდა, ორკოთეს¹⁾ ბუდეშურები,
საგდალი გამომიცხვია თეთრი ვაკალა პურები,
გოგო, ერთი მაკოცნინე, ბატონთან მივეშურები! 642.

ატენის ტყეობაზედა წყალი ჩამოდის ხართული,
ნეტავი, გოგო, ჩამაცვა პერანგი შენი დართული! 643

ერთი მზეა სანატრელი, ერთი ვინც რომ მიყვარისა:
ტანადია, თვალადია, მთვარეა თხუთმეტი დღისა! 644

საყვარელო, ჩემო მკვლელო, ჩემო კარის მეზობელო,
შენ რომ ცეცხლი მომიკიდე, რა ვქნა, როგორ გავინელო? 645.

საყვარელო, სანატრელო, ჩემო საყვარელო ნინო,
მინდა გაქო და გადიდო, ეგებ ცოტა შამიბრალო.
მშვენიერობით სავსე ხარ, იაგუნდ-ალმასისნარო,
შენი ცალი არ გამოვა, ამ ქვეყნიერობის თვალო! 646.

ნეტავი შენსა დედასა, შენ გაუზდიხარ შვილათა,
არც გინდა პირის დაბანა, არც წარბის ღება ხშირათა! 647

ობოლი მარგალიტი ხარ, ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი,
თუ გძულვარ, თავსა მოვიკლამ, შემომითვალე მართალი. 648.

1) სოფლის სახელი.

შამოგხედამ, ლერწამ გეხარ, წარბი წვრილი აგეყარა,
ცხრა ნაწნავი გიშრის თმანი მხარ-ბეჭებზედ დაგეყარა. 649

ბულბული ვარდზე შემოჯდა, ენით ამბობს გალობასა,
მოირთე და მოიკმაზე, ნუ მოიშლი ქალობასა! 650

მშვენიერო მაისო, თვალი სევდით აივსო!
რაც რომ გნახე, მიჯნურო, გული სევდით აივსო! 651

შთვარევ ნათელო, მაღალო, იალბუზისა მთისაო,
სილამაზე და სიტურფე, სიბრწყინვალე გაქ მზისაო.
შუქი აშვენებს ქვეყანას მაგ ბქვენი თვალ-წარბისაო,
ვისაც თქვენ ყავხართ, მასა აქ წყალობა მაღლის ღვთისაო. 652

აწყვრისა ღელეს შემოვჰყევ ყინულის პირობაზეო,
გოგოვ შენ რომ სიტყვა გითხარ, როგორ ხარ პირობაზეო? 653

სიცოცხლესაც [შემოგწირავ!], ნუ შეიცვლი ჩემზედ გულსა,
ნუ გამიშვებ, ნურსად წახვალ, ნუ აიღებ ჩემზედ ხელსა;
იმედი მაქვს, არ გამაგდებ მე უწყალო შარა გზასა. 654

წვერზედ მიბმული ვაშლი ძირსა ჩამოგივარდება,
ჩემზე უკეთეს მიჯნური კლდეზედამც გადგივარდება! 655

ამა მინდორში ბევრია, იხვი, მტრედი და რიდონი;
ხმელეთში გამოგარჩიე, საუკეთესოთ მინდოდი,
მიყვარდი, ჩემი მეგონე, მზესა შენზედა ვსახამდი.
შამიძულე და განმაგდე, ნეტარ მიზეზი რისანი?
სულო, შენ ასე დამკარგე, ვით რომ ქედანი რისანი. 656

ქალო კრულო, გეხვეწები: წელიწადი გამოსულა,
ხეს ფურცელი გასცვივნია, ხელმეორედ გამოსულა. 657

გენაცვალე, ნუ გამიშვებ, სიყვარული ძნელია;
ნუ აჰყვები სხვისა ხმასა, ყველა ჩვენი მტერია. 658

1) სიტყვა ჰკლია.

არხალუხი შემოკერავს ახლო-ახლო ლიანდაგად,
გაისწორე გული ჩემზედ, ნუ მატირებ ნიადაგად! 659

შარშან გითხარ სამი სიტყვა, წლელ სამი, — გახდა ექვსი,
მე ვერა შეგასმინე რა, ვერც შაირი, ვერცა ლექსი! 660

მთას თივა მომითიბია, წაშხდარა უდარობითა,
წელი და ზურგი გადამწყდა მაგ შენის მუდარობითა. 661

ქალ, შენის მოლოდინითა თოლს ძილი მოსდის აღარა,
თმა გამითეთრდა და გული ნაღელ ტიალამ დაღარა. 662

ყველა მხარე დამივლია, ქართლი შამიჯერებია,
არ მინახავ შენითანა, ყელიც მოგიღერებია,
წამწამსა და წამწამ შუა ბაღნი აგიშენებია,
შიგ სურვილი გითესია, კაცი მოგიყენებია,
კაცის მოყენებისათვის მადლი მოგიხსენებია. 663

მონდორში არის ერთი ქვა, გარდასაგდები სად არი?
ბევრსა ჰკლამს ბევრის სურვილი, მაგრამ გამგები სად არი? 664

სურვილისა ვაშლი მედგა, შევდგი ფეხი შევხარე,
შე რო თვალით დაგინახე, ღმერთსა სული შევეყარე. 665

ზღვაში კურდღელი შეცურდა, თან მელა შეჰყვა ტივითა,
გოგო, შენი სიყვარული მაბრუნებს ხარატივითა! 666

არ ვიცი თუ რომელი ხარ, თურქი ხარ, თუ არაბი ხარ,
შენ უჩემოთ როგორა სძლებ, თუ ჯინჯილით არ აბიხარ. 667

შენ ქალო, ამპარტავანო, რომელიც [მთვარის¹⁾] პირი ხარ,
უკვდავების წამალი გაქვს, და არ მასმევ, — ძვირი ხარ. 668

ქალო, შენმა სიყვარულმა მალლა ხიდგან გადმომავდო,
არც მასვა და არც მაჭამა, მშიერ-მწყურვალი დამავდო. 669

¹⁾ დედანში აქ სიტყვა გაურჩეველია.

დაბნეულს ფეტვის მარცვალსა რა აჰკრეფს წიწილის მეტი?
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტი? 670

წამოდი, ქალო, წავიდეთ, დავსხდეთ მაღალსა სერსაო,
ვინც შემოგვხედოს, გაჰკვირდეს მე და შენ სიტურფესაო. 671

საყვარელო, შენისთანა ხელს გიჭირავს სევდის დანა,
ან მომკალ, ან წამიყვანე, ან მიშოგნე შენისთანა! 672

მუხურის ციხე მაღალო, სანიავო და საქარო,
გულით მიყვარხარ ზაფხულო, ფეხის მომწველო ზამთარო.
შენ ჩემი ცოდვით წაწყდები, რომ სიყვარული დაფარო. 673

ჟუცხო თემს ქალი ლამაზი ნახე რა მზისა სახეა,
მაღალს ასულს საროსა ჰგავს, ფურცელ მოისხამს რა ხეა,
ეგ შენი შავი თვალ-წარბი ამ ჩემი გულის მახეა.
არ გამამიშო სოფელმა, ვაი რა გვიან გნახეა! 674

სულო, გულო, გონებაო, თავი დაგიშვენებია,
თეთრ ყირმიზად ლაწვი გადგა, შუქი დაგიყენებია. 675

გულო აღარ მინახვიხარ, სულო დიდი ხანებია,
ტუჩო როდის მოვიკოცნო ეგ სამოთხე თვალებია? 676

ჩერქეზს გათლილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
უკვდავებისა წყარო ხარ, მოზდიხარ ოქროს მილითა. 677

იაგუნდი ვინ აგუნდა, ან გიშერი ვინ აგიშრა,
დრო ჩვენია, გავიხაროთ, ტყე და მინდორი აგვიშრა! 678

აგრე ტურფა რამ გაგზარდა, თუ არ ციდან ჩამოსული!
ლალი, მწყნარი, პირმცინარი, დილის მზე ხარ ამოსული. 679

ნეტავი, ქალო, მე და შენ ერთმანერთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეს, სასხლევეთ გადაგვმორაო. 680

ჰა, ქალო, ვაშლი წითელი, უბეს ნადები, ნასეტყვი,
ამალამ შენთან წამოვალ, გულის ქირიმე, რას მეტყვი? 681

ქალო, შენი მაშაია წყალს მიქონდა მდინარესა,
ხელი ჩავყავ, ამოვიღე, მოგიტანე მდინარესა. 682

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო,
ანთებულ სანთელს გამგზავსე, ცისკრის ლოცვაზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დავინახეო. 683

ნეტავ, ქალო, ფიფქი იყო, ხევ-ხევ ჩამოყვე ნიავსა,
არც არა შენ დაგიშავდეს, არც მე ჩამაგლო ზიანსა. 684

წყალ იქით არის ერთი ქვა, ავწიე და არ ამყვავო,
ქალო, შენი სიყვარული, საცა წაველ თან წამყვავო. 685

ქალო, გიხდება ქამარი, ვერცხლის ღილები წელზედა,
ისე მშვენივრათ დასდიხარ, ვით წყაროს წყალი ქვებზედა,
ლამაზო, შენ ამასა გთხოვ, ხელ ნუ აძლებ ჩემზედა,
სუ რო მუდამ დღე მე მწყევლო, შემოგებვევი ყელზედა. 686

ვედელს ვაშენებდი, ურიგებ ქვასა,
წელზედ შემოვირტყამ ჩემ ბრუნე ხმალსა,
გზაში ჩავიჯდები, მოგიკლამ ქმარსა,
ცრემლით აგიმსებ მაგ ჟუჟუნა თვალსა! 687

ქალო, შენსა დერეფანსა ბოძს შაუდვამ, არ წავაქცევ,
მე რო შენი ქმარი ვიცი, შაუბერო — გადავაქცევ. 688

იამა გ'შობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა, მას გევხარ სუნნელობითა! 689

ლამაზო, შენსა ხვევანას ღილი მამიწყდა პერანგსა,
გეპოვნოს, — გამამიგზავნე, მაგ შენი ძმების ლხენასა! 690

ორი კვირის მთვარეს ჰგებხარ, ცას რო ნისლი ეყარა.
ვერცხლის თასით ღვინოს სვამდი, შიგ შაქარი გეყარა,
ერთი აქეთ შამამხედე, შენი ჭირი შამეყარა! 691

იაგუნდის მარანში ღვინო დგას და ლალებრ ჭვირსა,
შიდ ამოსულხარ ალვის ხე, გადუყრი კაცს ნაღველ-ჭირსა,
ქარი გიჭრის საამურად, არხევ რტოებს, ფოთელ ხშირსა! 692

ქალო, გეგხარ ალვის ხესა, ბაღჩაშია ამოსულსა,
ტანი-მკლავი ლერწამს გიგავს, ზღვისა პირსა ამოსულსა,
ყელი გიგავს ბედაურსა, შეკმაზილსა არაბულსა.
დაბრუნდი, ჩემსკენ წამოდი, სუნი მოგივა ვარდისა.
თუ გულითაც არ მიყვარდე, ღმერთი ამომართმევს სულსა. 693

ტანა-წვრილათ აღზრდილო, ემგზავსები საროსა,
მშვენებით აღმსილი ხარ, არვინ არ გედაროსა,
სიყვარულითა მტანჯამ, ვბედამ გემუდაროსა,
მაშინ ქალსა რა მოხკლამს, რომ ქმართან იხაროსა! 694

ძვირფასო, ჯავარიანო, ხარ ბროლი — ვარდის ლალები;
თქვენი ქცევა და ზნეობა, მიხედვ-მოხედვა მალევი,
დღისით თქვენა გაქ მზეობა და ღამით მეტათ მთვარობა,
ან ვინ გადარო ამ ქვეყნად, ან ვინ თქვას თქვენი დარობა! 695

მიამბობდენ თქვენს ქებასა, სილამაზეს თვალისასა,
წავლასა და წამოვლასა, სილერწამეს ტანისასა,
პირს გიქებდენ მშვენიერსა და ყელ-გულსა ბროლისასა,
ასე ვკვდები, რომ ვერ გნახე, რას მიბრძანებ ამისასა? 696

ჩიტ-გვრიტივით დაფრინემდი, მე შროშანი მეგონაო,
სადაც რომ დაგინახემდი, ჩემი მზენი მეგონაო! 697

ბაღჩაში გადმოვიხედე: ტურფად გნახე მწოლიერე,
თავსა გედგა თეთრი ვაშლი, ფერხთა უფრო მსხმოვიერე.
ერთი კიდევ დამინახე, ნუ გამიშვი მგლოვიერე! 698

ამ ბაღჩას წითელი ვაშლი, გარშემო შავი ქლიავი,
შენგნით მოკლულსა ამ გულსა, წამოდევ, მეცეს ნიავი! 699

ავფრინდები შენთან მოვალ, შავარდენი შევიქნები,
შენ ბატონი მწყალობელი, მე შენი ყმა შევიქნები,
შენს ურიგოს გავიგონამ, ლუკმა-ლუკმა ავიქნები! 700

მიკვირს რასთვინ შემიყვარდი, ასრე რაიმ გამოგხატა,
ჩეშტი-მეშტი, კვანწიობა ლელწამს ტანზე დაგახატა,
საქციელი, გაზდილობა, არცერთი არ მოგემჩატა!
თუ მიბძანებ, გიახლები, მოგეპარვი ვითა კატა. 701

ცისა გახსნას დევესწრები, ქვეყნების დამყარებასა,
შენ რომ თვალით დაგინახე, ნეტა ჩემ გახარებასა! 702

ჩიტი გვრიტი მოფრინამდა, ბოლო-გაშლილ ბუღბუღი,
შენ მანდა ხარ და მე აქა, როგორ მოვიკლათ სურვილი? 703

მარგალიტი ავადუღე, გადმოვიდა მიწა-წყალი,
შენს კალთაში მოგიკვდები, ორის ხელით გესხას წყალი!
ამას მაინც იტყვის ვინმე, — „შენთვის მოკვდა ის საწყალი!“ 704

გაგეყარე, საყვარელო, დღე გამითენდა საწყალი,
თვალს ცრემლი არ შემშრობია, როგორც ნედლსა ხესა წყალი!
თავს ჩაგიდებ კალთაშია, შენი ხელით მასვი წყალი,
ასთე მაინც გათქმევინებ: „ჩემთვის კვდება ეს საწყალი!“ 705

მალლა მთაშია ყინული აპირობს ჩამოდნობასა,
ქალო, რათ გინდა ეგ ქმარი, ვერ გიზამს ჩემოდნობასა! 706

~~ჩემო ციციანათელაო, დადიხარ ნელა-ნელაო,
შენმა ნელმა სიარულმა დამწვა და დამანელაო. 707~~

შენ კი გენაცვალე, ქალო, თეთრი შუშა კელაპტარო,
თითები გაქვს ლულა-ლულა, ძუძუები ბამბის ქულა. 708

მალლიდაშია გადმოგხედე, დაგინახე ქორიგითა,
 ძუძუ-მკერდი დაგინახე, თეთრი გქონდა ბროლივითა. 709.

აღმასის ფანჯარაშია მზე დაეინახე პირი მე,
 დღისით მკლავს თქვენი სურვილი და ღამე თქვენზე ვსტირი მე;
 როდის იტნება მეღირსოს თქვენთან წოლა და ძილი მე,
 გადაგხვეოდე მეკოცნოს, ღამაზო, შენი ჭირიმე! 710

ესე წიგნი ჰრელიაო, შენთან მამიწერიაო,
 საყვარელო, ნუ გამიშვებ, სიყვარული ძნელიაო. 711

წითელო ვაშლო შენ გესვრი, თეთრო შენ ჩამოვარდები,
 ძვირად ჰყიდი სიტურფესა, გულში ჩამიგდე დარდები. 712

შენ ჩემო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
 ჩერქებს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
 წითელო მოვის პერანგო, შვიდგან შაყრილო ღილითა;
 ცავ წმინდა-ვარსკლავიანო, მზევ დაფენილო დილითა,
 შენთანამც წოლით გამაძლო შვიდი დღე-ღამე ძილითა! 713

წიგნს მოგწერ, გამოგიგზავნი, ვარდო გაშლილო ველათა,
 სად მოიცალა იმ ღმერთმა შენის თვალ-წარბის წერათა,
 ან სად იშოვა კალამი, დაგხატა ათას ფერათა! 714.

წიგნს დაგწერ გამოგიგზავნი, შავის მელნითა ნაწერსა,
 შენ შავ თვალებს წააკითხე, შავი წამწამი აძევსა,
 მანამდინ შენა გნახაშდე, მანამ ვილა გააწევსა! 715

წადი წიგნო პირ-მზესთანა, პირ-მზემ მთვარეს წაგიკითხოს,
 მომიკითხოს, მოახსენე: ვარ ობოლი, გამოკითხოს,
 ამ ქვეყანას შენგნით მკვდარსა მე გულ ხელი დამიკრიფოს. 716

ქალ, შენეული ბარათი ვერ ვნახე ამის მეტათა,
 წავიკითხე და დამადგა გულზე ნათელი სვეტათა! 717.

წიგნი მინდა მომეწერა, წვერი მომიტყუდა კალამსა,
 როცა გვერდით გიახლები, მაშინ მოგართმევ სალამსა. 718

მინდორში წაველ, სწორებო, მზე წითლად ამოდისოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს, თქვენი ხმა არ მამდიოდა. 719

~~წაუყვანელს არ გაგიშვებ, თუ მობრუნდა შემოდგომა~~
თვალ-წარბი გადაგხატვია, ღმერთმან იცის გამოდგომა! 720

წყაროდგან მოგქონდა წყვილ-წყვილი კოკა,
ოფლშიგა გაგხიოდა წითელი ლოყა,
სხვისი სარჩო რად გვინდა, ჩვენივე გვეყოფა! 721

ქალ-ვაჟის სამიჯნური გაღმსობა

ფ შ ა უ რ ი

წეტავი მფრინვლად მაქცია, დამსვა მაღალსა მთაზედა!
ქალაო, შენსა წამყვანსა შაუდგებოდი კვალზედა,
მენამც იქ წამოვიდოდი, საცა შენ დაგსმენ ჯარზედა.
რა რიგა შაგეკდებოდი, თვალ შავაგდებდი ტანზედა!
გულზე ხანჯარიც დავაგო, ვინც შენ დაგიწვეს მკლავზედა.
ჩემ გულ მას იქით დამიწდა, რა თვალ შავყარე გზაზედა,
მაშინ ვერ გადაგიყოლე, ვახს იმით ვიყრი თავზედა,
მემერევიან ტირილნი, ქუდს ავიფარებ თვალზედა.
შავიყარენით სწორები, ვიყავით ღვინის სმაზედა,
ის ხო შენ გადამავიწყე, გულმტკივან ვიყავ ძმაზედა.
— ვინა ხარ, ვინ იარები ციგსა მაღალსა მთაზედა?
ლეკებმა თოფი არ დაგკრან, მეკი არ დამცა თავზედა!
თორემ დავიცემ დანასა, დაჭრელებულსა ტარზედა,
გაითქმის ქვეყანაზედა 1): „თავი მაიკლა რაზედა“.
მოგვედე, თუ თავი მოიკალ, კარგო შენს პირობაზედა! 722

*

ჯალაბთ გამგზავნეს წისქვილსა ველისას, განა ტყისასა,
გულდიდად გამამრიაყდა 2), მოვა, მაჰქსოვდა წინდასა,

1) დედანშია: ხვეყანაზედა.

2) შემხედა.

თავი არ შემაიბრუნა, რომ დამეკვლივა ყინჩადა¹⁾.
 იმისი პირი ლამაზი ქალაღდს დავსწერო წიგნადა,
 ხან წყალს დავნატრებ, ხან ღვარსა, ხან ჩამამდინარს ქვიშასა.
 — რომ გაგათხოვს, შავიტყვე, სამჯერ ავკნიჭე მიწასა,
 სიზმარში საღამ²⁾ ასთევედი ჩემს საჩოკესა წმინდასა.
 დაგკარგავ, — დავიკარგები, ერთ უქნელს ვიქამ სხვისასა,
 გადავალ ურჯულოშია, ვადას ვაჭრელებ კმლისასა,
 ჩავიცვამ ტანისამოსსა ლეგ-ლუგას ლეკებისასა,
 დავკიდებ ციხის წვერზედა მარჯვენას შენის ქმრისასა,
 დნებოდეს, ჩამოდირდეს, ლიბოს³⁾ ალპობდეს ქვისასა,
 რა რიგსაც ქმარსაც შენ მიგცეს, მე ხუთს გაგიტოლი ხისასა.
 — ბრყვად ნუ ამბობ, ვაჟაო, აგრემც დამაყრი მიწასა,
 გაგიგონებენ წყეულნი, დაგდებუნ თოფის ლიშანსა, —
 ვადმე მე მაშინჯვიებენ შენს სისხლიანს გულის ფიცარსა!
 აბა თუ გადამიყოლებ, ვინძლი შეიძლო ისათა. 723.

აჭარული

მე ვარ უთბელი გიორგი, სუფრა-გრძელი და პურ-სქელი,
 სოლომონ დარბაისელი, ცხემვანეთს წავალ ფირცხელი.
 ლამაზ გოგოს მიჯღუმლებენ, — მიმთხრობია, მომყოლია,
 არა ჩემ გვარს არ ხოლია უთავაზო კაცის ქალი.
 ათას ბათმანს შვილსა ზიდავს, ზეცას აისვრის ისარსა.
 ათას ჩვენთანას ჩამოხრის შიშველსა პერანგოსანსა.
 — აქამ სა იყავ, ყმაწვილო! როდის ვიყავი ყბოსანი?
 მე ღმერთმა ქმარი მიბოძა, — ლალი მოლა, შეყბოსანი.
 შევა და პირსა დეიბანს, გამოვა ქარქაშოსანი.
 — საყვარელო, დაგინახე, როგორც რომ სავსე მთვარეო.
 ჩემი ნახვა თვარ გინდოდა, რაზე შემომითვალეო,
 იალონი შემომეწია, ხაშარი წელზე ვიფარეო.
 — თევზი ბრეველი მიქამია ცხენის წყლისა, რიონისა.

1) კარგადა.

2) ვნახე თითქოს.

3) სიბი ქვა.

შენ აქანაჲ რა ხელი გაქ, ძალი წმინდა გიორგისა!
— ოქროს ჩაღდაყსა დაგიდგამ, თეთრი ირმისა ღჯისასა,
ზეცურას გადმოგიკიდებ, სასმელსა ცხენის წყლისასა. 724

— ოსმან ბეგ, შენი ჭირიმე, შავარდენს გიგავს თვალეზი,
წინ-წინ მე გენაცვალეზი, მერე ხუცუბნის ქალეზი,
ნელნელა ბაღჩაში მოი, არ დეგესიონ ძაღლები,
ნელნელ კარი შემეიქანე, არ გამიღვიძო ბაღნები,
ნელნელარ ჩამეხვიე, არ დამაწყვიტო ძარღვები.
— ტანდაბალო ჩამბაქელავ, შენ რა მეხმა გაგახელა?
— სმა-ჭამლობა ბევრი მქონდა, უკაცობამ გამახელა. 725

—:—

გ უ რ უ ლ ი

მიკვირს, შენი ნახვის მადლმა, ასე ტურფა რამ დაგბადა!
ჩესტი-მეშტი, კვანწიობა, ეშხიც რალამ მოგიმატა?
ყოვლისფრიდან შევენებულო, კუკუნიავ, ჩემო ერთო!
შენდა ნაცვლათ სიკვტილი მსურს, რაცხა რიგათ რომ მომერთო.
რა გიჭირს, რომ ჩემი გული შენს თებრ გულს რომ შეაერთო?
შენ თუ ჩემი აღარ გახთი, ნუ მაცოცხლებ მერმე, ღმერთო!
— წყალში თებზი მოცურავდა, ბოლოს აქნევდა, თავს არა,
ახლანდელი ყმაწვილები მზითვს ეძებენ, ქალს არა.
— ჩემი გული დახრჩულია, შენ დამიტკბე გონება,
ჩემი სული შენთან არის, გახლავს, შენ გევედრება,
სადაც წაბძანდით, იახლეთ, უყვარს თქვენთანა ტარება,
მარა ცეცხლში არ დამიწვა, თუ ღმერთი გწამს — სამება!
გენაცვალე, არ გჭირია თქვენ მაგაზე სტავლება!
საყვარელო, თლათ ნუ მომკლავ, გეისარჯე გვარზედა,
ძილში, ღვიძილში მახსოვხარ, მენალები თვალზედა,
ერთ ღამეს შენთან მამყოფე, დამიგორე კლავზედა!
— მე სტორედ რჯულზე ვირჯები, შენგან მიკვირს: რა გინდა?
ჩემს ცოდვას რას ეძიები, შენი სტავლება რათ მინდა?
ამდენი ბევრი ამბებით თავი რათ არ აგტიკვდა,
ან ვინცხამ რათ არ გასტავლა, მე რომ ამგვარი არ მინდა?!
— შენ კი გიკეთდა ხელები, რომ შემეიკერე ელეგი!

განა ღიდი კი არ არის; — ჩითია ერთი ელები.
 ყოვლისფრამდი კარგი ხარ, საქციელით და ისტ.
 რა იქნა, ოჲო, მომკალი, ჯავრით გული ამივსე!
 გესვეწები მე საწყალი, გთხოვ, ნუგეში მალირსე.
 — ვაჲმე, ღმერთო მომკალი და ჩამაგდე მიწაშია!
 გამსახურებოდი გერჩია, რომ აგდიხარ ძველ ჭინჭშია!
 — ჩემო გვრიტო და ლამაზო! შენმა გონებამ დამადნო,
 რა გიჭირს, რომ ქნა სამადლო და სიყვარულით გამაძლო?
 — თავი გიგავს ბერსა ძაღლსა და პირი სულ მოფისულსა,
 ათას ხატზე შემოგფიცავ, შენ არ გავდე მოწიფულსა.
 — სულო, შენი სიყვარული სულ ნიადაგ მქონდა გულში,
 დლით და ღამით არ მეძინა, მჯავრი მქონდა სიარულში.
 სიკვტილისა ზაფრა მეცა, ქინძი მინდა ძმარიანი,
 შენს ჯავრს რომ არ მოვეკალი, ბიჭი ვიყავ გვარიანი.
 ნეტავი შენი ბიჭი მქნა, მომცა შენი ფარეშობა,
 სხვას არაფერს შემოგიკვეთ, მინდა ტყულათ თამაშობა!
 — სანთელს კეცხლი დაშვენდება, — ხმელსა შეშას ფიჭვისასა,
 გახუმრებას თუ ვიკადრებ, არც შენთანა ბიჭისასა!
 — ჩონხა მაცვია შალისა და წალა-წულა მეშისა,
 ასი რომ მქონდეს შეშისა, — ერთი არ მინდა შენთვისა!
 — ქალს ღომი გოუცხვია, ქათამსა გოუჩხრეკია,
 შენი სიტყვა და პასუხი ვითომც ძაღლს დოუყეფია!
 — ტირილმა თავი მატკინა, ღამე სიზმარში მალრინა,
 პუტკუნი შენი ლოყები კიჭებმა ჩემმა ჩაკბინა.
 ტირის თვალი, მოდის ცრემლი, როგორც არის აქის წყალი,
 შენს კალთაში მომკლას ღმერთმა, შენი ჭაჭვით მასვი წყალი;
 იმას მაინც კი გათქმბებ, „ჩემთვის მოკვდებ ეს საწყალი!“
 — დამეთხუე, თუ ღმერთი გწამს, არ ვარ მე შენს გუნებაზე!
 რომ არ ვიზამ, ხომ კი იცი, ჯინი ხომ არ გჭირს ენაზე!
 ტყულათ რომ რამე შემწამეს, თვალი ცრემლით დავიბრაზე,
 და აწი აღარ დავინახო გამომრები ამ შარაზე!
 — ჩემზე ამდენი ღრუბლები მიკვირს რათ არ გადიწმინდა!
 სულ ქვეყანა ასთე ცხოვრობს, შენ ხომ არ ხარ სული წმინდა?
 აგი აქიდგან იცოდე: ჩემმა ცოდვამ კი წაგწყმინდა!
 უგონურო, რეტარ ფიქრობ, — ნამეტარი გოუჭირდა?
 — რა იქნა, შენ საცოდავო, — შენი საქმე არ გათავდა!

ამის მაგიორს კი მოგწერ, მარა ქალაღდი გათავღდა.
გირჩეღნია ღამეღთხუე, თვარა საქმე გაჟღუღანღა,
კაი არ ღაღეღმარღთეღბა, თუ მტერეღბი გაღხარღდა.

— ჩემს ამღენს გატანჯღუღლებას იცოღღღე გკიღთღხავს ღმერღთია.

სულ ყოვეღ კაციღს უღთქმეღლი მე ხომ არ უემიკვეღთია?

ამღენი წიღენი მოგწერე; უენც კაი გეღთქვა ერთია.

რა გიქირღღა გმსახუროღღი, მე თქვეღნღღა ღამე მეღთია!

სამუსაიღფოღთ ვერ გნახე, რაცღხა იმგვარი სენღთია.

— უბეღღურო სულმოკლეღ, რეღღხა უეწუღხთი ამღენი?

უენ გგონია, იმ საქონელს აღმოსღღინღღებღს მაღენი!

საცოღღაღო, თვარ მიყვარღღე, მაქიღღღან ქე გაგღღენი!

იგიც კი ვიცი, წავწყღღებღი, თუ უენი ნეღბა არ ვქენი.

მე არ გიშღღი ჩემღთან მოსვღღას, ტუჩღღზე კოცნას, კღავღღზე წოღღას,
თამაშოღბას, აღერსოღბას.

რაცღხა უცნაუღღს რომ იტყვიღან, იგი რომ ვქნა, ღმერღთმა მომკღღას!

— ვაი, სულღ, ღამეღთანღხმე, სიკვეღღიღის ღროღს მიტირეღ!

უგონუღრო, თუ გიყვარღღი, საქმე რათ გამიკვირეღ!

გეღხვეწეღბი საცოღღაღვი, მოკლე ხანს უემიპირეღ!

— უენს ტირიღღს ღმერღთი არ მიზამს, ჯოღბს უენი ხეღლიღთ ღამმარღხეღ!

ამ ღასაქცევეღ ქვეყანას სწვა უენეღთ კარგი ვერ ვნახე.

მოკვეტეღბი უენი სურვიღღით, თუ ამინუღთში არ მნახე! 726

—!—

ნ ხ ვ ა ღ ა ს ქ ვ ა

ბიჭო, ბრიყვო, ხელს ნუ მახლებ, თორემ ღეღღა გაჯავრღღებღა.

— სანამ ღეღღა მოვიღღოღღეს, ჩვეღნი საქმე გათავღღებღა. 727

ვისია მწვანე კარამი, გაღღაღმა გაღღასახეღღი?

ღღვთიღსა ღღა კაციღს ხეღლიღთა მღთვარე ხარ გამოსახული,

რა იქნეღბა, რომ მიბრღღძანღო ერთი ღამიღს სამსახური,

ჩამიღხვიღღ და არ მომკღღა საწყაღღღ თქვეღნი მსახური!

— ეგე სიტყვა ღღღეღს იქიღთ ღაკარვე ღღა ღღაღმარღხეღ,

ან უენ რათი გამიბეღღე, ან სწვისაღღან რა მიღღახე?

თუ ეგ სიტყვა კიღღეღა თქვა, წასაღღალი გზა მოღღახე! 728

აქამდინ გულით გიყვარდი, ახლა დამიწყე ძულემა,
 ნეტავი შემატყობინა, ვინ შეგიცვალა გუნება. 729
 — გუშინ ბიჭმა, დედა-ბოჭმა, ჩვენი ერდო გადიარა,
 ნეტამც ერდო არ გადევლო, გული ჩამიდარდიანა. 730

წვიმა წვიმს და დამიარა, ახალუხჩი ჩამიარა,
 ქალო, შენი სიყვარული მე კი მაქვს და შენ კი არა. 731
 — გაზაფხულისა პირზედა შაშვმა დაიწყო ფრიალი,
 დადექი, ბიჭო, დამეხსენ, ნუ გინდა სოფლის გრიალი!
 შენ რო ქაჩალს არ შეგყვარდე, სად დამელია თმიანი?
 ვაჟკაცი მინდა ისეთი, კარგი და ლაზათიანი. 732

მაქთაღინა გაიპარა მთვარიანი ღამითა,
 უკან არაქელა მისდევს ჟანგიანი ხმალითა,
 ერთი კიდენ შამომხედე შავარდენი თვალითა!
 — მაინც აღარ შამოგხედავ, ამოვარდე გვარიითა! 733

დილის მზე ამოყაყანდა, შენ ამოუძელ წინაო,
 შენო სურვილი ჩამეჭრა, აღარ მაყენებს შინაო,
 ოღომც კი შემატყობინე, გექნება ჩემთვის ბინაო? 734
 — ბიჭო, რას მეშაირები, თუ ცხვის შვილი სად გებარა!
 მაინც არ მამეწონები, საპონით პირი გებანა!
 არ დავწვებოდი შენთანა, თუნდ ლაშარის ჯვარს ებძანა! 735

გოგო, უნდა გეშაირო, მაგრამ გულში ჯავრი მაქო,
 დედიშენის მეშინიან, მამიშენას რიღი მაქო,
 გამოგიდგე, ვერ წამიხვალ, — მოსარბენი ხიდი გაქო. 736
 — ~~თარგმანსა და სტეპანდასა შუა-შუა რუებია,~~
 შენისთანა მოშაირე ბევრი გამიცრუებია. 737

გაღმა გავრეკე ხარები, გამოღმა დავიარები,
 გოგო, რატო არ გებრალვი, უცოლოდ დავიარები! 738
 — იმ დღეს ცული გედვა მხარზედ, შეშა ვერ დაგაპობინე,
 თუ ჩემი თავი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე? 739

ახალ ჩითის არხალუხო, აქა-იქა ღირანდაგო,
 რას გამივლი — გამომივლი, რას მატყუებ ნიღდაგო? 740

— ახა იხვი, ახა ბატი, ახა ტურფა საათებო,
არ მინდა და არ შევირთამ, რალას მეფუქსავატები? 741

აფარავნელი ბიჭი ვარ, შენ სანახავათ მოველო!
— შენ, ბიჭო, ჩემ თავს ვინ მოგცემს, კავკასიონის ქალი ვარ,
ცხრა ძმანი თავსა მადგიან, იარალ შეკმაზულია.
— თვალები დედალ ქორს გიგავს გზა-შარა მწოლიარესა,
შენა ლეჩაქი დამხურე მე შენთან მწოლიარესა! 742

ბიჭო, რასა მეღექსები, ქვაბს ვურევდი ყურთანსა,
ბიჭო, იქით გამეცალე, ტუჩი გიგავს მურიანსა! 743
— კარებშია ჩამამდგარა უმუქო და მალალო,
ხელთ უჭირავს ქაფქირიო, ჩამოსტირის თვალ-პიროო,
არც უვარგა ღაწვებიო, არც იმასთან დავწვებიო! 744

მე ვენახიდან წამოველ, გამოვიარე გზა წვრილი,
ქალ, კარსა გამამდგომიხარ, ლამაზი ხარ და ტანწვრილი,
თავსა ნუ მამაკვლევინებ, ვაჟი კაცი ვარ ყმაწვილი. 745

— შენ ვაჟი კაცი ყმაწვილი, მე ძუძუ კოკობი ქალი,
ძირით ვარ ციხე მაგარი, მიდღეჩი აუღებელი,
ნაქარგი სართაული ვარ, თავითა დაუღებელი,
ქასირ ფოლადი დანა ვარ, ქარქაშში ჩაუღებელი,
ობოლი მარგალიტი ვარ, ჯერ ძაფძე აუგებელი. 746

— ვაი, რაგვარ მოვითხარე, თავი ვთხოვე წუწიანსა!
ტანი გიგავს შავ ყორანსა, პირი მოხიჭულსა კევრსა,
თუგინდ ხატზე შემოგფიცავ, არა ჰგვანდე მოწიფულსა! 747

— ორი შაურის გროშები ჯიბეში გაგირკინდება,
ვგ შენი სიტყვა-პასუხი მე რაში გამიკვირდება! 748

თხის ტყავი მოიხმარება ქვა-ცხრილადა და ცხავადა,
ჩემგან შენ სიტყვა გეწყინა, მე დაგჩი უკაცრავადა!
— ხელტარმან ხელი დამგალა იმ შუაგასატეხელმან,
სიტყვა გკადრე და ვაწყინე მე ენა მოსატეხელმან! 749

ქალო, რას აყვავებულხარ ასკილ-კუნელ-ვარდივითა,
გამივლი და გამომივლი დილის ნიავ-ქარივითა! 750
— კარგი ხარ, მაგრამ ვერა ხარ გადაუხადი ჭირისა,
შენა ხარ ამპარტავანი, მეცა ვარ შენი ჭკუისა! 751

დილით პირი დავიბანე, მასკვან ფერი წავისვიო,
კლბით თავი დავიხურე, ზედ ხაბარდა ჩავიცვიო.
— დილით ხარი გამოვრეკე დაქედილი ნალთავანო,
დამწვარი ვარ, დადაგული ამპარტავან ქალთავანო. 752

რას გამივლი-გამომივლი დილის ნიავ-ქარივითა,
მაინც აღარ შეგიყვარებ, თუმც ჩამოხმე სარივითა! 753
— შენ, ვაჟო, ჩემში რა ნახე სიტურფის მეტი ზავალი?
წუთი ასრე სცვლის ეტლებსა, არვინ იცის მომავალი,
ღვთის მადლსა, ნულარ დამმარხამთ, მზე ვნახე ამომავალი! 754

მთას ვიყავ, ცივი წყალი ვსვი, ბარად ჩამოველ, — მაქარი,
ქალო, რატომა არ იცო, რომ მე ვარ შენი ვაქარი!
— კარგი ხარ და ვაჟი კაცი, შუბლზედ გწერია ჯვარია,
მაგრამ სცდები, რომ მოსულხარ, არა გაქვს სახლი, კარია! 755

გავალ ხესა, გავჭკრამ ხელსა ქერქეჭინას პანტისასა,
არ ვიკადრებ შეხვევნასა შენისთანა პრატისასა!
— გავალ ხესა, გავჭკრამ ხელსა ქერქეჭინას ფიჭვისასა,
არც მე ვიკადრებ შერთვასა შენისთანა ბიჭისასა! 756

ა, ქალო, მძივი, რა მძივი, სათმეურისა მინაო!
— არ მინდა, შენი ჭირიმე, მიჯავრდებიან შინაო,
ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, მული მიღესაგს დანასა,
რომ გამიგოს დედამთილმა, ყელში გამიყრის დანასა! 757

ქალო, აღი მაგა ხესა, ჩამოყარე ბროწეული,
ჩამოდი და ძირ დამიჯექ, ქამბა მოგცე დანაწერი.
— არცა შენი ქამბა მინდა, არცა შენი დანაწერი,
ისევ ქმარი პირჩევნია, გვირგვინშია ჩანაწერი. 758

ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება,
ქალო, ეგ ქმარი რათ გინდა, სნეულია და მოკვდება!
— გვირგვინის ქმარი ეს არი, არა უშავს რა, მორჩება. 759

წიგნი, უნდა მომეწერა, ანუ, ბანუ, თანუ, კანუ,
როცა ბალში წაბძანდებო, მე მოგდევდე თან უკანუ. 760

— ბიჭო, შენ დაეხსნებოდე ჩემს უკან-უკან დევნასა,
გაგიგებს ჩემი პატრონი, თოფით დაგიწყებს დევნასა. 761

ნეტავ, ქალო, შენმა ქმარმა გულში დანა დამცეს მე,
წავიდეს და გადავარდეს, შენი თავი დამრჩეს მე! 762

— ბიჭო, რასა მელექსები ღვინისაგან მთვრალივითა!
ასეთია ჩემი ქმარი, შეჭედელი ჯვარავითა,
როცა ომში შებძანდება, დაბრუნდება ტარივითა,
სისხლის ღვარსა მააყენებს, მოცურდება ნავივითა! 763

ქალ, ვარდნი დაგიკრებია, უმზეოდ გაგიფენია;
აჭკრიფე, თვარემ დანამავს, ცასა ღრუბელი ხვევნია.

— ცას მოწმენდილსა წვიმა წვიმს, გესმოდეს თარო, კედლო,
ქმარ-მაზლნი გვერდით მისხედან, შორ გამიარე მხეტელო! 764

შენ, ვაჟო მაშინ სად იყავ, მე ქალი ვიყავ თმოსანი!
ახლა მე ქმარი შევირთე ლაღი, მოლაშქრე ყმოსანი,
შვიდს შეჭკრამს შენისთანასა, ტიტველა, პერანგოსანი.
ბაზარში ჩამოგატარებს თიკანებრ ის მშვილდოსანი!

— აქეთ გორასა წიხლსა ვჭკრამ და იქით გორას ძვრას ვუზამ,
ადიდებულსა დიდ მტკვარსა დავაწვები და ყლუპს ვუზამ,
თვრამეტ ბათმან რკინას დავღეჭ და კევივითა ყლაპს ვუზამ, —
მე ამ ძალისა პატრონი, ქალო, მაგ შენ ქმარს რას ვუზამ?! 765

ქალო, ამ ქალაქ ღამესა შენთვის ვათენებ ბანზედა,
როდის იქნება მეღირსოს, გამოსულიყო კარზედა! 766

— ერთი ყანწი ღვინო მქონდა, იმას ვატანტალებდი,
შენისთანა ბიჭ-ბუჭებსა კარზე ვაკანკალებდი! 767

წყალში შეცურდა კურდღელი, თან მელა შეჰყვა ტივითა,
ქალო, შენი სიყვარული მაბრუნებს ხარატივითა! 768

— რად იარები, ლევანო, სოფლად რომ ქორი სცვივაო!
შენ მოგკვლენ სიყრმის პატრონსა, მე ხმანი დამიცვივაო. 769

ნაპირყურის მოხვნა მიყორს ღორღიანის ყანისა,
გვერდზე წამოცქერა მიყორს თვალუუუნა ქალისა. 770

— მალლიდგან გადმავიხედე, მოედანს დიდი ერია,

ის ჩემი მკვლელი მიჯნური სამოც ვაჟკაცში ერია,
შევხედე და შემამხედა, თვალ ცრემლი გადმომერია. 771

ეგრე კარგი რამ გაგზარდა, თუ არ ციდან ჩამოსული! 772
— ბიჭო, წყალში გამიყვანე, წითელ-ქუდა, ცხენიანო,
მე ამის მეტს ვერრას გეტყვი, ქალი ვარ და მცხვენთანო. 773

ირემო, მთად საყვარელო, რად ჩამოსულხარ ბარადა?
— კარგსა მეუღლეს დავეძებ, დავდივარ კარის კარადა! 774

ვინც ნახავს ცისკრის მნათობსა, აჯობინებს ვარდს იასა,
მოცინარე პირს მარიდებთ და ხელს მაძლევთ ინიანსა! 775
— ნუ იცინი, ნუ მაცინებ, — გაგვაჭორიჭორებენო,
შავვიტყობენ სიყორულსა, გაგოშორიშორებენო. 776

შენ გენაცვალე, ვინა ხარ, სახელი შენი მითხარო,
მათხუე ბარი-ნიჩაბი, სამარე ამოვითხარო,
შიგ ჩავწვე შენგნით მოკლული და ხედ მიწა მოვიყარო! 777
— ღმერთი როგორ გაიმეტებს შენი დედ-მამის შვილსაო,
თვალ-წარბი ვადაგხატვია, აბრეშუმს გიგავს წვერიო. 778

რა მშვენიერად გიხდება შენი გრუზა კავები,
თეთრ ყირმიზ პირისახეს აქა-იქა ხალები,
ზემოდამ დაგზუზუნებს ჩემი მკვლელი თვალები! 779
— შენი ჭირიმე ჭირშია, კარგი ხარ გასაჭირშია,
ყორანიც მოიჩრდილებდა შენი ულვაშის ძირშია! 780

ყველა ხილნარი აყვავდა, შენ რაღას იზამ უზანო,
ჩემს თავსა შენ განაცვალე, შენ იცი, რასაც მიზამო!
— ვაჟო, ვისი ხარ ლამაზი, დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოხვიდოდე ჩვენსაო.
კარგ საუზმეს მოგიმზადებ, საცივოებს და ყველსაო,
ხონჩაზედ დავსდგამ ღვინოსა, მეც მოგიჯდები გვერდსაო,
დავლევ და დაგაღვინებ, ღმერთს შევეყრი ორსავე ხელსაო:
რომ ჩემი თავი შენ დაგრჩეს, დაეყოს პირი მტერსაო. 781

ქალო, შენი ეგა მიყვარს, აგდი-გოგდი სიარული,
 ტანჩაცმა და თავდახურვა, თეთრი პირი მხიარული!
 — ვაჟი კაცი ხარ ნავარდი, ლაშკარს ქორულად გავარდი,
 ერთხელ მეც ვიყავ ლაშკარში, თავს აველ, ბოლოს ჩავეარდი! 782

შემოგხედე თეთრსა პირსა, წარბნი წვრილად შეგეყარა,
 ათივ თითნი ბროლისანი წინ კალთაზედ დაგეხარა,
 ცხრა ნაწნაენი გიშრის თმანი მხარ-ბეჭხედა გარდგეყარა,
 ოქროს თასით ღვინოს სვემდი, შიდ შაქარი ჩაგეყარა!
 — ვაჟი კაცო, მე რა გაქო, თეთრი დევის ძალა გაქო,
 იარალი მოგიხდება, თოფი მოქედელი გაქო,
 შუბლზედ ნაკეცი ქოჩორი, თვალი შავარდნისა გაქო,
 წადგები და წამოდგები, ტანადობა კარგი გაქო! 783

ყელი გიგავს დედალ კაკაბს მისის შემკობილობითა,
 მეც ვიცი, გულში გიყვარვარ, ჩემის შეტყობილობითა!
 — შენი დაბრა დავაპირე, მაგრამ ანაზღ გამიგესა,
 მოახლენი გამილახეს, დამანწყვდიეს, დამაბესა,
 არ მალირსეს შენი ნახვა, ყველგან მახე დამიგესა! 784

ლხინო, ლხინს გამოგიგზავნი, ვარდო, გაშლილო იაო,
 ნეტავი შემატყობინა, გულში რა ჩაგიდვიარ?
 მე აქედგან ველარ გხედამ მოშორებულ კუთხისაგან,
 კაცი შემიჯერებია შენის ამბის კიოხვისაგან,
 მოძულებას არ მოველი შენის კარგის გულისაგან,
 მომიძულამ, — კარგად მყავდე, მე მჭირს ჩემის ბედისაგან!
 — მარგალიტის წვიმა წვიმდა, ბროლის ტბასა ჩადიოდა,
 ოთხი ყურე სრულ შეიკრა, მგზავრი ვერსად გადიოდა! 785

ვერა ხილი შევუდარე აყვავებულსა ატამსა,
 ვერვინ გედრება სიტურფით, მშვენივრად არხევ მაგ ტანსა!
 — სევდიან გულის გამშლელი, წამლის დამდებო წყულუზხედა,
 შენი ქება შემომესმა, — ვარდი მეშალა გულზედა! 786

ყველა სოფელს ნალია დგას, ასპინძის ბოლოს ამბარი,
 ნეტავი შემატყობინა, ქალ, შენი გულის ამბავი!

— წახვიდოდე, მოხვიდოდე, — განა წლისა სავალია,
შენ მინდოდი, სიყმეფუჭო, თვარემ ვაჟი მრავალია! 787

მიმინოსა მწყერი უყვარს, შავარდენსა ნადირობა,
შენც თუ ჩემი თავი გიყვარს, არ გამიტეხო პირობა! 788
— უშენოთ ღმერთმა ნუ მომცეს ერთი დღე მეორეზედა,
თუ მომცეს, ისევ წამართოს, დამაგდოს ცარიელზედა! 789

წითელ ვაშლს სჯობხარ, თეთრსაცა, იმათის სურნელებითა;
ვერ გიდრის ვერვინ ექიმი, ყოველის მკურნელებითა!
— წითელ ვაშლსაც და თეთრ ვაშლსაც, ორთავ შენ მოგაკრებინებ,
სიკვდილის დღესაც დაგიბრი, გულ ხელს შენ დაგაკრებინებ! 790

გუშინ თუ გუშინასწინა დედა რას გექადებოდა?
გიწყებოდა და გლანძღემდა, — განა შენ გეკადრებოდა?!
— ოქროსა ღილი დავკარგე, კარგი რამ მეზადლებოდა,
იმისთვის ვეღარ მითმენდა, მცემდა და — მემართლებოდა! 791

სადაურმა სადა გნახე, სად დამიგე გულთა მახე!
ჩემის გულის საკლავათა ნეტავ თვალით არ მენახე! 792
— ხელმანდილსა გადმოგიგდებ ქარგაში ამოქარგულსა,
ჩემსა გულსა შიგ გაგიხვევ, შენგან დამწვარ-დადაგულსა! 793

სიყვარულმა, გონებამ მომკლა ეროის ქალისამა,
გავლამა და გაშოვლამა, შვენებამა ტანისამა.
— შენს თავს არვინ მიჩვენია, ფიცმა რა ქნას ქალისამა,
ცხრას ჩემ ძმათა დარჩენამა, მეათემა მამისამა! 794

აღმასის ფანჯარაშია, ქალ, დაგინახე პირი მე,
დღისით მკლავს შენი სურვილი, ღამე ვზივარ და გტირი მე! 795
— შავარდნის თვალო ლამაზო, შენ ჩემთვისა გიტირნია!
შენ ჩემთვის რა გატირებდა, თავს რად შეჰყარე ტირნია? 796

ყველა ხილნარი ყვავდება, შენ რალასა იქ, ლამაზო?
ამ თავს კალთაში ჩაგიდებ, შენ იცი რასაც უზამო. 797
— წყალგალმა ერუსალემი, გამოღმა მისმან სმენამან,
აგრე დაგფარამ კალთის ქვეშ; არ გაგთქვას ჩემმან ენამან! 798

აქედანა ვერა გხედავ, ქედი მიფარებს წინარე,
 მე თქვენი სიყვარულითა ვარ დაბნედილი, მძინარე,
 სურვილმა წამომიარა, დავჯექ და ველარ ვიარე,
 ეს ჩემი თავი მოგიკვდა, თუ ნახვა დავფიქვანე! 799
 — ბიჭო, ბრიყვო და რეგვენო, საღორეს კარსა გეძინა!
 ეკალ-უკალი ქვეშ გეგო, ზედ ნაბდის ქუდი გეხურა,
 გვერდ გიწვა ძალლი მურია, კლავი-კლავ გადაგეხვია! 800

საყვარელო, წიგნსა გწერ, უბე ცრემლით ამოგივლტო,
 მოსახვევო, სასურველო, ყელს საბმელო მარგალიტო,
 უბეში ჩასახოხო, ჩასატკვერო ვითომც გვრიტო! 801
 — თქვენ რომ წერილი გებოძა, სიტყვა-ეწერა შრავალი,
 ვერ ნავხე მისი მომტანი, არ იყო ფეხზედ მავალი,
 უთუოდ იყო ეშმაკი, ღრიანკელ წყალში მავალი! 802

შენ შროშანო, შენ ბულბულო, ვარდის კონავ, თაიგულო!
 ყველანი შენ დაგხარიან, მაისო და გაზაფხულო!
 დაილოცვის შემოდგომა; მთიდან ჩამოდის ელია,
 მოდი, სურვილით ნუ მომკლამ, სიყვარული ძნელია! 803
 — შორით მესმა ქება შენი, უცხო თემსა მიაშბესა,
 გადმოფრენა დავაპირე, მაგრამ ჯაჭვით დამაბესა,
 ხელ-ხუნდი და ხელ-ბორკილი ორივ თავით დამიწყესა! 804

ნეტავ თუ მე მამკლა ვინმემ, ასო-ასო დამქნა ვინმემ,
 ჩემი ლეში ყვავ-ყორანსა, სისხლი ირემს ასვა ვინმემ.
 ამას კიდევ მოვინელებ, ნეტავ შენთან დამსვა ვინმემ!
 — ვაჟკაცო, გულად ნავარდო, ქოჩორი შენი მიყვარსო,
 შენ თუ არ მოხვალ ჩემთანა, მე შენთან ვინ მომიყვანსო! 805

ვისი ხარ, ქალო ლამაზო, რა კობტათ დაიარები,
 გიხდება თეთრი ლოყები, ზევიდვან შავი თვალები,
 უნდა გიცქირო, ლამაზო, შენზე დამრჩება თვალები!
 ადექ და ჩემთან წამოდი, გადმოიარე ბანები,
 გააღე ჯერ ეზოს კარი, შემრე ოთახის კარები,
 ასწივე დიბის საბანსა, გადმამახვივე მკლავები,
 შენ ჩემთან იყავ, ლამაზო, მტერ დავუყენოთ თვალები! 806

— შენ გენაცვალე შენამდე, ვარდი გაყრია ენამდინ,
გამამიშვებდენ, — წამოვალ, სირბილით მოვალ შენამდინ! 807

ქალო აშაო, მაშაო, წამწამ-გიშერა, თმა-შაეო!
შენი საწოლი მიჩვენე, ია და ვარდი გავშალო. 808
— დილაზედ ადრე ადგები, პირსა დაიბან მზიანად,
ტანისამოსსა ჩაიცვამ და სარტყელს სილაღიანად,
ენას ატარებ შაქრულად და გულსა ღალატთანად,
ვაჟ თუ გამიშვა ბოლოს დროს, დამაგდო ოხერტიალად! 809

ახა ილილმე, ილილმე, შენთან წოლა და ძილი მე!
— შენ შენი ჰქენა და წახვიდე, დამიგდო ხელმანდილი მე?! 810

აქედამ გორი შორია, თვალ-მარგალიტი ბროლია,
თვალ-წარბი მელან-გიშერი, ცხვირი ნათელი ბროლია,
უშენობა და შორს ყოფნა სიცოცხლე არა მგონია,
სული მიბოძე ჩავიდგა, გიახლო რაღაც ღონეა. 811
— ავათ ვარ და მოდი მნახე, თან წამლები მომაყარე,
შენის ხელით წყალი მასვი, შიდ: შაქარი ჩამიყარე,
სამარემდის თან წამომყევ, მუჭით მიწა მომაყარე,
შენი ქოჩრის მონაგლეჯი დაშწვარ გულზედ დამაყარე! 812

ლამაზო და მშვენიერო, ღვინის ფერო მძინარეო,
მე რომ შენკენ წამოვრდე, თავი მოიმძინარეო! 813
— ადექ და ჩემკენ წამოდი, გადმოიარე ბანები,
კარს უკან ჩემი საწოლი, ღია დაგხვდება კარები,
ასწიე კუთვნილ საბანსა, ზედ გადმომხვიე ხელები,
შენი გუნების საქმე ჰქენ, მტერს დაუყენე თვალები! 814

ვაი თუ გოგომ მიმტყუა, ჩემამდინ მოდი ცოცითო,
კარებზედ ეგრე შემოდი, როგორც მთხოვარა ჯოხითო!
ვაი თუ ქალმა მიმტყუოს, გვერთ მეედოს დიდი ცული,
აილო და თავში დამკრა, უღვთოთ ამომართვა სული!
— ბიჭო, მეც ქრისტიანი ვარ, ვარდისოფლიდამ მოსული! 815

ლამაზო და მშვენიერო, ღვინისფერო მძინარეო,
მოველ, ყელსა მოგეხვიე, გაგაღვიძე მძინარეო! 816

— გენაცვალე, აქ ნუ მომკლავ, ხომ არა ხარ ღვინით მთვრალი!
როდის მოხვედი ჩემთანა, როდის დაიკეტე კარი?!
მე თუ ბიჭი მომეწონა, ქმარსაც დაუღვება თვალი! 817

სულისთვინ სულსა მოგართმევ, თუ მოიტანდეს ქარი,
მაგრამ ქარი არ მოიტანს, შენთვისა ვარ თანამკვდარი! 818
— სადა ხარ, სად იარები, შენ ჩემო გულის ლახვარო,
წახველი, წასვლით მატირე, არ მოხველ, — მოლოდინითა! 819

ა იმ კლდეზე რო წყარო დის, გადმოუდის სანსალარ,
თითს ბეჭედი, ხელს კალათა მე იმ წყარომ წამყარო,
ჩვენი ცოდვა იმას ხქონდეს, ვინც ჩვენ ერთუროს გაგვეყარო. 820
— წავალ კლდისკენ, თავს გადავიგდებ ჯინჭველ ნათხარ მიწაზედო,
წავალ, თავსაც ჩამოვიხჩობ ბოსტანში მდგარს ქონდარზედო. 821

მე აქედამ ვერა გხედამ ნისლის და ბურუსისაგან,
შენ უჩემოთ როგორა სძლებ, მიკვირს შენი გულისაგან! 822
— ვაჟო, ართათვის, ბართათვის, თოვლი მოსულა, ბარსა წვიმს,
რაც განმაშორეს შენგანა, არ შემიხედავს სხვისათვის,
სისხლისა ცრემლი მდენია და შემირთვია ზღვისათვის! 823

ამ სოფელმან ჩემი დღენი სიმწარით დამალევიანა,
არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევიანა!
— ცისკარსა ამომავალსა, მხეს ეუბნება! ამოდი,
ვერ გავძელ შენის ცქერითა, გარჯილო სულო ამოდი! 824

არ ველოდი შენგან გაყრას, არცა შენს მოშორებასა,
მომავონდები, დავიწვი, ცეცხლი დამიწყებს დებასა!
— წყალგალმა, მიღმა შენ მიხვალ, გამოღმა ბინდი დამეცა,
არცა შენ გაქვს და არცა მე, რომ გულზედ დანა დაგვეცა! 825

6. სანსიბლერო

თოხნაში

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი, ლამაზად შეკაზმულია,
ღრმათაც ჩავუშოთ თოხები, სიმღერები ვთქვათ ძმურია,
ჩქარა ეს სვე გავიტანოთ, ბიჭებო, ღვინო მწყურია,
ტიკით ღვინო მეგულება გრილოში შენახულია.
დაკა, ბიჭო, წამოიღე, თორე მაინთ სვე ბრუდეა,
დაკა, მხარში გამისწორდი, თორე ცუდი ხმა ცუდია.
დაიცა, მივალ გრილოში, ჯამი დარიგდეს თიხისა,
ვენახის სათოხნელათა გული დამიწყებს ღიღინსა,
დავკრათ და მიწა ვაბრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისა.
დასხდნენ და ღვინო დაასხეს, მოსდევს სხვილ-სხვილი ჯამითა,
ერთმანეთს ეუბნებიან: ესე აივსე ჯანითა.
ადექ, ბიჭებო, წავიდეთ, თავში ღვინო შემომიჯდა,
ვენახის სათოხნელადა ძან გული გამიგიჟდა.
ერთი ჯამი მეც დამისხი, საყველაწმინდო გადავკრა,
მაშინ გიჩვენებ სეირსა, შენთან თოხი როგორ დავკრა.
ვენახი კარგი იქნება თოხით ღრმათ გათოხნილია,
ქოველთვის დაკრეთის დროსა მას მტევანი აქვს სხვილია,
გათოხნილი ვენახისა ღარში გამოდის სხვილია,
გაუთოხნავ ვენახისა მძიმედ ჩამოდის, წვრილია,
მაგრამ სწორე უნდა გითხრათ: ღვინო ის უფრო ტკბილია. 826

გაზაფხული მობძანდება, აყვავდება მთა და ბარი,
ციდან ქუხილი წამოვა, მოვარდება ნიაღვარი,
ვახს ძირამდისინ დაიყვანს, იქ დარჩება მარტო სარი. 827

დამდეგ ენკენისთვისასა ვენახში გორავს კალათა,
დაუთრობელი არ წავალ, თუგინდ გამაგლო ტლათა. 828

ელიზბარ ქლიბო, ორპირო, მისდღეში თაღლითიანო,
ხან იქითა ხარ, ხან აქეთ, საითაც ქვევრებს ხდიანო. 829

შენ ქვევით ერთი ვერხვი დგა, ტოტები ჩრდილო შეყრილი,
 მას ქვეშა შენა ბძანდები, ოქროს თმა-ჯილა დაყრილი,
 გვერთ გიდგა ლამაზი ბიჭი, ყურთმაჯებ დოინჯ შეყრილი. 830

ველისციხის ღვინოები შავი არის და სქელია,
 იმის დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა მღერიან. 831

თეთრისა თხისა ციკანსა შორს შეემჩნევა ვაცობა,
 დღეს სხვისა ღვინო გვამღერებს, ხვალეა ჩვენი კაცობა. 832

კახური ღვინით დამათრო, ხხმეტას დამაძინაო,
 ლამაზ-ლამაზი ქალები სულ გვერდზედ დამიწვინაო,
 რომელიც აგათ გაგვიხდეს, თითონვე მოარჩინაო. 833

მე რომ ტყეში წავიდოდი, დავიჭერდი მელასა,
 შვიდი-რვა ურემი ღვინო გამოუვა ჩემ ვენახსა. 834

ხაჩმიანი, კუჭატანი, იმას ქვევით გავაზია,
 ყურძენი კი არ ასხია, — მე რა ვიცი, რა ვაზია. 835

ღმერთმანი, ბოდბისხეური ღვინო დადგება სქელია,
 ასეთი ღვინო დადგება, წითელი ლალის ფერია. 836

ბატონო, შენი სასახლე გვანდა ქალაქის ქუჩასა,
 ხომ კარგათ მოგეხსენებათ, პატივი უნდა მუშასა. 837

მინდვრიდამა მოვდიოდი დაღალული, ნაყანევი,
 წინ ქალი შემომეყარა, თვალფუჟუნა საყვარელი. 838

ტყეში ურემი წავიღე, შოლტი უნდა ხარებსა,
 დიდი სათარი შაუბი, გაუხარდა ქალებსა. 839

შემღერე, თუ რას შემღერებ, თორემ ღამდება, ბნელდება,
სამწვადეც დროზედ დაურთე, აგერ ცეცხლიცა ნელდება. 840

სადილობამდი დათვია მო სამი ნამხრევი აიტანა,
სადილზე დაჯდა დათვიაი, კვერი ნახლეტში გადიტანა,
სადილობილდე დათვიამა ნამხრეველ სიმტყეს უმატა. 841

დედას მოუკვდი მიხაკო, — სადილი სამხრათ მიგაქო. 842

გალმითით ქალმა ღამაზმა ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა, აქათ მე ღამაზნიაო. 843

შენ გესვრი, ვაშლო წითელო, თეთრო შენ ჩამოვარდები,
ღამაზო ქალო შენ გეძებ, ფინთო შენ გამოვარდები. 844

ბიჭები დაქურებულან სიმინდის სათოხნელათა,
ქალები დაქურებულან ბიჭების საკოცნელათა. 745

წყალში თევზი მოცურდა, ბოლოს იქნევს თავს არაო,
ახლანდელი ყმაწვილკაცი მზითევს ეძებს, ქალს არაო. 846

ჭაბუკსა ორი სანავე ზღვა ედგაო,
ჭაბუკი წყალსა დეებრხო, პირზე ნიაგ-ქარობდაო. 847

ქაღმა თქვა: უბედური ვარ, ვხედავ, თავისა საქმისა,
ეგრე ჩავცვივი მიწასა, წყეული რაღას მთესავსა,
ღმერთმა უშველოს რაჭველებს, იმგენმა კარგათ მჭამესა. 848

შენი ჭირიმე მჭადოვო, შენი ბიჭობა ვცადოვო,
მანამ შენ არ მოგიყვანე, ქალი არავინ მანდოვო. 849

მობძანდი, მჭადო, კორიელს, თუ ჩემა ბედი ღირსაო,
ზურგით წაგიღებ წისქვილსა, აღარ გაკადრებ ვირსაო. 850

დილას პირი დევიბანე, ვერ ვიზოვნე სავარცხალი,
ბოშო, სადილს დოუჩქარე, ნუ გეგონო გამაძლარი. 851

აჰა გენაცვალეზიო, აჰა რათ გამცვალეზიო,
მტრედს მიგიგავს თვალეზიო, კვირას მივეხარეზიო,
ორშაბათი რომ მომივა, მუშა აზრათ ქე წამივა,
მე რომ თოხსა მოვილესავ, ძმა მაშინა ქე წამივა. 852

მეიშმო, მოდი ყანაო, ბალახი გაიპარაო,
ზურაბა კიკნაძის შვილმა ბურვაკი მეიპარაო,
გაფურცქნა და გააკეთა, საყდარზე გაიტანაო,
შეკრებილებას აჩვენა, ისევ შინ მეიტანაო. 853

ძმაო ჩემო საყვარელო, ულაშ კოკობ აღმოსრულო,
ლომო, გრიმო, მარგარიტო, მზე უღრუბლოთ აღმოსრულო,
აფხანაკთა საყვარელო, ჯარშიდ ქებით გამოსრულო,
მიბრძანებდე სამსახურსა, რომ შევსძლებდე, ჩემო ძმაგო. 854

თავის ქებას მოგახსენებ ფარშავანდის კვერცხივითა,
თმანი სიხშირე მაზს გიგავს სისხოვანის გველსავითა,
წარბი სიხშირე მაზს გიგავს შავი იხვის კავსავითა,
ცხვირი სისუფთემას გიგავს, ჩამოსხმულსა ბროლსავითა,
ბაგეს გახსნი ვარდისავით, კბილსა მარგარიტსავითა,
ენა ვერცხლისა გიყრია, ხმანი იადონსავითა,
ძუძუნი ბროლსა მიგიგავს, მართს მოგაყრი ფიფქსავითა,
მაშიაში ფებს ჩასდგამ, წარსდგები ედემსავითა,
სეირნობა გაგეწყობა ცისკრის ვახსკლავისავითა. 855

ძმაგო, მეტათ კარგი მყავხარ, უმეტესი გვარშიდაგო,
სასახელოთ მიმაჩნიხარ, ნაქები ხარ ჯარშიდაგო,
მე მოწყალე არავინ მყავს სიღარიბის კარშიდაგო,
ნათესავის მოყვარულო, ჭირსა მოგქამ თავშიდაგო. 856

ძმაგო, მეტათ დაგშვენდება თეთრი ჩოხა არღანისა,
ზე შხილიფა შემორტყმული ისრისა და ქარქაშისა,
ომთა შესვლა შეტოება, ხელთა შუბი აღმასისა,
გული გაქვს გაუდრეკელი, აგრე უნდა ვაჟკაცისა. 857

აღვის ხევო და ხელვარდო, ზამბახიანო,
სათალალო და ბროლო და შუბლ სარდაფიანო,

მარად დიდებიანო, ეშხით სრულო, ენა ტკბილო და შაქარო,
ლომო გრიმო მარგარიტო, მზე უღუბლოთ აღმოსრულო. 858

შემოდგომა და ზაფხული ელვა არიან მზისავო,
დასხდებიან, თამაშობენ, მშუქი ადგიათ მზისავო,
მკვრეტელი კარსა ადგია, როგორც ფურცელი ხესავო. 859

ნაღური

ოდელია, დილა, ოდელია ოხობოია, ჰოი!
ვაი და უი დაეცა, ძმანებო, ჩვენს მტერს თავში, ჰოი,
ჩვენ მშვიდობა გამარჯობა მოგვცეს ღმერთმა,
ამ ყანის ადრე გათავება და კაი კეთება,
ვოხობოი ადილაი ოდელია ხოი.
ამ დილას ადრე ავდექი, ჩიტი მოეკალი თოფით, ჰოი,
ღმერთო მშვიდობა მიეცი, ვინც აქ მოვიდა თოხითა, ოდელია ჰოი,
შავი შაში ლაპარაკობს, ოდელია ჰოი,
მთა და ბარი უთოვნია, ოდელია ჰოი,
ხესა სურო შეყოლია, ოდელია ჰოი,
შევეყვი და ზედ შეეფრინდი, ოდელია ჰოი,
ზედა მახე შეწყობილი, ოდელია ჰოი,
შეეფრინდი და დამიჭირეს, ოდელია ჰოი,
თავი დაღმა, ფეხი აღმა, ოდელია ჰოი,
სული ღმერთსა შევავედროთ, ოდელია ჰოი,
მძორი მტერსა მოსისხარსა, ოდელია ჰოი.
(აჩქარებით):
ვოდელია ვოდელია ჰოი, ოდელია ოდელია ჰოი,
ადილეი ადილეი ჰაააპე, ადილეი ჰაააპე, ადილეი გოჰო ჰოჰოჰოია.
მინდორშიდა სახლი იდგა, ჰოი,
სამჯერ გვერდი შევურბინე, ჰოი,
ვერსად ვნახე კარი მისი, ჰოი,
ერთსა ადგილს ცხრა კლიტულსა, ჰოი,
მზისა ლანდი შთადგომიდა, ჰოი,
ვკარი ქუსლი, შით შევედი, ჰოი,
შითა ღომი დაწოლილა, ჰოი,

მეჯინიბე თავს ადგია, ჰოი,
 ადი ბიჭო მეჯინიბე, ჰოი,
 წყალი ასვი და აჭამე, ჰოი,
 თუ არ აჭმევ, მოგიკვდება, ჰოი,
 თუ ეს ლომი მომიკვდება, ჰოი,
 სამს წელიწადს ხორცს არა ვსჭამ, ჰოი,
 იხვისა და ხობის მეტსა, ჰოი,
 ქუდსა არა დავიხურავ, ჰოი
 იმერულის ქუდის მეტსა, ჰოი,
 იო, ვოხო, იო, ვოხო, ვოხოია, ვოხო, ვოხო.
 შარაზედა კვალი ვნახე, ჰოი,
 პატარაი ნადირისა, ჰოი,
 დავყევ კვალსა, დავეზღვევნე, ჰოი,
 ჩასულიყო წყაროზედა, ჰოი,
 რომ დავინახე, წყალს სმიდა, ჰოი,
 რომ ჩავედი და შემიტყო, ჰოი,
 შემიშინდა, შემიფრინდა, ჰოი,
 შეჯდა ხესა, ჰოი,
 რასა ხესა, ლებანოზსა, ჰოი,
 ლებანოზსა ნიგვზრისასა, ჰოი,
 შევეყავ ხელი, დავიჭირე, ჰოი,
 ჩხიკვმა შექმნა ჩხრიალება, ჰოი,
 თურმე იყო ბერი ჩხიკვი, ჰოი,
 დამიჩოქა, შემეხვეწა, ჰოი,
 შენ ვაშკაცო იმერელო, ჰოი,
 შე ნუ მომკლავ ბებერს ჩხიკვსა, ჰოი,
 შინ გამიშვი შინათასა, ჰოი,
 გოგოს ვკითხავ თინათასა, ჰოი,
 ძღვენს მოგიტან გვარიანსა, ჰოი,
 დარჩეულსა წაბლისასა, ჰოი,
 უკეთესსა თხილისასა, ჰოი, იო ოხო, იო ოხო! 860

*

ცუცხუნი შელა მოტირის, ზამთარი მოდის ძნელია,
 საქათმოს კარსა მივდექი, ვარიკა შემხვდა ძველია,
 ვარჩიე, გამოვარჩიე, ყვინჩილს ვატანე ხელია,
 დიასახლისმა შემიტყო, კვიჭინს დაავლო ხელია,

ერთი ასეთი მიკივლა, უცბათ მომწყვიტა წელია,
იმ წამს შეყარა თემია, ერისგანი და ღვდელია,
იმას 'მენდობა მოვსთხოვე, მან მომიწვადა ხელია,
დარბაზს შიგნით შემიყვანეს, ქალები ვნახე ბრეელია,
ქალები ტყავს მიშინჯავენ, წითელია თუ ჭრელია,
მაშინდელ შეშინებულზედ ახლაც არა მდევს ფერია. 861

*

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
ღმერთი ისრე შეგვეწევა, როგორც რომ ვალდებულია.
მასინძელ კარგათ გემასპინძლობს გულითა მხიარულითა,
მთაში ურემი გავთაღე, შინ მოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გაჯერდება, საიქიოს ცხონებითა.
ჭალას ნიგოზი მოვრეკე, ავბოჭე კაკაღეია,
შენ დიდო ღმერთო დალოცე აქ დიდი, პატარეია.
ჩიტი შემოჯდა ღობესა, იძახის ინო ინოვო,
შენ დიდო ღმერთო დალოცე, ვინც დაგვირიგოს ღვინოვო.
ყანაშიდა გარდვიხედე, შიდ იყო ორი ღორია,
შენ დიდო ღმერთო დალოცე, ვინც დაგვირიგოს ღომია.
ცაშა დასჭეჭა, დაბდგვინა, ზეცით შეიქნა გვიგვინი,
შენ დიდო ღმერთო მოგვასწარ მასინძლის შვილსა გვირგვინი.
რიონი მოდიდებულა, ხე მოაქვს ძირიანათა,
მასინძელ დაგვალოცვინე ცოლიან-შვილიანათა. 862

შ კ ა შ ი

აზანბურელი მომკალი მე მოვკალ, უთარელმაო.
— არა შენ მოჰკალ, არცა მე, მინდორმა მოჰკლა გრძელმაო. 863

ან უნდა ძმასა ძმა ჰყვანდეს, ან კაი შვილი მამასა,
ან დისწული დედის ძმასა, ის მოუმკიდეს ყანასა. 864

ასლო, ადვილათ სამკალო, სახოვეთ ბარაქიანო,
წისქვილის ამომგდებლო, საჭმელათ თავლაფიანო. 865

ბიჭები მკიან ყანასა, ნარიანსა და ჩალასა,
სიცხეს შეუწუხებია, — ველარ ატანენ ძალასა. 866

ბიჭები მკიან ყანასა, ნარიანსა და ჩალასა,
უყურე ობლის ყანასა: ქოზი და ქოზი უქნია,
ფათალო გადახვევია, თავთავი ველარ უქნია. 867

ბულბულმა თქო: გამიკვირდა, შაშვი რას მე წამეკიდა,
გამლანძლა და გამათრია, დიახ ავით მომეკიდა. 868

გამარჯვებული კახელი ყანას ქოჩორში სჭრიდაო,
დილიდან სალამომდისინ ერთი დღისასა მკიდაო. 869

გალმა ურემი წავიღე, კამეჩები დალექაო,
შენი გამჩენის ჭირიმე, ხელში მამე ჩარექაო. 870

გაუსვეთ, ბიჭო, ცელები: მუშა უნდა მუშაობდეს,
მეომარი ხმალს იქნევდეს.
გაუსვით, ბიჭო, ცელები: სუფრა უნდა ნადიმობდეს,
არალი და არალი!.. 871

გაგლესამ, ჩემო ნამგალო, თავი არ მამიკვდებო,
გაგიტან მამითაღშია, თუ გასჭრი, — გაგიჩნდებო. 872

გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო,
ნამგალო ჩემო რკინაო, გასჭერ, გამიძებ წინაო. 873

დავბრუნდი და დავტრიალდი, როგორც წისქვილის ჯარა,
დედამ რო შვილი გაზარდოს, ე მაგრე შენისთანა. 874

გაქო, გაქო, როგორ გაქო, თეთრი მდევის ღონე გაქო,
ომში შეხვალ, ხმალ მოიჭნევ, ბუმბულივით გამოგაქო,
შენი ნახოცი ლეკები ახალციხეს ჩამოაქო. 875

ვაი რა ბედი დავკარგე გასათხოვარმა ქალმაო,
ჩიქილა წყალმა წამართვა, თავს მოსახვევი ქარმაო. 876

იარე, — მოგეწევიან, თავი ნუ გემარტობა. 878

იარე და მოდი მნახე, თან წამალი მომიტანე,
მოგკვდე, — ტკბილათ დამიტირე, ცხარე ცრემლი დამაყარე,
ცხრა ნაწნავი გიშრის თმანი მხარ-ბეჭებზე დამაყარე. 879

ივანობასა ცელი მანასა¹⁾, ნამგალი შუას ყანასა. 880

ის ოხერი ტურის ციხე, — ციება და კაცის ჭირი,
ყმაწვილები არ გოუშო, ბებრებს დაუხია ცხვირი. 881

მაინც არ მოგკლავ, ტოროლავ, თუნდა გამიხდე წამალი,
საწყალის ღამის მეხრისა შენა ხარ იმის მამალი. 882

მთაში ქერმა სთქვა მარათმა²⁾; აზნაური ვარ ბარათო. 883

მინდვრის მიწა მოეხანი, დაეთესე სელი,
სათიბლათ წაველ, ავიღე ცელი,
თიბა დაუწყე, მომწყუბიტა წელი. 884

მაშინ დამძახე, გუგულო, მუშა რომ დავაგუგუნო,
გვერთ მოვიდგა ტიკით ღვინო, კულა რომ დავარუკრუკო. 885

მოდი, მოუხე კუდასა, ბატონი გხურამს ქუდასო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს, ნუ შაგაკლდება გულსაო. 886

მოვიდა სალამოველი, ბიჭო, მოუსვი, რაღას მოელი! 887

ნამგალას ბიბინაურსა პირი მიუგავს ღულასა,
ორსავე ერთათ გამოიტანს, — ხელეურსა და ულოსა. 888

1) ადგილის სახელი.

2) ერთგვარი ქერია, ოთხკუთხიანი თავთავი აქვს.

მომკალი რასა მოეკლა? ნარსა და გვირილასაო,
სათითე ნარსა ეკიდა, სამკლავე გვირილასაო. 889

მოუსვი, მოუცურდება კალმახი ორაგულზედა,
კარგია, ქალო ლამაზო, შენი გორება გულზედა. 890

მუშა უნდა მუშაობდეს, ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა კობტა ბიჭი უნდა ქალაქს ფალავნობდეს. 891

ნათლის მამავ, შენი სიტყვა არას მამწონს არაშია,
ხელადას ხელი მავლე, გაიქეცი მარანშია. 892

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგელი მოჰრია, ნაპირი მისცა ტყიანი,
მე და შენ ტყეში შევიდეთ, ყანები დარჩეს ტიალი. 893

ნეტავი რათმე მაქცია, ბულბულათ გადამაქცია,
ქალ, შენი ბალი გვიჩვენა, შენ ვარდებს შემოგვაჩვია. 894

რათ ვერ გაიგეთ, სოფელო, ქალი გავთხოვდი ანაო,
გვირგვინის ქმარი გავუშვი, მხარზე გავუდე ჩალო. 895

როსტომ სთქვა: ყველა დაფრინავს ბუზი და ბუზანკალია,
ყანას თუ კაცი არა ყავს, დარჩება მოსამკალია. 896

ხადაა მეძნეურები, დაიწყო ხელეურები! 897

ხადაც დიდი კუდილო, შავი ბიჭი ჰყუდილო,
თუ იმას არ მივეშველე, იმის საქმე ცუდილო. 898

სათიბელი მივკიდე კარსა ვენახისასა,
მისუღიყო, ჩამოელო ქალსამეზობლისასა. 899

სახნის-საკვეთი, ჯამბარა, ბუთიაშვილმა დამპარა,
დაიქცეს იმის ოჯახი, უხნავ-უთესი დაგვყარა. 900

ქალებო, თქვენი ქმარები როგორ არიან თქვენზედა?
— ისრე არიან ჩვენზედა, როგორც მიმინო მწყერზედა. 901

ქალი არკვევდა ნარკვევსა, ტურთად უქცევდა ცხრილსაო,
ომი არ გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო. 902

ქალმა თქვა გასათხოვარმა, მე ბედს არ დაეიკარგავო,
წავალ წყლის პირსა დაფჯდები, საყელოს მოვიქარგაო,
ცხრას გადვივლი მთასა, იქ ვიშოვნი ქმარსაო,
ლამაზ ბიჭსა, მშვენიერსა, წითელ ქუდიანსაო. 903

ქალმა ქისა შამიკერა, ქისა დალიანდაგული,
მანამ მქონდა, მიხაროდა, დავკარგე და — დადნა გული. 904

ქაჩალმა ქაჩალს უამბა, — შენ რაღათ გინდა დალაქი,
შენ თავზე ბევრი მოსულა შრიანარევი ბალახი,
ვასათიბავათ მოდიან ავლაბარი და ქალაქი. 905

ქორო, ფრენა ვინ გასწავლა, შავარდენო ნადირობა,
გლებო კაცო — მუშაობა, თავადებო — ნადიმობა! 906

ყანასა ბადალოვანსა არ უნდა დახედულობა,
თავში შამოკვრა ულოსი, ბოლოში გახედულობა. 907

ყანა უმკალი ნამკალი, ძნა შეუკრაფი რჩებაო. 908

ყანას უნდა ბავა-ბუგი და მთანი გადასავალი. 909

ყანაო, ყანაო, შენ აქ ვინ მოგიყვანაო?
— ხარმა მხნა, მუშამ დამთესა, უფალმა მომიყვანაო. 910

შენ ბიჭო ანაგურელო, ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა ჟღერიალი წყალგალმა გამოდიოდა. 911

ჰერი, ბიჭო, მუხრანელო, რასა მთხოვდი მუქარასა,
ერთ ორასა მოგერევი, თავს მოგახვევ სუდარასა. 912

ძირში მოუსვი ნამგალი, თორემ თავთავი სცვივაო,
ნუ აკოცებ სხვისა ქალსა, ცრემლები გადმოსცვივაო. 913

ხელეური და ულოვო, შენ გაიხარე გულოვო. 914

მუთანგი, ურემგი

ანეულისა გუთანსა ჯამბარა უნდა რკინისა,
დარჩეული გუთნეული, შიგ მესრე ედგეს რკინისა. 915

ალაგერდამ¹⁾ დაიძახა, მე დავაბამ გუთანსაო,
წინა ხარმა დაიძახა, მე დავაყრი ძალასაო,
კამეჩებმაც დაიძახეს, აუტირამთ დედასაო. 916

აჩეჩამ უთხრა გუთანსა: „პატარა პური მიტეხე!“
— მაშინ სად იყავ, აჩეჩავ, როცა ახოები ვტეხე! 917

გამარჯვებულმა გუთანმა აჩეჩას პური სთხოვაო;
მამშივდა, გამამიგზავნე, გადახდა შამიძლიაო.
— საკრეთლით მოტეხილი ხარ, არ გირევია სატეხე,
სულ რომ ნამბილი არა ხნა, ერთხელ ყამირიც ვატეხე! 918

ასსა ურემსა დავუდებ, ორას ულელსა ხარსაო,
მიდის და მიაკრიჭინებს, მიამტვრევს კოფო ქალსაო,
მივალ და იქ ჩამოვხდები დიდი მეუფის კარსაო,
ლიტრას აბაზათ გავყიდი, — უყურე მოგებასაო? 919

ადექი შავო მერცხალო, დაჰყე ალაზნის პირსაო,
თოფ-იარალი გიხდება, საპირიწამლე რქისაო. 920

გაფრინდი შავო მერცხალო, გაჰყევე ალაზნის კვალსაო,
ომი არ გაუჭირდება შენი დედმამის შეილსაო. 921

¹⁾ იონჯის მსგავსი ბალახია, გრძელფესვებიანი.

ადრე აუდექ ხარებსა, მამუა ხარებშია,
გადააბრუნე ლამაზი, აკოცე თვალებშია. 922

აცალე და დამაცალე, კახო მამაშვილობასა,
კოდი პური თუმნათ იყო, ვინ იტყოდა ძვირობასა. 923

ბაბუღაის ნადირამ ფათა ჭამა და პურიო,
ნაკნავჩი ჩასხნა მუცელნი, სახლს აღარ უგდა ყურიო. 924

გამიშვი გათენებულა, თავსა ნუ მამაკვლევინებ,
მოსულა დილისა ბაბუი, კვალსა ნუ მამაკვლევინებ. 925

გადი, გამოდი გუთანო, პატარა მეხრეს უხანო. 926

გუთნისდედას რა აცხონებს, თუ არ შავა საყდარშია,
კარგ დღეში კი თითონა ჰხნამს, მეხრეს უხნამს ავდარშია,
შავი კამეჩების ცოდო უხვევია კალთაშია. 927

როცა რომ ხენა-თესვით გაძლა, — წადი, ბიჭო, ეხლა ხანიო,
ამიტანა გომბორზედა, იქ გამივლო ერთი კვალიო. 928

დაბუაშვილო ლელაო, ეგრე რამ გაგამგელო,
გუთნის ჯერი არ გეყოფა ერთი ქოთანნი წველაო. 929

დასაქციევი გუთნისდედა, ძირ-ძირ გამოიყურება,
გამომივლის, ჩეკს წამომკრამს: „გასწი, ხარო, არ იქნება!“ 930

დეკეულო, ფურის შვილო, ფურის ძუძუ გიწოვნია,
აღგეთისა წყალი გისვამს, ნოშროველი გიძოვნია. 931

კამბეჩი მყვანდა ნიკორა, ვაჭებდი, არა იყო რა. 932

ადგა და ლალა წავიდა, დაადგა ძროხის გალასა,
წინ შვინდა შემოეყარა: „დაგეჭიდები ამასა.“
მაიქედურა ლალამა, გვერდი დაჰკრა ალაგასა. 933

კამეჩო, შენი გვერდები, უსიამოვნოთ ბერდები,
გადაბრუნდები მოჰკვდები, ცას ხომ არ შეაბერდები. 934

შავო და ბნელო ივანე, ვერ ამოუხველ სევდასა,
გადაგიბრუნდა ურემი, შენ წამოუწექ ფერდასა. 935

ერთი კამეჩი ვიყიდე, ის გასახეთქი მგლისაო,
ოცი ტაბიკი გატეხა, ორი ოც-ოცი წლისაო,
ოცი სახრე დავამტვრიე სულ იფნისა და ზნისაო,
კამეჩი იქავ მივგვარე ფარსად გურგენიშვილსაო;
კამეჩი რო დაინახა, გვერდზე არიდა პირსაო.
იმათ ბანში ჩავიხედე, — ქვაბში ხარშავენ ვირსაო,
ძაღლები დაუხოციათ მამაძაღლ ყასბებისაო. 936

დავწყევლო, აღარ წავიდე მე იმერეთის გზაშია,
იქ რომ ვიყიდე კამბეჩი, იმან ჩამაგდო ვალშია.
ავდექ, ქალაქ წამოვედი იმ სიცხე კათათვეშია,
ლართის კარს რომ მოვატანე, მამიკვდა შუა გზაშია. 937

კამბეჩმა ზაქი მაიგო, ურქო, უკუდო, უყურო,
ეგ რომ უღელში შევაბა, მე ამას როგორ ვუყურო. 938

კახურ მეურმეს აქებენ, უბია ქრელი ხარები,
გადააბრუნა ურემი, სულ დაამტვრია ქალები. 939

ჯავახეთს ერთმა ბებერმა კარები დამიკეტაო,
შიგნიდამ გამამძახოდა, თვალები დაგიდგებაო. 940

მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავითა,
ჭერის პური და კალმახი წინ მეყარა ბზესავითა.
იქ რომ ქალი თამაშობდა, სახელად მზექალ ქვიანო,
ერთი ბიჭი, ერთი გოგო თამაშობით მოდიანო,
ბიჭიც მოვკალ, გოგოც მოვკალ, სახელიც ამას ქვიანო. 941

მიტომ მიყვარს ჯავახეთი, ტაშირი და ვაკეაო,
დიდი ფური ბევრს იწველეს, დეკეული მაკეაო. 942

ნიკორასა და ლომასა მოვაგლეჯინებ გორასა. 943

ოროველა და გოგია, — მოხან პური და მოგივა. 944

ჰატუ კამბეჩო რქიანო, შენი მეუღლე მქვიანო. 945

რათ მამკალ, მამულ ტიალო, რა კაცი დაგელოდა,
მამკალ და რაღათ შამჭამე, რა ლეში დაგელოდა. 946

შახნისს უნდა ორი ალო, — საუდაბნოს იარება,
საკვეთელსა ნახევარი, — ზეზეურათ იარება. 947

ტყეში ხარები გავრეკე, იმას მოვუბი სათარი,
უკანიდგან მომეპარა ის დასაქცევი თათარი,
ხარები იმან წამართო, იქავე დარჩა სათარი. 948

უკანა მეხრე უკულმა მცხეთის საყდარზე სწერია. 949

ქალმა სთქვა გასათხოვარმა, ნუ გამათხოვებ დედაო,
თუ მიმცე, ასეთ კაცს მიმეც, რომ იყოს გუთნისდედაო. 950

ღმერთმან იცოდეს, გუთანო, შენი მოდევნა ძნელია,
რაცა კაცი მუდამ მოგდევს, იმისი პური ძველია. 951

[სხვის] ცოლის მდომელს ვაჟკაცსა სამოთხე დაეკვეთება,
ცხრა ადლი ნაგრეხი ჯაჭვი კისერზე დეეკიდება,
ვერ უპოვნია სამოთხე, დადის და დაეხეტება. 952

შენ გენაცვალე, გამჩენო, რა და რა უნდა გვაჩვენო,
ახალთესული ყანები სალხინოდ უნდა გვაჩვენო. 953

შენი ჭირიძე, გუთანო, მა შენი მრუდე ყელისა,
პური და ღვინო შენ მოგდევს, დამძველებელო ქერისა. 954

ხარებში უნდა წავიდე, სამძიმარს ვეტყვი გლონასაო¹⁾,
საყევრის ხარი მოგიკვდა, შენ ნულარ შეიქ ბრძოლასაო.
— ნუ გეშინია, პატრონო, კიდევაც შევიქ ბრძოლასაო,
ათას ლიტრას შინ მოგიტან, სტილი არ აკლდეს წონასაო,

1) კამეჩის სახელი.

ჯიბეში ფული გეყაროს, დადევდე თარაქამსაო,
ეცადე, გამოიყვანე, — ერთი ხარი ყავს მოლასაო. 955

ხარმა სთქვა: მეხრემ შამაბა დაუბანელი ხელითა,
დამკრა და შემომავინა თავის ურჯულო უნითა. 956

ხარმა სთქვა: ხარი ვერ მამკლავს, თუ მეხრე მიზის ღვთიანი,
თუ მეხრე უღვთო შემხედება, რას ვიქმ უენო რქიანი. 957

ჯამბარამ სთქვა: ჩემი ჯაფა ურიასამც დაადგება,
ავდარში გავიძაბები და დარი ცეცხლათ მედება. 958

კალოუი, რთიველუი, ტივიგი

გენაცვალე, ქერის პურო, ანაცერო დიკისაო,
ქალო, გქონდეს შებრალება პირტიტველა ბიჭისაო,
გაუცინე, გააცინე, მისთვის შენ რა გიჭირსაო. 959

დალოცვილო, ქერის პურო, ანაცერო დიკისაო,
მოდი, ქალო, მაკოცნინე, რა ძალიან გიკვირსაო. 960

აღმასი ფანჯარაზედა, ქვეშ შევარდენი ბუდობდა,
არც არა ჩემი ბრალია, — სულ შენი გული მრუდობდა. 961

გადაბრუნდები, მოკვდები, მიწა შეგქამს გრილიო. 962

დალამდა და დაჭკრა ბინდმა, ცოლეურთან მიდის ბიჭი,
ლამესა ეუბნებოდა:

ამაღამდელი ღამეო, ნუ გათენდები მალეო,
საყვარლის უბეს ვეხვევი, გელარ ვიშოვი ხვალეო. 963

ნეტავი შენ ლულუნელო, მალლა ზიხარ, ლულუნებო. 964

წინდა შეცვა მეშისა, ქალამანი ხეშისა,
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს ეწმაკების ფერხისა. 965

ხარი ხნამს, ფური იწველის, მოზვერი ლეწამს კალოსა,
 მოდის, მოზვერო, კალონი, თვალ ფხითა აგემსებაო.
 „ნეტავ მოვიდეს კალონი, საბძელი აგვემსებაო“. 966

მინდორშია დამეძინა, დამეხვია ჭინჭველა,
 ლამაზ ქალსა ჩავუგორდი ქვეშაგებში ტიტველა. 967

ქალო, ეგეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირიო,
 ნეტავი გამაგებინა, იაფი ხარ თუ ძვირიო. 968

შე ქალო, ასე თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირია,
 თვალწარბი გადაგხატვია, მთვარეს მიგიგავს პირია,
 ნეტავი შენსა პატრონსა, შენთან მოუვა ძილია! 969

მოდნი ყურძენი მიირთვი, თითა და ბუდეშურები.
 — მაგისტვის არა მცალიან, მივდივარ, მივეშურები. 970

სატივოზე ტივი შევკარ, ფიჭვი იყო ნაძვის ხისა,
 ზედ ორთაყვირები დავასხი მაშხალა და ნაძვის ხისა. 971

ახაშენს შეკვრუნ ტივსაო, ჩვენც დაგვიდებენ წილსაო,
 მამასახლისი გვიცემეს, უყურე ძაღლის შვილსაო. 972

გორი ჯვრის წმინდა გიორგი, გადმომცქერელო ტკვრისაო,
 მეტივე ბევრი ჩამოდის ქარელისა და სკრისაო. 973

მეტივე და ყუდრო ჭალა, ჩიბუხ დაატანა ძალა,
 თითონ ტივი წაახდინა, მებოლოვეს დააბრალა. 974

სუფრული

ღმერთო, ერთობით მიცნისარ, ჰო, ჰო, ჰო, ჰოი, არ დამიწყვიტა
ლონება, ჰო...

ნუ მიმცემ ჰილწსა ეშმაკსა, შენ მომეც ჭკუა-გონება!.. 975

ოცდახუთს ქრისტისშობისა ქრისტე დაბადებულაო,
ბეთლემისა ქვაბს შინა მარწეველნი არწევენო,
ტრედნიც ლულუნს ეტყვიანო, ანგელოზნიც გალობასა... 976

უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ ჟამი არას დროს იწირვის,
არცა რა მერცხლის ჭანკითა არწივი არ დაიჭირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს, ცუდია რასაც იჭირვის!.. 977

ჩიტი შემოჯდა ლობესა, იძახდა ქიშმიშობასა,
ღმერთმან მრავალი დაგასწრათ აღდგომა-ქრისტისშობასა!.. 978

მიშველე მიქელ გაბრიელ, ეშმაკმან არ შიხუმროსა,
არ ჩამაგდოს ჯოჯოხეთში, კარი არ მიმიხუროსა და!.. 979

ადიდებულა ტალაო, თან მღვრია მოატანაო,
ამიგურგულა წამილო, შუა წყალს შემიტანაო,
ვახსენე ანდრია წმინდა, კიდურს გამომიტანაო და!.. 980

მე ხომ არა ვარ ხუცესი, რომ წამოვისხა ფილონი,
მოღით და ტკბილათ ვილხინოთ, ნათელს შევესწიროთ მირონი! 981

ზეცად დაიკრა ნალარა, სამხრეთი აიყაროსა,
სამას სამოცდა ხუთი დღე სრულ ერთ დღედ მოიყაროსა! 982

რად არა მღვრნით დარბაზნო, დარბაზნო ვ*, და ჰაი ჰა ვ,
სრულ აზნაურთა სავსეო... ჰარალალი ეგ ლალები, მოგკვდე,
რად არ გებრალეები, გებრალეები და ჰაი ჰა... 983

*) ციფრი იმის მაჩვენებელია, რომ ის ნაწილი იმდენჯერ მეორდება.

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში 3
 ლხინსა და ლხინის სუფრასა და ჰაი ჰა... 984

სახლო საკეთოდ ნაშენო 3, ზედ გამართულო ბუხარო 2,
 შვილი მამას ეუბნება, შენ გამეცალე, ნუ ხარო 2 და...
 შენ რაღას იტყვი, სტუმარო, სიმართლით სწორე უთხარო 2 და... 985

იდუმლის კოშკო მალალო 3, სასეირნოდ ზედ დგახარო 2,
 მოწყენილთ გულსა გაუშლი, მახარობელსა გავხარო,
 ქვეშ ქალნი მოგისხდებიან, შენ, ჩრდილო, სითკენ წახვალო და... 986

ს ა ლ ხ ი ნ ო

მასპინძელსა მხიარულსა 3 ჰყავს სტუმრები სასურველი 2,
 მრავალი აქვს ღვთის წყალობა 3 საწუთრო და სამწყურველი... 2 987

თუ მასპინძელი მოილხენს, სტუმარსაც მოელხინება,
 ზრდილობა და კარგი გული სამოყვროდ მოეხილება!.. 988

სუფრა ვარდითა სავსე არს, ზედ მიწა ჩარიგებული,
 მო ლხინი ვნახოთ ღვთის მადლსა კარგი და გარიგებული,
 თვარემ წაგვივა სოფელი, ასრე არს დარიგებული!.. 989

სუფრაზედა ძვალი ვნახე, თეთრის კბილის განახარი,
 მომაგონდა ტკბილი ღღენი, გვყავდა თამარი მახარი,
 აცა გულო, ნუ მოკვდები, კიდევ ვნახო განახარი!.. 990

დავესწარი ცის გახსნასა, ქვეყნების დამყარებასა,
 ხისა ფურცლის გამოხმასა, ხილნარის აყვავებასა,
 შენ რომ თვალით დაგინახე, ნეტარ ჩემს გახარებასა!.. 991

ვინ დაღვეს მარნეულ ღვინოს და!.. ვინ დაღვეს მარნეულ ღვინოს
 და ჰერი ჰარაღალო ჰარაღე, ძმაო, ჰარაღე, ვინ არაკრაკამს კულასა...
 მე დაღვევ მარნეულ ღვინოს და 2, მე ვარაკრაკამ კულასა, ჰერი... 992

მარნეული ღვინო მისვამს და 2, კულით მირაკ... და... რაკებია, ჰერი...
შენისთანა ბიჭ-ბუჭები და ბევრი მიკანკალებია, ჰერი... 993

მასპინძელსა მზიარულსა ხავს სტუმრები საყვარლები,
ღმერთო, მასაც ნუ მოუშლი, რაც რომ ხავდეს საყვარლები.
ამზიარულე სტუმარი, გულჩახოული ნუ ხარი! 994

გაზაფხულ ქალაის პირო, პირი ამოყვა იამა,
იმ ღმერთმა დამბადებელმა, მე თქვენი მოსვლა მიამა! 995

მასპინძელ კარგა მასპინძლობს გულითა მზიარულითა,
ახალი ჩექმა გაცვითა სუფრაზედ სიარულითა. 995

ჩვენო მასპინძლის კარ წინა ხევანი ამოსულიყო,
ზედ ბუდეშური დაესხა, საჭმელად შამოსულიყო. 997

მასპინძელო, ჩვენო ღვინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
აგვიხადე უხვად ქვევრი, ყელი ჩავვიმაჭრიანე. 998

კახურო ღვინო წითელო, ყელმოჭედილო კულაო,
დაგვისხი, დაგვაღვივინე, ნუ გაჩერდები ტყულაო. 999

ნინო, ნინო, თასით ღვინო,
მამიტანე, მოვიღვინო. 1000

რას კითხულობ, შენ ეს ღვინო დალიე,
სხვასაც სწყურის, ნულარ დაახვალე. 1001

დალიე და მიგდე ხელში,
შერე თვალი დაუჭირე, როგორ ჩავაფარო ყელში. 1002

ვასუჭებული მოზვერი აღარ გვიჭამდა ჩალასა,
ერთი მეც დამალევინეთ, ნუ გაშლით ხათაბალასა! 1003

ღობეზე ჩიტი შამოჯდა, იძახის ნინო, ნინო,
კარგი ოჯახის შვილებო, დამალევინეთ ღვინო. 1004

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიარალი,
დღეს მოგვეცა შვება ჩვენა, თარიარალი! 1005

ადე, ადე აბულაო, თეთრად გათენებულაო,
ვარსკვლავი ამოსულა, თვარე დაშვენებულაო. 1006

ანავო, ქალო, ანავო, ხელ-პირი დაგებანავო,
შენი პირსახის ნახატი ცივ წყაროს ჩამომდგარავო,
შიდ დიაკვანი დამხჩვალა, საბრალო დედის ერთავო. 1007

შენ მირაშხანო მწვანილო, წალკოტ მტილ მიწებიანო,
გარედ გამოვალ, შენ გიმზერ, შინ შევალ მიწყრებიანო. 1008

ჭაჭკარს ვნახე სახლი კლდისა და წალკოტი ალაგურსა,
იქ რომ ქალი თამაშობდა, გაუშლიდა ბევრ კაცს გულსა. 1009

უდესა ქუდი ბრუდია, ფერხული შვენიერია,
მუცელ ცარელ და კოხტა პირთეთრნი მჩენიერია. 1010

დადიანმან ცხენი მომცა, გურიელმან უნაგირი,
ისე ცხენი არ მიყვარდა, რომ წითელი უნაგირი,
ათ მარჩილად ცხენი ღირდა და ორასად უნაგირი. 1011

კარგი ხარ კარგო ყოფაო, ბევრო ცხვარო და ზროხაო,
სამწუთროდ სანახევრო ხარ, წამოსასხამო ჩოხაო. 1012

ბებერი რომ დაბერდება, ამოუჯდება კერასა,
ნატეხ პურს რომ ველარ შესკამს, მრთელსა დაუწყებს
ცქერასა. 1013

ბეჟვა წავა სანადიროდ, რა ვჰქნა და 3, წაიყვანს ყმებს ყველასა
და ჰაი...
ჯერ გააქცევს ირემს ხარსა და მერმე უწყებს სტვენასა
და ჰაი... 1014

ბეჟვა გაწყრა, კიდევ წავა კორიანტელს და ლელვასა,
მოჰკლამს ირემს და მოიტანს, მიაართვამს იმას ლელასა
და ჰაი... 1015

შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ, შავი თოქალთო გიგია,
 კუპრის პერანგი გაცვია, ზედ ნავთის ღილი გიგია,
 გამობვეულხარ ფარხმალში, შუბლზედ აღმასი გიგია
 და ჰაი... 1016

შავო ყორანო, შავს კლდესა შავი ბუღბული ბოლომდის,
 გექამოს წუთისოფელი, გაგთავებოდეს ბოლომდის და ჰაი... 1017

თუში კიოდა მთაზედა, თახტრევან გალავანზედა და ჰაი...
 მოეკლა ორასი თურქი, ზედ დაეწერა ფარზედა და ჰაი... 1018

თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ, რას მიმზერ კარავანზედა, და ჰაი...
 ფებს დავკრამ, გადავვარდები თახტრევან გალავანზედა,
 და ჰაი... 1019

თოფო, მაშა მოგეშალა, ჟანგი მოგეკიდა პირსა,
 მთას ნადირი არ გაუშვი, სრულ აქ ჩამოყარე ძირსა და ჰაი... 1020

აღარა შესძლებია—რა კალარა შერთულს ბერსაო,
 ხელდახელ დათვი მოუკლამს, ემუქარება დევსაო, და ჰაი... 1021

სამი თვე შავმან მანწყვდია, მარტი, აპრილი, მაისი, და ჰაი...
 ცოცხალმან დათვი შეეჭამე, ვაიმე წამწყმენდს მე ისი,
 ცოლის ქორწილსა მოვუსწარ, რა ბედი მქონდა მე ისი,
 და ჰაი... 1022

ახალ-ახალი მეთოფე კაცს არად გამოადგება,
 იყიდის ტყვია-წამალსა, ყელამდის ვალში ჩადგება,
 ვაჟიკაცობა კარგია, მაგრამ შალურებ გაცვდება,
 პურადობა სჯობს ყველასა, განძი გაქვს,— შვილსა დარჩება,
 და ჰაი... 1023

მე ქვეითგან წამოველი ქიზიყის ბოლოდანაო,
 ქიზიყნი მეუნებოდენ, წინ ლეკი დაგიხვდენაო.
 ნეტაი ლეკი შემყარა, იმ ტაშირ ვაკეზედანო,
 ნეტაი თოფი ხელთ მომცა, ჩახმახზედ მიმეტანაო. 1024

მთად თოვლო, ბარად ყინულო, გალხვი და გადმიშვი შინა...
დალალო და ჰაი...

წახველ და არ წამიყვანე, მარტო გამიშვი მე შინა...
რა გენაღვლა წაგეყვანე, მომდგარი მტერი მე შინა...
შენ შვილდ-ისარი გესროლა, მე ხმალი წამომეშინა...
დალალო და ჰაი... 1025

ჩამომეხსენ არჩილ მეფევე, ომს დაგიდებ ძალიანსა, დალალო...
მოგეწევი, ხვალს შემოგკრამ, ისარს, გესერი შხამიანსა...
ნათარსა სულ დაგიფანტამ, ალიანს თუ ჩალიანსა...
ცხენ-ჯორებს დაგაყრევენებ, ძუვა-ნალებ ლალიანსა, დალალო
და ჰაი... 1026

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი, ალვის ხის ჩამონათალი...
დადეგ წყალო და მიამბე მოყვრისა შემონათვალი...
„შენი მოყვარე ტანწვრილი შუა გზას ვნახე დაჭრილი...
დავჯეგ და ბევრი ვიტირე, ზედ მივაყარე ქვა წვრილი!“
დალალო და ჰაი... 1027

ზედაი ქვეშას აყრიდა სულდალეული ვადასა...
სისხლში დასვრილი პერანგი ვერ გაგირეცხე, ვაჟ დასა! დალალო
და ჰაი... 1028

ეს რა ენახე საკვირველი, ყინულის კაბას კერებდენ...
ფიფქსა უდებდენ სარჩულად, ზღვასა ნემსითა სწვერებდენ!
დალალო... 1029

ყაფლან შიდის ომშია, ჰარალო ჰარიჰარალო 2, მოსვლაა ხეთისა
ხელშია 2,

ან მოვა სააღდგომოდ... 2, ან საამაღლებოდ... 2,
ამაღლებაც გავიდა... 2, ყაფლანი არ მოვიდა... 2,
კოლი აღის კოშკშია... 2, ქმრის დასანახავად... 2,
დაინახამს მსახურსა... 2, შავად შემოსილსა... 2,
მსახურო და ერთგულო... 2, ყაფლანისას რას მეტყვი... 2:
„ქალბატონო, ყაფლან მოჰკლეს... 2, მოჰკლეს და დამარხესა... 2,
კუბოს გვერდით მისდევდენ... 2, ორნი აზნაურნი... 2,
ერთს მიჰქონდა ჩაჩქანი... 2 და მეორეს ფარხმალი... 2!“ 1030

არ შეგერჩა, აჯი ჩაღაბო, ჰაპა და ვაჟო ჩაიაღაბო და ჰო ჰო
 ჰოი ჰაპა და...
 ვაჟო ჩაიაღაბო და დარბევა მთის და ბარისა! ჰაპა და ვაჟო
 ბაიარისა და...
 გამიგონია ხიანი... ქალო, შაგ შენის ქმარისა... 1031

დავბერდი, მშვილდი ძირს დავდეგ, მალლა მთაში ძეგს სადამე,
 დაღპება, ქერქი გასძვრება, არ ნიაღგება მზე სადმე... 1032

ჭარელი ჭარელს შეება და 3, თოფები შეიახალესა,
 ერთი ბატარა ჭაიარელი 3 გულალმა გადმოშაიალესა.
 შენ ჩემს ჭარელს ვერ მოჰკლემდი 3, შე წუწკო გულლა-
 დაიარავო... 1033

შე კაცი ვნახე ბოგელი, ღვთისა და კაცის მგმობელი,
 იმას რომ ძადლი დაეკლა, თავის მკვდრის შესანდობელი,
 ხორცი ხორცად მოეხარშა მყრალ ყიას ჩასადნობელი,
 ტყავი გულად გამოელო შიდ ყველის ჩასადებელი... 1034

ჟაშა ჩამოხდა ხანდოსა, ხანდოსა არა ნიჯგორსა, ხანდოსაია!...
 აგდი და გოგდი, შენთვის მოვკედი, სია და სამურ სანჯად
 მეფევე, ყელყურ კაკაბო...
 კარგისა მასპინძლისასა ხანდოსა, ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა,
 ხანდოსა... 1035

სიმღერას ბანი ამშვენებს, ხანდოსა, წალკოტსა ვაშლი წითელი,
 ხანდოსა...
 ფერხულსა ქალი ლამაზი, ხანდოსა, კაბა ჩაეცვას წითელი,
 ხანდოსა...
 ვაჟკაცსა თოფი და ხმალი, ხანდოსა, მოემწითუროს კისერი,
 ხანდოსა...
 შესტვირეს კარგი ლექსები, მოწყენილთ გულის გამშლელი,
 ხანდოსა... 1036

შენ ერისთავო 3, დიდის მთისაოიოიო...
 წყალი ჩაგიდის 3 არაგვისაოიოიო...
 არ კი გეტყოდი 3, ჩემო ბატონოიოიო...
 ყიდვა ნუ იცი 3 შენის ყმისაოიოიო...
 ბევრი გაყიდე 3 ქალი და სძალიოიო...
 გარდახატული თვალწარბ-თმისაოიოიო... 1037

ქალნი ქართლით გადმოსულნი, თუდა 2... ახალ დაბას
 არიანო, და 2...
 ერთსა ჰქვიან მზე და მთვარე 2... და მეორეს მარიამო, 2...
 და მესამეს, ჩემსა მკვლელსა, ყელს გიშერი აბიანო... 1038

ხევსურნი ჩამოდოდენ 2... დიასამიძის ქალნიო...
 ქალნიო, ძმა და ქალნიო, დიასამიძის ქალნიო...
 ესხათ ოქროს საყურენი 2... უყლრიალებდათ ქარნიო, 2...
 ნეტავი მათთან მამყოფა 2... არ მომეშორა თვალნიო... 1039

ხევსურის ოქროს ლოგინში 2... შიდ სამნი დანი წვანან, და 2...
 არ ვიცი, რომელს შევჰყვარდე 2... სამნივე ერთმანეთს
 ჰგვანან, და... 1040

ბინდია ესე სოფელი, ბინდი მე 2... ბინდის ფოფალ დუშხალალ
 შენ, ქალ, თუ შენა, ქალ, თუ დადნა გული ახლა, იავ და
 ვარდო... 1041

უფრო და უფრო ბინდდება, ბინდი მე 2... ბინდის ფოფალ
 დუიუშხალალ
 შენ, ქალ, თუ შენდა... ქალ, თუ დადნა გუიული ახლა, იავ
 და ვარდო... 1042

ჩანგნი სმენ მელნისა ტბასა 3, შიდ ორაგული ცურამსა,
 რა გინდ რომ ბევრი მაწყინო 3, ეს გული შენკენ
 ბრუნამსა... 1043

რად ვასდევ წუთსა პეპელას 3, გაგვიფრინდება, წაგვივა,
არ გვარგებს ხორცი ხორცადა 3, ტყავი არაფრად გაგვივა,
ასრე არს წუთისოფელი 3, გაგვითავდება, წაგვივა... 1044

ლელა წავიდა სირგესაო, ბეჟვამ თქვა თუ 2, ბეჟვამ თქვა,
რისთვის მომკალ ლელავ თუ, ლელავ, ბეჟვამ თქვა თუ, ლელავ
ლელავო...

თან გაყვა ქალთა ჯარია, ბეჟვამ თქვა თუ 2...
არასა ვჭამ ამ შვიდ წელსა, ბეჟვამ თქვა 2... 1045

დარეჯან, გაგათხუებენ 3, მიგცემენ ბერსა თაიათარსა, და
ჰარალე ჰარიჰარალე და 2...
დარეჯან, კაბას გიკერვენ 3, ატლასბაფთ ხასსა ფაიართალსა 2...
ცხენს შეგსმენ, წაგიყვანებენ 3, გაგატარებენ გზაიასა 2...
შეგიკვრენ შვიდსა ფიცარსა 3, შეგაცურებენ ზღვაიასა 2...
ჰარალე ჰარი ჰარალე და... შეგაცურებენ ზღვასაო და... 1046

ჯავახეთისა ხილია ატოლი და ღიმილი,
ისიც რომ გამოელევათ, გაუწყდებათ ღხინიაო. 1047

ჯავახეთო კოდიანო, მეპანტენი მოდიანო,
წინ მეჭიმუნე მოჰდღვის, თამაშობით მოდიანო. 1048

ჯავახეთს გუთანი მება, თრიალეთს მანჭუ მეჭირა,
ქართლითგან სადილს ველოდი, მეხრეებს თვალი ეჭირა. 1049

ამბობენ, გადმოქცევასა მალლა ქვიშხეთის მთისასა,
ამბობენ შიდ დატანებას სამოცის ხევსურისასა. 1050

ავაშენებ სანთლის გუთანს, შიდ შევაბაშ უღელ დევსა,
ზღვას მოვხნამ, ქვიშას დავთესამ, ხმელეთს ვინადირებ თევზსა. 1051

ჭი შენ ჩემო ვენახო, გარ სთვილი შემოგდებოდეს,
გკემდენ და გიბაჟუნებდენ, ცვარი არ გამოგდენოდეს.

მოგვლოდეს გულის სტუმარი, სირცხვილის ოფლი
გდენოდეს. 1052

მოყვარევ, მღურვით ნუ წახვალ, ვერ გასვი ღვინო ქასვითა,
ვერცა რა ისე გამომრჩით, ვერცა რა შენის ფასითა. 1053

ს ა მ რ წ ი ლ მ

ფრანთგან თურანს ჩაველ ახა ჰეჰეჰოჰოჰი, შენთვის მეწეოდა
გული, ახა...

შეციერმან დაგიმკვიდროსთ... ერთმანეთის სიყვარული... 1054

პატარძლეულის ციხესა... გამოუთხრიან ძირსაო...
გამოიყვანენ ლამაზსა... ცრემლით დაჰბანენ პირსაო... 1055

სიძისა შავგვრემანობა... სიდედრს უმძიმდა, ნაღვლობდა...
ქალი ცხენს შესვეს, მიჰყავდათ... რაღას უშველის:
ნანობდა... 1056

აჰკიდეს ორსა აქლემსა, აჰკიდეს... ცხენი უნაგრიანია,
აჰკიდეს, ორნივ ზედ შესხდენ სიძე და ცოლის ძმანია...
თქვენი გამარჯობისა იყოს, ჯარო დარბაისელო!... 1057

მოვდივართ, მოგვიხარია... მოგვყავს წითელი პეპელა...
ქალი სძალი მშვენიერი... პირვარდი აღვა კეკელა...
თქვენის გამარჯვებისა იყოს, ჯარო დარბაისელო!... 1058

მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი... 1059

ალი მოგვყავს ქალთა მზეო, ღვინო შევსვით მარანზეო,
დაგვალამდა, წამოვედით, გამოვედით სუფრაზეო,
დავთვერით, ქული დავტოვეთ საინზე და სუფრაზეო... 1060

მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი,
ამიხვიეთ მხარი, გავიარო კარი!... 1061

ხემწიფევ, შენსა გვირგვინსა... ღვთისაგან ჯვარი სწერია...
კიდევ სწერია და სწერია... ვერ უკოცნია ხემწიფეს,
ყმაწვილია და სცხვენია...
თქვენი გამარჯვებისა იყოს, ჯარო დარბაისელო!... 1062

ნეტარი მეფის დედამას:... გვრიტნი უსხედან კერასა...
თემ ქვეყანა დახარიან, ულოცვენ კარგ ბედ-წერასა... 1063

მეფესა უნადირნია მშვილდ-ისრით, ხმალი უკრია,
მოუკლავს ხოხობ-კაკბები და ირემ-შველნი, ნუკრია... 1064

მეფესა უნადირნია არსიანის მთაზედაო,
მოუკლავს ხარი, ირემი, გარდუკიდავს მხარზედაო... 1065

ერთხელ იყო ავთანდილი, ტარიელისა მყარი,
მოგვემატა მოსამატი, ზარბაზი და ოჭრო მყარი... 1066

სახლო, ღმერთმან აგაშენოს, როგორც შიოს მარანია,
შვიდი ვაჟიშვილი მოგცესთ, პირზედ ესხათ ბალანია,
აგიყვანოს ცათამდინა, დაგნატროდენ ყველანია!... 1067

ცისა ცხენი მოგოგემდა და ხოლმანდულებდა 2, ჰერი ვაჟო,
ვაჭარ შივან და, ვაჭარ ჩიტი რას ქართულებდა,
ხიზაბაერის მინდორზედა და ხოლმანდულებდა 2, ჰერი ვაჟო...
ზედ რომ იჯდა ვაჟი კაცი და ხოლმანდულებდა 2, ჰერი
ვაჟო... 1068

ს ა ლ მ მ ზ მ

ყოვლად წმინდაო ცხოველო, მე შენ კარზეგან მოველო,
ზურგზეგან გუდა მკიდია, შენგან წყალობას მოველო. 1069

პირველათ ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრე ის წმინდა გიორგი, ყველაში წილდებულია.
ღმერთო, იმასაც უშველე, ვინც რომ წყალწადებულია,
შენი მადლით ჩვენა ვცხოვრობთ, ცა შენი აგებულია. 1070

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მალღი ღვთისა ოლარია,
წინ უდგას ოქროსა ტახტი, გლეხი კაცის მშველელია,
თავშია სხედან უფროსნი, ბოლომდინ მამშვენებელნი,
სუფრის თავშია ქორი ზის, სუფრის ბოლოში არწივი. 1071

შე დალოცვილო საყდარო, რად გინდა ორი კარები.
შადიან და გამოდიან თავსდახურული ქალები. 1072

წმინდის გიორგის კარზედა ხე-ალვა ამოსულაო,
ხედ გამოსხმია ყურძენი, საკმელათ შემოსულაო,
ჩვენის ბატონის ქალები საკრეფლათ წამოსულაო. 1073

წმინდის გიორგის კარებზე ხე-ალვა ამოსულაო,
ცხენსა ზის წმინდა გიორგი სიფიცხით ნიაჯ-ქარია.
ხელში უჭირავს მათრახი სამოცდა სამი მხარია,
რასაც გარდაჰკრა, გარდასწვდა, მაგის დაკრული მცხარია. 1074

წმინდა გიორგის შვენება შორს მიადგება გორასა,
შორით მოიყვანს მლოცავსა, გაიხდის თავის მონათა. 1075

აჰა, წმინდა გიორგიო, შეხტი შემოტრიალდიო,
გაიქეცი, კარს ეციო, — არა სჯერა ეს კაციო. 1076

ვარძიასა გაღვიხედე 3, ტურფად იდგა ქალი სძალი...
მორთული და მოკმაზული, წინ ესვენათ ხატი-ჯვარი. 1077

ვარძიას შეკვეთილი ვარ 3 ჩემის პურით და ღვინითა,
როდის იქნება მოვბრუნდე სიხარულითა და ღვინითა. 1078

ვარძიისა ღვთისმშობელმან ქმარი ავად გამიხადა,
არ მოჰკლა, არც დაარჩინა, საექიმოდ გამიხადა. 1079

პირმან დაგლოცოს ღვთისამან 3, ნაწილმან ბარძიმისამან,
ლოცვა-კურთხევამ მღვდლისამან და ბერმან ბარძიმისამან. 1080

წმინდა გიორგი ცხენსა ზის, ქვეშ უქრის ნიავქარია,
იაგუნდებით მორთულა ბარათაშვილის ქალია,
ღღეობისათვის ვილას სცალს, ვინც არ მგონია მთვრალია. 1081

ღმერთო, ნუ გამიროსხდები 3, ნუ მომკლავ ახალგაზრდასა
დედმამას დავსწვამ, დავდაგამ, ცეცხლს მოვუკიდებ ძმა-დასა. 1082

დავბერდი, დავუსუსურდი, წვერღ შემექნა ქალარა,
გარ ბატონს მოვძულეებივარ, ცოლშვილს უნდივარ აღარა,
მადლობა ღმერთს, უჭირველად რომ ამ ხნობამდის მომყარა,
ისეც არა ვარ მოხუცი, ველარ დავუკრა ნაღარა. 1083

პაპავ, პირი მოგიპარსავს, სალამაზოდ კისერია,
გამოიგლოვე საქვრივე, გჳარბობს თმაში გიშერია,
ტყეში ნადირს აღარ უშვებ, არ გრჩება ნუკრი შველია,
რატომ ცოლსა არ შეირთობ, ნეტა მითხრათ, რას ელია.
— ცოლი შევირთო ლამაზი, ვაჟ თუ არ წამიკაროსა,
სამეზობლოდ რომ გავიდეს, ულვაშ კოკობი ნახოსა,
მას გაუშალოს ბუმბული, მე ჩალა მომყაროსა,
მას შეუწვას ერბოკვერცხი, მე მხალი მომინახოსა! 1084

აღახვენ ბაგენი ჩემნი, ღმერთო სამებით ქებულო,
ჰაერთა ზედა საღტარი, დიდებით დამკვიდრებულო,
ადამიანთა ხსნისათვის განგებით მოვლინებულო,
არსებით ერთ-ბუნებით, პირებით სამრიცხვებულო.
ვისია მწვანე კარავი, მადლიდგან გარდმოხატული,
ღვთისა და მისი ნებითა მთვარე ხარ გამოხატული. 1085

ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, შენ რომ წიგნი მოგეწერა,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, წავიკითხე გარნა მეცა,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, ტკბილი სიტყვა რომ
 გებრძანა,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, გულსა ნათლად გარდამექცა.
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, ტკბილი ხარ და საყვარელი,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, ყველამ იცის გარნა მეცა,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, თუ გულით არ გიყვარდე,
 ჰე ჰე ჰე ჰა, დელივო დელია დელა, სასიკვდილოდ დანა
 მეცა. 1086

ს ა ს ი მ ზ ე რ ი

მანანა ჩაირამა, მანანა ჩაირამა,
 ქალო, შენმა სიყვარულმა მე სიცოცხლე მანანა,
 ჩაირამა ბებია, ჩაირამა ბებია!
 აბრეშუმი აღარ არის, ზამბა მაინც ბევრია,
 შაირი შემომელია, სათქმელად კი ბევრია,
 დავჯედი, წიგნი დავწერე, საკითხავი დიდია,
 დარდებიც გადავაყოლე, დევიფიცო ბედია. 1087

(მებრულად)

ჩაირამა გორგოლა,
 ოჩოგლთო მოგორა,
 ი შენი ოვო ქო რღოლა, ჩაირამა...

მელე მარიკია, მოლე ქაქუჩია,
 შური მე ვქიბინია,
 კარი გომინჯია!...

(ბართულად)

ჩაირამა გორგოლა,
 მიდღემჩი რომ მაგინო,
 მაინც უნდა გიქნა, ჩაირამა... 1088

გაღმა მარიკელა, გამოღმა ქაქუჩელა
 სულო რა ვქნა,
 კარი გამიღე!.. 1089

ტაშა, ტაშა, ტაშა ხელეზსაო, დოუნაგრე ცხენეზსაო,
 მე ყვავილი მიკრეფია, ისიც წყალში ჩამიყრია. 1090

წყალი მდღვია, ქალი კივა, ქალსა ვაჟი ხოლებია,
ვაჟო, ადრე ამიდექი, დამიბანე ხელპირია,
გვერდს მოისვი ხოხობია. ხოხობს ოუგლევჯია,
მთა გადოურბენია. 1091

ადე, გოგოვ, ითამაშე ოქროს სინის ლამბაქშივა,
თითები მოყვანილი გაქვ ოქრომჭედლის ფარგალშივა. 1092

ეს ბიჭი კარგა თამაშობს, ედება არე-მარესა,
ამან რო ფეხი იტკინოს, ფათერაკს დააბრალებსა. 1093

შენ გიორგი ერისთავო, ჩაირამა, ჩაირამა,
სიყმაწვილით განასაჯო, ჩაირამა, ჩაირამა,
გილალატეს, თვალი დაგწვეს, ჩაირამა ჩაირამა,
ოსეთს ჩადი ქარივითა, ჩაირამა, ჩაირამა,
იქა თვალი აგეხილა, ჩაირამა, ჩაირამა,
თან გამოუდუე გზასაო, ჩაირამა, ჩაირამა.
გიორგიმ უთხრა ცხენსაო: ჩაირამა, ჩაირამა,
მარჯვედ დადექი დღესაო, ჩაირამა, ჩაირამა,
ოსის წვერზე რომ შეგიყვან, ჩაირამა, ჩაირამა,
კოდით დაგიდგამ ქერსაო, ჩაირამა, ჩაირამა.
ოსის წვერზე რომ შევიდა, ჩაირამა, ჩაირამა,
ანუ სად იყო ამდონი, ჩაირამა, ჩაირამა,
ანუ სად დაიბადაო, ჩაირამა, ჩაირამა,
შავ ღრუბელივით მოვლიან, ჩაირამა, ჩაირამა,
ნისლივით შემოგვერტყაო, ჩაირამა, ჩაირამა.
თოფის სროლა მილივითა, ჩაირამა, ჩაირამა,
გიორგის მოხვდა მუხლსაო, ჩაირამა, ჩაირამა.
გიორგი ჩამოასვენეს ჩაირამა, ჩაირამა,
ბარაკონის სახტარზედა, ჩაირამა, ჩაირამა,
შეეგება დედა მისი, ჩაირამა, ჩაირამა,
სამი ასეთი იკივლა, ჩაირამა, ჩაირამა,
მის სიმაღლე მიწა გაწყდა, ჩაირამა, ჩაირამა.
შეეგება მისი ცოლი, ჩაირამა, ჩაირამა,
სამი ასეთი იკივლა, ჩაირამა, ჩაირამა,
ზეცას კარები შეალო, ჩაირამა, ჩაირამა,

ასწი-დასწია პერანგსა, ჩაირამა ჩაირამა,
 ოსურებ დაფრანგულია, ჩაირამა, ჩაირამა,
 ულაშს გადუსვა ხელია, ჩაირამა, ჩაირამა.
 გიორგი, რამ შეგიცვალა, ჩაირამა, ჩაირამა,
 შენი სამწუთრო ფერია? ჩაირამა, ჩაირამა,
 ავრე გყოლია მტერია, ჩაირამა, ჩაირამა,
 როგორც შენი გიორგია, ჩაირამა, ჩაირამა.
 კუბოში რომ ჩააწვინეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი სასახლე ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ცივი ქვა თავ ქვეშ დოუდევს, ჩაირამა, ჩაირამა,
 დორის ბალიში ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 თავზე მიწა წააყარეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი საბანი ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ჭია-ჭუა დევსია, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი ცოლშვილი ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 გველმა ლოყაზე უკბინა, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი მარიკე ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა. 1094

ევო, მევო, ლევან ჩხეიძეგო,
 შენი გოგო კურტანაძე მე წავიყვანეო,
 სანახველაზე მიბია, ვარდივითა სდგასო.
 ვარდი ამიკრეფიაგო, ჭურში ჩამიკრეფიაგო,
 ჭური ადუღებულავო, ქალი აკივლებულავო,
 ქალსა ვაჟი ჰყოლებია, მამას განარებიაგო,
 მამა აკვნისთვის წავიდა, რომ მისულა შუა გზაზე,
 სული ამოხვდენიაგო.
 ჩავიარე ქალასავო, ქალა ეკლიანიავო,
 მუხა ძეწკვიანიავო, ზე შევდექი მალალსავო,
 დავუძახე თამარსაო, თამარ ჩემი რძალიავო,
 მიქელაძის ქალიავო,
 იმას რომ კაბა აცვია, მთელი რაჭის ფასიაგო. 1095

მალლა შემოჯდა
 უცხო ფრინველი,
 ბოლოწითელხ,
 ორბი ფთიანი.

ეღელეს ჩამოვდა
 ოსი და დვალი
 ფაიქოშვილი.
 ომი შეიქნა

ქალაქის კარსა,
 გათენებიაანსა,
 ცისკრისა ჟამსა,
 ომი შეიქნა,
 ქნევა ხმალისა,
 ძგერა შუბისა;
 შუბის ნალეწი
 ზეცას ცვიოდა,
 მესამეს დღესა
 ჩამოსცვიოდა.
 ჯაფარ გაიქცა,
 დვალი მოსდევდაო,
 ჯაფარ ვერ წახვალ
 შინა მშვიდობით,
 ცოლს ვერ მიუტან
 ლაშკრულ ამბავსაო,
 წითელ კაბასაო.
 ჯაფარ წაიქცა,
 სვეტი ოქროსი.
 კითხვა შეიქნა:

ჩვენი რა იქნენ
 შინითელგებო?
 უკან მიდიან
 დაშინებულიო
 თოფის ხმლისაგანო,
 ასრილ-დაჭრილიო,
 სისხლში გასვრილიო.
 ბევრი მოქყიეო (?)
 თავი გოდრითაო,
 ცა და ი ლაშტითაო (?),
 წვრილი წვლებიო
 ხელკალათითაო,
 მუზარადონიო
 გორსა გორევედაო.
 გერგილ იძახისო
 გაღმა ქალასაო,
 ვინცა კაცია
 ჩოხა(კ) აცვიაო,
 ჩოხა ჯაჭვისაო,
 ქუდი ნაბდისაო. 1096

ბატონმა ცხენი მიბოძა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ნეტამც არ ებოძებია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ოუდევი აღვირია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ყველას გული აგვირია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ოუდევი ლაგამია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 თავი ქონდა მაგარია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 წამოვადგი უნაგერი, ჰაუ რირა აშა ჰა!
 წამუაჟდა ტურა-მგელი, ჰაუ რირა აშა ჰა!
 მოუჭირე ღვედებია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 შემეემტვრა გვერდებია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გევიყვანე ქალაქშია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 თავი წარგო ტალახშია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 მევიტანე კოკით წყალი, ჰაუ რირა აშა ჰა!
 მოვბანე თავ-კისერია, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გევიყვანე მარტვილსაო, ჰაუ რირა აშა ჰა!
 წიხლი მიკრა ყმაწვილსაო, ჰაუ რირა აშა ჰა!

გვეყვანე ორშაბათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 კაცი მაძღვეს ორ შაურსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე სამშაბათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 კაცი მაძღვეს სამ შაურსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე ოთხშაბათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 კაცი მაძღვეს ოთხ შაურსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე ხუთშაბათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 კაცი მაძღვეს ხუთ შაურსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე პარასკევსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 კაპეკათ დააფასესა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე შაფათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ყველა იმას მეუნება, ჰაუ რირა აშა ჰა!
 შენი ბატონის წყალობა ჰაუ რირა აშა ჰა!
 არ მოგიშლის შამათსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე კვირესა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ველარ არყევს კბილებსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 გვეყვანე ხონსა, ჰაუ რირა აშა ჰა!
 ყველე იმას მთხოვსა, ჰაუ რირა აშა ჰა! 1097

ფურცულის ლექსები

სად მიხვალ, თეთრო ქათამო? კახეთისაკენ, ბატონო.
 კახეთს რა გინდა, ქათამო? ყაჭისათვინა, ბატონო.
 ყაჭი რათ გინდა, ქათამო? ქალისათვინა, ბატონო.
 ქალი რათ გინდა, ქათამო? სიძეს გავიჩენ, ბატონო.
 სიძე რათ გინდა, ქათამო? შეშას გამიხეთქს, ბატონო.
 შეშა რათ გინდა, ქათამო? წყალს გავაცხელებ ბატონო.
 წყალი რათ გინდა, ქათამო? თავს მოვითუთქავ, ბატონო.
 თავი რათ გინდა, ქათამო? ნეტეს მივართომ, ბატონო. 1098

ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე
 ერქვა შროშანაო,
 ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა
 ეცვა ბეჭედაო,
 ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა

მოლი მოსულაო,
 მოლის თავსა, მოლის თავსა
 ნაძვი ასრულაო,
 ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა
 ქორს ბუდე ედგაო,

ბუდე იყო, ბუდე იყო
 აბრეშუმთაო,
 კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა
 იაგუნდისაო,
 გადმოსჩეკა, გადმოსჩეკა
 მარგალიტისაო,
 ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი
 ჩემთვის გაზარდეო,
 სხვა ათასი, სხვა ათასი
 სხვისთვის გაზარდეო,
 სანადიროს, სანადიროს
 გზა გაუწარდეო,
 ინადიროს, ინადიროს,
 მოკლას ირემიო,
 ეიკიდოს, ეიკიდოს,

შინ მოიტანოსო.
 მაგ ირემსა, მაგ ირემსა
 ბეწვი შეგლიჯეო,
 მაგ ბეწვისა, მაგ ბეწვისა
 ჩოხა დამირთეო,
 ნაგულარი, ნაგულარი
 წმინდა პაიჭიო.
 ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო,
 ლომო და გმირო,
 მაგ ალვის ხეს, მაგ ალვის ხეს
 ტოტი შესტეხეო,
 მაგ ტოტისა, მაგ ტოტისა
 სახლი დამიდგიო,
 ნაფოტარი, ნაფოტარი
 წისქვილ ბოსელიო. 1099

ყურშა ორაშაო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშა გავგზავნე სანადიროთაო, ო, ჩემო ყურშაო,
 აწ კი მოივლის სასადილოთაო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშა მოსდევდა, ყეფით მოსდევდაო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას ყეფილი გავდა ქუხილსაო, ო, ჩემო ყურშაო,
 ქუხილსა გავდა ზალლა მცისასაო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას ნახტომი დიდი მინდორიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას ტატები კალოს ოდენიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას თვალები ცხრილის ოდენიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას ვინ კადრა ქერის ბალარჯიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ქერის ბალარჯიო, მტკიცულს ვაჰმევედიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ყურშას ვინ კადრა ქერქის ბაწარიო, ო, ჩემო ყურშაო,
 ქერქის ბაწარიო, ჯაჰვით ვაბემდიო, ო, ჩემო ყურშაო. 1100

აჰა, ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს,
 მაღლი მახარობელსა,
 მახარობელი მოსულა,
 მოსულა, მოუტანია,

რას უფრო მოუტანია,
 პური და ღვინო ბრეველია,
 ახალი ტანისამოსი.
 ახალო ჩემო მძახალო,

მერმისათ კიდევ გნახავო,
 მერმისათ მარიობასა,
 მარიობა გაგვიტენდა

აქა ბრძანებელს ყველასა,
 დიდსაცა და პატარასა. 1101

საბრალო დედაბრისას

საბრალო დედაბრისასა თავენი ყანასა მკიანო,
 ირემ[ნ]ი ურემს აბიან, კალოს პირს ძნასა ჰყრიანო,
 შვლები კალოში აბიან, რა ტურფათ შამოსცქრიანო,
 ზედ ანგელოზნი უდგანან, წვრილს ხმაზე დასძახიანო.
 ზეცას ყარანა გაგზავნეს, ფრინველი მოკრიფიანო,
 შენს მადლსა, ჩხიკვი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო,
 სილამაზითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო,
 საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მაიგდიანო,
 თითონა სვამდენ ღვინოსა, ჩვენ ღურდოთ გაგვხეთქიანო. 1102

აღზევან წაველ

აღზევან წაველ მარილითვინა,
 მარილს მოვიტან და ჩემი ცხვრისთვინა,
 ჩემი ცხვრისთვინა და თავშავისთვინა.
 დედამ მიშალა და — არ დავიშალე,
 მამამ მიშალა და — არ დავიშალე,
 წაველ და წაველ და — არ დავიშალე,
 უფროსმა რძალმა და — პური ჩამიწყო,
 მისმა მომდევნომ და — შოლტი ხელთ მამცა,
 უმცროსმა რძალმა და — გზა დამიწყევლა.
 მაინცა წაველ და — არ დავიშალე.
 შუა გზას მიველ და — სიზმარი ვნახე,
 ჩემი თავისა და ნიშა ხარისა,
 ჩემს ნიშა ხარსა და — რქა მასტეხოდა,
 პერანგს ვიხვედი და ისე უხვევდი.
 წაველ და წაველ და — მარილეთს ჩაველ,
 ორმოცსა ქვასა და — ორიდა მაკლდა,

მისთვის მოვბრუნდი და — კლდენი მომექცა,
 კლდენი მომექცა და ქვეშ მომიტანა.
 ფეხის თითებმა და — ბორჯი გაიდგა,
 ხელის თითებმა და — დაიყვავილა,
 წვერმა უღვაშმა და — ცვინვა დაიწყო.
 თქვენი ჭირიმეთ და — ამხანაგებო,
 ჩემს ნიშა ხარსა და — სახრეს ნუ დაჰკრამთ,
 ჩემს ირმა კამეჩს და — ტოლს ნუ დაუდებთ,
 ჩემს ბრმა მოზვერს და — შოლტს ნუ მოუქნევთ,
 დედას უთხარით და — დედას, დამწვარსა,
 ბევრს ნუ იტირებს და — თვალებს ნუ იტყენს,
 ლელას უთხარით და — ლელას, ჩემს დასა,
 ინა იყიდოს და — თითნი იღებოს,
 მხიარულის წილ და — შავს ნუ ჩაიცვამს. 1103

ყარანაი

ყარანაი ყანაშია ტურფათ გასუქებულაო.
 წვალ ყარანას დავიჭერ, თოკ ჩავაბამ ყელზედაო,
 შევკრამ და შევიგოგებ იმ მაღალ სერზედაო.
 წინ კაცი შემამეყარა: „ცხენს არ გასცვლი ცხენზედაო?“
 ყარანას მაინც არ გავცვლი, სამიც მამცე ერთზედაო.
 ყარანა გამიდიდგულდა, გადმივარდა კლდეზედაო,
 ცალი ფეხი მოიტეხა, მორბის ცალსა კლანჭზედაო.
 ფრანგული ხმალი გავტეხე მისი ყელის ჭრაზედაო,
 ფრთიანი ცულიც გავტეხე იმის შუა ძვალზედაო,
 ასი ლიტრა ქონი ეკრა იმის თირკმელაზედაო.
 ასსა ურემსა დაუდე, ორასს უღელსა ხარსაო,
 შიაკ და შიაკრიკინებს, ამტვრევს კოფო-ჭავლასაო,
 ამას ქალაქში ჩავიტან, მივალ მელიქის კარსაო,
 ლიტრას აბაზათ გავყიდი, სამწვადეს შაურათაო.
 ყარანასი ფეხებიო ჩამოსხმული სვეტებიო,
 ასმა კაცმა ვერ შექაშა, — ვაი დედა, ფეხებიო! 1104

ჩიტი გავზარდე

მე ერთი ჩიტი გავზარდე, ელვარე იყო, წითელი,
ქოჩორი ჰქონდა ფირუზი, ყბა და ნისკარტი ყვითელი,
ეყვანი ება ასეთი, — ყოვლათ რბენას მისგან ველი,
სულ იმას ემსახურება სამი გარდილი გამდელი,
დღისით არი მგალობელი, მოლხინე და ლამე ფთხილი,
არ ეძინოს იმის ხმითა ქალსა ტკბილათ დილის ძილი. 1105

ჯორი ღვას ნაძვის ძირსაო

ორშაბათს დილა გათენდა, დავუდექ ტყისა გზასაო
[მ]ხარ მარჯვნივ გადავიხედე, ჯორი ღვას ნაძვის ძირსაო.
ჯორს ვკითხე და არ მითხრა, თუ ვარ მე ხემწიფისაო,
ბარე ვორ ჯოხი მივარტყი, მალლა იქნევდა ტლინკსაო.
ოქროს თეფშები ჰკიდია, იბრილი თათრებისაო.
შევაქარ ბამბის თოკები, დავფალი ნაძვის ძირსაო,
მოველ და ბიძას ვახარე: „ბიძავ მაკოცე პირსაო,
ჩვენც გვეყოფა და შენცაო, დარჩება შვილისშვილსაო“. 1106

კურდღელი

კურდღელი ჩამოცანცალდა, ფეხმოტეხილი საწყალი,
ზურგზედ ეკიდა საგძალი, ჩაფნახევარი მაჭარი,
ნეტავი წინ შემოვყროდი, მე ვიყავ მისი ვაჭარი. 1107

კურდღელსა შეშა მოჰქონდა ასი ურემი ერთათა,
ორლობეს არ ეტეოდა, ყურით ამტვრევდა, ლობესა. 1107

კურდღელსა ფეხი მომიტყდა, სათივეს მივე ბოძათა,
კურდღელსა კბილი მომიტყდა, ხანჯალს დავაგე ტარათა. 1107

კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო!
 გადვიხედე სერზედაო, ბატონო ზის ცხენზედაო,
 თან მეძებრები მოუძღვის, დაგეშილი ჩემზედაო,
 აღმართშია მე ვაჯობე, დაღმართშია იმსთაო,
 ერთმა წუწკმა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედაო.
 გამწიეს და გამოძწიეს, მიმაწვინეს გვერდზედაო,
 მეჯინიბეს გადამიგდეს, „შემოიკარ ცხენზედაო“,
 მზარეულსა შიმაბარეს, „ეს აგვიგე ჩხირზედაო“.
 ცალი გვერდი ცეცხლმა დამწვა, ცალი ერბოს ცხებაჟაო,
 დახედე ამ თავადებსა, რა ლხინი აქვთ ჩემზედაო,
 კრახა-კრუხი აუდინეს ამ კვრიხინა თავზედაო. 1108

სამთლის გუთიანს ავაშენებ

სამთლის გუთიანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ თევზსა,
 ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ, თავგებს გამკეცილებ ქერსა,
 ყინულზედ კალოს გავლევწამ, მორევშია ჩაყარი ბზესა,
 ქინძველას გოდორს ავკიდებ, კამბეჩებს დაფუყრი ბზესა. 1109

ა გუშინა და დღესაო

ა გუშინა და დღესაო, ქორწილი მქონდა ღვდელსაო,
 ძაღლმა ხორცი გამამტაცა, პატარძალს კი სცესაო.
 პატარძალი ბუგბუკებდა¹⁾, ვერ დავდგები თქვენსაო,
 დღეს ჩავალ ვარდისუბანში, ზვალზევითა ჩვენსაო.
 დედას წიგნი შეეწერა, შიგ ჩაედგა გიშელიო,
 ქალო, მანდა მაითმინე, მე ვერარას გიშველიო. 1110

¹⁾ ბუტბუტებდა

მიმიონო მყვანდა, მიყვარდა

მიმიონო მყვანდა, მიყვარდა, დამეძინა, — გამეპარა,
 შამიჯდა კურთის ციხეზე, ეჟონი მიქლრიალნა,
 ემის ეჟონთა ულრიალმა ქალაქი შააჯერა.
 ქალაქჩი ბძანა მელიქმა, — აფქალას თურქნი დგანანო,
 მიწრონი გავარბენინენ, ფართონი უფრო ჩქარაო.
 მივიხედე და მომღვედეს ის ურჯულონი ჯარადა,
 ასი ვხკარ, ასი დაფკოდე, სისხლი გაუშვი ღვარადა,
 ერთი მეცა მკრეს ბეჩავსა, გულსა მამზია შონადა,
 დავსჯე და ვსწერი წიგნები, მტრედსა შევაბი მხარადა:
 ეს დედაჩემს მიუტანე, — „ველარ მოგივალ ხანადა,
 ე ქალი გაათხოვოდეთ, ქმარი შართოდეთ ჩქარადა“. 1111

ალაზნის პირსა

ალაზნის პირსა მოსულა წითელი სატაცური,
 დავჯე და კრეფა დავუწყე, — მეგონა უკაცური.
 მივიხედე და მამღვედა ის ურჯულო ლეკის ჯარი.
 დავჯე და წიგნი დავწერე, მტრედს გამოვაბი მხარათა:
 ეს დედაჩემსა მიუტა, — „ველარ მოგივალ ჯანათა,
 ჩემსა პატარძალს ხელი უღებე ინდთა,
 დაისვი მუხლის ძირასა“. 1112

ახლა იქიდგან გიახელ ქისიყის ბოლოდგანო

ახლა იქიდგან გიახელ ქისიყის ბოლოდგანო,
 ყისიყმა კაცი მამწია, — წინ ლეკი დავიხვდებო.
 ნეტაცა ლეკი მაჩვენა, ვასესხო ცხელი ფინთიხი:
 მოვიხედე და მომღვენ ურჯულო ლეკი ჯარათაო.
 გზა წვრილი ამოვარბინე, მინდორი უფრო ჩქარათაო,
 ასი ვკარ, ასი გავწყვიტე, ერთი გადმირჩა შევათაო.

მუხასა ზურგი მივანდე, შტოსა დავწიე ფარათაო;
დავჯე და წიგნი დავწერე, მტრელსა შევაბი მხარათაო,
ესი დედაჩემ მიართვი,—

„გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე ასწერე შავათაო,
ე ჩემი საყმო კაცები ჩემზე აუშვი ზარათაო,
ჩემი ქამარ-ხანჯალი გამიეც საწირავათაო,
ეგ ჩემი პეტერა ცოლი — ნუ გამითხოვებ ჩქარათაო,
ათუ გემითხოვო ჩქარათაო, მე მჯობდეს კლავი ძალათაო“ . 1113

წყალ გაღმა იხვი დედალი

წყალ გაღმა იხვი დედალი, გამოღმა გამოქროქონდა,
კვერცხი დაედვა ოქროსი, შუა ბაზარში ვაჭრობდა,
ორი ბაზარი ეელო, მესამეს ახლა ვაჭრობდა.
მივიხედე ბაზარშია, ქალი იჯდა ჩარდახშია,
ლამბაქით ბალი მივართვი, სამი დღე კარსა უარე,
ერთიც ვერ ავალებინე. მიველ და ფრანგულს უანბე.
დაჯდა და ხმალი გაღესა, ცერი აუსვა ფხაზედა,
მოჰჭრა თავი და მიჰკიდა თავის საწოლის კარზედა:
„ვინც ამას ხედავდეთო, ნურვინ გამივლით კარზედაო!“ 1114

სიზამბარელს ქალსაო

სიზამბარელს ქალსაო თევზი მეეხარშაო,
ჩავიარე, მეცა ვთხოვე: „მეც მაჭამე, ბეჩავო“.
„რა გაჭამო, ბეჩავო, მეც არ მეყო ესაო“.
ფურმა წიხლი გაიქნია, ჩემს ამხანაგს ეცაო:
„ია ბატონთან წავიდეთ, შენც იჩივლე, მეცაო!“
„ე რალა საჩივარია, — უნებურათ ეცაო“.
„უნებურათ რასა ქვიან, კაცი კვდება, ბეჩავო,
ამდენი სისხლი ედინა, გაგვიკვირდა ჩვენცაო“.
საბძელშია შავიხედე, თივაც იყო, ბზეცაო,
შიგ რო ქალი თამაშობდა, მთვარეც იყო, მზეცაო. 1115

კოჭლი გოგო

მინდორ-მინდორ წამოვედი, ალაგ-ალაგ კოჭი იყო,
მე საწყალმა რა ვიცოდი, თუ ის ქალი კოჭლი იყო! 1116

კაკავეისა მინდორზედა, ოქროს დიელა,
თეთრი ცხენი მოგოგავდა, ოქროს დიელა,
ზედ იჯდა ბიჭი ლამაზი, ოქროს დიელა,
ჰქონდა უღვაში ქერა, ოქროს დიელა,
უკან მოსდევს კოჭლი გოგო, ოქროს დიელა:
„ბიჭო, აქეთ მოიხედე, ოქროს დიელა,
სიკოჭლითა რასა მწუნობ, ოქროს დიელა,
განა კურდღელს მადვენებო, ოქროს დიელა,
სახლსა კარგა შეგინახავ, ოქროს დიელა,
თაროს დაგიკრიალებო, ოქროს დიელა,
ჯამებს კარგა დაგირეცხავ, ოქროს დიელა,
კოვზებს დაგიწკრიალებო, ოქროს დიელა,
შვილებს კარგა შეგინახავ, ოქროს დიელა,
ერთს არ დაგიზიანებო, ოქროს დიელა,
საფეიქროს მავუჯდები, ოქროს დიელა,
მაქოს დავატრიალებო, ოქროს დიელა,
ახალუხსა შეგიკერავ, ოქროს დიელა,
ჯიბეს ჩავიჩხრიალებო, ოქროს დიელა,
მაუდის კაბას შეგიკერავ, ოქროს დიელა,
კალთებს შავიშრიალებო, ოქროს დიელა“ 1117

ეს გოგილაძე ბასილა

ეს გოგილაძე ბასილა მოწყალე ღმერთმა ასია,
მოყვარე პატივ დააყრის, ცოლს შეაგინებს სახლშია,
ერთხელ პური არ გვაქამა, — მეხი დაგეცეს თავშია!
ქეჭოი ძრიელ გაჯავრდა, გამოეცალა კარშია,
ღვინიან ფარა დაკარგა, გამოკრულ იყო ჩვარშია.

მაყრებ შეგვიდგა ჩურჩული: ჩვენც არ გაგვყარონ კარშია,
ბიჭებო, ნუ გეშინიანთ, სიმღერას ვიტყვით სახლშია!
ვაბშამი რომ მოგვიტანეს, ძვალს ჩაედოთ ჯამშია,
იმათ ცოცხალს ის მიუვა, — ძალლი ჩაარწყვეს ყელშია! 1118

ელელია მელელია

ელელია, მელელია, დანა სამართებელია,
ოქვენი გოჭი ჩვენ შევქამეთ, სუქანი, გემრიელია.
თავ ბატონი წამომადგა ქორიან-მეძებრიანია,
ქორი შეჯდა ხესაო, ლერწამისა წვერსაო,
აქ ჩამოდი ჩვენსაო, ღვინოს გასმევ ბევრსაო.
ნახევარსა მთხლესაო,
პურსა გაქმევ ქადიანსა,
ნახევარსა ნაცრიანსა,
თხად დაგიკლავ ბერსაო, მისსა შვილსა კრელსაო. 1119

შავლეგო

„შავლეგო და შე შავლეგო, შავლეგო!“
შავლეგ იყო კარგი ბიჭი, შავლეგო,
კარგი, გორათ აგებული, შავლეგო.
ჰყავ ბატონი მადრიელი, შავლეგო,
ამხანაგი მოგებული, შავლეგო.
შავლეგ ცხენს მოაფრენდა ვიწროსა და ავსა გზასა,
შავლეგს ცხენი წამოექცა ნაკვალევსა გუთნისასა.
თავსა თურქი წამოადგა დაღესილი აღმასიდა.
„დამკარ, თურქო, ნუ გებრალი, თუ გული გაქვს მამაციისა!“
დაჰკრა თურქმა, თავი მოსკრა, დაიკიდა უნაგირსა.
შავლეგ დედა მოტიროდა, მოიშლიდა გიშრის თმებსა:
„ჩემი შავლეგის მომკვლელი ჩქარა მიჩვენეთ წამზედა,
თუ იმას თავი არ მოვქრა, გამტვალეთ კახის ქალზედა?“ 1120

*

შავლევ ჩამოხტა შავსა გრილოსა,
 ომი მოგვიხდა, ომი რა ომი!
 ლეშის ნაკუწი ხორათ დგებოდა,
 სისხლის ნალვარი ზღვას ერევოდა,
 შუბის ნამტვრევი მკასა ხვდებოდა! 1121

დალა თქვით

დალა თქვით, ბარის მხედრებო, დალაობაცა ძნელია.
 დარჩებოდ იმის ცოლშვილი, დარჩებოდ უმწყალოთა,
 დარჩებოდ იმის წითლაი¹⁾, დარჩებოდ ოხრათა,
 ამხანაგებსაც უთხარით, — ჩემი,
 ჩემი წითლარი გლახას მიეციტ სულზედა,
 ძუა-ფაფარ დაუწანით წითელი შავი რაშითა,
 დალაობაცა ძნელია... 1122

ლეკში შიკითხვენ ლეკები, ქისტეას არის დაჩინთანაო²⁾,
 (აკლია).

შენი გვარისა ქალ-რძალი შავითა ამოსებოდნეს,
 ეგ შენი ცოლი ბეჩავი სანთებრივადა დნებოდეს,
 შენი საწოლი ლოგინი ია-ვარდივით ხმებოდეს,
 შენი წვერი და ულვაში მწუხანილივითა კენებოდეს.
 ნეტარ შენს საიქიოსა, შენ შეხვალ ტრედო ფერათა,
 (აკლია).

თავს გიდგან კოდნი საკენო, ვადმომდინარნი ჰერითა,
 გვერდს გიდგა შეღვინებო, ხუციოთა დიაკენებითა,
 ამოიღებენ, დალლევენ თუნგითა, მაშრაფებითა³⁾,
 დააღაი, დალაი!.. 1123

¹⁾ ცხენი

²⁾ ბატონთანაო.

³⁾ დოქებითა.

მოდლი ვნახოთ ვენახი

მოდლი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
 თხამ ჭამა ვენახი, თხამ¹⁾ ვენახი შეჭამა.
 მოდლი ვნახოთ თხაო, რამ შეჭამა თხაო;
 მგელმა ჭამა თხაო, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
 მოდლი ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
 დათვმა ჭამა მგელი, დათვმა მგელი,
 მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
 მოდლი ვნახოთ დათვი, რამ შეჭამა დათვი;
 თოფმა ჭამა დათვი, თოფმა დათვი,
 დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
 (თოფი, ჟანგი, მიწა, თაგვი, კატა, ძაღლი, ლომი). 1124

ქალაქური

მინდა ლექსი ვთქვა, ქალო, მალნიტიზმური,
 ვით მოვიზიდო — მსმენელთა ყური,
 რაც რომ გიხილე, ქალო, მშვენიებით სრული,
 მინდა ლექსი ვთქვა მალნიტიზმური!
 ვითა ვარსკვლავი — გაბრწყინებული,
 მაისის ვარდო — კოკრებით სრული!
 ალვის ხის მგზავსად — ახმარებ წელსა,
 ვარდნი ყვავილნი — სრულად გეტრფიან,
 აწ დახშულს შვებას — სულნი მხდებიან,
 ნახრახის ეშხნი — მომწყურდებიან!
 ოდეს შვებისა — ცეცხლნი მდებიან!
 ვით მოვითმინო — შენთვის ვსტირი მე,
 ამომხდა სული — შენი ჭირიმე!²⁾ 1125

კუკიელი ქმარი ვიყავ, ნიადაგ ქარი ქროდაო,
 არც არა მე მივუტანე, არც არა ემათ ჰქონდაო. 1126

¹⁾ დედანში ამ სიტყვის შემდეგ ფრჩხილებშია: 3-ჯერ.

²⁾ მღეროდნენ ტფილისში 1860 წლებში.

ბალში ვარდები, შემყვარდები,
მოდი ჩემთანა, გითხრა დარდები! ¹⁾ 1127

დიდება უზგულის მარიაშ ²⁾

ზღუდე გარტყია ოქროსი,
შესაწირი გინდოდა დიდი.
ოსეთს დაიძრა ლაშქარი...
ღვთისმშობელო, სად ბრძანდები?
ყველა წაუყვანია შენი ადამიანი.
დათას დაგცლოდეს სიბერე,
შენ-ლა გაქცევიხარ.
ცენაში შედიხართ,
სადილობა ცენაში გვქონდა,
საუზმე ზასხვაში გვქონდა.
ფარარს ქვემოთ მივდივართ,
ხამაო წიფის ბალარში (?).
მაჩხფარში შევდივართ,
ო საცოდავო მაჩხიფარო!
ზოგს ეკიდათ ქეჩის ტვირთი,
ზოგს ტანის იარაღი.
მაჩხფარის მალლობამდი მოსულხართ,
სომღერა დაიქეს წმ. გიორგისა.
ჩინაულა ბევრს ტირის:
შეცოდება ჰქონდა ბავშვებისა.
ჯანყილი მას შენატროდა.
სადლა იქნებოდა გათენება,
ყველგან სამყოფი ექნებოდათ.
ო საბრალო მახრობაო,
ყბა ფართო გექნება.
ნაცემი ალიბეგისა;
ხატი გაგვიტეხია ღვთისმშობლისა,
მადლი მისი გასწყრომია.

¹⁾ მღეროდნენ ტფილისში 1860 წლებში.

²⁾ ქვემოთ მოთავეებული 16 სვანური ლექსის სვანური ტექსტის დაბეჭდვა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ვბეჭდავთ გადმოქართულებულად.

შდულვაში ¹⁾ შედიან,
 სიმღერა დაიქეს წმ. გიორგისა.
 მალყარში შევდივართ;
 ო საბრალო მამაო ჩვენო,
 ქურჯინი ²⁾ გაჭამეს ოსური
 შესაწირის მაგიერ;
 გაგალამაზეს, გაგპარსეს,
 გყიდიან ჩერქეზეთში. 1128

ლახამულას ლაშქარი დაიძრა

ლახამულას ლაშქარი დაიძრა,
 თავმოყრილი არიან ბეჩოს ხიდზე-
 ყველა რჩეული ბეჩოელები.
 ლაშქარის წინამძღოლი
 ჯულუბას ვერავინ გჯობდა;
 ლაშქრის უკან გამყოლად
 ნაწიფას ვერავინ გჯობდა.
 ფუთას ხმალი უშიშვლია
 ჯიხურის ³⁾ კართან:
 — ბავშვებო, თქვენ იქით გაიწიეთ!
 დარტყმა ვაჟკაცებისა სჯობდა,
 ყველაში განსაკუთრებით ქვიჩიქელა.
 კლდესა შეველს არ არჩენს,
 მინდორსა კი ირმებს,
 ყველაზე განსაკუთრებით ეყის მურზა,
 ოთხი შვილი შენ გყოლოდა,
 მოჭედილი თოფი მხარზე გედვა.
 თეთრი მათი ქუდები
 სისხლით შეღებილი ჰქონებიათ. 1129

¹⁾ სოფ. ოსეთში.

²⁾ ოსური მჭადი სვანურად — ქურჯინი.

³⁾ სახლის წინ მიშენებული სადარაჯო.

რა გქნა სიო

რა გქნა სიო...

თამარ დედოფალი მობრძანდება,
თავზე გეხურა ზურჩია,
თმები გქონდა ხუჭუჭი (ყალყმისა),
ყურებზე გეკიდა საყურეები,
კბილები გქონდა მარგალიტისა,
თვალეები გქონდა იაგუნდისა,
თეძოვებზე გეკიდა მძივები (ჰაშიმარი),
შიგნით გეცვა ატლასი,
გარედან გეცვა აბჯარი. 1130

მე საბრალო

მე საბრალო მაშინ ვიქნები,
როცა მუჟალი ბატონი გამიხდება;
ასე ბატონობას ვერ გავაწყობთ,
ვიდრე ბეჭებს არ შევუდგამთ კიბედ,
მანამ ცხენზე არ სჯდებიან,
სანამ არ დავუდგამთ ჯამად გობსა,
მანამ ყველსა არ შესჯამენ.
ასე ბატონობას ვერ გავაწყობთ,
კეისართან მივიდეთ გასასამართლებლად.
მუჟალელი ჯორზე იჯდა,
მულახელი ცხენზე იჯდა,
ასე მისულან კეისართან.
— ბატონო კეისარო, რამე გვირჩიე,
ასე ბატონობას ვერ გავაწყობთ!
მანამ ცხენზე არ შესხდებიან,
სანამ არ შევუდგამთ ბეჭებს კიბედ,
მანამ ყველსა არ შესჯამენ,
სანამ არ დავუდგამთ ჯამებს გობებად.
— აბა, მოდით, დანები მაჩვენეთ,
რომელსა უფრო სუფთად გექნეთ!

მულახელსა უფრო სუფთად ჰქონებია,
 მუჟალელს ქონით გათხუპნული.
 — ასე ბატონად არ ვარგებულხართ!
 მულახელი ჯორზე შესვა,
 მუჟალელი ცხენზე შესვა,
 ბატონი მულახი, ცუდი მუჟალი! 1131

შეჰილი მუღიჰო, ანუ ბა ილგა ილგა-ბაილ

ბეთქანი ნადირობისას გადმოვარდნილა,
 თოთანიდან შველი მოვიდა,
 ლეწავ კალოზე,
 მულახ-მუჟალი თავმოყრილია.
 — ვინც ამას მოკლავს,
 ის იქნება კარგი მონადირე!
 ბეთქანს კალო მიუტოვებია,
 შესულა დედამისთან:
 — დედა, სიხარულო, თოფი მომეც!
 — დედის დღე შენ შეგემატოს,
 წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე,
 ველარ გირჩევ იქით წასვლას!
 ბეთქანს თოფი აუღია,
 ისე გაეკიდა შველსა უკან.
 წინ შველი, უკან ბეთქანი,
 თოთანის ქვამდი მოვიდა.
 ბეთქანმა თურმე უკან მოიხედა:
 წინ მიუძღვის სამარხილე გზა,
 უკან მოჰყვება სალი კლდე;
 და შეგიძღვა გამოუვალ კლდეში,
 უკან დასაბრუნნი აღარ გექნა.
 საბრალო ბეთქანო, საცოდავო ბეთქან!
 შენის თოფის რახუნი
 ისმოდა რაჭა-ლეჩხუმამდე,
 შენი წევრების წკავილი
 ქვემოთ ისმოდა თავმოყრილ ლახამულამდე.

მულახ-მუჟალმა გაიგო,
 დაუწყიათ სვლა, წასვლა.
 ზოგს ეკიდა ქეჩის ტვირთები,
 ზოგს ეკიდა თოკვის ტვირთები,
 ზოგს ეღვათ ბეჭებზე კიბეები,
 გაუვალ კლდის ძირამდი მოხვედით.
 ძირს ქეჩებს უგებენ,
 ზემოთ თოკებს უშვებენ;
 ყოველ მხრივ კლდე იმართება.
 სიბრალო ბეთქან, საცოდავო ბეთქან;
 — ტყუილა ნულა ცდილობთ!
 — ცოდვა ჩემი ნურც დალეოდეს.
 თამარს, ჩემს რძალსა! —
 უწმინდური გამომიშვა სანადიროდ.
 მამა ჩემსა უამბეთ,
 ეხალისებოდეს ჩემთვის შველის თავი;
 ჩემს ძმებსა უამბეთ,
 წვერი დაიყენონ ჩემ გამო;
 დედაჩემსა უამბეთ,
 მიკურთხოს ხაჭაპურ-ჭიმღვარი ¹⁾;
 ჩემსა ცოლსა უამბეთ,
 ხმამალლა მიტიროს ყოველ კვირაში.
 საბრალო ბეთქან, საცოდავო ბეთქან.
 თმები, შენი თმები,
 ორბებს მიჰქონდათ საბუდრად:
 ძორი შენი ძვლებსა
 ყორნებს ჰქონდათ ბარტყების საკმელად.
 ბეთქანი კლდიდან ვარდება,
 ძორი კლდეს შეურჩენია,
 ძვლები ძირს ჩასულა. 1132

1) ნაცხობი ხაჭაპურის მსგავსად.

უშგულა სევი დაიზრა

უშგულა ხევი დაიზრა,
 ეცერსა კაცი გაგზა[ე]ნეს,
 ეცერამდი ჩაუთვალეს:
 გვანმარეთ თქვენი ძალია!
 ეს ეცერი და უშგული
 შეიქმნა დიდი ჯარია.
 შეკაზმულ ჯაფრუანი
 დილით შეკაზმეს ცხენები,
 მათ რომ აბჯარი ჩაიცვა,
 არ მოშორდები თვალია.
 გორი ბოლომ რომ შევედით,
 ხმალით დაიწყეს ხრიალი.
 ბრილის ჭალასზე ქვე შედგა
 მათი ულუსი ჯარია.
 თერეში, კარგი სოფელი,
 მიწა გასწყვიტა სროლათა.
 ღები მოგვცა ქალუანი,
 ფარაჯი მამამ გვიძახი.
 უშგულამ, თქვენი ჭირიმე,
 მაცხოვარი ნახევარი,
 ნახევარი თქვენთვინ იყოს,
 გვემართოს თქვენი ბეგარა:
 კაი ნიშა თეთრი ხარი,

ორი გაბიწი წელიწადში.
 ნარაი ხიდი გაგვიწყდა,
 ახალ-ახალ ჩავარდება,
 ძველ-ძველი ქვე დარჩებაო.
 ჭიორი გაუტეხელი,
 გვემაგრა ხიდი კარიო.
 ალყაჩა, ჩემო ალყაჩა,
 ჭიორში მოდი სასტუმრად!
 მამაძალღი სვანებმაო,
 მეც ქვე ვიცი, მეც ქვე მომკლახ,
 ჭირით მეც ქვე დავაჯერებ.
 გედიწურე ლეკური,
 ათამდი გაუწყვეტია,
 მაშინ კისერი მოსჭერი.
 დიგორში რომ გადიყვანენ,
 წინ ქალები შეეყარენ.
 ალყაჩა, ჩემო ალყაჩა,
 ვისას იყავ სასტუმარად,
 რეიქენ ხმალი შენიო?
 ფარაჯი მამამ უძახა,
 უშგულავ, თქვენი ჭირიმე,
 აწი კი არი წასვლის დრო. 1133

ქ. საბრალო მოხუცი ნაგჭურ

სახლოზ ლადრერის ბოლოს,
 ზემოდან გავიწროებენ დადგეშქელიანები.
 ის კი მიკრულია. შუმრას კლდეებზე,
 მეტი გასანძრევი არსად მქონია,
 ო მარჯვე რძლებო ჩემო,
 ჯამლეთი ჩემი მომიყვანეთ,
 შემიდგით უნაგერი ჩემს ჯამლეთს,

შევაჯდები წვრილი კატა.
 ახ მარჯვე რძალო ჩემო,
 შუბლის კანის გასაწევად
 ერთი თავსაფარი შემომაკარ.
 კვლავ მოვდივარ წყალ-სასვლელზე,
 ამოვსულვარ ბუნდრანიში.
 თვალი მქონდა მთავარანგელოზისკენ.
 გვეედრები, მთავარანგელოზო,
 მოხუც ნაგჭურის სიბერე
 სამარცხვინო არა ქნა!
 გადახტება თეთრს ხარსა,
 ჩაუვლის მთავარანგელოზს.
 კვლავ მოვდივარ ფაცხას ზემოთ,
 სამი რჯული წინ დამიხვდა,
 ამათაც გვერდს ავუხვევ.
 კვლავ მოვდივარ ჭაობის ნაპირებზე,
 შემოვსულვარ ბინჭვანიში,
 სამ გობსა დავლევ,
 მაგრამ პირსაც ვერ მისველებს.
 ამოვალ ცალმაგამდი,
 ჯამლეთი ჩემი ცალმაგს ესტუმრება.
 მე ისლამს ვსტუმრებივარ.
 შემოვსულვართ გალავნის კარამდე,
 გავჩერდი და გალავნის კარზე,
 ორი ქალიშვილი საწველად იყვნენ.
 საბრალო ნაგჭურ, შენი სიბერე როგორი იქნება?
 — თქვე ქალიშვილებო, გამარჯობა!
 რძით სავსე საწვევლები არ გაქვთ?
 მე აგივსებ სისხლითა.
 მოუქნია ხმალი მისი,
 ორი ქალიშვილისთვის კისერი გადამიჭრია;
 ახლა ნაგჭური კარს გადახტება:
 ჩავალ ცალმაგამდი;
 შევაჯდები ჯამლეთს ჩემსა,
 სამი მათრახი დამირტყამს,
 გადავმხტარვარ ფაცხის ფაფარზე.
 შე შევხედე მთავარანგელოზს, —

ო მადლიანო, მთავარანგელოზო,
 მოხუც ნაგჭურის სიბერე,
 სიბერე სამარცხვინოდ ნუ,
 შენისა მშვიდობით.
 ქრისტემაც აგრე დაგვლოცოს
 აქა მყოფი ადამიანი:
 ბატონის ჩვენის მშვიდობით! 1134.

გონჯოს ლექსი

გონჯო მოდგა კარებსა,
 აბრიალებს თვალებსა.
 ღვინო გონჯოს არა ქონდა,
 მიდის და თხოვს კაცებსა.
 ღვინო გონჯოს არ მისცა;
 ხელი ჩაკრა ხალამსა,
 ღმერთი მისცემს ბარაქასა.

— თინო თათუნა,
 შენ რას აძლევ გონჯოსა?
 ღორსა წველიან მაკესა.
 ადულებენ ფაფასა.
 ნუ მომიკ[ვ]დეს გონიერი,
 არა მქონდეს მარილი! 1135.

მოვდივარ რეკვეთში¹⁾

მოვდივარ რეკვეთში შეუტყობლად,
 დასაბერებელი გიორგი!
 ტყეს არჩვსა არ არჩენ,
 კლდეს ჯიხვსა არ არჩენ,
 დასაბერებელი გიორგი!
 ყველას აჭმევ, ყველას ასმევ,
 მონღურავს ამიტომ არავის იყოლიებ.
 მშვენიერს შენს სათიბებში
 ხესა ფრინველს არ არჩენ,
 ზღვას თევზსა არ არჩენ,
 დასაბერებელი გიორგი! 1136

1) მღერიან ორფერხულის დროს.

მ საბრალო ლეხსრუყ!

ო საბრალო ლეხსრუყ ჯაჭვლანო¹⁾,
 ღამე ერთი ცუდი გახსოვს,
 აღმაიშერების²⁾ გომურში
 ამ ბუშებმა ეცერლებმა³⁾
 დედაზედ გამარონინეს,
 ყელზე შემაბეს შვენიაგი⁴⁾
 ისე წამიყვანეს დადეშქელიანებისას⁵⁾,
 დადეშქელიანების გომურში,
 გომურში ოთარისა.
 დამსვეს გომურში,
 გომურში ოთარისა.
 ბატონი ოთარი ძალიან მიყურებს.
 — ბატონო ოთარ! რას მიყურებ?
 რომელიც გყავდეს გამყიდველი ჩემი,
 იგი ამაღამ როგორმე გამაცანი!
 იჩემებს თაზილა,
 თაზილა გოშთელიანი.
 თავი ნასისხლარი მგონია:
 რვამდე კაცი შენი
 ყველა მომიკლავს ქვემოთა,
 ცხრამდე კაცი შენი
 ყველა დამიკარგავს.
 თავ მგონია ნასისხლარი.
 მეორე დილას ზეზე ვდგებით,
 დავიწყეთ სვლა, წასვლა,
 სადღაც ღელემდი მოვედით,
 სავსე არის დევ-მხეცებით:
 — რომელიც იყოთ დედის შვილი,
 ის უკან გამომედევენეთ!
 თაზილს კისერი გავაგდებინე.

1) მღერიან ცეკვას დროს. ლეხსრუყ — კაცის სახელი, ჯაჭვლან — გვარი.

2) აღმაიზ — კაცის სახელი.

3) ეცერლები — ს. ეცერის მცხოვრებნი.

4) თასმა.

5) სოფლის სახელი.

დამიწყია სვლა, სიარული.
 ოთარს კაცი კარზე ედგა.
 ახლა მოვედი ოთართან:
 — ბატონო ოთარ, აბრძანდი,
 ახლა მოგივიდა ტყვის ნაფასი!
 ეს ოთარს გულში გაუხარდა.
 ხმალი ოთარს სასთუმალქვეშ ედგა,
 ოთარს ხმალი ამოვართვი,
 კისერი ხმლით გავაგდებინე.
 მე წმინდა გიორგის შევვედრებივარ,
 დამიწყია სვლა, წასვლა,
 ლატალის¹⁾ ზემოთ მოვდივარ;
 მე ლატალელების არ მეშინოდა,
 გრძელი მათი ფეხ-წვივებისა.
 ლენჯერს ზემოთ მოვდივარ;
 მე ლენჯერლების არ მეშინია,
 მოკლე მათი ჩოხებისა.
 წმინდა გიორგისკენ გასახედი შემექნა:
 საზედაშე ჭურს მოვხედი თავს,
 შღვდელს წირვას გადავახდევინებ,
 მოკეთე აღამიანებს ყველას დავპატიუებ. 1137

ქალო საბრალო²⁾

ქალო საბრალო, ქალო საცოდავო,
 წამყვანი მოგივიდა სამამამთილოდან.
 დედამთილ-მამამთილს არ შეუდგები,
 ცხენს უნაგირს ვერ შეადგამ,
 აფხანდში ფეხს ვერ შესდგამ,
 აღვირს ხელს ველარ ახლებ,

¹⁾ სოფლის სახელი.

²⁾ მღერთან ფერხულის დროს.

წითელ-ყვითელს ვერ ჩაიცვამ,
თუ არა და, არა, არ მომცილდები,
ერთ დანას მე ვიკრავ,
მეორე დანას შენ ჩაგკრავ. 1138

ოია ოიალე¹⁾

ოია ოიალე, ხადაჯუყვა²⁾ და მის ლაშქარი,
ოია ოიალე, ციოყი³⁾ და მისი ლაშქარი,
სახლები მოუწყვიათ, ოია ოიალე,
მოციქულობა გაუმართავთ...
ფაფის მსმელები ჟეგმის⁴⁾ თავადები,
ვერძის მკერდის სვანეთის თავადები,
აბა მარჯვედ, სვანეთის ვაჟკაცებო!
დასცემიან და ზევით მოუვლიათ
ჩერქეზ ვაჟკაცებისთვის,
ხადაჯუყვას ბეჭში ჰკრეს,
დაამხოზენ ხეობას ქვემოთ.
ქრისტეს ისე დაელოცოს
ციოყი და მისი ლაშქარი! 1139

ოე საგრალო ასლან-მურძა⁵⁾

ოთხშაბათ ლამეს ქალის მოყვანა გქონებია,
პარასკევ ლამეს კი ჯვრის წერა.
ასლანულ მღვდელთან⁶⁾ წასულა,

1) ფერხულში მღერიან.

2) ჟეგმის უფროსი კაცის სახელი.

3) ციოყ — სვანების უფროსი კაცის სახელი.

4) სოფლის სახელი.

5) მღერიან ფერხულში. ასლან-მურძა — კაცის სახელი.

6) მღვდელს სვანები პაპს ეძახიან.

დარჯი ¹⁾ თავის მამის სახლში.
 ასლანულა შინ მოსულა:
 — დედა სიხარულო, დარჯი რა იქნა?
 — დედა, გფიცავ, ლოგინს აგებს.
 — დედა, სიხარულო, არ აგებს;
 დედა ჩემო [...?] მომეცი!
 — ახლა მეძებენ მამა ჩემის სახლში:
 ცხრა ჩემო ძმაო,
 აბა, რაიმე გიქნიათ,
 ასლან-მურძა ნაწნავენს მაჭრის!
 უმცროსი ძმა გამოვარდა:
 — მამა ჩემო, ცოდვა შენ გქონდეს,
 რვა ჩემი ძმებისა,
 სისხლი ნულა დაგედვას,
 ის დრო, აღარ არის,
 ჩავერიოთ ერთმანეთს.
 ამ დროს დარჯის ძმებისთვის ცხრა
 კისერი მოუჭრია ასლან-მურძას.
 ქრისტეს ისე დაელოცოს
 აქა მყოფი აღამიანები! 1140

უშგულის ახალგაზრდა ვაჟები ²⁾

უშგულის ახალგაზრდა ვაჟები
 ვაზირობდით დღე და ღამე
 თავის თქვენის დაღუპვას.
 ამაღამდელი თქვენი სადგომი
 სახლში იქნება ბერჟანისა.
 მეორე დილას ზეზე დგებით,
 დაინძრევით სოფლიდანა,
 დაინძრევით დასაწვავ ორშაბათს.
 დავიწყეთ სვლა, სიარული,

¹⁾ ასლანულას საცოლეს სახელი.

²⁾ მღვრიან-ფერხულში.

ჩვენ წმ. გიორგი გვილოცავს;
 დავიწყეთ სელა, სიარული,
 ლაკვრამას თავში მივედით.
 ჩვენ ღვთისმშობელი გვილოცავს.
 ერთმანეთსა შევხედეთ,
 ფერი გვედვა ნაცრისა,
 ნიშანიც ამით მოგვეცა.
 დავიწყეთ სელა, სიარული,
 ბავარს ზემოთ რომ მივდივართ,
 ქარავანი შეგვხვდა მწყერებისა,
 ნიშანიც ამით მოგვეცა.
 ლაცხდარს ზემოთ [რომ] მივდივართ,
 ჩხიკვა დაგვძახა მარცხნიდან.
 ქვემო მთამდის რომ მოვედით,
 თოვლი შეგვექნა გასაკვალი,
 კვალი გვეძღვა ქაჯისა,
 წინ წასვლასა ვუარობდით.
 ზემო მთამდის მოვედით,
 თხა შემოგვხვდა ქაჯისა,
 მცირედ ერთმანეთს შევეკითხეთ:
 ზოგსა გვიჩვენია მუავე წყლისკენ წასვლა
 ზოგსა გვინდა ნამყვამისკენ.
 შევუხვიეთ ნამყვამისკენ,
 ნამყვამის ბოლომდის რომ მოვედით,
 ზემოდან მოგქცევიათ ჯიხვები.
 გორვაშის შვავმა მოგვიჭრა.
 აბა, ჰატ, ახალგაზრდა ვაჟებო,
 როგორც უშველით თავსაო¹⁾.
 არ გაგვიყონ ამხანაგობა.
 თოფები, თქვენი იარაღი
 თოვლსა ერია,
 გიორგი ბესისძე ბექაილა,
 მსგავსი მურზაბეგისა,
 თოფი ლამაზ მხარზე გედვა,

1) სიტყვა სიტყვით: რა არ გიქნიათ.

შენს ძმებს კითხულობ.

მაგრამ როცა ვერა გაიგო რა ძმებისა,

დაბრუნდა სოფელ ჟიშიანში.

ქალბატონებს უამბო ამ ბედის შესახებ ყველაფერი.

ჟიშიანის ქალბატონები წითლად იღებავენ თავსაფრებს. 1141

ასლამაზ, ხევის საქები¹⁾

ასლამაზ, ხევის საქები,

დარჯილ გყავდა სვანეთში საქები.

ხუთშაბათ სალამოს იჩქაროდი

დარჯილთან ჯვრის დასაწერად.

ხუთშაბათ სალამო მოსულა,

დარჯილთან ჯვრის დასაწერად

ასლამაზი მღვდელთან წასულა.

სანამ ასლამაზი მღვდელს შინ მოიყვანს,

მანამ დარჯილი გაქცეულა,

გაქცეულა ოდნავ ღია კარებში.

ასლამაზმა მღვდელი შინ მოიყვანა.

— დედა, სიხარულო, დარჯილი სადღაა?

— დედის დღემც შენ შეგმატებია,

დედა, დარჯილს შე მოგიყვან!

— შენი მოყვანილი არ მინდა!

გისაღები მომეც ზანღუკისა!

ასლამაზმა გასაღები გამოართვა,

აბჯარს შიგნით ჩაიკვა ატლასი,

გარედან მოჭედილი ხმალი დაიკიდა,

ასე გაყვა მეძავ დარჯილს,

ფრთხილად მისდევს მეძავ დარჯილს.

სანამდი დაეწეოდა,

მანამ დარჯილმა დაიძახა:

ცხრა ჩემო ძმანო,

¹⁾ მღერიან ცუკვის დროს.

რაიმც გიქნიათ,
 ასლამაზი ნაწნავეებს მაჭრის!
 ცხრა მისი ძმანი
 წინ წასვლას ცდილობენ.
 გაუსწრია უმცროს ძმას,
 უმცროს ძმას გურმაჩელას.
 ასლამაზმა ამათ უთხრა:
 მე საომრად არ მოვსულვარ,
 ცოლს ვიბრუნებ ჩემს სახლში.
 ასლამაზს არავინ დაუჯერა,
 ესროლეს იქით-აქიდან:
 თქვე კაცებო, რასა შვებით?
 მე საომრად არ მოვსულვარ,
 ცოლს ვიბრუნებ ჩემს სახლში,

ბრძოლა თუ კი გინდოდათ,
 ბრძოლას მე გასწავლით!
 ერთმანეთზე წააწყო სუყველა,
 შინ დაბრუნდა ასლამაზი.
 (სიმამრი) მამა ამ დროს
 ციხის თავზე იჯდა:
 — ასლამაზ, ჩემო სიძევ,
 უკან გამონხედე, შემახედე
 თეთრი შენი შუბლისათვის!
 ასლამაზმა უკან მოხედა,
 მან თოფი სტყორცნა შუბლში:
 — ცოდვა ჩემი დარჯილს ექნება,
 ცხრა ძმა ასე დახოცა,
 თეთრი სიძე მე მომაკვლევინა! 1142

ბიმურზოლა მესტიელი

რერადი, ორერაშა რერა,
 რერადი, ბიმურზოლა მესტიელი, რერა,
 რერადი, ცხოვრება გქონია ყველაზე უკეთესი, რერა,
 რერადი, იჯექი თეთრს ცხენზედა, რერა,
 რერადი, დადიოდი სოფელ-სოფელ, რერა,
 რერადი, მანოლა¹⁾ გიყვარს ფიდიანებისა²⁾ რერა,
 რერადი, სამი ჯაფარიძე მიგიტოვებია. რერა,
 რერადი, ბეჭა³⁾ სანადიროდ წასულა, რერა,
 რერადი, საუკეთესო ჯიხვი გიშოვია. რერა,
 რერადი, ამალამდელი სადგომი სად მექნება? რერა,
 რერადი, ბერჯაშის ქვების ქვეშ მექნება. რერა,
 რერადი, სადილ-ვახშმად რა გვექნება? რერა,
 რერადი, ჯიხვის თავი ან ფეხები მექნება. რერა,
 რერადი, ბეჭა გაქნილი მიმხვდარა, რერა,
 რერადი, დილას სიზმრებსა სჩიოდა: რერა,

1) მანოლა — ბექას ცოლი, რომელიც ბიმურზოლას შეუყვარდა.

2) ფიდიანები — მანოლას ჭირისუფლების გვა.

3) ბეჭა — მანოლას ქმარი.

რერადი, ოხ საშინელო წუხანდელო სიზმარო, რერა,
 რერადი, ჩემი თოფი მესტიელებს, რერა,
 რერადი, მესტიელებს ვეჭადი, რერა,
 რარადი, მე ამაღამ შინ მივალ, რერა.
 რერადი, კარს მივადეჭი ჩემს ძმებს: რერა,
 რერადი, — ჩემო, ძმებო კარი გამიღეთ! რერა,
 რერადი, უმცროსმა ძმამ კარი გაუღო. რერა,
 რერადი, ჩემი ძმები ნაცარს უსხდნენ. რერა,
 რერადი, — ჩემო ძმებო, რა დაგვემართნია? რერა,
 რერადი, — როგორ, რა დაგვემართა? რერა,
 რერადი, — მანოლა წავგართვა ბიმურზოლამ. რერა,
 რერადი, — იმისთვის თქვენ ნუ შეწუხდებით! რერა,
 რერადი, მე ამაღამ მესტიას წავალ. რერა,
 რერადი, კარს მივდგომივარ ბიმურზოლას, რერა,
 რერადი, ყურს ვუგდებ კარ-ფანჯარასთან, რერა,
 რერადი, სიმღერა მომესმა ჩემი ცოლისა. რერა,
 რერადი, ცრემლები გადმოუცვივდა ცხელ-ცხელი. რერა,
 რერადი, მანოლმა კვარი ანთო, რერა,
 რერადი, ლოგინის დასაგებათ ბიმურზოლასი. რერა,
 რერადი, ო მარჯვე ჩემო თოფო, რერა,
 რერადი, სწორ ლოგინსა ჩვენ დავუგებთ! რერა,
 რერადი, ჭეჭა გაადინა თოფმა მისმა, რერა,
 რერადი, ფეხები გაჭიმა ტახტის გარეთ, რერა,
 რერადი, ფეხი გაჭიმა ბიმურზოლამ. რერა,
 რერადი, ამაღამ მე სიმამრისას წავალ. რერა,
 რერადი, კარს მივდგომივარ სასიმამროს ჩემსას, რერა,
 რერადი, ქრისტეს დალოცვილი სასიმამროს, რერა,
 რერადი, სასიმამროს ყურშა. რერა,
 რერადი, თითქოს ბუზი გაფრინდაო, არ იღარდა. რერა,
 რერადი, ყურს ვუგდებ კარ-ფანჯარას. რერა,
 რერადი, მუსაიფი ჰქონდათ ურვათზე, რერა,
 რერადი, მანოლას ურვათად რა აჯობებს? რერა,
 რერადი, უფროსმა ძმამ არჩია რერა,
 რერადი, ბიმურზოლას თეთრი ულაყი, რერა,
 რერადი, მანოლას ურვათად ის უნდა. რერა,
 რერადი, ო მარჯვე თოფო ჩემო, რერა,
 რერადი, სწორ ურვათს, ჩვენ ავიღებთ! რერა,

რერადი, ჭეჭა გაადინა მისმა თოფმა, რერა,
 რერადი, ფენი გაჭიმა უფროსმა ძმამ, რერა,
 რერადი, ფენი გაჭიმა სკამს გარეთ. რერა,
 რერადი, მე ამაღამ შინ მივალ, რერა,
 რერადი, კარგს ნიშას დავკლავ, რერა,
 რერადი, ხელუხლებელ ამბარს ხელს მივყოფ, რერა,
 რერადი, მოუხდელ ჭურს მოვხდი, რერა,
 რერადი, თვით ამ სოფელს მოვიწვევ, რერა,
 რერადი, სუფრას გავუშლი. რერა,
 რერადი, დილას საყვედური მოგივიდა: რერა,
 რერადი, რა ემართა ქმრის მოკვლა? რერა,
 რერადი, ეს მარტო არ გეგონოს. რერა,
 რერადი, ერთი ლეჩაქი უფროსი ძმისათვის გექნება. რერა,
 რერადი, ქრისტეს დაველოცოთ, რერა. 1143

ს ხ მ ე დ ა ს ხ მ ე

შეზობელში ლამაზ გოგოს სამიჯნუროთ მოვეკიდე,
 ხელი მკრა და გამამაგდო: „ბიჭო, რას გადამეკიდე!
 წადი, ბიჭო, და ყანა მკე, სარჩოს სამყოფ მოვეკიდე,
 ან დაგრჩება ჩემი თავი, ან სხვას ვინმეს მოვეკიდე“. 1144

ამაღულდი მარგალიტო, ნაგუბარში ჩადეგ წყალო,
 არც იგეთი ლამაზი ხარ, — რა თავს იმაღლები, ქალო! 1145

აფრინდა ქორი, ჩაინადირა ჭალა,
 თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა, შავგრემანი სამარხოსა,
 თეთრმა ქალმა ხმა არ გამცა, შავგრემანმა დამმარხოსა! 1146

აგერ მოდის გაზაფხული, დედამიწის დამფარველი,
 ააყვავა ტყე და ველი, მინდორს დასდო კაი ფერი.
 ავიარე სოფლებშია, გამოსულა საყვარელი,
 ტურფამ დამიქნია ხელი, კისერს გადმამხვია ხელი. 1147

ამას-იმასობაშიო წავალ თათრისობაშიო,
თათრისობა მე ქალს მომცემს, ჩავარდები ყოფაშიო. 1148

აქამდინ გულსა ხალვათო ახლა რა სევდა დამერთო,
ერთისა მკლავდა სურვილი, ზედ მეორესი დამერთო! 1149

აქეთ ნუში, იქით ნუში, შიგ სურვილი ამოუშვი,
დედამთილო გეხვეწები, დანიშნული გამოუშვი. 1150

ახ მასალო, მასალო, რაც შენ ჩემგანა წახველი,
ვიცი უძილოთი მომკლამს შენი ჯავრი და ზნაღველი;
ერთხელ იყავ საქები სატრფო და საყვარელი. 1151

ბიჭმა ტყეში გამიტყუა, ჩიტის ბუდე ვიცი მეო,
ხელი მკრა და გადამაგდო, „ქალო ასე ვიცი მეო“. 1152

ბალჩაში გადავიხედე, გარდამიწია იამა,
ყაყაჩო აყვავებულა, ვარდი გაშლილა, მიამა! 1153

ბალჩაშია გადვიხედე, ნუში გაშლილა, მიამა,
შენთან ყოფნა და გვერდთ წოლა, ღმერთმა იცოდეს, მიამა! 1154

ბალჩაშია გადვიხედე, ქალი ვნახე მწოლიარე,
თავით ედგა თეთრი ვაშლი, ფეხთით უფრო მსხმოიარე,
სიტყვა უთხარ და არა ქნა, ძმაზედ იყო მგლოვიარე,
გავბრუნდი და უკან წავეღ, მათ ბანზედა გავიარე,
იმ გულითაც ის დაიწოს, რაც მე გულით გადვიარე. 1155

ქალსა ვარდი დაეკრიფა, ხელთ ეჭირა კალათითა,
ერთი ვთხოვე და არ მამცა, დაჯდეს ჩემის ბარაქითა. 1156

იაგუნდის მარანშია ლალი ბჭის და ღვინო დგასო,
ზედ ალვის ხე ამოსულა, წორჩია და შტოსა შლისო,
ზედ ბულბული შეჰომჯდარა, გასაფრენათ ფრთებსა შლისო. 1157

თინიაო, თინიაო, მარგალიტის ღილიაო,
გადაპარულა ბოსტანში, მსხალქვეშ დაუძინიაო,

ზედ წასდგომია ნაცვალი, ნაცვალი და გზირიაო:
 „ადე, ადე თინიაო, რა დროს შენი ძილიაო!“
 ასეთ წიხლი გაიქნია, — ეს ვაღირის ვირიაო,
 ოქროს ნალები გაბია, ვერცხლით შეჭედელიაო. 1158

თინია გამოგვეპარა თელავის ციხის ძირსაო,
 თითო ასეთი სალტე აქვს თითო სოფლათა ღირსაო.
 თინიავე, თოფი გვიბოძე, თორემ ავიტეხ ჭირსაო,
 დღისით დაგპარამ ნახირსა, ღამე ცოლსა და შვილსაო. 1159

ბარბაღე, შენი სითეთრე უხმარ ქალაღდა გიგავსა,
 თვალი და წარბი ღამაზი წყალსა შევარდენს გიგავსა,
 მკვლავ — გვრიმი, ტანად ლერწამი ქმარი ტარიელს გიგავსა,
 მოწყენას ვერვინ შეგატყობს, პირი სამოთხეს გიგავსა. 1160

ბროლის მინდორსა გავხედე, ვთქვი თუ ღამაზი სჩანს საღმე.
 დავინახე, მოდიოდა, სანავარდოდ მინდორს საღმე.
 დავეწიე, შემოვუჯეც ცხენის ბარდას გავას საღმე.
 დამემღურა: „აქამდისინ რატომ არ ჩამაგდე რაღმე?“ 1161

ბერი — ბებერი მომყავდა, მე მიხაროდა ქალადა,
 დავჯექ და კბილი ვუშინჯე, — ერთი არ ჰქონდა წამლადა! 1162

ბოსტანში გადვიხედე, შამასულა ქერები,
 თეთრი გოგო დავიჭირე, ვაშლევინე ხელები. 1163

ამ გოგოს შემოეთვალა, შენ ბიჭო, ჩემო ნეფეო,
 ქორწილს ნუ დააგვიანებ, მე შენთვის დავეფეთეო. 1164

ადიღდა მტკვარი, თან მოჰყვა თოში,
 გოგოს მოუხდება აზრუმის ქოში,
 აკრია ქამარი, წელზე აქვს ბოში,
 გოგო მაკოცნინე, მივდივარ ომში! 1165

გაღმი-გამოღმი გორხედა ქორ-შავარდენი ბუდობს,
 ქალ, ჩემი არა ბრალია, შენი თვალები მრუდობს. 1166

გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა,
ქალი და ვაჟი დალია ერთმანეთისა ცქერამა. 1167

გოგო, წითელი პერანგი შეუკერნია დედასა,
ტირილი დაგვიწყებია, გული მოუკლავს სევდასა. 1168

გოგოია, შეთვალა, ბიჭმა შამოგითვალა,
გუნაცვალე კაკალ სულში, აქ ჩამოდი ჩემთანა. 1169

გოგოსა წითელი ვაშლი ხელში ვერ ავალებინე,
სამი დღე-ღამე ვეხვეწე, კარი ვერ გავალებინე. 1170

გუშინ გოგომ ასრე მითხრა, შეგიკერამ კაბასაო,
ზედ დაგიბამ ოქროს ღილსო, აბრეშუმის კილოსაო. 1171

დავდიოდი სახობხესა, დავიჭირე ხობობიო,
წინ გოგო შემომეყარა, ძუძუ ჰქონდა კოკობიო,
მე იმას ვერ მოვცილდები, სადაც წავა, წავყობიო. 1172

იამენაძლიე, საბედო, შენი შაირი გავბედო,
ჩა კიჯდე წყაროს პირასა, ბულა დათვივით დაგბეგო! 1173

ეწერ, ცეცხლი ეკიდება, მუხას ებრიალებათ,
მე ლამაზი გოგო მინდა, შენ რა გეპრიანებაო. 1174

ვიაროთ, ბაღჩას შავიდეთ, ჩავკრიფოთ მარგალიტები:
ლამაზმა ქალმა ჩავგვისწრო, კარ გაუყარა კლიტები,
ბროლ სა ხელი გამოყო, მარგალიტისა თითები,
შიგნიდ ნ გამოგვძახოდა: „შიგნით რათ დავიჩაგრები!“ 1175

ზემო ქართლიდან წამოველ, ჩამოვიარე გზა წვრილი.
გადმომდაროყო დერეფანს ქალი ლამაზი, ტანწვრილი:
„აცალე, ბაჭო, ნუ მომკლავ, ახალგაზრდა ვარ, ცემაწვილი!“ 1176

თეთრო ქალი შენ მიყორდი, თორე შავი ბევრიაო,
წითელ პერანგსაც გიყიდი, თორე ხამი ბევრიაო,
ინებებ, -- ჩესთან მობძანდი, წითელ შალი ბევრიაო. 1177

ცივი დილა იყო, მოქროდა ქარი,
წინ შამამეყარა ლამაზი ქალი,
ქვეშ-ქვეშ გამიცინა, თან მიყო თვალი! 1178

იამა გშობა შობითა, ნარგიზმა ძუძუ გაწოვა
ია დაიგე, ბულბულო, ზედ ვარდი მოიფინეო. 1179

იასა ვარდი რითა სჯობს, რით უფრო დიდებულია;
იასა და ვარდს შუა მე ყაყაჩო მირჩვენია. 1180

იღუმლის კოშკო მაღალო, სასეიროზედ დგახარო,
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან, ჩრდილო, სათკენაც წახვალო. 1181

ისევ ქალო ირინე, კარი ჩამოგვირბინე,
უბეში ხელი ჩაგიყავ, ვერ შეგატყვე სირბილე. 1182

ისევ ქალო დარია, გული შენი მკვდარია,
მე და შენი სიყორული დედიშენის ბრალია. 1183

ისევ ქალო ქეთო, შენც ერთო და მეც ერთო,
ყველა კაცი შენ გიყურებს, გენაცვალოს ხმელეთო,
ხმელეთო და ხმელეთო. 1184

ისევ და ისევ ლიზოშო, შოგვიკერე ქისო,
მისთვინც აღარ მოგეშვები, გინდა გახდე ცხვისო. 1185

ლიზო მიდის ვერასა, კომშს ურიგებს ყველასა. 1186

ასი მთა გადმოვიარე, ქუდი გადმოვატრიალე,
ასე ჩამოველ სოფელში, ძალლი არ შავახმიანე,
ასე შავაღე კარები, ყუნწი არ შაუჭრიალე,
ასე ავწიე საბანსა, კალთა არ შაუშრიალე;
ასე ჩაუწექ გოგოსა, ძილი არ შაურხიევო,
ასე გაუხსენ ხონჯანი, ფოჩი არ შაუნძრივევო. 1187

კრუხი ვენახში შავიდა წიწილების წივწივითა,
შარი ბური, ბარი გოგდი, გოგოსია სისირ ბაკლა,
გოგო შუშანავ! 1188

ლამაზის ქალის სიტყვამა ისრით მოკლა ჩემი გული,
გამშორდა ქალი ლამაზი, შორით გალობს ვით ბულბული. 1189

ლამაზმა ქალმა დამწყევლა, სახელად ერქვა მჯკაო,
ტანისამოსი დაჰკერა, ახალუხი და კაბაო,
შეკამანდი გააკეთა, ძალღმა მოსტაცა ტაფაო. 1190

ლეკურ-ლეკურ დამბაჩა, ტეხური და აბაშა,
ცირეს კაბა გოშხურუდა, საზაფხულო ქულაჯა. 1191

მათურის თავის კლდეშია სისხლის წყარონი დიანო,
შიგა რომ სამი ქალნია, ბევრის ყმის გულსა კვლიანო,
გამოვლენ, ხელ-პირს იბანენ, შუქნი მთას გადივლიანო. 1192

მალა მალლისა მთაზედა კურდღლისა სისხლი მდგარიყო,
ზედ აჯდა ორი არწივი, სვემდა და ვერ გამძღარიყო. 1193

მალა მთაში წყარო დის, ნარინჯის ფერი ჩამოდის,
გვერთ უზის ქალი ლამაზი, მუშკ-ამბრის სული ამოდის. 1194

მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ლამისა,
დავწვები, ჯავრი ჩამყვება სამი ლამაზი ქალისა,
ერთია მეტათ ლამაზი, მეორე — ლერწამ ტანისა,
მესამე ასეთი არის, — დამყენებელი თვალისა. 1195

მე რო შენკენ წამოვედი, იდექი დერეფანშია,
უცებ გული წაგივიდა, წყალი ვერ მოგასწერია. 1196

მე შორიდამ შემომესმა მემურვალი ქალის ქება,
კითხვა-კითხვით მივაგენი, მინდა ავუსრულო ნება. 1197

მთაზე ყანა დევიდევი, შით დავთესე კვატვაი,
ბაბამ ქალი არ მომგვარა, ვერ დავდგები მარტვაი. 1198

მთაო გადმიშვი მაღალო, რას ნისლი მოგიხვევია,
შენს იქით ჩემი ერთგული სხვას ვისმეს ჩაუხვევია. 1199

მთასა დაედვა თრთვილი, მწყემსო ახყარე ცხორიო,
ან არ მოგწყინდა მთანიო, ან არ მოგინდა ბარიო? 1200

მთაში არიან ირმები, იქ აკეთებენ ბინასა,
ჩამოდიან და წყალსა სმენ სალამოსა და დილასა. 1201

მივდივარ, არ მეშვებიან, მე ვიცი წამიყვანებენ,
არ ვიცი ცხვრებში გამრევენ, თუ ციკან გამოყენებენ. 1202

მივალ გზასა, მივიმღერი, ქვრივი ბანს მეუბნებაო,
ყმაწვილებო ჩამოდექით, ლამაზი მობრძანდებაო. 1203.

მინდვრიდამ ამოდიოდა ქალი ლამაზი მჭრეტელი,
ზელი შემოყო, განათლდა ზემო თარომდი კედელი. 1204

მინდვრის ჯოგი ამოვრეკე დაჭედილი ნალთაგანა,
დამწვარი ვარ, დადაგული ამბარტავან ქალთაგანა. 1205

მინდორში არ დამაძინა ქუნქლამა და კოლოძაო,
ლოგინში არ დამაყენა გაგლეჯილმა გოგომაო. 1206

მოვიდა მარიამობა ჩვენის ქალების დღეობა,
ახლა წავალი ქალაქსა, სარტყლებს მოუტან ქალებსა. 1207

ნადირის კვალსა შემოვყევ ნახტომსა ჯეირნისაჲა,
ვეძებ და ვერსად შევყრივარ მიჯნურს ჩემ გუნებისასა. 1208

ნეტავი მოვკვდე ხის ძირსა, ფოთოლი დამედინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი, თვალს ცრემლი მოედინოსა. 1209

ნეტავი, ძმაო, იმ დღესა, თავს რომ გვირგვინი გედგასო,
ქორწილსა წამოგსწრობოდე, ჯამითა ღვინო მესვასო. 1210

ნეტარ რაა იმისთანა მარიაჲ დედოფლისთანა,
გალმით-გამოდმით ქალაქი იმ შუა ქუთაისთანა,
წყალში რომ ფეხი უდგია იმ ოქროს ჩარდახისთანა. 1211

ნეტავი წყლის პირს მაძინა, ზედ გულზედ ქვიშა მაღინა,
ლამაზი ქალის კლავზედა ცხრა დღე და ღამე მაძინა. 1212

ნეტავი მომკლა მინდვრათა, შამბი მეყოფა სუდარათ,
ყვავ-ყორანი დამიტირებს, კაჭკაჭი დედისებურათ. 1213

ნეტამც ვინმე მომკლას ვინმე, ასო-ასოთ დამჭრას ვინმე,
თავზედ ცეცხლი მაშიკიდონ, ბოლომდოსინ დამწვას ვინმე,
ამთენს კიდევ მოვიჭირვი, საყვარელთან დამსვას ვინმე! 1214

მინდორი ამოვიარე, მინდორი ტალახიანი,
შენ რო სიტყვები გცოდნია ბლომა და ბარაქიანი! 1215

კურდღელს ძაღლი მოუტევე, შარას დაცილებია,
ყველა გლახა მოშაირეს თავება დაცილებია. 1216

მან შაშვმა უთხრა მარჯანსა, გადამეკიდე რასაო,
შორიშორსა გვაქ სავალი მინდორიცა და მთაცაო. 1217

ადექ ირემო, ნუ გძინამს ყურცქვიტა ლამაზუნო,
ოთხივ ფეხებით ნაჭედო, აფჳანდა უნაგრიანო. 1218

ახლა კვირია, კვირია, რას დაგიღია პირია,
ეს მეგელი მიტომ მოვკალი, თხა შემიჭამა ნისლაო.
ჩქარა, ბიჭო, საციქველი, სხვაგანაც მინდა მისვლაო. 1219

მთას ვიყავ, მთობა ვერა ვქენ, ახლა ჩამოვე ბარადა,
არა ვარ მასაული, ვერას წაგართმევ ძალადა. 1220

მზეო გამოდი ვაკესა, თხას დაგიკლავ მაკესა,
შეგიწვავ და შეგიბრაწავ, წინ დაგიდგამ გობითა,
შენც გობითა, მეც გობითა, სწორა ამხანაგობითა. 1221

მე უმღერალი ვერა ვძლებ, სულს შამინდე მკედრისაო,
მკედრისაო და არა მკედრისა, ხათრი მაქ მეზობლისაო. 1222

მე რო სხვითა შვილათ ვიყავ, ვემსახურე ხარიკას,
ფეხშიშველა მაჩანჩალა, არ იმეტებს ხარის ტყავს. 1223

მე ორპირში რა მინდოდა, გამაგზავნეს ძალათაო,
ერთი რამე ქე ვიპოვე შვიდიოდე მანეთაო,
დავჯექი და პური ვჭამე, გაეატარე დროებაო,
ვახშმათ სახლში რომ მოვედი, დავიძინე მაგრათაო,
ვოსოსოია რერაშაო!.. 1224

მალლა ზიხარ, ბუსა ჰგეხარ, ძირს ჩამოხვალ, — ყორის გველსა,
ვაუკაცობას კარგს გიქებენ, ოჯახობას — ცარიელსა. 1225

ახლა და ჩემო სესია, ხანჯალიც გაგილესია,
ათას რვაასი გაწყვიტე, ოცი სხვა დაგისრესია. 1226

ალალმა დაილალა თრიალეთისა ველიო,
გასწყვიტა ჩიტი და მწყერი, ნიბლას უღინა მტვერიო. 1227

ემმაკურათ წაველ კახეთს, ქალს დაეგო ჩემთვის მახე,
ჩემი ლურჯა იქ დავკარგე, ვიტირე და ვივაგლახე,
უნაგირი ავიკიდე, წეროსავით ვილახლახე. 1228

ბაზალეთს ქორი აფრინდა, არაგვი ჩაინადირა,
დააჯდა დედალ ხობობსა, იქნაძოგარი აღინა. 1229

გადვიხედე საგინეს, ქორი ქათამს აგინებს,
„აქშა, აქშა შე ტიელო“, ქორი მოგინადირებს. 1230

აღე შვილო ზაქარიავ, გაიხედე რა დარია.
— ზეით მოწვიმს, მოქრის ქარი, ქვეით უფრო ავდარია. 1231

ავიარე ავლებსაო, თხა დაეკლათ ფშავლებსაო,
ხორცი ვთხოვე და არ მომცეს, დახე იმ შავგულელებსაო. 1232

აი თინანო, თინანო, ვაი თუ ბოლოს ინანო!
 თინა მიდის წყალზედა, კოკა უდევს მხარზედა.
 თინამ კოკა ძირს დადო, — გამიგორდი' მკლავზედა!
 თინამ დაკლა ქათამი, არ მაქამა ბარკალი,
 ღმერთო შენ გაუწყვიტე ჭუჭულა და ქათამი! 1233

აკი გითხარ, დედამზილო, ნუ გამგზავნი წისქვილშია,
 იქ ბიჭები დამხვდებიან, ჩამაგდებენ სირცხვილშია! 1234

ალექსანდრე, საზრეო, ეგ რა მოისაზრეო,
 მამა ქალაქ ვაგზავნე, დროშკა დაიბარეო,
 შიგ ჩაისვი კეკელო, გორი მოატარეო! 1235

ამ საცინალ კაპრანასა წვერი ჰქონდა მურა,
 ხაფანგის ოსტატი იყო, დეეჭირა ტურა,
 შეეწო და მეეხარშა, შეეჭამა სულა,
 დედაკაცს ეუბნებოდა: მომაწოდე სურა!
 — მე შენ სურას არ მოგაწვდი, შენ შესრუტამ სულა! 1236

შენ გენაცვალე შენიო, პატარა ბატის წვენიო,
 პატარა კიდევ დამისხი, გავაცმატუნო წვერიო. 1237

დავით ელიზბარაშვილმა ჩამაბარა მარანიო,
 ანგარიშში რომ ჩამიდგა, ემეშალა ბალანიო. 1238

ესე ჯორი წითელია, წითლა ვაკეს გაზდილია,
 თავი აქვს მეტად გრძელია, შესაჯდომათ კი ძნელია. 1239

კაცი გავაზიდგან მოდის, სულყველგან ფონი ჰგონია,
 ჩოხა მიეცა გირაოდ, ფული არ გამოჰყოლია. 1240

კუდა და მარტნი შაიბნენ, კუდამ აჯობა ხერხითა,
 შავიდა კუდა ბოსელში, მაგრა დეება ფეხითა. 1241

ნადირნი მონადირესა მოეკლა, ედო გრილოსა,
 ვემეგზავნა ბიჭები, ელოდებოდა ღვინოსა. 1242

ორნივ იქ შევიყარენით ქალასა დიდ ვაკისასა,
ხელი გადავყავ, ვაკოცე ნაწნავსა გიშრის თმისასა. 1243

პიტნა-პიტნა პელენცაო, ყადის გოგო წემექცაო,
ერთი უნდა მეკოცნაო, წამოხტა და გემექცაო. 1244

რას ტირი, ქალო, რას ტირი, რას დაგითხრია თვალეზი,
მინდორი შენი ცრემლისგან სამსეა ნაგუბარებით. 1245

სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა,
ვინა ჰყავს ყურის მგდებელი, ვინ დააფრქვევს ცხარე ცრემლსა,
დედა და ცოლი და შვილი სით მოხვდება იმ მხარესა,
მაგრამ ღმერთი მოწყალეა, თვის შექმნილ კაცს ისა მზერსა. 1246

საბრალო ბერი ქედანი მთას წავა საბუდარათა,
წინ შავარდენი დაუხვდა, აუტყდა საჩხუბარათა. 1247

საწყალი კატა ჩიოდა, ვაჟმე მხარი და ბარკალი,
ქალებმა ერბო შეჭამეს, მიმტყიპეს ალალ-მართალი! 1248

სირმა, სირმა, სირმა ხაზაზიანო,
მე შენს მიზეზს ვერ გადურჩი, შე გულმიზეზიანო. 1249

საყვარლათ საგონებელო, ვაშლივით გაგორებენო! 1250

სამი სიტყვა გუშინ გითხარ, სამი ღღესა, გახდა ექვსი,
ვერც შაირი მოგაწონე, ვერცა მაგრე რიგად ლექსი,
იანვარში მომიტანე ყარფუზი და მუხა ნესვი! 1251

ტურამ ქათამს ამოუხტა, სოფამ ჭერზე მიაშურა,
ერთ დერგში ძმარი დახტა¹⁾, წაჰკრა ფეხი, მოაშპორა²⁾.
ტურაც იმფერი უნდოდა, — კაცათ თავი მოაჩვენა,
საკილტავში ჩააფრინდა, კაცმა ველარ მოაშორა. 1252

1) დახვდა.

2) დაღვარა.

ტურფანი სხედან ბალშია, არიგებ-ჩარიგებული,
წინ სუფრა უდგათ გაშლილი, ზედ მიწა გარიგებული. 1253

ფაფრის მინდორსა ვაკესა წყერს მოუდგემდი მახესა;
შემამეჩვია ლამაზი, მალ-მალ მამიშლის მახესა.
გოგოვ, ნუ მიშლი მახესა, თორემ შეგიშლი სახესა! 1256

ქათმისა მიყვარს ფრენაო, მალლიდამ გადმოფრენაო;
მხარ-ბეჭი, ბარკალ-კურტუმი, პატარა საწიწკნელაო. 1257

ქალს ქისა გამოეგზავნა, ქისა დალიანდაგული,
სანამ მქონდა, მიხაროდა, დავკარგე და — დადნა გული. 1258

ქალი არ მამწონებია ღუმაცხო¹⁾ ბროლასავითა,
ყელყურზე ჩამოვეხვიე თივაზედ ხორასავითა²⁾,
დაუჯე მუხლის კვერზედა ირმების სროლასავითა,
დავეკარ, დაღარ³⁾ მოვეშვი შაშხანზედ კორასავითა⁴⁾. 1260

ელიზბარი, ვაჟიკაი, ორივ ეშმაკ კაცებია,
ფერსამც⁵⁾ აქა მოურეკა მაგა დედაკაცებო.
ბალახზე ორ შაურ მამცემ, კარგათ გავისარჯებო;
თუ ორ-ორიც არ შაუქნა, ციმბირს დავიკარგებო,
თუშურათ წვერს გავიკეთებ, ლამაზ დავიხლართებო. 1261

ქალ, კახეთს გაგათხოვებენ, ქალმანი გინდა რკინისა,
მოგაგონდება ახმეტა, სურვილი მოგკლამს ღვინისა. 1262

ქალმა აიღო ქვა, დამცა, — რა გულმა გააბედინა!
შიგნითი გული მამიკლა, გარ ცეცხლი მამადებინა. 1263

ქალმა დამწყევლა ლამაზმა, თმაშეღებლმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა, ზარხოშათ ვიყო ღვინითა. 1264

1) სოფელი.

2) დახვეულ ფლოსავით.

3) და აღარ.

4) თოფზე სანიშნესავით.

5) ბერსამც?

ქალმა ვაშლი გადმამიგდო, ამოიღო უბიდგანა,
„ჩემეულათ შემინახე, არ გადმიგდო გულიდგანა!“ 1265.

ქალმან სთქვა: ახალ ვაჟკაცსა სიცილით შევეყვარდები,
შორითგან დავსწვამ, დავდაგამ, ახლოს არ მივეკარები! 1266.

დღეს კვირეს დღესა შევეუტიე მწყერსა,
ქალმა ხელი დამიქნია: აქ წამოდი ჩვენსა,
პურსა გაჭმევ ბევრსა, ღვინოს ძველისძველსა.
„ღმერთმა კარგით აგაშენას, ბევრჯელ ვიყავ თქვენსა!“ 1267

ქალო, ვისი ხარ ლამაზი, დაურჩი დედა შენსაო,
საქმე რო არა გქონდეს რა, ჩამოხვიდოდე ჩვენსაო. 1268

ქალო, ქალო კისკისაო, სად მიხოლი წისქვილსაო,
დაგეწევა შენი ქმარი, ჩაგილილავს ცხვირპირსაო. 1269

ქალო ხაბარდიანო, მინდა შენთან ვიარო,
ერთი გზა შენ შეიკავე, მე საღით ვიარო,
გახტენი და გამოხტენი, გვერდი ვერ შეგიარო. 1270

ქალო ხაბარდიანო, გაქ და გიხარიანო,
ხაბარდა რომ დაგიგჯება, თვალი მაშინ დაგიდგება! 1271

ქალო, ქალო კისკისაო, აქ ჩამოდი წყლის პირსაო,
ღვინოს გასმევ კულითაო, გაგახარებ გულითაო. 1272

ქალო, ქალო ქანციავ, თეთრი კაბა გაცვირა,
გაიხადე, მე ჩამაცვი, მითომ გაგიცვეთია. 1273

ქალო, ქალო შავთვალა, ბიჭმა შემოგითვალა:
ან მამე ჩემი დანა, ან წამიყვანე თანა. 1274

ქარი ქრის, ქარი შიშინებს, მალლა ჩარდახსა ბერავსა,
შიგა ზის ქალი ლამაზი, შავი პერანგსა ჰკერავსა. 1275

ყორანო, ქარის¹⁾ ბოლოსა არცა ჩაავლე თოლიო
ან არცა ღნახე უშიში²⁾, ან აბაშვილი კარიო³⁾).

— ვნახე და ველარ დავსწონე⁴⁾, არწივს ეფარა მკარიო. 1276

შავს კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩეექანება,
ჩავალის, ლეშით გაძლება, ამოსვლა დეეზარება. 1277

აი დედასა, ყორანო, შენ ჩემი ლეშით ძღებოდე,
მე შენგან არ მეშინოდეს, შენ ჩემი შიშით კვდებოდე! 1278

შავხედე ბაბაკის მთასა, ცხორი სძოვს სერშარეული⁵⁾,
ბევრჯელ აჭმიე ღუშმანსა ოხშამი ჩხამგარეული. 1279

შენი ჭირიმე მთვარეო, ლამაზ ქალს მიმაბარეო,
გაბენებამდინ მამყოფე, გათენდეს, — გამაპარეო. 1280

შენი ძმობა-სიყვარული ერთხელ გულში ჩამიგდია,
ქორი ბევრი გამიგია, მაგრამ ყური არ მიგდია. 1281

შვილნი ძმანი წამოვედით, შვიდ სოფელს მოვეფინენით,
შვილსავ ასე ვახდევინეთ, ფრჩხილი არ წავაგდებინეთ. 1282

შილდაში ჯარი შავიდა ფერისცვალობის დღესაო,
ღუქნები დაწვეს, დადაგეს, ბევრს აუტირეს დედაო,
თელავს ქალალდი გაგზავნეს, მოვდივართ ეხლა
თქვენსაო. 1283

ჩამოვიარე ავლესა, ფერხული ებათ ქალებსა,
ქალებმა ცილი დამწამეს, ქურდობა დამაბრალესა,
მივუბრუნდი და მეც ვუთხარ, რაც რომ შინ დამაბარესა. 1284

1) სახელი ადგილისა ხევში.

2) კაცის სახელი.

3) აბაშვილი ხარი — მფარველი უშიშისა.

4) გავუბედე.

5) დასერილი ყურით.

ჩამოვიარე სურამსა, მშრალზე მარხილი ცურამსა,
შავხედე ლამაზ გოგოსა, ყელიც უგვანდა სურასა. 1285

ჩაჩქანს ვიყავ, ჩაჩქა ვნახე, ნადარბაზი ორმო გული,
იქ რომ ერთი ქალი ვნახე, იმან დამიკოდა გული. 1286

ჩემმა საყვარელმა ნახე რა მიყო?
გული დამიკოდა, ცეცხლი მამიდო.
ჩემმა საყვარელმა ნახე რა მიყო?
ჯოჯოხეთის ხუნდი ფეხში ჩამიგდო. 1287

ჩემი ძმისა ნეფისა თვალი გამეფეფისა,
არ დამიკლა ქათამი, არ მაჭამა ბარკალი,
ღმერთო, ისე გაუწყვიტე წიწილა და ქათამი. 1288

ჩიტი გვრიტი მოფრინავდა, მე შროშანი მეგონა,
საცა ლამაზ ქალსა ვნახამ, ყველა ჩემი მეგონა. 1289

ჩონჩოზედ გადმოვიარე, ქალი პირს იბანს წყაროზედ,
ჯერ ვეხვეწე და ვეხვეწე, მემრე დაუდეგ ძალაძედ. 1290

ცივი დილა იყო, მოქროდა ქარი,
ლამაზს მოქონდა წყაროდან წყალი,
ქვეშ-ქვეშ გამიცინა, თან მიყო თვალი,
ფეხზედ ქოში ეცვა, ქვეშ ედო ნალი. 1291

ძმობილო, ჩემო ძმობილო, ხან ფოლადო, ხან რკინაო,
ულვაშზე ფისი დაგადვეს, აღარ დაგჭირდა ინაო. 1292

წავალ, წავალ, არ დავდგები, ჩავჯდები შუა ქალებში,
რომელიც მომეწონება; ვაკოცებ შუა თვალებში. 1293

წყალი მწყურიან, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა,
წავალ და ჩავეხუტები ლამაზი ქალის უბესა. 1294

წვიმამ იწვიმა ზეცისო, ჭური გატეხა ვერცხლისო,
შიგ ღვინო იღვა მეფისო, ნასესხი ყურუშებისო. 1295

წითელსა კარვის კარავსა ფარდა მიეგდო ქარსა,
შიგ მზე დაბნელებულიყო, მთვარე აყრიდა: შაქარსა.
მთვარევ, ნუ აყრი შაქარსა, შენ არვინ მოგცემს მაგ ქალსა. 1296

წისქვილს პური დავაყარე, მივაბარე მინდობით,
მე წავალ, შენ დაგტოვებ, კიდე გნახავ მშვიდობით. 1297

ჭიი, ჭიი ჭიანური, ზარბაზანი მხიარული,
შენ უკრავდი, მე გეძებდი, მომეწყინა სიარული. 1298

ჭინჭველას ნალი ავყარე, სახნის-საკვეთი დავსწვერე,
იმის ნარჩენი რკინაი ლიტრა მანეთად გავყიდე. 1299

ჭიშკარიანთ ქალის ქება, უნდა ვითხრა, არ იქნება,
პირისფერი დიბის კაბა ალვის ხის ტანს მოუხდება,
ალმასისა ქინძისთავი კოკობ ძუძუს მოუხდება. 1300

ხეობა ჩამოვიარე, მთამ დაიხვია ბურია,
უფალმა ნუ მომიშალოს შენი კეთილი გულია. 1301

ერუსალიმს მიმავალი ეუბნება ბერი ბერსა:
ჩემი სულის არ დასჯამა, არას ეყვის გერი გერსა. 1302

ხუცესმა უთხრა ხუცესსა, — წირვას ამბობენ რუსეთსა,
წასვლა კი არ მეზარება, თუ გამიძლობენ მუცელსა. 1303

ჯავრი მკლავს, ჯავრი მალონებს, ჯავრი მატრებს დედას.
ჯავრო, მილამდი არ გჯავრობ, მილამ არ გამიბევრდები. 1304

ჰოი, შე ჩემო ცკილიო, სარკეს მიეგამს პირიო,
თვალწარბიც გადაგხატვია, ქოჩორიც ოქროს პირიო,
იკლიკიტან, კარი ხისან, ჩახტა ოლან, პირი მთისაო,
ბარი მათხოვე ხისაო. 1305

ჰაი ანანო, ანანო, ავჭალას ლეკნი დგანანო,
ცხენები დაკმაზულები ლაგამწყარილი დგანანო. 1306

ჰალალმე ალთა დედანო, ქალი ზის წყაროს ზეგანო,
არტყია მუშკის სარტყელი, უხდება კაბა ზეგანო. 1307

წისქვილის ბანზე შემოხდა ქალი ლამაზი მჭვრეტელი,
თვალეები შემამაჭყირა, დავლოცე იმის მჭედელი. 1308

წყლის პირსა კახამბალები, ზედ ახვევია ქალები;
ერთი შეხედვით შევატყობ, რომელსაც შევებრალები. 1309

ჰაინალები, ნალები,
წყლის პირსა კახამბალები,
ზედ მოდობია ქალები;
ზოგს მოკვდომია ქმარები,
ზოგს საყვარელი ძმანები. 1310

ქვეიღამა მოვდივარ,
დამელო თავი.
წინ შამამეყარა
გულმკვდარი ქალი.
სევდით გული მამკვეთა,
მივეგდე მკვდარი.
ავდექ დილასა,
ავილე ცელი,
წაველ ნაფუზარში,
გავთიბე ქერი. 1311

ჰაი, დედაო, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო!
„შვილო, რა გენაღვლებაო, დიდი ჩიჩია გხვდებაო“. 1312

გენაცვალოს დედა შენი, მემრე შენი მამიდა,
შენი წილი შეჭამანდი თაროზედ დგას ჯამითა;
ზედ მიხვევიან თავგები, — რა ყოფა აქეთ მაზედა! 1313

ამომავლო ღრუბელო, გადამიტანე თანაო,
სად არის ჩემი დედ-მამა¹⁾, მიმაგდე იმათთანაო. 1314

მთვარეს კაცი მოეგზავნა: „აქ ვიყავი და ვერ მნახე!“
— არ მეცალა, შენმა მზემა, ქალის ქუდსა ვკერავდიო,
გარს ვუვლებდი მარგალიტსა, ოქრომკედით ვკერავდიო. 1315

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა: „თუ აქ იყავ, რათ არ მნახე!“
— შენი შიშით, მორიდებით, ველარ მოველ, ველარ გნახე,
თავი ისთე შევინახე, კაცსაც აღარ დავენახე! 1316



¹⁾ ვარიანტში: მოყვარუ

7. ავტორიზაცია

შ ა შ კ ა ს ი

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო,
თვალი ქორულებ მკვრეტელი, ხელმუხლი შავარდნისაო,
ხარი, კამბეჩი თავისი, ცოლი მოსწონდეს სხვისაო. 1317

ესე არ იცი: ჯაბან კაცს გულს უკლავს სხვის მამაცობა,
თვით კარგ კაცობა არ ძალუძს, სხვისა შურს კაი კაცობა. 1318

ვაი, რა დიდი ბრალია, შავარდენ ასყავს ძერასა!
გაუფრინდება, წაუა, შორით დაუწყებს ცქერასა. 1319

ადექით, აიშალენით, საომრათ შეემზადენით,
ერთი მე მოვალ საბრალო, ცხრანი თქვენ მოხვალთ გმირები!
— ნეტავი შენსა დედასა, შენ გაუხდიხარ შვილათა,
ერთი შენ მოხვალ საბრალო, ცხრანი ჩვენ მოვალთ გმირები, —
წახვალ, ამას დაიკვებებ: შუამთა ჰყრიან ვირები! 1320

ალაზნის პირსა ჰკიდია ვაჟის ჯურკაის ფარიო,
მოუვლის ომის წადილი, ხანდიხან შესძრავს ქარიო. 1321

არ ვარგა კაცი უმტერო, არც ძრიელ მტერმორეული,
თოფი უჯობს ჩახმახითა, სიათა გვარშერეული,
რომელიც ხურობს მაჟარსა, არის გონგამოლეული. 1322

არ გათეთრდები, ყორანო, რაც უნდა გხეხონ ქვიშითა.
მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა,
კმალთ კი არ შევეპოები, შუბნი გამხეთქენ შიშითა. 1323

ტირილითა და გლოვნითა მტერნი არ შეგვიბრალებენ,
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ, მზე იყოს, —
დაგვიბნელებენ. 1324

არას ვარგა სამძიმარი, უსარგებლო ცრემლთა დენა! 1325

დასხდებიან ჩვენი მტერნი ჩვენზე რასმე გაამგებენ,
ჩვენზე ამოღებულ ხმალსა ხელუკულმა ჩააგებენ. 1326

ჩვენ ბევრის ხმალი გვექადნის, ზევით მთის, ქვევით ბარისა,
ვერაგინ ვერას დაგვაკლებს, ხორცი ძანძლია ვაჟისა! 1327

ამირან, ბასრი ბუსრი ხარ, ორბი ხარ დაბრუნებული,
მტერთანა დათვის შუბლი ხარ, სტუმართან გაცინებული. 1328

აღას შესულმა ფრიდონმა მუსა მოგლიჯა ძირითა,
გასხიპა, მხარზე გაიღო ვაჟმა მამაცათ ქებულმა. 1329

დილა ადრიან, დედაო, კაის ყმას უნდა სადილი,
ან მტერი შემოღვარდება, ან მთას გაუფა ნადირი. 1330

ვაჟკაცს რას გამოადგება სოფელს შვენება თავისა,
ხმალს უნდა აკრევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა. 1331

კმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეკ წადგი, წაემატება,
არც ვაჟი-კაცსა სიდაბლე, თუ თავი გაემეტება. 1332

ვინც რომ კაცია, — ჩოხა ჯაჭვია,
ქული ნაბდისა — ჩაბალახია. 1333

ვინცა კაცია, ჩოხა აცვია,
ჩოხა ჯაჭვისა, ქული ნაბდისა,
მუზარადისა. 1334

თუ მოყვარე ხარ, — მიმოყვრე: კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ, — შემატყობინე: ან მთას დაგიხვდე, ან ბარსა. 1335

ნუ გიხარიან, ქალო, კაისა ყმისა ცოლობა,
წავა და ლაშქარს მოკრდება, შენ მოგინდება ცალობა,
ასტყდება შენზედ თემობა და შეექნება ცილობა. 1336

კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება სწორების ჯობინობაზედ,
ფონჯაჲ კი ბოსლის კარებზედ, ქალების ლოდინობაზედ. 1337—

კარგი ყმა მაშინ კარგია, ხმალი რომ შეიქს ვლვასა,
მოციქულობდეს ისარი, შუბი აგდებდეს ენასა. 1338

კაცი, მტერთ გადმოგდებული, გეზელ ქორულებ ჰკიოდა,
ჩვენ მონადირე გვეგონა, თურმე მას გული სტკიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა,
ათი მოეკლა გზადაგზა, უომრობასა ჩიოდა. 1339:

მგელი არ მოშლის მგლობასა, ლალი ყმა მამაცობასა,
არც მოშლის ბერი არწივი წვერის ძირს ნადირობასა. 1340

მთას გახვალ, მოჰკლავ ნადირსა და ბარათ ცეცხლის მქნელი ხარ,
დააძლებ ამხანაგებსა, თავად მთავარი ქორი ხარ. 1341

ვინ მაჰკლავს კარსა ირემსა მარიანობისთვისასა,
ვინ გაახარებს ცოლ-შვილსა თავისასა და ცხვისასა. 1342

ხმა მომწონს შენის თოფისა, მთა-კლდეთა შამოხუილი,
წაბრუნებ-წამობრუნება, ქორებულ წამოჰყვიილი. 1343

მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი ხმალს იღებდეს,
მტერზე იყოს გალესილი, მაშინ არაფერს იაჲენდეს,
მამულის გულისათვინა თუნდ მოკვდეს, არცა იქვეზრენდეს;
დღე არ ქონდეს მოსათმენი, რაკი მიდგება ძალზედა,
კაცი მოკვდება ცოლზედა, მამულზედ საკუთარზედა. 1344

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა სამნი ბატონის ყმანიო,
მოგვეწივა მძიჲე ლაშქარი, სწორებს გვეცადა თავიო,
მალლიდამ გადმოაცქირა ლამაზი ქალის ჯარიო:
ბევრს ქალს კი შესძულდებოდა თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრს ქალს კი შეჰყვარდებოდა პირად ჯულური ქმარიო. 1345.

ნუ სცრუობ, ნუ ამპარტავნობ, ნუ ელესები ქალთაო,
აგრემ სად გამაგაქციონ ამოლებულთა კმალთაო! 1346.

პატრონ თქვა: ხმალო, გაგყიდი, ვაჭარი ამიჩენია!
 ხმალმა თქვა: პატრონ, რად მყიდი, რა წუნი შაგიჩნევია?
 მამიკლავს შენი მამკვლელი, სხვა რა დამიშავებია! 1347

როსტომ თქვა: მიწა გრილია, სიტყვას არ უნდა რბილობა
 შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა,
 რაც ომში კაცი დეესწროს, გარჯა უნდა და ცდილობა,
 ათასათ გვარი დაფასდა, ორი ათასათ ზრდილობა,
 თუ კაცი თითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა.
 ცრუ კაცი წყალმა წაიღოს, — აქოს, აღიღოს, — გაქვიშოს,
 უბრალოთ ლაყაბს დაიწყებს, გუშინწინდელი არ იყოს. 1348

საღამოთი მოუმატებს კაი მუშა და მძლე კარი,
 გადაბრუნდება მოკვდება გადათრეული მძლე კარი,
 თუ კაცი გულოვანია, ყოველთვინ გაუჭრის ხმალი. 1349

სოფელს სტირიან ქალები: სოფელს კაი ყმა კვდებაო,
 ღმერთო, ნუ მოჰკლავ კაის ყმას, სოფლობა წაგვიხდებო,
 უფროსთანა ან მტერთანა წინ ვილა წაგვიძღვებო. 1350

მშვიდს დროს გარჩეული საქმე სიჩქარით ვერ გასწორდება,
 და კაც თუ კაცობა ეთქმის, არც წარსულს დაავიწყდება.
 ბევრჯელ ნათქვამს ერთ გადათქმა გზას ვერ უპოვნის სწორესა
 და ვისაც რჩევა უნდოდეს, აასრულოს იმან ესა. 1351

წინანდალს ვაზი ამშვენებს, ახმეტას ვაშლი წითელი,
 ვაჟკაცსა ფარი და ხმალი, მოიმწითუროს კისერი. 1352

წმინდა სამების ყმა ხარო, კარ-კამეჩივით დახვალო. 1353

წმინდის ვიორგის ყმა ვარო, ხარ-კამეჩივით დავალო,
 თუ მინდა ლაფში ჩავწვები, თუ მინდა მშრალზე გავალო. 1354

ბატონისა ვარ ლალი ყმა, მტერო არ შეგეპოვები,
 მოგიბრუნდები ხმალსა გცემ, ან მოგკლამ, ან შეგაკვდები! 1355

შენ ბიჭო აზანბურელო, ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი დაჭრილი ლეკები არაგვში ჩამოდიოდა. 1356

შილდის თავს ვეფხვი დაეკოდე, სამჯერ საომრათ მეტია,
პურად-გულადი ვაჟკაცი სამი გაფრენით მეტია. 1357

შავხედე ერევენელათა კარავი კარავს უმბია;
ვისია მწვანე კარავი, თავს იგრის ტყავი ხურია?
შიგა ზის როსტომ-ტარიელ, უცეცხლოდ რკინის მდნობნია. 1358

ქ ა ლ ი

ალაზანსა და იორსა ზედ დავაწვები ყლაფს უზამ,
აი იმ მთას წიხლს ამოკრამ, ქალო, მაგ შენ წინ ტყაფს უზამ,
და თავგასულსა დიაცსა მე იმას ველარას უზამ. 1359

ადგა ქალი, დადგა გობი და საცერი,
სკრა ფქვილი და მუშტით ზილა,
აცხო მისი ქადა-პური,
თვითონ ჭამა, ჩვენც გვაჭამა,
აცხონა დედ-მამის სული. 1360

ჯოჯობეთჩივამც შევალის სწორი სწორის მეგობარი,
ერთს ჰქონდეს ალალი გული, მეორეს — დაუნდობარი;
ვერ წავა კაცი იმ სოფელს ქალისგან შეუცდომარი. 1361

როსტომ სთქვა, მე დიაცისა შე სიტყვა არ მემხილება. 1362

ცოტა მოხნული სჯობია ბევრსა და ხავრეზიანსა,
ქალი სჯობია ფერმკრთალი ლამაზს და სხვებთან ზიარსა,
ყველა ხელს ჩმას გადასდებს, იმ ოხერსა და ტიალსა. 1363

ანეული და თერობა, ლამაზ ქალს უნდა ფერობა. 1364

თივა მთისა ჟჯობს, რეგვენო, ღვინო და პური ბარისა,
კოცნა ჟჯობს თეთრი ქალისა, შახვეენა შავგრემანისა,
შავგრემანმა თქო: შავიხვევ, ამოვალ შენის მადლითა! 1365

დედაკაცი დაბერდება, მუუჯდება კერასაო,
ცარიელ პურს არ მიირთმევს, მოგვინდომებს წველასაო,
საქმე რომ არა ჰქონდეს, ატიკტიკებს ენასაო. 1366

გოგო ისეთი ძალღია, მალ-მალ ჩაგირბენს კარსა,
თითონ ახლო არ გიდგება, შორიღამ გიშვრება თვალსა. 1367

მალლა მთაშია ცინული აპირობს ჩამოდნობასა,
გოგოების გათხოება უყურებს შემოდგომასა. 1368

ქალი მყავდა მშვენიერი, ტურფა იყო, ყვავოსანი.
გავათხოვე, გავატანე ჩემი ვეფხის ტყაოსანი.
მან იკითხა, არ უსმინეს, ისინია სვანოსანი,
ისევე მე წამოვიღე ჩემი ვეფხის ტყაოსანი. 1369

საბრალო ქვრივის ქორწილო, უჩუმრად გინდა ღიღინი,
რა გინდ რომ იყო ლამაზი, არ მოგიხდება გვირგვინი! 1370

ვის უნახამს, ვინ ნახა ქვრივი მორთულიო,
ტანთა ეცვას დარაია, ყურთმაჯ — შეყრილიო,
თავსა ეხუროს მანდილი, ფანცის სარტყელიო. 1371

კარგი ხარ კარის ვანაო, თუ შენ ქათამი არ იყო,
ძმანი არ გაიყრებოდენ, თუ დედაკაცი არ იყო. 1372

არა მწამს რა დიაცისა, როგორც მოწმენდილი ცისა,
არცა არა მწამს ჩემი დის, როგორც რომ ბრწყინვალი მზისა. 1373

ვაჯკაცს დიაცის დამდოსა სამარემც. დაეკვეთება,
დღეს ერთი უყვარს, ხვალე სხვა, ხვალეზეგ სხვა ებედება. 1374

ოჯახი, ნათესაობა

სამნი ძმანი გავცვინდითო, სხვა სოფელი ვარჩივნეთო,
ვიკვნესეთ და ვივაგლახეთ, ჩვენი სახლი ვარჩივნეთო. 1375

ფშაველი ვარ და ფშავს წავალ, ვაჟ ფშაურო ხინკალო. 1376

ისეთ სტუმრის დედა მოკვდეს, თორმეტ ხინკალს შეჭამასო,
ისეთ დიასახლისიცა, რომ ნარჩომი გაათვასო¹⁾. 1377

ვაიმე დედავ გვერდები, უცოლშვილოთ ვბერდები! 1378

ბრალთა მოკვდეს ვაჟკაცი, უდროთ მოიშალოსა,
არცა დადგომდეს გვირგვინი, არცა შინ მოეყვანოსა! 1379

დავწვრილშვილდი, — დავიწიე, მომეზარდნენ, — ავიწიე. 1380

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა ცოლსა ყბედსა და შძინარსა,
ის მოჰკლავს, ის დააბერებს, ის შერთამს წყალსა
მდინარსა. 1381

ვაჟკაცსა ცოლის სიავე შუა გზას მათგონდება,
წაიღებს საფიქრებელი, გზას იქით გადავარდება. 1382

როსტომ სთქვა, ცოლის დამხდოსა სამარე დეეკვეთება. 1383

ლაშქარს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო. 1384

კაი ქალისა პატრონსა უნდა ყავდეს ძალი ფრთხილი,
ბინდიდან ალიონამდის არ იღირსოს თვალთა ძილი;
გლახა ქალისა პატრონსა მუდამა აქვს ძილი ტკბილი. 1385

ქალი, ქმრის დაწუნებული, სამშობლოს მიშავდებოდა,
სამშობლომ შინ არ შეუშო, პირი რომ უშავდებოდა. 1386

¹⁾ შეჭამოსო

ციდან წამოვა ღრუბელი თავთაქვე დაეკიდება,
კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერიც არ მოეკიდება,
უცოლობა სჯობია, ზოგ ჭირს რომ გადაეკიდება. 1387

ასეთია კაცის გული, ვით მორევი შავი ზღვისა,
რა გინდ კარგი ცოლი ჰყვანდეს, მაინც მოუნდება სხვისა. 1388

ზოგიერთი პატარძალი დაეგდება ძელივითა,
თუგინდ რომ ხმაცა ესმოდეს, ყურს წაუგდებს მგელივითა,
სალამოს ქმარი მოუვა, კუდს მოუქნევს მელივითა,
ქმარსა ასრე ეგონება, მქნელიაო თემივითა.
იმას სახრე მოუხდება, წაეგრიხოს წნელივითა. 1389

პატარძალო პატარაო, წყალს მომიტან, სხვას არაო,
ჩამოჯდები კერასაო, ატანტარებ ენასაო,
ჩასვამ ცეცხლის კვერასაო, წაგვამწარებ ყველასაო. 1390

აგი პატარძლის ყოფნასა სახადი სჯობს სახლშია:
ჯამებს უბიათ ფერხული გარეთ კარაპანშია,
კოვზები თავებს იმტვრევენ ტალახსა და ლაფშია,
ქაფქირი ტალახში ფლია, ჩამჩა იცემს თავშია.
კაი პატარძალი არი! სახრე უნდა ტანშია. 1391

ჩვენ რომ რძალი მოვიყვანეთ მეტათ გაწრეტილიაო,
უსანდომო, უსადრიკო, სალამგაწყვეტილიაო. 1392

ასრე უნდა პატარძალი, ერხეოდეს ვერხვივითა,
მამამთილსა ემსახუროს, დედამთილსა ღმერთივითა,
მაზლ-მულეებს მოეგარგაროს, შვილებს მიჰყვეს ღვედივითა,
იმას ისრე შეინახვენ, უგუნური ტრედივითა. 1393

გენაცვალე სახლო, კარო, ჯამჭურჭელო, მემრე თარო,
სახლში კარგო პატარძალო, ღმერთმა გაგახაროს, ქალო. 1394

მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო,
მაზლო იაგუნდისაო, შვილო ნუშის გულისაო,
მულო, შენ ამოვარდი, რომ ხარ ავის გულისაო. 1395

ზემოთიდან წამოვედი, დაბლა ჩავალ გურიას,
 ღმერთო, რა ჭირს გადამკიდე ჩემ დედამთილ ჯღუნიას! 1396

აწი რა ვქნა, რა ვიგონო ავი დედამთილისაგან,
 შინ რომ ჩავალ, შემძულეებს, გადამაგდებს ეზოსაგან. 1397

ნეტა რა ვქნა, როგორა ვქნა? ავი დედამთილი ხარო!
 არასა ვქამ, — უჭმელი ხარ, ვქამ და — ასრე სვავი ხარო.
 ნელა დავალ, — ზანტს მიძახის, გავიქცევი, — ქაჯი ხარო.
 თუ ძირს ვზივარ, — კუტს მიძახის, ზეზე ვდგავარ, — სარი ხარო,
 ვაამებ და — არ მიწონებს: მამაძაღლის ქალი ხარო! 1398

მეზობელში არ ვარგა შირონის მიღებაიო,
 ერთხელც არის შეაგინებს; ისიც შეიქნა ურიაიო. 1399

ოქროს ოქროს შეუწონე, მარგალიტის ლალასაო,
 ნათლიდედის სილამაზე რას არგია სვინასაო. 1400

ოქროს ოქროს შეუწონე, მარგალიტი მინასაო,
 ნათლიდედა ენაცვალოს თავის ბატონ სვინასაო! 1401

ნათლიდედის სილამაზე არ არგია სვინასაო,
 კაცი უნდა უყურებდეს გადებულ ხიდს წინასაო. 1402

ნათლიდედამ ჩაუხალა ერბო-კვერცხი სვინასაო,
 ბავშს უთხრა; ეგ აყაო, უნდა უდგა ფინასაო! 1403

ნეტავი ძმათა მრავალთა, შინ ვერვინ შაუკდებაო,
 ვერვინ აგინებს ცოლ-დედას, ვერც ვინ ცხენს შაუჯდებაო! 1404

ძმაო, რაჲ სჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა!
 ძმა მაშინ მოგაგონდება, ორნი რო გცემდენ მარტოსა. 1405

ომსა ფრინველსა მკარგრძელსა ალგეთს მინდორი დაექნა,
 უძმოსა, უმამისძმოსა ამირანს თავი მაეკლა. 1406

ვაი დედასა და ვაი დასა, ვაი უძმოსა ქალსაო,
ისე არა სძევს პატივი, როგორც რომ შარა გზასაო! 1407

ძმაო, ამ თვალთა ნათელო, ძმაო, სახე გაქუს მზისაო,
ძმაო, ვინ მოგცა მშვენება, — შვიდთა მასკვლავთა ცისაო,
გიყვარდე, მომიგონებდე, დამტირებელო დისაო. 1408

ობოლს სწყევლიან ყორნები: ნუმც გამოსულხარ ველადა,
მანამ შენ გამოხვიდოდი, კორცი გვრჩებოდა ძველადა. 1409

წუთისოფელი, სიკვდილი

სოფლისა თავსა ვესახლე, არა სოფელი ჩემ თავსა,
სოფელს კი ვეთავსებოდი, სოფელი მე არ მეთვისა. 1410

იმ სოფელს ვერვინ წაიღებს ამ სოფლისა ცხოვრებასა,
წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წაგალთ და სხვა დარჩება,
ჩავიცვათ და დავიხუროთ, ამის მეტი რა შავვრჩება! 1411

ცა მტკავლით, ქვეყანა ცილით — ნახე თუ გაიზომება,
ზღვა თუ აიწყვის პეშვითა ან ცანი გადიწონება. 1412

ცა მხარზედ გადამეკიდოს, ქვეყანა ზურგზედ მეკიდოს,
მზის შუქზე ვრბოდე უღრეკლად, ჰაერზედ ხელი მეკიდოს,
შვიდი ცა მქონდეს ქალაღლად,
მზე სანთლად, სალხენი კალმად. 1413

ყველანი დავიხორცებით, ვაი ჩვენ ბედის წერასა,
დავეხსნეთ კორის კრეფასა და ძრახვას მეზობლისასა! 1414

წუთია წუთისოფელი, ცნობას არ გეცლის ძმისასა,
გადავბრუნდებით, მოვკვდებით, ქვეშ მოვექცევით ქვიშასა! 1415

ეგ სოფელი სთველია,
აქ არავინ დარჩება,
ყველა წასასვლელია. 1416.

წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წეობით იწვება,
ზოგი ღვინსაა, თამაშას, ზოგი უცეცხლოთ იწვება. 1418

წადი და ჰკითხე ცხედარსა, ნეტავ რა მიეჭონება, —
სამი ადლი ტილო მიაქვს, ის არის მისი ქონება. 1419

რუსთველმა თქვა: განა თხა გარ, გაზაფხულზე გავიკრიჭო!
მე სიცოცხლე მისთვის მინდა, ხან ვიციხო, ხან ვიკრიჭო. 1420.

სოფელო, მიეთ-მოეთო, საბრუნავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკულმა დაჰხევო. 1421

ეს სოფელი ასეთია: მიეთი და მოეთია! 1422

წუთისოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება,
მდიდარი კაციც მინახამს, ოხრათ რჩებოდეს ქონება. 1424

ვაი შენ წუთისოფელო, დაგცადე ათას ფერათა,
ხორცი ვალადე, ვასუქე, სულსა დაუდექ მტერადა.
სული ვერც იმან მოიგო, ვის ოქრო ედგა კერათა. 1425

რა ღირსა შავი მელანი თეთრი ქალაღდის წერასა,
ყველანი დავიხოცებით, ვაი ბედისა წერასა! 1426

რასაც დავთესთ, იმას მოვმკით, საიქიოს წინ დაგვხვდება,
ამ სოფელს ხორციელობა ხის ფოთლივით გაცვივდება. 1427.

ღმერთო, შენ ხარ ყოვლის შემწე, მოწყალე კარგაღებულის,
სიცოცხლისგან აბეზარის, თავიდგან ხელაღებულის. 1428

ნეტავი კაცსა იმასა, ვისაც ესმის ღვთის ვედრება,
მას უშოვნია ცხოვრება, არვისგანა აქვს ყვედრება,
პური, ღვინო უხვათა აქვს, ყველა მდიდართან ედრება. 1429

ღვდელი წირვაზედ დადგება, ლაპარაკი არის ძნელი,
სახარების კითხვაზედა უნდა ვყაროთ ცხარე ცრემლი. 1430

ღმერთო, შენა ხარ მშველელი კაცისა დაკარგულისა,
დაწვება და დაიძინებს, ფიქრი აქვს სამკაულისა. 1431

არც ანგელოზი, არც კაცი, ღვთის მეტი არა სრულია, —
არა აქვს დასაბამისი და არცა დასასრულია. 1432

ღმერთმა მოგცეს ერისთვიანთ წყალობაო და ჯავახიანთ
გალობაო. 1433

ზოგიერთი უგუნური ღმერთს ტყუილად ემადლება,
ზარის ხმას რომ გაიგონებს, პირჯვრის წერა ეზარება. 1434

რასაც კაცსა ღმერთი სწყალობს, ერთიც არ დაუკვნესია,
მოსავალი მით მოსვლია, თუნდ კლდეზედ დაუთესია,
ხმალიც გაჭურის დალაბრა¹⁾, თუმცა არ გაულესია. 1435

უწყლოთ, უპუროთ, უღვინოთ ჟამნი აროდეს იწირვის,
კაცსა თუ ღმერთი არ სწყალობს, საქმეს ტყუილათ
იჭირვის. 1436

გამჩენელმა გაგვაჩინა, სარჩო მოგვცა, დაგვარჩინა,
სარჩოთ მოგვცა იგი ყანა, სანადიროთ ხშირი ტყეო. 1437

ღმერთმა მოგვცა მიწა-წყალი, გუთნისდედა, მეხრე, ხარი,
პური-ქერი, ფეტვ-სიმინდი, მათი თესვა ჩვენ ხელთ არი. 1438

¹⁾ ჩლუნგი.

აღდგომა დღე დარიანი, ამალღება ნამიანი,
ყველა კაცმა დაიჯერას, პური მოვა ძალიანი. 1439

შენ გენაცვალე ზაფხულო, საცა რომ დავწვე დამხურო,
თვალი დაგიდგეს ზამთარო, რა წვე ნაცარში დამფალო. 1440

გორის თავს ქორი ნადირობს, კახეთის ბოლოს არწივი,
ქორი ჩასძახის: «ჩამოვალ!» «არ ჩამოგიშვებ!» — არწივი. 1441

კარგის ყმის დედას დავნატრი, ვინც ნათქომს გააცხადებსო¹⁾,
წავალის სანადიროსა, ჯიკვს მოხკლავს, მააქანებსო,
დააძღებს ამხანაგებსა და ჯალაბთ გაახარებსო. 1442

ჩემი მტერიმცა, დედაო, მონადირისა ცოლია,
ჯერ შუალამე არ იყოს, მას გათენება ჰგონია,
დააგდებს თბილსა ლოგინსა, სად რა ქიოხჩი²⁾ გაკდება,
ხანდიხან მოჰკლავს ნადირსა, ხანდი თითონაც წაკდება. 1443

მალლა მცის მონადირე ხარ, ბოლო გიხდება ხმლისაო,
ყველას მოსიყვარულე ხარ, ნათესავისა, მტრისაო;
ალალო შენსა ვენახსა, ჭიგო უვლია მსხლისაო,
რაც იმას ღვინო გამოვა, ნახევარია სხვისაო. 1444

კარგი კაცის პურმარილი გზაზედ ხიდათ ვადებული,
ბატონი ჰყავს მადრიელი, კარის კაცი მოგებული! 1445

დღეს წითელი პარასკევი, ზვალ შაბათი თენდებაო,
ზვალზე რო კვირე მოვა, მარხვა გაჯანჯალდებაო;
მარხვაო კარჩი გამოდი, აღდგომა მეგეჯარაო.
აღდგომასა დიდსა დღესა, შაწევნასა კრავლისასა,
იმ პურსა და იმ მარილსა, იმ ღვინოსა ვაზისასა. 1446

1) აასრულებსო.

2) ქიოხჩი — ყინვა.

მინდორჩი ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე დეკა,
კაცი რომ იხარჯებოდეს, აღარას არგებს დრეკა. 1447

დილით ოქრო ხარ, სტუმარო, სალამოს ვერცხლათ იქცევი,
თუ კიდევ მოგიგვიანდა, სპილენძათ გადაიქცევი. 1448

ნეტა რა არის მისთანა ქვეყანათაზე მზისთანა,
საჭმელ-სასმელად პურ-ღვინო, სანელად მარილისთანა. 1449

ფათა ხახამდენა, მახუხი კართამდენაო,
იფქლის პური მთამდენა, ქერისა გადავლამდენაო. 1450

სადილი ხელზე მტვრევითა, სამხარი ამოკვეთითა,
ვახშამი ძილმა წაილოს, ვაი სულო ამოხედითა. 1451

ეს ტიალი სიღარიბე ჩემზედ არის დაჩვეული,
სადაც წავალ, წამამყვება, ტყავი არის გახვეული. 1452

როსტომ თქვა: დღეიმც კრულია იმ ჩემი დაბადებისაო,
ერთხელ მე რომ დავიბადე, დღეიც ვერ ვნახე ლხინისაო,
ვერ გავიმართე კისერი, უღელი მედო რკინისაო. 1453

ჩავარდი საგონებელსა, ვით რომ კამეჩი მორვესა,
ვიწევ და ვერ ამოვსულვარ, ვაიმე ჩემსა ღონესა. 1454

ღობეზედ ჩიტი შემოჯდა: ნინო, ნინოსაო,
საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსაო,
დიკისა პურსა საჭმელად, იფნისა შეშას საწველად. 1455

ეს ზოგი კაცი რასა გავს, ანუ სათქმელად რასათვის,
რასაც იშოვნის, ინახამს იმ ერთი შავი დლისათვის,
არც თავს არგია, არც სხვასა, არცა მოღვაწობს ღვთისათვის,
გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისათვის. 1456

ნეტა რო ჩემი სასახლე მალლა მთაზედა აღმეგო,
გამვლელ და გამომღელისთვის დღე ყოველ კარი გამელო,

სიტყვა არვისთვის მეწყინა, სულ ყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა, სრულ გლახაკებზედ გარდმეგო! 1457

სიღარიბე და ობლობა ორივე გადამხედია,
სიღარიბე ხომ ძნელია, ობლობა გადამეტია. 1458

სიკვდილი და ღარიბობა ვორვე¹⁾ ერთათ მოდიოდა,
ვაშინჯეს და გამოშინჯეს, — სიკვდილს ღარიბობა სჯობდა. 1459

ეს ჩვენი გული რასა გავს? მაჟარს გავს ნამდადებულსა,
სამჯერ გავს მაშლილ წისქვილსა, სამჯერ წყალგადაგდებულსა,
სნეულს გავს მწუხიარესა, ლოგინში თავმიქცეულსა,
ქალს გავს ქმარ-ყოფამოშლილსა, შინ მოსულ, დაწუნებულსა,
დარბაზ გავს ჩამაქცეულსა, შიგ ლაშქარს დაჩუმებულსა,
გავს მთასა იანვრისასა, ლემადეს გადმოხურვილსა. 1460

სხვაგან იყო გული მისი, სხვას არას მოიგონებდა. 1461

არ ვარგა ჭირში გატეხა, თუ კაცი გონიერია,
წავა და სხვაგან დარჩება, სოფელი ღონიერია. 1462

როსტომ თქვა: გვარი სჯობია, სოლომონმა თქვა: ზრდილობა.
ათასათ გვარი დაფასდა, ორი ათასათ ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა. 1463

ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზი, ვაჟი სოფელში მკვებარი,
გაუჭირდება, დადგება როგორც უღელში მკლე კარი. 1464

თეთრისა თხისა ციკანსა შორს შეეტყობა ვაცობა,
ისევ შენ გამოგადგება ეგ შენი კარგი კაცობა. 1465

შაბურ შაბმისათვის მოკვდა, ერისთავი ერისათვის,
მე რათ მოგკვდე, მე გლახაკი? ცუდი ყოფაქცევისათვის! 1466

¹⁾ ორივე.

ერთს სიტვეას ასეთს გასწავლი, დასამარხავად კმარიყოს:
 ნუ ეხმარები ავ კაცსა, თუ სადმე წყალმა წაიღოს;
 ვინ იცის, ღმერთი გარისხდეს, ნაპირში სადმე გარიყოს, —
 ნულარ აჰყობი ღვთის მადლსა, ხელი ჰკარ, მალე წაიღოს! 1467

კაცი უნდა კაცი იყოს, რომ დაჰპირდეს, არ გამტყუნდეს. 1468

ცუდი არის სამძიმარი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
 რაც გემართოს, გამოართვი, ნულა გინდა უკან დევნა. 1469

სუფრავ გაშლილო, ლხინი ხარ, ჭკვავ ჩავარდი გონებასა,
 ნამუსი ყველას სჯობია, ასის თუმნის ქონებასა. 1470

ნამუსისთვისა გამოვა ულვაშები და წვერია,
 რაც გინდა ელაპარაკე, თუ კი კაცს არა სცხვენია. 1471

სვინდისისათვის გამოვა ულვაში, თმა და წვერია,
 დათვსაც ასხია ბალანი, აბა ის რაის მქნელია? 1472

ღმერთმა რა ქნას და რა უყოს,
 იმ ამხანაკს: რაც იპოვნოს, არ გაუყოს. 1473

კარჩი ლუდი გაგვიფუჭდა და ველარ იქს ლუდობასა,
 თუ რომ მოსამართლე გქვიან, ნუ ეწევი მრუდობასა. 1474

წყალს იქით კაცმა იძახჯ, ჩემო ძმავ გაბრიელაო,
 ბევრას კაცს უყავ სიკეთე, არვინ მყავს მადრიელაო. 1475

როსტომ თქვა: ჩემი პასუხი ჩინეთის ქვაზე სწერია,
 ვისთვისაც ხმალსა ვიქნევდი, ის გახდა ჩემი მტერია. 1476

ერთგულისამცა ორგულსა ხიდნი წყალს ჩაუცვივიან,
 შვილდიმც გაუწყვეტს ბაწარსა, ისარნიმც ელეწებიან. 1477

თავად არ შევალ სხვისასა, თუ შევალ — ჩემის ძმისასა,
 ისრე შევალ და გამოვალ, როგორც ძმა იყო ძმისასა, 1478

ზოგი კაცი საეჭვოა, არ მისაკარი არვისა,
არც ავის საქმის რცხვენია და არცა რამის კარვისა. 1479

მაღლა ზიხარ ჩარდახშია, გარ გალავანი გივლია,
ჩაგიცომს დიბის ქათიბი, არშია შამოგივლია,
ამხანაგს აღარ კადრულობ, ცუდი ზნე შემოგილია. 1480

თავსა სევდასა ნუ მისცემ, — გულს ხავსი მეეკიდება,
კაცი ცრუ, ამპარტავანი, სილაღეს მეეკიდება,
ის უფრო ცრუი იქნება, ვინც იმას მეეკიდება. 1481

კაცმა ის უნდა იფიქროს, რაც არა სჯობდეს არ ითქვას,
სიმთვრალით სიტყვა წამოსცდეს, სიფხიზლით ისევ გადათქვას.
კაცმა რომ ორი სიტყვა თქვას, ორი სიტყვა ძირსავე დარჩეს,
კაცს რომ კაცი შემოაკვდეს, კაცმა ნახოს — კი არ გასცეს,
არაფერი ეკითხოს რა, წავიდეს და ცოდვას დასცდეს:
დაბეზღება ცუდი არის, ღმერთი დიდათ ცოდვით გვაძლევს,
ნეტარება აქვს იმასა, ვინც ავსა ნაზამს და დასთმენს. 1482

არცა ყველასა თქმა უნდა, თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია. 1483

ბაყაყმა თქო: წყალში ვზივარ, ყელი მიტომ მებერება,
თუ ამოვთქო, მეშინიან, თუ არა ვთქვი — მეჯავრება. 1484

ქრისტე რომ გამოგვეცხადა, გააჩინა რკინის კარი,
უფალმან სული ჩვენ მოგვცა, ერთმანეთის მობიზლარი. 1485

იუდა ვერცხლის მოყვარე სიყმით არს ავის მქნელია,
იესო მიტომ გაყიდა, რომ იყო მამის მკვლელია. 1486

მკედელო, განა რკინასა სპილენძი არ გაერევა,
კაცსა თუ კაცის ჯავრი სჭირს, მიზეზი არ დაეღევა. 1487

კატკატმა უთხრა ყვავსაო: ჩავარდი გულის ხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება, შენზედ აიღებს ქვასაო. 1488

გალმიდგან ბუი იძახის, გამოლმიდგან შავარდენი,
შუაზედ ხოხობი ჩივის: იმათ ხელში ჩავარდები. 1489

ასწიე მძიმე-მძიმესა, მსუმბუქო რალა შეტია,
კაცი თუ კაცსა ვერ იცნობს, სიკვდილზე გადამეტია. 1490

გონებიერი ნადირი შუა ღამისას ადგება,
გათენებამდენ გაძლება, სიმაგრის ადგილს ჩადგება. 1491

დალოცვილო ვერხვის შეშა, მალ-მალ გინდა შეკეთება,
ბრიყვს საქმე გაუფუჭდება, ჭკუამ იცის გაკეთება. 1492

ეს წისქვილის ქვა არისო, მისი წესი ფქვა არისო,
როს კაცი არ შეისმენს, იმისთვის თქმა რა არისო. 1493

თხას უთქრეს: მგელი მომკვდარა. თხამ გაიცინა, გადიქცა.
თხაო, შენ რას გიხარიათ? ერთი მომკვდარა ბერ-მგელი,
განა სამგლეთი გადიქცა? 1494

აცადე, დაიზღებთან ცხაოტს¹⁾ ფართონი²⁾ მგლისანი,
ჯავრი არ შაურჩენიათ თავის მოლალის მტრისანი. 1495

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია. 1496

კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
არც უნდა რომ ხარბი იყოს, სულ თავისკენ გამოჰქონდეს,
უნდა თავის ოფლსა სჭამდეს, განა თუ არამი ჰქონდეს. 1497

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირითი შამოვისრიე,
მეზობლის გაჯავრებასა ბევრით დათმობა ვირჩიე. 1498

1) სოფლის სახელი.

2) დანარჩენი.

ტკბილმა ენამ, კარგმა სიტყვამ ხმალი უკანვე ჩააგო,
 თოფის ფეხშეყენებულის კვესი უკანვე გადადო,
 ამაყმა კაცმა ბოროტმა გული ხანჯალზე ააგო. 1499

ჭკუამ მოჭამა სოფელი, ვერ ხმალმა ამოღებულმა. 1500

წუწულაის ¹⁾ ორბაი ²⁾ ბუსაჭილს ³⁾ არაყს სომდაო. 1501

ხალხის წინ გარდმომეგება, თავი რას მოგიწონია,
 ვინც იცის საქმე, ხომ იცის, ვინც არა — ცერცვი ჰგონია. 1502

ჯორი სჯობს საქონელშია, დაუთოქშირებს, დადგება. 1503

კაცი კაცსაც დაჰპატიყებს, წინ წართვით სუფრას გაუშლის,
 თუ ნამეტანი მიირთვა, თავშიაც ჭკუვებ შაუშლის,
 მოყვარეს მტრათ გადაუქცევს, დავიდარაბას აუშლის. 1504

კაცო, ახლო მოსულო, ჯერ იფიქრე და ისე სთქვი, —
 ნეტავი წყალო, შენ მესვი, ღვინოვ ალაგზე დამესხი,
 ცეცხლო, შენ რალა შეგცოდე, მძინარეს თავსა დამეცი. 1505

მეც ვიყავ ლაშარს, ორთ ქალთ შუაში ვჯდებოდი,
 პირში პაპიროზ მეჭირის, რატიშვილივით ვდილობდი,
 საცა მუზიკა აჩქამდის, უწინ მე გადავფრინდოდი,
 ტანში დავდგოდი ფიქრადა, მუხლებში დავიგრიხოდი;
 ზამთრის ძროხებში გამგზავნეს, ცულით ნაკერთა ვჭრიდოდი,
 მალალს ხეზედა შავხდოდი, გაჰქროლის, გავიღრიჯოდი, —
 რა ვქენ ამ ასეთ აგეთმა, რად არ ღამითაც ვთიბოდი! 1506

საწუთროსა სამი ვთხოვე: ენა-პირი ხელოვანი,
 ზედ საჯდომად მალი ცხენი, წინ მინდორი ველოვანი,
 საკოცნელად თეთრი ქალი, ტანწვრილი და ფეროვანი. 1507

1) მსმელი გლეხის სახელი.

2) ხარის სახელი.

3) სადუქნო ადგილი დარიალისკენ.

ნეტავი ნატვრა მანატვრა, ის ნატვრა ამიხდინაო,
მუხრან ბატონი ყმად მომცა, კახის ბატონის ბინაო,
მამცა ყეინის ულუფი¹⁾, ხონთქართან გამიდინაო,
ქავჭავაძის კარგი ღვინო მილით შინ მამიდინაო. 1508

იალბუზი და წალკოტი ნეტავი ეკლით შენარა,
მას რკინის კარზი შაგვიბა, კლიტე ჩვენ მოგვცა, თქვენ არა. 1509

ალაზანი²⁾ დოთ მიქცია, გორიელი²⁾ მჭადათაო,
აფხაზიანთ სასახლეო წინ დამიდგა თეფშათაო;
ალაზანზე რომ ვერხვი დგას, ხელში მომცა კოვზათაო. 1510

იქით გაიქე, გოგია, სადაც დაბალი ღობია,
ბუდეშურებიც იქა დგას, ყურძენიც იქა სჯობია. 1511

ხუცესმა უთხრა ხუცესსო, აღაპი არის რუსეთსო,
„თუ ქორი არ არიო, შორი არ არიო“. 1512

ლორო, ეჭურთხე, ეკურთხე, თუ სხვა ღორი კურთხებულა,
სიხარბე ღვდლისა და სიხარბე დედაკაცისა, —
ღიაკვანო, აიღევი, ჩადე ხურჯინის ძირსა. 1513

ღმერთო, ღმერთო, დიდებულო, ფეხებჩამოკიდებულო,
გააჩინე მგლები, დააჭამე მღვდლები. 1514

ვინც გაჰყვება მუცელსა, გადავარდება კლდესაო. 1515

სიყვარულსა მალვა უნდა როგორც ცხენსა ნაზარევსა,
გამოჩნდება, გლოვა უნდა როგორც გულის საყვარელსა. 1516

აგრე არ უნდა, შავ ბიჭო, ქალთა თმიანთა ყვარება,
ხან ხვევნა უნდა, ხან კოცნა, ხანდი კი მკლავზე გორება. 1517

1) ბედი, იღბალი.

2) დიდი სახნავი ადგილი ბაკურციხეში.

სულ მუდამ ქროლა არ ვარგა, მიწას ააშრობს სველასა,
უწყვეტლივ ჭყვილ-კივილი თავს მოაძულებს ყველასა. 1518

შაიყრებიან ფრინველნი, არ გაირევენ ძერასა.
კაცი ვერსაით წაუვა თავის ბედსა და წერასა. 1519

ვაი რა ძნელი ყოფილა მინდორს სიკვდილი ცხენისა,
აკიდება, შინ მოტანა უნაგირისა ხმელისა! 1520

გაზაფხულისა თავზედა ხეს ფურცელი გამოუვა,
რა ქნას კარგმა მონარდებმა, თუ ღუშაში არ მოუვა;
კაცი რომ გალარიბდება, თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგს ძილათ გადაეჭყევა, ზოგს ძილი აღარ მოუვა. 1521

ძნელი ყოფილა სიბერე, სიპი ქვას დაედარება,
დაჯდება, ველარ ადგება, ადგომა დაეზარება. 1522

ბერსა კაცსა და ვაგლახსა მალე დაათრობს მაჭარი,
სიყმევ, გიყიდდი ფასითა, თუ მოგიღებდა ვაჭარი. 1523

როსტომ თქვა: სიბერეკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდაო,
შვიდ ლიტრა ჯაჭვი ტანთ მეცვა, ეხლა აღება გაჭირდაო,
შვიდ ლიტრა კმალი ნაქონი როსტომის ნეზირს
დასჭირდაო. 1524

ასე მტერი შეგიწუხდა, როგორც სიბერე ძნელია,
ჰილოფმა გვერდი მატკინა, სიმბილე შემომელია. 1525

ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა,
ტუ სადმე შემემეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა. 1526

დავბერდი, შვილდი ძირს დავდე, მალლა მთაშია ძევს სადმე,
დალპება, ალყა ასძვრება, არ მიადგება მზე სადმე. 1527

დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ჰალარა,
შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ, ბატონს უნდივარ აღარა. 1528

დაბერებულხარ, ბებერო, დაუკბენიხარ ჭიასა,
საცა შენ დაიმარხები, ნეტა იმ ეკლესიასა. 1529

ზოგიერთი ბებერია, სიბერის დროს გაფრანგდება,
ხელში ჯოხს არ გამოიწყვეტს, კერას პირას დაცოცდება.
შვილსა სცემოს, — თავისია, შვილის ცოლს — რას ემართლება,
რძალი იმას არ მოუთმენს, ერთხელ შფოთი აიშლება. 1530

ღმერთმა დაბადა ქვეყანა, ქვეყანა ბედისწერათა,
ზოგია შეუსმენელი, არვის არ გვარგებს ჯერათა,
მოკვდება, დაიკარგება, იქცევა მიწა-მტვერათა. 1531

მოგკვდებით, თან რა გაგყვება? ორი ადლი ტილო ძველი,
იმასაც მიწა შაგვიჭამს, ჩვენ დავრჩებით ცარიელი. 1532

ვადაბრუნდები, მოჰკვდები, მიწა შეგჭამს გრილიაო. 1533

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: როცა არის ჩემი ხარო,
ჩაიცვამ და დაიხურამ, ცუდი მონასტერი ხარო,
ას წელიწადს რომ იცოცხლო, ბოლოს ისევ ჩემი ხარო,
დაგიბნელებ წუთის სოფელს, მიწის მეზობელი ხარო. 1534

ცუდი არის სამძიმარი ცუდ უბრალოს ცრემლთა დენა,
გლოვა მაშინაც გვეყოფა, შავ მიწას ამოვცქეროდეთ,
შავი მიწისა ნაწვეთი ზედ გულზედ ჩამოდიოდეს. 1535

ნეტავ რა სჭირდა სიკვდილსა, ვერ მიხვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება. 1536

ჰაი, ტიალო სიკვდილო, სახლში ქურდულათ შახვალო,
დაგვიხოც ვაჟი კაცებსა, ბებრებს კი შაგვინახამო. 1537

დავლონებულვარ სიკვდილსა, სიმძიმის სიპის ქვისასა,
ამხანაგთ მოშორებასა, დაბნელებასა მზისასა. 1538

სოფელო, ჭირვეული ხარ, დაგჭირვებია ქაჯია,
შამას რომ შვილსა მოუკლავ, ცოლზე რაღა ქნას ხარჯია. 1539

კარგსა დროსა სჯობს სიკვდილი ავ დროსა შემოსწრებასა,
 ომის დღისით სჯობს შესწრება ცრუსთან ლხინის
 შესწრებასა. 1540

მანამ მთელი ვარ,— ვახარებ ჩემთა ვარდთა და იათა,
 მოვკვდები,— გაუხარდებათ ჯერ მტერთა, მემრე კიათა! 1541

თ ა მ ე დ ა მ ნ ა შ რ მ ბ ა

აზნაურობა მიყვარდა, გვერდზედ დახურვა ქუდისა,
 გავლა-გამოვლა ბაზარში, გადაკიდება ჩხუბისა. 1542

აზნაურისა ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი გოდრიითა,
 ვერცა ვხან და ვერცა ვთესე, ვერც კალო ვლეწე
 მოზვრითა, 1543

ვაი, ვაი ვასაო, ყაფლანიანთ ყმასაო,
 აჭკიდებენ ქვასაო, აძახებენ ვასაო,
 ერთი მჭადი დილასა, ერთი საღამოსაო,
 ერთი ჯამი შეჭამადი ბატონსა და ყმასაო. 1544

გადვიხედე ბოსტანში ქინძი ყვავა ქინძარა,
 ბატონმა რომ ცხენი მაჩუქა, გინდ იყოს და გინდ არა. 1545

კამბეჩიანი გუთანა ლალია, გამდევანია,
 მებატონისა მუცელი ადლი და ნახევარია,
 საწყალი გლეხის მუცელი არც მისი ნახევარია. 1546

მზე წინათ გომბორზე მოვა, შუქი ალავერდს ჩადგება,
 ადგილიმც დაილოცება, საც თეიმურაზ ბძანდება.
 მაგისი აზნაურობა მთაზე მძლებურად წადგება,
 უხორცოდ ჰურსა არ სჭამენ, მინამ არ დაუმარხვდება. 1547

ქართლი მისთვის დავაგდე, თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც მოსავალი მოუვათ, მოვა ბატონი წაიღებს. 1548

ორლობე ამოვიარე, ძალებმა შექნეს გნიასი,
ქალებმა გადმოიხედეს,— მობძანდა ჩვენი კნიაზი. 1549

ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ისა მცემდა, ხან ესა,
ორთავ ერთ დღეს დამეხოცნენ, ხან ის ვიტირე, ხან ესა.
ორი ქალბატონი დარჩა, ხან ერთს ვაკოცე, ხან ორსა. 1550

ღმერთმა დასწყევლოს ციციიანთ სუფრა, ამილახვრიანთ
გალობა,
კარებამდინ არ მიგყვება მუხრანიანთ წყალობა. 1551

შენ ზაალ თუმანიშვილო, გარდილო ნეფი კარზედა,
ვინ მოგცა მებალახობა ქართლი-კახეთის ცხვარზედა?
თითოსაც არა სჯერდები, ორ-ორს იღებდი რვაზედა. 1552

შენ ზაალ თუმანიშვილო, გარდილო ნეფის კარზედა,
ვინ მოგცა მებალახობა ზემო ქართლისა ცხვარზედა.
უსამართლობას შვრებოდი ზემო ქართლისა ცხვარზედა.
ავდექ და ცული გავლესე, ხელი ავუსვი ფხაზედა,
ეს ცული კარგათ გავლესე თუმანიშვილის თავზედა! 1553

ჩემი ბატონი გამიწყრა, ზურგზე ამკიდა ნალარა,
გაჯავრება რომ იქნება, განა დატკობა აღარა? 1554

ღირბი, ბრეთი, არადეთი, რუისი და საქაშეთი,
გორს წისქვილი, ატენს ზვარი, ქალაქს ასი პირი ცხვარი,
გადმამიგდე იტრიაო, როგორც ერთი კიტრიაო. 1555

აქამდინ აზნაურები უწრუწუნებდენ ქორებსა,
ახლა კი მათი ცოლები უკან დასდევენ ლორებსა. 1556

თურმან ვარ ფაფარენელი, კითხვა რათ მინდა გვარისო,
ხორხი დავწვი და მალარო, ჯავრი მკლავს ჟინვალ გორისო,
თიანეთ ჭავჭავაძისო, გაუმაძღარის ლორისო. 1557

თავადების საკმელები ბადრიჯანი და ხალათა,
იგრე გასწყდნენ თავადები, ერთი არ დარჩეს წამლათა. 1558

ენდრონიკაანთ თავადები გადაყარე კლდესა,
იმითი ლამაზი ცოლები ტყეში მელორეებსა,
მეცხვარეები მორბოდენ, — „წილი გვიდევს ჩვენცა“. 1559

ღმერთო, დარი მაიყვანე, დარი დარზე მააბიო,
თავადები სუ გაწყვიტე, კვდარი კვდარზე მააბიო. 1560

ღმერთო, ღმერთო, დარი ქენი, დადიანი კვდარი ქენი. 1561

სხვადასხვა კუთხეები

ვარიანი ვალიანი, უტყეო და ქარიანი. 1562

ლელისთავი ¹⁾ — გველის თავი. 1563

არაშენდა — გადაშენდა. 1564

გორისციხეო ქვიანო, სულ მუდამ ქარი ქრიანო,
არც წყალო და არც წისქვილო, არც მეზობელო ხვთიანო. 1565

დილომი — ბაღდადი არი, რომ არ იცოდეს ქარიო,
სიმინდი ბეგრი მოსულა, ყველას დაუდგამს ზარიო. 1566

დილომ რომ პური მოვიდა, ნეტავი არ მოსულიყო,
ვჭამეთ და იმან გვაწყინა, შალვარში გამოსულიყო,
ჩვენ წყენას ვინა ნაღვლობდა, სტუმარი არ გასვრილიყო. 1567

¹⁾ სოფელია ვაზრანის ახლოს.

ჩამოვიარე სურამსა, მარხილი მშრალზე ცურამსა. 1568

სურამია — ლოთების მკარია,
საცა კაცი დაჰკარგოთ, მოძებნეთ, იქ არია. 1569

ხიდისთავო შემკობილო, წინ მინდორო, უკან ტყეო,
გლებებისა სავაგლახო, გორელების სამოთხეო. 1570

შემკობილო მეჯვრუხეო, წინ მინდორო, უკან ტყეო,
ქალებისა სათამაშო, ვაჟებისა სამოთხეო. 1571

თუში ვარ გოგოლაური, ნუ მყურობ ტალავარზედა,
დავკრამ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ გალავანზედა,
ხუთიც ვერ მოვკლა ხმალდახმალ, გამცვალეთ კახის
ქალზედა. 1573

ოცდაოთხსა გურულსა მაკე ტურა შეეყარა,
სანამდი ჯოხს აილებდენ, სულით ხორცი გაეყარათ.
მეგრელმა თქვა, დავსწრებოდი, — ყაზახურად დავდგებოდი,
სომეხმა თქვა, დავსწრებოდი, — ჩახმახურად დავხვდებოდი,
ქართლელმა თქვა, დავსწრებოდი, — მარილივით
დავდნებოდი. 1574

იმერეთს რათ გამათხოვე, თემურაზ ჩემო მამაო,
ჭამა მამწყინდა ლომისაჲ, ვაჲმე კახურო ყანაო. 1575

იმერელი ვარო, არას ვარგივარო,
შეგჭამ, შეგსომ, ისევ წაგივალო. 1576

იმერელი ვარ ლიღველი, ზურგზედ მკიდია გიდელი,
ქვეშ შიგ მაქ თოხის ნატეხი, ბარი მაქ გასაყიდელი.
საცა თფილი ლომი, მე იქ ვიცი ომი,
საცა ქალი ფუნთუში, ნახე ჩემი კუნტრუში,
საცა ხმალი შიშველი, მე იქ ვარას გიშველი. 1577

მე იმერეთში ნავალი, ქალი მინახავს მრავალი,
ჩაცმული და დახურული, მოვის პერანგით მავალი;
კისერზედ ხელი გადავდე, ქალსა ვაკოცე მრავალი,
ამითვინ ვინც გინდ დამძრახოს,— მზე იყო ამომავალი! 1578

მეგრელებო, თქვენი ნინო როგორ რასმე მოიქცევა,
ადგომაში კეტი უნდა, დაჯდომაში წაიქცევა,
კიდობანი სავსე ჰქონდეს, მეზობლისას გაიქცევა. 1579

გორელი — მატრაბაზი.

გორელი მატრაბაზო
წითელლოყა, ტ . . . ლამაზო. 1580.

საწყალო მოხნიეებო, ალების ღამეს
თქვენთვის არცა ნიორი და არცა ნიორ-წყალიო. 1583

ოსო, გუდუნით ნაზარდო, შე იმერელო — ღომითა.
საწყალო არაგვის კაცო, გაუმადლარო ომითა. 1584

სომეხი — კრო. 1585

კევს მოკევენი უბნობენ, კევსურნი გავაქციენით,
წითელ-ყვითელნი დროშანი საძელეს ¹⁾ დავაყრიენით,
თავის ნასროლნი ისარნი თითონვე შევაქციენით. 1587

მე ვარ ხევსური, არაგვის შვილი,
მტკვრის ნათესავი,
შიგვე ერევა მღვრიე ღიახვი,
ქსანიც მოჰყვება, მააქვს ღრიალი,
მტკვარს შიგ ერევა არაგვის ძალი,
არაგვიანთა ხელში აქვთ ხმალი. 1588

ხევსურო, ხმალი გულ გაძლევს,
ფშაველო — ენა გრძელი,

¹⁾ ადგილის სახელი

გუდამაყრელო — მაჟორი,
ტყვია გამოდის ცხელი,
თავით ბოლომდი ჭრელი. 1589

მთიული — ბრიყვი. 1590

კახელი — კახური ღორი. 1591

ქიზიყელი — ვაქირის ვირი. 1592

ქართველი — ქაქამჭამელი. 1593

ცეტი ქართველი. 1594

ფრანგი — ბაყაყიჭამია. 1596

ღმერთმან ქნას, სვეტის ცხოველმა, მცხეთას აშენდეს ქალაქი
და მასთან დუქან-ბაზრები, თავსა პარსავდეს დალაქი! 1597

ასურეთის წყალი მისვამს, ცხეთა ისე ამიშენებია,
ცხეთის ტკვარი და არაგვი ცვარი არ გამირევია;
აილო და მკლავი მამჭრა, — „რათ გააკეთე კარგია!“¹⁾ 1598

მე ნატახტრელი არა ვარ, რომ ჯარი მიდგეს კარზედა,
მე მუხრანელი არა ვარ, კომბალი მედოს მხარზედა,
მე ხომ ცხეთელი არა ვარ, რომ ხელი მედვას ადღზედა. 1599

არც ყანობელაი გახლივარ, შავფრინდე დარაბაზედა,
ვასხა და ვასხა კასუშკა, თივა ვაწერა ძმაზედა,
არც ქურთიელა გახლივარ, ჭკა²⁾ ჩაურიგა ჯარზედა,
არც ფხელშელაი გახლივარ, ვიზრდებოდე ჩხუბზედა,
ჩოხანი შემოვიხივნე, დავჯე და ბევრი ვიტირა,
არც გორისციხელაა გახლივარ, დავსუნსულებდე გზაზედა,
არც სივონელა გახლივარ, ყურნი დავიჭრა თავზედა,

1) მცხეთის საყდრის აშენებაზეა ნათქვამიო, შეგირდს რომ ოსტატზე უკეთესი
ჯაუკეთებია და ოსტატს ხელი მოუჭრია შეგირდისთვისო.

2) კილყვავი.

არც გარბანელაჲ გახლივარ, ვიცქირებოდე გზისკენა,
 არც ტყარშეტელა გახლივარ, ქურთნი¹⁾ ავაგა ბანზედა,
 არც გაიბოტენაჲ გახლივარ, ჩრდილელი²⁾ მიდგეს კარზედა,
 უწყა და უწყა ქერები! 1600

წავკისისთანა ქალები არ არის ქვეყანაზედა,
 ასეთი დასუქებულან, როგორც ირემი მთაზედა,
 სუფრაზედ დამწკრივებულან, როგორც ვარსკლავი
 მცაზედა. 1601

ქალი ქისტი ჯობს ხევსურსა, ვაჟი ორსოებლელი³⁾.
 ჯამდევრად გუდამაყრელი, თავის ბან-კარზე — სნეელი⁴⁾ 1602

ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა,
 პურადობა და ვაჭრობა, ქართველთა არ ეძრახვისა,
 ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა. 1603

ჩოხა-ნაბდით შამოსილო ეშმაკ გავს აფხაზებია,
 მცირე ჩამოღმა გურია ბრძენ კარგათ უხსენებია,
 ოსები, კარგი ბიჭები, მშველი გონიათ გამფთხალი,
 ჩერქეზი მუდამ ყაზახობს, ქალი საომრათ მზათ არი.
 პირველ თქმულა ძველთაგან სიღარბაისლე მესხისა,
 რდილნი არიან იმერლნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა. 1604

1) ქურთი — წივა.

2) ჩრდილელი — ბატონი.

3) სოფ. ორსოებლო.

4) სოფ. სნო.

ენდუგებო

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

- * აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავიო.
- ა ბატონო ბაწარიო, დავით მეფეს გასწავლიო.
- * აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერიო.
- * ა დათვი და ა კვალიო.
- * აღათია და წესია, ფეტვი ადგილზე სთესია.
- ადამიანის პირის კანი ხახვის შუა გარსზედ თხელია,
და თუ ერთხელ გაიხა, კამბეჩის ტყავზედ უფრო გასქელდება.
- ადამიანს მჭადის სახელი დაავიწყდაო.
- ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიჭერსო.
- ადე დაბრუნდი წისქვილო, დასჯერდი შენს ქონებასაო.
- * ადექ ნახე ჭირიაო, დაჯექ ნახე ლხინიაო.
- * ადრე ადგომა მეტი სიცოცხლე არისო.
- ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწვეარიო.
- * ადრე ამდგომსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსა.
- * ადრე რომ ძროხა იბლავლებს, გვიან გამოიწველებაო.

* 3. უმიკაშვილი პიონერი იყო აგრეთვე ქართული ანდაზების შეკრების და განოცემის საქმისა. მის ქალაქებში არის ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ მას, უკვე 19 — 20 წლის ვაბუკს, დაუწყია, სხვათა შორის, ანდაზების შეკრება. ეს ანდაზები, დავ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიიდან ამოღებულებით შევსებული, მან დაბეჭდა 1876 წელს („ქართული მწერლობა. წიგნი მესამე. ქართული ანდაზები“.. ფასი ორი შაური. ტფილისი, მელიქიშვილის და ამხანაგთა სტამბა, 1876, გვ. 1 — 52). ამ წიგნაკს შემდეგი, 1876 წ. 9 მკათათვით დათარიღებული, წინასიტყვაობა აქვს დართული:

„ქართული ანდაზები ძველადგანვე შეკრებილი ჩვენს ხელნაწერ წიგნებში ჯერ აქამომდე არა სჩანს. პირველად ვხედავთ დავით ჩუბინაშვილის შედგენილ ქრესტომატიაში 1846 წ. და გადაბეჭდილს მეორე გამოცემაში 1863 წ. ამას გარდა ასიოდე იპოვება ჟურნალ „ცისკარში“ 1853 წ. ძალიან შეცვლილი, გალექსული და დამახინჯებული. ცალკეთ დაბეჭდილი კი ჯერ არა ყოფილა.

„ამ ახალ გამოცემულ ანდაზებში და სიტყვის მასალებში (რიცხვით 990-მდე) ჩუბინაშვილის ქრესტომატიიდან შემოვიდა 510-მდე ცოტაოდენის ცვლილებით და გამოკრებით; დანარჩენი 480-მდე ჩუბან შეკრეფილია.

„ამ ანდაზებში ზოგი ისეთი სიტყვის მასალები ანუ ფრაზები ურევია, რო-

ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო.

ავი კაცი აღდგომასაც ავია.

* ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასესხეო.

ავი მუშა კვირა-ძალს გახალისდება.

* ავი მუშა კვირა-ძალზედაც ავიაო.

ავი შემნახავი ქურდის ამხანაგია.

ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია.

ავი ძალლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევს.

ავია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია.

* ავისა კაი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელიო.

ავიფურთხე — უღვაშს მოხვდა, დავიფურთხე — წვერს მოხვდაო.

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

ავს მეზობელს (ადამიანს) ცეცხლიც საციქველი ეგონაო.

* ავს მოვალეს ნაცარი გამოართვი და თვალეში შეაყარეო.

* ავს ნუ იქ და ავისაგან ნუ გეშინიანო.

აზამბურელი (თუ მაზანდარელი) თათარი გოჭის თავს მეცილებოდაო.

აზნაურთა სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.

აზნაური მჭადს არა სჭამს, მოშივდება — ჭირსაც მომჭამს.

* აზრუმს კი არა ვყოფილვარო, მაგრამ აზრუმი კი ვიციო.

* ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარის შვილობა.

ათჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერო.

ალია წავიდა, მუსია მოვიდაო.

ალიას დარდი ფლავიაო.

მელიც თუმცა ნამდვილი ანდაზები არ არის, მაგრამ ძალიან ხშირად ანდაზასავით ხმარობენ, და არ გვინდოდა გამოგვეკლო.

„საჭირო იყო შინაგანის აზრის მიხედვით დაგვეყო, და არა ანბანის რიგითა, მაგრამ რადგან ჯერჯერობით ასე ცოტაა და, ამას გარდა, გვინდა, რომ შემდეგშიაც მსურველთ არ გაუძნეოდეთ ანდაზების შეკრება სხვა რამ შრომითაცა, ამისათვის ისევე ანბანის რიგით დავბეჭდეთ, როგორც უფალს ჩუბინაშვილსა აქვს დაბეჭდილი. პეტრე უმიკაშვილი“.

აქ მე შევიტანე ყველა ის ანდაზები, რომლებიც აღნიშნულ წიგნაკში იყო მოქცეული. მათი გამოცნობა მკითხველს შეუძლიან მით, რომ მათ ვარსკლავი არ უზის. მაგრამ პ. უმიკაშვილის ნასაღებში აღმოჩნდა კიდევ საკმაოდ ბევრი ანდაზა, რომლებიც მას იმ წიგნაკის გამოცემის შემდეგ შეუჭროვებია, — ზოგი თვითონ ჩაუწერია, ზოგი თავის ნაცნობ-მეგობრების დახმარებით შეუკრებია. მე ეს ანდაზებიც, რამდენადაც ისინი წიგნაკში მოქცეულების განმეორებას არ წარმოადგენდნენ, შევიტანე აქ და ვარსკვლავით აღვნიშნე. ფ. გ.

- * ალიას დარდი რა არისო და — ფლავიო.
ამანათს მგელიც შეინახავს.
- * ამდენ აღმართს თავდაღმართიც ექნებაო.
- * ამირან გულში მღეროდა, ყმანო ბანი მითხართო.
ამქარი ამქარს იცნობს.
ამყოლს აჰყევი, დამყოლს დაჰყევი, წყალი ნაპირზე გაგაგდებსო.
- * ამწიე ძალასა ჰქვიან, დამიშვი უღონობასაო.
ამხანავი ნუ გძულს, საშოვარი ნუ გშურს.
ანაბრის შენახვა მიწამაც იცისო.
არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
არა ვკრამ გარბისო, რო დავკრა, უფრო გაიქცევაო.
- * არავინ არ იცის, ღღეს რა მოაქვს.
არა მკითხე მოამბეო, თაროს ჩამომიარეო.
არამკითხე მოამბეო, მიბეგვე (მიტყიპე) და მიაგდეო.
არა მწამს რა დიაცისა, არცა მოწმენდილის ცისა.
არას მომცემო და ყბასაც მომტეხო?
არასოდეს არ გახმება წყალთა შინა ხეთა ძირი,
არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურა-ძვირი,
თუ უშვილო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი.
არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა.
არ გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა.
არ ეშინიან ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაგან.
- * არ ვიცი ერთია და ვიცი ათასიო.
- * არმინდამ ცხრა ჯამი დო შეჭამაო.
არცა ძევს და არცა მშინაო. (ერთს იმერელს ძალიან შიოდა და
კიდობანში პურს ეძებდა; ვერ იპოვა და ხალხში კი იძახდა:
არცა ძევს და არცა მშინაო).
- არცა ვისი ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმათ მყოლია. ძველი
პური, ძველი ღვინო წლის წლობამდის გამყოლია.
- არც მგელი მშიერი, არც ბატონს ზიანი.
- არ ცოდნა არ ცოდვააო.
- არც შენი მოტანილი მინდა, არც შენი გატანილიო (საბძელმა
უთხრა ქარს).
- ასე გავიდა მარტო, არ მამიკლა ციკნის ბარტყიო. (მეცხვარემ
დაიქადა. მარტმა ჯაბრზე სამი ღღე ისესხა აპრილისაგან. მეცხ-

ვარემ გუდაში კატა ჩასვა და ჭერში ჩამოჰკიდა; სამი დღე ცხვრებს კატის ყურებაში და ბლავილში ჭამა დაავიწყდათ, მარტმა ვერაფერი დააკლო.)

ასეთი გოდორი დასწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო. (ერთს ადგილს ჩვეულება ჰქონდათ, კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდიდამ გადააგდებდნენ. ერთის ბრმა ბერი კაცის შვილებმა მოინდომეს მამისათვის გოდორის დაწვნა. ბერ კაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხა, რას აკეთებთო? უთხრეს, არაფერსაო, გოდორს ვსწნავთო. ვიცი, ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ასეთი უნდა დასწნათ, თქვენს შვილებსაც გამოადგესო. ეს რომ უთხრა, ხელი აიღეს ამ საქმეზედ).

ასეთი ხიდი გასდევ, შენმა შვილის შვილმაც ზედ გაიაროს.

ასეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ საწველელს მივსებდესო.

* ასეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე მეტს იწველოდესო.

ასი დამკარ, ერთი მათქმევიწიეო.

ასის წლის ბებერმა იანვარში მარწყვი მოინდომაო.

* ასის წლის დედალს ერთი წლის მამალი სჯობს. (აჭარა).

* ასმა სულმა ცხვარმა ერთს ხეს შებღავლაო და ძირიანად გაახმოო. აპრუწვით არის მახარე, კალოზე ბარგი გაყარა.

აპრუწუწუნის წამალი პრასა და ნიახურია.

აფრინე, აფრინეო, — რაც არ არის, რა ვაფრინოო!

აფხაზმა სთქვა: მეგრელს თუ თოფი მოხვედრია, ჯირკვს მოხვედრია — აქ იყავ და არა მნახე, შორსა — შენი ჭირიმეო.

აქ იყავი, არა მნახე, — ვირზე შეჯექ, მოდი მნახე.

აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისეს.

* აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ყვირილი დაიწყო; ვირს ცემა დაუწყეს, რა გაყვირებსო? ის მაყვირებსო, რომა იმ აქლემს მე ამამაზიდვინებენო.

აქლემის საპალნე ისე არ დაპატარდება, რომ ვირის (ჯორის) საპალნე არ გაკეთდეს.

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.

* აქლემმა თქვა, თორმეტი შვილი გავზარდე, მაგრამა მე ჩემი საპალნე არ მამეშვაო.

აქლემს მოულოცეს: კოზაკი გეყოლაო, და მე კი ზურგიდამ საპალნე არ მამშორდაო და გინდ ხუთი ათასი კოზაკი მეყოლოსო.

აქლემს რა ჰქვიანო? არც აგრე მსხვილათ ვიცო.— ნემსს რალა ჰქვიანო? არც აგრე წვრილათ ვიცო.

- * აქლემს საცერი დაადგეს, დაწვაო, აიღეს და ადგაო.
- აქლემს უთქვამს, რომ არ დამაჩოქებდნენ, ქვეყანას ავიკიდებდიო.
- აქლემს უთხრეს, კისერი მრუდე გაქვსო, და სხვა რა მაქვს სწორეო. აღდგომა და ხვალაო.
- აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია, და ვინც რომ აჩქარებულა, მას მალე დაუნანიაო (მალე თან გადაჰყოლიაო).
- აჩქარებული წყალი ზღვაში არ გაერევაო.
- აცა ვირო ნუ მოჰკვდები, ალავერდი (ბალახია) მოვაო.
- * აჭარელს ცხენი გადაეჩეხა კლდეზე და უთხრა: სწორეთ დაგები— ჯებია ფეხი და არ გადაიჩეხებოდიო. (აჭარა)
- * აჭარელს ჰკითხეს: ყური სად გაქვსო, და — თავის ქუდზეო. (აჭარა)
- * ახალი მეგობარი დაიკავე, ხოლო ძველს ნუ დაივიწყებ. (სამეგრ.)
- ახალი ცოცხი კარგა ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
- ახალს კიტრს და ახალს ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიფ— დება.
- ახალწელიწად დღეს ვირმა ბაგაზე შეიტყო, რომ დღემ მოიმატაო.

ბ

- * ბავშვმა თქვა: გამივა და ვტირიო.
- * ბავშვს უთხრეს, რა გატირებსო? გამიდის და ვტირიო.
- ბალი წვერში გამწარებოა.
- * ბარაქალამ მაზარალა, ოლოლომ ვერა მიყო რაო.
- ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიან.
- * ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველასა სწყუროდაო.
- * ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველას შიოდაო.
- * ბატონი გულში მღეროდა, ყმანო ბანი მითხარითო.
- ბატონი რო ყმას უწყრებოდეს — იმედიოა.
- ბატონის კაცს ნუ გალახავ, თუ გალახო, ასე გალახე, რომ გალახვა ერქვას. (ითქმის დათრობაზედ).
- ბატონის საყვარელი გველი ყმისაგან უბეში ჩასმას მოველიო.
- * ბატონმა რომ გითხრას, კაცი მოკალო, შენ ნალი და ქუდი მოამ— ზადეო.
- ბატონმა სთქვა, მუხას ვაშლი ასხიაო, და შენ დაიჯერეო.
- ბატონმა ყმას უთხრა, ყმამ მოსამსახურესაო.

- * ბატონს ყმა უყვარდა უსმელ-უჭმელი, ტანთ-ჩაუცმელიო.
ბატონს წინდაწინ მოჩივარი მართალი ეგონაო.
ბაღდადს ვირი კიტრად იყიდება, მაგრამ იქ წასვლა-მოსვლა ერთ
ჯორად ღირს მისის საგზლით.
- * ბებერი ხარის რქა საქცევში დაურჭვიანო.
ბებერი ხარის რქაც გამოსადეგიაო.
ბებიავ, წირპლიანს თვალში იმიტომ გაკოცებ, დიდი კვერი დამიკ-
რაო.
- * ბებრის ქორწილში ქერის ლავაშს ვინ იკითხავსო.
ბელაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მეიდანო.
ბელაური ცხენი მათრახს არ იკრავს.
ბელაურიდამ გადმოხედ და ვირზედ შეჯე?!
ბელი მომეც და სანახვეზედ გადამაგდე.
- * ბელნიერმა მიწა მოხნა, დაფარცხა და დაჰყვა წვიმა.
- * ბევრი ლაპარაკი — ბევრი თავის ტკივილიაო.
ბევრი მგელი ნავნებს ვერა იქს.
- * ბევრი ჰოი, ჰოი, კამბეჩსაც გააგიჟებსო.
ბევრი-ჰო-ჰო-ჰო ხარსაც გადარევეს.
ბევრის გამზღლის ხელში ყმაწვილი დაიჩაგრებაო.
ბევრის ცემით რკინაც გატყდება.
ბევრის ხელის ჭირიმე და ცოტას პირისაო.
ბერი-კაცი თვრესო, ვაჟ-კაცს ერთი ხედესო,
ყმაწვილს სუნი ეცესო და ღმერთს თაყვანი სცესო.
ბერო გაუშვი ბერობა, სხვა დაიჭირე ხელობა (ქალებს დაუწყე
მტერობა).
- * ბერს უთხრეს, ბერო ხორცი გიჩანსო და — ჩემი ეგ არისო.
- * ბელელმა თქვა: უნდა წავიქცეო; ბალჩამ უთხრა: როგორ წაიქცევი,
გვერდში მე ამოგიდგებიო. (აქარა)
- ბელურა და ბელურა სხვის სანაკელოზე იბრძოდაო.
- * ბზობის ყვაფივით დაიკარგაო.
ბოზს ბოზობა არ გაუვიდა, მაჭანკლობას მიჰყო ხელი.
ბოლოკმა სთქვა: უკადრისმა. გამთალა, მსუნაგმა გამფხიკაო.
ბრმა რას ჩიოდა? და ორსა თვალსაო.
ბრმა ლობეს მიადგა, და შენს იქით გზა ატსაით მაქვსო.
ბრმას რა უნდოდა და — ორივ თვალიო.
- * ბრმას ცოლი მოუკვდა, — ნუ ეტყვი, ვერ გაიგებსო; როცა გვერ-
დით აღარ დაუწვება, ვერც მაშინ გაიგებსო?

- * ბრძენსა აქვს თავისუფლება სოფელში ყოფანებისა.
 ბუზი ბევრი ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო.
 ბუზს სპილოს ყურში დაუზამთრდა, გაზაფხულამდინ დარჩა; მერმე გამოვიდა და სპილოს მადლობა მოახსენა. სპილომ უთხრა: ვინ ხარო, მე შენი არც შემოსვლა გამიგიაო, არც გამოსვლაო.
- * ბულბულმა სთქვა, ჩემისთანა გალობა არავინ იცოდა, მაგრამ ისეთმა ალალმა გამომიქროლა, რომ ყველა დამავიწყაო.
 ბურთი და მეიდანის შენ დაგრჩენია (იმას დარჩენია).
 ბუხარი და ორი კაცი, თუ გაჭირდეს, — სამი კაცი, თუ მეოთხეც მიემატოს, მასპინძელო კარში გადი.
- * ბუხარში ჯეჯილი ამოსულაო.

8

- გადარეულისათვის ნიადაგ ღვინია.
 გადი გამოდი გუთანო, ღირლიტავ ბანი უთხარო.
 გავიქცევი — ქარიანი მქვიან; დავსდგები და — ლაჯიანი.
 გაზაფხულის მზე რძალსაო, შემოდგომისა ქალსაო.
- * გამარჯვება, ცარიელა მამუკაო.
 გამგონი გაიგონებსო.
 გამქცევი და მამწევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდნენ.
 გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო.
 გარდამხნა გადასავალი, სხვას უარესსა მოველი (იმხნა გამხმართთავი, რომელიც მალა კლდეზე ეგდო. მგზავრმა შეხედა და თქვა: „ამის უარესი რალა გადახდებო!“ შემოუბერა ქარმა, გააგორა მტვრევითა და ანთებულ საკირეში ჩააგდო).
 - * გარეული კატა შინაურ კატას გარეთ აგდებდაო.
 გარეულმა ქათამმა შინაური გააგდოვო.
 - * გატეხილს დაბეგვილი (დაჟეჟილი) სჯობიაო.
 გაუგონიათ, აღია მომკვდარაო; ის კი არ იციან, რომელი აღიააო.
 - * გაღმა გაედავე და გამოღმა შეგრჩებოა.
 - * გაძლევენ, — გამაართვი, გცემენ, — გაიქეციო.
 გაწყვეტას გაწვდენა სჯობიაო.
 გაჭირება მიჩვენეო, მე გაქცევას გიჩვენებო.
 გაჭირებამ დედოფალთან დამაწვინაო.
 გაჭირებამ სტავრა — დიბა მაცვეთინაო.

გაჭირების ტალკვესი ხარ (არის).

* გვარია, განა მჩვარიაო.

გვარის ამოწყვეტა სჯობია ადათის ამოწყვეტასაო.

გველი გარედან არის ჭრელი, კაცი შიგნიდან.

გველი ეკალზე იყო გარდაკიდებული, ურიამე ნახა და თქვა: ჭირი ჭირსა გარდუკიდებიათო.

* გველი წავიდა მრუდობით, ეგონა გადარჩებოდა.

გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლაო.

გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

* გვერდისხლიანს გვერდტალახიანი (გვერდტილიანი) სჯობიაო.

გზირს სოფელში არ უშვებდნენ, ფარხმალი მამასახლისისას დამიკიდეთო.

გინდ მკვდარი და გინდ შინ არ მოსული.

გიჟი ბევრჯელ მართალს იტყვის.

გიჟი დაასაქმე და შენც თან მიჰყევით.

გიჟი ის არის, ვინც აბნევს; ვინც ჰკრეფავს, გიჟი არ არის.

გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრების ცნებასა.

* გიჟი ნურც მტრათ გინდა, ნურც მეგობრათო.

გიჟი ქორწილში შევიდა, ჩვენს სახლს აქა სჯობნებიაო.

* გირაო ყუამდენაო.

* გიცნობ რკინაო, მიძევხარ წინაო.

* გლახა გამცემი ღმერთს სძულდა, ეშმაკს უყვარდაო.

გლახა და ამპარტავანო.

* გლახამ თეთრი (ფული) იშოვა, გამოსახვევი ვერაო.

* გლენმა რა გაყიდაო და — პურიო, რა იყიდაო და — პურიო.

გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, თუნდა მალლა თაროზე შესდვაო.

* გოშიამ თქვა, ჩხუბსა ვიქო, და ძირს მაშ ნახეთო.

გოჭი ჭყვილით გაიზრდება, ყმაწვილი ტირილით.

* გუთნის სახნისი: შვიდ წელიწადში ერთხელ წვერს ოქროს წამოჰკრავსო.

გულისა პირმან ამოსთქვასო.

* გულს ჯავრი, ღორღი ყანასა არც როდის არ დაეღევა.

დ

- დაადარე მსხალი პანტას.
დაე დამძრახონ და ნუ შემობრალონ.
დავას ფულითა ყიდილობსო.
- * დავწვრილშვილდი, — დავიწიე, დამეზარდნენ, — ავიწიე.
დათვი რომ მოგერიოს, მამა უნდა დაუძახო.
დათვი რომ საძალღე გახდაო, იმისი საქმე წახდაო.
დათვის ბლუილი პანტისთვისაო.
 - * დათვმა თქვა, მე კაცის სიყვარულით ვერა ვძლებოდიო და კაცე ჩემი მტრობითაო.
დათვმა თქვა, სანამ ჩემი ტოლი არ მოვკალი, გემო ვერ ჩავატანეო.
 - * დათვმა თქვა, სანამ ჩემი ტორი არ მოვკარი, გემო ვერ ჩავატანეო.
დათვმა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლაო.
 - * დათვისა ჰკითხეს: პანტა გიდგაო? მიდგაო. გიდგაო და — კიდევ გინდაო.
 - * დათვის თავში სცემდენო და ამბობდა, ეს რა ბრაგა-ბრუგი მოდისო.
დათვის უთქვამს: თუ თოფს მომარტყამენ, ერთი ლიტრის ტოლა დამაკლდებაო, და თუ მალლიდამ ჩამოვარდი, ერთი ლიტრის ტოლა მომემატებაო.
 - * დამ დას ნიფხავი ათხოვა და უთხრა: დუმას კი ნუ ჩაჰყოფო.
 - * დამ დას საცერში გაჰხედა და უთხრა: როგორ მხედაო? — როგორც შენ მხედავ, მეც ისე გხედაო.
 - * დამწვარს მდულარეც დაასხესო.
დარბაზს შესვლა შენს ხელთ არის, გამოსვლა პატრონისა.
 - * დარში ნაბადს ნუ დაჰდებ, ავდარში ქალამანსაო.
 - * დასაკლავ ხარს რალა ყურება უნდაო.
დაუპატიჟებელს სტუმარს აბუჩი ჰქვიან.
დაუჩვევარს ნუ დააჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო.
დაღვრილ ერბოს ისე ვერ აიღებ, რომ ცოტაც არ დარჩესო.
 - * დაღირებულს დაკვრა უნდაო.
დაჰკარ უბედურსაო.
 - * დგომას ჯდომა სჯობიაო და ჯდომას წოლაო.
 - * დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო (მოინდომაო).
დედაკაცის თმა გრძელია, ჭკუა მოკლე.

დედაკაცმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერ შეიმაგრაო.
დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია და როცა მოუკვდება, ამირანთ ამირანია.

დედამიწა გრილია, მკვდარს რომ მიაბარებენ, მალე დაავიწყდებაო,
დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.

დედინაცვალიო — თვალში ნაცარიო.

- * დედის სიყვარულით ბავშს ეალერსებოდნენო.
- * დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეშჰამსო.
- * დედუამ წვრილ პურებს დაუწყო ცხობა და მამუამ ოროლს დაუწყო ჭამაო.
- * დიდი ლუკმა ჩაიდევია, ქმარს შეხედევო; პაწა ლუკმა ჩაიდევია, შვილს შეხედევო. (აჭარა).
- * დიდ-კაცს დიდი ჭკუა აქვსო.
- * დიდ-მარხვას უთქვამს: ისე მალე გავიბრებნო, რომ ქვრივმა პერანგი ვერ გამოიცვალოსო.

დიდს დიდი მუცელი (მოთმინება) უნდა ჰქონდესო.

დიდს საყდარში პატარა წირვა განა არ შეიძლებაო?

დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევს.

დიდს ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო.

დილის ლუკმა სჯობია ცოლის მზითევსაო.

- * დილის შარი სჯობია საღამოს სარგებელსაო.

- * დო იყვეს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.

დო-ჭამიას დო აგონდებოდა, ყველი-ჭამიას ყველიო.

- * დოლა თხამ წყალში ჩაიხედა და თქვა: ჯერ რქები არ ამომსვლია, პატარა ვყოფილვარო.

- * დრო არის — შექცევა სჯობია, დრო არის — გაქცევა.

დრო დროთი, თორემ ჟამი ნიადაგ იწირვის.

- * დუმას რაღა საცხები უნდაო.

დღე წავიდა და არა ფათერაკიო.

დღევანდელი კვერცხი მირჩენია (სჯობია) ხვალინდელ ქათამსა-

- * დღეს-მოხვალისა თოვლი მოუვიდაო.

დღია შარი სჯობია ღამის ხეირსაო.

3

ელვაა დედაკაცის საქმე.

ენამ რა გიყო? და თავში რაკუნო.

ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდებო.

ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი.

ენა სევდის უკუმყრელი, ენა ქვეყნის შეცამძვრელი,

ენა მკურნალ სნეულთათვის, ენა მრთელთა ლახვრის მკვრელი,

ენა სული სულთმობრძავთა, ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.

ერბო-კვერცხის სიყვარულით ფაფას ჰკოცნიდნენო.

ერთგული გული არ გაორგულებულა და ორგული არ გაერთგულ-
ლებულა.

ერთი ალილო ხუცესსაც შესცდებო.

* ერთი გაძლომა მგელსაც არას არგებსო.

* ერთი გვერდიდან ფიცარი არ გაითლება.

ერთი თხილის გული ცხრათ ძმათ გაიყვესო.

ერთი კაცი დასცინოდეს, თავის თავსა დასცინოდეს, ორი კაცი
დასცინოდეს, ერთმანეთსა დასცინოდეს, სამი კაცი დასცინო-
დეს, დიალ მოსაწონიაო.

* ერთი კაცი იმერეთში ძაღლმა დაგლიჯა, მცხეთის ხიდზე სხვა ძაღ-
ლი ნახა და მოკლა, — ესეც იმის გვარისა აქნებო.

ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.

* ერთი კაცი რომ იცინოდეს, თავს ეცინოდესო.

ერთი მე ვკარ, ერთი ჩემმა ძმობილმაო, დობილს თვალი გავარ-
დაო.

ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა.

ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა.

* ერთი რომ ასჯერა ვთქვა, ასი რამდენჯერა ვთქვაო.

* ერთი წელაწადი მიწაში ნიორიც თავს შეინახავსო.

ერთის კოდის ფეტვის დახვრეტა ადვილია ერთის ყმაწვილის გაზ-
დაზეო.

ერთის პირიღამ კიდევ ცივა, კიდევ თბილა.

ერთის პირის ჭირიმეო და ბევრის (ორის) ხელისაო.

ერთის ჩიტის (მერცხლის) ჭიკჭიკი ზაფხულს ვერ მოიყვანს.

* ერთის წიხლის კვრით ციხე ვერ დაიშლებო.

ერთის წლის ბერწობისთვის ფური არ დაიკვლის.

ერთის ხელით ორი ნესვი (ორი სასამთრო) არ დაიჭირებაო.

ერთის ხისა ნიჩაბიც გამოვა და ბარიც (ჯვარიც).

* ერთმა დედაკაცმა თქვა: ბაგამ საჯდომი მატკინაო; სხვებმა ასე გაიგონეს: ბაგრატ მეფე მომკვდარაო.

ერთმა თავგმა ცხრა ქვევრი წაპილწაო.

* ერთმა მთიულმა თქვა, შვიდი წლის ღორი მაქვსო; მეორემ უთხრა, რაც ხანი ქვეყანაზე დავდივარ, ეს კავნი აქა მკილიაო.

ერთმა პირმა ცხვარმა რომელს ხესაც შებლავლოს, გახმებაო.

* ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოვო.

ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

ერთმანეთის ბაძითა (ჯავრითა) სახლი აევსოთ ნაგვითა.

ერთს ადგილს ვირი თუ ტალახში ჩაეფლა, მეორეთ თუნდა მოჰკლა, იქ აღარ გაივლის.

ერთს მომგვარე ჰქვიათ, ორს — მომისხი.

ერთს ქვეყანას გამდელი არ იყო, ვირს ვარდისაზარს ეძახდნენო.

ერთს ქვეყანაში უკეთესი ვერა ნახეს, ვირი ყადათ დასვესო.

ერთს ყურს ჰქვიათ ისმინეო, მეორეს — ისხლიტეო.

ერთხელ დაჭირებაში ქაჩალი თავი მეწისქვილესაც გამოჰყენებია.

* ერთხელ შაველ საყდარში, თვალი გამოვიტხარეო.

* ერთხელაც იქნება, თხა მგელათ იქნება.

* ერთხელაც იქნება, მელას მინდორზე გაუთენდებაო.

* ერთხელც კოჭლი წინაო.

* ეს ფეტვი კი მოსვდაო და ეხლა ჯანაბას, თუ იწვიმებო.

* ეს ფლავი თუ კარგია, ხან თქვენსაო და ხან ჩვენსაო.

ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილს ახჩობს.

ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს და სხვაგან კვერცხსა სდებსო.

ეს ძალლი ამ ძაღლისაო, ორივე ამ სახლისაო.

ემშაკის მუშა ღმერთმან დაფუშა.

ემშაკის ნაშენი ღმერთმა დაფუშა.

ემშაკები რუმბებს ალბობდნენ (ჰბერავდნენ) და ღვინო არსად არ იყოვო.

* ეშმაკს ღვინო არა ჰქონდა, ტიკებს ალბობდაო.

ემშაკის წინ მალაყს თამაშობდნენ.

ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მეძახოდენ, ოცდახუთნაიჭი კირის წამალი ვარო. (აჭარა)

3

ვაი, ბატონო, მეღვინე მოგვიკვდაო; და ვაი მეღვინის ბრალი, თორემ ბატონი მეღვინეს კიდევ იშოვნისო.

ვაი დედაო, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო! — შვილო, შენ რა ვენალვლება, დიდი ჩიჩია გერგებაო.

ვაი თხოვნაა, ვაი კარზედ დგომააო.

ვაი კუტი კალიის ბრალი, თვარემ ფრთიანი გაფრინდება.

ვაი უშველებელსა.

ვაი შენ ჩემო კარალელო ჩალაო. (კარალელი გლეხის ქალი უთხოვნია ერთ თავადიშვილსაჲ კარგს ლოგინში წოლის დროს ჩალაში ჩვეული წოლა მოაგონდა და თქვა: ვაი შენ ჩემო კარალელო ჩალაო! ქმარმა ჰკითხა: რა ამბავიაო, და უპასუხა: „ჩვენი კარალელი ჩალა მომაგონდაო“).

ვაი, შენ ჩემო ტიკჭორაო, რა ცუდ საქმეს მიჭორავო, შენ თუ ღვინოს გამომიღვევ, ვიცი კარგად მიგტორავო.

* ვაი შენს მტერსა, რაც აღდგომა აღარ მოვიდესო. (ერთ მღვდელს დიდ-მარხვაში ანგარიშისთვის შვიდი მარცვალი ცერცვი ჩაუყრია ჯიბეში. რამდენი კვირაც გასულა, იმდენი მარცვალი ამოუღია და გადუგდია. ცოლს უნახავს, ცერცვი ყვარებია მღვდელსო და — ერთი მუჭა ცერცვი ჩაუყრია ჯიბეში. ერთ კაცს უკითხავს: მღვდელო, აღდგომა როდის არისო? მღვდელს ცერცვი ამოუღია, დაუთვლია და უთქვამს: ვაი შენს მტერსა, რაც აღდგომა აღარ მოვიდესო).

ვაი ჩვენსა წერასაო, თავი გიგავს ძერასაო, გულითადი ვეზირი ორგული ჰყავს ყველასაო.

ვაიმე ძმაო თარხანო, რა ჰკუაზედ თხლათ ხარო.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე.

ვაჟკაცს უთქვამს: ან ქორწილში რათ წავალ, ან ქელეხშიო. თუ კაი ცოლი მეყოლება, ქორწილი სახლში მექნებაო, და თუ ავიცოლი მეყოლება, სატირელი შინ მექნებაო.

* ვარიას რომ კვერცხის დადება მოუწდება, კაკანს მაშინ დაიწყებსო. ვაშლი რომ მალლა შეაგდო, სანამ ჩამოვარდება, იმაშიაც დრო გაივლის.

ვახშამთ უკან ხილი უნდა, აზნაურთა წესიაო.

* ვაჭრობა და მოყვრობა ნებისა არისო.

- ვერიდებოდი ბოლოკსა (ბოროტსა), დამხვდა სოფლის ბოლოსა.
ვეშაპი ასეთს არას ჩაჰყლაპავს, რომ მონელემა არ შეეძლოსო.
- * ვიდრემდის ღმერთი მწყალობდაო, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო..
ვინ ალალ-ალალს იძახდაო, და ვინ მწყერს იჭერდაო.
ვინც არის ნება ჩემიო, ის არის დედა ჩემიო.
- * ვინც აღების ღამეს გასქდაო, ცხონდაო, ვინც აღდგომასო; — ჯო-
ჯოხეთში წავიდაო.
- * ვინც დედას გავარდაო, ყველა დარბაზს შავარდაო.
ვინც ვის სძულს, მისი ლაპარაკი რახარუხია, პურის ქამა ქყაპა-
ქყუპია.
- * ვინც თავის თავისთვის არ იყო, იმის ბედი შავი იყოვო.
ვინც თავს გააკეთებს, თითსაც გაილოკავსო.
- * ვინც იცის იცის, ვინც არ იცის და ცერცვი ჰგონიაო.
ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო.
ვინც რა უნდა თქვასო, საღვინემ კი ფქვასო. (ერთ წისქვილში ბევ-
რი საფქვავე მივიდა და ჯერზედ ცილობა შეიქნა; ერთმა საფ-
ქვავეს პატრონმა ღვინო მიუტანა მეწისქვილეს და იმან ეს სა-
მართალი გაუჩინა: ვინც ძალს მოჰკლავს, იმასვე გაათრე-
ვინებენო).
- ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
ვინც რომ კაცია, ჩოხა ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა ჩაბალახია.
- * ვინც რომ მარტში ხორცი სჭამოსო, დედამ თავის შვილის ხორცი
სჭამოსო.
ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდაო.
- * ვინცა სვამდა ისევ იმას სწყუროდაო.
ვინცა ქამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გული.
ვირი ვირთან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო.
ვირი თავისთვის ვირს აკეთებს და სხვისთვის ჯორსა.
ვირი რო ბატონათ გყავდეს, ჰაჩის ნუ ჰკადრებო.
ვირის წიხლი არ უნდა იწყინოო.
- * ვირისაგან წიხლი კი არ მეწყინება, მეტკინებაო.
ვირმა იჩივლა: თხუთმეტი მუტრუკი გავზარდე, მაგრამ ზურგიდამ
კურტანი არ მომცილდაო.
ვირმა კუდი აიბზიკა, ნახირში გამრიესო.
ვირმა პალო მოგლიჯა, ერთი პატრონს ჰკრა, თხუთმეტი თითონ
იკრა.
ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია.

- * ვირმა ხილი მოიტანა, ისევ თითონ დახვრიმაო.
- * ვირს ბედსა სტენიდენო და ისევ გაღმააგდებდაო.
- ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში სტენდენო.
- ვირს რქა არ გამოუვიდა, თავი პატარა ეგონა, ხბორებში გაერია.
- * ვირს ტვირთი რომ მოუნდება, საბაჟოს კარს მიადგება.
- ვირს უთქვამს: წინა ფეხებისა რომ არ მეწინოდეს, მთელს ქვეყანას წამოვიკიდებო.
- ვისაც არ უნდა, რიყეზუდაც ქვას არ დაინახავს.
- * ვისაც გაჭირვება არ უნახავს, მან ლხენა არ იცის.
- * ვისაც გული არა სტკივა, ცხარი ცრემლი არა სცვივაო.
- ვისაც დედას მივსცემ, მამა ის იქნებაო.
- ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზი ის არის.
- ვისაც თევზი უნდაო, საჯდომი სველ უნდა ჰქონდესო.
- ვისაც სამლოთო უნდოდა, ცხვარს იძახდაო; ვისაც გაძლომა, — კამბეჩსაო.
- * ვისაც სახლი არ აუგია, ჰგონია, ბოძები თვის თავათ ამოსულანო.
- ვისაც უმი არ უჭამია, მოხარშულიც მწარე ჰგონია.
- * ვისაც ღმერთი აძლევს, კობლითაც აძლევსო.
- ვისაც შვილი არ მოჰკდომია, შვილის სიკვდილს ნუ შესჩივლებო.
- ვისიც ენა ჭარტალია, იმის სიტყვა მართალიაო.
- ვისიც ერდო მაღალიო, მე იმისი მაყაროო.
- * ვისიც შიში, ხათრიც იმისიო.
- ვსდივე, ვსდივე, ვერ მოვეწივე; დავსდეგი და მოვუცადეო.
- * ვხედავ ნიშანსა, დაჰკვლენ ნიშარასაო.

ფ

- * ზამთარი შემოტეული სჯობიაო.
- * ზარალს ზარალი მოაქვსო.
- * ზარი მეორეთ აღარ დაირეკებაო.
- * ზარმაც მჭედელს კვირას მოუნდება მჭედლობა.
- ზარმაც მწყემსს საქონლის გამოდენა (გამორეკა) შორიდან ურჩევნიაო.
- * ზარმაცისთვის ყოველთვის უქმე არისო.
- * ზაფხული ზამთრის მუშა არისო.
- * ზენაქარო, არც შენი მოტანილი მინდა, ნურცა რას წაიღებო.
- * ზეცას მტრედი მიფრინავდა და ქვეშ ზამფურს უთლიდენო.

- ზოგი მფრინველია, იმისს ხორცსა სკამენ, ზოგი მფრინველია ხორცს აჭმევენ; თუ შენი არა იხარჯებოდეს რა, ლხინს ნუ არა გირჩენია.
- ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი ვერც მოჭირვებითა.
- * ზოგი წინ სარკეა და უკან სამართებელი.
- ზოგი ქირი მარგებელია.
- ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგისა კაკალიც არაო.
- ზოგს რძალი ტყუოდა და ზოგს დედამთილიო.
- * ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიათ, ზოგსა კაცსა კაცუნაო,
ზოგსა დიაცს — დედაკაცი, ზოგს დიაცს — დიაცუნაო.
- ზოგსა კაცსა უმეცარსა, ბედი ხელითგან წაუფა: დაჰკარგავს თავის ხელითა, თავის თავისგან მოუვა.
- ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. ზურგწამხდარი ჯორი (ვირი, ცხენი) ხეცაში კაჭკაჭს დაინახავსო. ზღვა კოვზით დაიღვეაო.
- * ზღვა ფაფად იყო და უბედურს კოვზით არ ხვდაო.

თ

- თავებმა თქვეს: „კატას ეყვანი შევაბათ, რომ ველარ მოგვეპაროსო“. არჩიეს, მაგრამ შემბმელი ვერ გამოარჩიეს.
- თავი ბურეჯში შიმშილით არ მოკვდება.
- * თავი არ იყო, ხვედას ებრძოდა.
- თავმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარა.
- თავს ბუმბულში აწვენდნენ, და სოროში მიძვრებოდაო.
- თავად არ იყო ძმარიო, შიგ შეურიეს წყალიო.
- თავადიშვილის ყმობითა ფქვილი ვერ ჩავდგი კოდითა.
- თავადიშვილიო — ორი ბათმანი ტილიო.
- თავდაძვრენილი — კუდ გაბზეკილი.
- თავდაბლობამ ცანი მოდრეკიანო.
- თავდები ხელით ჰკიდა.
- თავი არა სთქვა, ბოლო არ იყოგო.
- * თავის უსიამოვნო სტამბოლში გაყიდესო.
- თავის ქება თავის მტვრევაო.
- * თავის ქება კიტრადაო, კიტრი კაპეიკადაო.
- თავისი ქონი თვალებს სწვავს.
- თავს იწონებს მწვანე კიტრიო.

თავს-საცილს კაცი არ მოუკლავს, შიმშილს კი დაუბნედა.

* თავშავამ თქვა: ღმერთი რომ გამიწყრა, ბაღნების ხელში ჩავარდით. (აქარა).

თათარო, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ძმა იქნებო.

* თათრის ჩ...ის მოჭრა მადლია, არც ისე ძირში უნდაო.

თაფლი იყოს, თორემ ბუხი ბაღდადიდამ მოვაო.

თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურევია.

თაფლი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაშია.

თაფლი რომ ხელში გეჭიროს, თითი უნდა გაილოკოო.

* თევზებო, თქვენ ერთმანეთს ეხირებითო და მე წყალში მაგდებთო.

თევზი ეძებს ღრმა წყალსაო, და ადამიანი კარგსაო.

თევზი თავიდან აყროლდებო.

თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში.

თევზი წყალში არ დაფასდებო.

თევზმა თევზს უთხრა: პატარო იქით იძარიო, და — საით მივიძრა, ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო.

თევზმა სთქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო.

* თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებო.

თეთრი თხა ყველას მსუქანი ეგონა.

თეთრი კბილი და შავი გულიო.

* თეთრი ძაღლი და შავი ძაღლი ორივე ძაღლია.

* თეთრი ძაღლი მატყლის მოზარაღეო.

* თეთრი ჯორი გაიღეო და მტრის ჯავრი ამოიყარეო.

თვალაღებული (აწუნებული) — წყალწაღებული.

თვალეებ შუა რომ ცხვირი არ იყოს, ისინიც ვერ მოერიგდებიან.

თვალი დაუდვა ხუროსა, დაჯდეს და არაკუნოსა.

თვალი თვალსა მოშორდების, გული გადასხვაფერდების.

თვალი ხილს შესჭამსო.

* თვით არ იყო ძმარი, შიგ გაერია წყალი.

თივაში ცეცხლი არ დაიმალება.

თითო გოგრიდამ თითო ჭკუა გამოდის.

თითო კოჭობი ნაცარი ყველგანა დულსო.

თითო სახლში თითო ქოთანნი შეჭამანდი დულსო.

თითონვე სჭრის, თითონვე ჰკერავს.

თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე ძნელი სჭირს.

თოვლი იმისათვის მოვა, რომ თეხს დასძრავს.

- * თოფით მკვდარ კაცს განკითხვა არ აქვსო. (აჭარა).
თუ არ გვეყოფა, ჩვენ ვეყოფითო.
თუ არ გინდოდეს ჭირიო, — იჩარე (გათალე) ჩხირიო.
- * თუ გავთხოვდი, ვავთხოვდი, თუ არა და ჩვენებიანთ მელორე ხომ აქ არისო. (ქალს უთქვამს).
თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევასო.
- * თუ დამაცდი, მახარე ვარო, თუ არა და მახრუჭაო.
თუ თავი ჩემი მე მახლავს, ღარიბად არ ვიხსენები.
თუ კაცი შევა, შეჰყვება; გამოვა — გამოჰყვება.
- * თუ კაცს არა სწადიან, რიყეზე ქვას არ დაინახავსო¹⁾
თუ მათქმევინებ, სათქმელი ბევრი მაქვსო, მაგრამ პირზე ხელს მათარებენო. (გლესს უთქვამს.)
თუ მასპინძელი არა მღერის, სტუმარსაც მოსწყინდება.
- * თუ მაწონი ძაღლმა შეჭამა, ქოთანი რაღა იქნასო.
- * თუ მეცხვარესა სწადიან, ყველი ერკემლისა მაიწურებაო.
თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარე, მტერი გაგიჩნდებაო.
- * თუ მცემთ, — მცემეთო, თუ არა და მეძინებაო.
- * თუ მცოდნიყო, რომ ციღვან მგელი ჩამომივარდებოდა, ძაღლს გულ-აღმა დავაწვენდიო.
თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რათ გიყარსო.
- * თუ ნიორი არ გიჭამია საჯდომი რათ გეწვისო.
- * თუ სამოთხე არ იქნება, ჯოჯოხეთი ხომ მზათ იქნებაო.
თუ ურემმა შეშა ვერ მოიტანა, თითონ შეშა უნდა იყოს.
თუ ღარიბი არა ხარო, ღარიბი სტუმარი ხომ გყოლიაო.
თუ ჭირისუფალი არა სტირის, მოტირალი ვისი აბუჩის მოვაგლახება.
- თუ ჭკვიანი არ სცდებოდეს, რეგვენი კლდეზედ გადავარდება.
თუნდა გახივე, თუნდა გაფხრიწე, ორივე ერთია.
თუნდა მგელმა შემჭამოსო, თუნდა მგლისფერმა ძაღლმაო.
თუნდა მკვდარი და თუნდა შინ არ მისული.
თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო.
- * თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო. თურაშაული შინ ჰქონდა, ტყეში რა ჰქონდა სულელსაო.
თხა ვიყიდე, თხა ვავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
თხა კიკინით ამოვიდა, ცხვარს სული ამოუვიდაო.

1) იხ. წინ: ვისაც არ უნდა.

თხამ სანეკრი დაინახა, და სახტომი კი არ გაშინჯა.
 თხას თხა უნდა, ცხვარს ცხვარიო.
 თხას თხა ურჩენია ათას სულს ცხვარსა.
 თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს ცხვრის ფეხით.
 თხის პატრონს აღარც თხის კულიო?

0

- * იანვარში მეცხვარეს თხები დაუკრემლია, საქმეს წინ წავიგლებო.
- * იათე ხორცი წვენს არ გამოსცემს.
 იერუსალემს ვირი თოფრით გაგზავნეს და ისევე თოფრით მოვიდაო.
- * იერუსალემს ნიორი გაგზავნეს, წმინდა ადგილია, სიწმინდეს მისცემსო; მოიტანეს და ისევა ყარდაო.
- * იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მომგმკვდარიყავიო.
 იმედიანი შიმშილიც კარგია.
- * იმერელი იმერელს შვილს ასესხებსო.
 იმერელმა ნემსი იპოვნა და ქარში ეფარებოდა, ქარს შუაზე გამიყოფსო.
 იმერელმა ნალი იპოვნა და რაღა მაკლიაო? აბუანდუკი, ზედ საკუკი, საკბილუკი და . . .
- იმერელმა ცხენის ნალი (ნემსი) იპოვნა და — ღმერთო სარკინეთი ამოაგდეო.
- იმერელმა (თუ ურიამ) ცხვარი იყიდა და მალმალ ღუმას უშინჯავდა, თხა არ იყოსო.
- * იმერელს უთქვამს, ბრუნდი შეშა აქ მე მაწვალეზსო და შინ ჯალაბს მიწვალეზსო.
- * იმერელს უთქვამს, დანა რომ მქონდესო, უშეჭამადობას რას ვინაღვლიო, შევითლიო და შევექცევიო.
- * იმერელს უთქვამს, ცეცხლი ნურც საიქიოს დამილიოს ღმერთმა და ნურც სააქაოსაო.
 იმერელს უთქვამს, ცოლსაც არავის დაუჭერ თუ ჩემსავით იხმარებენო.
- * იმისთანა შიში დაიქცესო, რომ მეწისქვილეს ის ვერ უთხრაო, მსხვილათა ფქვავს, წმინდათ დაფქვეო.
 იმისი მადლი მე ვიცი, თუ ხატი ჩემი შექედილიაო.
 იმისი ცოცხალთ იციან, მკვდართ საით უზმმენ თავსა.

- იმ მეზობლის ჭირიმეო, რომელიც კვერცხზე მარილს მომიყრისო.
- * ინდოეთში ვირი კიტრათ არისო, მაგრამ იქ მისვლა აქლემის ფასზედ ბევრი დაჯდებაო¹⁾.
- ინდოეთში ვირი ხეზედ გავიდაო; და ეს ვირი და ეს ხე, აბა აქაც გავიდესო.
- * ინთიშვილი — მინთიშვილი, რაც მამა და იგი შვილი. (აქარა).
ირემმა ირემს ბალახი მიუშვირა, და — არც შენ გაკლია და არც მეო, ერთმანეთის გულის მოგებააო.
- ის უჯობს მამულსა, შვილი სჯობდეს მამასაო.
ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდეს.
- * ისეთი ხიდი გადე, რომ შენმა შვილიშვილმა ზედ გაიაროს.
იხვი რომ წყალში იყოს, ქვა ესროლე; თუ მოჰკლავ, იხვი შენია, თუ არა და — ქვა წყალში დარჩეს.

კ

- კაი კაცის ნაცოლარი, კაი ღვინის ნაძირალი.
კაი მთქმელს კაი გამგონი უნდა.
კაი პაპა იყავიო, კაი ჭამა გიყავიო.
კაი (ჰკარ) შინაურსა, თორემ გარეული სად წავივაო.
- * კაისათვის კაი ვის უქნიაო.
კაკაბმა თქვა: ორმოცდა თორმეტი სიმღერა ვიცოდი, ასეთმა ალაღმა წამამიქროლა, რომ სულ დამავიწყაო.
- კალთაში გიჯდე და წვერს გაგლეჯდერო.
კამბეჩი მყვანდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო რა.
კამბეჩის მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებაო.
კამბეჩმა თქვა: ქვეყნის დანგრევისა რომ არ მეშინოდესო, ასეთს გავიქცევი, მფრინველიც ვერ მომეწიოსო.
- კაჟის (ტალის) მჭამელი ქათამი თავს ილორებსო.
- * კარგი მეზობელი მზის უწინარეს დასანახავიაო.
კარგი მოთამაშე კამბეჩის ცოხნასაც აჰყვებაო.
- * კარგი ფონიაო, მაგრამ ერთ ალაგას ახრჩობსო.
- * კარგი ქალის ქმარსა საგძალი არ ეჭირებაო.
კარგი ქენი, ქვას დადევ; გაიარე, წინ დაგხვდება.
- * კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი არც თავის დედასაო.

¹⁾ იხ. ბაღდადს ვირი.

- კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.
- * კარგი ცხენი ღეზს არ შამოიკრავსო.
- * კარგის მძებნელი ავს შევეყარეო.
კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს, ზედ გამოღება სართისა.
კარგისათვის კარგი არავის უქნია, მოუჭირე გველოო.
- * კარგს არ მაღირსიანო, ავს არ მაკადრიანო.
კატა ძებვს ვერ შესწვდა, ღღეს ჩემი პარასკევიანო.
- * კატა ხორცს ვერ შესწვდა და — მაინც პარასკევიანო (ოთხშაბათიანო).
კატამ შესჭამა ძებვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
კატას თევზი უყვარდა, მაგრამ წყალში ფეხის დასველება კი ეჯავრებოდაო.
კატას ძებვი თავში ჩაჰკრეს, და ღმერთმა მაგისთანა მეხი ნუ დამაკლოსო.
- კატას უთხრეს: შენი ფინთი წამალიაო. და ღრმად ჩაფლა.
- * კატის გაქცევა საბძლის ბოლომდენ არისო.
კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.
- * კაცი გინდ ზღვას დაუღრჩვია, გინდ ცვარსაო.
კაცია და გუნებაო.
კაცი თავის თვალში ძელს არა ხედავს და სხვის თვალში ჩალასაც დაინახავს.
- კაცი ისე არსად იცნობება, როგორც მგზავრობაში.
- * კაცი კაცითო და ღობე სარითო. (აჭარა).
კაცი კაცითაო, ღობე ქაცვითაო.
კაცი კაცის წამალია.
- * კაცი კაცს მიატანს, ნადირი ტყესაო.
- * კაცი მიწისაგან შექმნილია და მიწად მიიქცევისო.
კაცი მოკვდა პურა-ძვირი, წაახვევენ ტილოსაო, მოსთხრიან და ჩააგდებენ, — ე მანდ ეგდე შვილოსაო, ვინც იმას შენდობას ეტყვის, ღმერთმა შეარცხვინოსაო.
- კაცი რო იბარჯებოდეს, აღარას არგებს დრეკაო.
- * კაცი სცადეო და სახლი ათარხნეო.
კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს; განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს.
- * კაცი შიგნით არის ჭრელი და გველი გარედანაო.
კაცი ცხენზედ იჯდა და ცხენს ეძებდაო.
- * კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო მტვრევაო.
კაცია — ხუცესი უყვარს, კაცია — ხუცესის ცოლი.

- კაცის თვალი ხარბია.
- * კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობს რაო.
კაციც შენა ხარ და ქუდიც შენა გხურავს.
კაცმა თქვა, ამ ჩემის სულისა ვერა გამიგია რაო: თბილს აცივებს,
ცივს ათბობსო.
- * კაცმა იმისთანა ლუკმა არ უნდა გადაყლაპოს, რომ ვერ მოინელოს.
კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო.
- * კაცს ღირე ედვა თვალშიო, სხვას კი — ბეწვს უშინჯავდაო.
- * კაცს იმდენი ჭირი ნუ მიადგეს, რამდენსაც იხდისო.
- * კაცს რომ სისხლით პირი სამსე ჰქონდეს, ხმა არ უნდა ამოიღოს.
კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საიქიოსთვის და ერთი
სააქაოს დასარჩენათ.
- კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა და გარეთ მიდიოდაო.
კბილი ტკბილია, და როცა ადამიანს გაამწარებს, მოიგლეჯს და
გადააგდებს.
- კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძღება.
- კედელ-კედელ იარეო, ოღომც კი გარიარეო.
კედელს ცერცვი შეაყარო, ზედ არ დადგება.
- კვერნა სანადიროთ წავიდა და ტყავი დაუტევაო.
კვერნასაც თავისი ტყავი სჯის.
- კვერცხი საბუდარით ამოღებულნი სჯობს ბაზარში ნაყიდსო.
კვერცხის გემო თავის წონა მარილით არისო.
- * კვირაძალი შემომესწრო, ირემს კუდი ვერ მოვაბიო.
კვიცი გვარზედ ხტისო.
- კვიცი იყიდუ და დედა უკითხე.
კვიცი რომ დედას გაასწრობს, იმას მგელი შესჭამს.
- * კიდევ მოვა ქაჩალი მექუდის კარზედაო.
კითხვა-კითხვით ინდოეთს მივლენო.
- კობელა ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ
დაღვარა.
- * კოდალავ, შენ სულ ეგრე აკაკუნებო, მაგრამ მე შენი ხარატულები
ვერა ვნახეო.
- * კოვზის პირით საფქვავე დააყარეო და ტარით მინდი აიღეო.
კოკა მუდამ წყალს არა ზიდავსო.
- * კოკა წყლის გზაზედ გატყდება.
კოკა წყალზედ გატყდება, ხარი ქირაზედ მოკვდება.
კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდება.

კორკოტი ვკამე ასლისა, დრო არის ჩემის წასვლისა.

კოჭებზე (ფრჩხილებზე) გეტყობაო.

კოჭლი ქოთანსა ლოკდაო, გადაბრუნდა და მოკვდაო.

* კოხტა — ამპარტავანი ღმერთსა სძულდა და ეშმაკს უყვარდაო.

* კოხტა კაცს შინა სცემდენ, გარეთ არ ამბობდაო, გარეთ სცემდენ და შინ არ ამბობდაო.

კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო.

კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო.

* კურდღელი პატარაა და გაქცევა დიდი აქვს.

კურდღელი რომ გამოვარდა, ჩემ მწევარს მაშინ მოუნდა საქნელიო.

კურდღელმა თქვა: სანამ გამახტუნებენ, მანამ უფრო მეშინიანო.

კურდღელმა რაც იმალა, ის იხტუნა.

ლ

ლამაზი ცოლი დღეს შენი, ხვალე სხვისაო, მომვლელი მამაციისაო.

* ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსა.

* ლარი გაიტანს კედელსაო.

* ლეკი ან თათარი და შენი ძმა რომ ჩხუბობდნენ, სწორი სამართალი მიეციო.

ლიტრას ეუბნებოდნენ, და კოკავ შენ გესმოდესო.

* ლიტრიანი კაცი ჩარეჟიანის ბოძიაო.

* ლობიო თქვა მთიულმა და ყბა ამოვარდა; ყველი თქვა და ისევ გაუსწორდა.

* ლომი ფრჩხილებით იცნობებაო.

ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო.

* ლუკმას დილისას წყალში ჩაჰყეო, საღამოსას წიხლი ჰკარიო. (ამაზე ნათქვამი: თუ საღამოთი ლუკმა ან პურის ნატეხი ხელიდან გაუვარდათ, აღარ აიღებენ; დილით კი ნამცეციც რომ ჩაუვარდეთ, თავს არ დაანებებენ, — ავი, მავნე ეშმაკი დაეპატრონებაო).

მ

მადლი მატლად იქცაო.

მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო.

* მადლიანი ხარ თამარო, ადრე დაალაგებ ლოგინსაო.

* მაინც კი ვკვდებიო და შენი ჭირიც მეო.

* მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე.

მამავ, გიყვარდა გუთანიო, დაჯექ და ბანი უთხარიო.

მამალი რომ უდროო დროთ დაიყვილებს, თავს მოსჭრიან.

მამალმა თქვა: მე კი ვიყვილებ, და თუნდ გათენდეს და თუნდ არაო.

* მამამ ჭამა ტყემალიო, შვილიშვილს კბილები დაატრაო.

მამასახლისს შინ არ უშვებდნენ, და — ფარ-ხმალი ზემო თაროს დამიკიდეთო.

მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნი.

მამის სული გაეშვა, მამინაცვლისას ჰფიცავდაო.

მამის სული გაეშვა, პაპის სულს ჰფიცავდაო.

* მანამ პეტრე მივიდაო, პავლეს ტყავი გააძრესო.

მანამ ხმალი მივიდაო, ენამ თავი მოსჭრაო.

* მართლის მთქმელს კაცს მართლის მოლაპარაკე კაცი უნდა-

მართლის მთქმელს ცხენი უნდა შეკაზმული ედგას, თქვას და წავიდეს.

მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიფუშება.

მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო.

მარწყვი მპირდება გასუქებასაო, და გული არ ამბობს ასრულება-საო.

მარხვა ვჭამო დოსთვინაო, ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო?!

* მარხვის მჭამელს ხსნილში აღარ ჰქონდა რაო.

მალალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდა.

* მაძლარ მღვდელს დიაკვანიც მაძლარი ეგონაო.

მაძლარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო.

მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონაო.

* მაწანწალა მელამ აჯობა მწოლიარე დათვსაო.

* მაწონს ვეუზნებოდიო და ის დოს მიატლაკუნებდაო.

* მგელი დანარჩენსა ჩიოდა და პატრონი წანალებსო.

მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.

მგელი ცხვარში დაერია, ვაი ერთის პატრონსაო.

მგელმა თქვა, ჩემ დამკერს ძაღლს ერთის შეხედვით ვიცნობო.

მგელმა რომ ძაღლსავით სული იცოდეს, ქვეყანას ამოაგდებსო.

მგელს მგელობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდო.

მგზავრობიდამ მოსულს ჰკითხეს, რა მომიტანეო, და შენ რა გამატანეო? შენთვის მაინც რა მოიტანეო, და თავი მთელი და მუცელი ცარიელიო.

მგლის თავზედ სახარებას კითხულობდნენ და ეშურებოდა, ცხვარმა არ გამასწროსო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვია?

მგორავს ქვას ხაფსი არ მოეკიდებაო.

* მგუანას შეუტყამესო, მძინარას შაუნახესო.

მდიდარს უთხრეს, მშვიდობაში (ტანისამოსიო) და ლარიბს უთხრეს, ვინ მოგცაო?

მე ალალ-ალალს ვიძახოდი, სხვები მწყერს იჭერდნენო.

* მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთო და ჩემს მაზლს აღარა ერგო რაო.

მე რომ ვხედავ ნიშანსაო, ხარს დაგიკვლენ ნიშასაო.

* მე რომ ხარაზი ვყოფილიყავი, ღმერთი უფეხო აღამიანებს დაბადებდაო, რომ ჩემი ხელობა აღარ გასულიყოო.

მე შენკენაო, შენ ეშმაკებისკენაო.

მეგრელმა თქვა: ვისაც ჩემი სიყმაწვილის ვაჟკაცობა არ უნახავს, ჩემი მოხუცებულობა ღმერთმა ნუ აჩვენოსო.

* მე დღეს-ხვალის თოვლი მოუვაო.

მეზობელი მეზობლის (შენი) სარკეაო.

მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო.

მეზობელს ხარი უქადნე, და ღმერთი შენ მოგცემს.

მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდა.

მელა შახეში გაება, თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო.

მელამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანა..

* მელამ წყალში ჩააფსა: შენც იმასთან ჩაჰხუოდეო.

მელას თავისი მახრჩობელი უყვარდა.

მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდა.

* მელას უთხრეს: გძელს რომ ამოკლებდნენ, სად იყავიო? იქ ვიყავიო. მოკლეს რომ აგრძელებდნენ, სადღა იყავიო? იქ აღარ ვიყავიო.

- მელას ჰკითხეს თავი საით გიყოთო, და საქათმისკენარ.
- * მელაგინეს რომ მოშივდეს, ცხრა სოფელი დაიმშვეაო.
მესტვირის ცოლს ჰკითხეს, შუშპარი იციო? და ჩემს დღეში მაგის
მეტი რაღა გამიკეთებია მე დალონებულსაო.
- მეტისმეტმა სიწმიდემა ტრაპიზონი (ტრაპეზი) დააქციაო.
- მეფე გაგიწყრეს, თემს შეეხვეწე; თემი გაგიწყრეს, — გადაეხვეწე.
- * მეფე გულში მღეროდა და შინაყმებს თავი დააჭრაო. (გურია).
მექოთნე ქოთანს, საითაც უნდა, ყურს იქით გამოაბამსო.
მეშურნეთ თვალი ცეცხლის შინათვალი.
- * მეცხვარემა თქვაო, თუ ისა მცოდნიყო, რომა ციდან მგელი ჩამო-
მივარდებოდა, ძაღლს გულაღმა დავაწვენიდაო.
მზეს ვინც ტალახს ესერის, მზეს ვერ მიუწევს, მასვე თავს დაეცემა.
მთა და ბარი არავის გაუსწორებია.
მთა მთას ვერ მოხვდება, კაცი კაცს კი მოხვდებაო.
მთვარე რომ ჩემკენ იყოს, ვარსკლავს რას შეგეპუები.
მთიულია და ბრიყობსო, დეე თავისთვის იყოსო.
- * მთიული შინ შეუშვიო და მოყვრობას მოგინდომებსო.
მთქმელი ვერა იქს, მქნელი ვერ იტყვის.
მთქმელს გამგონი უნდაო.
მიზეზ-მიზეზ — დოს მარული აკლიაო.
მიშპარავი ძაღლი მყეფარზედ უარესიაო.
შინდორს თვალი აქვს და კედელს ყურიო.
მირბის-მორბის გაბრიელი, არვინ არის მადლიერი.
მკაში პირობას ხენაში პირობა სჯობს.
მკედარი მკედარს აეკიდა, სამარემდინ მიმიტანეო.
მკედარს ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობიაო.
მოგება და ზარალი ამხანაგები არიან.
- * მოვერიდე ღოღოსაო, დამხვდა სოფლის ბოლოსაო.
მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო.
მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეჭი (შიხი).
მოთრეულო წყალო, მოთრეულო რძალო.
- * მოკეთემ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო.
მოკვდა ქათამი, ოჭროს კვერცხის მდებელიო.
- * მოლა მატყუარა, შენ რას თამაშობო. (მოლას ზღაპარი, რომ
ფულს ინახავდა და მერე აღარ აძლევდა და დედაქაცმა რომ
გაამტყუნა).
- მომტირალე როდი ტირბსო, რომ მობანემ ბანი მისცესო.

მორჩა (მიხვდა) ბერი ცხონებასა, დედაბერი ქონებასა (წაწყმედა-
სა).

* მოსაწიელს მოცდა უნდა.

მოყვარე მოყვარეს რომ წაეჩხუბოს, ასეთი სიტყვა არ უნდა უთ-
ხრას, რომ 'მერიგების დროს ნათქვამისა სცხვენოდესო.

მოყვარეს პირში უძრახვენ და მტერს პირს უკანაო.

* მოციქული ყეენთან მივაო.

მოციქულმა ფაფა ქამოსო და ღორებს თივა დაუყაროხო.

მოცილილრ კაცი კურდღელს ურმითა სდევსო.

მოწანწალე ტურასაო ერთხელ გაუთენდებაო.

მოჰკლას ხარი თივამაო.

მოჰკლეს მართლის მთქმელიო.

* მრავალის მდომი ცოტასაც დაქარგავსო.

მრჩოლელ საქონელს ღმერთი რქას არ მისცემსო.

* მსუქანს ყელი იცნობსო და მძიმეს ხელიო.

მსხალი პანტას დაადარაო.

* მსხვილ-მსხვილი ნაფოტი ტყისაქენ ვარბოდაო.

მტერი რომ არა გყავდეს, ვისაც დაპირებულს პრ აუსრულებ, მტერს
იშოვი.

* მტერმა კეტი დამკრა და მოყვარემ ვაშლიო ვაშლის დანაკრავი
მეტკინა და კეტის არაო. (გურიი)

* მტერმა მტერს არ უყო, რაც კაცმა თავის თავს უყოვო.

მტერმა მტრის ამბავი არ იცის, რომ იცოდეს, მისი ზრძოლა არ
გაუძნელდება.

* მტერს გობით უბოძე და მოყვარეს კოვზითო. (გურიი)

მტრედს თავისის სიმართლით (სიმშვიდით) ნისკარტი მოსჭრესო.

მტყუანს ტყუილის კარებამდინ მიჰყევბიანო.

მუნჯის ენა პატრონმა იცისო.

მუცელი ღმერთად გაუხდია.

მუცელი ჩემს ქვეით არის, ჩემს ზეით არ არისო.

მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორია.

მფრინველია, რომ იმის ხორცსა სჭამენ, მფრინველია, რომ ხორცს
აჭმევენ.

* მღვდელი კი არას ამბობს და დიაკვანი რას მოჰქარავსო.

მღვდელს (ხუცესს) არ უჯერებდნენ, ძალს დაუჯერეს. (მღვდელი
ქეჯლისში მივიდა, — წვიმსო; არ დაუჯერეს. ძალი მივიდა გა-
წუსული, — დაიჯერეს).

მშვენიერი ხარ ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდება.
 მშიერი წისქვილსა და გუთანს მიატანსო.
 მჩხავანა კატა თავეს ვერ დაიჭერსო.
 მძინარეს გველიც არ უკბენსო.
 მწევარი რომ კურდღელს მისდევს, კურდღელი რაღას მისდევსო?
 და კურდღელი არავის მისდევს, სიკვდილს გაელტვისო.
 მწვადი ასე შესწვი, არც მწვადი დაიწვას და არც შამფური.
 მწიფეს ესროდნენ, მკვახე სცვიოდა.
 მწიხლავს წინ დაუდგებიან, მკბენავს უკან.
 მკედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს ხელსახოცი.

6

- ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდა.
 ნაბოზვარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდება.
 ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდანო.
- * ნათლია მიუვიდა ნათლიდედასა და უთხრა: კოჭლი ცხენი არისო და ვერაფერი ვერ წამოიღოვო. ნათლიდედამ უპასუხა: ვაი შენ ნათლიდედასო, თუ იქიდან ვერა წამოიღო რა, აქედან უფრო ვერას წაიღებსო.
- ნათლიავო, შენსას ჩემი მირჩევნია, სხვისას შენიო.
- * ნათლიამ უთხრა ნათლიდედასა: ჩემი ნათლული გებრალეობდესო. ნათხოვარი ათხოვეო, სული აცხოვნეო.
 ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება.
- * ნამგლვევი მგლისა არისო.
- * ნამუსისათვინ გამოვა ულვაში, თმა და წვერია.
 ნამუსიც კარგი საქონელია.
 ნაქები თავი კიტრათა ღირსო.
 ნაცარი იყარე ღიდის გორისა.
 ნაცნობი ციებ-ცხელებაც კი კარგიაო.
 ნაჩუქარს ცხენს კბილი არ ეშინჯვის.
 ნემს-მახათს მჯიღვი არ შემოეკვრის.
 ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონ.
- * ნეტავი თავადი ვიყო და თუნდ ბეგთაბეგიშვილი ვიყოვო.
 ნეტავი იმას, ვინც მოითმენს; ვაი იმას, ვინც ვერაო.
- * ნეტავი როგორც ავი დარი კაი დარათ მალე იქცევა, ისე ავი კაცი კაი კაცად იქცევოდესო.

- * ნეტარ არს კაცი ნაშრომის თვისის ნაყოფი სჭამოსა.
- * ნებესა და ვარდს მზე ერთად დასცქერისო.
- * ნიაფი როცა მოდის, მაშინ უნდა ანიაფოსო.
- * ნიორმა თქვა: ყმაწვილმა ნაყვით გამათავა და პატარძალმა სირცხვილითაო.
- ნიორმა ძმარშიაც თავისი სიმყრალე სამი წელიწადი შეინახა.
- * ნიორს უთქვამს, გიორგობისთვის ჩამამასწარი, მკათათვეს ამამასწარიო.
- * ნისია შენი არ არის, სხვისიაო.
- * ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსაო.
- ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. ვინც დასცინებს სხვასა, მოიბრიყვებს თავსა.
- ნუ დაჰკარგავ ძველსა რჯულსა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
- ნუ იქ ავსა, ავისაც ნუ გეშინიან.
- ნუ ხარ ავი, ავისაც ნუ გეშინიან.
- ნურც ეშმაკს დაინახავ, ნურც პირჯვარს დაიწერ.
- * ნუ მატყუებ სარქისაო, აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.
- ნუ მისდევ ცუდსა პეპელსა, გაგიფრინდება წაგივა; არცარა ხორცი გახორცებს, არც ტყავი ფასად გაგივა.
- ნურც მგელი მშიერი და ნურც ბატონის ზიანიო.

მ

- ობლის კვერი სცხვა, სცხვა, გვიან გამოცხვა და კარგათ გამოცხვაობლის მამა ღმერთია.
- ობოლი გაზდას მოელის, ღარიბი გამდიდრებასა.
- * ობოლი კვერს დასტბროდა, ისიც შუა გაუტეხესო.
- ობოლს ძლივს ერთი კვერი ჰხვდა, და ისიც გატეხილი.
- * ობოლო, ვის სცემო და — ვინც გამზარდაო.
- * ობოლო, ვის შააგინებო, და — ვინც გამზარდა იმასაო.
- ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.
- * ოდეს უთქვამს, ჩემ სამყოფს ურმიდგანაც გამოვგლეჯამო.
- ოთოთაანთ ქორს უთხრეს (დაცინებით): ჰკარ შინაურსა, თორემ გარეული სად წაგივაო. (ამ ქორს მინდორში ხოხობს მოუტევებდენ, შინ მოვიღოდა და ქათამს დააჯღებოდა).

ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ერთი მცემს, ხან მეორე.
ორი კაცი ერთ კაცზედ ლაშკარია.

- * ორი კაცი რომ იცინოდეს, ერთმანეთს ეცინოდესო.
- * ორი შაურის მწირველმა აჯობა აბაზის მწირველასო.
- * ორი შაურის მწირველსა მის ღღეში არა უშავს რაო.
- ორნი ძმანი ქორწილშიაც არ წავლენ.
- * ოქრო პატარა არის, მაგრამა ფასი დიდი აქვსო.
- * ოქრო სადაც იჭრება, ფასი იქა სდევსო.
- * ოცდასამ აპრილს ოცდასამი ძირი ყანა რო გქონდეს, მოიმედო იყავიო.

ოხერს ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან.

3

- * პანტის კოვზივით შიგ ეჩრებაო.
- პანლური მეწყინება, კი არ მეტკინება.
- * პარკით პურს ნუ მომპარავ და გორგრით ღვინოსაო.
- * პატარა არის ბეწვი, მაგრამა კაცს გულს აურევსო.
- პატარა ვიყავ, დიდისა მეშინოდა; დიდი გავხდი, პატარისა მეშინოდაო.
- პატარა ტოროლა დიდ ტოროლას ატყუებდაო.
- * პატარძალი ტყუოდაო, მაყრებს უწყრებოდაო.
- პატივს უთქვამს: ერთს ორად ვერ ვაქცევო, და ერთს ასე გავხდიო, რომ ორსა სჯობდესო.
- * პატრონმა როგორც ვითხრას, ვირი ისე დააბიო.
- * პერანგი თუ არ გამოგდიოდეს, სოფელში გაიტანე და სანიფხვეც გამოგიჩრებაო.
- * პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონილია.
- პირველი ბედი ბედია, მეორე — გაგონებაა, მესამე — ვირზედ შეჯდომა, მეოთხე — გაჭენებაა. (მრავალჯერ ქორწინებაზედ).
- * პირმა შენმა გამოგაჩინოსო.
- * პირობა კაცს ცოლს წაართმევსო.
- პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია.
- პურაძვირი თუ გამხიარულდა, ბედოვლათს გადააჭარბებს.
- პურაძვირის კაცისა მარილი მეტი დაიხარჯება.

პური და ღვინო ძველი სჯობს, ბატონი ახალ-ახალი.

* პური მეპურეს დააკვრევიწე, ერთი პური ნუ გშურსო.

* პურის პურს გაჭმევო, თუ შენს ძმას გაეყრებიო. (ცოლს უთქვამს ქმრისთვის).

პურმა სთქვა, მე პირს არ მოვსძებნი, თუ თვითონ არ მეძებსო.

პურმარილის დასწავლა ქვამაც იცის.

პურმარილს ნურც ფეხს ამოჰკრავ, ნურც გაექცევი.

პურმარილი ქვაზედ დასდევ, გამოივლი, იქ დაგხვდება.

პურს პურით გაჭმევო.

რ

რასაც დასთეს, იმას მომკიო!

* რასაც ვირი ეწევოდა, ორს იმოდენას ვირის პატრონიო.

რასაც კაცი თავის თავს უზამს, ვერა მტერი ვერ უზამსო.

რა ქნას კარგმა მონარდებმა, თუ დუშაში არ მოუა.

რა ქნას, რო არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალია, პირდაპირ ჩამოსჯდომია სიკვდილის ფერი ქმარია.

რაც აღხანა — ის ჩალხანაო.

რაც არა ვშობე (შევქენ), შვილი არ იყო; რაც არ გავზარდე, — ყმაო (ძმაო).

რაც არ ექნას მამა შენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა.

რაც არ მერგება, არ შემერგება.

* რაც არ ჰფერობდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლათა.

* რაც თხამ თრიმლს უყო, ორი იმოდენა თრიმლმა თხის ტყავს უყოვო.

რაც თხამ უყო თრიმლს, ის თრიმლმა თხის ტყავს.

რაც მგელმა ცხვარს დააკლო, რაც არა — მწყემსმა უარესი ქნაო.

* რაც რომ ცას ემართა, დედამიწა ხუოდარ.

რაც შევჭამე, ის შემრჩაო, რაც არა და იქ დამრჩაო.

* რაცა მქვია, პირსა მცხია.

რაცა ნახე, აღარ ნახავო.

რეგვენს კაცს ჭკუა თვალში აქვს.

* რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონაო.

რკინა რკინით დაიჭირება, კაცი კაცით.

- როგორიც ალაგია, — იმისთანა ალაბიაო. (ურია ჩერქეზმა დაიჭირა; ჯოხი მისცა, ფართალი ამით მომიზომეო, ჩემი ალაბი ეს არისო. ურიამ მოუზომა და თქვა: როგორიც ალაგია, იმისთანა ალაბიაო.)
- * როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო.
როგორიც მღვდელიო, იმისთანა ერიო.
როგორიც ტყე იყო, იმისთანა ნადირი გამოვბოდა.
- * როგორიც პირ-მარხვაო, ისეთი დიდ-მარხვაო.
როგორც გიწირამს — ისევე სწირეო.
როგორც გიჭირს, ისე გიღირსო.
როგორც თვალი შორს, ისე გული შორს.
- * როგორც კაცს ცოლი არ წაერთმევა, ისე ნაფეტვარი არ წაერთმევაო.
როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო.
- * როგორც უნდოდა მელას, ტყავი შინ მოუტანიო.
როგორცა ქუხს, ისე არა წვიმს.
- * როგორც შეიძლო, შენს მეუფეს ისე ელაღადეო.
* რომელმაც უარი გითხრას, იმისი იმედი გქონდესო.
რომელს თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინება.
- * რომლისაც მთის იმედი მქონდა, იმან უფრო ფეხები დამაძროვო.
როცა არისო, თხა მგელთა არისო.
- * როცა ვნახავ ალოსა, მაშინ გავლეწ კალოსა.
* როცა თონე გაგრილდება, პურს ვეღარ აცხობსო.
* როცა ხმალი შიშველი, მაშინ ვერას გიშველიო.
* რძალ-დედამთილ შუა ვირიც დაიკარგაო.

ს

- საბძელი გეწოდეს, ხელი მოითბეო.
- * საბძელს რა დიდი რამ უნდა, — ბოძი, ლატანი, კავიო.
სად გაგონება არ არის, კარგვაა სამართლისაო. (მთიულს უთქვამს).
- * სად მუხრანი, სად წილკანი, სად თხა სძოვდა, სად ციკანი.
— სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესა.
სადაც არ იყოს, ცოტა კმარ-იყოს.
სადაც არ სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან.
სადაც ბუზი დაიბადება, იმისი ბაღდადი ის არისო.

სადაც გავა გავაო, თქოც გავათ გავაო.

- * სადაც იყოს ბედი შენი, მიგიყვანოს ბედმა შენმაო.
- * სადაც ქვეყნის ნახირი, იქ ბებრის ხბოვო,
სადაც შავარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო.
- სადაც ძალი შევა, სამართალი ბანიდამ ავაო.
- სადაც წახვიდე იქაური ქუდი დაიხურე.
- * სადილთ უკან ომი არ დაგვიანებულაო.
სავაგლახოდამ აიღე, სატილოზედ დააგდეო.
- * საზიარო საზიანოაო.
- * საზიარო ყანა თხებმა მოქამაო.
- * საზიარო ყანა ჩიტს მოუჭამიაო.
- * სათვალავში რვანიო და ნახევარი ბრმანიო.
- * სათხე მარილი სად არისო.
საიღამ სადაო — წმინდა საბაო.
- საიღუმლო ორშიაო; თუ მესამე გაერია, საიღუმლო აერია.
- საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი.
- * საკიცხავი წყალს მიჰქონდა, ხელი ამოყო და ცხრა სოფელი კიდეც
გაკიცხაო.
- სალათის გაკეთება ასეა: პურადმა ზეთი დაასხას, პურაძვირმა ძმარ-
რი, ჭკვიანმა მარილი, გიჟმა აურიოს.
- * სალდათი მოკვდაო და სალდათი ჩადგაო.
სამ დღემდისინ სამმა იცის, სამ დღეს უკან თემმა იცის.
სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინება.
- * სამგლე გოჭივით ასტყდაო.
სამგორის მინდორზედ დედაბერი არ ეტეოდაო.
სამთ იციან დღესაო, სამ დღეს უკან ცხრა მთასაო.
- სამი დღის ხბო თავის თავათ წყალზე წავა წყლის სასმელათაო.
- * სამი დაკვრით გველი არ მოკვდებაო.
- * სამი დღის სიცოცხლისათვის ერთმა მეფემ ძაღლის ლეკვი შექამა.
- * სამი კაცი რომ იცინოდეს — დიალ მოსაწონიაო. (სამეგრ.)
სამოსელს ნაწიბური გაუშინჯე და შეილს დედ-მამაო.
საკოცნელი ლოყა საფურთხებელი რათ გავიხადოვო!
სანამ თორნე ცხელია, ლავაში მიაკარო.
სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.
სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ აწოებენო.
სანამ წნელი ნედლია, უნდა მოგრიხო.
სანამ ხმალი მივიდოდა, ენამ სისხლი დაღვარაო (თავი მოსჭრაო).

- სანახევს რამდენსაც გაჭექებენ, უფრო უარესად ასუნდება.
- სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს.
- * სანთელი თავის წინ არ გაანათებსო.
- სანთელი ქვეშ არ გაინათებსო.
- სართი დასწრებისაო.
- სართი (ქრთამი) ჯოჯოხეთს ანათებს.
- სასჯელს სასჯელიო, სახარკოსა ხარკიო.
- * საულლე ხარს სარქეში შეეტყობაო.
- საფლავი კაცმა არ უნდა დაჰკარგოსო.
- * საქებურმა ხარმა საყვეარზე გადატრინაო.
- საქებურმა ხარმა ნიახური გარდაქელა.
- საქმეს წაახდენს რეგენი, ფათერაკს დააბრალებსა.
- საქონელი პატრონს ეგვანებაო.
- * საქონელს თვალი სჭამსო.
- საქონელმა თქვა, ღმერთო პატრონს მიმეცი, რომ მოხმარება შე-
ედლოსო.
- * საყდრის კარი რომ ღია იყვეს, ძაღლს ნამუსი უნდა ჰქონდესო.
- საყდრის კარი ღია იყო, ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო.
- * საყვედურისა მელასამც შეუჭამიაო.
- * საშოგარი ნუ გშურს, ამხანაგი ნუ გძულს.
- საშოგენელსა ნაშოგნი სჯობია.
- * საცა კაი ყვავილია, ფუტკარიც¹⁾ იქით მიაშურებს. (აქარა)
- საცა შენი სთქვა, ჩემიც (სხვისაც) იქა სთქვიო.
- საცა ჩემი არ შევიდა, ჩემი არ შეიქმნაო.
- საწყალი კატა ჩიოდა: ვაიმე თეძო და ბარკალი, ქალებმა ერბო
შექამეს, მე დამწვეს ალაღ-მართალი.
- * საქირბოროტაია შაკახმულ ცხენ, დაილოც შიშვალ ცხენ, ფეა გჳ-
დასწვდიდი და გადასჯდიდი. (ხევსურ.)
- სახარე ხბოსა სასკორეში შეეტყობაო.
- სახელია და სახრავი კი არაო.
- სახელის გატეხას თვალის გავარდნა სჯობიაო.
- * სახლი ააგეო და სახლი წააგეო.
- * სახლის აგებას სახლის გადაგება უნდა.
- * სახლი იყვეს ფანჩხატიო, შიგ რამ იყვეს ფარსაგიო.

1) აქარაში ამბობენ: სკაც.

- * სახლი იწოდეს, ხელი მოითბეო.
- * სახლს უარესთაო.
სახლს პატრონისა მარილიც მეტი წავაო.
სელის დათესვაზე რა ითქვა, მოგლეჯაზედაც ითქვაო.
სესხი და უალი არ დაბერდება.
სვაფი ძვალს გაზომავს და ისე ჩაჭყდაძავსო.
სიბერემდინ კაცს სწავლა არ მოსჭარბდება.
- * სიბერემდინ სიქაჩლე გეწეროსო.
- * სითამდაბლემ ცანი მოდრეკიანო.
სიკვდილი და სიცოცხლე ამხანაგები არიან.
სიკვდილი დაემუქრა კაცს: „შვილს მოგიკლავს!“ და შენი ამბავი რომ ვიცი, არც კი გამიკვირდებაო.
სიკვდილი ყურს უკანა გვაქვსო.
სიკვდილმა თქვა: „ასე არავინ მოვკალი, რომ მიზეზი სხვას არ დააბრალონო.“
- * სიკვდილს უკან სინანული აღარ არისო.
- * სიკვდილო, ბაგა-ბაგაო. (ერთი შვილი ჰყვანდა დედ-მამას. მისულა სიკვდილი და უთქვამს, შვილი უნდა მოგიკლათო. წაუყვანიათ შვილი ბაგაში და დაუმალაეთ, სიკვდილი ვერ იპოვნისო. მერე სიკვდილს უთქვამს, მაშ თქვენ უნდა დაიხოცნეთო თქვენი შვილის მაგიერათაო. მაშინ უთქვამთ: „სიკვდილო, ბაგა-ბაგაო“, ვითომც ბაგაშიაო).
- სიმართლე შვილის შვილამდინაო.
- * სიტყვა ბანზე შააგდოო.
სირცხვილი დიდი კომბალია.
სისხლით სისხლი არ გაიბანებაო.
სიფრთხილეს თავი არა სტკივა.
- * სიყვარულს შიში შეიქსო.
სიცილი გადამდებიაო.
სიკვილს ტირილი მოსდევს და ბევრჯელ სიცილი ტირილად გარდაიქცევა.
- * სიცოცხლეში რომ იყო ნაძრახად, მას ჯობს სიკვდილი სახელოვნო. (სამეგრ.)
სიძეო, რამდენსაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებიო.
- * სიბუმე უთქვამს: მე რომ კუორდლის გაქცევა მინახავს, ღმერთმა იმი ხოარცი ნუ მაქამოსო.
- * სოფელი გაიქცეს, გაიქეციო, დადგეს და დადექიო.

სოფელი ვნახე უძალლო, გამოვიარე უჯოხო.

სოფელი შენდებოდეს, შეასწარი; იქცეოდეს, გაასწარი.

სოფლის ქვრივმა იჩივლა, ურიშას მჭადმა შვილები ლამის დამი-
ხოცოსო. (მეზობელმა ჰკითხა: ქა, კიდევ გაქვს მჭადიო? „არ
გებრალეები, ბეჩავს ისიც გამომელიაო!“ მაშ ამის იქით ნახე
გაწყვეტაო).

* სტეფანელი ¹⁾ ნემსს ტყავსა ხდიდაო; გერგეთელი შეესწრო: რამ-
დენი ხორცი გაგიყოლებიაო!

სტუმარი მასპინძლის ვირიაო (როგორც დააბას, უნდა დაჰყვესო).

* სტუმარი სტუმარს პატიჟობდა, მასპინძელს ორივე სძულდაო.

სტუმართა სიყვარულითა მოძღვართა ხორცი სჭამიან.

* სტუმარო, შენი სახეთქავი არისო და ჩემიცაო.

სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს ორივე.

სტუმარს უთხრეს, კორკოტს მოურეე, შენი სახეთქიც არისო.

* სტუმრობა ხადელთ ²⁾ იციანო.

სულ არარაობას ისევ ცალი უღელი ხარი სჯობს.

* სულ არაობას ცხრა უღელი ხარი სჯობიაო. ³⁾

¹⁾ სტეფანწმინდელი, ყაზბეგელი.

²⁾ ხადა—სოფელია მთიულეთში.

³⁾ ქუთაისის მაზრაში ჩაწ. მოწ. ფსაკაძის მიერ 1870 წ. ბევრ ადგილას ამ
ანდაზას ასე ამბობენ (. . . ცხრა უღელი ხარი სჯობიაო), მეც ბევრჯერ გიმი-
გონია ასე. პ. უმიკაშვილის ქალაქებში შემხვდა ვინმე მ. ქათამაძის (ბორჯომი-
დან) წერილი, რომელიც დამწერს გახ. „დროებისთვის“ გაუგზავნია და რომელშიაც
იგი ამტკიცებს, რომ ეს ანდაზა სწორედ ასე უნდა ითქვას: . . . ცხრა უღელი
ხარი სჯობიაო. საბუთად მოჰყავს შემდეგი გადმოცემა: მის ბებიას უამბნია მის
თვის, — ჩვენი ერთი წინაპარი მდიდარი გლეხი ყოფილაო, ძალიან მცდელი და
მშრომელი, სტუმარსაც კი რამე საქმეს გააკეთებინებდაო. გაუგია მეფეს და მოუწ-
დომნია გამოცდა. შეუთვლია, გეწვევია. გლეხი მომზადებულა გასამასპინძლებლად.
თან სტუმრების მოსვლამდე დიდი საკალოე ადგილი გაუსუფთავებია. როცა მეფე
და მისი მხლებელნი მოსულან, ამ კალოზე მიუღია და უთხოვინია: ჯერჯერებით
ამ გაწმენდილ ადგილზე ისეირნეთო. გამასპინძლებია კარგად. მეფეს უკიბნავს:
მდიდარი ხარო? გლეხს უპასუხნია; — მდიდარი არა, მაგრამ შეძლებული კვ ვარო.
მაშ სტუმრებსაც რაღად ამუშავებო? შრომა ღმერთმა გვიბრძანა, მეც მუშაობ
და სტუმრებსაც ვაშრომებო. ჩემგან და ჩემი მხლებელებისაგან რაღა ხერი ნახე
დღეს ჭამის მეტიო, — ჰკითხა მეფემ. დიდიო, უპასუხა გლეხმა, — საკალო ადგილი
დაგატკეპნივითო. მეფეს პასუხი მოეწონა, მაგრამ არ შეამჩნევინა. პირიით, გაწყ-
რა, მთელი ოჯახი სახლში დაატუსაღებინა, ქონება ყველაფერი ჩამოართვა, ჩუ-
მად ყარაულები მიუჩინა, — აბა რას იხამსო. მეორე დღეს გლეხს შვილები მოუ-

- * სულ მუდამ კოკა წყალს არა ზიდავსო.
- * სულ მუდამ რომ სახლი ვაგო, შიგ როდისლა დავდგეო.
სული სულს იცნობს.
სული ტკბილია.
- * სულიერში კატასავით არასა აქვს კაი დროო.
სჭამოს შვილმა და ზღვას სულმაო.
სჭრის კიდეც და ჰკერავს კიდეცა.
სხვა თევზებს კალმახი სჯობდა და კალმახს თხის წვენუაო.
სხვათა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელი.
სხვათა ჭირიო — ლობეს ჩხირიო.
სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
- * სხვას ხაროს უთხრიო და წინდაწინ შენ ჩავარდებო.
- * სხვენზე ყანა რომ გაიკეთა, ის კი არ იყო სულელი; სულელი ის იყო, ვინც მას ენაწილა. (სამეგრ.)
სხვის ამარ ფართო ლოგინს ნუ დაიგებო.
სხვის ამართ ფართო კარავს ნუ დაიდგამო.
სხვის გაკეთებულმა — გულიო, და ჩემმან — წელიო.
სხვის ხელით ნარს ნუ მოვლევო, ეკლიანი ბალახიაო.
- * სხვისა ბედაურს შენი ჯაგლაგი გერჩინოსო.
- * სხვისა შვილი არა შვილობს, ვით ნაცარი არა ფქვილობს.
- * სხვისა ჭირიო ლობეს ჩხირიო.
- * სხვისი ხელით გაკეთებული საქმე თვალს ეამა და გულს არაო.
- * სხვისი ხელით გველი არ მოიკვლება. (აჭარა).
- * სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.
- * სჯობს ქვემო ბოლოს შინ დგომა ვარეგან კარსა მზერასა.

ტ

- * ტაში ასწავლის შუშპარსა.
ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა.
ტერტერამ უღელი ვადააგდო, კურღელი მოკლაო.

ვიდნენ, რომელნიც საძოვარში ცხრა უღელ ხარს წყესავდნენ კალოსთვის. დაიწყეს ტირილი თავიანთ უბედურებაზე. მამამ ანუგეშა: „ნუ ტირით, შვილებო, ეს იღბალი გვწერებია, რა გავწყობა; იმ ცხრა უღელ ხარს მოუარეთ, სულ არაობას ცხრა უღელი ხარი სჯობიაო.“ ამის შემდეგ მეფემ ყველაფერი დაუბრუნა და კიდეც დაასაჩუქრა. ის ანდაზაც აქედანაა წარმომდგარიო. ფ. გ.

- * ტირილით ველარაგის უპოვნია სიცილით დაკარგული.
ტირიფონის მინდორზე დედაბერი არ ეტეოდო.
- ტიტველა კაცი ცხრათ ვერ¹⁾ გაცარცვესო.
- ტკბილი ენა გველს ხვრველიდამ (სოროდამ) გამოიყვანს.
- * ტყაყთხელს რა ეთქმის ტყავისქის მეტი.
- * ტყუილი ფიცი შეილისშვილამდინ გასტანსო.
ტყუილის მოქმელს რა სარგებლობა აქვსო? და მართალსაც აღარ უჯერებენო.
- ტყუილის მოქმელს ტყუილის კარებამდინ უნდა გაჰყვეო.
- ტყუილს მოკლე ფეხები აბია.

უ

- * უბედურობა ბედს წინ უსწრობსო.
- უბედურს ადამიანს ქვა აღმართში მოეწევა.
- * უგვარო სუფრის შორს დაჯდებო და გვარიანი ახლო მიიტანსო:
- * უგუნურ მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო.
- უვირისთაოთ ქორწილი არ იქნებო.
- * უკეთუ მცოდნოდა, სად დაეცემოდი, ჩალას იქ დავიგებდიო.
- * უკულო ხარი თვითონ არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო.
- * ულაყის ვირის პატრონსა საძილედ აღარ სცალიან.
- * უმოახლო ქვეყანაში ვირს პირმთვარისა დაარქვესო.
- უნაგირი გქონდეს, ცხენს ბევრჯელ იშოვნო.
- უნაგირი ვიშოვე, ცხენი ვერ ვიშოვე, ცხენი ვიშოვე, უნაგირი ვერ ვიშოვე.
- უნამუსო ვირზე იჯდა, ფეხებს მიატლაკუნებდაო.
- უნამუსო ვირზე შესვეს, აჩი ვირო, დაიძახა.
- უნამუსო თხა ტყიდამ გამოხტა.
- უნახავემა — ნახაო და შიგ ჩავარდაო.
- უნბფხვო ნიფხავს ვერ იშენვესო.
- უნიფხვო სიზმარში ცხრა ნიფხავსა ზედაყდაო.
- * უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.
- ურაქუნე კედელსაო, ელაპარაკე რეგვენსაო.
- ურემი რომ გაღაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება.

¹⁾ დაბეჭდილშია: ცხრაჯერ, რაც, მგონია, ბეკდვის შეცდომა უნდა იყოს. შეაღ-
ქვემოთ: "შიშველერ . . .

- * ურემი უნაროდ არ ეარგა.
- * ურემს სადაც დააწვება, იქ დაიჭრიალებსო.
ურემსაც რომ მეტს დაუდებენ, ჭრიალს დაიწყებს.
უსაქმო კაცისათვის მუდამ უქმეა.
- * უფალს, კაქკაქტ მოკვდაო, და — მე გაჩენაც არ გამიგიაო.
უქონლობამ დიბის კაბა მაცვეთინაო.
- * უღვთოთ ხეს ფურცელი არ გავარდებაო.
- * უშვილოსთვის ქალიც შვილიაო.
- * უშიშარი კაცი მარცხს იზამს, თუ არ შოუფროთხილდება. (სამეგრეო)
- * უძალდო ვპოვე სოფელი, უჯოხო გავიარეო.
უწინ მოჩივარი ბატონს მართალი უჯონაო.
უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ ჟამი აროდეს იწირვის.
- * უხეირო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევიწებსო.
- * უხეირო ბულა შინაურს ააჯდებაო.
- * უხეირო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდებაო.
- * უხუცესო ქვეყანაში ყვავს ხუცესი დაუძახეს (თუ ვახადესო).
- * უჯიშო ცხენსა ნუ აკმევ ქერსა.

ფ

- ფანცი-ფუნცი გაცვდებაო, შავი ჟამი დარჩებაო. (მზითევზე).
- * ფაფა წამიხდა რევითა, კორკოტი მოურეგლობითაო.
- * ფაფის მქამელს კოვზი წელში უდა ერქოსო.
ფაფის შეშინებულს დოს უბერავდაო.
ფეიქარი ფაშა შეიქნა, მაგრამ ნიადაგ თავისას იგონებდა: ვაი შენ-
ჩემო საფეიქრო, მასტიკო და მასრა-მაქოვო.
ფეიქარს ცოლი ეუბნებოდა: შენი ძმა ამდენს შოულობს მოტყუე-
ბით და სიცრუითო. ეს მაქოს აგდებდა და მღეროდა: „ჯერ
არ შეუტყვიათო, ჯერ არ შეუტყვიათო“. ერთხელ მოვიდა
ცოლს და უთხრა: შენი ძმა დაუჭერიათო და ამდენს ახდევინებენო. იმან დაამოკრა: „ახლა შეუტყვიათო, ახლა შეუტყვიათო“.
- ფერი ფერსა მადლი ღმერთსა.
- * ფეტვი კი მოსცდაო და ეგ ღრუბელი ჯანაბას წაიღეო.
- * ფეტვიო და ყველაზე მეტეო.
ფეტვს უაქვამს: ხრიალი¹⁾ მიჩვენეო და ჩხრიალს გაჩვენებო.

¹⁾ ფეტვის ნათესისთვის კარგია მშრალში დაფარცხვა.

- * ფეხების მოჭირებით შვილი არ იშობება.
- * ფეხიანებიო, თორემ უფეხოები სად წაგვივლენო¹⁾.
- * ფილტვივით ზევიდგან ექცევაო.
- ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. (ქურდმა მამალი მოიპარა, კალთაში დამალა, მაგრამ ბოლო უჩნდა; პატრონს ეფიცება, არა ვიცირაო. პატრონმა უპასუხა: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო).
- ფლავი გაატარესო, და მე რაო? თქვენსა შეიტანესო, და შენ რაო? ფლავი ვის უდგას და მადა ვისა აქვსო.
- ფური ნახე, საწველელი ისე სთხოვეო.
- ფური მოკვდა, ხანულობა გარდასწყდაო.
- ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და დაღვარა.

ქ

- ქადა ქადააო, გულზედ გადაჰქარდაო.
- * ქათალიკოზი კვდებოდა, უთხრეს: მადლიანი ხარ, ქეყანა დალოცეო. მე თუ აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედამც ნუ დადგებაო.
- * ქათამი ამბობსო: ვაი ჩემი ბრალი, ხორციტ ქვასა ვშობამო.
- ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს.
- ქათამმა სჩხრიკა, სჩხრიკა და თავის საკლავი დანა გამოსჩხრიკაო.
- * ქათამს კვერცხის მეტი არაფერი არ შეუძლია. (სამეგრ.)
- * ქათმის წიწილს უთქვამს: ღმერთს თუ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა, დედას ძუძუს მისცემდაო.

¹⁾ ამ ანდაზის შესახებ მოხვეწე ეფრ. გომიაშვილი სწერს 1888 წ. პ. უშიკა-შვილს: „ეს ანდაზა ალევლებზე (სოფ. ალევის მცხოვრებლებზე) არის ნათქვამი. უწინდელ დროს ალევლებს თავები მოუგვიჟიანებიათ, ასე რომა ბატონისთვის თავები ისე უჩვენებიათ, რომ მითომ გიჟები ვართო. რასაც საქმეზე დაუყენებია ბატონს, გადარეულათ უკეთებით ყველა საქმე. ბოლოს ბატონს უთქვამს: აბა თუ გიჟები არიანო, ყურძენი დაემარცვლოთო, მარცვლებში ჭია აურიოთო და ისე დაუდგათო. თუ მართლა გიჟები არიან, ჭიებსაც შასჭამენო, თუ გიჟები არ არიან და ყურძენის მარცვლებს ხარჩვენო და ჭიებს არ შასჭამენო. მართლა მორეკეს მთელი სოფელი ალევი და დაუყარეს ჭია და ყურძენის მარცვალი. დაეხვივნენ და დაუწყეს ჭამა ჭიასაც და მარცვალსაც. ჭიებმა რომ დაიწყეს გასვლა, მაშინა თქვეს: ფეხიანებიო, თორემ უფეხოები სად წაგვივლენო. ბატონმა მაშინ დაიჯერა, მართლა გიჟები ყოფილანო, და ამითი თავი დაიხსნეს ბატონისაგან“.

ქათმისათვის უკითხავთ, საიქიოს რა ამბავი მიიტანეო? რაღაამ ბავიო: ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს; ძროხა დაკლეს, ზედ წამაკლეს; თხა დაკლეს, ზედ წამაკლეს და სხვა რაც დაკლეს, ზედ წამაკლესო.

ქათმისა მიყვარს ენაო, მაღლიდგან გადმოფრენაო, მხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერი, ცოტა რამ საწინწკარაო, თუ საბძელსაც დაუმატებთ, ჩემთვის ესეცა კმარაო.

ქალაქი კარგი სათლელი ღუმე არის,

ქალი თმიანი, მწვადი მცვრიანი.

ქალი იჯდეს, ზედს ელოდეს; ვაჟი იჯდეს, ბერდებოდეს.

ქალი მორცხვი, ვაჟი ხასი, ქვეყნის ფასი.

ქალი ქებით გათხოვდება, რძალი კარგი ვის უნახავს?

* ქალი ქმარსა სწუნობდაო და იყო იმისი ანაბარაო.

* ქალის ჭკუა თხამ ვენახზე მიაქამაო. (იმერ.)

ქარის მოტანილს ქარი წაიღებს.

ქარმა უთხრა საბძელს: კარი გამიღე, ბზეს შემოგყრიო. საბძელმა უთხრა: თუ დამეხსნები, არც შენი შემოყრილი მინდა და არც გაყრილიო.

ქაჩალი თავს არ მოიქექსო, და თუ მოიქექა, სულ გადიგლეჯსო.

* ქაჩალი კარგი აქიმი იყვეს, თავის თავს რასმე უწამლებდაო.

ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უზამს.

ქაჩალს ჰკითხეს: ვინ უფრო გძულსო, და — ვინც თავი დამბანაო.

ქვა თავის ადგილს მძიმეა, რომ დაიძვრის, დამსუმბუქდება.

ქვაცა აქვს და კაკალიცა.

ქვევრს რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს.

ქვეითი ცხენოსანს დასცინოდა.

* ქვეითს ერთი უთხარ და ცხენიანს ორიო. (ცხენიანი რომ მიდიოდეს და მიიპატიჟო, ორი უნდა უთხრა; ამისთვის რომ ცხენიდან ჩამოსვლა დაეზარება, და ქვეითს კი ერთი სიტყვაც ეყოფაო).

ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რომ საძაღლე ვახდაო.

* ქვრივი დედაკაცის გაზრდილი ბარი კარგი გამოვაო და შვილი-მყრალი გამოვაო.

ქვრივმა ქვრივს მიუტირა, მერმე ერძმანეთს თვითონვე გული დაუღვეს.

ქვრივსა და ობოლს ღმერთი ღლეში სამჯერ გადმოხედავს.

ქმარი ლაშქრიდამ მოვიდა, ცოლი ანბავს ეუბნებოდაო.

* ქმარი ქალაქს იყო და ცოლი შინ ამბავს ახვედრებდაო.

ქოთანი დაგორდა, სარქველი იპოვა.

ქოთანი შევდე თაროზე ყურიანი და უყურო; ორივე ერთად გამო-
დის ყურიანი და უყურო.

ქოთანმა თქვა: ოქროს ძირი მაქვსო. ციცხვმა უთხრა, მე საიდან
მოვალო?

ქოთანმა თქვა: ოქროს ფსკერი მაქვსო. კოვზმა უთხრა, მე შიგ
დავსტურავ და შენ მე მასწავლიო.

* ქოთანს უთქვამს, კაი მოსახლე ვარო; კოვზს უპასუხია: ყოველ-
დღე შიგ დავერაკუნები, მაგრამ შენი კაი მოსახლობა არ შემი-
ნიშნავსო. (გურია).

ქორო, ბევრისა მდევარო, ბევრჯელ დარჩები მშვიერი.

* ქორს უთქვამს: განა დედალს ვერ მოვიტაცებო, მაგრამ წიწბლის
წივილი მიყვარსო.

ქოთაკმა ძაღლმა კაი ძებნა იცისო, მაგრამ ცხირში ეკალი ეჯავ-
რებაო.

ქოთაკმა ძაღლმა რომ კურდღელი დაიბრუნოს, კაი საქმეაო (დაქე-
რაში გაუბარეო).

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.

* ქრისტე ღმერთი რომ გუთნის დედად გყვანდეს, გუთანი არ მოგე-
შლებაო.

ქუდი დადე და სამართალი ისე ჰქენიო.

* ქურდი კაჯი არ მიიღებს საუკუნო ცხოვრებასო. (სამეგრ.) ქურდი
ფიცხედ მზა არის.

ქურდის ქურდი ცხონებულია.

* ქურდის შემნახავი ქურდზე უარესიაო.

ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა ათასი.

* ქურდმა იპარა, იპარა და თავის მოსაკლავი ხმალი მოიპარაო. (სა-
მეგრ.)

ქურდმა სთქვა: სახლში ისე არ შევალო, რომ ერთი მუჭა ნაცარიც
არ ჩავიგდოვო.

ქურდმა ქურდს მოჰპარაო და ღმერთმა გაიციანაო.

* ქურდობა იციო? და ვიციო. დამალვაცო? დამალვა კი არაო.

ქურდს რა უნდოდა? და ღამე ბნელი.

ქურდს რომ კაცმა ყური ადევნოს, დღეში თხუთმეტჯერ გატყდება!

ქურდს სახლი ეწოდა და არ უჯერებდნენო.

* ქურდსა სხვაც ქურდი ეგონა და ბოზსა ბოზიო.

13

ლამის ქურდს დღისით დაიჭერენ.

ლაღანიძემ სამის დღის სიცოცხლისათვის სამი თვის ძალლი შესჭამა.

* ლარიბის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო.

ლარიბი კაცის პურის ჭამა მადლია.

ღვთისაც მემინიან, ღვთის რისხვისაც.

* ღვთის ხელი ხემწიფის გულზეაო.

ღვინით გაღახულს ჯობით გაღახული სჯობია.

ღვინის ქურდი თბლენედ დაიჭირესო.

ღვინო არსად არ იყო, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო.

* ღვინო უფროსსაო, წყალი უმცროსსაო.

ღვინომ თქვა ჭაჭანაურმა, უცეცხლოდ წამოვდულდები, კკვიანსა
კაცთან ბრძენი ვარ, გიჟ-კაცთან წამოვფერიხდები.

* ღირსეული სიკვდილი სჯობია უღირს სიცოცხლესაო.

ღმერთი არა ნახეს, ჭკუით იცნეს.

ღმერთი დიდათ გაისარჯა ჩვენის გამო სახლისათვის, ახლო-ახლო
დაგვაყენა ერთმანეთის ნახვისათვის.

* ღმერთი დიდაა, ლარიბო, გული ნუ შეგიწუხდება.

ღმერთი ვისაც მისცემს, ორის ხელით მისცემს; ვისაც წაართმევს,
კიდევ ორის ხელით წაართმევს.

ღმერთი მექუდეაო (ერთს მოხდის, მეორეს დახურავსო).

ღმერთი მთას დახედავს და თოვლს ისე დასდებს.

ღმერთი რომ კაცს გაუწყობა, პირველად ჭკუას გამოუღვესო.

ღმერთი უხვია, ლარიბო, გული ნუ შეგიღონდება.

* ღმერთო, ნუ მისცემ ვლახასა, უფრო არა სჭამს მარხვასაო.

ღმერთმა ქვეყანაზედ გადმოიხედა, და — ბევრი ჩემი უნებური
მკვდარი ძევსო.

ღმერთმა ქნას, ჩვენს ძროხას მგელი დაეჭიროსო.

ღმერთმა ქნას თქვენმა თხამ წყვილ-წყვილი შობოსო.

ღმერთს მთა და ბარი არ გაუხსნორებიაო.

* ღმერთს ჭკუას ასწავლიან, იმ ქვეყნიდან ხომ არა ხარო?

ღმერთსაც თავის პირით შეეხვეწებიან.

* ღოღოოს შეჭამანდს მეხი დაეცესო და იმასაც უმარილოსაო.

* ღორი გოჭითაო, თორემ პარსვით ვერას გახდებო.

* ღორი ნაპირში შეუშვი, შუაში შევაო. (რაქ.)

* ღორი რამდენიც უნდა ბანო, ისევ ლაფში ჩაწვებაო.

- * ღორი რომ გასუქდება, მგელს ქიდაობას დაუწყებსო.
ღორი ჭაჭაზედ მოკვდაო და ხმა გავარდაო.
- * ღორიანი და უღორა — ორივე ერთათ გამოვლენო. (იმაზეა ნათქვამი, რომ აღებაში და დღესასწაულზე ღორის დაკვლა იციან, და ღარიბს არ ეყოლება ღორი დასაკლავად).
ღორის თავი ხალიჩაზედა დადვიანო; იგორიან, იგორიან და ლაფში ჩავარდებისო.
ღორის ტილი რომ ფეხზედ დაისვა, თავზედაც გავა.
ღორმა თქვა: რაც გოჭები გავზარდე, წმინდა წყალი არ მისვამსო.
- * ღორს უთქვამს, ჯერ დამკალი და მერე დამაფასეო.
ღორს უთხრეს: ქეჩოში ქერი გიყრიათ. ღორმა თქვა, მე კი პირი არ მიმიწვდება და თუნდ იყოს, თუნდ არაო.
ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონათ.

ჟ

- * ყარყუმს რა ჰკლავსო, და — თავისი ენაო.
ებად-აღებული — წყალ-წაღებული.
ებედი ვინ გააჩუმაო? და მუნჯმაო.
- * ებედი რამ მოღალათ, და მუნჯმაო.
- * ყვავი აფრინაზედ იჯდაო, და ხელის აქნევას ელოდაო.
ყვავი ნეხვზედ იჯდა და ბოლოს არიდებდაო.
ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო: თავი დიდი გაქვსო, შენ იტირე და თავში იეციო.
ყვავს თვალი არა ჰქონდა, ღმერთს წამწამსა სთხოვდაო.
ყვავს რა აქვს, ბუს რა მისცესო?
- * ყვავს რა აქვს, ყორანს რა მისცესო?
ყვავს რა ჰქონდა, ბუს რა ვაჰქონდესო.
ყვავს რომ კაკალი გაავდებინო, ისიც კარგიაო.
- * ყვავმა თქვა: აჭაურობა ავაყროლეო, ახლა სხვაგან უნდა გადავსახლდეო. კაჭკაჭმა უთხრა: სადაც წახვალ, შენი მყრალი ბოლო იქ გაგყვებაო.
- * ყვავმა ყვავს უთხრა, იქით მიიწი შე სკინტილიანოვო.
ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს.
- * ყვავმა სიშურნით შაში მოკლა, — შენც შავი ხარო.
ყველა ბუზი ბზუისო, ფუთკართან კი ყველა ტყუისო.
ყველა დაბალ ღობეზე გადადისო.
ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსა.
- * ყველა რამე რასმე არგებსო და მუცელი მუცელს არას არგებსო.

ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლ-ქმრობა კი ზეცაშიო.
ყველა სესხი და ვალია.

ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება.

ყველა ღმერთს ეხვეწებოდა, წალდი კიკოსაო.

ყველა ციციანათელას მისდევსო.

* ყველამ სხვისა ჭამაო და ქურდმა თავისიო.

* ყველაფერი ადრეული სჯობია სიკვდილის მეტიო.

ყველი და პური — კარგი გულიო.

* ყველისა და პურის მკამელმა ღმერთს აღარ შეჰხედაო.

ყვითელი ოქრო შავის დღისთვისაო.

ყმაწვილი თუ არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემს.

ყმაწვილი ტირილით გაიზდება და გოჭი ჭყვივით.

ყმაწვილი ჯერ არ დაბადებულყო, აბრაამს არქმევდნენო.

ყმაწვილის ენა დედას ესმის.

* ყმაწვილის ნაწილვეი ღობეზე ეკიდაო და ფართხალობდაო.

ყმაწვილო, რათა სტირიო? გამბდის და ვტირიო.

ყმაწვილს გვამი პატარა აქვს და სული დიდიო. (მოუსვენრობაზედ.)

* ყმაწვილს კვერს ნუ დაჰპირდებიო და ღმერთს სანთელ-საკმელსაო.

* ყოველი წული მშობელთა, მგზავსი მგზავსს ემგზავსებიან.

* ყორანმა თქვა: აქ ვარ გონჯი და აქ ვდებ შავ კვერცხს, თვარა

წყალს გაღმა რომ გავალ, თეთრ კვერცხს დავდებო. (აჭარა)

* ყორანმა შაშვის ჯიბრით შროშანი მოკლა, — შენც შავი ხარ და ისიცაო.

ყური იმიტომ არ გაიზდება, რომ ბევრს რასმე გაიგონებს.

ყურმა თქვა: უცხო ანბავი რომ მესმის, იმიტომ არ ვიზდებიო.

ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენ.

ყურძნის ქურდი იანვარში დაიკვებებს.

უ

* შავ ღორს შავი კურატი არ დაელევაო.

შავ ღორს შავ ტრუხა არ დააკლდება.

* შავარდენის ახლო ქედანი ვერ იბოგინებსო.

შავი გული და თეთრი კბილიო.

შავი მიწის მეტი კაცის თვალს ვერა გააძლობს რა.

შავს ღორს თუნდა აღმა შეფხანე, თუნდა დაღმა ჩამოფხანე, მაინც ღორია.

- * შაშვმა თქვა: თორმეტნაირი გალობა ვიცოდით, ერთმა ალაღმა დამიტიანო და სულ დამავიწყდაო.
- * შეაქეს გოშია და შეაქამეს მგლებსაო.
- * შეაქეს გოშია და შეაქელეს ზედაო.
შეგნებულთან ჭირი (ომი) სჯობია შეუგნებულთან ლხინსა (ლაპარაკსაო).
- შეთვლით შვილი არ შეიქნებაო.
- * შენ ვინა გკითხავს, ბარი (ბალი) ათ შაურათ არისო.
შენ ლხინი (ხილი) სჭამე, მებაღე რაში გეკითხებაო.
- * შენდებოდეს — შეეწიე, იფსებოდეს — შეესიე. (რაჭა)
შენი თუ არა იხარჯებოდეს რა, ლხინს ნურაფერი გირჩევნია.
- * შენი კარები გააღე და სხვისაც ღია დაგხვდებაო.
- * შენი მუცელი შენ ქვევით არის, შენ ზეით ხომ არაო.
შენს სულგრძელებას ჩემი დღეგრძელობაც უნდა.
შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტიან გიხაროდესო.
შენც წახდი, მეც წამახდინე, ახლა ქრისტე აღსდგა, გვიხაროდესო.
შეუნდოს შენს მკვდარსაო, ჩაუდოს ჩემს ყბასაო.
- * შეუცდენელი კაცი სამარეს არ წავაო.
- * შეშინებულმა ძალმა სამ წელიწადს მთიარეს უყეფაო.
შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვევარ ლხინსაო.
შეჭამადს თვალი სჭამს.
შვიდს სადილზე შეესწრა, შვიდი ლუკმა აიღეო.
- * შვიდი ფეხი ყანა გქონდესო და შვიდ მაისის წვიმა მოხედესო,
იმედი გქონდესო.
- * შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.
შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგება.
- * შვილი მამას ძველ ამბავს ასწავლიდაო.
- * შვილი მშობელს ემსგავსება. (სამეგრ.)
შვილისშვილი ბაბუას (პაპას) ძველ დროს ასწავლიდაო.
შვილმა გული გაიორა, შვილისშვილმა გულის გული.
- * შვილს ვინც გიქებს — მტერია, ვინც გიძაგებს — შენია.
- * შიშვილმა ხმელა არ იცის და სიცივემ ძველაო.
- * შინაური — ელამიაო.
შინ გარიგებული საქმე გარეთ არ გამოგადგება.
შინ დაბარებული გარეთ კაცს არ გამოადგებაო.
შინაც დაფრჩი ქორწილსა, გარეთ სადილობასაო.
- * შინ კაცს ოქრო სათხრელი ჭქონდა და გარეთ მიდიოდა.

- შინ შვილები გიტყვიან, გარეთ ტაბლას რა უნდაო.
- * შინ შვილის სიკვდილს გარეთ შვილის შვილისა სჯობიაო.
- * შინაურს ხუცესს შენდობა არა აქვსო.
- * შიშველი ასთ ვერ გაცარცვესო.
შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.
- * შორებელ მოყვარეს ახლობელი მტერი გერჩიოს.
- * შორებელ ცხენოსანს ახლობელი ვიროსანი სჯობს.
შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მოდიო.
- * შუაკაცის გული ხავლათიაო.
შუალამემდის ეხვეწებოდა ქმარიო, შუალამეს იქით ცოლიო.
- * შუალამისას ბნელაში შავ ნახნავში მგელი შავ ბატკანს გაარჩევსო.
შუბი ხალთაში (გულაში) არ დაიმალება.

ჩ

- ჩათრევას ჩაყოლა სჯობს.
- * ჩაკლავის ბუდეს ღმერთი ააშენებსო.
ჩემი არ ვითხრა, გული რით დაგწვა?
ჩემი ავლადიდებო, კურდღელს აეკიდებო.
ჩემი ენა ჩემი მტერიაო.
- * ჩემი ურგები თუნდა ზღვაში ქვა გდებულაო და თუნდა ქვეყანაზე
კაცი ყოფილაო.
ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო, შეჭამადი ძაღლსაო.
ჩემი ურგები შვილი წყალსაო.
- * ჩემი შენ ვითხარი და გული მოგიკალიო.
- * ჩემო მამის-თვალა ქორქია, შენი და ჩემი საქმე ორი დღის ფობია.
(სამეგრ.)
- * ჩვენს ბატონს გაუვიდაო და ნამუსი წაუვიდაო.
ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.
- * ჩივილი თხოვნააო და თხოვნა ძალათ წართმევაო.
ჩიტი ბდღვანად არა ღირდა, დევნა მეტი იყო.
ჩიტი ნარს შეეხიზნა, წვიმა მომიფარეო.
ჩიტი ნარზე იჯდა და ხელის აქნევას ელოდაო.
- * ჩიტი სადაც გაიზღება, იმის ბაღდადი ის არისო.
ჩიტი სჭამდა გოგრასაო, ვაი ჩვენ ამ დროთ მოყრასაო.
ჩიტი ლობეს შეეხვეწა, ქარს ნუ გამატანო.
ჩიტი ფრთითაო — ქალი თმითაო (ქმრითაო).

- * ჩიტის სკინტლზე ზეაფი აიშლებათ.
- * ჩიჩიაცა და ბაბაც ორივე გინდათ.
- * ჩუქებას ჩუქება უნდათ.
- ჩქარს უგვიანდებოდათ.
- * ჩხირს ვერ გაამწვეტებსო.
- ჩხუბში ისეთს სიტყვას ნუ იტყვრ, რომ შერიგებაში შეგრცხვეს.

ც

- * ცა და ქეყანა იქცეოდა და მუდომ თვალეზი დაითხარათ.
- ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედა მიწა ქალამნათ.
- ცალ-ცალკე მოჩივარი ბატონს მართალი ეგონათ.
- ცალის ზელით ტაში ვერ დაიკვრისო.
- ცარიელმა თითმა ხარხა გამომხლიხა.
- ცარიელ კაცს საბაჟოზე უხაროდათ.
- ცარიელ ქოთანში თითს არ ჩაჰყოფსო.
- ცას არავინ შებერდება.
- * ცაცუნს კაკუნი მოაქვსო.
- ცდა ბედის მონახევრეა.
- ცეცხლი და გული სტუმარსა, წაეა, შინ მოაგონდება.
- ცეცხლი ვთქვი, და პირი არ დამწვა.
- ცეცხლი თივაში არ დაიმალება.
- ცვარი ცვარსა ჰქარ, ზღვათ იქცევათ.
- * ცვარი ცვარს მიემატება, ზღვა შაიქნებათ.
- * ციფკვერა ცემით მოკლეს, ძმა რატომ არა გყავსო.
- ცის ვალი დედა-მიწას არ შერჩება, დედა-მიწისა — ცასა.
- ციციანთ დავა გახადათ.
- ციცხვიც ვიცი, კოვზიცათ.
- ციხე შიგნიდან გატყდება.
- ციხეს კარი უნდა, კარს უკან კაცი.
- ცოდვა გამელავნებული სჯობიათ.
- * ცოდო ბორასათ.
- * ცოლი გაეშვათ და ცოლის მამის დავა ჰყვარობდათ.
- ცოლ-ქმარს ცულის პირზედ სძინებრათ (სიყვარულზედ).
- ცოლ-ქმრის ლაპარაკი რეგვენს გაყრა ეგონათ.
- ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელი.
- * ცოტა-ცოტაობით პატარძალი დაორსულდათ.

ცოტა მოთოხნე, ცოტა მოხოხნე.

* ცოტა მხენელი — მთესველი ღმერთს ემდუროდაო.

ცოტავ სად მიდიხარო? და ბევრთანაო.

* ცოტავ სად მიდიხარო? და ბევრის მოსატანათაო.

ცოცხალს არ მეცვა კაბანიო, მკედარსა ჩამაცვეს ფარჩანო.

* ცრუ მოლაპარაკეს მართალსაც აღარ დაუფერებენო.

ცუდა კაცი — მახათს იყრიდაო.

ცუდათ ჯდომას ცუდათ შრომა ჰჯობია.

ცუდი მოსამსახურე მტერზე უარესია. (სამეგრ.)

* ცუდი მეზობელი ამომავალი მზეა, ნახე — კარგი რა იქნება.

ცული პატარა არის, მაგრამ დიდს ხეს წამოაქცევს.

ცხარე ძმარი კურკელს გახეთქსო.

* ცხენდავარდნილს შინ მშვიდობის მეტი რა ეთქმისო.

* ცხენი გვარზედ მირბის.

ცხენიდან გადმოხდა, ვირზე შეეჯდაო.

ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს ვირიდან გადმოვარდნასაო.

ცხენიც კი უმათრახოთ არ წაფაო.

* ცხენს ვერას უშვრებოდნენ და უნაგირს სცემდნენო.

* ცხენს ვერ შესწვდნენ, უნაგირს მტერევა დაუწყესო.

ცხენს ვერა დააკლიან რა, უნაგირს გარდაახდევინიან.

* ცხენსა და დედაკაცს კაცი არ უნდა ენდოსო.

* ცხენს უთქვამს, როცა ჭიანჭველა დაიმალემა ბალახში, მაშინ ბალახს რაღა ჭემო აქვსო.

* ცხვარი ვის კარებზედაც დაიბლაგლებს, იმის არისო.

ცხვარი ცხვარია, გაცხარდება — ცხარია.

ცხვარს ცხვრის ფეხით დაჰკრდებენ, თხას თხის ფეხით.

ცხვარში მგელი დაერია, ვაი ერთის პატრონსაო.

ცხვრის მოიწმენდენ და არ მოიგლეჯენ.

ცხვრის დუმას არა სჭამს, უკანიდამ რათ აბოაო.

ცხრა ძმათ ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონათ, გაიყვეს და

ცალ-ცალი უღელი შეხვდათ. შერმე თქვეს, სულ არარაობასაო

ისევ ცალი უღელი ხარი სჯობიაო.

d

ძალა აღმართსა ხნავსო.

ძალათ წართმევა გამიგონია, და ძალათ მიცემა კი არაო.

ძალი შინ შევიდაო და საშართალი ბანიდამ გავიდაო.

* ძალლი დაიმასხოვრებს, ვინც აჭმევს. (სამეგრ.)

* ძალლი კოჭლობით არ მოკვდებაო.

ძალლი ქალაქს მიდისო, და რა მიაქვს, რა მომიტანოსო?

* ძალლი ქალაქს მიდიოდა, და რა მიჰქონდა რა მოჰქონდაო?

ძალლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდა.

ძალლი ძალლის ძვალს არ გასტეხს.

* ძალლი ძვალსა ხრავდა, არც არა ეხროდა, არც თავს ანებებდაო.

ძალლი კობოსანს ლოკავდა, ენაში სისხლი ვასდიოდა, ასე ეგონა,

კობოსანს გამოსდისო.

ძალლი ჰყევს და ქარავანი გადის.

ძალლი ხსენებაზედაო.

ძალლი სამჭედლოდამ რას გაიტანს?

ძალლის კული შვიდი წელიწადი კალაპოტში იდვა, გამოიღეს, ისევ გამრულდა.

ძალლისა ბატკანი ვის უნახავს.

* ძალლისა ძალლი გამოვა, ბატკანი ვის გაუგიაო.

* ძალლს ძალლის ნაკბენი არ ეტკინებაო.

* ძალლს უთხრეს, რათ იყეფებიო, და მტრებს ვაშინებო; კუდს რა-
ლათ იქნევო, და მეც მეშინიანო.

ძალლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენ.

* ძეგველი კაცი ნემსს ატყავებდა, მცხეთელმა ნახაო და უთხრა: ოჰ,
რამოდენა ლეში ვაგიყოლებიაო!

ძერას შვილი მოუკვდა, ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს, იტირე
და თავში იეცო.

ძერას თვალი არა ჰქონდა, ღმერთს წარბსა სთხოვდაო.

* ძეძვზე ძეძვი ამოვიაო.

ძველი ბზე ვერცხლიაო და თივა ცეცხლიაო.

ძვირად სყიდვა სჯობს კარგისა, ზედგამოღება სართისა.

ძილმა სასთუნალი არ იცის და შიმშილმა სასუკვარი.

ძილს ძილი მოსდევსო.

ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეგიძლიანო.

ძმა ძმისთვინაო, შავ-დღისთვინაო.

ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო.

ძმამ ძმას უთხრა: შენ ნახირში წაბძანდიო, მე ქორწილში წავეთ-
რევიო.

ძმამ ძმის ხორცი ლოღნა და გვამმა არ ჩაუშეაო.

ძნა იწოდა, ულო იცინოდა.

ძროხა ნახე და დონი ისე სთხოვეო.

ძროხა კლდეში გადავარდა, ვირმა ყვირილი შექნა; ჰკითხეს: რა
გაყვირებსო, და მე ამამატაინებენო.

ძროხამ თქვა, დასაბამი მიშოვნეო, დასაწოლს მე ვიშოვნეო.

* ძროხამ იწველა, იწველა და ბოლოს წიხლი ჰკრა და დააქცია.

ძროხამ რომ აღრე იბღავლოს, გვიან გამოიწველებაო.

* ძროხას სცემდენო, ხბოს ავიწყებინებდენო.

ძუქნა ძალღმა სინარბით ბრმა ლეკვებს დაუწყო ყრაო.

▼

წავიდა დღე და არა ფათერაკი.

წავიდა ძვირისა, და არა იაფისაო.

წაიქცა ჯირკი, მოეხვია ჰინკველა.

წამწყმინდა მიხედულობამაო.

* წამხედურამ წაიხედა, წინა ფეხი წაიტეჭკვა.

წასვლა სჯობს წამავალისა, არ დახმანება ხანისა.

წახდა, წავიდა ჩოჩეთი, ჩვენ რა ვქნათ უჩოჩეთოთაო.

წახდა მამულის პატრონი, და არა შვილის პატრონიო.

* წაჯე-უკუჯე ცეცხლს დაგინთებო, თუ შენს ძმას გაეყრებო. (ცოლს
უთქვამს ქმრისთვის).

* წველას ვთხოვდი და დოს მოარბეინებდაო.

* წვიმა მოვა, და ქვეყანას ვერ გარდაწვდებაო.

* წიღნას რა დიდი რამ უნდაო; გათხარე და ამოყარეო, მინიჩბე და
მიყარეო.

* წითელი ოქრო შავის დღისთვინაო.

წინა კაცი უკანა კაცის ხიღია.

* წინა მოჩივარი ბატონს მართალი ეგონაო.

* წინასწარმეტყველი თავის ქვეყანაში არ შეწყნარებულაო.

წისქვილი ჯერით არისო.

წისქვილის ქვები თუ ერთმანეთს არ ეხმარებოდეს, ცალმა რაც უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავს.

- * წისქვილის კეთებაში ვისაც მოშივა, ცხონდებაო.
- * წისქვილს წყალიო და გუთანს ხაროო.
- * წისქვილში ვისაც მოშივა, წაწყდებაო, და კალოზე ვისაც მოშივა, ცხონდებაო.

წლის საფიქრებელი და წამის გასაკეთებელიო.

წმინდის გიორგის ცხვრისათვის მგელს თვალეზი უდგებოდაო წყალ-გაღმა წაედავე, რომ წყალ-გამოღმა შენ დაგრჩეს.

- * წყალი არ ენახათ და ნიფხავს იხდიდნენო.
- * წყალი თავის ნაწყლევს არ დააგდებსო.
- წყალი ნაყე, ნაყე და ისევე წყალი დადგება.
- წყალი ნაწყლევში ჩავარდებაო.
- წყალი რომ შენ არ მოგყვეს, შენ წყალს მიჰყევიო.
- წყალი რომ დაგუბდება, აყროლდება.
- * წყალი სათავით მონახე, სადაც რომ მილი მილობდესო.
- წყალი წყაროსთან სჯობია სათორნესთან გადატანილსაო.
- წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, დაიზრდებიანობლები, მამუღნი დარჩებიანო.
- * წყალს უთქვამს, ხამს ვეძებო.
- * წყალს წყლობა ეთქმოდა, იმასაც მოტანა უნდოდაო.
- წყალში თევზი არ დაფასდება.
- * წყალში მოსიარულეს ცალი ფეხი სამარეში უდგასო.
- წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.
- წყილს დააწვენს და აქლემს აშობინებს.
- წყილს ნაშტარი ჰკრესო და ლხინათაც ეყოვო და ჭირათაცაო.

3

ჭამა ქონებაზედ ჰკიდია.

- * ჭამა ძლომამდენაო.
- ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო.
- * ჭია გველს წაეზმანა, გაიწია და გაწყდაო.
- * ჭიან კაკალს ჭიანი მუშტარი ეყოლებაო (გაუჩნდებაო).
- ჭიასაც რომ ფეხს დაადგმენ, ისიც ხმას ამოიღებს.
- * ჭიყელამ იწია-იწია და ზედ შუაზე გაწყდაო.
- * ჭირვეულისათვის ჭირი არა მშურსო.

ჭირვეულობა რიგით არისო.
 ჭირი მომგონებელსა.
 ჭირი ჭირს გაართობსო.
 ჭირი მართალსაო.
 ჭირო, მეზობლისას წადი, მე კი მომშორდიო.
 ჭირიც აღარ მიუბრუნდება მეორეთ.
 ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსაო.
 ჭკვიანი თუ არ შესცდა, რეგვენი კლდეს უნდა გადავარდესო.
 ჭკვიანი რომ შესცდება, ბრიყვის უარესიაო.
 ჭკვიანი ჩიტი ორისავე ფეხით გაებაო.
 ჭკუას რო ურიგებდნენ, არ დასწრებიაო.
 ჭკუა მოგონებაზედ ჰკიდია.
 ჭორი თუ არ არისო, შორი კი არ არისო.
 ჭორი თქვი და მეჭორე ხელში დაიჭირე.
 ჭურს არა ჰკითხავდნენ, და ასისა ვარო.

ბ

- * ხათრი, ხათრიო და — ჩემ ქმარს აღარა ერგო რაო.
ხანდაზმულს კაცს სიზმარიც დაეჯერება.
- * ხარდაუკლავი ხარს ვერ დაჰკლავსო.
ხარბის თვალს შავის მიწის მეტი ვერა გააძლობს რა.
- * ხარი დანასთან მიათრიესო.
ხარი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკარ და ნუ გებრალვისაო.
- * ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის და ან ზნესაო.
- * ხარის ფალავანი კამეჩის ფალავანსა სჯობიაო.
- * ხარი ქირაზედ მოკვდება, კოკა წყალზედ გატყდება.
ხარმა ხარს ურქინა და საძოვარს გაავდოო.
ხარს მამობით მოსჭამენ, ფურს დედობით.
- * ხატი მწყალობელი მყვანდესო, თორემ დეკანოზმა რაც უნდა მიჰ-
ქაროსო.
ხატი თუ ჩემი მოქედილია, მე ვიცი იმისი სიცხოველო.
- * ხატო შემეწიე, შორეული ვარო; რა შეგეწიო, ცარიელი ხარო.
ხატს სანთელს ნუ დაჰპირდება და ყმაწვილს კვერსა; თუ დაჰპირ-
დე, ნულარც უმტყუნებ.
- ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგებაო.
- * ხე ძირით ცხოვრობს და კაცი მუცლით.

ხელი ხელსა, გოჭი მგელსა.

ხელით ტარებას, მუცლით ტარება სჯობია (ითქმის საგძლისათვის)

ხელმა ხელი დაბანა, ორმა პირი.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

* ხვამლი (ხატი) ვისაც სწყალობს, ღომი მას მოუვაო. (სამეგრ.)

ხენაში პირობა სჯობია მკაში პირობას.

ხიზილალა ზამბილისა ცოტა ჭამე ძამიაო, თვარა მუცელს შემოგბერავს, ჩემი არა ბრალიაო.

ხილი მეხილესაო.

ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს შესჭამსო.

ხმა ღვთისა — ხმა ერისაო.

* ხრინვი ხუცესოვო, და ერისკაცმაც იცისო.

ხსენთან ნაჭამი — სულთან ამოსულიო.

* ხუთი წლის ტახს რაღა წინ თხრა უნდაო.

ხუთს თითში არც ორი არის ერთმანერთის ტოლი.

ხუმრობა თავს ვერ დაიჭერს.

* ხუცესს მაძლარს დიაკონიც მაძლარი ეგონაო.

ჯ

* ჯავახეთის ღორი გახდაო (არისო).

* ჯალაბიმც დაგითავსწორდებაო (მთიელის დიდი წყევლაა).

* ჯალაბსა მუშა ვეგონე, გამოვიარე კარიო.

* ჯალაბში ყოფნა დიდი ბატონობააო.

* ჯამში თუ არას ჩაჭყრის, ვერც არას ამოიღებს.

* ჯაო არც ცასაო და არც ქვეყანასაო.

* ჯერ არ დაბადებულყო, აღიას არქმევდნენო.

ჯერ არ მინდოდა შობა და მერმე სიკვდილი.

* ჯერ არ შეექმნა, — სახელს არქმევდნენო.

ჯერ თავო და თავო, მერმე ცოლო და შვილო.

* ჯერ სულ არ იყო ძმარო, ზედ დაასხიან წყალიო.

* ჯერ შობაო და მერე აღდგომაო.

ჯერ ძილო, მერმე სიზმარო.

ჯიანჭველს რომ ფრთები გამოუა, ღმერთი მაშინ გაუწყრება.

* ჯინჭველს ღმერთი გაუწყრება, ფრთები მხრებში ამოუვა, ზეცას ასვლა მოუნდება, სული გზაში ამოუვა.

- * ჯორივით მთვარესა და მთვარეზე ახლდებო.
- * ჯორჯობა ძაღლმა რომ კურდღელი გამოაბრუნოს, დაჭერათ ჩაუ-
არდება.
- ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა შეიტყობსო.
ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, და ისიც მიუმატესო.

ჰ

ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა.

(სიტყვის მასალა)

ასეთი ენა აქვს, რომ ორსულ დედაკაცს მუცელს წაუხდენს.
ასეთი წვერი ჰქონდა ხანჯალს, რომ ბუზი აეგებოდა.
თვალში ეკლად მიაჩნია.
იმის საცოდაობით ქვა (ქვეყანა) იწოდა.
ის არის და გორის ციხე. (კარგათ გაკეთებულ საქმეზე).
პირ-შეუღებლათ წვიმს.
ყველას თავზე კაკალს ამტვრევს.
ცას ბეწვით-ლა ჰკიდიაო.
ციბრუტივით ტრიალებდაო.

მწიკთა მწიკთა

ახალციხის ციხის ძირსა
ჩემი ცოლის ძღვენი ვჭამე. 1605

კურტანი დაგვიკურტნამს,
კურტხული დაგვიკურტნია. 1606

ჩემი ბალის წვანილი: პრასა, ბოლოკი, პიტნა, ტარხუნა თუ კი მე
მეპრას-მებოლოკ-მეპიტნა-ტარხუნება, რატომ შენ არ გეპრას-
გებოლოკ-გეპიტნა-ტარხუნება? 1607

სარტყელი მივირტყი, მოვირტყი,
მორტყმული დავიარები. 1608

ტყეში ყახახი შევიდა; ტყე გაყაზახებულაო. 1609

ბერიკას ხარები შეუბამს, შეუსაბელ-სახნის-სახენელ-ულელ-ტა-
ბიკ-აპაურებია, როგორც შეუსაბელ-სახნის-სახენელ-ულელ-ტა-
ბიკ-აპაურებია, ისთე ამოუსაბელ-სახნის-სახენელ-ულელ-ტაბიკ-
აპაურებია. 1610

მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე, მწყერის კუჭის ქონის ქადაც
მიჭამა. 1611

აღი ხე, მაღი ხე, სილიხე, სიკინჭილიხე,
ხე-ვასური, ვარვალახე, მარიამხე, კვაწარახე. 1612

სამი სასაწნახლე ხე. 1613

ჩიტო ცხრა-ფრთა ღელეს ჩაბტა, ამოიხედა და თქვა: ვაი რა
ლურჯი ცა ჩამს! 1614

ბლიკსა კაცსა ბლისკინასა,
 ბლის კალათით ბლის ხიდზედა
 ბალი ვაქონდ-გამოქონდა,
 ვერც გაყიდა, ვერც შექიმა,
 ისევ ვაქონდ-გამოქონდა. 1615

სამი მუჭი შინდარწკლი[†]
 შევიტანე შინდარწკლში. 1616

ესე ლორი რა ლორია,
 ლორზე გადანამორია. 1617

თოქალთო დავათოქალთე,
 დათოქალთოებულია. 1618

თეთრი თხა ჭავათხათეთრე. 1619

საყდარშია თეთრი ტრედი,
 ფრთა-თეთრი და ფრთა ფარფატი. 1620

დაფაციცებულნი ფრინველნი
 უფრო დაფაციფუცდებიან. 1621

განმარტნა

1. ალიყურის ბეგრ ვარო, განა ისპანსა ვარო,
გული მიყრია სპილოსი, კაცმა არ იცის რა ვარო,
ასე მგონია, ჩემითა ზეცას უკიბოთ ავალო. 1622
2. ერთი რამე ვნახე, ეშმაკისა მახე,
წვრილი ჩიტი გაბმულიყო, ისიც თვალით ვნახე. 1623
3. ზეციდგანა გადმოუშვი აშილარა და მახეა,
წვრილსა ჩიტსა ვიჭირავდი, ჩემი თვალით ვნახეა. 1624
4. ერთი რამე მშვენიერი ტურფად აქნევს ყელსა,
იმისი ნამუშავარი მთლათ აშვენებს თემსა. 1625
5. ერთი პატარა მანანა სუფთად იღებს ყელსა,
სასიკედილო სახლს აშენებს, უკუდგება ბნელსა. 1626
6. ერთი რამე სულიერი, სახლს იკეთებს სადგომარსა,
თავისთვინა საკვდომარსა. 1627
7. ერთი რამე სულიერი სალამაზოთ აღერს ყელსა,
სახლს იკეთებს, უკუდგება ღამე-ბნელსა. 1628
8. ერთი რამა სულიერი მალლა ზის და იხრის ყელსა,
სამხიარულოდ სახლს იგებს, თითონ დგება უკუბნელსა. 1629
9. ვა, რა სახლი ავაშენე, ვა, რა ჭინაყარიო,
შით შევედი, დავიძახე: ვერ გამიღე კარიო! 1630
10. ვზივარ კლდესა, ვაქნევ ხელსა,
მოდო მაძიჩემის მზესა! 1631
11. ერთსა რასმე მოგახსენებ, ამისთანა შენი ხელი,
იყო კაცი უშობელი, არ ეწოვნა დედის ხსენი,
მას თან ახლდა დედაკაცი, იმის გვერდით მონახლები:
სკამდა რასმეს გემო-მწარეს, — ეშმაკისა მონაგები. 1632

1 — 3) აბლაბუდა.

4 — 5) აბრეშუმის ჭია.

10) აბრეშუმის ძაფად ამოხვევა სამუხელათი.

11) ადამ და ევა.

12. სალარო ვნახე შეკრული ბადახჩისა და ლალისა,
მეფემან ყულუხჩს უბძანა, — გარდმოიტანე ძალითა,
უსასყიდლო და ძვირფასი, გარდმოქედელი ძალითა,
სუფრას აშვენებს, ამდიდრებს, ვიწვი მისისა ალითა. 1633
13. ხია, ხია, ხია ბალი, ზედ ასხია მწარე ბალი,
არც ისმევა, არც იქმევა, არცა ზედა გაისვლება. 1634
14. ხე, ხე, ხერავანდი, ზედ ასხია ზერავანდი,
არც იქმევა, არც ისმევა, არცა კაცი გაისვლება. 1635
15. მინდვრიდგანა მოდიოდა დიდი უსურბელა,
თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა,
დაიჩოქებს, კაცს შეისვამს, ზურგი კოკოშელა. 1636
16. კაცი მივიდა კაცისას, კაცთა შინა,
სახლი გავიდა სარკმელში, კაცი ქე დარჩა მპარავად. 1637
17. ერთი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი,
იმას საკმელი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი. 1638
18. დილით ოთხით დადის, შეადლისას ორითა
და სალამოზედ სამითა. 1639
19. ერთსა რასმე ბუნებას ერთი მძიმე განძი ძევსა,
მუდამ მატობს, არ აკლდება, არც სახელი, შიგან ძევსა,
არვის ძალუდს გამოლება, თვით აღარჩევს მოსვლის
დღესა. 1640
20. დიასამიძის ქალი ვარ, მაღალი ვაჭრის ცოლი ვარ,
ყარყუმის ტყავი მასხია, ზედ ოქროს ღილი მამბია. 1641
21. გაღმა თოვლი, გამოღმა კობი. 1642

13) აზარფეშა და ღვინო.

13 — 14) ანწლი.

15) აქლემი.

16) ბადე, წყალი და თევზი.

17) ბავშვი, ახალდაბადებული, და ძუძუს მოწოვება.

18) ბავშვი: ჯერ ფორთხავს, შემდეგ ფეხს აიდგამს, სიბერეში ჯოხს დაიბჯენს.

19) ბავშვის დაბადება.

20) ბალი.

21) ბამბა.

22. თეთრი ვარ, თეთრი, მინდორზე თეთრად გადმოვეფინები,
ღრო მოპივა იმისთანა, ცხენზე გადმოვეკიდები. 1643
23. ერთი რამე საქონელი, მდიდრისაგან მოღებული,
ხან გახსნილი, ხან შეკრული, ხან მგზავრი და ხან
ღებული. 1644
24. სახლი დავდგი უსაძირკვლო, ხან გახსნილი, ხან შეკრული,
ხან მგზავრი და ხან ღებული. 1645
25. სახლი მწვანე, უსაძირკვლო, სახალხოთა წოდებული,
წითლად, ყვითლად მორთულია, მდიდარს ვისმე გვერთ-
ხლებული;
ხან შეკრული, ხან გახსნილი, ხან მგზავრი და ხან ღებული,
რჯულიანი ურჯულოსგან, არასვისგან დაკლებული. 1646
26. ერთს უსულოს ერნი შლიან, ჭკუა-გონი აერევა,
იგი ყვავის მრავალფერად, ყვავილშიგან გაერევა,
არ აკლია ხმალი, ჩანგი, საზან-ჩანგში გაერევა,
ერთმანერთსა თავში ჩაჰკრენ, რომელიცა მოერევა. 1647
27. ერუმ-მარუმელა, ფეხი ბანდრუმელა,
მინდორ-მინდორ დაყიალობს, თავი კვანტუმელა. 1648
28. თავს მოვჭრი, გულს ამოვიღებ,
სასმელს მივცემ და ილაპარაკებს. 1649
29. ერთი რამე სულიერი უფერისა უფერია,
ზურგი მიუგავს მაისსა, თებერვალსა მუცელია. 1650
30. ევი ევისა, ფეხი მეშისა,
ხმა ზურაბისა, ხტომა ვერძისა. 1651
31. ევი ევისა, ხორასტანისა,
ხტომა ღვეისა, ხმა ზურაბისა. 1652
32. ფეხი ღვედისა, ხმა ზურაბისა, გახტომა ლომისა. 1653

22 — 25) ბამბის კარავი.

26) ბანქო (სათამაშო ქალაღდი)

27) ბატი.

28) ბატის ფრთის გამოჭრა კალმად.

29 — 32) ბაყავი.

12. სალარო ვნახე შეკრული ბადახჩისა და ლალისა,
მეფემან ყულუხჩს უბძანა, — გარდმოიტანე ძალითა,
უსასყიდლო და ძვირფასი, გარდმოჰქედილი ძალითა,
სუფრას აშვენებს, ამდიდრებს, ვიწვი მისისა ალითა. 1633
13. ხია, ხია, ხია ბალი, ზედ ასხია მწარე ბალი,
არც ისმევა, არც იჰმევა, არცა ზედა გაისვლება. 1634
14. ხე, ხე, ხერავანდი, ზედ ასხია ზერავანდი,
არც იჰმევა, არც ისმევა, არცა კაცი გაისვლება. 1635
15. მინდვრიდგანა მოდიოდა დიდი უსურბელა,
თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა,
დაიჩოქებს, კაცს შეისვამს, ზურგი კოკოშელა. 1636
16. კაცი მივიდა კაცისას, კაცთა შინა,
სახლი გავიდა სარკმელში, კაცი ქე დარჩა მპარავად. 1637
17. ერთი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი,
იმას საჰმელი შივართვი, სუფრაზე დაუდებელი. 1638
18. დილით ოთხით დადის, შუადღისას ორითა
და საღამოზედ სამითა. 1639
19. ერთსა რასმე ბუნებას ერთი მძიმე განძი ძევსა,
მუდამ მატობს, არ აკლდება, არც სახელი, შიგან ძევსა,
არვის ძალუდს გამოლება, თვით აღარჩევს მოსვლის
დღესა. 1640
20. დიასამიძის ქალი ვარ, მაღალი ვაჭრის ცოლი ვარ,
ყარყუმის ტყავი მასხია, ზედ ოქროს დილი მამია. 1641
21. გაღმა თოვლი, გამოღმა კოხი. 1642

12) ახარფეშა და დვინო.

13 — 14) ანწლი.

15) აქლემი.

16) ბადე, წყალი და თევზი.

17) ბავშვი, ახალდაბადებული, და ძუძუს მოწოვება.

18) ბავშვი: ჯერ ფორთხავს, შემდეგ ფეხს აიდგამს, სიბერეში ჯოხს დაიბჯენს.

19) ბავშვის დაბადება.

20) ბალი.

21) ბამბა.

22. თეთრი ვარ, თეთრი, მინდორზე თეთრად გადმოვეფინები,
დრო მომივა იმისთანა, ცხენზე გადმოვეკიდები. 1643
23. ერთი რამე საქონელი, მდიდრისაგან მოღებული,
ხან გახსნილი, ხან შეკრული, ხან მგზავრი და ხან
დებული. 1644
24. სახლი დავდგი უსაძირკვლო, ხან გახსნილი, ხან შეკრული,
ხან მგზავრი და ხან დებული. 1645
25. სახლი მწვანე, უსაძირკვლო, სახალხოთა წოდებული,
წითლად, ყვითლად მორთულია, მდიდარს ვისმე გვერთ-
ხლებული,
ხან შეკრული, ხან გახსნილი, ხან მგზავრი და ხან დებული,
რჯულიანი ურჯულოსგან, არასვისგან დაკლებული. 1646
26. ერთს უსულოს ერნი შლიან, ჭკუა-გონი აერევა,
იგი ყვავის მრავალფერად, ყვავილშიგან გაერევა,
არ აკლია ხმალი, ჩანგი, საზან-ჩანგში გაერევა,
ერთმანერთსა თავში ჩაჰკრენ, რომელიცა მოერევა. 1647
27. ერუმ-მარუმელა, ფეხი ბანდრუმელა,
მინდორ-მინდორ დაყიალობს, თავი კვანტუმელა. 1648
28. თავს მოვჭრი, გულს ამოვიღებ,
სასმელს მივცემ და ილაპარაკებს. 1649
29. ერთი რამე სულიერი უფერისა უფერია,
ზურგი მიუგავს მაისსა, თებერვალსა მუცელია. 1650
30. ევი ევისა, ფეხი მეშისა,
ხმა ზურაბისა, ხტომა ვერძისა. 1651
31. ევი ევისა, ხორასტანისა,
ხტომა დევისა, ხმა ზურაბისა. 1652
32. ფეხი ღვედისა, ხმა ზურაბისა, გახტომა ლომისა. 1653

22 — 25) ბამბის კარავი.

26) ბანქო (სათამაშო ქალაღი).

27) ბატი.

28) ბატის ფრთის გამოჭრა კალმად.

29 — 32) ბაყაყი.

33. ყორყი ყარყალობენ. რასა ყარყალობენ?
— ხარსა ქელი არ წაუხდეს, მუშას ხელი არ მოუცდეს! 1654
34. შვინდი, შვინდი შაბეჭდილი,
ვერც შენ გახსნი, ვერც მე გავხსნი,
ვერც გიორგი ნეფის შვილი. 1655
35. ბონდო წვერი, ბონდო წვერი,
თითი ვკარი, შიგ გავძვერი. 1656
36. შავია, შაშვი არ არის, თეთრია, ყველი არ არის,
კუდი აქვს, თავი არ არის. 1657
37. ჩავაგდე ოსპის ოდენა, ამოჯდა ქვეყნის ოდენა. 1658
38. ორბი ორბის ოდენი, თავი კოჭბის ოდენი,
გამოვარდა და იძახის: მე ვარ მეფის ოდენი! 1659
39. სისხლი აქვს, სული არა აქვს. 1660
40. გარეთ ატლასი, შიგნით ათასი. 1661
41. შიგნით გული გულია, გარეშემო ატლასი,
რაც მას ჯარი ახვევია — შუბოსანი ათასი. 1662
42. სალარო ვნახე შემკული ბადახჩითა და ლალითა,
დავხედე და მამეწონა მისი დანახვა თვალითა,
სუფრას აშვენებს, ამდიდრებს მე ვიწვი იმის ალითა. 1663
43. ერთსა პატარა მინდორსა ხენი დგა რამე ლამაზი,
ყირმიზით შემოსილია, ტანთა აცვია ანაზი,
სირმას ართამდა, ტიროდა, წყნარი, მშვიდი და ლამაზი. 1664
44. ცას ხელი ვკიდე, ვერ ვკიდე, ვარსკვლავსა ვემუდარები,
თასი მიბოძეთ, დავყარო იაგუნდი და ლალები. 1665
45. ბახჩას შავედი, ყვავილი სხვა ყვავილზედა ხანობდა,
გარს ევლო ზღუდე მაგარი, ზოგი წითელი, ზოგი მწვანოდა,
შიგ მარგალიტი წყობილი, ძოწითა გაილალოდა,
ვინც ხელსა ჰყოფდა, მოსწყვეტდა, არვისგან
დაინანოდა. 1666

³⁸⁾ ბაყაყის ყიყინი.

³⁴ — ³⁵⁾ ბეჭედი.

³⁶ — ³⁸⁾ ბოლოჯი.

³⁹ — ⁴⁵⁾ ბროწეული (№ 41 შეად. ქვემოთ № 553-ს: წაბლი).

46. არი ერთი ფრინველი, შეხედავ — ფრინველია, დაჯდება — კატა არი. 1667
47. კერზე თავდაღმა დადიან, გარდმოგარდნისა არ ეშინიათ. 1668
48. შავი არის და შაშვი არ არის, სუნი ძვის და ძალი არ არის. 1669
49. გავიხედე მინდორში, სიო-ქარი ქრისო, ყველა იმას ურტყამს, სისხლი არა სდისო. 1670
50. ერთსა მინდორში ერთი ჩიტი რბის, ყველა იმას სცემს და სისხლი არა სდის. 1671
51. მინდორში გამოვიდა უთავო და უკუდო, გევიდე, გევიდე, თვარა რავა ვუყურო? 1672
52. ზევიდან მოწიწინებს უყურო, უფეხო, უხელო, გევიქცე, რავა ვეტაკო, ან ასე რავა ვუყურო? 1673
53. ერთი კურო გამოვიდა, ურქო, უყურო, მიყურე, როგორ მიყურე, აბა როგორ ვეძგერო. 1674
54. შავი არის შაშვივითა, გალაჯულა კაცივითა. 1675
55. შავია შაშვივითა, გალაჯულა დათვივითა. 1676
56. რა უფრო მშვენიერია, რა უფრო ღონიერია, რა უფრო მალია? 1677
57. თავი არა აქვს, ყური არა აქვს, მოუბრუნდები — კუდი არა აქვს, რასაც აჰკიდებენ, წაიღებს, სათქმელი ენა არა აქვს. 1678
58. ანაკეცი, შანაკეცი, ქალი მოდის თმა-ნაკეცი, არცა უნდა პირსა წყალი, არცა თავსა სავარცხელი. 1679
59. ვთოკე, ვთოკე, ვერ ავთოკე. 1680
60. ეს ჩემი თოკი ვთოკე, ვთოკე, ვერ ავთოკე. 1681

46) ბუ.

47 — 48) ბუზი.

49 — 53) ბურთი.

54 — 55) ბუხარი.

56) გაზაფხული, შემოდგომა, თვალის მხედველობა.

57) გემი.

58) გველი (შეად. ქვემოთ № 309-ს: პრასა).

61. ერთი საბელი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე. 1682
62. ეს ჩემი ბაწარი ვთოკე, ვთოკე, ვერ ავთოკე. 1683
63. ერთი სარტყელი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე. 1684
64. ერთი სუფრა მაქვს. ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე. 1685
65. ერთს პატარა მინდორზედ სულ სთოვს. 1686
66. თოვს, თოვს, ხოშკაკლავს, ხვალ ბატონი ხბოს დაკლავს, მოხარშავს და არ იჭმევა, მობრუნდება—სხვას დაკლავს. 1687
67. ჩავდევი ფრჩხილის სისხო, ამოვიღე კოკის სისხო. 1688
68. ედემისა, ბედემისა, უკუნისა, უჩუნისა, ედემ შაჯდა, ბედემ შაჯდა, ბაღრი უკან შამოუჯდა. 1689
69. აკიბული კიბეები, ხოროსნები, ციხეები, შიგ აბიან ხოროსნები, დასძახიან ფელუნები
[ფალავნები?] 1690
70. არწივი წივის, მუხრანი კივის, ლომი ეწევა, ფუტურო სკდება, აღმული ასდის. 1691
71. ორბი მოჯდა ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი. 1692
72. როდის არიან სულ ორნი დღენი? 1693
73. ერთი დედა ზდის შვილებსა, უფრო წვრილსა და დიდებსა, დაჯდება, თითონვე შეშკამს, მალე გაილესს კბილებსა. 1694
74. შვიდი ფიცარი, შვიდათ შეკრული, ვერც მეფე გახსნის, ვერც იმის ჯარი. 1695
75. მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგლო შავი მოზვერი. 1696

59 — 64) გზა.

65) გობი, რომელზედაც ფქვილსა სცრიან.

66 — 67) გოგრა.

68 — 71) გუთანი.

72) დაბადების დღე და სიკვდილის დღე.

73) დედამიწა, ადამიანი, ადამიანთ გამრავლება და სიკვდილი.

74) დიდი მარხვა.

75) დღე და ღამე.

76. პატარა და — უი, უი, უი! 1697
77. ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე. 1698
78. ერთსა ლამაზსა კუბოსა ზის რამე, მუსაიფობსა,
ძირიდგან არის წითელი, არ არის შეღობილოსა,
ავი და კაი მისგან მოუდის ყოველ სულს დაბადებულსა,
ბოლოს კიდევაც გამოხსნის მისაგან დამარცხებულსა. 1699
79. ქვესკნელ მავალი წითელი, ორი ფეხები განზედა,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, აღე გაბძანდი კარზედა. 1700
80. სახლი მიდგია ხურო კაჭკაჭის ნაგები,
ვკივი, ვჟივი და კარი არა მაქვს საღები. 1701
81. ავხადე ფირფიტელასა, ჩავხედე გულყვითელასა. 1702
82. დედა მყვანდა ადი-მრუდი, დაორსულდა მთვარე-მზეზედ,
ძმა მეყოლა ფალეევანდი, ადამის დამმარცხებელი. 1703
83. ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, მაგრამ კარგო ხეო,
მეფეთა და ხემწიფეთა მასპინძელო, კარგო ხეო,
ამ სოფლისა სალხინოო, საუკუნოს სამოთხეო,
მასპინძელო მხიარულო, გავიხარე, რო გნახეო. 1704
84. ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, მაგრამ როგორ ხეო,
სააქაოს ცხოვრება ხარ, საიჭიოს სამოთხეო. 1705
85. ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, როგორ სწორე ხარო,
ამხანაგსა შამაძულებ, საყელოსა დამახეო. 1706
86. ყოველ ხეში უკეთესო, ვარდ-მართალო, მაგრამ ხეო,
ამ სოფლისა სიამოვნე და იმ სოფლის სამოთხეო,
მეფეთა და დედოფალთა, ყოვლის სულის შემაქცეო.
მასპინძელთა სიამოვნე, გამიკვირდა, რა გნახეო. 1707
87. ერთ პატარა მინდორზე სიოს ქარი ქრის,
შით ლამაზი ქალი ზის, სისხლის ღვარი სდის. 1708

76) ეკალი რომ შეერკობა.

77 — 78) ენა.

79) ენდრო

80) ეჟვანი.

81) ერბო ქილაში.

82 — 86) ვაზი.

88. ზურმუხტის ტახტზე მჯდომელმან, გვირგვანოსანმა მეფემან, მწვანით მოსილმან უებროთ მით ინდოთ ქალმან ნეფემან, თვალით და ტანით ტურფამან, სიცოცხლე მეფემან, ბადახჩათ პოვნა ლალისა — მქონი სთქვას მისმან
მკრეფელმან. 1709
89. სუნი აქვს სურნელებისა, ფერი აქვს სინაზიანი, მას ახლავს უცხო მოლაყბე, არშიყი, ტურფა-ხმიანი, რა მოვა ზაფხულის პირსა, მზე არი კირჩხიბიანი, მაშინ მოვა და სენს კურნავს, სულს სურნელს
საყნოსლიანი. 1710
90. გული ტკბილობს, ენა შაქრობს, მას ტანი აქვს სინაზისა, სურნელება სახლს ააგებს საჭვრეტელათ ხედან ხისა, გული მიაქვს და გონება, მითვე არი მგზავსი ცისა. 1711
91. ერთი ციხე, ჩემი ციხე, ქვის კენჭით გამოჭიბტული. 1712
92. კიკი — კიკი, კიკი-ვაშლი, ზედ ასხია წვიტი ვაშლი, არც იჭმება, არც ისმება, არცა ზედა გაისვლება. 1713
93. პატარა ბოსტანი მქონდა, ვკენჭე, ვკენჭე, ვერ მოვკენჭე. 1714
94. ელა არი, მელა არი, კარებს უკან კერა არი, კვიცი გაკრეჭილია, კალო მოჭედილია. 1715
95. აღზნი, აღზნი არელსა, ჩიბუხ-კაცი ტარელსა, დღე კარში არ გამოვლენ, ღამე შინ არ შემოვლენ, 1716
96. გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან, — სიბრძნე გაქვსო, ერთ სოფელში ოთხთა ძმათა ერთმანეთის ფერი აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო
აქვსო. 1717
97. რა არის გვარი, არა შობს; არც ოდეს გადაშენდება, რა სხვა, სხვა გვარსა მიუდგეს, მით იშვას, მით მოშენდება, როს დაიბადოს, მაშინცა გვარი არ დაუშვენდება, რაზომ პატივი მიაპყრათ, ძუა არ დაუშვენდება. 1718.

87 — 88) ვარდი

89 — 90) ვარდი და ბულბული.

91 — 95) ვარსკლავები ცაში.

96) ვარსკლავები, ცა, მზე და მთვარე (შეად. ქვემოთ: მზე და მთვარე, №263).

98. ერთი დიდი უზურბელა, თავი კვანტრიშელა,
ფეხი კვანტრიშელა, პირჯვარს იწერს, ღმერთმა არ
უშველა. 1719
99. მობძანდება ბეგსავითა, წაეთრევა ძალსავითა. 1720
100. ზევით ცაშა მოიღრუბლა, მოისკილისკამუყერა,
ქვევით მელამ კუდი ჩაჰყო, ჩაისკილისკამუყერა. 1721
101. სიბნელე ვნახე, მეხარა, პირი ჰქონდა ბნელიო,
კაცის შემწუხებელი, ჯოჯოხეთის ფერიო. 1722
102. კიკლი, კიკლი კიბესა, ყაფლანიანთ ციხესა,
ზედ კურდღელი შემომჯდარა, აწკაპუნებს ყურებსა. 1723
103. ვზივარ კლდეში, ვაქნევ ხელსა, მოდი მამიშენის მზესა. 1724
104. ერთს პატარა მინდორზე ჯორის თავი ჰკილია,
ვინც იმის ხმას მოისმენს, მისი ცოდვა ჰკილია. 1725
105. ქათამმა დაიკისკისა, გარს შამეესხენ შვილები,
არც იყო მისი გაზრდილი, არც მისი გამოჩეკილი. 1726
106. თავი ოქრო, ბოლო ვერცხლი, შუაწელი რკინა,
ამისი გამომცნობელი წამოდექით წინა. 1727
107. სამ. კაცს ერთი ქუდი ახურავს. 1728
108. ას კაცს ერთი ქუდი ახურავს. 1729
109. წირპლიანი ბებერი ლობიდამ გამოიცქიტებოდა. 1730
110. კაჭკაჭსა წიგნი მოჰქონდა, დათვის დანაწერიო,
ვინც ამას გადიკითხავს, ჰკვიანი და ბრძენიო. 1731

97 — 98) ვირი (შეად. ქვემოთ № 528: ცხენი).

99) ზამთარი.

100) ზანთარბ და ყინვა.

101) ზამთრის ნისლიანი დღე.

102 — 104) ზარი.

105) ზარი, ეკლესია და ხალხი.

106) ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

107) ზედადგარი.

108) ზვინი.

109) ზღმარტლი.

110) თაფლი.

111. სირამ, სირამ ბაზაზო, სირამ, სირამ კაჭკაჭო,
მამულიდამ რომ გამოხვალ, იქვე სული გაგცვივა. 1732
112. ნადირი რამე მინახავს, უფროთო, უნისკრო, ფრინველი,
სახლი აქვს, ცეცხლი ვერ დასწვავს, ძნელია დასაჭირველი,
ყოველი კაცი მას ებრძვის, ერისკაცი და მწირველი. 1733
113. კაცი წავიდა საქურდლად, სახლში შევიდა მპარავად,
სახლი გაძვრა და კაცი შიგ დარჩა მპარავად. 1734
114. გამოიცანით, რა არი, გამრავლებული მრავალი,
რომ არ ნახულა კაცთაგან ქვეყანაზედა მავალი,
თუმც მარხვაში მათი სისხლი ალალ საჭმელათ მზა არი. 1735
115. რწყილმა კვერკვეშო ჰქნა. 1736
116. დავკეცე ფარის ოდენა, გავშალე ქვეყნის ოდენა. 1737
117. კლდეზე სანთელი ანთია. 1738
118. დავწვეთ, დავწვეთ, დავიძინოთ, ხუტუ-ხუტუ ვქნათო,
ბანჯვლიანი, ბუნჯვლიანი ერთმანეთსა ვკრათო. 1739
119. ორნი პატარა მარცვალნი ერთმანეთს ემტერებიან,
ამ წამას აქა არიან, იმ წამას გაფრინდებიან. 1740
120. ორი ფრინველი ჩემთანა დაბადებიტა სხდებიან,
რამ წამა მოვლენ ჩემთანა, იმ წამვე გაფრინდებიან. 1741
121. ორი ფრინველი ჩემთანა დაბადებიტვე სხდებიან,
ამ წამსა ჩემთან არიან, იმ წამსა გაფრინდებიან,
[სხვისასა კრეფენ ამბავსა, თავისას ვერა ხვდებიან,]
ახლოს არიან, მეზობლად, ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. 1742
122. ორნი ფრინველნი ჩვენთანა დასაბამიტვე სხდებიან,
ამ წამსა ჩვენთან არიან, იმ წამსა გაფრინდებიან,
შვილნი, მონანი გვერდს ახლავს, მუდამ მათკენა ხლდებიან,
სხვისას აქებენ ჯავასა, თავისას ვერ მიხვდებიან. 1743
123. ოცდაათმა ჩიტმა ერთი კვერცხი დადეს. 1744

111 — 114) თევზი.

115) თესლი ბოლოკისა.

116 — 123) თვალეზი.

123) თვე.

124. ხე ბრუნდი და ხე მართალი, წვერში ხუთი
მარცვალი. 1745
125. ეს ჩემი პაწია ბაჭია სირბილით არის მაკეა. 1746
126. ერთი პატარა დედაბერი ცეცხლის პირში დაორსულდა. 1747
127. მოვა ქაჯისავით, დაჯდება მეფესავით, წავა წყალსავით. 1748
128. გადმოვდგებოდი, გეჩვენებოდი, ის არ გეგონა,
გესტუმრებოდი. 1749
129. მალლიდამ წამოვიდა არუშ-ბარუშელაო,
თავი ჰქონდა კუკუჩელა, ფეხი ბურბუშელაო. 1750
130. ერთი ფრინველი მოვიდა, ბოლო-დაწყობით დაჯდაო,
ადგა და ისევ წავიდა, უსულო ცხენზედ შაჯდაო. 1751
131. აქედამა გავიქეცი, მინდვრის ბოლოს წავიქეცი. 1752
132. მალლიდგან გადმომდგარიყო ურქო, უყურო, უკულო,
შევება, რავა შევება, თუ არა და რა ვქნა. 1753
133. გარეთ ელვა, შიგნით ჭეჭა, კაცის შესაშინებელა. 1754
134. აზურმელილი მგელი, მიწა-მიწა მთხრელი,
ნადირს მოკლამს და ვერ შეჭამს, ეს არის
საკვირველი. 1755
135. კამსი კუმსი კამსარასა, ნადირობს და ჭამს არასა. 1756
136. იკიკმაკური, სალაფერდუმი, გოჭკანტური. 1757
137. ერთსა რასმე მოგაბარებ უსულოსა, უგულოსა,
ვინძლო ასე შემინახო, რწყილმა არსად უკბინოსა. 1758
138. ითესება, იმარგლება, ისმება, და არ იჭმება. 1759
139. ოთხი ზევით, ოთხი ქვევით, ვირო თხა,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ვირო, თხა. 1760

124) თითები.

125 — 126) თითისტარი.

127 — 130) თოვლი.

131 — 135) თოფი (თოფის ტყვია).

136) თოფის ჩახმაზი.

137) თოჯნა.

138) თუთუნი (იმერეთში თუთუნზე, ნაცვლად: მოიწვევა, ანბობენ ისმება)

139) თხა.

140. მილის და უკან იხედება. 1761
141. ცა ვდრიკე და ვარსკვლავი ქკრიფე. 1762
142. ცასა მოუწმენდიაო, მოუკაჭკაჭებიო,
ტურას ტყავი მოუხურავს, მოუხაბაკებიო. 1763
143. ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო, გიშერაო,
გიშერა არ გამოვიდა,
ფანცი-ფუნცი შიგ დაჰყარა, გამოვიდა შიშველაო. 1764
144. საბძელს უკან კვახია, დედამიწა გახია. 1765
145. გამოცანას მოგახსენებთ, ვისაცა გაქვთ სიბრძნე მრთელად,
სამოცდაათ წელს უკანა ვინ ყოფილა მკვდარი ძველად,
გზასა ზედან გაშიშული, საფლავშიგან დაუფლელად,
სამოცდაათ წელს უკანა აღდგომილა ისევ მრთელად. 1766
146. შვილი მამის ხნის, დედაზე კი უხნესი. 1767
147. პირველ დედლობდა, ილოცვიდა, თითონ იყო, აწ ახსენოთ,
ელურსამეთს მეფეთ იჯდა, ესე ჩემგან მოიხსენოთ,
ვინც რომა სცნათ, უნცროსმა სცნათ და უფროსებს
მოახსენოთ. 1768
148. უცხო, უცხოსა აღვილსა, უცხო სტუმარი გვეწვია,
უცხო და პატიოსანი. უცხო სადილი მივართვი,
სუფრაზე დაუდებელი. 1769
149. ლახვარმან რკინისამან, ნაყოფმან ხისამან,
ასომან ხარისამან, ლერწამმან ჩალისამან
კაცი მართალი შეაწუხა. 1770
150. მე ერთი რამე მინახავს კაცთაგან არ აგებული,
ფეხი არა აქვს, ისე სდგას, ჰაერსა მოკიდებული,
მას ზედა მოვალს ძლიერი, მისთვის არს გამწადებული,
ამისა ახსნას ეცადე, თქვენგან წყალობას მოველი. 1771

140) თხის რქა.

141 — 143) თხილი.

144) თხუნელა.

145) იერემია წინასწარმეტყველი.

146 — 147) იესო ქრისტე.

148) იესო ქრისტეს დაბადება.

149) იესო ქრისტეს წვალება.

150) „იესო ქრისტე რომ დაბრძანდა ანდამატის ქვახედ.“

151. სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა ქებული, მას შვიდნი სვეტნი შეუდგა, შვიდნივე წმინდათ გებული, სიკვდილით მოკლა სიკვდილი, დახსნა ცოდვილთ კრებული ამისი ახსნა შენგან მწადს, ვიცი ჭაცი ხარ ცნებული. 1772
152. ის ვინ იყო, არ ეხილა არც ქვეყანა, არცა ზეცა, უხილავად ღმერთი იცნა, შემოქმედსა თაყვანი სცა? 1773
153. რადგან ბრძანეთ გამოცანა, მოგახსენეთ ახლა მეცა: ის ვინ იყო, არ ენახა არც ქვეყანა არცა ზეცა, უხილავად ღმერთი იცნა, სული წმინდა, მამა, ძეცა, სისარულითა კრთომილმან მუცლიდამა თაყვანი სცა? 1774
154. ერთი რამე სულიერი დიდი ორბისა მზგავსია, თავზე ბალანი არა აქვს, გულზე მავარი ასვია, ბოლო მიუგავს ბორბალსა, აგრე აქვს იმის მოდგმასა. 1775
155. ერთი რამე სულიერი მთაზედ დარბის ქარსავითა, ცეცხლი სძულს და შეშა უყვარს, მხთალი არის ქალსავითა. 1776
156. ერთი რამე სულიერი მთაში დადის მწყრალივითა, ცეცხლსა ძრიელ ერიდება, შეშა დააქვს ძვალავითა, მე მინახამს დახვეილეს ბატონები ყმანივითა. 1777
157. ერთი რამე სულიერი მთას დადგება წყნარივითა, უსაზომოთ ზომიერი, მფთხალი არის ქალივითა, ცეცხლსა უფრთხის, შეშა დააქვს და მასპინძლობს რძალივითა, მე მინახავს თავადები მას დასდევენ ყმანივითა. 1778
158. თვალად და ტანად ტურფა, სახითა ანაგებიტა, უწყლოდ, უმიწოდ ხესა ზდის, მით გეუბნებით ქებიტა; ვინც მისი მიმდევარია, ფეხი არ ერჩის ძებნიტა, ამისა ახსნას ეცადე, ბრძენი იქნები ქებიტა. 1779

153 — 153) რელიგ. ივანე ნათლისმცემელი.

154) ინდოური.

155 — 158) ირემი.

159. სამნი მკერვალნი დავსხედით, ქურთი, აფხაზი და მესხი, სამეფო კაბას ვკერამდით, კოჭამდინ ღილო დამესხი, ნეტავი, წყალო, შენ მესვი და, ღვინოვ, ცეცხლზე დამესხი, ცეცხლო, შენ რაღა შეგცოდე, მიძინარეს თავზე
დამესხი, 1780
160. ჩემ პატარა საყდარში ორი ხატი ასვენია. 1781
161. ზეცილამ ჩამოვარდი, ვაი დედავ, ქუდი დამრჩა. 1782
- 162 მე ზემოდანა მინახავს ზანზალა დაკიდებული,
მე ზანზალიდამ მინახავს მე რგვალი გამოღებული,
მე რგვალიდამა მინახავს მე ძვალი გამოღებული,
მე ძვალიდამა მინახავს მე რბილი გამოღებული,
მე რბილიდამა მინახავს მე წყარო გამოღენილი,
მე წყაროდანა მინახავს უკუნი განათლებული. 1783
163. კაცზე მალალი, ქუდზე დაბალი,
ნაღველასავით მწარე, შაქარსავით ტკბილი. 1784
164. ხეა, ხე, ხერავანდი, ხეს ასხია ზარავანდი,
ზედ იცინე, ზედ იკრიკე, ზედ იალბუზის მთა არი. 1785
165. კატა ზევით კლანკებით ჰკილია. 1786
166. თავი ბუხს უგავს, ფეხი ჩალასა, ნახტომი დევი
ჭალასა. 1787
167. ერთსა რასმეს სულიერსა სიჭრელე ახლავს ვეფხვისა,
არც უნდა სახლის აგება, არც საზღო მოჭირებისა,
სული არ მიედინება თავის ბზისა და ქერისა,
იმის სახლსა, და საბძელსა ცეცხლი ვერ დასწვამს
მეხისა. 1788
168. სირისი კაქკაქი, სირი ფრთები ასხია. 1789
169. დათვი მობაზუნობს, დათვი ბარაქიანი, ფეხებ-
ტალახიანი. 1790

159) კაბის დაწვა: სამი მკერავი ჰკერავდნენ სამეფო კაბას. რომ გაათავეს, ღვინის სმა დაიწყეს. იმ დროს ცეცხლი გადმოვარდა. და კაბა დაიწვა. მეორე დღეს პასუხად მეფეს ეს გამოცანა მოასსენეს.

160 — 161) კაკალი.

166) კალათი.

166) კალია.

167 — 168) კალმახი.

- 170 ჰორომ-ჰორომს გეიძახის ჰორომ ფერენჯიანიო,
ჯორს კუდი მიუგავს, საბან ტალახიანიო. 1791
171. ბაზე მობაზუნობდაო, ბაზი ბარაქიანიო,
კუდი ჯორსა მიუგავდა, კუდი ტალახიანიო. 1792.
172. დიდ მინდორში გევიხედე, — დიდი უზურბელაო,
თავი ჰქონდა კვატუშელა, კუდი სრიელაო. 1793
173. მიდის, მოდის, იქავე დგას. 1794
174. მიდის, მოდის გაბრიელა, არავინ ჰყავს მადრიელა. 1795
175. მიწის შესაქმელი ძაღლის შესაქმელს მიჰყავს. 1796
176. შავი არის შაშვივითა, თეთრი არის თოვლივითა,
რგვალი არის კვერცხივითა, გრძელი არის შუბივითა. 1797
177. ერთი თახჩა მაქვს, კენჭებით გამოტენილი. 1798
178. ეს ჩემი პატარა ბოსტანი ქვით არის მოქედილი. 1799
179. ოცდათორმეტი მცეხველი, ერთი მხვეტელი. 1800
180. თეთრი ცეხვს, წითელი ურევს, ოხერი უძახის:
ჩამოყარეო. 1801.
181. ზურგი ქვისა, მუცელი ხისა. 1802
182. ყველა დაწოლილი არის, ყუნცულეი ზეზე არის. 1803
183. ჩემ პატარა საყდარს ვუარე, ვუარე, კარი ვერსად
ვუპოვნე. 1804
184. არც ბანი აქვს, არც კარი აქვს. 1805
185. შიგნით ოქრო, გარეთ ვერცხლი. 1806
186. როცა ცივია, თხელია, როცა გათბება, გაჰყინავს. 1807

169 — 172) კამბეხი.

173 — 174) კარები.

175) კაცი და ცხენი.

176) კაჭკაჭი.

177 — 178) კბილები.

179) კბილები და ენა.

180) კბილები, ენა და მუცელი.

181) კვერი.

182) კერია.

187. ერთი რამეა, შიგნიდან ოქროა, გარედან ვერცხლი, ის რომ დაიქცეს, ველარავინ ააშენებს. 1808
188. სულიანსა უსულო, უსულოსა სულიანი. 1809
189. უსულო არის ორსულად, სულიერისა მშობელი. 1810
190. უსულო იყო ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს, თითონ მოკვდება, ძნელია გამომცნობელი. 1811
191. უსულო არის ორსული სულიანისგან შობითა, მევე ვშვე ჩემი მეუღლე, ცოლად მყავს თანახლებითა, ცოლმან ჩემმან შვა ასული, ასულმა მამაჩემი შვა, თქვენ დაარღვიეთ გრძნობითა: 1812
192. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, იქნა შვიდი, კვლავ თორმეტი, დასაბამით არის ხიდი განაკიდი, ვინც ამას კი ამოხსნის, მასთან არის ჭკუა დიდი. 1813
193. შევა შავად, გამოვა წითლად. 1814
194. თვალი აქვს და თავი არა, ძუა აქვს და კუდი არა. 1815
195. ზურგი უგავს კლდესა, მუცელი კრიანტელსა. 1816
196. ერთი ეკლესია მქონდა გატენილი ხალხითა. 1817
197. დედა შინა ზის, შვილი დადის და იყიდება. 1818
198. ერთ მინდორზე თესლა ვთესე, მწვანეთ იყო ამოსული, შევყავ ხელი, ამევიღე, ეკლით იყო შემოსილი. 1819
199. ერთს ალაგსა თესლი ვთესე, მწვანეთ ამოუვა ძირი, თავი მოვჭერ, შუბლს გავიკარ, თათარივით გაპარსული. 1820
200. თეთრსა თესლსა დაუფენენ, მწვანეთ ამოუვა ძირი, შტო მრავალი გაეზრდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, ყვავილი ნარგიზს მიუგავს, მაგრამ უფრო გარდაშლილი, მწვანე, მკვახე ხილი იცის, საქმელია მეტად გრილი. 1821

183 — 100) კვერცხი.

191) კვერცხი, ქათმები: დედალი და მამალი.

192) კვირე, თორმეტი თვე და წელიწადი.

193 — 195) კიბო.

201. მინდორშია თესლი ვთესე, მწვანეთ იყო ამოსული,
დაბერდება, გაყვითლდება, ცოტაა და ტანი სრული,
მისი თავი შუბლში ვიკარ, ვით ხუცურებ გაბასრული,
ვინც ამას არ გამოიცნობს, ცუდია და გაბასრული. 1822
202. სახლი მაქვს ნაგები ხაჟო კაჭკაჭისა,
კვივი, ვჩხივი, კარი არა მაქვს. 1823
203. ყიყვი, ყიყვი, ბატონის კარს ვიყვი,
ყიყვი შინ შეიპატიყეს, მე კარზე ვიყვი. 1824
204. საწოლის კარს წაიკიდნენ ყვავი, ყორანი, ჭიკარტი,
კაჭკაჭი გამოეშველა, გაუშვერია ნისკარტი. 1825
205. ემე და ემე ჩხუბობდნენ ემე და ემეს კარზედა,
ემე რომ არ მოსწრებოდა, ემე მოჰკლავდა ემესა. 1826
206. შევა ლომი ხის წვერსა, შეაყრევინებს ჩინჩხალსა. 1827
207. ერთი რამ უცხო ფრინველი მთასა დადგება გმირულათ,
თავს ხურავს წითელი ქუდი, ტანთა აცვია ბერულათ,
მას თავის პირი ცულათ აქვს, ახალი გამოპირულათ,
ხმელს დაჰკრავს, ნედლი გამოაქვს მას თავის სარჩო
გმირულათ. 1828
208. გააღებ — ჩაიღებ, მოპრეწამ — გამოიღებ. 1829
209. მალლა-მალლა წამოვიდა უხუმბარაქიანი,
წყლისა პირსა ჩამოხტა კურტუმ-ტალახიანი. 1830
210. ყოლი კაცი მიწვა-მოწვა, ბასი [მ] ჭიბი გააბზიკა. 1831
211. ყველა მიწვება, მოწვება, ის კაცი ისევ ჰკუნტია. 1832
212. ასითვიანთ ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა,
ერთმა ნიავმა შემომკრა, ასივ შემიკეცა. 1833
213. შიგნით გული გულია, გარეთ მახაჯანია,
ისიბო და ისიბოლო, ის სამოსლის განია. 1834

196 — 201) კიტრი.

202 — 205) კლიტე და გასაღები.

206 — 207) კოდალა.

208) კოვზი.

209 — 211) კოკა.

212 — 213) კომბოსტო.

214. ერთმა ქალმა მისმიერმა სინით ხილი მომიტანა,
ფერი ჰქონდა სნეულისა, სუნი ყნოსად მშვენიერი. 1835
215. ხესა ვაშლი აბია, სახელს ვამბობ — ავია. 1836
216. ოქრო არის, ოქროს ფერი, გაყვითლებული განაბია,
ჩემისთანა კარგი ხილი სხვის ბახჩაში არ აბია. 1837
217. თუშო წაწექ, ლეკო წახურე. 1838
218. ერთი გველი, ორი ხვრელი. 1839
219. ტირის, ტირის ქალაქიო, მთელი მოჭალაქენიო,
მოვიყვანე დალაქიო, დავაჩუმე ქალაქიო. 1840
220. გახტა რკალი, თან გაჰყვა ჯარი. 1841
221. მალლა შევაგდე, რა არის, შორს ჩამოვარდა, ქვა არ არის,
კვერცხს სდებს, ქათამი არ არის, ბალახობს, ძროხა არ
არის,
წყალშია, თევზი არ არის. აბა რა სულიერი არის? 1842
222. გამკეთებელმა გააკეთა, თავისთვის არ გააკეთა,
მყიდავმა იყიდა, თავისთვის არ იყიდა,
ვისთვისაც გააკეთა (იყიდა), იმანვე ვერ ნახა. 1843
223. შავი არი შაშვივითა, ხმა მიუგავს კაკაბსაო,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ ლაყაფსაო. 1844
224. ერთსა რამე საქონელსა, ხმა მიუგავს ბაკაკსა,
ვინც ამას ვერ მიხვდება, ტყულა ნუ იღებს ხმასა. 1845
225. აკაკაბ, ბაკაკ ციკანო, აქ არი შენი კუკული,
აჰკარ, კბილზე იკარი. 1846
226. ფეხი ჩალისა, ყური თიჯნისა, გახტომა კრავისა. 1847

214 — 216) კომში (ბია).

217) კოწახური.

218) კრიალოსანი

219 — 220) კრუხი წიწილებით.

221) კუ.

222) კუბო.

223 — 225) კულა.

226) კურდღელი.

227. გარეთ ხორცი, შიგნით კანი. 1848
228. გარეთ გული და შიგნით ტყავი. 1849
229. მშრალი შევიდა, სველი გამოვიდა. 1850
230. გარუჯული, გახრუკული, ყურეში მიგდებული. 1851
231. ვიწვი, ვენები, საიდუმლოს ვეფარები. 1852
232. ზევიდგან გადმოკიდული ერთი ქოთანის ჩუნჩხული. 1853
233. ეს ჩემი პატარა ფინია, ღომითა გაჭიკნილია. 1854
234. უძვლო, უფხო, რქიანი და მოსიარულე. 1855
235. რქა აბია, ხარი არ არის, ხეზე აღის, კაცი არ არის, სწერს და მწერალი არ არის. 1856
236. საპალნე ჰვიდია, ცხენი არ არი, რქა აქვს, ხარი არ არი, ზეზე აღის, კაცი არ არი. 1857
237. კორკოტა, კორკოტა, მოსახლობით დარბოდა. 1858
238. თავი აქვს და თვალი არა, კული აქვს და ძუა არა. 1859
239. ეს ჩემი ბაჩა მირბის და მიჭიხვინობს. 1860
240. ჰე, ჩემი კვიცი მიდის და მიიხუხნება. 1861
241. აგერ, აგერ გორაზედა, კვიცები იკბინებიან. 1862
242. გევიხედე, — შავი იყო, მივედი და მკვდარი იყო, ფეხში ხელი წავატანე, ნაცოხარი ამეიღო. 1863
243. კაჭკაქა კარაკუმელო, დასჭრი მზესა და მთვარესა, ააგებ არემარესა. 1864
244. კაჭკაქმა კაჭმაჭურამა დასჭრა მზენი და მთვარენი, მისმა პატარა ძმისწულმა, თავს შემოავლო არენი. 1865
245. კაჭკაქმა კაჭკაჭუნამა, შაძრა მზენი და მთვარენი, იმისმა მამადაშვილმა ზედ მააკერა არენი. 1866

227 — 228) კუჭი (ქათმისა და სხვ.)

229) ლაგამი.

230) ლასტი.

231) ლაქა (წერილზე დასაკრავი).

232 — 233) ლედვი.

234 — 237) ლოკოკინა.

238) ლურსმანი.

239 — 243) მაკრატელი.

244 — 245) მაკრატელი და ნემსი.

246. აყიო გძელი, ხოჟ გელდი. 1867
247. აქედამ გავკარ ისარი, მცხეთას გავხეთქე ფიცარი. 1868
248. ეგინჩარი ეგინჩრულად მოკაზმული,
თავს კაუხი წამოუსხამს საფერიცვლო ღვინის ფერი,
მიწას ბაქავს, ცას მუქარას ეუბნება. 1869
249. წინ ხერხი, უკან ნამგალი. ვერ გამოიციწო მამალი! 1870
250. დაბადებიდან კობტაა, ამპარტავანი თავითა,
კოლთა და შვილთა სიმრავლე არ მოსწყინდება თავითა,
სიბრძნე სოლომანს მიუგავს, დღისით გლეჯავს თუ ღამითა,
თავისი ტოლი [ს] მებრძოლი ტოტითა თუ მკლავითა. 1871
251. ამპარტავანი თათარი დაიარება; ყვირისა,
ნამეტნავად მედიდურობს, არ მოლოდინე ჭირისა,
ქრისტე ღმერთსა მოგვაგონებს, გამფრთხობი არის
ძილისა. 1872
252. ეგერ, ეგერ გორაზე წითელი შილა ჰფენი. 1873
253. თეთრათ დავქსელე, წითლათ მოვექსოვე, შავათ
ამოვიღე 1874
254. მკვდარი ცოცხალს იჭირავს. 1875
255. ერთი რამა სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,
მეფისა და დედოფლისა თავსა წამომჯდომელია,
სამჯერ სახელს მოგახსენებ, ვინძლო ახსნა რომელია. 1876
256. მე ერთი რამე მინახამს მიწაშია მჯდომელია,
ორჯელ მე გეტყვი სახელსა, ერთხელ შენ თქვი რომელია,
ამისა გამომცნობელი ბრძენი მიუწვდომელია. 1877
257. გამოცანას მოგახსენებ, გამოიციწობ რომელია,
ორსა მე გეტყვი სახელსა, ერთი შენ სთქვი, რომელია. 1878
258. ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზედ უფრო სოსანი,
წავა ინდოეთს, წყალს დაღევს, ისევ მამივა
ცოცხალი. 1879

246 — 251) მამალი.

252) მარწყვი.

253) მაყვალი.

254) მახე.

255 — 257) მელია.

259. ერთი რამ მოლოზანსა ჰგავს აქა და ყოველ კიდეცა, მიწას ფხვნის, ზეცას აიტანს, შვილისთვის შეიუნჯებსა, ბოძალი აქვს და ვერ ისვრის, ზურგს უკან გადიკიდებსა, მისი ხმა ნათლისმცემელსა აქებს და განადიდებსა. 1880
260. ერთი რამე ქვეყანაზე ყოველს თვეზე იბადება, მინამ თვე დადგებოდეს, ის კიდეცა კვდება. 1881
261. სახლის სართულზე ჯამის ნატეხი ძეგს. 1882
262. ორბი, ორბი ობასია, მხრებგაშლილი ათასია, ნისკარტი ჰკრა ტყეს, ტყე გააპო ათასია. 1883
263. ერთსა ახსნას გიამობობ, გამოიცნობ, — სიბრძნე გაქვსო, ერთს ქვეყანას ორთა ძმათა, ორთავ ერთი ფერი აქვსო, ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო, ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო. 1884
264. კატა კუდითა ჰკილია. 1885
265. ოკლოკინისა, კარი რკინისა, ვინც ამას გამოიცნობს, ის არის ჩვენი რჯულისა. 1886
266. ფურცელი კრული, უზანი წკრული, ვინც იმას იცნობს, ჰკუთით არის სრული. 1887
267. ასი ხევი ავიარე, ასი ნუკრი მოდიოდა, ერთსა ფეხი მოსტეხოდა, ყველა იმას შესტიროდა. 1888
268. ქვა ვკარ და ჯაგი წაიქცა, ვინც ამას არ გამოიცნობს, იმის ოჯახი დაიქცა. 1889
269. ოსტატი ყრუ, შაგირდი მუნჯი. 1890
270. ერთი კაცი ას კაცს წააქცევს. 1891

258 — 259) მერცხალი.

260 — 261) მთვარე.

262) მზე.

263) მზე და მთვარე.

264) მიკიტნების (ყასბების) ჩანგალი (შეად. ქვემოთ № 273).

265 — 266) მირონი

267 — 268) მკვდარი.

269) მკვდარი და მიწა.

270) მოლა ლოცვის დროს.

271. ერთს ადგილზედ ერთხელ მზე მიადგა,
არც მისდღემში მისდგომია, არც მისდღემში მიადგება. 1892
272. თავვი კუდითა ჰკილია. 1893
273. კატა კუდით ჰკილია. 1894
274. ხარი ბოსელში შევაგდე, კუდი ხელში შემრჩა. 1895
275. ერთი რამე სულიერი ფეხს იღებავს ინითა,
არ ჭამს მარლიანსა, არცა დათვრების ღვინითა. 1896
276. მუხა ნათე ლაშაფლა, ენაძვირ-მოლაპარაკე
ხელმწიფე ლამაზათ ენახე. 1897
277. ალაღმა დაიკისკისა, გარს შემოირტყა ბატკნები. 1898
278. ალაღმა დაირუკრუკა, გარ შემოისხა შვილები,
არ იყო იმის შვილები, არც არა შვილიშვილები. 1899
279. ზემოდგანა წამოვიდა კაბა-კუბო ქრელოსანი,
ყველა იმას დეედევნა, ქვეითი და ცხენოსანი. 1900
280. აღმოსავლეთს ყანა ვთესე, დასავლეთსა ლალიეი,
რა არის საჭამადი, უკუდო და ვარიეი? 1901
281. მიდის და ნავალი არ აჩნია. 1902
282. ერთი მანანაი იარება, კვალს არ აჩენს. 1903
283. მივა, მოვა, კვალს არ აჩენს. 1904
284. ღმერთმა ბრძანა და კაცმა ქნა, ცხენს შეადგა უნაგერი,
არცა უნდა თივა-ქერი, არცა ლაგამ-უნაგერი. 1905
285. არ მიცან მიცან-მიცანა, თხა მიდის ფიცარ-ფიცარა.
„სად მიხვალ, შე მოკაკულო?“ — მე მივალ
გამართულთანა! 1906
286. „საით მიხვალ, კაკულიავ?“ — შენთან მოვალ,
ფშიკურიავ. 1907

271) „მოსემ რომ გააპო მიწამული ზღვა“.

272 — 274) მსხალი, ვაშლი და სხვ.

275) მტრედი.

276) მუხა, თელა, ნაძვი და წიფელა.

277 — 278) მღვდელი.

279 — 280) მწყერი.

281 — 284) ნავი.

285 — 286) ნამგალი და თავთავი. (ჩალა)

287. ერთი რამ უცხო ფრინველი განთიადისას ფრინავდა,
მთელის ტანიდამ მარგალიტებსა ფანტამდა,
მთვარეს სურდა აეკრიფა, აზღლია და ვერ აკრიფა,
მზემა, დილით დამნახველმა, სულ თითო-თითოდ
აკრიფა. 1908
288. ახლა ეულსა, მეულსა, წამალს ადებენ სნეულსა,
გადმოიხედა მეუფემ,— ეს რა უქნია წყეულსა! 1909
289. შვილი მოვპარე დედასა, მივგვარე ერთსა ეულსა,
შევკარ, შევბორკლე, თავი მიუგავს სნეულსა. 1910
290. ერთი რამ უცხო ნაზარდი შორსა გაგზავნა ძიძამა,
მას დახვდნენ ნათესავები, ვერ იცნო თავის ბიძამა. 1911
291. ერთი რამ უცხო ნაზარდი შორს წაიყვანა ძიძამა,
იქ დახვდა ნათესავები, მაგრამ ვერ იცნო ბიძამა,
ვერცა აწყინა სიცივემ, ვერცა სიცხემა მზისამა,
რომელიც დარჩეს, იხაროს ნაყოფმა მამულისამა. 1912
292. ოცდათორმეტი უსულო ერთმანეთს მიუბტებიან,
არცა აქვთ ხელი, არც ფეხი, დავლენ, დაიარებიან,
ილაშქრებენ, იბრძვიან, უიარალოდ კვდებიან,
ერთ წამში ყველა მოკვდების, მასვე წამს
გაცოცხლდებიან. 1913
293. ერთსა პატარა ველზედა დგას ოცდაათი სოფელი,
შუა გზა არის სავალი, თავთავათ გასაყოფელი,
თუ იგი კაცი ვერ მიხვდა, ცუდია წუთი სოფელი. 1914
294. ერთსა პატარა ველზედა ოცდაათი კაცი სდგებოდნენ,
დასად და დასად წყობილნი, წამსავე წარმოსდგებოდნენ,
ორთ მოციქულთა მდომობდნენ, ზოგნი მათგანნი
კვდებოდნენ,
ზოგნი კიდევაც ცოცხლობდნენ. 1915
295. ერთსა პატარა ველზედა სხდა ოცდაათი სოფელი,
შუა გზა არის სავალი, თვისთვისათ გასაყოფელი,
სოფლისგან მოძულეებული, მტერთ შუა გასაყოფელი,
უთუოდ, თუ არ მიესწარ, დარჩა ხელმიუყოფელი. 1916

287) ნამი.

288 — 291) ნამყენი.

292 — 295) ნარდი.

296. ერთსა პატარა ადგილსა სახლობს ოცდაათი კაცი,
ადგილს იყოფენ თვისთვისათ, ხუთ-ხუთ, სამ-სამ და
ოროლი,
მათ შუა დარბის შათირი, მუდამ შებმისა მდომელი,
და ამათს მაყურებელსა ლხინი აქვს უსაზომელი. 1917
297. ობოლი მარგალიტი ხარ, ვინადგან გამონალები,
ხილი გინდათ თუ საჭმელი, კრიფეთ, ეს არის ბალები,
ამისი გამომცნობელი — გონებით გამონალები 1918
298. გახტა კაბელე, თან გაჰყვა საბელე. 1919
299. მკვდარი მკვდარს მიაქვს. 1920
300. უსმელად, უჭმელად ტყეში გასუქებული. 1921
301. ჩემი მეგრული დედალი მიწა-მიწა კვერცხის
მღებელია. 1922
302. აბელი-ბელი, საბელი გძელი, ბამბის გული უგრეხელი. 1923
303. ეგერ, ეგერ სერზედა წითელი ჯამი ამხია. 1924
304. ერთი რამე სულიერი მიდგომია კლდესა,
სასიკვდილო სახლს აკეთებს, ეხვეწება ღმერთსა. 1925
305. აგრე-იგრე მივდიოდი იგრეთისა მთაზედაო,
უშობელმა დეკეულმა ნუკრი მიგდო ხელზედაო,
ერთი მკვდარი, ცხრა საფლავი. სიძევ, გამოცანა არი! 1926
306. ლამე ჩლუტ, დღისით ბრიქ. 1927

297) ნალები.

298 — 299) ნემსი და ძაფი.

300) ნესვი.

301) ნიორი.

302) ნისლი.

303) ნიყვი (სოკო).

304) ობობა.

305) პატარძალი: ერთი პატარძალი ორსულად ყოფილიყო; გზაში გაეპარა მაყრებს და მეფეს და მინდორში მოიმშობიარა თავისი ძმის (თუ მეჯვარის) შემწეობით, რომელმაც ეს ნაბიჭვარი დასჭრა 9 ნაწილად და ცალცალკე დამარხა, მერე კი სიძეს ეს ამბავი გამოცანად უთხრა.

306) პაჭიჭი (შეად. ქვემოთ № 571; წინდა).

307. ბაბუს სძინავს, ბაბუს ღვიძავს, ბაბუს წვერი მიწაშია. 1928
308. თავი დაღმა, ფეხი აღმა და ფურცელი გარდიგამა. 1929
309. ანაკეცი, მანაკეცი, ქალი იჯდა თმა-ნაკეცი,
არცა უნდა პირსა წყალი, არცა სარკე-სავარცხელი. 1930
310. ზაფხულში კარავს დაიცემს და ზამთრივ შინაურია,
სშირათ ასხია ეკალი, გასცვივა — ბროწეულია. 1931
311. ერთი რამ არის ასეთი, ღვთისთვისაც სახმარებია;
ერთი არს, მრავალს მოისხამს, კაცთათვის საყვარელია,
უმიხილთ ვერ იცხოვრებს ვერც ბერი, ვერცა ღვდელია,
მკვდართაცა გამოადგების, თუ დარჩა საყვარელია. 1932
312. ჭკვიანო , შენ მეცნიერო, ეს გამოცანა რა არსო:
ერთი რამ მკვიდრი ქონება ორსავე სოფელსა კმარსო,
გაზდის და გაადიდკაცებს, წახდენაზედაც მზა არსო. 1933
313. ახაია, მახაია, თავს აცვია თალხაია,
ვინც ამას ვერ მიხვდება, ფინთია და გლახაია. 1934
314. ტყეშიდ არის, ჩუმად არის, შინ მოვა,
დიდს დაიყვირებს. 1935
315. ტყეში გავიზარდე, ტყეში დავიბადე,
სახლში მოვედი, დიდი დავიძახე. 1936
316. ტყეში გავიზარდე, ტყეში დავიბადე,
შავედი სახლში და კუკუ დავიძახე. 1937
317. შავია და შაშივი არ არის, ნადირობს და ძალლი არ
არის. 1938
318. შავია შაშივივითა, ცეკვა იცის ფრანგივითა. 1939
319. შავი ულაცი ქვეყნისა, ფიცხლათ ამღები ფეხისა,
ლაგამსა ვერავინ ასდებს, კაცია ჩვენი ქვეყნისა. 1940
320. შავი მოვა შავითაო, შავი ბრავაბუგითაო. 1941

307 — 309) პრასა (№ 309 შეად. ზემოთ № 58-ს: გველი).

310 — 313) პური (ყანა).

313) რკთ.

314 — 316) როდინი.

321. შავი არი შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, გაძღება და წამოწვება კუდა მეძებარვითა. 1942
322. შავი არი შაშვივითა, ქვეშკნეთს არი ხვაღვივითა, კაცს ისე აიყოლიებს, აფხაზური ჩანგვივითა. 1943
323. ძონძმანძებით იმყოფება, ეშმაკურათ, ქაჯურითა, კაცს ისე შაათამებს, ვით სტვირით და ფანდურითა. 1944.
324. ხალიჩაში გავეხვიე ეშმაკისა ფლიღვივითა, კაცსა ისე ვათამაშებ, ქამანჩა და სტვირივითა. 1945.
325. ელენ ვარდი მოფრინამდა შულამე ბინდისასა, მოიქნევდა ყავარჯენსა, შავტარიან გიზრისასა. 1946
326. აკაკანოური, ბაკაკანოური, კისერ-აკაკანოური, მოიშლება, მოიწყობა, მოწყენია სიარული. 1947
327. აინური. ჩაინური, კისერ-ტატიანური, მოიწყობა, მოიშლება, მოწყენია სიარული. 1948
328. ერთ პატარა ველაზედ რა ათასი იტრიალოს, — მაინც უკურტენაზედ, მაინც უკურტენაზედ. 1949
329. არახუნებს, აწკარუნებს, დადის, ბრუნამს, გარს ტრიალებს, სულიერი კი არ არის. 1950
330. კიკლი-კიკლი კიბესაო, ზორობტურის ციხესაო, გაღმომდგარა კურდღელაი, თვალებს აცეცინებსაო. 1951.
331. ერთი რამ უცხო, უსულო, სიბრძნეს იძახის, მიკვირსა, სახლი აქვს უცხოთ ნაგები, ხმისა გამოსვლა უჭირსა, სიბრძნეს გამოსცემს იქიდან, ხალხს გაგონება უჭირსა, ვინც ამას მარდათ გამოსცნობს, მას სიბრძნე აღარ უჭირსა. 1952.
332. აქნევს თავსა და ბოლოსა და ტანსა უჩიხრახოსა, მას ორი თვალი უყრია, არც ერთით ვერა ნახოსა, ყვითელი ვარდის დედამან შვილისთვის შაინახოსა, თეთრი იელჩი გაგზავნოს, ქალებმა იაფახოსა. 1953

317 — 325) რწყილი.

326 — 331) საათი (№ 330-ს შეად. ზემოთ № 102: ხარი).

332) სადღობელი. კარაქი და ღო.

333. აცაცუნა, მაცაცუნა, ბატონსაც და ყმასაც უნდა. 1954
334. ლიჭინასა, ლიჭინასა, მკვდარი ცოცხალს იჭირავსა. 1955
335. მე ერთი რამე მინახამს გათლილი წმინდის ქვისანი,
მას გარე ზღუდე ავლია ოქროსა ანუ რქისანი,
ბერს ყმაწვილად გარდააქცევს, ბრძანება არის
ღვთისანი. 1956
336. ყველა მიწვევა, მოწვევა, ის იმას აწვევა. 1957
337. საქიმანჯული კონდახში, გათენებამდი ჰქონდა შით. 1958
338. მალლა ავიდა ივანე, ძირს ჩამოყარა თივა. 1959
339. აგერ, აგერ მთაზეა, გველის თავი ქვაზეა. 1960
340. მალლა ვზივარ დანდარზედა, წვერი მცვივა
კალთაზედა. 1961
341. პატარა ციცკიტელასა მთიდამ თივა ჩამოჰქონდა. 1962
342. უმთოსა მთასა, უგზოსა გზასა,
იჯდა ლიპორტი, იქმოდა გზასა. 1963
343. გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი;
ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი. 1964
344. მამამამ სახლი ამიგო, კეკლუცი ბანის ბანითა,
გრძელი და ცამდის მალალი, სიგრძე და მისი განითა,
შაველ, გამოველ სიცილით, სიმღერით, ბანის ბანითა,
ის დამიქცია სატანამ, მე ვარ მას აქეთ ნანვითა. 1965
345. გავალ ხესა, ვაქნევ ხელსა,
გამოვიყვან ბაქრაძესა. 1966
346. უხუ ბუხუ, ბაიას ფერი. 1967
347. მალლა დავდექ ბაქანზე, წვენი დამდის კალთაზე. 1968
348. პატარა აყლაყუდაო, საყდარზე მისაკუპდაო. 1969

333 — 334) სავარცხელი.

335) სათვალე.

336 — 337) საკეტი (ურდული).

338 — 342) სამართებელი (შეად. ქვემოთ № 366: საჩეჩელი).

343) სამოვარი.

344) სამოთხე.

345) სამუხველი და შულო ძაფი.

346 — 348) სანთელი (თაფლისა).

349. გამოცანა ნათქვამია ბრძენთა გამოსაცნობისა,
სახლი უდგია ელვარი, შიგა ზის თქვენის სახისა;
პირისპირ შეყრა იამის, რა ერთმანეთის ნახვისა. 1970
350. პატარ-პატარა მინდორსა კეკლუცი მონადირობსა,
შეგზედე და შემოვზედე, თვალს არა მინაწუნებსა. 1971
351. ხარი მყავდა ევა, ზურგში ება ენა,
მის ნათქვამს ყველა კაცი სჯერა. 1972
352. ერთი თხა მყავდა რემაო, ზურგზედ მაიბა ენაო,
იმისი სიტყვა-პასუხი მთელს ქვეყანასა სჯერაო. 1973
353. ერთი თხა მყავდა ელაო, ზურგზედ შაუბამს ენაო,
იმისი სიტყვა-პასუხი სუყველამ დაიჯერაო. 1974
354. ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე,
სოფელს ჩამოვედი, გაჭრობა ვისწავლე. 1975
355. აკრაკნილი, დაკრაკნილი, კერიაზედ დაჰკრა კბილი. 1976
356. აკაბულისა კიბესა, ზედ როსტომისა ციხესა,
შევა ლომი, შესძახებს, გააყრევიებს ჩქრიალსა. 1977
357. ოკლიკო, დოკლიკო, დოშხაპ-დოწკაპ. 1978
358. სახლი ვნახე უსასყიდლოთ ღვთისგან ჩვენთვის მონაფენი,
შიგ ტახტი სდგას მოკაზმული, მძიმე სტავრით მონაფენი,
ზედ მეფე წევს განსვენებით, სრულ ნათლითა მონაფენი,
და თავშიშველნი მსახურნი, ორღანოს ხმით მონაფენი. 1979
359. ორბი ორბის დონეთიო, თავი კოჭბის დონეთიო,
გადავდგები, გადავიძახებ, მე ვარ ქვეყნის დონეთიო. 1980
360. დათვი ზის და თმას იწეწავს. 1981
361. ზედადგარი, ზედ ნადგამი, ზედ ირემი გაწოლილი,
წიოდა, კიოდა, ქვეშ ბალანი სცვიოდა. 1982
362. ავიხედე მთაზედა, ეშმაკი ცუცქლა ქვაზედა,
ხელი მოისვა თავზედა, მეიცაცუნა თმაზედა. 1983

349 — 350) სარკე.

351 — 354) სასწორი.

355 — 357) საქვაზე ჯაჭვი.

358) საყდარი და ტრაპეზი.

359) საყვირი.

363. გეგვიხედე მთაზედაო, ეშმაკი ზის ქვაზედაო,
მუჭუტუკუნი შემოგკარი იქით-აქეთობაზედაო. 1984
364. ახალციხის მთაზედაო კურდღელი ზის ქვაზედაო,
მუჭუტუნი შემოგკარი აქეთ-იქით ყბაზედაო. 1985
365. შიდა ვზივარ ჩარდახშია, წვერი მცვივა კალთაშია. 1986
366. მალლა ვზივარ ბაქანზედა, წვერი მცვივა კალთაზედა. 1987
367. მალლა ბატი ფრიალებს, ძირს ბუმბული სცვივა. 1988
368. ერთი ხარი მყავს, ბაგა-ბაგა ხდებოა. 1989
369. მე ვჭამ, შენ ჭამ, ცემას რას შემართლები? 1990
370. ერთი რამ მალლა კიდებული, სამის ფეხით ასავალი,
ოქროს ქუდი თავსა ჰხურავს, მას უყურებს მრავალი,
სურნელებისა სული ხრჩის მისიდამ გამონავალი. 1991
371. ალსაც უნდა, ბალსაც უნდა, ბატონსაც და ყმასაც
უნდა. 1992
372. აცაცუნა, ბაცაცუნა, ბატონსაც და ყმასაც უნდა. 1993
373. ერთი რამ არის, ყველას უნდა. 1994
374. ბანზე ციკნები დახტიან. 1995
375. მალლიდამა წამოვედით ხაბა-ხუპით ცხენოსანი,
სულ უკანა დამედევნენ ქვეითი და ცხენოსანი. 1996
376. ვიცი და არ ვიცი. 1997
377. არ ვიცი და არც მახსოვს. 1998
378. ყოვლისა სულის ნიადაგ უშრომელია,
ანაზღად, უჩინრად დარბის, ვერვინა სცნობს, რომელია,
არცა ქვეყანაზედა სჩანს, არც მიწაში მძრომელია,
მიცემულს ნათელს წაართმევს, ეს არ ვიციით,
რომელია. 1999

360 — 367) საჩეჩელი. (№ 366 შეად. ზემოთ № 340-ს: სამართლებელი),

368 — 369) საცვრი.

370) საცეცხლური.

371 — 373) სახელი.

374 — 375) სეტყვა.

376) სიკვდილი: ვიციით, რომ მოვკვდებით, არ ვიციით, როდის.

377) სიკვდილი და დაბადება.

378) სიკვდილი.

379. ესე კაცი რა კაცია, ცხრაი ჩოჩა რომ აცვია. 2000
380. ასლამაზა მე მქვიან, ასი ტყავი მაცვია,
აბრეშუმის ქოჩორი თავზედ გადამასხია. 2001
381. თეთრი ქათამი, ბოლო-კურტუმ, ნარიყანას ედებოდა,
ესხა, მესხა მარგალიტი, ოქროს ფერად ედებოდა. 2002
382. ერთი რამა მაქო, ბატონს არა აქო,
ასლავანა მიქვიან, ასი ტყავი მიცვია,
აბრაშუმის ქოჩორი თავზე გადასჩეჩია. 2003
383. ოქრო, ოქრო, ვერცხლია, ბიმბილები ასხია,
ვინც ამას არ მიხვდება, თავსხლაფი ასხია. 2004
384. ბახჩაშია გაღვიხედე, ისი მინდა მრავალკეცი,
ტყავი ეცვა გასასხლელათ, ისი მინდა მარგალიტათ,
ჩაწყობილი ჯილოსანი, ისი მინდა,
ვინც ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა. 2005
385. ბახჩაშია გაღვიხედე, ხილნარი ღვა, ისი მინდა,
მარგალიტად ჩაწყობილი, ჯილოსანი, ისი მინდა,
მრავალფერი კაბა ეცვა გასახდელი, ისი მინდა,
ვინც ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა. 2006
386. მინდორშია თესლი ვთესე, ხეივნურად იღვა ისი,
ათას ფერად კაბა ეცო, გასახდელათ მინდა ისი,
მარგალიტივით ასხმული, შასაჭმელად მინდა ისი. 2007
387. ერთი უსულო ბებერი მზის უნახავი ბერია,
ხელით აროინებენ, ფეხით ვერ წამომდგომია,
ასი თუმნის საქონელსა ჩაყლაპამს ვით რომ მგელია. 2008
388. ტყეში ცალფეხა ლოგინი მიღვა. 2009
389. ტყეში ცალფეხა ბებერი. 2010
390. ერთი თეთრი ქათამი მყავს, მიწა-მიწა მდებელია. 2011
391. ერთი რამე ქვეყანაზედ მშვენიერი რამე არის,
მოსჭრიან, მოიტანებენ, არ იხმარებენ რკინასა,
ბატონსაც გეეხარდება, ზედაც იზამენ ლხინასა. 2012

379 — 386) სიმინდი.

387) სკივრი.

388 — 391) სოკო.

392. პირი ხისა, სული ღვთისა,
მუცელი აქვს ჩვენი ცხვრისა. 2013
393. პირმომწვარი კუთხეში მირბის. 2014
394. სამ კაცს ერთი ქუდი ახურავს. 2015
395. ოთხ კაცს ერთი ქუდი ხურავს. 2016
396. ოთხ ძმას ერთი დედა ჰყავთ. 2017
397. აჯინჯილი, მაჯინჯილი, ოთხი ფეხით მაბიჯარი,
არცა უნდა თივა-ქერი, არცა ლაგამ-უნაგირი. 2018
398. ცოცხალია, ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა
სვამს. 2019
399. პატარა და ჰი! 2020
400. ღმერთი ვერ ხედავს, მეფე — ხანდახან, ჩვენ —
ყოველთვის. 2021.
401. კაცნი ხედვენ ყოველთვის, ხელმწიფენი ძვირათა,
ღმერთს არც უნახავს და არცა ნახამს. 2022
402. ტომარა და ტონტორიკი, სახელს გეტყვი,
ვერ იაზრებ. 2023
403. იტიმ ტომარა, ატამ ტომარა,
სახელს გეტყვი, გვარს მიტომ არა. 2024
404. ირიბულად გამოჭრილი შავი ნაბადი ახურავს. 2025
405. ქვეშ საფენი, ზედადგარი, გომიჯები, სადგისები,
საკბილაკო, სანაჯური, იმის გულის მოსაბნევი. 2026

392) სტვირი.

393) სულთი (ჩოგანი), რომლითაც ღმრს ხელავენ.

394) სკამი (სამფეხა).

395 — 397) სკამი.

398) ტიკი (რუმბი)

399) ტილი (ფრჩხილებზე რომ მოჭკლავენ და დააყოლებენ ჰიო).

400 — 401) ტოლი (ამხანაგი)

402 — 403) ტომარა.

404) უთო.

405) უნაგირი.

406. ტყეში დაიბადა, ტყეში გაიზარდა,
გამოვიდა და გრძელი დაიძახა. 2027
407. დავდე ტაფა, დავდე ღუმა, დადნა ტაფა, არა ღუმა. 2028
408. უთვალო იყო, მიყვარდა, გათვალთანდა, შემძულდა. 2029
409. ხორცი ადამიანისა, ქაფი ცხვრისა, ქვაბი ძროხისა. 2030
410. უწაღდოთ, უცულოთ აშენებული. 2031
411. ქვეყანას გადასწვდება, ჭურის პირს არა. 2032
412. პატარა ცუგრუმელაო, სუყველას საყვარელაო. 2033
413. სახლი ავაგე ხისაო, არ არის ნაფოტისაო,
შედიან და გამოდიან, ბრძანება არის ღვთისაო. 2034
414. ერთი რამ უცხო ფრინველი სიბრძნეს იძახის, მიკვირსო,
სახლი აქვს უცხოთ წყობილი, ხუროსა გამოსჭურისო. 2035
415. სუსტი, სუბუჭი ფრინველი, შორე მომტანი ვარდისა,
ჯერ ღვთისა მოსამსახურე, მერმე ყოვლისა კაცისა. 2036
416. ჩადიან, ჩატირიან, ამოდიან, მღერიან. 2037
417. ერთის ნახვით მრავლი სული მე მინახამს ერთგან მყოფი,
ბევრგან სახლობს ქვეყანაზე, მოსამრავლად ყველგან მყოფი,
შენც ეცადე მის სარგოსა, რომ უშენო მას სამყოფი,
ვემსახუროთ, მან გვიბოძოს, გამოიღოს მუნ ნაყოფი. 2038
418. ერთსა რასმე მოგახსენებ, — ამისთანა საკვირველი! —
დიდ ჯალაბ და სახლ ვიწრო, მაგრამ ტკბილათ აგებული,
ისარს გესვრის, მას მე მოვკლამ, ასე არის დადებული,
ყოველთვის ღმერთს ეხვეწება განა მისგან დადებული. 2039
419. აბუზულმა სიპი შობა, სიპმა აბუზული შობა. 2040
420. ძირ-ხმელი, შვა ნედლი, კატარ-წაპირპილებული, 2041

406) ურემი.

407) ფეხი და ქალამანი.

408) ფეხსაცმელი.

409) ფეხი, წინდა და ქალამანი.

410) ფიჭა.

411 — 412) ფული.

413 — 418) ფუტკარი.

421. ერთი რამ სულიერი აზის ბროლის დანადარსა,
სამ ღღესა და სამ კვირასა გააცოცხლებს განა
მკვდარსა. 2042
422. ეგრეც ვიყავ, ესრეცა ვარ, ისე გაგხდი, როგორც მე
ვარ. 2043
423. როგორ შეიძლებს სომეხი მარტო ლომისა ბრძოლასა,
აქ ათიბინებს ყანასა თავის ყმასა და ქალასა,
კაბარიას დაუძახებს, ის თუ დაიჭერს მელასა,
ახალუხისას მოგართმევთ, ხელი მოხვიე ლელასა. 2044
424. დავაბამ, დადის, ავუშვებ და დგას. 2045
425. მკვდარი ცოცხალს მიაარბეინებს. 2046
426. ქვაბი ძროხისა, ხორცი ადამიანისა, ბეწვი ცხვრისა. 2047
427. ცხოვრობს უსხეულოდ, ლაპარაკობს უენოდ,
არაეინ მას არ ხედავს, ყველა კი ყურობს. 2048
428. ერთი რამ არის ასეთი, უჩინო და ხმიანი,
ზოგჯერ ვინატრით მოსვლასა, ზოგჯერ მას მოაქვს
ზიანი. 2049
429. ერთი რამ არის უჩინო, უსულო და ხმიანი,
ცასა და ხმელეთს მოივლის, რომ მოუნდება ტრიალი,
მაინც ვერაეინ დაიჭერს, თუნდა დაადგეთ ხმლიანი. 2050
430. გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო:
აკვირ, მაკვირ საკვირველსა,
ულელს გავთლი სამთლისასა,
მას შევადგამ შვიდსა დევსა,
ზღვას და ხმელადს ვახენევინებ,
ქვიშას ავუყენებ ბღღვირსა. 2051
431. თეთრი ყანა, შავი თესლი, მიდგომია კაცი, ებრძვის. 2052

419 — 421) ქათამი (№ 420-ს შუად. ქვემოთ № 494).

422) ქათამს უთქვამს კვერცხისთვის.

423) ქათიბი, კაბა და ახალუხი.

424 — 426) ქალამანი.

426) ქალამანი, ფეხი და წინდა.

427 — 430) ქარი.

432. ერთსა რასმეს ორი თავი, — დიახ დიდათ გამიკვირდა,
თეთრსა ვკითხე, არა მითხრა, არცა სიტყვა მომისმინა,
შავმა თავმან არაბულად საუბარი მომიხშირა. 2053
433. კაცი ყანასა თესვიდა, ბრძენი და თვით მეცნიერი,
წინ ედვა ბროლის ნაკვეთი და კუპრი მისი მიერი,
გუთანი ჰქონდა ჩალისა და მკლავი მისი მიერი,
ამისა გამომცნობელი კაცი ხარ გულისხმიერი 2054
434. შიგნით წიქარა, გარეთ გიშერა. 2055
435. წითელსა ეკლესიასა შავი ყორანი შემოჯდა. 2056
436. ბანი აქვს, კარი არა აქვს. 2057
437. ოდენა, ოდნის ოდენა, სირონ კაჭკაჭის ოდენა,
შენ ბატონობას ვინ მოგცემს, მუხუდოს მარცვლის
ოდენა. 2058
438. აგერ მოდიან ჩვენი ქმრები, ჩვენი ქმრების მამები,
ამ ყმაწვილების პაპები, ჩვენი მამამთილები. 2059
439. ერთი რამ უცხო ფრინველი ფეხს არ იღებამს ინითა,
არა სჭამს მარილიანსა, არც დაითვრება ღვინითა,
ვინც წიგნი იცის, გამოსცნობს ქანო, რაე და ინითა. 2060
440. ქალაქიდგან მოვიტან ბალქოსა და ინასა,
ძროხას მოგცემ ურქოსა და უჩლიქოსა,
პერანგს შეგიკერავ უჩაქოს და უსახოსა. 2061
441. ორნი არიან, ტოლნი არიან, მიდიან, მიიმღერიან. 2062
442. უკანიდამ მოგიარე, მეც გიგონე ხერხი,
ავილე და შამოგტყორცნე ჩემი ორი ფეხი. 2063

432 — 433) ქალაღდზე წერა (ნაწერი).

434) ქვაბი.

435) ქვაბი ცეცხლზე.

436) ქილა.

437) ქინძისთავი.

438) ქმრები: ერთ სოფელში ორი ცოლშვილიანი კაცი ყოფილა. ერთ დღეს ეს კაცები სადღაც დაკარგულან. მათ ცოლებს თავიანთი შვილები შეუერთავთ და შვილები გასჩენიათ. ერთ დღეს ის კაცები დაბრუნებულან, და ერთერთ დედაკაცს რომ დაუნახავს, ეს გამოცანა უთქვამს.

439) ქორი.

440) ქოსა.

441 — 442) ქოშები.

443. ერთსა მაღალ მთაზედა ასი ძროხა მოდიოდა,
ერთსა ფეხი მოსტეხოდა, ყველა მას შესჩერებოდა. 2064
444. უსულოთა მდებია რე ბორკილშიდა გაივლების,
მალ-მალ პირით დაიღების, თითოულად დაითვლების,
მუნ ორსული, მუცელლია, პირს ეცემის, გავარდების,
თავის ხორცსა აყლაპებენ, გასუქდება, დაშვენების. 2065
445. კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი. 2066
446. შავი მობრაგუნობდაო შავი ბაკი-ბუკითაო,
შავსა პირი აფუხვიე შავი აბრეშუმითაო. 2067
447. მოვიდა ნისლა მოზვერი, გასწყვიტა წუთისოფელი. 2068
448. მევიდა შავი მოზვერი, წეიქცა მთელი სოფელი. 2069
449. ერთი რამ არის ფრინველი უცხვირო, უყუროსანი,
უკვერცხოთ შვილის მშობელი, ვითა ირემი ხბოსანი. 2070
450. დღით წევს და სძინავს, ღამით ფრინავს და დადის. 2071.
451. ორპირსა ღობე ნარგიზსა, შიგა წევს ქალი ბანგისა,
ტანთა აცვია ხაზმუზი, საყელო ბარანბაზისა. 2072.
452. შავი და წითელი მამლები ხშირად მიწიდვან ყივიან. 2073.
453. ლალის ფერათ აყვავდება, ხელს უჭირავს ღამაზიო
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ხელში მომცეს აბაზიო. 2074
454. ლალის ფერათ აყვავდება, ხელს უჭირავს ღამაზიო,
ვერ გამოსჭრის კარგი მჭრელი, ვერ შეჭკერავს
ხარაზიო. 2075.
455. სარო ვნახე, შემკულ იყო ბარდახტითა და ლალითა,
ნეფემან ყულსა უბძანა, — გადმოიტანე ძალითა
უსასყიდლო და ძვირფაზი, გადმოჭედილი თვალითა,
სუფრას აშვენებს, ამდიდრებს, ვიწვი მისისა ალითა. 2076.

443 — 444) ქსელი.

445) ქუდი.

446) ქუხილი და ღრუბელი.

447 — 448) დამე.

449 — 450) დამურა.

452 — 455) ღვინო.

456. ავხაღე ფირფიტელასა, ჩავხედე გულწითელასა. 2077
457. ცასა მოუწმენდია, მოუკილისკამურებია,
მამლიყუჩამ თავი ჩაყო, ჩაყო, ჩაიჭყაპუნა. 2078
458. წვრილი ვარ და მაღალიო, თავში მაქვს კაკალიო. 2079
459. კენესის და არა სტკივა რა,
ედებს და არა დაჰკარგვია რა. 2080
460. მივა, მოვა, კენესის, ტირის, ჰკითხე, თუ რა
დაეკარგა. 2081
461. მამა წლისა, დედა ორი წლისა, შვილი საბარავათ
მიდიოდა. 2082
462. ერთი წლისა მამა იყო, ერთი თვისა შვილი იყო,
დადიან ვენახში, ბარვენ. 2083
463. წაიქცა ჯირკი, დეეხვია ჯინჯველა. 2084
464. შავი მოდის შავითა, შავი რახა-რუხითა,
შავსა თვალი აფუხვიე თეთრი აბრეშუმითა. 2085
465. ეს ჩემი ცხენი სოსანი, წავა წყალს დაღვეს,
შინ მოვა ცოცხალი. 2086
466. ორი მუშტი გავიქნიე, გაგადინე თხლაშანი,
აქამდინ რას აკეთებდი, ახალუხი მზათ არი. 2087
467. ერთ პატარა მანანას თავზე ცეცხლი ეკიდება. 2088
468. უსულოსა, უგულოსა თავზე ცეცხლი ეკიდება. 2089
469. ერთი რამ არი, სულსულობს მშვენიერ მუცელ-ყელითა,
თავზედა ცეცხლსა დაიდებს, გაკვირვებს მისი
მზერითა. 2090
470. ერთ ჩემ ბოსტანში ყოველთვინ კვამლი ამოდის. 2091
471. თავი ბუს უგავს, ფეხი ჩალასა,
ნახტომი დევის ალაგსა. 2092

456) ღვინიანი ქვევრის მოხდა.

457) ღვინის ამოღება ქვევრიდან.

458) ღომი.

459 — 463) ღორი

463) ღორი გოჭებით.

464 — 465) ღრუბელი.

466) ყაითანი.

467 — 471) ყალიღნი.

472. ერთი რამ უსულ-უგულო, მდებარე მუცელ-ყელითა,
ლაპარაკობს და არ ისმის, ნეტავ რა რჯულის ენითა,
წყალი სწყურია, ვერა სვამს, სხვანი ასმევენ ხელითა,
თავზედა ჯილას დაიჯენს, პატრონს აამებს ლხენითა. 2093
473. ძირი მიწასა, შუა წელი საბძელსა და თავი შენა. 2094
474. თავს ანძრევს, ბოლოს არ არყევს, შუაში ჩაბალახობსა,
ასხია ორი თვალეზი, პატრონმა დაინახოსა. 2095
475. წყალში კაკანებს, თევზსა სჭამს, მალლა იბუდრებს ერია,
კაკაბსა წიგნი მოჰქონდა დავითის დანაწერია,
ვინც ამას გამოიცნობს, ჭკვიანია და ბრძენია. 2096
476. ასლანიანთ ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა,
ქარმა რომ შემომიბერა, კალთა შემომიკეცა. 2097
477. ერთი ხე არის, ამოძვრებისო,
თავი ხუცესსა მიუგავს, წვერი არსაით უჩანსო,
მოსწყვეტო და ხელში გაქრება, ცუდი რამ შვილი
არისო. 2098
478. უძვლო, უფხო, წყალში ცურავს. 2099
479. თეთრი მამალი მიწიდგან ამოყივოდა. 2100
480. აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტახტი,
მზით ავილე, მთვარით დავდგი. 2101
481. ზემოთ ცამა მოიწმინდა, მოისკილისკამურა.
მელამ კუდი წყალში ჩაყო, ჩაიჟლილიელამურა. 2102
482. წყლის პირსა წამოწოლილა ყვეარ-ყვეარა ზველია,
შევხედე, ასე მეგონა, — ის არი ჩემი მტერია. 2103
483. ადამი დარი, ქათამი მწვარი,
ავართვი მხარი, შევქამე თვალი. 2104

472) ყალიონი (თათრული).

473 — 474) ყანა (პური).

475) ყანჩა.

476 — 477) ყაყაჩო (№ 476 შეად. ზემოთ № 212-ს: კომბოსტო)

478 — 479) ყველი.

480 — 482) ყინულა.

484. მასრაშვილის ქალი ვიყავ, მაჭრაშვილის პატარძალი;
კამის კუმის კაბა მეცვა, ოქროს ღილზედ მეკიდა. 2105
485. ალავი ავი, შავი ქათამი, შევართვი მხარი, არ ება
თავი. 2106
486. ერთი პატარა მანანა საყდრისა კარსა გალობდა,
თავზე მოესხა მაზარა, კოჭამდინ არა ჰფარავდა. 2107
487. თავშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ
მიხვდები. 2108
488. ერთ ცხენზე იჯდნენ ქალი და კაცი. ხალხმა დასცინა,
ქალმა უთხრა: რას იცინითო, ამ კაცის დედა.
დედაჩემის დედამთილი იყოო. რა იყო ის ქალი ამ
კაცისა? 2109
489. მამა შენი, მამა ჩემი. შენ ძე ჩემი, მე და შენი,
ნანა, შვილო, ნანინა. 2110
490. შარშან იყო მამა ჩემი, წრეულ ძიძათ მოვექეცი,
ჩემი გაზდილი ყმაწვილი დედა ჩემსა ჭმრათ მივეცი. 2111.
491. ჯერ ხომა ხარ, ჩემი ძმა ხარ, მერმე ჩემი ცოლის შვილი,
შედი. უთხარ მამაშენსა, გარეთ გელის შენი შვილი. 2112
492. ტყეში წითელი კოკები ჰკიდა. 2113
493. ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალეო,
ქალსა მძივი ავყარეო, კალათაში ჩავყარეო. 2114

488 — 484) ყურძენი.

486) ყურძენი (შავი).

486) შაშვი.

487) შველი.

488) შვილი.

489) შვილი: ერთი კაცი ტყვედ წაუყვანიათ, აქ ერთი ქალი დარჩენია. რომ დაბრუნებულა, შეცდომით თავისი ქალი შეურთავს. როცა უკანასკნელს შეუტყვია, ეს სიტყვები უთქვამს თავის შვილისთვის ნანად.

490) შვილი: ავადმყოფი (თუ ხაროში ჩადგებული) მამისთვის ქალს ძუძუ მოუწოდებია და გადაურჩენია, და ეს გამოცანაც ამაზე უთქვამს.

491) შვილი: ერთი ახალგაზრდა კაცი ტყვედ წაუყვანიათ. იმის მამას იმისი ცოლი შეურთავს. ტყვეს ეს ამბავი გაუგია. როდესაც განთავისუფლებულა და შინ მოსულა, კარებზე ახალი ძმა დაუნახავს და მისთვის ეს სიტყვები უთქვამს.

492 — 493) შინდი.

494. ძირში ნედლი, შუაში ხმელი, ზევით გაპირპილებული. 2115
495. თხა და ძროხა დაძმობილდა ნემსის შუამავლობითა. 2116
496. ადე, ადე აბულაო, ყელმალალო ციხისაო,
დუშაყო აბრეშუმისა, საძირკველო რკინისაო. 2117
497. უსულოსა, უგულოსა გულზე ბალანი ასხია. 2118
498. ხე დავიარე, ხერნალი, ერთი ხე ვნახე მართალი,
ვალაპარაკე ცხრა ძმანი. 2119
499. მალლიდგან გადმომდგარა დიდი ოსურბელა,
თავი კუნტრუშელა, კუდით პირჯვარს იწერს, არუშ
მარუშელა. 2120
500. მეც კი მაქვს, შენც კი გაქვს და გარუჯულ ჯირკსაც. 2121
501. ერთი რამ უცხო მოვალი ორი ჩნდა, გამიკვირდაო,
თუ გავიქეცი, გამომყვა, თუ დავდეგ, დადგა ისაო,
თუ ხელში ავიღე რამე, მან ბარგი აიკიდაო,
თქვენი ჭირიმე მიშველეთ, ე რა გადამეკიდაო. 2122
502. ცრუ რამეა, დაუდგრომი, ერთი ჩვენი თანამყოლი,
ცდილობს, რომ არ გაგვეყაროს, ვით მოამბე უკან მყოლი,
ცუდ მაშვრალად დადებული — კაცი იმისი ამყოლი. 2123
503. ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტილამცა,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თხაც არის და
ბეცილაცა. 2124
504. ერთი რამ დიდი ფურცელი გადაგვეფარა თავზედა,
ასხია წვრილი მარცვალი, არ დაითვლება მასზედა,
მოვა, მოსცივია ძირთაგან, არ [დაიმტვრევა ქვაზედა,
ამისი გამომცნობელი ძნელია ქვეყანაზედა. 2125
505. საარშიყოთ მეც მინახავს ერთი დიდი მრგვალი ლოდი,
ზედ ნაბამი, ყურთ მახვილი, მას ასხია ასი კოდი,
ზოგი ლალი, ზოგი ბროლი, ზოგი არის ოქროს ზოდი. 2126

494) ე. წ. შობის ხსნილი, დიდი მარხვა და აღდგომა (შეად. ზემოთ № 420: ქათამი).

495 — 496) ჩექმა.

497) ჩოთქი.

498 — 499) ჩონგური.

500 — 502) ჩრდილი.

503) ცა.

504 — 505) ცა და ვარსკლავები.

506. ჭრის და არ აკაკუნებს. 2127
507. ვზივარ შვაში, არ მაქვს ფასი,
დამცქერია ყველა თვალში. 2128
508. ერთი უსულლო არსება, — იმის ნაწოლზე ნაყოფი ვერ
ამოვა. 2129
509. ამ ჩემი წიქარეის ნაწოლზე ბალახი აღარ ამევიდა. 2130
510. ერთი ხარი მყავს, სადაც ის დაწვება, იქ
ბალახი აღარ ამოვა. 2131
511. დღისით ცაა მოწმენდილი, ქალს არ დასწვავს პირის სახეს,
სალამოს — ცა მოღრუბლული, რთვილს გააგდებს, ვისგან
ვნახე,
ამისი გამომცნობელი ჭკუით სოლომონ ბრძენი ვნახე,
ან კი უნდა გამოიცნო, ან საღვინით ღვინო ნახე. 2132.
512. სიდედრი მყვანდა იელი, სიმამრი კოსტანტიელი,
ცოლი მყვანდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი. 2133
5013. წითელი შავს ურბენს. 2134
514. სანამ დედა დაიბადა, შვილმა ქალაქ ჩაირბინა. 2135
515. არვიცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო,
ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალის ფერიაო,
რომ ეცადო, ვერ იშოვნო, წააგო ყოვლისფერიაო. 2136
516. ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს, ხან არა. 2137
517. არ მიცანა ცანა, ცანა,
ხან გეიხდის, ხან ჩეიცვამს,
მაინც ცანა, ცანა, ცანა. 2138
518. შავია და არ არის შაში, წითელია და არ არის ცეცხლი,
სუნი იცის და არ არის მეძებარი, გაფრინდება და არ არის
ფრინველი. 2139

506 — 511) ცეცხლი.

512) ცეცხლი, ზედადგარი, ქვაბი და საკიდელი.

513) ცეცხლის ალი ქვაბის გარშემო.

514) ცეცხლის ბოლი.

515) ცისარტყელა.

519. წავიდა შარავანდედი, ვით ლამპარს ცეცხლი ედება,
 ცეცხლია, ნაპერწკალსავით აბედს არ მოეკიდება,
 თვალთა პატიოსანი, საჭურჭლეს არ ჩაიდება,
 ამისი გამომცნობელი მეცნიერთან ჩაითვლება. 2140
520. ღმერთს რა აკლია? 2141
521. ასწიე ბროლისა სვეტსა, რა გულმა ნახოს იამა,
 იტვირთოს ცვარი ობოლი სარდაფის კარმა ღიამან,
 სამივემ ერთათ იდინოს ლაღმა, ბროლმა და იამა. 2142
522. აქეთ გორა, იქით გორა,
 შუაში ერთი ბელტი გორავს. 2143
523. იქით გორა, აქეთ გორა,
 შიგა გორამს თეთრი ბორა. 2144
524. ერთი პატარა მანანა, ხან ჩამოირბენს, ხან არა. 2145
525. უსულოსა, უგულოსა სამი სარტყელი არტყია. 2146
526. ასიაო, ბასიაო, ფეხი ოქროს თასიაო,
 უღვაშები, ყურს უკანა წვერი ასხიაო. 2147
527. იღუმ-მადუმში, ფეხებ-კვატუმში, კუდით პირჯვარს
 იწერს. 2148
528. თავი ხვიმირას მიუგამს, ფეხი კვატუმელას,
 კუდით პირჯვარს იწერს, ღმერთმა არ უშველა. 2149
529. ურქო, უენო ოთხფეხი, მსახურთათვის დიდი მარგი,
 ვინც იმისი არშიყია, კაცი არის ერთობ კარგი,
 შენ იმას ვერ გამოიცნობ, აიკიდე დიდი ბარგი,
 ამისთანას შენ ვერ ახსნი, შენი თავი შენთვის დარგი. 2150
530. ერთი რამე სულიერი გასაჭირში ოფლსა ხოცს,
 ნახევარი რკინა არის, ნახევარი რქა და ხორცი,
 უს შენც იცი და მეც ვიცი. 2151

516 — 519) ციციანათელა.

520) ცოდვა.

521) ცოლქმრული კავშირი.

522 — 523) ცომი ვარცლში.

524 — 525) ცაცხი.

526 — 529) ცხენი.

531. ოთხი მთვარე, ოცდამათხი ვარსკლავი. 2152
532. აჯინჯალი, მაჯინჯალი, ოთხი ფეხით საბიჯარი,
ქვეშა წყალი სადინარი, ზევით თივა სათივარი. 2153
533. ზეით ველი, ქვეით ველი, ქვეშ წყალი გამოდენილა. 2154
534. ოთხო დოთხო, ოთხო ფეხო, მუცელ-დასტა ეფრემ იყო,
მალა მთაზე სუთიბელო, ძირსა წყარო სადინარო. 2155
535. გავალ, გავალ გალივითა [მკალივითა?] ხმას გავიღებ
ზარივითა,
გლებმა-კაცმა შემინახოს მარგალიტის თვალივითა. 2156
536. ერთი უცხო სანახავი მინდორ გავა მკალივითა,
სხვილი წვრილში გაერევა, ხმას გაიღებს ზარივითა,
ზოგსა დღესა არ იჭმება, ზოგსა დღესა — მსხალივითა. 2157
537. კული თავისგან უფრო აქვს, მიწაზე ვნახე მავალი,
მუდამ რაზმისა შემკვრელი, მალალ მთაზედა მავალი,
ერთი სიცოცხლის მომცემი, ოთხ სხვა ბეგარას მოველი,
ამის ახსნასა ეცადე, შენგან წყალობას მოველი. 2158
538. მოდის, მოდის, მორაკრაკებს, მინდორ გავა გაიშლება,
ვინც ამას არ გამოიცნობს, ქკუიდამაც შაიშლება. 2159
539. ეს ჩემი პატარა ბოსელი ვხვეტე, ვხვეტე, ვერ
დავხვეტე. 2160
540. ერთი სახლი მაქვს, ერთ ბოძზედა დგას. 2161
541. ორი სახლი, მაქვს, ერთი ბოძი აქვს. 2162
542. აჩხა ბაჩხა მოქსოვილი, უდგიმო და უსავარცხლო. 2163
543. ქვის უმძიმესი და შაქრის უგემრიელესი. 2164
544. მოვიდა კურო მოზვერი, წეიქცა მთელი სოფელი. 2165
545. მოვიდა კურო მოზვერი, გაწყვიტა მთელი სოფელი. 2166
546. ქვეიდამ მოდის მოზვერი, სულ ამოწყვიტა სოფელი. 2167

530 — 531 ცხენის ნალყბი.

532 — 538) ცხვარი.

539 — 541) ცხვირი.

542) ძეწკვი.

543 — 546) ძილი (შეად. ზემოთ № № 447 და 448: ღამე).

547. ოთხნი არიან, ძმანი არიან, ბახჩას ჩადიან. ჩაიმღეროიან. 2168
548. კლდეზე კოკები ჰკიდია. 2169
549. გავიხე დიდ მინდორზე, დიდი ზვინი დგასო. 2170
550. ორი ორანეი, ოთხი კორანეი, თორმეტი ჭიჭიბუზა,
არც ერთი ატლაბუცა. 2171
551. გარეთ ათასი, შიგნით ატლასი. 2172
552. შიგნით ატლასი, გარეთ ათასი. 2173
553. შიგნით გული გურგუმელი, გარეთ კანი ატლასია,
მას რომ ჯარი ახვევია, შუბოსანი ათასია. 2174
554. ზაფხული მთასა მაღალსა, დაზამთრდა, შინა აყრია,
ტანთა ეკალი აცვია, გახდიან, — აზნაურია,
ქალაქს წაიღენ სავაჭროთ, იკითხვენ, სადაურია,
ყოველნი იმას ვაჭრობენ, თათარია და ურია. 2175
555. მოდი, მოდი, ხუტუ-ხუტუ ვქნათო,
ბანჯგვლიანი ბანჯგვლიანსა ვკრათო. 2176
556. ერთს პატარა მინდორზედ მუდამ ორი გველი წევს. 2177
557. ერთ გაბლეკილ ქედსაო ორი გველი წევსაო. 2178
558. დავდევ ტაფა, ჩავდე ღუმა, დადნა ტაფა, არა ღუმა. 2179
559. ის ჩემი ცხენი სტუმარი, დიმიტრისა სტუმარი,
უთვალო იყო, ვიჯექი, გათვალთანდა, — გავუშვი. 2180
560. აზანი აზიზინოსა, ხაზინა აბრეშუმისა,
ორთავ ციხესა მაღალსა საძირკველი აქვს. მაღალი. 2181
561. სამასია, სამი ოცი, სამზე ორი დაადევი,
ორსა ერთი მიუმატე. 2182

547 — 549) ძუძუები (ძროხისა)

550) ძუძუები: ადამიანის, ფურის, ღორის, ხოლო სრულიად არა აქვს ქათამს.

551 — 554) წაბლი.

555) წამწამები.

556 — 557) წარბები.

558 — 560) წაღები.

562. ერთსა ადგილსა ხე რამ დგას, საჩრდილობელად გრილია,
თორმეტი ტოტი მას ახლავს, ფერად-ფერადი ჩრდილია,
თითოსა ტოტსა ოთხ-ოთხი ხილი აბია ტკბილია,
შვიდ-შვიდი კურკა მათ უძევს, გამოსაცნობლად
ძნელია. 2183
563. ვეზირმა ჰკითხა ზალდასტანს გამოსაცნობად ასეა:
ერთსა საროსა შტოზედა თორმეტი შტონი ასხია,
ოცდაათ-ათი მასთანა უწვრილეს უფრო ნაზია,
არც დააკლდების, არც მეტობს, გარდახდეს წელი
ასია. 2184
564. აკიბული, ჩაკიბული, ქრისტე ღმერთის მოციქული. 2185
565. აქედან ვისროლე ისარი, გეგუთს ჩავაწყე ფიცარი. 2186
566. წინ ზურგი, უკან მუცელი. აბა გამოიცან, რა არი. 2187
567. ტყეში ფიჩხი გადავუშვი. 2188
568. დავაწყვიტე, ველარ ადგა. 2189
569. თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება. 2190
570. კაცი ვნახე, ორი თავი ჰქონდა, დიდათ გამიკვირდა,
ერთი თავი თეთრი ჰქონდა, ერთი შავათ გამოსკვირდა,
თეთრმა თავმა ხმა არ გამცა, უმძრახსავით გამილიმდა,
შავმა თავმა არაბულათ საუბარი გამიხშირა. 2191
571. დღე ბრიქი და ღამე ჩლუნგი. 2192
572. ჩემი ტიტველა შენს ბალნიანში. 2193
573. მე ხუთი ძმანი მინახავს, არ რომელს აქვს აზდილობა,
მუშაობს, ტანთა არ იცვამს, აჩნიათ უცოდნელობა. 2194

561 — 563) წელიწადი.

564 — 565) წერილი.

566) წვივი.

567) წვიმა.

568) წვინტლი.

569 — 570) წიგნი.

571) წინდა (შეად. ზემოთ № 306: პაჭიჭი).

572) წინდა — პაჭიჭი.

574. აკიბესა, ჩაკიბესა, საროს ტანისა ციხესა,
ხუთი ნამორი რკინები ჩაჰყვება კიდის კიდესა. 2195
575. აკიბული საკიბესა, ძალი როსტომის ციხესა,
ნამორ-ნამორი რკინები მიიარს კიდის კიდესა. 2196
576. ჩაკიბულსა კიბეზე, სიროდიანის ციხეზე,
ოთხი ნამორი აწყვია, ერთია — კიდის კიდეზე. 2197
577. ხუთი ძმანი არიან, ოთხი წევს, ერთი გარს უვლის. 2198
578. ოთხი ციხეს აგებს, ერთი გარს უვლის. 2199
579. ოთხი უვლის, ერთი ჰყობამს. 2200
580. საკვირველი საქმე ვნახე, შვილდმან ისარი ააგდო,
დავჯექი და დავუნიშნე, ხეს ვესროლე, ქვა ააგდო. 2201
581. ისარი ხისა, შვილდი წყლისა კუნძს მოხვდა.
და ქვა გაფრინდა. 2202
582. ხის შვილდი, წყლის ისარი, ქვებს კი ატრიალებს. 2203
583. აფირფიტული ფირფიტი აბანოს ებანებოდა,
მისი ნასროლი ისარი ხელმწიფეს ეკადრებოდა. 2204
584. დედალ-მამალი ხოხობი ერთმანეთს დადარებოდა,
მათი ნასროლი კოლბოხი ხელმწიფეს ეკადრებოდა. 2205
585. აბანოელი ბატები აბანოს ებანებიან,
მათი ნასროლი ისარნი ხემწიფეს ეკადრებიან. 2206
586. არწივი წივის, მუხრანი კივის,
ლანბი უწყდება, ფუტურო სცვივა. 2207
587. წივა, წივა წიოსანი, თავს ადგია ტვირთოსანი,
გუგულებო გაიხედეთ, თუ მოდიან ტვირთოსანი. 2208
588. ყივის, ყივის ყოყონქარი, ზედ დასძახებს გოგომქარი,
გოგომქარო გაიხედე, მოდიან, თუ არსად არი. 2209
589. დათვი ბურღლულობს, მტვერს ჰყრის. 2210
590. დათვი წევს და კუდი ღრინავს. 2211

591. ოხროხვინა დევი ფშვინავს, მასპინძელი სანთელს
უნთებს. 2212
592. რა არის, რომელ უფალმან ეს ჩვენთვის სარჩოთ ინება,
მუდამ ქშენავს და ბევრს საქმობს, არ არის მისი ჭირვება,
რა ხელსა მიჰყობს ოსტატი, თავს მტვერი გადედინება,
წყალი აქვს, მაგრამ ვერა სვამს, ის არი მისა
ჭირვება. 2213
593. დათვი ჭამდა, ღლოფინობდა, ბასკვინჩელა ხმას
მისცემდა. 2214
594. ათანა, თეთანა წააკიდნენ რუსთანა,
მიუბრუნდა თეთანა, წიხლი ჩაჰკრა გულთანა. 2215
595. აქიდანა გაიქეცი, არიბანას გვერდზედ ეცი,
არიბანამ შემოგძახა: რამ დაგბადა ასე მხეცი. 2216
596. ჩემი ციხე, რავე ციხე, რავე წიპ-წიპით ჩაქმარი,
შითა ვჯივარ და ვიძახი: გასავალი არ მაქ კარი. 2217
597. გამოცანას მოგახსენებ უცხოსა ზა დიდებულსა,
მრავალ ფერად გამოგიჩენ ჩვენთა ტოლთა წოდებულთა,
შავხედე და ღომსა გავდა, პირში მახვილჩადებულსა. 2218
598. უძვლო, უფხო, ჭაობ-ნადირი,
ვინც არ გამოიცნოს, გააკეთოს სადილი. 2219
599. უცხო სტუმარი მესტუმრა უღურ-ბადური ბადითა,
მოვიდა, ღვინო დალია, ზღვა გაიარა ნავითა. 2220
600. ჯაილოზ ექიმი მოვიდა უღურ-ბადური თავითა,
დათვრა, დაღვინიანდა, ზღვა გაიარა ნავითა. 2221
601. ერთი ექიმი მოვიდა უკვირ-მაკვირი შავითა,
მოვიდა და უაქიმა, ზღვაში გასცურა ნავითა. 2222
602. მოდის და მოდის ლაშქარი, მოდის და მოაბნელებსა,
უკრავად კაცსა დაკოდამს, უწამლოდ გაამთელებსა.—2223

580 — 592) წისქვილი (№ 586 შეად. ხემათ № 70-ს: გუთანნი).

593 — 594) წისქვილი და სარეკელა.

595) წისქვილის ღარის წყალი და ბორბალი.

596) წიწილი (კვერცხში).

597) ე. წ. წმინდა სამება.

603. მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო,
უჩხუბრად სისხლი იღინა, უენოდ გაიყარაო. 2224
604. დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი. 2225
605. ერთი რამ არის ასეთი, რომ მცირედი აქვს ფასები,
ვერვინ დარჩება უმისოთ, ვერც დიდი, ვერცა ნასები,
მისგან დაშვენდეს ყოველნი, ქვეყანა ბევრი ასები,
სახმარად არის ასეთი, კაცთაგან დაუფასები. 2226
606. ვერც შეჰკერამს მკერავი, ვერც გამოსჭრის ხარაზი,
ვინც ამას გამოიცნობს, ის იქნება ლამაზი. 2227
607. თემი რა მორბის, ვით ქარი მოჩქრის,
არა ჰყავ მეფე, არცა აქვს სეფე,
ბევრჯელ გადავლენ უღრანსა გზასა,
შევადგამ კეხსა, შევჯდები ზედა, ვითარცა ცხენსა. 2228
608. ო შავ კაცო, გზაზედ მჯდარო, ნუ ჩამოხვალ, გილალატო,
ჩამოხვალ და გილალატო, მე ლალატი არ შემწამო. 2229
609. ერთი მიდის, ერთი სჭამს, ერთი გაჩერებულა. 2230
610. ჩემი მეგრული დედალი წყლის პირზე ჩამოკასკასებს. 2231
611. ეს ჩემი თეთრი ქათამი ღელე-ღელე დაკაკანობს. 2232
612. ერთი თეთრი ქორხორა ღელე-ღელე დაყივოდა. 2233
613. თავს დაჯდება მეითარი, მოუჯდება მას თარხანი,
დაირაზმის, დაიწყობის, გამოუვათ კარგა ხანი,
აშლილობა შეექმნებათ მათ, გახდება თავთა ხრანი,
თქვენ ამას ვერ გამოიცნობთ, გამოგივათ კარგი ხანი. 2234
614. თავს დაჯდება მეითარი, მოუჯდება მას თარხანი,
შუაზედ დადის შათირი, ის არის მისი სამძღვარი,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, გამოგივა კარგა ხანი. 2235

598 — 603) წურბელა.

604 — 607) წყალი.

608) წყალი, ადიდებული.

609) წყალი, თევზი და ქვა.

610 — 612) წყლის ქაფი.

615. თავს დაჯდება მეითარი, მოუჯდება მას თარხანი, რაზმსა კარგათ დააწყობენ, გამოუვათ მათარხანი, აშლილობა შეიქნება, გაუხდებათ თავრახვანი. 2236
616. მივა, მოვა ქარავანი, არ უგჯება ქალაბანი. 2237
617. აი იქითა ღელეში კუპრი ამოდენაშია. 2238
618. ღღეი მოკაკული და ღამე გამართული. 2239
619. ვერცა დაჭრის კაი მჭრელი, ვერც შეკერავს ხარაზიო, ხარატულეზ გამოჭრილი ხელთ გიჭირავს ღამაზიო. 2240
620. ვისაც ის აქ [აქვს], რა არა აქ [აქვს], ვისაც არა, რა ექნება. 2241
621. აჰა ოდენო, ოდენო, მცირე კაჭკაჭის ოდენო, შენ მეფობას ვინ მოგცემს, მუხუდოს კაკლის ოდენო. 2242
622. გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო, ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალის ფერიაო. 2243
623. შავია, შაშვი არაა, გაფრინდება, ჩიტი არაა, მეძებარია, ძალღი არაა, დაიძახებს და მხეცი არაა. 2244
624. ორსა წინაკეცსა კედელსა კაცი შიგ იწვა გუფთისა, წელსა ეხურა მავარა, საყელო სირმა-გუნდისა. 2245
625. ერთი რამ ქვეყნად იზრდების, უსულო არის, ჩუმია, თუ მისსა ხორცსა უიკითხავ, მიწა, ნაცარი, ყუმია, და თუ შეწვამ, შეიწვის, გარეთ ისევა უმია. 2246
626. უსულოსა, უგულოსა ზურგზე მოსვლია ბანალი. 2247

613 — 615) ჭადრაკი.

616 — 617) ჭიანჭველა.

618) ჭილოფი.

619) ჭიქა.

620) ჭკუა.

621) ჭრიჭინა (შეად. ზემოთ № 437: ქინძისთავი).

622) ხალიჩა.

623) ხარაბუზა.

624) ხატი.

625) ხე.

626) ხეზე ხავსი.

627. ტყეში გაზრდილი, ტყეში დაბადებული,
გამოვა და უჰს იძახის. 2248
628. ხე შვეიარე ხერნალი, ერთი ხე ვნახე,
ისიც გვერდ-ჩამონათალი. 2249
629. ხე მრუდი და ხე მართალი, აბია ხუთი მარცვალი. 2250
630. ასი ხევი ავიარე, ერთი ხე ვერ ვნახე მართალი,
ერთი ხე ვნახე, ისიც გულ-გამონათალი,
მას ება ხუთი მარცვალი. 2251
631. ხუთი შეგკარი ხუთითა, ხოლო ხუთს შეგკრავ
ხუთითა. 2252
632. ერთი ქათამი მყავს, ფეხებიდგან წყალსა სვამს,
თავიდგან კვერცხსა სდებს. 2253
633. ღმერთმა ბძანა და კაცმა თქო, დევს დავადგათ უნაგირი,
ვაი თუ დევი გაიპაროს, თან წაილოს უნაგირი. 2254
634. კაცმა თქო და ღმერთმა ბძანა, დევს დავადგათ უნაგირი,
არცა უნდა ქერი-ბზენი, არცა ლაგამ უნაგირი. 2255
635. ზევით ღმერთის დიდებით, ქვევით კაცის მძლავრობით
დევს უნაგირი შევადგით. 2256
636. ორმო ბნელი, შიგ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი. 2257
637. სინა, სინა სინასაო, სინა აბრეშუმისაო,
საძირკველი რკინისაო, აფრა აბრეშუმისაო. 2258
638. ახაია, მახაია, თავს ახურავს კახაია. 2259
639. ძალლი წევს და კუდი ღრინავს. 2260

- 627) ხელკავი, რომლითაც ღომს ცეხვენ.
628 — 629) ხელი.
630) ხელის გული.
631) ხელი და ფეხი.
632) ხეხილი.
633 — 635) ხიდი წყალზე.
636) ხმალი.
637) ხომალდი.
638) ხურმა.
639) ჯარა.

640. ღობეშია ხელი შავყავ, ფუჩელამა მიკბინა. 2261
641. ღობერ, ღობერ, — უჰ, უჰ! 2262
642. ქვეყანაზე ყველა არის, სამი აკლიაო,
ეს გამოიცანი, ძრიელ კარგიაო. 2263
643. ბერი კაცი იარება, იარება და კარს აეფარება. 2264
644. ოდეს ცანი წარიგრაგნეს, მაშინ გახდეს წიგნი ტყავად,
[როგინე პეტრეს ლიტო (?) არიოზნა (?)] იდგეს შავად,
ოქრო ქრთამად არ გავიდეს, რაგინდ იყოს მოსარწყავად,
ვაიმე თუ მეც მეკითხოს ცოდო ჩემი დამნაშავად. 2265



640 — 641) ჯინჯარი.

642) ა) ჯორს შვილი არ ეყოლება, ბ) ცახე კიბე ვერ მერიდგმის, გ) ზღვაზე

ზიდი ვერ გაიდება.

643) ჯოხი.

644) ჯოჯოხეთი.

შენიშვნები

ც ე ქ ს ე ბ ი

1. საბმირო

(№ 1 — 121)

1) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 2-3) იქვე, სიმ. შადურის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 4) უთარილო. — 5) ეს ამირანი სხვა ჩანაწერიდან გადაუწერია გიორგი ფორაქოვს 1860 წელს და აქედან პ. უმიკაშვილს გადმოუწერია 1881 წელს. კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სტრიქონები სხვა ვარიანტებიდანაა აღებული. ვარიანტები: ა) ხევსურ., ივანეური ოჩიაურის თქმით ჩაწ. 1884 წ.; ბ) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1884 წ. (ნაწყვეტი); ბ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. აქ ამირანის სიკვდილი ასეა მოთხრობილი: „ამირანმა ჰკითხა ძმებს [?], რაღას მასწავლითო. ძმებმა უთხრეს: სამი ღრუბელი ამოვა, მკვდრებიდამ ამოძვრებიან, ქაჯებიანო, უფრთხილდი, — მოგკვლენო. ღამით მოვიდეს და მოკლეს. ერთი ლეკვი ჰყვანდა ამირანს, სამთა ძმაზე ფრინველი არ მიუშვის. ლეკვის ყფამ უფალი შეაწუხა. უფალმა გამოგზავნა ფრინველები, — ყვავი, ყორანი. ამბავი ვერ მიუტანეს: ცხვარი და ბატკანი ერთმანეთში დაერივნეს და ბლავანო. მამრე მტრედი გაგზავნა; იარა სისხლში, ფეხსისხლიანი მივიდა და უთხრა: სამი მკვდარია და ლეკვი არ უშვებსო. გამოგზავნა ანგელოზები: გააცოცხლეს.“ დ) იქვე ჩაწ. 1871 წ.; ე) იქვე ჩაწ. 1871 წ. ვ) იქვე ჩაწ. 1881 წ. ოვ. შადურის მიერ.; ხ) იქვე ჩაწ. 1881 წ. სიმ. შადურის მიერ.; ჯ) იქვე ჩაწ. თამრო შადურის თქმით ლიზა ყაზბეგის მიერ 1881 წ.; თ) უთარილო; ი) ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. (ნაწყვეტი); ია) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; იბ) კახეთი, ს. ვაჩნაძიანი, ა) ჯანდიერის ჩაწ. 1869 წ.; იგ) იქვე (ს. კალაური) ჩაწ. 1862 წ.; იდ) ქართლი, ს. კოდას ჩაწ. სოფ. პაპიაშვილის თქმით 1887 წ. ეკატ. გაბაშვილის მიერ; იე) ქართლი, ჩაწ. ვანო ჯაჯანოვის მიერ 1878 წ.; ივ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო); იზ) უთარილო; იტ) რაჭა, ჩაწ. პ. მირიანაშვილის მიერ 1883 წ.; ით) ხევი, 140 წლის ბერიკაცის თქმით ჩაწ. 1871 წ. უკანასკნელი ვარიანტი მით არის საინტერესო, რომ როსტომის ამბავი (დასაწყისი) ამირანს აქვს მიწერილი: ამირანმა ნახა სისხლისფერი წყალი, შემდეგ გმირი, რომლისათვის ცოლი მოეტაცნა მეორე გმირს; ამის გამოვლას დარაჯობდა, და რომ არ დასძინებოდა, წინ ხმალი ჰქონდა დარჭობილი, — ჩამოძინებისას შუბლს დაჰკრავდა და გამოეღვიძებოდა. ამიტომ ქვემოთ წყალი მისი სისხლით იყო გაწითლებული. იმ. გმირებმა ერთმანეთი დახოცეს. დედაკაცი დარჩა. ამირანი ქალთან მივიდა, დაწვა, მაგრამ ვერ დააკმაყოფილა. ქალმა შეარცხვინა:

ისამც ადგილი, კრულია, საცა შენ ამირანობდიო,
წესი რომ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდიო.

შერცხვენილი ამირანი შინ წავიდა, „საბნელოს შავიდა“ და გარეთ არ გამოდიოდა. ქრისტემ კაცი გამოუგზავნა და იკითხა, ამირანი რატომ გარეთ არ გამოდისო. ამირანმა შეუთვალა: როგორღა გამოვიდე, დედაკაცმა შემარცხვინა, დე-

დაკაცი მომერიაო. მე რომ ეს „დიდი ხმა მომეცი, ჯანი რატომ არღა მომეციო?“ მაშინ ქრისტემ ანგელოზები გამოგზავნა და დააბარა: „როცა წყალი აოხრდება, ი წყლის შაძლება მიეცითო, შავის ფერდის ზოვის [ზვავის] ძალი — ისიც ამირანს მიეცითო, თორმეტი რკინის კედლის სიმაგრე — ისიც მკლავებში მიეცითო; ამირანს ქრისტეს მონათლულია, გარეთ გამოვიდეს, საბნელოში ნულარ ზისო.“ ამირანიც გამოვიდა. იმ დედაკაცთან წავიდა, მასთან დაწვა. ახლა კი მოეწონა დედაკაცს მისი ღონე და ჰკითხა: „ამირანო, წინათაც გცადე, მაშინ სად გქონდა ეგ ძალიო?“ ამირანმა მიუგო: „ძალი ღმერთთან გავგზავნე, შენ უძალო შეგეყარეო, თორემ რაც ეხლა კეთილი ნახე, იმას მაშინ გაჩვენებდიო. „დედაკაცმა თავი დაჰხარა“ და უთხრა: „ცოლათ კი აღარ მიკადრებ, ხასათ მაინც წამიყვანგო.“ — 6) ს. მარაბდა, ნინო ბარათოვის ჩაწ. (უთარილო, დაახლ. 1870 წ.). ვარიანტი: კახეთი, ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 7) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 8) იქვე მისივე ჩაწ.; ვარიანტები: ა) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) უთარილო; გ) ხევი, ალექსა გოძი-აშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 9) ქართლი, ანანა ასანოვის თქმით ჩაწ. ივ. ტერ-სტეფანოვის მიერ. ხელნაწერში არის კიდევ 8 სტრიქონი, რომელიც მე ტექსტში არ შევიტანე, რადგან ნაკლებ გამართულია და ნაწილობრივ გაუგებარიც არის:

ე ლაშქარნი თურანეღნი თუმცა ერთსა ლქენასა,
ქებით მოგართმევ სალამსა, მტირალე შეჭირვებული.
ზურაბ მოგიკლეს ლალათით, დღე შენთან შედარებული,
მანდ ჩემი თავი ეძებე, ღრუბელთან შესწორებული.
უხედარო სახედარო, წადი სძოვე შალლა მთასა,
ახლო ნადირს ნურას მოჰკლამ ახალგაზდა მუხლად თმასა.
ერანელი სულ გაწყვება, აღარ იყოს გვარი მისი,
მამამ შვილი როგორ მოჰკლას, გვერთ რომ ახლდეს ყმა თავისი.

ვარიანტი: ბათუმს ჩაწ. ჰასან ბეგ ბეჟანოლის თქმით 1880 წ. (ნაწყვეტი) სულ 11 სტრიქონია, ასე თავდება:

ვაი რა ქნა ბერმა როსტომ, შვილი მოკლა ზურაბ მისი,
მკლავი ჩანგლათ გააკეთა, ხედ აასხა ძვალი მისი.

ბლოში (პ. უმიკაშვილის ხელითვე). მიწერილი აქვს: „ამისგან გავიგონე, — როსტომის ფეხის ძვალი წყალზე ხიდად იდვა, ხალხი გადიოდ-გამოდდიოდაო.“ — 10) ხევი, ჩაწ. 1864 წ.; ვარიანტები: ა) ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; გ) ქართლი, ს. ქარელი, ჩაწ. 1869 წ.; დ) უთარილო; ე) რაჭა (უთარილო); ვ) ნაწყვეტები (უთარილო); ზ) ნაწყვეტი, ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 11) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ. — 12) ს. მარაბდა, ნინო ბარათოვის ჩაწ.; ვარიანტი: ს. თელეთი მიხ. გოჩირიძის — „სუმბათოვის ყმის“ — თქმით ჩაწ. — 13) ქართლი, ს. ქარელში ჩაწ. 1869 წ. ანდრ. როინიშვილის მიერ. ვარიანტი: გ. თუმანიშვილის მიერ ჩაწ. „ერთი რაჭველის“ თქმით 1870 წ. თბილისს. — 14) ხევი, გაგა გოგოჭურის თქმით ჩაწ. 1870 წ. — 15) არსენას ლექსი მე ავიღე 1875 წლის გამოცემიდან: „სახალხო ლექსი. არსენა. მესტირეთაგან თქმული. გამოცემული ი. მელიქიშვილისა და ს. მესხისაგან. ფასი სამი კაპეკი. ტფილისი, 1875“ (პ. უმიკაშვილის ნაქონი ეგზემპლარი). ცვლილება არა შემიტანია რა, გარდა ერთისა: თავიდან მეოთხე სტრი-

ქონში ეწერა: „შვიდს წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.“ ასეა დაბეჭდილი შემდეგ გამოცემებშიაც. ხელნაწერ ვარიანტებშიც სწერია: „ტყვეთ“, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ეს შეცთომითაა და უნდა ყოფილიყო: „ტყეთ“. — ტყეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა. გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემაში არაა რამდენიმე სტრიქონი, რომელიც შემდგომ გამოცემებში არის, — არ ვიცი, მაშინ რა მიზეზით გამორჩენილა: პ. უმიკაშვილის ხელით ნაწერ ვარიანტებში ის სტრიქონები არის. მე ეს სტრიქონები კუთხოვან ფრჩხილებში მოვაქციე. სხვა არაფერი ცვლილება არ შემიტანია, გარდა, რასაკვირველია, იმ წვრილმანი შესწორებებისა, რომლებზედაც პ. უმიკაშვილის ნაქონ ეგზეპლარშია ფანქრით მითითებული და რომლებიც თვითონ მან შემდგომ გამოცემებში გასწორებულად შეიტანა. მისი მასალებიდან „არსენას ლექსის“ 17-მა ვარიანტმა მოაღწია ჩემამდე. მათში ზოგი თვითონ პ. უმიკაშვილის ხელითაა დაწერილი, მაგრამ არ არის ის დედანი, რომელიც მან ვარიანტებიდან შეადგინა და საიდანაც პირველი გამოცემა დაიბეჭდა (პირველი — მის მიერ შედგენილი ტექსტის გამოცემა; ხილო მანამდე, სახელდობრ 1872 წელს. ნიკ. ყიფიანმა გამოსცა პ. უმიკაშვილისგან მიღებული მასალების საფუძველზე „არსენას ლექსი“ ორჯერ). — 16) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ვინმე თოლიკაშვილის თქმით ჩაწ. 1890 წ. სიმ. შადურის მიერ. — 17) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. 1884 წ. ივ. შადურის მიერ. ვარიანტები: ა) ხევი, ილ. ჭავჭავაძის მიერ ჩაწ. ს. სტეფანწმინდას 1871 წ.; ბ) თბილისს ჩაწ. ქვემო-ხახმატელის თქმით 1874 წ. აქ არსებითი განსხვავება ის არის, რომ ბოლოში შემდეგი ორი სტრიქონია:

გაარიგენით, ხევსურნო, ნუ გაჰყრით მტერობაზედა,
სხვაც ბევრი გარიგიგებათ ბელლის კარ ნასხდომ კარზედა.

18) ხევი, ჩაწ. სოლ. ფიცხელაურის თქმით 1877 წ. — 19) ხევსურ., ხახმატელი ბერდია ყულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. (ხელნაწერში გარკვევით სწერია ბაგაის ძოძი, მაგრამ მე მაინც გაგაის ძოძი დავწერე, რადგან ამ ნებრძოლის სახელი ასე უწერია ურბნელს [„ივ“ 1888 წ. № 27], აგრეთვე პროფ. ა. შანიძეს, „ქართ. ხალხ. პოეზია“, ტ. I, გვ. 182, 443-445). — 20-21) იქვე მისვე ჩაწ. — 22) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1884 წ. — 23-24) ხევსურ., ხახმატელი ბერდია ყულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 25) მისი თქმით ჩაწ. 1874 წ.; ვარიანტი: მისივე ჩაწ. 1876 წ. — 26) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. — 27-29) ხევსურ.: ბერდია ყულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 30) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ. — 31) ხევსურ., ხახმატელის თქმით ჩაწ. 1870 წ. — 32) იქვე, ბერდია ყულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 33) უთარილო. ვარიანტები: ა) ხევსურ., ბერდია ყულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. (აქ ბოლო არაა ამ სიტყვებიდან: „ამბობდა ქალანდაური“...; ბ) უთარილო. — 34) ხევი, ჩაწ. 1870 წ. — 35) ხევსურ. ივ. ოჩიაურის ჩაწ. — 36) ფშავ., არტანელი ბაბაღე მინდოდაურის თქმით ჩაწ. 1886 წ. — 37) ფშავ. (უთარილო). — 38) ფშავ., აღმატელის თქმით ჩაწ. 1863 წ. ს. ენისელს. ვარიანტი: უთარილო. — 39) თუშ., აღმატელის თქმით ჩაწ. 1863 წ. სოფ. ენისელს. — 40) ფშავ., სოფ. გოგოლურის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1870 წ. — 41) ჩაწ. 1875 წ. — 42) თუშ., უთარილო. — 43) უთარილო. — 44) უთარილო (უკანასკნელი სტრიქონის ბოლო დედანში ასეა: ქალნი ქარს ამოვიდეს კარზედა). — 45) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1877 წ. — 46) ხევი, სოსიკა ბუნელიშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 47) ხევი, ს. სტეფანწმინდას ჩაწ. გივარგი ჯამარჯიშვილის თქმით 1881 წელს. ვარიანტები: ა) ია-

გორ ლუდუშაურის ჩაწ. იქვე 1881 წ. აქ სახარეს ნაცვლად მახარეა. ბოლო ასეთია:

მახარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცვრიანი,
გზის ძირსა მოკლეს თათრებმა, გზის თავს მიაგდეს მკვდარიო,
მესამე დღეზე მიუდგენ დავითს თავისი ყმანო,
ადგეს, დახოცეს თათრები, მახარეს მასწირეს მკვდარიო.

ბ) იქვე ჩაწ. 1881 წ. (ნაწყვეტია მხოლოდ). — 48) ქართლი, კარბელი ეფრემ გორმიშელის თქმით ჩაწ. ივ. ტერ-სტეფანოვის მიერ. ვარიანტები: ა) ნინო ბართოვის ჩაწ. ს. მარაბდას (აქედან არის ის ორი სტრიქონი ტექსტში შეტანილი, რომელიც კუთხოვან ფრჩხილებშია მოქცეული). აქ ლექსი ასე იწყება:

სამზღვარსა შავიყარენით, სამზღვარსა მუხრანისასა,
ცოლი მყვანდა და მიყვარდა, მიმყვანდა თავის ძმისასა.

და ბოლო:

სატევარ ხელი გავიკარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისა ა,
ერთი ასეთი უსართე, წვერი უწვდინე ქვიშასა.
ერთი იმანაც მისართა, ელვას ვაძსგავსე ცისასა:
აქეთ მე მოვკვდი, იქით ის, ქალი წავიდა ძმისასა.

ბ) აპ. წულაძის მიერ ჩაწ. 1887 წ. აქ ასე იწყება:

მოდო და ამბავს გიამბობ ჩემსა და ხინჩლაისასა.

გ) უთარილო. იწყება ასე:

ჭირთ შამოგჩივლებთ, ბატონო, ჩემსა და ჩრდილო ყმისასა,
ჩრდილოს ყმა შემამეყარა სამძღვარსა კალკეთისასა.

ცოლის ნაცვლად აქ დედაა ნახსენები:

აწ მეკიდების დედასა, მიჰყვანდა როგორც ქმრისასა.

დ) სოფ. ხიზაბავრას ჩაწ. იაკ. ლაზარაშვილის მიერ. ეს მხოლოდ ნაწყვეტია:

იმან შემამკრა, ერთი მე, წვერი უწია ქვიშასა,
თავსა ის მოკვდა, ბოლოს მე ჭალასა დიდ-ვაკისასა.

49) ხევი, ალექსა გოძიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 50) ხევი, ჩაწ. 1871 წელს. ვარიანტები: ა) იქვე (ს. სტეფანწმინდა) ჩაწ. 1871 წ. აქ ლექსის მხოლოდ ნაწილი არის (თავდება: მაუწია და გულსა ხკრა ბატონსა აჩხოტისასა). ბ) იქვე ჩაწ. იაგორ ლუდუშაურის მიერ 1881 წ. და გ) იქვე ჩაწ. თამარ ლუდუშაურის თქმით 1881 წ. ორივეში („ბ“ და „გ“) შიოლა შარამბალად არის წოდებული და ასე იწყება:

გათენდა, კარნი გაელა დიდისა ბაღდადისანი,
[„გ“-ში: გათენდეს, კარნი გეგზენეს დიდისა დარბაზისანი,]
გავიდენ, გაიბურთეეს, ბურთი ვერავინ გაილა,
შარამბალ ლუდუშაური მაშინვე გულმა აილა,
შახკმაზა თავის ლურჯაი, მებურთეებჩი ჩავიდა,
ჩავიდა, ჩაიბურთაა, ბურთი ნაპირზე გაილა.
ციხით გადმადგეს ქალანი,
შარამბალს თოლი იქ დარჩა, ბურთი მეგრელმა წაილა.
შარამბალ ლუდუშაურო, კაცი უამაკვე რა კელი,
არჩი ხემწიფე შაიბა, შუა შენ დაგრჩა სახელი,

ყეინს მოუკალ მესიფრე, გააყრევინე თავ-კელი,
 ტანხედით ჯაჭვი გახადე, ოქროსი ება.საკელი.
 ნეტამც შენ, ღუღუშაურო, შკამს ზიხარ ერისთვისასა,
 არ გაგიშვია მთრეხელი კევეს მიმავალი დისასა. და სხვ.

დ) იქვე, სტეფანწმინდას (სამების დღეობაში) ჩაწ. გაბრიელ წიკლაურის თქმით 1875 წელს, აქ, შიგა და შიგ, ჩართულია ამის წინ დაბეჭდილი (№ 48) ლექსის ნაწილები: რომ პური სთხოვა და აჭამა, ღვინო სთხოვა და მიართვა, ცოლი სთხოვა და ვერ მისცა, რომ არ დაიშალა და აკოცა და სხვ. ერთის სიტყვით, წინა ლექსის შინაარსი აქ შიოლა ღუღუშაურის მოკვლასთანა დაკავშირებული. — 51) ხევი, სოფ. გარბანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1873 წ. — 52) იქვე, ს. სტეფანწმინდას ჩაწ. 1877 წ. — 53) იქვე, დიმიტრი ყაზბეგის ჩაწ. სოსიკა ბუნელიშვილის (ახალციხე, სნოს ხეობა) თქმით 1875 წელს (ორიოდ წლის შემდეგ თოვლის ზვავს მოჰყვა ბუნელიშვილი მეფანტურე. პ. უ.). პირველი სტრიქონის შემდეგ პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „აქ 2 სტრ. აკლია“. ვარიანტები: ა) იქვე ჩაწ. გიგოლა არჯინაშვილის თქმით 1881 წ. (აქ ასე იწყება: ჩარუბ მამა და სნოს ციხე არიან მუქარაზედა); ბ) იქვე ჩაწ. თამრო შადურის თქმით 1881 წ. აქ იწყება: არშას ციხე და სნოს ციხე არიან მუქარაზედა.

54) იქვე გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 55) იქვე იაგორ ღუღუშაურის ჩაწ. 1881 წ. — 56) იქვე გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 57) იქვე ალუშკა შადურის თქმით ივ. შადურის ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: მისივე ჩაწ. იქვე. — 58) მღ. ნ. ბაკურაძის („ქართველი ოსებში“) ჩაწ. 1887 წ. (ს. ხუმელაგა). — 59) ხევი, სოფ. გარბანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1873 წ. — 60) იქვე ჩაწ. 1871 წ. — 61) მოზდოკელის თქმით ჩაწ. კავკავს 1860 წ. — 62) კახეთი, ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 63) ხევი, ს. გუდაური, ჩაწ. 1876 წ. — 64) იქვე, ს. სტეფანწმინდას (სამების დღეობაში) ჩაწ. ფილო შუჯაშვილის თქმით 1875 წ. — 65) იქვე, სოფ. გარბანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1870 წ. — 66) იქვე, ზემომღეთი, ჩაწ. 1876 წ. — 67) დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ. (ს. არტანი). — 68) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივანე თოლიკაშვილის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ. — 69) იქვე მისივე ჩაწ. სია გიგაურის თქმით 1890 წელს. ვარიანტი: გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწერილი. ამას პ. უმიკაშვილის ხელითვე მიწერილი აქვს: „იოსებ გიგაურის (ბრმის) გამოთქმულიაო,“ რაც, თითქოს, არ ეთანხმება ლექსის ბოლოს, სადაც ნათქვამია: „გამომთქმელი თუში მწყემსი ვარო“. — 70) იქვე ჩაწ. 1871 წ. (ვაიბოტნელი ტუსადის ნათქვამია. პ. უ.). — 71) კახეთი, ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1869 წელს. ვარიანტები; ა) ხევი, ჩაწ. 1860 წ. (აქ იკითხება: თემულა, თემურაზ); ბ) მეჯვრისხეველის თქმით ჩაწ. თბილისს 1860 წ. (აქ იკითხება: თემურ, თემურაზ); გ) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ. — 72) ქართლი, ს. საწიხური, ბესო საძაგლიშვილის თქმით ჩაწ. 1870 წ. იოს. ამირეჯიბის მიერ. — 73) ქართლი, ივ. ტერ-სტეფანოვის ჩაწ. — 74) მესხ., ს. უდე, ივ. ბარიკალდვის ჩაწ. 1889 წელს. დედანში არის კიდევ ოთხი სტრიქონი:

მუთრუბში იშოვნა სიმრავლე, გაუშვა ვარჩი ძირსაო,
 ეუბნევა მამა მისსა: გამიშვი, შენსა მხესაო!

— შე შენ, ვერსად ვერ გაგიშვებ, ვერ გავაციანამ მტერსაო,
 ერთმანერთს გადავეხვიოთ, სული შევსწიროთ ღმერთსაო.

ვარიანტები: ა) იქვე, ს. ხიზაბავრას ჩაწ. სტ. ტატურაშვილის თქმით ილ. ალხაზი-შვილის მიერ 1888 წ. იწყება: „ბიჭმა დაქვეა სიათა“ და შეიცავს სამ სტრიქონს; ბ) იქვე ჩაწ. იაკ. ლაზარაშვილის მიერ, იწყება: „ჭერიქი, ცხენსა გიქებენ“ და შეიცავს ოთხ სტრიქონს. — 75) ხევი, ჩაწ. 1871 წელს (მთქმელს სამუხრანოში უსწავლია. პ. უ.) — 76) მესხ., ს. ხიზაბავრა, იაკ. ლაზარაშვილის ჩაწ. — 77) კახ. ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 78), კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 79). კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 80) უთარილო. — 81) ხუთი ვარიანტი: ა) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ბ) იქვე, ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; გ) იქვე, უთარილო; დ) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ე) გრემელი ჩაბარაშვილის თქმით ჩაწ.; ე) უთარილო. ამ გმირის გვარი ვარიანტებში სხვადასხვაგვარად იკითხება: ფხაჭისშვილი, ხაჭიაშვილი, ხაჩიშვილი, ხაჩაშვილი, ხაციშვილი. — 82) გრემელის ჩაბარაშვილის თქმით ჩაწ., უთარილო. — 83) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 84) მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ. (ს. ხუმელაგა). — 85) რაჭა (უთარილო). — 86) რაჭა, სპ. აბესალაშვილის ჩაწ. 1871 წ. — 87) ზემო-რაჭა, ს. საკაო, გოგია ინატაშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. ბ. ჯაფარიძის მიერ. — 88) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 89) ზემო რაჭა, ს. საკაო, გოგია ინატაშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. ბ. ჯაფარიძის მიერ. ვარიანტი: იქვე-პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 90) რაჭა (უთარილო). — 91) მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ. (კავკავი, ს. ხუმელაგა). ვარიანტებში ამ გმირის გვარი იკითხება: ზოგან გელანაშვილი, ზოგან გეგლაშვილი, გეგელაშვილი, გელელაშვილი, ნინია გელაშვილი, გელანა ნათელაშვილი. ვარიანტები: ა) (ფშავ., დ. ხიზანაშვილის ჩაწ. არტანში 1884 წ.; ბ) ხევი, სტეფანწმინდა, გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ.; გ) ხევი, არაფეთელი ბურდულის თქმით ჩაწ. 1871 წ.; დ) იქვე, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1871 წ.; ე) კახ., ს. ველისციხე, ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ; ვ) კახ., ს. კალაური, ჩაწ.; 1862 წ.; ზ) კახ., ჩაწ. ლავრ. მათიკაშვილის მიერ; ც) იქვე ჩაწ. ა. ჯანდიერის მიერ 1869 წ.; თ) იქვე ჩაწ. (უთარილო); ი) იქვე ჩაწ. (უთარილო); ია) ქართლში ჩაწ. (უთარილო); იბ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას; იგ) თ. ი. ამილახვრის ჩაწ. ს. კასპს 1875 წ.; იდ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (ორი უთარილო). ბევრ ვარიანტში ამ ლექსს, თითქმის, საზანდარი ამბობს; იწყება ასე:

აღდგომელო საზანდარო, ბედი ახსენე ღვთისაო,
ან მაგ ქამანჩას დაუკარ, ან მაგ პატარა სტვირსაო.

ან:

შენ ტეტია საზანდარო, მადლი ახსენე ღვთისაო,
ცოდო-მადლი გაარჩიე. ცოცხალისა და მკვდრისაო.

92) კახ., ს. კაკაბეთი, ვ. ეფთიმოვის ჩაწ. 1880 წ. — 93) ხევი, ჩაწ. 1870 წელს, აქ სოლომონის ცოლის სახელად აღნიშნულია მარა (მარიამ), სხვა ვარიანტებში კი ყველგან ეფემია. უკანასკნელი 2 სტრიქონის წინ სამი სტრიქონი აქ „ა“ ვარიანტიდანაა შემოტანილი. ვარიანტები: ა) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ჩაწ. ა. ჯანდიერის მიერ 1869 წ. ბ) კახ., ჩაწ. ლ. ჩერქეზიშვილის მიერ 1870 წ., გ) იქვე ჩაწ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ 1868 წ.; დ) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; ე) თბილისის ჩაწ. მცხეთელის თქმით 1863 წ. მიწერილი აქვს შენიშვნა: „ეს ყველგან; იციან საქართველოში“; ვ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო);

ხ) მოწ. იაკ. ძოწინიძის ჩაწ. ერმალო კანდელაკის თქმით ქუთაისს (უთარილო);
 ც) სპირიდონ ბესალაშვილის ჩაწ. რაჭაში 1871 წ. თ) მოწ. ზოს. ხარაძის ჩაწ. იმერეთში და ი) ქუთ. მაზრაში (ს. ფარცხანაყანებში) ჩაწ. ო. ფხაკაძის თქმით მოწათის მიერ. მართებლის ნაცვლად „ვ“ ვარიანტში ნახსენებია ბებუთოვი, „ც“ ვარიანტში — პასკევეჩი, „ი“ ვარიანტში — მედათვე (ალბათ: მადათოვი). — 94) ხევი, ს. სტეფანწინდა, ივანე თოლიკაშვილის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წელს. ვარიანტები: ა) პ. უმიკაშვილის ხელით ნაწერი, უთარილო:

- ადგა სოლადა, წავიდა, დადგა სტამბოლის გზაზედა,
- შვიდი დღე-ღამე იარა, მივიდა ხონტქრის კარზედა,
- ხონტქარი შინ არ დაუხვდა, ვეზირი დახვდა კარზედა.
- შეიპატიჟა სოლადა, დასვა ხალიჩის თავზედა.
- სოლადავ, რისთვის გარჯილხარ ამ დიდის ხონტქრის კარზედა?
- რა მოგახსენო, ბატონო, მაქვს საჩივარი წამზედა.
- სოლადავ, მეტად გაქებენ ჯირითის ხმარებაზედა:
- ერთი არაბი ჩვენცა გვყავს გათქმული ქვეყანაზედა,
- შენ თუ იმას ეჯირითო, თულებ დაგადგამ თავზედა.
- მე ჯირითისა რა ვიცი, გავზრდილვარ გურჯისტანზედა!
- არ გეშვებთან, სოლადავ, გაგიყვანებენ ხვალ-ზეგა.
- რადგან არ მამეშვებთან, ცხენი მიბოძე ასეთი,
- არ იყოს ქვეყანაზედა;
- ედგას ოქროს უნაგირი, აღმასი ერჭოს თავზედა,
- ცხრა მეჯინიბეს ეჭიროს, კიდევ დგებოდეს ყალხზედა,
- ცხენი მოართვეს ასეთი, არ იყო ქვეყანაზედა,
- ედგა ოქროს უნაგირი, აღმასი ერჭო თავზედა,
- ცხრა მეჯინიბეს ეჭირა, კიდევ დგებოდა ყალხზედა,
- მოჭქრის, მოშხუს არაბი, ვით ქარიშხალი ცაზედა,
- ტურჟად იბრუნებს ჯირითისა იმ გაშავებულ მკლავზედა.
- ფიცხლავ ჩამოჯდა სოლადა, სალამს მართმევეს წამზედა.
- არ ვიცი სალამ-სულამი. ეხლავ გამექე კვალზედა,
- აბა გამექე, სოლადა, გაგშინჯო კაცობაზედა!
- გაიქცა ჩვენი სოლადა, გაიკრა აბუანდაზედა,
- ორი ესროლა არაბმა, ერთი არ იკრა ტანზედა;
- მესამე რომ დააზილა, ცხენ მოურტყა ტახტარზედა.
- გადაიწია სოლადა, დადგა ცალ აბუანდაზედა.
- გადაეხზა, აკოცა ცხენსა მარჯვენა თვალშია:
- შენი ჭირიმე, ლურჯა-ჯან, გადამარჩინე წამშია!
- აბა გამექე, არაბო, გაგშინჯო კაცობაზედა!
- მე ხომ ერთის მეტს არ გესვრი, მასაც ღვთის სამართალზედა!
- გაიქცა ფიცხლავ არაბი, გაიკრა აბუანდაზედა.
- დაჭკივლა და შემოსტყორცნა, დაარჭო ბეჭის ფრთაზედა!
- არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა.
- სოლადა მიჰყავთ ხონტქართან, ფეხები მიაქვს განზედა:
- ასე ჰგონია სოლადას, თავს აშორებენ ტანზედა.

ნუ გეშინია, სოლალა, თულებ დაგადგმენ თავზედა,
ფაშობასაც გაჩუქებენ იმ ახალციხის კარზედა!

ამას ბოლოში მიწერილი აქვს: „ეს სხვადასხვა ვარიანტებისგან შემდგარია“, ბ) აჭარული, ჩაწერილია 1859 წელს სოფ. მერისის მცხოვრების თავდგირიძის თქმით, რომელიც გადმოსახლებულა კახეთში. პ. უმიკაშვილის ხელითვე მინაწერი: „ამას რომ ვწერდი, იმერლები იყვნენ დამსწრე და თქვეს, ამას იმერეთშიც მღერიანო. ამისმა მთქმელმა მითხრა, რომ სოლალა ახალციხელი ყოფილაო“. ეს ვარიანტი დაბეჭდილია წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. ტფილისი. 1905 წ. გ) აჭარული (ჩურუქსუ, ს. მეხელე) ისმიელ კაიკაციშვილის თქმით ჩაწ. 1891 წელს; დ) ხევი, ფასანაურს ჩაწ. 1871 წ.; ე) ხევი, ჩაწ. 1871 წელს; ვ) იქვე ჩაწ. ალექსა გოძიაშვილის თქმით 1878 წ. (ნაწყვეტი); ზ) კახ., ჩაწ. ალ. ჯორჯაძის მიერ 1874 წ.; ც) კახ., ს. ენისელს ჩაწ. აღმატელი ბიჭის თქმით 1863 წ.; თ) კახეთში ჩაწ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ 1868 წელს. ამ ვარიანტის თანახმად, სოლალა ხონთკრის ვეზირს გაიწვევს ჯირითში: „ადე, ვეზირო, გავიდეთ სტამბოლის მეიდანზედა“. ი) კახ., ჩაწ. ლ. ჩერქეზიშვილის მიერ 1869 წელს. აქ ვეზირი გაიწვევს სოლალას ჯირითში. სხვა ვარიანტებში ყველგან არაბია ნახსენები. ია) ს. ქარელში ჩაწ. ზურ. ვარძელაშვილის თქმით 1869 წელს. ამ ვარიანტს ბოლო „ავთანდილის“ ლექსიდან აქვს მიკერებული. იბ) ტფილისის ჩაწ. 1863 წ., 16 წლის მცხეთელი ბიჭის თქმით; იგ) უთარილო; იდ) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წელს. აქ სოლალას ნაცვლად სოლომონია ნახსენები: „სოლომონ, ძლიერ გაქებენ ჯირითის გაგდებანდო“. ამ ვარიანტსაც ბოლო „ავთანდილის“ ლექსიდან აქვს მიკერებული. იე) მოწ. ელიოზოვის ჩაწ. (დაახლ. 1870 წ.). აქ ლექსის გამომთქმელად ვინმე ხორვაძეა ნახსენები:

ეს მე გამოვთქვი ხორვაძემ სტვირსა და ქასმაჩხაზეა,
ორმოცი ყურუში მომცეს, დავხარჯე დანიშვნაზეა;
ერთი ქურქიც ხომ მიბოძეს, ექნამდინ მესხა ტანზეა,
ეხლა კი დამიძველდება, დავკიდამ ქანდარაზეა.
ღმერთი აროდეს წაახდენს ალალ კაცს მართალ გზისასა,
ამას ვინ მოიგონებდა სიკვდილსა სოლალისასა.

და შემდეგ მოთხრობილია სოლალას სიკვდილი. ამ ვარიანტის თანახმად, იგი მოუკლავთ ცოლისძმისას (ახალციხეს). — 95) ს. კლდეეთში ჩაწ. თ. დუგლადის მიერ (უთარილო). ამ ლექსის „სტილს“ არ ეტყობა, რომ იგი ხალხური იყოს. — 96) ხევი, ჩაწ. 1876 წ. (ლომისობას მღერიან მღეთს და გარშემო. პ. უ.). — 97) რაჭა, ჩაწ. ს. ქორთას 1871 წ. („სიმღერებშიაც იტყვიან“). — 98) უთარილო. — 99) ხევსურ., ხანმატელი ბერდია. შულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 100) ხევი, ჩაწ. 1871 წ. — 101) ხევი (უთარილო); ვარიანტი (ისიც უთარილო). — 102) ხევი, ს. სტეფანწმინდა. დიმ. ყაზბეგის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 103) იქვე გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 104) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1884 წ. — 105) იქვე, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 106) ქართლი, ვ. ჯაჯანოვის ჩაწ. (უთარილო). — 107) ხევი, ს. სტეფანწმინდა. ჩაწ. 1881 წ. — 108) იქვე ჩაწ. 1881 წ.; ვარიანტი: კავკავს ჩაწ. 1873 წ. მოხევის (გარბანელის) თქმით:

მაით თუშნო და ხევსურნო, ლაშქარი დავაზიარნეთ,
ჩვენ კი ნუ ვერჩით ერთურსა, ცხო მტერი დავაზიანნეთ..

— 109) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1884 წ. — 110) ფშავ., ს. არტანი, დავ. ხიზანიშვილის ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: კახ., ს. ველისციხე, ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ:

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშოროში, ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ, მოსვლა იქიდგან ძნელია.

— 111) ხევი, ფერ. გოძიაშვილის ჩაწ., 1882 წ., აგრეთვე: ა) საგარეჯოში ჩაწ. (უთარილო); ბ) ველისციხეს ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ და გ) კახ. ჩაწ. 1868 წ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ. ეს უკანასკნელი ასე იკითხება:

ტირიან თუშის ქალები, არ მოგვივიდნენ ქმარები,
ლეკები შემოხვდებოდნენ, დაგვიყრვეინეს თავები,
იმათი ლურჯი ცხენები დადიან დალაგმულები.

— 112) კახ. ჩაწ. (უთარილო). — 113) ხევი, ილ. ჭავჭავაძის მიერ ჩაწ. ს. სტეფანწმინდას 1871 წ. 22 მარტს. — 114) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 115 — 116) კახ., ლავრ. მთიკაშვილის ჩაწ. — 117) კახ. (უთარილო). — 118) თელაველი ბიჭის თქმით ჩაწ. ა. ნ. ფერაძის მიერ 1871 წ. — 119) ხევი, უთარილო. — 120) ქართლი. ს. ჭალას ჩაწ. 1868 წ. — 121) ხევი. ს. გერგეტი, ჩაწ. 1871 წ.

2. საისტორიო

(№ 122 — 216)

— 122) თელეთს ჩაწ. (უთარილო). — 123) ხევსურ., ხახმატელი ბერდია ჟულაკისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. ლექსს ბოლოში აქვს კიდევ ერთი სტრ. ე. მა ქართულის მათქომი ემის მეტს კი არ ვიტყვი. ამ გამლივარაულს წერა თვითონ უსწავლია (უმასწავლებლოდ). მისი ნაწერი ხშირად ძნელი გასარჩევია, ასოები ზოგჯერ აკლთა, ზოგჯერ მეტია, რაც გადმოწერის დროს ძალიან ძნელებს საქმეს. არის ამ ლექსის მეორე ცალი, გამლივარაულის თქმით ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ 1874 წ. (როცა გამლივარაულმა წერა, ალბათ, ჯერ კიდევ არ იცოდა). აქ უკანასკნელი სტრ. ასეა: ამაჯვთნის საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიდე. ვარიანტები: ა) თუშ., ა. ხახანაშვილის ჩაწ. გიორგი მესაბლიშვილის თქმით სოფ. ყვარელ-წითელაში 1888 წ.:

ქალმა თქვა თამარ ნეფემა, ამ სოფლის ვერ გავიგე რა,
ისპაანს დავსდე ბეგარა, სტამბოლში ხარჯი ავიდე,
შავ ზღვაში ჩავდგი სამანი, ხმელეთი ჩემით [ჩემათ?] დავიგდე,
ამოდენ საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიდე.

ბ) უთარილო. აქ პირველი სტრიქონი ასე იწყება:

უბისს ავაგე საყდარბ, უწყალოს წყალი ვადინე,
ისპაანს დავდე ბეგარა და სხვ.

გ) ნინო ბარათოვის ჩაწ. სოფ. მარაბდას. აქაც 4 სტრ. არის:

თამარ დედოფალი ვიყავ, სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში ჩავყარე ხომალდი, ხმელეთი შიგ[ნით] მოვიგდე,
უქისს [უბისს] ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი წავიღე და სხვ.

დ) ხევი, წმ. სამების დღეობაზე ჩაწ. ფილო შუჯაშვილის თქმით 1875 წ. აქ, როგორც ეტყობა, ლექსის ნაწილი სადღეობო სიმღერადაა გადაქცეული:

დიდია წმინდა სამება, ცის კიდურამდე ელავსო,
თავის ყმათ გამჯავრებუ[ელ]სა სულ წიხლის ქვეშა სთელავსო.
ზღვას კი დავადევ ბეგარა, ზღვას აქეთ მამიდიოდა,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი, კმელეთი ჩემკენ დავაგდეო.

ე) იქვე ჩაწ. 1871 წ. (ჭავჭავაძის რაოდენადმე, „დ“ ვარიანტს). — 124) ხევი, ს. ხურთისი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ. პ. უმიკაშვილს შემდეგი თქმულება აქვს თამარ დედოფლის შესახებ ამ ჩქარეულის გადმოცემით ჩაწერილი. (1888 წ.):

თამარ დედოფალს ჰყვანდა პირის მეღვინე (ღვინო ვისაც ებარა): გაიხედა თამარ დედოფალმა ფანჯრიდამ და ნახა, — პირის მეღვინეს სძინავს, პირს ნათელი დასდგომია. გააღვიძა და ჰკითხა, მასწავლე, პირს ნათელი სიცოცხლით როგორ დაგადგაო. მეც ვიქ იმ საქმესაო, მეც დამადგესო. პირის მეღვინემ უარი სთქვა, სვეტი ნათელსა მე ვინ დამაყენებს სიცოცხლითაო. არა, უარს ნუ ამბობ, მე თვითონ გადმოვიცქირე ფანჯარაშიგა და მე თვითონ გნახეო. კიდევ უარი უთხრა, შენ ამდენი საქმე გაგიკეთებია, — სივანს ციხე, ახალციხეს ყველა წმინდა, — შენ არ დაგადგა სვეტი ნათელიო და მე სივანს დამადგება, შენი პირის მეღვინე ვარო. მერე გამოუცხადა პირის მეღვინემ, შენ რომ საქმელს მიგზავნიდი, მე ვიკლებდი და მშიერს ვაძლებდიო და ამიტომ დამადგაო. — 125) კახ. (უთაროლო). აქ არის კიდევ შემდეგი სტრიქონები, რომლებიც ტექსტში არ შევიტანე (დფექტიანია):

დასხდებიან ჩვენი მტერნი, ჩვენს საქმეს განაგებენ,
თორმეტ წელიწადს მკედლებმა ფრანგული თოფი აკეთეს,
ზედ შიში დასხეს (აკლია)
ეს რომ დაიძრა ოსმალი, ქალაქში შაიტყესა,
ჯერ მოახსენეს სახლთხუცებს და მერე მოურავებსა,
მოდით და წიგნი მივწეროთ [ჩვენს] თამარ ხემწიფესა.

— 126) 1879 წელს გაგონილი ბათუმში უსეინ ბეგ ბეჟანოღლისაგან. — 127) ჯინჯარაშვილის (?) თქმით ჩაწ. (უთაროლო). — 128) ხევი, ბრმა ალექსა გოდიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 129) მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. ს. ხუმელაგას 1887 წ. — 130) უთაროლო. — 131) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 132) ილია ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. — 133) ხევი, (არ ჩანს, ვისი ჩაწერილია). ლექსს მიწერილი აქვს: „გადაწერა ვერ მოვასწარიო“. როგორც ხელზე ეტყობა, პავლე ლუდუშაურის ნაწერი უნდა იყოს. დრო: დაახლ. 1880 წ. ვარიანტი: ხევსურ., ბერდია გამლივარაულის თქმით ჩაწ. 1871 წ. (ეს შეიცავს ლექსის მეორე ნახევარს მხოლოდ: ირემა, რად გიხაროდა თრუსოს კვესურთა ზიანიო და სხვ.). — 134) ხევსურ., ივ. ოჩიაურის თქმით ჩაწ. — 135) ხევსურ., ბერდია გამლივარაულის თქმით ჩაწ. 1874 წ. — 136) ხევსურ., ილია ჭავ-

ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. — 137) ხანმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 138) მისივე ჩაწ. — 139) ხევსურ., ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. — 140 — 141) ფშავ., ს. არტანი, დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ. — 142) მესხი. ს. უდე, ივ. ბარიკალოვის ჩაწ. 1889 წ. — 143) ეს წარწერა ოსეთის ერთ საყდარშიაო. ქართულ ბატონს ფიცის ტეხისათვის სამი საყდარი აუშენებია: მეტეხი (მე ვსტეხი), წილკანი (წილ ვკარი) და სამთავისი. ბალათარის ჩამომავლობა ტატიშვილები არიანო. ექვთიმე წერეთლისგან გაგონილი. პ. უ. — მეორეს მხრივ, მ. ჯანაშვილი, რომელსაც მოყვანილი აქვს ამ ლექსის ვარიანტი („მომამბე“ 1903 წ. IV, წერ. „ქართულთა მატთანე“, გვ. 63 — 64), სწერს: „ამ ლექსებში მოკლედ გადმოცემულია ის, რაც ვრცლად მოთხრობილია ქართ. ცხოვრებაში შესახებ ვახტანგ გორგასლის ბრძოლისა ოსებსა და ჩერქეზებთან და რასაც გადმოგვცემს ამავე გორგასლის შესახებ ჩერქეზთა ლეგენდა, ჩაწერილი იური ყაზბეგის მიერ (იხ. მოსკოვის უწყებანი 1896 წ. № 25, 34, 40 და სხვ.). ამას გარდა, თვით „აღლუზიანიც“ ჰმოწმობს, რომ ოსთა დიდს მეფეს აღლუზს დაპყრობილი ჰქონდაო ოთხი სამეფო ჩრდილოეთისა“. — 144) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. ვარიანტი: ხევი, 1876 წ. ჩაწ. (მეფე ერეკლეს შვილი ჯიმშერი მოვიდა მთაულეთს, ქალი მოითხოვაო და კაიშაურელი ქალი აჩვენესო. ქმარ-მაზლმა გაგზავნეს ქალი და უთხრეს, ჩვენც მოვალთო. კალთაში წოლის დროს ბანიდამ ესროლეს მუცელში. ერეკლე მეფემ თქვა: ახია, ერთი ცოლი ჰყავს, სხვას რას ართმევსო. პ. უ.) — 145) გაგონილია (1899 წ. თბილისს) ზაალ ტარიელისძე ლოლაძისაგან, რომელსაც უსწავლია მამისაგან დუშეთში. აღმასხან, ერეკლე II-ის შვილი, ცუდი გამგებელი იყო, არბევდა ხალხს, აწიოკებდა. ხალხი აჯანყდა და ბატონიშვილი გაიქცა გუდამაყარს. ეს ლექსი მაშინდელია. პ. უ. — 146 — 147) ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. — 148) ხევსურ., ხანმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 149) ხევსურ., ხანმატელი ბერდია გამლივარაულის თქმით ჩაწერილი 1874 წ. — 150) უთარილო. — 151) ხევსურ., ხანმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწერილი 1876 წ. — 152) ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1870 წ. — 153) ნინო ბარათოვის ჩაწ. ხ. მარაბდას. ვარიანტები: ა) ქიზიყელი (ნუკრიანელი) მეფანტურის თქმით ჩაწ. 1864 წ. თბილისს. აქ იკითხება, პატარა ნაბახჩევის ნაცვლად, დიდი ტყე და დიდი ველი და, გოშტაშვილის ნაცვლად, ბოსტაშვილი:

დიდი ტყე და დიდი ველი, შიგ დამალულა ლეკია,
მივიდნენ, გამააქციეს, ვით რომ ნადირმა ცხვარია,
ბატონსა ცხენი მოუკლეს, თავს[ა] ჰკრეს ზარბაზნია,
თითონ ქვეით მობრძანდება, ხელში უჭირამს ხმალია,

• • • • •
ბოსტაშვილი დათუნი ღვთის ჩამოსული ჯვარია და სხვ.

(დიმიტრი ყაფლანიშვილი (ორბელიანი) ყოფილა ამ ომში. ერეკლეს ცხენი დაეფლა და ფეხით სიარული მოუხდა. ორბელიანს უთქვამს დაცინვით, ცხენის კუდს მოეჭიდეთო. მეფემ არ იკადრა. იმ გოშტაშვილს თუ ბოსტაშვილს ცხენი მიუერთმევია. განრისხებულმა მეფემ ორბელიანი შეუდევ ააკლებინა ცოლშვილით და გააგდო კახეთიდან. ორბელიანი ყირიმს წაიდა პოტემკინთან და იმსახურა. აღექსანდრეს მოსკოლის დროს (1812 წ.) ამ ორბელიანმა ბევრი მტარვალობა მოახდინა კახეთში და ქიზიყში, მღვდლებსაც კი ახრჩობდა, — ჯავრს იყრიდა.

ჩემი სახლი აიკლესო: პ. უ.), ბ) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. (და კიდევ ერთი უთარილო). ეს პირველ ოთხ სტრიქონს შეიცავს მხოლოდ. — 154) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჯინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 155) ხევი (უთარილო). არის აგრეთვე მეორე ჩანაწერი, თითქმის ასეთივე, რომელზედაც, არაა აღნიშნული, ვის მიერ ან როდის არის ჩაწერილი, — 156) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტი: ჩაწ. იქვე, ს. სტეფანწმინდას, გიგოლა არჯინაშვილის თქმით, 1881 წ. აქ მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია:

ქართლიდამ ქალი მოტირის, თოღები უგამს მწყერსაო,
კახეთის გზასა კითხულობს, ჰფიცავს ერეკლეს მხესაო.

157) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 158) ხელნაწერი უთარილოა, არ სჩანს, ვის მიერ ან ვისი თქმით არის და სად არის ჩაწერილი. ორ თუ სამ ადგილას, რათა ლექსი გამართულიყო, თითო სიტყვა გამოვაკელი. — 159) ს. ნორიო, ანტ. არჯევანიძის თქმით ჩაწ. 1872 წ. (ეს აბდულა ყოფილა მეფის ირაკლის ჯავლადარი. რომელიც მიზეზზედ მეფეს შემოსწყრომდა და გავარდნილიყო ქართლისკენ ყაჩაღად. პ. უ.). — 160) უთარილო. — 161) უთარილო. აქ არის ვარიანტი, თითქმის ასეთივე, უთარილოა და კიდევ მეორე, რომელიც ასე თავდება:

ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმა არ შეგერთოთ თვალიო,
გიჭირავთ საქართველო, თქვენ კი იყვენით ძმანიო.

162) ილ. ჭავჭავაძის ჩაწ. 1871 წ. — 163) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. სიმ, შადურის მიერ 1890 წ. ვარიანტები: ა) ხახმატელი ციბოსელას თქმით ჩაწ. 1870 წ.; ბ) უთარილო:

ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია,
მეფე აღარ გყავთ ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია,
აღარ გაქვთ ბაირახები, აღარ სჭეხს ზარბაზანია,
დაშავებულან კარავნი, შემეფევივინეს ყმანია,
ღმერთს შესტირიან თავადნი, რად შეგვიკერნენ ბრალნია,
შავი ჩავიცვით ტანზედა, გავსწირეთ საწირავია.
დედოფალი ატირდება, იმერელთ მეფის ქალია:
მეფის ერეკლის სიკვდილი ვინა თქვა, რა სათქმელია!
მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილნაყარია,
მცხეთაში ოქროს კუბო დგას, შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წივს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია.
„შვილებს დაუგდი ბეგთარი, სისხლში ნაწრთობი ხმალია,
მანამდინ ვიყავ; ცხენს ვიჯექ, მივსძრენ და მოვსძრენ ზღვანბა,
ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ ფხასისხლოანი ხმალია.
შეინახიდით, შვილებო, ქალაქის მეიდანია,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, ღმერთმა არ გთხაროთ თვალია“.

ეს ვარიანტი დაბეჭდილია 1905 წ. გამოცემულ წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. გ) კიდევ უთარილო (თუშ.):

ვეღარ გაიგეთ, ქართველნო, გაგელოთ რკინის კარია,
ნეფე ირაკლი მოგიკვდათ, ბაგრატიონთა გვარია,
ნეფე ირაკლის შემდეგა ვილა გყავს მეომარიო,

დამდგარა ბაირახები, აღარ ჭეხს ზარბაზანიო,
შეწუხებულა დედოფალ, იმერეთს მეფის ქალიო.

დ) ესეც უთარილო:

რა ყუჩილია, ბიჭებო, რა გორეული დგებოა,
არ ვიცი ბატონს იგლოვენ, არ ვიცი — არ იციანო:
აღარ ყავ მეფე ერეკლე, აღარ სჭეხს ზარბაზნებო,
დადაბლებულა კარავი, გაღვებულან ერნიო.

ე) ხევი, გრემისხეველი მეფანტურე ალექსა გოძიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ.:

რათ ვერ ჭაიგეთ, ქართველნო, რკინის დაგემტვრათ კარი,
მოგიკვდათ მეფე ერეკლე, ის ბაგრატიონის გვარი,
არც ფრიალებს ბაირალი, აღარცა სჭექს ზარბაზანი,
აღარც ურა ხმით ძახილი, აღარცა ფრიალებს ხმალი.
თავად-ახნაური ტირის, სულ ტანზედ ჩაიცვეს შავი:
მოგვიკადა მეფე ერეკლე, ერთობ მოგვემალა თავი,
ჩვენი ძრიელი ხელმწიფე, სჯული, საქართველოს თავი.
ერეკლეს ცოლი ტიროდა, იმერეთის მეფის ქალი:
ნუ მეტყვით ერეკლეს სიკვდილს, სიტყვა არის ჩემთვის შწარი,
მცხეთაში ოქროს კუბო დგას, თავით, ფეხით კელაპტარი,
შიგა სვენია ერეკლე, ის ბაგრატიონის გვარი,
სულიერათ ქრისტე ღმერთთან წმინდა და მართალი არი.
შვილთ დაულოცა აბჯარა და ფხასისხლიანი ხმალი:
შვილო, ღმერთმა მრგაზმაროს ეგ ჩემი ტახტი და ხმალი,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, ოთხსავ კუთხივ შავდარ ზღვანი,
ვინძლო შენცა ჰქნა კაცობა, კი არ შამირცხვინო გვარი,
ნუ მოიძულეებთ თუშთ, ხევსურთ, ისიც ერთგულია ყმანი.
შემდეგ ამაზედ ჩიოდა: დახე სიკვდილის ყამსაო,
მიკარქაშს თფილისის ქალაქს, ქართლსაც მიძღვევენ სხვასაო;
ველარც დაგვადებო ჩარდახზე, ველარც დავხედამ მტკვარსაო,
ველარც ვიახლებ თავადსა, ველარც შევიყრი ჯარსაო.
სინამ ცოცხალი ვიყავი, მტრისას ვიყრიდი ჯავრსაო,
განჯაში და ყარაბაღში თათრისას ვჭკრებდი ხარჯსაო,
ეხლა სიკვდილის გამოთი ველარ ავილებ ხმალსაო,
ნურავინ ნუ დაიკვეხებს, ერთი დრო შერჩეს კაცსაო.

